

Կարգի

8

1985

სესია

337

გაერთიანებული ენათმეცნიერების ცენტრი

8

აგვისტო

1985

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიბრატორიული-მეცნიერული და საზოგადოებრივ-კოლექტიური მუშაობა

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მუშაობა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. საჭვივეო საზრუნავი

კოეზია და კროზა

- 6. მანანა ჩიტიშვილი — ლექსები
- 9. გოდარძი ჩოხელი — ჩრჩილის აღსარება. მოთხრობა
- 17. იორამ ქაშერტალიძე — ლექსები
- 21. ვლადიმერ ჯოლოჯუა — სამოთხის ძვრივი. მოთხრობა
- 54. გივი ქნულაძე — ლექსები
- 58. მიხეილ გავაშელი — ლექსები
- 61. ოთარ დემეტრაშვილი — შვიდი თუხანი. მოთხრობა
- 69. ამირან ანოზაძე — ლექსები
- 71. რევაზ დანელია — ლექსები
- 74. დავით ახპურაშვილი — შტრაუზის ქატი. მოთხრობა
- 78. ედუარდ ფალიანი — ლექსები
- 81. ჯანრი გოგაშვილი — თეთრი კედელი რომანი. გაგრძელება

ახალი თარგმანები

- 99. ივლინ ვო — ექსპრესია სინამდვილეში. თარგმანა ჩულიეტი შედელიშვილიძე

პარტიის XXVII ყრილობის შესახებ დრად

- 110. რევაზ ბახრაძე — მიცნობის-ბიჭინიკური კრო-ბრენი და ბუნებისმეტყველების კროზალები

ღიაღი თარიღი

- 117. მიხეილ ჯინევალაშვილი — ლენინი და კირ-ველი რეკოლუცია რუსეთში

წერილები

- 124. როსტომ ჩხიძე — სტილი პავლე ინგოროშვიანი
- 136. თამაზ ჩხეიძე — ქართული ანბანი და „მიფეთა ცხოვრება“

იუზორი

- 159. წინასიტყვაობა

შთავარი რედაქტორი ჯანსუღ ლვინჯილია

სარედაქციო კოლეჯია:

გივი ალხაზიშვილი
თადეო გავიშვილი
(შთავარი რედაქტორის
შოაღვილა)

გურამ გავაშვილი
გივი გავაშვილი
გიორგი გავაშვილი
თეიმურაზ დონიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მადია ქახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშინიანი
გურამ ფანჯიკია
მირის შოთხიშვილი
ნუგზარ შატაძე
ანთანელი
ჩხიკიშვილი
(პასუხისმგებელი მდიანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წარათელი
ტარიელ ჟანტურია
ბადრი ჟონიანი
მამა ჯოხაძე

ს ა ქ ვ ე ყ ნ ო ს ა ზ რ უ ნ ა ვ ი

ჩვენი პარტიისა და მთავრობის ახალმა დადგენილებამ „რომელიც მთელს ქვეყანაში ლოთობის აღმოფხვრას ითვალისწინებს, ხალხის ერთსულლოვანი მხარდაჭერა მპოვა. ლოთობა რომ მავნე, საზოგადოებრივად საშიში სენია, რომ იგი შეუფერებელია კულტურული ადამიანისათვის, რომ ბახუსის გზაზე შემდგარი კაცი კარგავს ადამიანურ სახეს, ეს ყველასათვის ნათელია და იქნებ ამაზე არც ღირდეს საუბრის გაგრძელება. იმათ, ვისაც მთელი არსით არ გაუსიგრძელებია ლოთობის მავნე როლი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისი სახვალის სავალალო შედეგები, კულისებში ჩურჩული ატეხეს — თითქოს ეს ყველაფერი ნაკლებად ეხებოდეს ჩვენს რესპუბლიკას, თითქოს ქართველი კაცი ლოთობისკენ არ იყოს მიდრეკილი, თითქოს ეს საზოგადოებრივი სენი ჩვენთვის არ იყოს მაინცდამაინც საშიში. მათს გასაგონად უკვე ითქვა მაღალი ტრიბუნიდან, რომ თვითდამშვიდების არავითარი უფლება არც ჩვენ არა გვაქვს და ლოთობის გამოვლინებანი ჩვენთანაც იღებს ხშირად უკიდურეს სახეს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მდგომარეობის ამ ფხიზელ და გონირ შეფასებას. სწორედ ჩვენთან, საქართველოში მოიკიდა ბოლო დროს ფეხი წრეგადასულმა, უზომო ღრეობებმა, სრულიად ჩვეულებრივი და ხანაც უმნიშვნელო საბაბიც კი საქმარისია იმისათვის, რომ ხალხმრავალი წვეულებები გაეშართოთ. ქორწილი მასშტაბებით ვის არ უხარია, მაგრამ ჩვენი ყოველდღიური ქორწილები რომ თამარ დედოფლის ქორწილს დავამზავსეთ, განა საკამათოა, განა საკამათოა ის ფაქტი, რომ მწუხარების დღემაც დაკარგა თავისი რიტუალური მნიშვნელობა და ქელების სუფრა ქორწილის სუფრისაგან აღარ განირჩევა. სწორედ ეს ფუნქციადაკარგული რიტუალური სუფრები იქცა ლოთობისა და უზომო ღვინის სმის ასპარეზად. განა საკამათოა ის ფაქტი, რომ სარფიან საქმეში მოკალათებულ საქმოსანთა ერთი წყება ჩვენი რესტორნების მუდმივი სტუმარი გახდა და დილა-საღამო აღარ გააჩნდათ, მათი სამუშაო დღე ხშირად გამუდმებული ღვინის სმაში დაღამებულა და „ქარგი ბიჭის“, „კაი ყმის“ იარლიყიც სწორედ იმგვარ ტიპებს მივაკერეთ, ვინც ხელგაშლილად ღვინოში ფლანგავდა არმად ნაშოვნსა თუ მამიკოების მიერ (ასევე არმად ნაშოვნ) ფულუმს!

ამას წინათ გამართულ რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრებაზე სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად, ჩვენი სოციალისტური მორალისათვის შეუფერებელ ტენდენციებზე გულახდილი საუბრისას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ჭუმბერ პატიაშვილი თავის დასკვნით სიტყვაში საგანგებოდ შეეხო ლოთობის პრობლემებსაც. ამ სიტყვაში ღრმად, რელიეფურადაა გამოკვეთილი თუ რა ზიანს აუენებს, როგორ წამლავს ლოთობა ჩვენს საზოგადოებრივ კლიმატს:

„განა მუშტრული გამოვლინება არ არის წრეგადასული ქეიფი? განა იგი ყოველთვის ასე უწყინარი და უანგაროა? ქეიფის დროსაც ხომ ხშირად მიზნ-

ად ისახავენ მოიპოვონ ვინმეს კეთილი განწყობა, მოიმაღლიერონ ვინმე. მისი ღებინონ ტენდენციური გადაწყვეტილება. ესეც ძღვენია შენიღბული ფორმით. ამიტომ ახალი ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის მკაცრი დაცვა უნდა მივიჩნიოთ კერძომესაკუთრული ტენდენციების ერთერთ მნიშვნელოვან ბარიერად“.

პარტიამ და ხელისუფლებამ მოგვიწოდა გამოფხიზლებისაკენ! მართლაც რომ დროა გამოფხიზლდეთ! დროა სამანი დავუდოთ უაზრო ღვინის სმასა და წრეგადასულ ლოთობას! ვინ მოსთვლის იმ ზარალს, იმ შორალურ თუ მატერიალურ დანაკარგებს, რაც ლოთობას გამოუწვევია! უური უნდა მივაპუროთ იმ საგანგაშო სამედიცინო სიგანალებს, რასაც ჩვენი ექიმები დიდი ხანია გვაწვდიან! ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორც საქართველოა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ლოთობა შეიძლება საბოლოოდ დამლუპველი გამოდგეს. ალკოჰოლის მავნე შხამი გენეტიკურ თვისებებს იძენს და შთამომავლობის პათოლოგიური გადაგვარების საფრთხედ იმუქრება...

ამიტომ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის დადგენილება, არაფრით არ შეიძლება რიგით ღონისძიებებს მივაკუთვნოთ, არაფრით არ შეიძლება უური მოვუპუროთ და თავი დავიმშვიდოთ. უკვე დაიწყო დადგენილების ცხოვრებაში გატარება, უკვე იგრძნობა ამ ღონისძიებების სასიკეთო შედეგები ქუჩებში აღარ გვხვდებიან ბანცალ-ბანცალით მობორიანე გონდაკარგული მთვრალეები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თუ სხვაგან ქალები და ბავშვები გავლას აღარ ეკრძაღვიან, ავტომაგისტრალებზე ალიკვეთა ლოთი მძღოლების თარეში.

დრო, ჩვენი მღელვარე ღღევანდღლობა, ცხოვრებაში წამოკრილი უამრავი პრობლემა ფხიზელ მიდგომას, გონივრულ გადაჭრას მოელის ჩვენგან. ქართველ კაცს არასოდეს უცხოვრია დაარხეინებული ცხოვრებით, და როცა კი ამგვარ ტენდენციას უჩენია თავი, როცა სიფხიზლე მოგვიდღუნებია და უზრუნველად ჰარი-ჰარალეს ძახილს მოვეყოლივართ, არასოდეს დაუხანებია მის დამლუპველ შედეგებს — მაღალი დამდაბლებულა, თვალსაწიერი დავიწროებულა, ქვეყნის სამანები მოშლილა და თითქოს ამას უცდიდაო, მტარვალის საჩიჯგანად გამხდარა ჩვენი ნაღოლიავები დაბა-სოფლები, ველ-მინდვრები და ბად-ვენახები. ისტორიას ყველაფერი ზუსტად აქვს აღრიცხული. ოღონდ ეგაა, ისტორიასაც ფხიზელი თვალი ჰირდება წასაკითხავად, გონივრული და წინდახედული განსჯა გვმართებს ყველაფრისა, რაც გვაფერხებს და წინსვლაში ხელს გვიშლის.

„მოყვარეს პირში უძრახეო“... სწორედ ეს ბრძნული ანდაზა შეახსენა დიდმა ილიამ საქართველოს, როცა მკაცრი სიმართლე მიახალა პირში, როცა საკუთარ ჭამსა და სტომაქს ჩამცქერი კაცის ტიპი გამოიყვანა სააშკარაოზე. ჩვენი მწერლობისათვის ნიმუშადა და ორიენტირად მარტო ამ ერთი მაგალითის გახსენებაც კმარა, ოღონდ ეს კია, ილია თვითონვე იჩენდა ინციატივას, თვითონ პირველი ამჩნევდა იმ წუღულებს, ერის ჭანსად სხეულზე რომ მომრავლებულიყო, პირველი სტეხდა განგაშს, ანჯღრევდა და აღვიძებდა მიძინებულ ეროვნულ თუ ზნეობრივ გრძნობებს, და რაც მთავარია, ღრმად ეყო ღარწმუნებული თავისი ქვეყნის უკეთეს მომავალში, თუმცა იმ დროს საამისოდ მანცდამანც ბევრი არაფერი ჩანდა სანუგეშო.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მოვლენების ღრმად განჭვრეტის უნარი, ერის სულიერი ცხოვრების მდეროშეობა ქართული მწერლობისათვის ის კვლავაც წმინდათა წმინდა მცნებებია. არ არსებობს დიდი და

მცირე პრობლემა. ყველაფერი რაც მიუღებელია ჩვენი დღევანდელი მდგომარეობისათვის, დღესვე უნდა მოექცეს ქართველი მწერლის თვალსაწიერში. ლოთობის იურადიული კანონებით აკრძალვა იმდენად ძნელი არ არის, რამდენადაც ხალხის შეგნების აღზრდა, დარწმუნება, დაჭერება, განმტკიცება რწმენისა, რომ ეს ყველაფერი ჩვენთვის, ჩვენი შთამომავლობისათვის, ჩვენი უკეთესი მომავლისათვის კეთდება. კულტურულ, გონიერ მოქალაქეს განა ჰირდება იმის შეხსენება, რომ ზედმეტი, წრეგადასული სმა და ღრეობა შეუფერებელია ნამდვილად კულტურული საზოგადოებისათვის.

ქართულმა მწერლობამ დროა ყურადღება მიაქციოს ამ პრობლემას, გააშინდოს და წარმოაჩინოს მისი უარყოფითი მხარეები, ეროვნული ტრადიციების გამარუდების ტენდენციები, მისი სავალალო შედეგები.

ქართველი ხალხი განთქმულია თავისი სტუმარ-მასპინძლობის ძველისძველი ადათებით. თუ რამე კარგი და ძვირფასი გაგვაჩნია „საუცხოვო“ დავარჯვით. რაც ჩვენთვის არ გვემეტება, სტუმრისთვის მიგვაქვს ნობათად. მაგრამ სწორედ იმ სტუმართა პირიდან არა ერთხელ მოგვისმენია ჩვენი წრეგადასული ღვინის სმისა თუ საერთოდ სმა-ჭამის ხან მეგობრული და ხანაც გაუგებრობაზე დამყარებული მტრული კრიტიკა. ზომიერება ყველაფერშია საჭირო. დავიცვათ იგი. ღვინის სმას არავინ კრძალავს, სტუმარსაც უნდა დავებედეთ და მტერ-მოყვარესაც, ოღონდ ისე, რომ თავი არ შევირცხვიოთ და ქვეყანა ჩვენზე არ ვაქირქილოთ.

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი ცხოვრების მრავალ მხარეს უკავშირდება, იგი არ არის ვიწრო, ლოკალური საკითხი, თუ ღრმად ჩავუყვირდებით, გამოუსწორებელ ლოთობაზე ნაკლები საზიანო საზოგადოებისათვის არც იმათ მოაქვთ, ვინც წამხედურობითა თუ სხვა ამბიციური გრძნობებით განმსჭვალულნი ხალხმრავალ ზეიმებს იხდიან.

ჩვენი პარტია და ხელისუფლება ფართო ფრონტით იბრძვის ყოველი მანკიერი ტენდენციის აღმოსაფხვრელად. იბრძვის უშეღავათოდ, პრინციპულად. ქართული მწერლობა ვერ დარჩება გულგრილი მაყურებლის როლში. ნამდვილი მწერლის სიტყვას დიდი ძალა აქვს, მას შეუძლია ადამიანი საკუთარ სულში ჩაახედოს, ურწმუნო დააჭეროს, გზას აცდენილი სწორი გზისკენ შემოაბრუნოს. „ცისკარი“ და მის ირგვლივ შემოკრებილი ქართული ახალგაზრდული მწერლობა მოვალეა ამ მორალურ-ზნეობრივი ბრძოლის ავანგარდში იდგეს!





მანანა ჩიტყვილი

წყალნი წასულ-წამოსულან,
დარჩენილან ქვიშანი,
დამკარგვია შენეული
თილისმა და ნიშანი.
ერეკება დღეებს ვილაც,
უსაზარლეს ხარხარით,
შიგ გულში მაქვს ჩარჩენილი
ჩამტვრეული ლახვარი.
ვერ შევძელი იმ ცრემლების
უცებ გადავიწყება,
სიყვარული დასრულდა თუ
მხოლოდ ახლა იწყება...
არ დამცალდა სასთუმალთან
მშვიდად გაშლა ჭილოფის,
რა ვიცოდი, არსებობდა
უკვდავება ჭრილობის.
არც რომ წამლით იკურნება,
არც სხვარიგად ამდება,
მოშუშებას ვერც მოასწრებ,
ისე დაგიღამდება.

მადლი უფალს, მალამო რომ
არც მე არ შეშოვნება,
თორემ როგორ გავუძლებდი
დღეთა ერთფეროვნებას.
იმ დღეთა მზე თითქოს ახლაც
ჩემს სარკმელთან მოგორდა,
ყველა ტკივილს თუ მოირჩენ,
მერე გასძლებ როგორღა.
თუ ჭრილობებს უმკურნალე
ძენძითა და ნაცარით,
ყველა ცრემლი თუ შეიშრე,
წამწამებზე რაც არი,
მერე რალამ დაგარჩინოს,
რალამ გაგახალისოს,
რა გექნება სადღეისო,
ანდა რა — სახვალისო.
არ დამცალდა არასოდეს
მშვიდად გაშლა ჭილოფის,
მადლობა ღმერთს, არსებულა
უკვდავება ჭრილობის.

შემოდგომა, მალაროსკარი

რაც უნდა ჩამიარაკონ,
აქ სულ სხვა ფიქრით ვღელავ...
ტიალო, ფშავის არაგვო,
ვაჟას ცრემლების ხელავ.
თუ ეს დღეც ღმერთმა ინება,
არ ვარ საწუთროს მღურვით,
რამდენი ეკვლევიანება
გულზე გადავლილ სურვილს.

ფოთლის ოქროსფერ ვარაყით
ტყე რომ სიტურლეს ჩემობს,
ამოქუნდება ხარლადი
მალაროსკარის ზემოთ.
გულო, შე ჯავრით ნადალო,
ნაღესო ცრემლის კირით,
ნეტავი შენა, ხარლადო,
მოგენატრება, ჰყვირი!

დიდი ხნის მერე

დიდი ხნის მერე
მე ვუსმენდი საყვარელ მოტივს,
გადაეცალა თითქოს წარსულს
ერთბაშად მტვერი...
რომ ვთქვა — „მახსოვხარ“,
ეს იქნება ძალიან ცოტა,
რომ ვთქვა — „მიყვარხარ“,
ეს იქნება ძალიან ბევრი.
დაბზარულ ყავარს
დაპალუპით ჩამოსდის წვეთი,
მადლობა ზეცას,
მითანაგრძნო ამჯერად ურვით...
რა დაერქმევა მონატრებას
შორეულ ბედის,

ანდა ხსოვნაში,
ხანჯალივით ჩატეხილ სურვილს.
და ძველ ჭრილობებს
დროის ჩქარი მდინარე ლოკავს,
არ ილუწება თუმც ყოველი
ჟამთასვლის კევრით...
რომ ვთქვა —
„მახსოვხარ“,
ეს იქნება
ძალიან ცოტა,
რომ ვთქვა —
„მიყვარხარ“,
ეს იქნება
ძალიან ბევრი.

ქართლის გზებზე

ეს ოქროვანი ყანები ვისა,
ან ეს კუნელის შავი გიშერი,
წვიმს ქართლის გზებზე
და ციხე ქსნისა
ბერიკაცივით ჩანს თავშიშველი.
ცა, ამორძალის სიზმრით ნანახი,
უსსოვარ დროდან მე რომ მიცდიდა...
ვინ თქვა სიმშვიდე,
როცა ბალახიც
სატევარივით მოდის მიწიდან.
და როცა ქარი ამტვერებს ქვიშას,
ვედარ დავივლი ამ გზებს ხალვათად
ჩემს ათროლებულ ტანს ახსოვს შიში
შაჰ-სულთანების ჰარამხანათა.
ეს ოქროვანი ყანები ვისა,
ან ეს კუნელის შავი გიშერი...
წვიმს ქართლის გზებზე
და ციხე ქსნისა
ბერიკაცივით ჩანს თავშიშველი.

მოგონება

გზად მარტოოდენ
გატეხილი აგდია ნალი,
წავიდა ყველა,
ჩაიკაფა ქარისგან ლელი...
ხსოვნას კი შერჩა გაელვება

იმ ერთი ქალის,
ვაშლის ყვავილით შეთოვლილი
მადალი ყელით.
ხმაურობს წვიმა შემოდგომის,
სევდიან ნოტად.



გასტქერის წარსულს მოწყენილი,
 დარდიან თვალით...
 სიცოცხლე რაა,
 (ჩვენთვის რომ ვთქვათ,

არც ისე ცოტა)
 სულ ერთადერთი გაღიმება
 ერთადერთ ქალის.

მუსრანის ბოლოს

აქ მუდამ ასე მრუმედ დამდება,
 სულ სხვანაირი ფერი აქვთ ნისლებს...
 ახლა აღარსად მაგვიანდება
 და ცეცხლის პირას ვზივარ და გისმენ.
 და ამ სიმშვიდეს ველარ ვიფერებ,
 ფიქრით სულ სხვა დროს გადავეწანი,
 ცეცხლთან მოჭრილი გდია წიფელი
 და მიირწევა გზისპირს ლერწამი.
 და ქარი ლერწამს სევდით რომ
 დახრის,
 ან წიფელს მთვარე ანათებს მკრთალი,
 რად მახსენდება ყივჩაღი ახლა,
 ანდა ის, „სხვისას წასული“ ქალი.

ამ სიყვარულმა

ქარმა სხვა მხარეს წამიღო,
 გადმოგაწვდინო ხმა ვითა...
 ნეტავი, ვის ვაბარივართ
 საწუთროს ზღვაში ნავითა.

მალვით გადმოვყევ ბილიკებს,
 ფეხქვეშ გაცურდა ქვიშა და
 მე მომკლა ამ სიყვარულმა,
 თორემ შენ არა გიშავდა.



ჩ რ ჩ ი ლ ის ა ლ ს ა რ ე ბ ა

ამთხრობა

მოწყალეო ხელმწიფევ!

სულითა და გულით მინდოდა და-
ესწრებოდი თქვენს იუბილეს, მინდო-
და მომელოცა თქვენთვის ძვირფასი
თარიღი და მეთქვა, რომ დიდებული
მწერალი ბრძანდებით.

კიდევ და კიდევ მოწყალეო ხელ-
მწიფევ! იქნებ გეწყინოთ კიდეც, ხელ-
მწიფეს რომ გიწოდებთ, მაგრამ ქა-
ლადის ჩრჩილისათვის, მწერლის
გარდა, სხვა აბა ვინ უნდა იყოს ხელ-
მწიფე!

მე დავიბადე თქვენს წიგნში, თქვენს
წიგნში ავიდგი ფეხი, იქ შევიგრძენი
პირველად ქალადის სურნელი და
მთელი ჩემი ბავშვობაც იქ გავატარე.

წიგნი, რომელიც ერთ თქვენს ახლო-
ბელ მწერალს აჩუქეთ, მის კარადაში,
ერთ მყუდრო და მიუდგომელ ადგი-
ლას იდო. წინიდანაც და აქეთ-იქიდა-
ნაც წიგნები გვქონდა მოფარებული
და, ეტყობა, დედაჩემმა ამიტომ გადა-
წყვიტა თქვენს წიგნში გავეჩინე. შემ-
დეგშიც ეს წიგნი მე და დედაჩემის
სახლ-კარად ითვლებოდა და სხვა ჩრჩი-
ლები დიდი მოწიწებით შემოვიღიდ-
ნენ ხოლმე ჩვენთან. დედაჩემი განთქ-
მული იყო მთელ ბიბლიოთეკაში, მისი
დიდი ხატრი და რიდი ჰქონდათ და
ვინ გაბედავდა თქვენს წიგნში თუნ-
დაც ერთი ასო მოეციქნა. სტუმრები
კი ხშირადა გვეყავდა. როგორც გითხა-
რით, თქვენი წიგნი ბნელ კუთხეში
იყო და მტრის შემოსევებისას, და-
მფრთხალი ჩრჩილები სხვა წიგნები-
დან ჩვენთან აფარებდნენ თავს.

— შემოდით, შემოდით, მეზობლე-

ბო, აქ ნურაფრისა გეშინიათ, ეგ კაცი
ამ წიგნის ხელის მხლებელი არ არის,
— ამხნევებდა მათ დედაჩემი და მეც
მიხაროდა ასეთი აუღებელი სახლ-კა-
რი რომ გვქონდა. რას არ ჰყვებოდნენ
ჩვენი მეზობლები, პირდაღებული ვუ-
სმენდი იმათ მონაყოლ ათასნაირ ამ-
ბავს. ერთი მაინც ისეთ ამბავს ჰყვე-
ბოდა, მუტლები ხელით გვეჭირა. ისეთ
წიგნში მჯდარა, სადაც ერთ ესპანელ
კაცს, თავისი ცხენი შეუკაზმავს, თვი-
თონ იარაღი აუსხამს, ერთი სანჩო კა-
ცი საქურველმტვირთველად აუყვანია
და აბაა, მერე იწყება, რაც იწყებაა!
იმ მეზობელს ვთხოვე, თავის წიგნში
წავეყვანე და იმანაც ხატრი არ გამი-
ტეხა, წამიყვანა. სანამ წიგნში შევი-
დოდით, ფეხები დამბანა, მითხრა: ეს
ისეთი წიგნია, შიგნით უწმინდური
ფეხებით არ შეისვლებო. ის დღე და-
რჩა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ლამაზ
და ყველაზე მტკივნეულ დღედ. ლამაზ
დღედ იმიტომ, რომ მე სხვაგან ეგეთი
ლამაზი სამყარო აღარ მინახავს, ხო-
ლო მტკივნეული იმიტომ, რომ იმ
დღეს ესპანელი რაინდის მიერ მოქ-
ნეული ხმალი შემთხვევით მე მომხე-
და და იმის მერე მარცხენა ფეხით კოჭ-
ლი ვარ.

დედაჩემმა ამ ამბის გამო ბევრი
იტორა და მერე, როცა გამოვრჩი, კარ-
ვა ხანს აღარ მიშვებდა სხვაგან. თვი-
თონ მიდიოდა ხოლმე და სხვა წიგნე-
ბიდან მოჰქონდა ჩემთვის საქმელი.
თქვენი წიგნიდან კი, მოწყალეო ხელ-
მწიფევ, ვფიცავ თქვენს სახელს, ყუ-
რი რა არის, ყურიც კი არავისთვის



მოგვიციტნია. სანამ ფეხი მომირჩე-
ბოდა. მანამდე დედაჩემმა კითხვა მას-
წავლა. დაიწყე თქვენი წიგნის, ანუ
ჩვენი სახლ-კარის გაცნობა. წიგნის
თავფურცელზე თქვენ დაგიწერიათ:

„ჩემს მეგობარ მწერალს ძმური სი-
ყვარულით“. არ ვიცი, მართლა თქვე-
ნი მეგობარია ის მწერალი თუ არა,
ერთი კი ვიცი, იმ კაცს თქვენი წიგნი
არ წაუკითხავს. დედაჩემიც ასე ამ-
ბობდა: როგორც მოიტანა ეს წიგნი
და აქ დადო, იმის მერე ასე დევს და,
მე მგონი, საიმედო წიგნიაო. მე იმ
მწერალს კარგად ვიცნობ გარეგნო-
ბით: მსუქანი არის, წვრილი, ეშმაკუ-
რი თვალები აქვს, როცა ვინმე თან
ახლავს, თავმდაბლად, ლაქუციით ელა-
პარაკება, მაგრამ მარტო რომ რჩება
ხოლმე, ვეღარ იცნობთ. ხანდახან მე-
გონა ხოლმე, რომ ყველაფრის ხელ-
მწიფე ის იყო. დაჯდებოდა მაგიდას-
თან, ჩაფიქრდებოდა, მერე პატარა
ზარს აიღებდა, ააწკრიალებდა, ზარის
ხმაზე შემოვიდოდა თითის წვერებზე
შემდგარი მისი მეუღლე, მონური მო-
რჩილებით შესციცილებდა თვალებში
და იკითხავდა:

— აქ მოგიტანო?

კაცი ერთს შეუბღვრდა. ქალი ისევ
ფეხის წვერებზე შედგებოდა, გავიდო-
და და ცოტა ხნის მერე საკმელებით
დატვირთული შემობრუნდებოდა. საკ-
მელებს იქვე მდგარ პატარა მაგიდაზე
დაუწყობდა და ჩუმად, ფეხის წვერებ-
ზე შემდგარი გაიხურავდა კარს.

თქვენი მეგობარი მწერალი ერთხანს
კიდევ ბრძნულად იჯდა, მერე ივანშ-
მებდა და სადილობამდე იმის ხვრინვა
აზანზარებდა ჩვენს ბიბლიოთეკას, (სა-
მკითხველოს).

ჩემი მეგობრები ამბობდნენ, ამ მე-
ფე-მწერალს ერთ რედაქციაში, ხეირი-
ანი სკამი უდგასო.

შეიძლება მე კარგად არ გამომდის
მასზე ასეთი ლაპარაკი მაგრამ...

ერთხელ მთელი კვირის განმავლო-
ბაში წერა და წერა ამ ჩვენმა მწე-

რალმა მოთხრობები. იატაკის ლაქუცი-
ნული ფურცლებით გაავსო. წერას
რომ მორჩა და კაბინეტში ცოლი გამო-
იძახა ოთახის დასალაგებლად, იმ ქალმა
იმდენი ქალღიმილი წაიღო გადასაყრელად,
ერთ მრავალშვილიან ჩრჩილის ოჯახს
მთელ ზამთარს ეყოფოდა გამოსაკვე-
ბად.

მერე დაჯდა ეს თქვენი მეგობარი
თეფშიაშვილი და ხმამაღლა დაიწყო
თავისი ნაწერების კითხვა. რამდენჯერ-
მე რომ გადაიკითხა, ზარიც ააწკრიალა
და ხეირიანად ისაუბმა, გამოიპრანჭა,
სარკის წინ რამოდენიმენაირი პოზა
მიიღო, ხან გაუცინა ვიღაცას, ხან თავი
დაუქნია, ვითომ გესალმებო, ხან
ბრძნული სახე მიიღო, მერე გულზე
ხელი დაიდო და იმ არარსებულ ვი-
ღაცას, რომელსაც ის სარკეში ხედავ-
და, თავი მდაბლად დაუკრა, ბოლოს
ვასწორდა, ჩაახველა, ტყავის საქა-
ლადე აიღო, მაგიდასთან დაჯდა და
შიგ იმ ახალი ნაწერების ჩალაგება
დაიწყო. ცხადია, სადღაც აპირებდა
წასვლას. ცნობისწადილმა წამძლია,
გამოვექანე წიგნიდან, ზურგიდან შევა-
ცოციდი და ქეჩოს გავლით თმაში შე-
ვუძვერი. ისე თმას არა უშავს, შეიძ-
ლებოდა შიგ საგულდაგულოდ დამალ-
ვა. ვნახოთ, აბა, ეხლა სად წავეს ეს
ჩვენი თეფშიაშვილი-მეთქი და გავი-
ტრუნე. გავიტრუნე კი მაგრამ ლამისაა,
გავგულდულიყავი, საფეთქლებთან და
შუბლის მხარეს მაინც ხომ არ და-
იდგომებოდა, ისევ ქეჩოს მხარეს გა-
დადვედი და იქ გავიტრუნე.

გავიდა სახლიდან თეფშიაშვილი და
გზაზე ვის შეხვდა და ვის არა, რო
აღარ დაგვალაოთ ამის მოყოლით, ერთ
რედაქციაში შევიდა.

— რედაქტორი აქ არის?

— აქ არის, — უთხრა მდივანმა ქა-
ლმა.

(ერთი წუთით ბოდიშს მოგიტხოვ,
ხომ არ მეშლება, ხომ მდივანი ჰქვია
ამ ქალს?).

— შეიძლება?



— კი ბატონო, შებრძანდით.

თეფშიაშვილმა კარი შეაღო და შიგნით რომ შევედით, ისე დაუკრა რედაქტორს თავი, კინალამ დაბლა ჩამოვვარდი, კიდევ კარგი, ქეჩოზე ვიჭექი და კეფამ არ გამიშვა დაბლა.

დადნა და დაშაქრდა რედაქტორის წინ ეს ჩვენი თეფშიაშვილი. როგორ არ მოისაწყულა თავი, ვინ არ გახადა ოჯახში ავად, რა მორჩილად, რა მიკნავებული ხმით ლაპარაკობდა, ისიც კი მოიტყუა, ინფარქტი გადავიტანეო. მე არ ვიცი, რაც გადაიტანა?!

ჰოდა, მე რო მართლა მეფე მწერალი მეგონა ხანდახან, თანაც ზარიც რომ აქვს და ცოლს უწყარუნებს, სადილი შემომიტანეო, ავერ ზის ახლა და მიკნავებულად ლაპარაკობს, ხმას იტკბილებს და ეკითხება:

— ბატონო პავლე, წელს რომელ თვეში გავვახარებთ. თქვენი წიგნის გამოცემით?

— არა, წელს არ გამოდის, მომდევნო წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანეს, — უპასუხა რედაქტორმა.

— უჰ! ეს რა მითხარი?! როგორ, თქვენი წიგნი წლიდანდელ გეგმაში არ შეიტანეს და ვიღაცები რომ არიან იქ, იმათ კი უცემენ და უცემენ?! — შეწუხებული სახე მიიღო თეფშიაშვილმა და დანანების ნიშნად ისე გადააქნა-გადმოაქნია თავი, კინალამ რედაქტორის მაგიდაზე ჩამოვვარდი.

მე საფეთქელისაკენ ჩავყევი დაბლა და ყურს ზემოთიდან გავხედე რედაქტორს, მაინტერესებდა კარგად მენახა, როგორი კაცი იყო, ყურსზემოთ მოკალათებული შევეყურებდი მის სახეს, ეს ჩვენი თეფშიაშვილი კი აქებდა და აქებდა, მერე ვიღაც კრიტიკოსზე გაწყრა. გაწყრა და როგორ გაწყრა, მაგან როგორ გაბედა და თქვენ შემოგებდათ კრიტიკული წერილითო, მერე ისეთი რამე თქვა კრიტიკოსებზე, კინალამ ყურის თავზე ვუკბინე. კრიტიკოსებზე, ასე თუ ისე, ცუდს ვერავის ვათქმევინებ. თეფშიაშვილი იმ რედაქტორს უმ-

ტკიცებდა, მაგათ რამე რომ შეეძლოთ თვითონ დაწერდნენ და სხვას აღარ გამოუდევებოდნენ, არ შეუძლიათ და სხვისი შურთ, სხვას ჰკებენო...

ნეტა ამას რა ეთქმის კრიტიკოსებზე, განა დღეს ქუჩაში არ შეხვდა ვიღაც კრიტიკოსს და ათასი მადლობა უხადა, შენ გახსენი ჩემი ნაწარმოების „კრეტსაბმელიო“.

ეს კრეტსაბმელი, მართალია, არ ვიცი, რას ნიშნავს, მაგრამ იმდენ მადლობას უხდიდა იმ კრიტიკოსს, კრიტიკა რომ არ იყოს, დიღუბებოდა ქართული მწერლობა, იმიტომ რომ ქართველებს თავის თავისადმი კრიტიკული მიდგომა გვაკლიაო, ჩვენთვის კრიტიკა იმას ჰგავს, ტყეში მგლები რომ გაწყვიტეს და ორმებიც გაწყდნენო. როგორ არ აქებდა, იმაზე რომ დაწერეო, იმაზეო, რა დიდებულად, რა მაღალმხატვრულადო! — ი! ამ რედაქტორზე ხო არ ეუბნებოდა? ეხლა კიდე აქ ნახე, რას ამბობს... ოოხ! არა, თუ ასე გაავრძელა კრიტიკოსების ლანძღვა, შეტს ვეღარ ავიტან, რაც მართალია, მართალია, მე მიყვარს კრიტიკოსები. ეე, რას ლაპარაკობ, კაცო, მაგათი კრიტიკული წერილები რომ არა, ხო შემშლით გავწყდებოდით ჩრჩილები. მაგათ ნაწერებზე ტკბილიც არაფერია, ეგენი გვაკმევენ პურსა.

ის იყო გავივლე გუნებაში, თუ არ გააჩუმებს ენას თეფშიაშვილი, ყურის თავზე ვუკბენ-მეთქი, რომ ამ დროს რედაქტორმა მომკრა თვალი და დაამტერდა თეფშიაშვილის ყურს, მერე უხერხულად შეიმშუშნა, მე თმაში შევიმაღე და ქეჩოსკენ ავიღე გეზი, ვიფიქრე, ეს რედაქტორი რომ შეიმშუშნა უხერხულად, ამ თეფშიაშვილმაც მხარი არ აუბას და ესეც არ შეიმშუშნოს, თანაც ვიცი, როცა იშმუშნება, ყურს იფხანს ხოლმე. შიში იქით იყოს, შემრბცვა კიდეც, გავიტრუნე და თეფშიაშვილმაც ამოაძვრინა თავისი ახალი მოთხრობები ტყავის საქაღალდედან. ისე მიაწოდა, ისე დაიმო-



რცხვა, ისე საცოდავი გახდა, იქნებ უახლოეს ნომერში გაუშვათო, ხვეწნით თქვა.

— მაგაზე როგორ გაწყენინებთ! — შეპირდა რედაქტორი. მერე იყო გამომშვიდობება და კარში რომ უნდა გამოვსულიყავით, ისევ ისე დაუკრა რედაქტორს თავი, ამ დილით სარკის წინ რომ დაიყენა და წელან აქ რომ შეასრულა; წელან რა ვიცოდი, რომ აქ აპირებდა ამას, კინაღამაც ჩამოვვარდი კეფას რომ არ დავეჭირე, ეხლა ხო ვიცი და მაგრად ვზივარ.

გამოვიხურეთ კარი, ჩამოვიარეთ კიბე, ჩამოვედით ქუჩაში და პირველი, რაც თეფშიაშვილმა პირველ შემხვედრს უთხრა, ეს იყო:

— ტტ! რა ხალხი ზის, კაცო, ამ რედაქციებში. ჩვენ რედაქტორობისთვის არ გვცალია და რომ მიუტან რალაცას, ისე გეტყვის ორი ნომრის მერეო, გაგიკვირდება.

„არა, ეხლა კი ვუკებენ, თანაც ქეჩოში!“

კიდევ კარგი, დროზე გაჩუმდა. ვიარეთ, ვიარეთ და სადღაც დარბაზში შეგროვილ მწერლებში მოვხვდით.

დასხდნენ.
— დავიწყოთო.

დაიწყეს, მაგრამ რა დაიწყეს. ჯერ ერთი მწერალი ავიდა ტრიბუნაზე, განიხილა და განიხილა ნაწარმოები.

ეს ჩვენი თეფშიაშვილი ზის და უსმენს. მე იმის ფიქრს ვუსმენ და ვგებულობ რასაც ფიქრობს. ჯერ საკუთარი აზრი არა აქვს, ვერ გარკვეულა, რა ხდება. განიხილვა კი ეშხში შედის და ფინთად აკრიტიკებენ ვილაცას. თეფშიაშვილი რალაცას ხვდება, სიტყვის თქმას აპირებს, თანაც თავში ისეთი ფინთი რალაცები უტრიალებს, ტრიბუნაზე რო ავიდეს და იმ „საწყალ მწერალზე“ ეს თქვას ნამდვილად ვუკებენ... არა და, აპირებს... ოხ, ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი!

გამოვიდა ვილაც ხნიერი კაცი და

აქო ის გაკრიტიკებული თეფშიაშვილის თავშიც შეიკვალა ფიქრი. ახლა საქებარ სიტყვებს დაუწყო თავმოყრა და ისევ გამოსვლა დააპირა. კიდევ კარგი, დაამთავრეს დროზე.

ვარეთ რომ გამოვედით, თეფშიაშვილი ჯერ იმ საქებართან მივიდა და მდაბლად, წელან რო რედაქტორს დაუკრა თავი, იმასთანაც ისევე გაიმეორა. — რა დიდებულად შეაფასეთ, ბატონო პლატონ! მართლაც რომ ღირსია ეს ნაწარმოები ასეთი ღრმა ანალიზისა... და სხვა და ასე შემდეგ.

მერე ვისი ნაწარმოებიც განიხილეს, იმას მიულოცა ცალკე, კუთხეში გამოიხმო, მხარზე წამოუთათუნა ხელი, იმუშავე, იმუშავეო, დაარიგა მამაშვილურად.

მერე იმ კრიტიკოსებთან ერთად მოვიდოდით ქუჩაში, პირველად რომ ლაპარაკობდნენ ფინთებს და — ჰა! რა ქნა პლატონმა, რა დაახეთქაო?! — იცინოდა თეფშიაშვილი.

ვიარეთ, ვიარეთ, და იმ დღეს მართლა ბევრი ვიარეთ. ბოლოს სადღაც შევედით. თეფშიაშვილმა ერთ კაცთან ზოგ მწერალზე ისეთი რალაცები ილაპარაკა, ვერ წარმოიდგენთ. ამის მერე შინ წამოვედით. გზაზე აიტეხა თავის ფხანა, ეტყობა, შევაწულზე. ხან სად დავიმაღლე და ხან სად. როგორც იქნა, მივედით სახლში, რა თქმა უნდა, იმ წუთას ჩამოვცოცდი. იმან კი დაუძახა ცოლს, გადააქექინა თავი, ეტყობა, მე მეძებდნენ.

— სკოლის ბრაღია, სკოლის! — ბრაზობდა თეფშიაშვილი.

— არაფერი გყავს, კაცო! — ამბობდა შეშინებული ქალი.

ქალი რომ გავიდა, ეს ფიქრს მიეცა. მე გათამამებული ვიყავი და ისევ თავზე ავაცოცდი.

— ოპოპოპოპოპოპოპო! რეებსა ფიქრობს! სოფელში აპირებს წასვლას. ყურძენი და ღვინო უნდა წამოიღოს იქიდან. მერე რუსეთში წავა, ვინ-

მეს პატივს სცემს... ეხლა ყველა ასე აკეთებს... პატივს სცემს, ეყოლება მეგობარი მწერალი და ათარგმნინებს თავის წიგნს. აბა მარტო ქართველებს ხო არ შეაღვეს ნიჟს, თანაც აქამდეც უნდა გასულიყო ფართო ახპარეზზე... მთავარია, რუსულად ითარგმნოს, თორემ მერე...

— ოპოპოპოპოპოპო! მართლა რეებსა ფიქრობს!

შემეშინდა, ემანდ ამ ფიქრში თავის ფხანა არ გაახსენდეს მეთქი და თქვენ წიგნს მივაშურე. კი წავა სოფელში, მაგრამ მაგის მოხუც მშობლებს რამე გამოერთმევა? საწყლები, ერთმანეთზე ეყუდებიან, ისე დადიან. ერთხელ აქ ჰყავდა ჩამოყვანილი და მთელი პატივისცემა ის იყო, აბაზანაში შეუშვა საბანაოდ. იმის მერე აღარ დაიფიყა, რომ გაბანავეთო! ასხენებს ხოლმე...

შეიძლება, მე კარგად არ გამომდის მასზე ასეთი ლაპარაკი, მაგრამ ხომ უნდა გითხრათ ყველაფერი....

ერთხელ თქვენ სტუმრად მოხვედით. სხვა სტუმრებიც ჰყავდა დაპატიუებული. თქვენ ახალი წიგნის გამოცემას ულოცავდით, ის კი, როგორც გითხარით, გელაქუცებოდათ.

მე თქვენ არ გიცნობდით და აი როგორ გიცანით. სანამ მოხვიდოდით, ჩვენ კარადაში ვანგაში ატყდა, ჩვენმა მეზობლებმა თავი თქვენს წიგნს შემოაფარეს, მაგრამ მოხდა ისე, რომ თქვენმა მეგობარმა, სწორედ ჩვენი სახლ-კარ იაილო, გადაშალა, რაღაც აბზაცი ამოიკითხა და წიგნი გამოსაჩენ ადგილას დადო.

— რა მოხდა? რა ხდება?! — შეშფოთებულნი. კითხულობდნენ ჩვენი მეზობლები.

— ეტყობა, ის მოდის, — თქვა დედაჩემმა და, როცა მოხვედით, მაშინ მიხვდები რომ „ის“ თქვენ იყავით.

დაიწყო ქეიფი. თამადად თქვენ ბრძანდებოდით. სხვა, დანარჩენი მწერლებიც რიდით გეპყრობოდნენ. მასპინძელი ხომ დადნა, დაშაქრდა. მერე

ერთი სადღეგრძელო გთხოვათ, ყანწი გაავსო და სანამ რამეს იტყოდა, ხელი ჩვენი სახლ-კარისაკენ გამოიშვირა.

— აი, იმ დიდებულ წიგნს გაუმარჯოს, დაიწყო მან და ყველამ ჩვენკენ გამოიხედა, ჩვენ ვარეთ გამოშვერილი თავები შიგნით შევმალეთ.

— აი, იქ რომ სიბრძნეა, იმას გაუმარჯოს, — გააგრძელა მასპინძელმა,

— აი, იქ რომ დიდებული გმირები სახლობენ, იმათ გაუმარჯოს, — ლაპარაკობდა მძიმედ, ღინჯად, მერე წელან წაკითხული აბზაცი ჩაარაკრაკა ზეპირად (მერე რაც ჩვენ შიში ვკამეთ, აი იმასაც გაუმარჯოს, რა ღმერთმაც მაშინ ჩვენ გადაგვარჩინა), აილო წიგნი და თავფურცელზე გადაშალა.

— აი აქ რომ წერია, ამ მეგობრობას გაუმარჯოს, ამ იმედს და იმ გრძნობას გაუმარჯოს, რა გრძნობითაც ყოველ წაკითხვაზე ეს წიგნი მავსებს, იმ გმირებს გაუმარჯოს, რომელი გმირებიც ამ წიგნში მკვიდრობენ, — წიგნი დახურა, ისევ გამოსაჩენ ადგილას დადო და ყანწი გამოცალა. ახლა, ყოველთვის, როცა იმ ამბავს ვიხსენებ ღმერთს ელოცავ, რომ თავფურცელზე გადაშალა და შემთხვევით არა იმ გვერდზე, სადაც მთელი ბიბლიოთეკის ჩრჩილები ვიყავით თავმოყრილი.

თქვენ ადრე წახვედით, იმ სუფრაზე კი კიდევ ბევრი სადღეგრძელო შეისვა. მასპინძელმა კიდევ დალია სადღეგრძელო: — მოდი, ახლა მომავლის მწერლებს ვაგვიმარჯოსო, ასე დაიწყო და ისე აღმაცერად ვადმოხედა თქვენს წიგნს, ვიგრძენი, ამ სადღეგრძელოში თქვენ არ გგულისხმობდათ. სადღეგრძელო რომ დაილია, ჩურჩულით დაიწყეს ლაპარაკი. ასე მგონია, თქვენზე ჩურჩულებდნენ: — წყალი აქვს შემდგარი, დიდხანს არ გააჩერებენო... ალბათ, ასეთ წვრილმანებს არც უნდა გიმხელდეთ, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ის კაცი თქვენი მეგობარი არ არის და მეორედ თუ აჩუქებთ თქვენს წიგნს, იმედი იქონიეთ, პირ-

ველივე დღიდან მაკულატურაში ჩა-
აბარებს.

რატომ ვარ ასე დაჭერებული?

ნეტავი მაგ კაცის ხსენება არ გამა-
გონა. მაშინაც, ჩვენი სახლ-კარი რომ
ჩააბარა მაკულატურას ჯერ ვერ მივხვ-
დი, რა ხდებოდა. იმას კი ვხედავდი,
რომ დიდი არეულობა იყო. უცხო ტო-
მის ჩრჩილები შემორბოდნენ და გარ-
ბოდნენ ჩვენს სადგომში.

— ნუ გეშინია, მაკულატურაში
მოვხვდით, ახლა მთავარია, ისეთი წიგ-
ნი მოვძებნოთ, რომელსაც არ გადა-
ამუშავებენ, შენ აქ დამელოდე და მე
წიგნებს დავათვალიერებ, — მითხრა
დედაჩემმა და გარეთ გავიდა.

მე ვიჯექი აბზაცებში და ვნატრობ-
დი თქვენს მოსვლას. უცხო ჩრჩილები
კი შემორბოდნენ და გარბოდნენ. შე-
მოიბრუნდნენ, სწრაფად ჩაიკითხავდ-
ნენ რამდენიმე აბზაცს და უიშვოდ
გარბოდნენ უკან.

— ვერ ხედავ, რა არეული დროება
ჩამოვარდა, ფეხი გაანძრე! — მიყვი-
რა ერთმა და გაიქცა. ამის მერე ერთი
მშვიერი ჩრჩილი შემოვარდა და ჩემს
თვალწინ მოაქამა თქვენს საყვარელ
გმირს თითი. მე ყვირილი მოვრთე,
რას შვრები, შე უნამუსო-მეთქი, მაგ-
რამ ამასობაში დედაჩემი შემოვიდა
და წამიყვანა.

— წამო, წამო, შვილო, თავი გაანე-
ბე, ეხლა მაგის დრო არ არის, ერთი
ისეთი წიგნი ვიშოვე, არა მგონია, თუ
ხეთისნიერი კაცი გამოჩნდა, ის წიგნი
აქ დატოვოს.

აი, ასე დავტოვეთ ჩვენი სამშობლო
და ეს სულ იმ თქვენი მეგობარი მწერ-
ლის... ოჰ, ნეტა ეს ამბავი აღარ გამახ-
სენა.

გავიბრბინეთ რამდენიმე წიგნი, გზა-
ზე უამრავი ჩრჩილი გვხვდებოდა,
ზოგი თავშესაფარს ეძებდა, ზოგი
„დროებით“ სარგებლობდა, ისეთ ქე-
იფსა და დროსტარებაში იყვნენ, წიგ-
ნებს მტკერს ადენდნენ.

როგორც იქნა, მივალწიეთ იმ წიგნს,

დედაჩემმა რომ ამოარჩია და — შიგნითა
შევიმალეთ.

— ახლა კი ნულარაფრისა გეშინია,
თუ ადამიანები მთლად არ გადაგვარე-
ბულან, გამოჩნდება ვინმე ხეთისნი-
ერი, — მამშვილებდა დედაჩემი.

ჩვენ ლოდინი დავიწყეთ.

დედაჩემს მართლაც არ უმტყუენა
ალომ. მოვიდა ერთი კაცი, მეორეს
რალაც უჩურჩულა, წიგნი აიღო, უბეში
ჩაიღო და წამოგვიყვანა.

— ღმერთო, დაილოცოს შენი სა-
მართალი, მგონი, ვადავრჩით, — აღ-
მობხდა დედაჩემს, მერე მე მომიბრუნ-
და და მითხრა:

— შვილო, ეს ისეთი წიგნია, არამც
და არამც პირი არაფერზე წაგცდეს.

იმ დღიდან დაიწყო ჩემი ახალი
ცხოვრება.

კაცი, რომელმაც ეს წიგნი წამოი-
ლო, ყოველდღე სანთელს ანთებდა და
ისე კითხულობდა, ჩვენ იძულებული
ვიყავით, სხვა წიგნში ვადავსულიყა-
ვით და იქ გვეშოვა საზრდო.

წელან ვთქვი, ესპანელი რაინდი რომ
ცხოვრობდა, იმ სამყაროსნაირი სილა-
მაზე აღარ მინახავს-მეთქი, თქვენ
თვითონ მიხვდებით, რომ ამ წიგნთან
არაფრის შედარება არ შეიძლება,
ღვთის ცხოვრებაზე უფრო ლამაზი
რალა უნდა იყოს. ვერც ერთი დღე ვე-
ლარ ვძლებდი იმ ჩვენი გადამრჩენელი
წიგნის გარეშე. შევიცვალე. სხვანაი-
რი სინათლე ჩამელვარა მთელს არსე-
ბაში. მივხვდი რომ ეს ქვეყანა დრო-
ებითი საყუდარია სულისა. განსაწმენ-
დელია, სადაც საკუთარ ლეშზე უნდა
აღზევდე. არ უნდა ემონო ხორცს, თო-
რემ როცა გაეყრები, მონადყოფილს
უმისობა გაგიჭირდება. ხორცი იგივეა,
რაც წიგნისთვის ქალაღი, ხოლო
აზრი მწერლისა, იდეა მისი — სულია.
ეს სული ჭეშმარიტი უნდა იყოს რომ
მარად იცოცხლოს, თორემ მოვა მსა-
ჯული და წიგნს სანაგვეში გადაიხე-
რის.

სოფელიც წიგნს ჰგავს — ზოგი წიგ-



ნი ისე მოკლეა, ზოგი წიგნი, ოო, რა გრძელია!

ზოგი წიგნი ლექსად იკითხვის, ზოგი პროზა.

ზოგი წიგნი მლიქვნლობაა.

ზოგი საესეა სულიერი ჭეშმარიტებით, აბზაც და აბზაც მზე რომ ამოდის.

ზოგი სათქმელს პირდაპირ ამბობს, ზოგიც ივავით.

სოფელი წიგნს ჰგავს, წამკითხავნი ჩვენ ვართ სუყველა, წიგნში ვკითხულობთ დიდი სოფლის ამაოებას.

ეს სოფელი ზოგს ლექსების წიგნს შემოგვაჩეჩებს, ზოგს მლიქვნელობის, ზოგს სულიერი ჭეშმარიტების.

მიდი იკითხე, არჩევანი თითქოს ჩვენზეა, მაგრამ ვაი რომ ხშირად არც არის — ლექსსმოწყურებულს, ზოგჯერ ისეთი პროზა დაგვდება...

ხანდახან იტყვი, მოდი, ამ წიგნს ჩავიკითხავ, რაც არის, არის, მეორე წიგნს მერე დავიწყებ, რა მეჩქარება, ჩემ ხელთ არის ეს სამკითხველო — მაგრამ სოფელი ისე მოკლეა, ბოლომდე მხოლოდ ერთ წიგნს ვაკითხებ, დრო აღარ გრჩება ხელმეორედ შემობრუნების.

ისე მოკლეა ეს სოფელი, თან ისე გრძელი...

ცეცხლისგან ნაშობს, ცეცხლი წაიღებს.

წყლისგან ნაშობი წყლად იქცევა, მტერისგან ნაშობი მტერად იქცევა, დაუბერავს საწყურთოს ქარი და კალოზე დაგროვილ ხევს გაანიავებს.

დაგრჩება სული ყოველივე ამის გარეშე — სულის გარდა, ყველაფერი უკუიქცევა.

რა არ მინახავს, რა წიგნი არ გამომიგლია. ხანდახან ისეთ ცეცხლში მოვხვდებოდი, მეგონა, აქედან ცოცხალი ველარ გავდწევე-მეთქი.

შომილი, ომი, დამონება, დასახიჩრება, კაცის კაცზე აღზევება, ქვეყნის გაყიდვა და ათასი სხვა რამ. რანაირი წიგნი არ შემხვედრია. ახლა მგონია,

რომ ადამის ხნისა ვარ, იმის მერეც დასრულდა ტრიალებულ ცოდვა-ბრალს სულ ჩემს კისერზე გადაუვლია.

საწყალი დედაჩემი. ერთხელ საზრდოსთვის ის-ის იყო გავიდა იმ დღეთს წიგნიდან, რომ უკანვე შემობრუნდა შეშინებული და მითხრა: — რალაც ავი ამბავია, შეილო! მგონი სამკითხველოს ცეცხლი გაუჩნდა.

იმ დღის ვახსენებაც კი მზარავს. თვალწინ მიდგას, როგორ მოედო ცეცხლი ჩვენს სამყოფელს. დედაჩემი თვალბზე ხელს მაფარებდა და გასასვლელს ეძებდა. ერთ ადგილას იპოვა ვიწრო ბილიკი, მე წინ გამომავლო და თვითონ კი ველარ მოასწრო. საცოდავი, ცეცხლმა უცებ დაფერფლა.

დავრჩი მარტო, დაიფერფლა დედაჩემი და დანახშირდა ჩემი სულიერი წიგნი. მაგრამ ჩემ სულში ორივე ნათლად დგანან, მაფხიზლებენ, მასაზრდოებენ. ამის მერე სად არ მახეტიალა ბედმა, ბოლოს თავი ერთ სამკითხველოს შევაფარე.

აქაც დიდხანს არ გამაჩერა ცხოვრებამ და მოვხვდი ერთ წიგნში, რომელიც სამყაროს შექმნით იწყებოდა ამ წიგნის წყალობით სხვა ქვეყანაშიც ვიმოგზაურე. წიგნის პატრონი სხვაგან გადასახლდა და სახლვარზე ისე გაგვაშუქეს, ორივე თვალით დავებრმავდი.

უსინათლობა ყოფილა ყველაზე საზარელი რამ. დადიხარ და ყველაფერი ბნელით არის მოცული. აქეთ-იქიდან ხმები გესმის, გინდა დაინახო რა ხდება, შენ კი ვერაფერს ხედავ და ლამის არის, გული გაგისკდეს.

მეტი გზა არ არის, საკუთარ თავში ჩალრმავდები, იქ ჩაიხედავ და, ვაი თუ იქაც სანუგეშო ვერაფერი დაინახოს. მაშინ მიხვდები, რომ აქამდე უნდა გეზრუნა სულისათვის, რომ ყოველივე სხვა, გარეშე სულისა მყოფი, მოჩვენებაა, მოგაშუქებენ დიდ სინათლეს და შენს გარშემო მყოფი მოჩვენებანი უცებ გაქრებიან. თუ მიჩვეული ხარ ამო პატივს და გაგიჭრება ეს პატივი



და თუ აღარაფერი გაქვს შემონახული საიმისოდ, რომ ნუგეში, აი მაშინ დაიწყება შენი ჯოჯოხეთი.

მაგრამ, როგორც ვითხარით, იმ წიგნის წყალობით დიდი საგზალი მქონდა სულის სიღრმეში და შინაგანმა სინათლემ მომცა ნუგეში.

იქ ყოფნისას მე გავიცან ერთი ჩემ-ნაირი უსინათლო ჩრჩილი და შევქმენით ოჯახი. გვეყოლა შვილი.

ნურავინ იტყვის, რომ ბედი არ არის. ნურავინ იტყვის, რომ მხოლოდ ლექსების წიგნს წავიკითხავო. ბედმა შეიძლება ის წიგნი წაგაკითხოს, სადაც ლექსი ნახსენებიც კი არ არის.

მეგონა, აი, ოჯახი შევქმენ, შვილი მეყოლა, ავირჩევ რომელიმე წიგნს და სიკვდილამდე იქ ვიცხოვრებ, იქ ჩამოვლევ დარჩენილ წუთისოფელს-მეთქი.

ბედმა ოჯახსაც დამაშორა და იმ ქვეყანასაც! სადაც მოვხვდი. ისეთი წიგნი ამოვიჩრჩიე, რომელმაც ისევ აქეთ გამომაქანა. წამოვედი ზღვით. როგორც ვითხარით, თვალეზში სინათლე აღარ მქონდა და სულის ხედვით ვგრძნობდი, რომ წიგნი გემის ძირზე იყო მიკრული და ჩემს ახლო-მახლო დელფინები დასრიალებდნენ.

როგორც იქნა, ისევ აქ მოვალწიე. როგორ მივხვდი, რომ ისევ აქ ვიყავი?

ისევ ბეღია, იმ წიგნში, სადაც მე ვიყავი, ერთი ჩრჩილი იყო, მიმკურნალა და ისევ დამიბრუნდა თვალის სინათლე.

ისევ დამიბრუნდა ეს ქვეყანა თავისი სიღიადით და ახლა მე იგი სხვანაირად შევიტკბე. უფრო შევიყვარე, უფრო ლამაზად დავინახე.

ახლა ერთი სურვილი მკლავდა, თვალით მინდოდა მენახა ჩემი ცოლ-შვილი. ბედი კი ათას სასწაულს მიმზადებდა.

წიგნი ერთმა კაცმა ღამით აიღო გემის ძირიდან და მე ახლა მის კარადაში აღმოვჩნდი.

ცოტა ხანში კი, იმ კაცთან ერთად,

ციხეში ამოვყავი თავი.

რა არ გამოვიარე, რა არ გადამხდა. ბედის სამდურავი კი არასოდეს დამცდენია. იმიტომ კი არა, რომ მომწონს ეს ცხოვრება, არა, ვიცი, რომ დროებითია აქ ყველაფერი — უამი მოვა და ცეხლისას ცეცხლი წაიღებს, წყლისას — წყალი, მტვერს ქარი გაანია-ვებს. ერთი ეგ არის, რომ სულდგმულის სულმა მიჩვევა იცის, თანაც სიყვარულის ნიჭი აქვს, შეგიყვარდება შენს გარშემო რაც კი არსებობს: ხე, ქვა, წყალი, თუნდაც ჭანდაბა და მერე გიჭირს მისი დათმობა. შეგიყვარდება იმად ყოფნა, რაც ხარ სხვა არსებათა შორის და უჭირს შენ სულს გარდასახვა. სულის მეცადინეობა კი სწორედ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ყოველივე შენს გარშემო მყოფი სიყვარულით შეითვისო, უნდა განწმინდო სიბოროტისაგან.

მანამდე კი ჩემი თავგადასავალი ასე გრძელდება: ერთი მეცნიერის სამკითხველოში მოვხვდი. უაღრესად პატიოსანი კაცი იყო და რამდენიმე წიგნიც ჰქონდა გამოცემული. ახლა მე და ის კაცი ცივ სამარეში ვწევართ. წიგნი, სადაც მე ვიმყოფებოდი, ოჯახის წევრებმა პატრონს სამარეში ჩამოაყოლეს, ეს დალოცვილი კაცი ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი წევს და განისვენებს. მე კი მენატრება ეგ ქვეყანა, თანაც ვიცი, რომ ველარასოდეს ველარ ვნახავ.

ჩემი უკანასკნელი სათხოვარი ეს იქნება:

თუკი თქვენს სულს ოდნავი სინათლე მაინც შერჩენია, დაწერეთ ისეთი წიგნი, რომელიც მთელ ქვეყანას შემოვიღოს, ადამიანებს სინათლეს მოჰფენს, ერთმანეთს შეაყვარებს და სიკეთით ატარებს.

დაწერეთ ისეთი წიგნი, როგორიც ბავშვის ტირილია.

მაშინ თქვენ ჰეშმარტად დიდი მწერალი იქნებით. ეცადეთ, სიცოცხლე-შივე მოიპოვოთ თქვენი სულის გარდაცვალება.

მარად თქვენი მონამორჩილი, ჩრჩილი.

ვეკუთვნი გამარჯვებულ ლაშქარს,
საიდანაც —

მხოლოდ მე დავიღუბე...
დანარჩენი ყველა გადარჩა...

მე ახლა ვწევარ გაჭიმული,
ხელდაკრეფილი,
ქუსლებით ვსინჯავ კუბოს იატაკს
და იდაყვებით კედლებს ვამოწმებ, —
მუხაა!..

ვითომ?

აბა, ერთი! —

დიახ, მუხაა!..

აკუნზე ვატყობ... —

სხვა ხმა აქვს მუხას,

ფიჭვს კიდევ — სხვა ხმა,

სხვა კიდევ — წიფელს,

ნაძვსა თუ რცხილას...

გუმანით ვხვდები, —

როგორც ტყის შვილი,

ტყის ნაშიერი,

თორემ რა ხმაა,

ვერც გეტყვით კარგად...

მადლობელი ვარ

ჩემი თანამოლაშქრეების!

ასეთი მუხა კარგა ხანს გაძლებს!

გაძლებს კი არა,

თუ პირობებმაც ხელი შეუწყო,

ფარაონების სარკოფაგებზე

უფრო დიდხანაც შეინახება!

გრძელი გზა მელის...

გამოვიზოგო უნდა ისე

ამ გზაზე ძალა,

რომ ენერგია უდიდესი

გადავცე ბალახს!

ჩემი იმედი ახლა

ეს არის! —

მხოლოდ ერთს,

საქ. სსრ კ. მარქსის
საბ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ბალახს შეუძლია
გააპოს მიწა!
და ქვა გახეთქოს!
ააფირაოს
ცათამბჯენები!
და ქვეყანას დაენახვოს!..

ვეკუთვნი გამარჯვებულ ლაშქარს,
საიდანაც —

მხოლოდ მე დავიღუპე...
დანარჩენი ყველა გადარჩა...

ჩემი დაღუპვა —

დაღუპვა იყო!

ზოგი კიდეც რომ დაღუპულიყო,
დაღუპულად არც ჩაითვლებოდა,
რადგან —

დიდად არ განსხვავდება

ზოგის სიცოცხლე აქ წოლისაგან, —

კაცმა არ იცის, —

ვინ გადარჩა,

ვინ დაიღუპა —

დამარცხებული გამარჯვებული
თუ პირიქით —

გამარჯვებული დამარცხებული,

თუ ერთდროულად, მონაწილე

დამარცხების

და გამარჯვების.

... ასი წლის მერე ვლაპარაკობ:

კარგად არც ვიცი, —

შეიძლება მეტიც გავიდა —

ათასი წელი,

ორი ათასი...

ამას არა აქვს მნიშვნელობა...

ეს მე ვარ —

სული სულ პაწაწინა,

ბალახს მივეცი

ჩემი სხეული

და ზე ამოველ ნაწილ-ნაწილად

მისი ფესვების შვეულ-ხვეულით.

რომ...

შემეცვალა აქაურობა —

მოსაწყენი

და სანატრელი
თავისი ერთფეროვანი სხვადასხვაობით.

ვეკუთვნი გამარჯვებულ ლაშქარს,
საიდანაც —
ბალახი გადარჩა...

აგარაკზე, ვვილთან ერთად

1. აგერ, სულ რაღაც
სამი-ოთხი საათის უკან
ორნი ვიყავით ამ ოთახში.

ბურანში იმის თავიც არა მაქვს,
გავალო თვალი
და გავერკვე, რა ხდება ირგვლივ.

სამი-ოთხი საათის უკან
თავისი ხელით
ჩაალაგა ჩემოდანი,
ჩაიცვია პლაშჩი
და გავაცვილე მატარებელზე...

3. ვწევარ...
მის ნაწოლ ლოგინში ვწევარ...
და მირახრახებს მატარებელი
შუალამეში.

მე ახლა ვფიქრობ
მის მაგიერაც...

„კუპეს-მკრთალი,
მინავლული ანათებს შუქი
და, ჩემს გარდა,
სუყველას ძინავს...
იქ კი, ნომერში, არ ძინავს მამას,
ის ახლა თავის სტიქიაშია:
უნთია შუქი,
ჩაკირკიტებს გადაშლილ წიგნებს,
ხანაც —
ოთახში ნერვიულად გადი-გამოდის...
ჩემს იქ ყოფაში კი
მთელი საქმე
სხვაგვარად ჰქონდა აწყობილი —
ორ-სამჯერ დღისით
კლუბში ან პლაჟზე მაკითხავდა
(მენახებოდა!),
დანარჩენ დროს მაგიდას უჯდა.
და რომ ვწვებოდი,
იმავეწუთშივე —
შუქს ჩააქრობდა,
და ფრთხილად შლიდა გასაშლელ
საწოლს...“

2. ახლა მის ნაწოლ
ლოგინში ვწევარ...
(ჩემი ლოგინი ავალაგე,
ავაკესე ტახტი)
და ძილღვიძილში თუ ბურანში
ვბორგავ და ვბრუნავ...
ასე მგონია —
მე წავედი
და ის აქ დამრჩა,
რომ...
იგი მე ვარ,
ხვალ მე უნდა მივიდე სახლში
დაახლოებით, ასე, თერთმეტზე...

მთელი ღამე კი —

ჩვეულ დრომდე ვერ იძინებდა...”

და რა გაუძლებს დედამისის
საყვედურებს,
ან მე რა ხმა ამომეღება —
ბავშვი
მარტო
დავტოვე
ზღვაზე...
ბავშვი, რომელსაც
შეუსრულდა ჩვიდმეტი წელი,
მაგრამ ჩვენთვის ისევ ბავშვია...

4. ძნელია სხვის ლოგინში წოლა!
ძნელი კი არა,

უფრო მეტიც, — აუციცაა...
მაგრამ წოლა შვილის ლოგინში
სასიამოვნოც ყოფილა თურმე!
ერთი კია, რომ... არ მეძინება!
და ძილღვიძილში თუ ბურანში
ვბრუნავ და ვბორგავ.
ნახევრად ცხადში
და ნახევრად სიზმარში ვარ!
და გიტანჯები,
რადგან მგონია —
მე წავედი და შენ აქ დამრჩი,
რომ ხვალ —
მე უნდა მივიდე სახლში
შენს მაგიერად,
მარტოხელა,
ხელცარიელი...

შუა გზაში ვარ! — ასე მგონია...

ლამის ჩამოვხტე მატარებლიდან
და ფეხით,
ფეხით დავბრუნდე უკან
შენთან, რომელიც მარტო დაგტოვე.

5. შვილო,
როგორც მე ახლა ვწევარ
შენს ლოგინში,
შენს მაგიერად, —
ნეტა ასე შეიძლებოდეს,
ჯვარი გწერია,
იმ სამუდამო საწოლში წოლა...
მე ვიქნებოდი —

სუყველა მკვდარზე ბედნიერი
გინდა — ცოცხლებზეც.

და შენს ეზოში
ფეხშიშველა როცა გაივლი,
ნეტა იქიდან ბალახებით
გაფურებოდე!

ფეხისგულებზე გილიტინებდე
ლბილად,
სათუთად,
და საამურად...
შენ კი სიამით
ჟრუანტელი გივლიდეს ტანში,
და უხერხულად გაფრქოლებდეს,
და ფეხისგულს იფხანდე წვივზე...

და დადიოდე ქვეყანაზე
წელგამართული
კაცი, მამა კი გენაცვალა,
ორი სართული,
შენი კაი ხმით, საამურით,
კაი ქართულით,
შენი მზით —
ბეჭზე ოქროსფერად
ამომანთულით...

... მე შენს მაგიერ
ვწევარ და მძინავს...
ჯერ არა! —
ვბორგავ ძილღვიძილში,
მაგრამ საცაა — დამეძინება
ტკბილად...
ტკბილად და გემრიელად...



ს ა მ ო თ ხ ი ს ქ ვ რ ი ვ ი

მოთხრობა

დაბრძანდებოდა მარგარიტა ჩუქურთმიან საკარცხულზე უზურპატორივით და იმის გრძელ, მოუსვენარ თითებში ისეთნაირად იყო გახლართული საქსოვი ძაფი, როგორც გადაბრუნებულ ბელტზე ბალახის ფესვები, ხოლო თავმოკაუჭებული წვირილი ჩხირები ჩიტბატონას ნისკარტივით კენკავდნენ საკენკს, და იყო მარგარიტა ნირშეუცვლელი, თითქოს წელთა სიმრავლე კი არ ამჩიმებდა, მსუბუქ ლაბადასავით მოეგლო სუსტ მხრებზე. წლები კი ჰგავდნენ მდინარეებს, მდინარეები ჰგავდნენ ზღვათა არტერიებს, ზღვა კიდევ — სამყაროს უცვეთ გულს და მარგარიტა — მოლიპულ წავარნებზე მიმავალ მწვირს, რომელიც ყოველი გადადგმული ნაბიჯით უფსკრულს უახლოვდებოდა.

მანსარდიან სახლში ცხოვრობდა. მისი აივნიდან ხელისგულივით მოჩანდა მთელი ქალაქი, ზღვაცა და ზღვისპირიც. იმ უამრავ ჩაბნელებულ ოთახში (არ ვიცი, ნათურები იყო გადამწვარი თუ გამტარები დაზიანებული) სულ მუდამ ნათვალისის, ნესტისა და რაღაც წამლების სუნი ტრიალებდა, ხოლო არცთუ პატარა ეზო ნაირნაირი ყვავილებით იყო გადაფერადებული. ვარდი, შროშანი, ნარგიზი, მიხაკი, ტიტა. მიხაკები უყვარდა გამორჩევით. ლამაზ, მდიდრულ გვირგვინებს საჩუქრად უგზავნიდა მისთვის სათაყვანებელ პიროვნებას დაბადების დღესთან დაკავშირებით ან რაიმე დღესასწაულზე, კეთილი სურვილებით გამთბარ ბარათსაც მიაყოლებდა. ხანაც სამშობიარო

სახლის მესვეურთ მიაართმევდა იმ ყვავილებს, ანდა ქალაქში საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობს, მომღერალს, მუსიკოსს, ვისაც კი ხელოვნების ჭეშმარიტ ქურუმად მიიჩნევდა. განა ბედნიერებას ანიჭებდა გაღებულ სიკეთე, პირიქით, ბუზღუნებდა, განიცდიდა, თითქოსდა სულიერ არსებებს მზეს უბნელებდა. მანსარდიანი სახლის გვერდით დაწყებთი სკოლის ერთსართულიანი შენობა იდგა და იქიდან ერთდათავად ხმაური, ქრიამული და ბურთის ბათქაბუთქი მოისმოდა, რასაც მარგარიტა, ანუ ს ა მ ო თ ხ ი ს ქ ვ რ ი ვ ი, როგორც იმ სკოლის აღსაზრდელები ეძახდნენ, თუმცა კი ეს უცნაური მეტსახელი, ეტყობა, უფროაბისგან ჰქონდათ გაგონილი, მოთმინებიდან გამოჰყავდა ხოლმე. ერთხელ მეგობარ ქალს ჩაეკითხა, სამოთხის ქვრივი რაღას ნიშნავსო? ჰოდა, იმანაც აუხსნა: „ჩიტი ბელურასნაირი, კუდაგრძელა, გულყვითელა“. ბავშვები ნარგავებს დაერეოდნენ, გლეჯდნენ, ანადგურებდნენ, გაგიყებამდე მიჰყავდათ მოხუცებული ქალი. ამ შე მო ს ე ვ ე ბ ი ს წ ა მ ო მ წ ყ ვ ბ ი და ერთპიროვნული თაოსანი ერთი შავტუხა ბიჭი გახლდათ, რომელსაც ბავშვი თუ მოზრდილი გამბუზი ას ე ძ ა ხ ლ ა რ ა ტ ო მ დ ა ც. ერთობ უთქმელი, გულჩახვეული, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაბრაზებული სახის ბიჭი იყო. ავადმყოფი მამიდა ზრდიდა და არავინ იცოდა, არავინ კითხულობდა, რა იქნენ მისი მშობლები, ანდა რა დარდს შეეპყრო მკმუნვარე სახის პატარა კაცი, რატომ იყო ყველა და ყვე-



ლაფრისადმი ასე გულგრილი, უფრო სწორად, შეურიგებელი, რატომ აწვალდება მსუქანლოყებიან ბიჭუნას, რომელსაც ხშირად სანოტო რვეულები ჰქონდა ამოჩრილი ილიის ქვეშ და უგულდა მიაბოტებდა მუსიკალური სკოლისკენ.

გამბუზიას მამიდა მკერავი იყო და თავის ძმისწულს კიდობანში საგულდაგულოდ გადანახული კაბებისგან თუ უკერავდა შარვალ-ხალათებს, ეტყობა, გემოვნებითაც არ გამოირჩეოდა, ყოველ შემთხვევაში, სადღეისო მოდას გვარიანად ჩამორჩენილიყო. ჩამეთქვას ჩაცმულობა სიცილს ჰგვრიდა მოსწავლეებს, თუმცა აშკარა დაცინვისგან თავს იკავებდნენ. გამბუზია მაინც გრძნობდა, ზურგს უკან რომ აქილიყებდნენ და აბიაბრუებდნენ. მამიდამისი თვალითაც არავის ჰყავდა ნანახი, ზოგიერთი მასწავლებლის გამოკლებით. თუკი რაიმე სამუშაო გამოუჩნდებოდა, საკერავი მანქანა სახლში ჰქონდა და, სანამ თვალში სინათლე არ განელებოდა, სანამ ძალა ერჩოდა, მუშაობდა ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით, როგორც იტყვიან, ჰქრის ფულს შოულობდა. თავისი ძმისწულივით პირქუში ქალი იყო ისიც, მაგრამ კეთილი გულს პატრონი გახლდათ. ბიჭი უთქმელად უსრულებდა ყოველგვარ თხოვნას და გრძნობდა, მამიდამის ძალიან უყვარდა, თუმცა კი არასოდეს გაუხეზებია, არც ზედმეტი სიმკაცრე გამოუჩენია, ოღონდ ეს იყო, როცა ძმისწულის ქცევა არ მოეწონებოდა, ხმას არ სცემდა ხოლმე, დროდარდო ოხრავდა და გულში იკლავდა ჯავრს. ბიჭზე ეს უფრო მოქმედებდა, ამ უსიტყვო ბოიკოტს ერთი გატყევა ერჩინა... გატყევისა რა მოგახსენოთ, ჯოხი კი, როგორც იტყვიან, ყოველთვის გამბუზიას თავზე ტყდებოდა. ორი დღე და ღამე გატრუნული იყო მკერავი, იმის მერე, რაც მათ პატარა სახლში გაჩინებული ინკასატორის გადარეულმა ცოლმა შემოფეთა კარი და ისეთი ქარბუქი დაატეხა თავზე ორივეს, ჰერზე ჩამოკონ-

წილებულმა ნათურამაც კი დაწვალდა იწყო. აქაოდა, მისი ვაჟი, ის პირდაუბანელი მუტრუკი, ზღვის სიღრმისკენ გაეტყუებინოს მკერავის ძმისწულს, საზამთროები მოეპარათ, გაშიშვლებულ ტანზე ტაოტი წაეცხოთ თითქოს, სახეზე ნიღბები აეფარებინათ, სარცხვენელზე — ლეღვის ფოთლები, ეშმაკებივით წამოხტომოდნენ ცხვირწინ საზამთროების პატრონს, როკავდნენ და კარკაცებდნენ თურმე, კინაღამ გული გაუხეთქესო საწყალ ბერიკაცს; შუადლით წყალში შესულებს, მზის ჩაწურვის ქამს ამოედწიოთ თითქოს ნაპირზე. მსუქანლოყებიანი ბიჭის დედაც უჩიოდა, ბავშვს მილახავს, მუსიკალურ სკოლაში სიარულზე უარი განმიცხადაო. ჯავრისგან პირგამეხებული მკერავი მუშაობას ვეღარ უდებდა გულს, მთელი დღე ტახტზე იწვა და ხმას არ იღებდა. მერე ვიღაც ჩალანდარამაც ამოაქრატუნა კიბის საფეხურები, მწოლარეს თავზე წამოადგა, დაყოჩრილი თითი კუთხეში მიუტეული ბიჭისკენ გაიშვირა და ჩიხლიჩინა: თქვენი პატივისცემა რომ არა, ქალბატონო, მე ვიცი, რისი ღირსიცაა ეს ბაჭყალიო. თურმე ჩალანდრის ცხენს ქალაში დააჭენებდა დაუკითხავად და ამისთვის პანდური უკრავთ. გამბუზიასაც საპასუხოდ, ბაწრის გამორღვეული ბოლოებისთვის, კისერზე რომ ჰქონოდა მობმული ცხენს, ცეცხლი წაუქიდებია. დროზე არ მიესწროთ გაჭენებული, გადარეული ცხენისთვის, ბოლი რომ ასდიოდა კისერზე და ვეღარაფრით მიმხვდარიყო, თუ რა უბედურება ტრიალებდა მის თავს, ღმერთმა უწყის, როგორი დასასრული ექნებოდა ამ ამბავს... სათნო ცხოველი, საყდრის ვირი, — ჩიოდა ქლალწვერიანი მღვდელი, — მახუთში ამოთხუპნაო. ქალაქის მთავარი ვეტექიმი სკოლის დირექტოთრან აბეზლებდა, ფარდულში დამწყვდეული მოხეტიალე ძაღლები გაგვიქციაო. თამბატოლებიც ხშირად მოისაკლისებდნენ ხოლმე, როდესაც ბურთის სათამაშოდ შეიყრებოდნენ ან სანაპიროსკენ გასწევდნენ სა-

ბანაოდ და გამბუზია კი აღარაად ჩანდა. რას მოიფიქრებდნენ, თუ ზოთბარკში გალიაში მოწრიად მგელს მიმტერებოდა ამ დროს, ანდა მედიდურად გაწოლოლი ლომის ბუხუნს ისმენდა, და თუმცა აფრთხობდა ეს ხმა, ნირს მაინც არ იცვლიდა... ცხოველები ადამიანებს აგონებდნენ რაღაცით, თუმცა კი შეგნებულად არასოდეს გაუკეთებია ამნაირი შედარება. სინძიანის აქლემს რომ დააკვირდა პირველად, სამოთხის ქვრივი დაუდგა თვალწინ, გრძელკისერა, აწოწილი ქალი, პატარა თავითა და ჭკვიანი თვალებით. „აქლემის რძისგან დიდებული კუმისი მზადდება, — ქადებდა ვიღაც ქურთუკიანი, უსამზრებო, სამსახურიდან გადამდგარი ოფიცერი, რომელსაც ფოლადივით მყლერადი ხმა ჰქონდა, ბოქსად შეკრეჭილი ჯაგარივით თმა, დაყვლებილი თვალები, ბუდეებიდან ამოსხლტომანზე რომ ოცნებობდნენ ალბათ, — ბარსუკის ქვიშაში უნდა ნახოთ, საპარაში, ლურჯ ბარქანებზე ზოზინით მომავალი“. პავიანების ოჯახში კი ნანატრი მყუდროება იყო დამყარებული, რადგან მამალი პავიანი გაბრაზებული ჩანდა ძალიან, დედას თავისი შვილები გალიის კუთხეში მიეყულებინა და გატრუნულიყვნენ. გამბუზია ზოთბარკის დარაჯს ელიჭინებოდა, რამდენიმე უბატრონო ძაღლისთვის გამოენახა აქ თავშესაფარი, რაზედაც ის კაცი სიცილით იჭაჭებოდა, თუმცა უარსაც არ ეუბნებოდა ხოლმე, არც რამე სანუგეშოს ჰპირდებოდა, უბრალოდ, დრო გაჰყავდა, ეტყობა, რადგან ძალიან ამხიარულბდა ბიჭის მოსაზრება მოხეტიალე ძაღლებისთვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

აო, ვისთან მისცემოდა სამოთხის ქვრივს საქმე. „გამბუზია! — ყვიროდა გამწარებული. — შენ მოუკვდი მამიდაშენს!“ საჩივრებით იკლებდა განათლების განყოფილებას, საქალაქო გაზეთის რედაქციას, მასწავლებლებს, მშობლებს, მაგრამ საშველი არსაიდან ჩანდა მაინც. „ხელებიც გაგხმობოდეთ, — მიპყიოდა სამოთხის ქვრივი

გაქცეულებს: — თქვე ჯიბეებში, ურჯულოებო, ურჯულოებო, — მისდევდა ჯიბით, მუქარით: — მილიციას გამოუუძახებ და ნახავთ, რაც მოგივია!“ მერე კი, როცა სიწყნარე და მყუდროება დაივანებდა მამსარდიანი სახლის ეზოში, უღმერთოდ განადგურებულ ყვავილებს დასტიროდა, დამტვრეულ ყლორტებს, და მოთქმასავით იმეორებდა: „ღმერთო, ეს რა უქნიათ... ოჰ, გამბუზია, შენ მოუკვდი მამიდაშენს!“ საღამოობით კვლავ რწყავდა, მერე აივანზე გამოდიოდა, ძველებურ საკარცულზე დაბრძანდებოდა ჩვეულებისამებრ და, ფიქრში წასული, ზღვას გაჰყურებდა, მზის ჩასვლას, ოქროსფერ დაფინებს... ნელ-ნელა აცოცხლებდა გონებაში მივიწყებულ სახეებს. „მაღე წვიმები დაიწყება, — ნაღვლიანად ფიქრობდა ზამთარზე, — ისევ ოთახში გამოვიკეტები...“

ეს იყო, შეიძლება ითქვას, დაუნდობელი, შეუბრალებელი ომი ერთფეროვან, წვიმიან საღამოებთან, როცა მსხვილი წვეთები უსასრულოდ ჰაკუნობდნენ ცისფრად შეღებილი თუნუქის სახურავზე, ფოთლებზე, ფანჯრის მინაზე. ზღვაც უსაშველოდ სევდიანი იყო ამ დროს, სამყაროს მარადისობაზე დაუწერელ ჰიმნს გუგუნებდა თითქოს და თავს იქენჯნიდა თითქოს და კანდიერებისთვის მძღავრი ტალღის ჯებირებზე ჯახებით. ყვავილების ეზო წყლით იყო გაზინზღლული და მარგარიტასაც გული ჰქონდა მოძმარული. თითქოსდა ძეძნვარში უბატრონოდ მიგდებული ჯართი გახლდათ და უანგი ჰამდა. მაგრამ მარგარიტას ჰყავდა ხაფიჩია, მგრძნობიარე, ჭკვიანი პინჩერი, რომელიც, თურმე, გამოუცნობი ინსტიტუტებით ხვდებოდა თავისი ქალბატონის განწყობილებას და, როცა მარტოკას სტოვებდნენ, საქმელს პირსაც არ აკარებდა. იქნებ იმისთვის სტოვებდნენ მარტო, შინმობრუნებულ სამოთხის ქვრივს თავიდან რომ ეგრძნო და განეცადა მისი სიყვარული და ერთგულება?... ეს განცდები ალბათ ჰაე-

რევით სჭირდებოდა მარტოხელა ქალს, რომელსაც ხაფიჩიას ვარდა, არავინ მოელოდა სახლში, არც არავინ უტალახიანებდა კარს, თუკი რაიმე აუცილებელი საქმე არ გაუჩნდებოდათ მასთან. „ღმერთო, — ფიქრობდა სამოთხის ქვრივი, — ამ ქალაქში მოწყენილობა ისე გავიჯდება ძვალ-რბილში, როგორც სახსრების ტკივილი მოსალოდნელი წვიმის წინ“. ხაფიჩია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩინებულად არჩევდა მტერ-მოყვარეს, განსაკუთრებით კი ონავარ ბიჭებს არ სწყალობდა, მაგრამ ისინი სულაც არ ეპუებოდნენ ხაფიჩიას, სიცილს ჰგვრიდათ ამ ერთი ცუცხნა არსების ყაფყაფი, აოტებულთ რომ ფეხებში ებლანდებოდა, მხესუმზირასოდენა კბილებით ჩხვერდა და ისინიც ფეხს გამოჰკრავდნენ, ბურთივით გააკოტრიალებდნენ გვერდზე. არც მარგარიტას ჯოხს უფრთხოდნენ ისინი. ოთახში ჩაკეტილი ქალი მწარედ მოთქვამდა, კვლავ ვიღაცას ემუქრებოდა, იწყევლებოდა და გამბუზიას ეშმაკბთან აგზავნიდა, მაგრამ ბავშვებს ეს არ ესმოდათ, თორემ სიცილისთვის კიდეც ერთი ახალი მიზეზი გაუჩნდებოდათ ალბათ. რაღა თქმა უნდა, რომ ხაფიჩიაც ძალიან ბრაზობდა ამ დროს, ფეხებზე ელამუნებოდა თავის ქალბატონს, ბლოჭნიდა, წკაფწკაფებდა, ყაფყაფით იკლებდა ოთახს. მერე კი, როგორც წესი, ღვიძლიც ასტიკვდებოდა მარტოხელა ქალს, ანდა თირკმელი შეუტევდა და იწყებოდა ახალი წამება. იწვა საბანქვეშ მოკუნტული, მწარე ფიქრებით გათანაგული, და ეჩვენებოდა, თითქოს ქვესენლისკენ მიექანებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ რომელიმე მეზობელი არ მოაკითხავდა რაიმე საქმეზე. დააბარებდა, ბაზარში თუ წახვიდე, ხაჭო მიყიდეო, თითქოსდა ხაჭო მოარჩენდა იმის ავადმყოფობას. ასეთ დროს ბავშვების ხმაურს მოთმინებიდან კი არ გამოჰყავდა სამოთხის ქვრივი, პირიქით, სიმშვიდეს ჰფენდა როგორღაც ეს ცოცხალი ხმები. ხაფიჩიაც გვერდით ეწვა, პატარა

ლაშაში თაყი თავისი ქალბატონის გრძელ, გალუულ თითებზე კი არა, გალოპრილ რტოებზე ესვენა თითქოს და თვალეში შესცივინებდა. მარგარიტას წამოდგომის თავიც არ ჰქონდა. არადა, ზეზე წამოდგარს თუ ასი ტკივილი აწამებდა, ლოგინად ჩაწოლილს — თასი. სიზმარში ბავშვები თითქოს ბარბაროსებად ქცეულიყვნენ, ძირიანად თხრიდნენ, აოხრებდნენ მიხაკებს, წითელ ვარდებს, შროშანებს, თიბავდნენ, როგორც იონჯას. ოფლში გაღვრილს გამოეღვიძებოდა, საწოლზე წამოკლებოდა გაოგნებული, გაიხედავდა ფანჯარაში: მიდამო სიბნელეში ჩაძირულიყო და მხოლოდღა წვიმის წვეთები პაკუნობდნენ სახურავზე, ფოთლებზე, ხოლო ოთახი კვლავ ნესტის, ნაფტალინისა და წამლების სუნით ყარდა. „წყალმა წაიღო ქვეყანა, — ჩურჩულებდა თავისთვის ავადმყოფი. — ამას აწი როდისღა დაადგება საშველი. თითქოს კასრში ვიყო გამომწყვდეული, კუბოში ვწევარ, ჩემო საყვარელო მეგობარო, რა გვეშველება?“ ასეთ წუთებში ხშირად საკუთარ თავსაც ჩაჰკვირვებია ხოლმე, უკვირდა, ასეთი ფიცხი და მოთმინების უნარს მოკლებული რომ გაეჩინა ბუნებას. გრძობდა, სხვები სხვანაირად უყურებდნენ ამ ამბავს. ცოდვა გატეხილი სჯობსო, დროდადრო შურით შეჰყურებდა სხვათა ცხოვრებას და ყველაფერს ღმერთს აბრალებდა — რომ ასეთი ბედი ერგო, რომ ადრეულად ჩასვენებულყო მისი სიყვარულის მზე, რომ ჭიქა წყლის მომწოდებელი არავინ ჰყავდა ამ სიბერეში და მხოლოდღა ხაფიჩიას ამარა დარჩენილიყო ამ ქვეყანაზე. ზოგჯერ რაღაც ემართებოდა, მზად ვახლდათ, ეელში სწვდომოდა რომელიმე მეზობელს, ღვარძლიანი სიტყვებით დასეტყვავდა, მიუბრუნებლად მიახლიდა პირში, ასეთი და ასეთი ხარო, როგორც იტყვიან, აქილევისს ქუსლში უმიზნებდა და მიზანსაც აღწევდა, მაგრამ იმ წუთებში სინდისის ქენჯანს სულაც არ განიცდიდა. პირიქით, გულს იფხანდა და გვა-

რიან შეგებასაც ეძლეოდა. ზომიერებით არ გამოირჩეოდა, შეიძლება ითქვას, ყველაფერი გადამეტებული იცოდა: ყველაზე ძვირფას, მისთვის განსაკუთრებულად გამორჩეულ ნივთსაც ადვილად შეელოდა ზოგჯერ და მერე კი სინანული შეიპყრობდა. ასეთი იყო სამოთხის ქვრივი. მასთან ურთიერთობის დროს სიფრთხილეს იჩენდნენ, რადგან, ახლა ერთს რომ იტყოდა, მეორე წუთს იმის საპირისპიროს ამბობდა, ცამდე ავიყვანდათ და უცებ წყალში ჩაგიყრიდათ მადლს. შემდეგ კი კუდის ქნევას იწყებდა და მანამ არ მოგეშვებოდათ, სანამ არ იგრძნობდა, რომ ყველაფერი აპატიეთ, რომ წყენა არ ჩაგიდევთ გულში.

ზოგჯერ ისეთნაირად გამოცოცხლებოდა, ისეთი მკვირცხლი და ენერგიული გახდებოდა, გაოცება შეგიპყრობდათ. ზაფხულობით, როცა ზღვისპირეთი მოაგარაკებებით გაიჭედებოდა, მარგარიტასაც გაიხსენებდნენ ოდინდელი ნაცნობები, სულაც რომ არ აწყენდათ მანსარდიან სახლში უფასოდ დასვენება და მასპინძლის გულუხვობით სარგებლობა. გუნდრუქს უკმევდნენ და ისიც მეშვიდე ცაში იყო სიხარულით. წმინდაწყლის სიმართლედ ღებულობდა, რასაც კი ესენი ებუჯტურებოდნენ. ყოველი მათგანი, როგორც წესი, თავისთან ეპატიებოდა ხოლმე, თუმცა ჩინებულად იცოდნენ, რომ ეს ქალი სახლიდან ნაბიჯის გადამდგმელი არ გახლდათ. „უეჭველად ჩვენთან უნდა ჩამოხვიდეთ საახალწლოდ — ემუდარებოდა ლომვეშაპასავით ჩასორსლებული თერაპევტი, — ჩამოდით, ოპერაში წაგიყვანთ...“ მასპინძელს ეს თხოვნა გულს უზრდიდა, სიამაყით ავსებდა. თერაპევტი ქალი ჰკვიანურ დარიგებებსაც იძლეოდა, იშვიათ წამლებს ჰპირდებოდა, უგზავნიდა კიდევაც მოგვიანებით, მაგრამ განსაკუთრებული პატივი მაშინ დაიმსახურა მარგარიტას თვალში, როდესაც ავადმყოფობით დაუძლურებულ ხაფიჩიან ოყნა გაუკეთა და ფეხზე წამოაყენა. უზომოდ მაღლიერი

მასპინძელი ონავარ ბიჭეზა უყვებოდა თავის სტუმრებს, თუ როგორ აწამებდნენ, სისხლს უშრობდნენ და, ერთი სიტყვით, იობის დღეში ჰყავდათ. „არა, გენაცვით, — თუხთუხებდა ჩასორსლებული თერაპევტი, — სად ჩვენი ბავშვობა და სად კიდევ ამათი. ახალგაზრდობას შეხედეთ, შეუძლიათ მთელი დღე ტახტზე წამოგორდნენ და მუსიკას უსმინონ. დაშვებული საბურავებივით არიან“.

შემოდგომის წვიმების დაწყებასთან ერთად, მარგარიტას ყოფაც შესამჩნევად უარესდებოდა. მისი მახსოვრობა ემსგავსებოდა წყალმარჩხივით მბრუნავ ღრუბელს, სადაც დროდადრო ნაცნობი სხივიც გაიქიატებდა ხოლმე. იგი მოგონებებით სულდგმულობდა, ცხოვრობდა ამ მოგონებათა ქაოსურ წარმოდგენებში, ესმოდა სიტყვები, ხედავდა სახეებს, მოძრაობებს: „მოდის, სამოთხის ქვრივი მოდის! — ჩაესმოდა გამბუზიას ყვირილი, — ჰოპლა, სამოთხის ქვრივი, ჰოპლა!“ აბა, რა იცოდა მაშინ მარგარიტამ, რომ მისი ცხოვრება ამ გამომწვევი, ამ ცოცხალი ხმების გარეშე წარმოუდგენელიც კი იქნებოდა. არც შეეძლო ეს სცოდნოდა. „სახლს, სადაც მწუხარებამ დისადგურა, სტოვებდნენ თურმე ძველად და ახალ სახლს აშენებდნენ ახალ ადგილას, — იხსენებდა სადღაც გაგონილს სამოთხის ქვრივი, — ძნელად დასაჯერებელია“.

ის თითქოს მრუმე კედლებს მიჰყვებოდა ხელის ცეცებით, სადღაც ქვესკნელის ოღროზორობებზე, სადაც ქროდნენ ცივი ქარები და ქარს მოჰქონდა ჩალისღერები, ყვითელი ფოთლების სინოტივე, სახეში ულაწუნებდა დამტვრეულ ყლორტებს, დამბალ ყვავილებს, და წიოდა ქარი მის არსებაში ცივი ყვილით და მოჰქონდა უსიცოცხლო ტრამალების თეთრი სევდა, და ხედავდა პიტალო კლდეებს, თოვლში ჩაფლულ სიმალღეებს, სხვადასხვა ზომის კოშ-

ვლადიშვილ ჯოღოჯაშვილი
სამოთხის ძმარი

კება თივის ზვინებს რომ აგონებდნენ. წამოვიდოდა თოვლის შხეფი ნისლივით, გაიღვებდა გასარკულ ეთერში, სადაც ათასი წლობით იდგნენ უღრტვინველი მწვერვალები და თოვლის შხეფიც მტაცებლის ბრქვალივით გაკაწრავდა იისფერ ეთერს...

ხელის ფათურით, თვალის ცეცებით მიიკვლევდა გზას სიმწვანისაყენ, და ეს მაშინ, როცა ქვეყანა მზიანობდა, როცა გაზაფხული სადედოფლო კაბით იმოსებოდა და მზეც მანსარდიანი სახლის კედლების გარღვევას ცდილობდა, ილიერი სხივებით ახერხებდა კიდევაც ოთახში შემოდღევას, რათა კოშმარული სიზმრის კლანჭებიდან გამოეხსნა უცნაური ჩვენებებით გაწამებული ავადმყოფი ქალი.

კვლელზე მხატვრის მიერ შესრულებული პორტრეტი ეკიდა. შუახანს გადაცილებული მამაკაცი ნალვლიანი თვალებით შემოპყურებდა, თითქოსდა განშორების წუთებს განიცდისო. „ისევე მიღიხარ? — უთხრა ქალმა ვიღაცას, მაგრამ ოთახში, ხაფიჩიას გარდა, არავინ იყო. ხოლო ხაფიჩია აღარსად აპირებდა წასვლას. მარგარიტამ პორტრეტს ახედა: — ყოველდღე მშორდები, მაგრამ მაინც აქ ხარ, საოცარია... — თავი ჩახარა ამ სიტყვების შემდეგ და ორ დამქანარ, ვაზის ყლორტივით დარბილებულ ზელის მტევანს დაამტერდა, დამარცხებული ჯარის დროშის ტარებევით რომ ესვენა გამოხუნებული კაბის ნაოქებზე, დასძინა: — დავიღალე, ფარნა, დავბერდი, ბოლოს და ბოლოს, თითქმის ვხედავ, როგორ ვებრდები... მინდა ისე დაგივიწყო, არასოდეს გამახსენდე კვლავ, რათა საბოლოოდ მოვისვენო. და თუკი ვეღარ გივიწყებ მაინც, მით უარესი ჩემთვის, მით უარესი“.

„არის თქვენში რაღაც გამომწვევი, — ჩამოესმა ნაცნობი სიტყვები ქალს, ძალიან დიდი ხნის წინათ ნათქვამი სიტ-

ყვები. — მაგრამ მთლად ბავშვურად იყო, ანდა ძალიან ახალგაზრდა, საკუთარ წარმატებაში დარწმუნებული ან სულელი, ამ თქვენს ანკესსა რომ წამოეგო. თქვენ ერთნაირად მუსრავთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ახალგაზრდას, ასევე წლოვანსაც, ოღონდ მოხერხებულად მოქმედებთ, ნელ-ნელა შეგყავთ ნავი ზღვაში, უხმაუროდ შეიტყუებთ სამსხვერპლოს სიღრმეში და მაშინ კი ნამდვილ ქარიზხალს დაატეხთ თავზე, მაგრამ თავს ისე მოაჩვენებთ, თითქოს ეს თქვენგან არ მოდიოდეს. ეს, ალბათ, ნიშნისგებაა, სამაგიეროს თუ უხდით ადამიანებს თავ-თავიანთი ცოდვების გამო, ოღონდ არ ვიცი, რა დაუშავებიათ ასეთი. არის რაღაც მტაცებლური, პირველყოფილ ადამიანთათვის დამახასიათებელი თქვენში; დასანანია, თუ გაწვილების გამო მოვიდა ეს უშედეგო ძიებისა და გულგატეხლობისგან.

... — ამ ბოლო დროს შუქს ჩართულს ვტოვებ, ფარნა, — გონებაში გაფიქრებულს ხან ხმამალა წარმოთქვამდა, ხანაც ლოცვასავით ჩურჩულებდა, — ვიტანჯები, მანამ რული მომერეოდეს. ფიქრი მზის სხივივით სწრაფი ყოფილა, თურმე. შემოძლია რაღაც წამებში გავაცოცხლო წარსული. მწამს სისხლის უნარისა. სისხლია ყველაფერი: ჩვენი ხასიათი, ჩვენი ბუნება, სულსაც სისხლი კვებავს, თოკავს, აბოროტებს... თითქოსდა თვალახვეულს დამატარებდი სახიფათო ბილიკებზე, ამიტომაც გავიხადე ალბათ თავისუფლება კერპად. მაგრამ ადამიანი არასოდეს ყოფილა შინაგანად თავისუფალი. ყველაფერი განგების ძალით ზდებაო, ბევრჯერ გამიგონია. საკუთარ თავს არ ვეკუთვნივით და იმიტომ. უფრო სწორად კი, ყველაფერს ვეკუთვნივით, ყველაფრის განუყოფელი ნაწილი ვყოფილვართ თურმე... ამიტომაცაა ალბათ, ყველაფერს თავს რომ ვადარებთ. გაფოთლილი მცენარე სიყვარულს მაგონებდა, სინათლისკენ რომ ისწრაფვის და მშვენი-



ერია, ხმობაშემდგარი ხე კი შემზარავია თავის მარტოობაში. ო, ღმერთო, როგორ მინდა, გვერდით მყავდეს ვინმე, ჩემს ოხვრას ერთხელ მაინც რომ გაიგონებდა. ვწევარ და ვფიქრობ ზოგჯერ: რატომ უნდა ცხოვრობდეს ქვეყნად ჩემისთანა ბებრუხუნა, როცა სიკვდილი ახალგაზრდებსაც არ ინდობს? ასე კი ვფიქრობ, მაგრამ სინამდვილეში ღმერთს ვევედრები, ორიოდ დღე კიდევ გამაჯახირობინოს ამ ცოდვილ მიწაზე, სასაცილოა? მამაკაცი უფრო საცოდავია ამ მხრივ: სათუთი სული აქვს, მეტი თანაგრძობის უნარი, მოქნილობა აკლია და, თუ გაუჭირდა, რაღაცას უნდა შეაკლას თავი. მამაკაცის სიყვარული, ფარნა, გათენებას მაგონებს ხოლმე, გათენება კიდევ — ბოშების შემოსვლას სოფელში. ეჰ, ისეთი საწმისი სად არის, ქვიშიდან ოქრო გამოარჩიოს. იქნებ იმისთვისაც ვიმოკლებთ ეამოსამყოფელს, სულზე ვიმეუფვით თუნდაც წუთის მეათედებში და ოდნავ მაინც შევიცნოთ სიკვდილის ქემშარიტი რაობა?.. გველის სიბრძნისა გვშურს, თვით კი გვზარავს. ცხოვრებაში იმდენჯერ გავწბილდი, რამდენი თეთრიც გამიჩინა წლებმა თმაში და, რა დასამალია, გული გამიტყდა ადამიანებზე და ახლა ვვავარ დამსხვრეულ ნავს, რომლის შეკეთებას აზრი აღარა აქვს უკვე...

მარგარიტამ პორტრეტს შეავლო თვალი და ის დღე გაახსენდა, როდესაც სათამაშოებით დახუნძლულ პეპელას, როგორც მამამისი ეძახდა მეტსახელად თავის ერთადერთ ქალიშვილს, „ბავშვთა სამყაროსთან“ ფილქანზე მიაპორწილებდა ფარნა. მაშინ თითქმის შეუყვარდა ეს მერცხაოვით გოგო და ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ამ ჰაეროვანი, თითქოსდა მთვარის სხივებისგან მოქსოვილ დედოფალს ოდესმე შეიძლებოდა. დიახ, მარგალიტა ექვიანობდა მამა-შვილის სიყვარულზე, მაგრამ ხმამაღლა როდი გამოხატავდა თავის გულისტკივილს. მათი შეუღლებლობა ისე მოულოდნელი

იყო, თითქოსდა თვალს უხვევენდნენ ნობ-მეგობრებს. სამიოდე კვირა ხვდებოდნენ ერთმანეთს და, ერთ მშვენიერ საღამოს კი, შინ რომ მოაცილა, უბრალოდ უთხრა კაცმა, მიყვარხარ, უშენოდ ცხოვრება ველარც კი წარმომიდგენიაო. ჰოდა, მეორე დღეს მანსარდიან სახლში გადმოვიდა საცხოვრებლად მამა-შვილი, ბავშვიც ექვიანობდა მარგარიტაზე, გვერდიდან არ იცილებდა მამამისს, გვიანობამდე არ იძინებდა, გვიან ღამით კი, როდესაც გამოეღვიძებოდა, ასლუკუნდებოდა, მამას ეძახდა, ჩემთან დაწევიო, თხოვდა. უფრო სწორად, მოითხოვდა. ფარნაც მორჩილად უსმენდა თავის ქალიშვილს, გვერდით მიუწვებოდა მაშინვე და გათენებამდე მასთან ეძინა. მარგარიტა გულში ბრაზობდა, მაგრამ არაფერს იმჩნევდა გარეგნულად. იყო წუთები, როცა სინანული შეიპყრობდა ხოლმე მის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გამო. წარმოიდგენდა, რომ მამა-შვილის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო მთელი სიცოცხლე; ეს ძნელად წარმოსადგენი იყო... „მამა მინ-დაა!“ — პეპელა რომ დაიწვივინებდა, მარგარიტას გუნება ეყამებოდა, რამეთუ ორი ადამიანის, მამა-შვილის ურღვევი კავშირის მიმანიშნებელი იყო ის ხმა, კილო და სახის გამომეტყველება, რომელიც არც მადლიერებას გამოხატავდა, აღარც პატივისცემას. ველარ შეეთვისებოდა მათ, ველარ გაუგებდა ბოლომდე, ალღოს ველარ აუღებდა იმათ ურთიერთდამოკიდებულებას და, საერთოდ, კაცმა რომ თქვას, იყო თუ არა მართებული მის მიერ გადადგმული ნაბიჯი?.. „მამა-მამა-კოო!“ — ბრძანებასავით მოისმოდა პეპელას საძილე ოთახიდან და მარგარიტას ნერვები ეწეწებოდა, ვერაფერი გადაეწყვიტა მაინც, ველარ შელეოდა ფარნას. ყოველ დღით, როგორც კი იმის ფანჯრის მინას მზე დააცხუნებდა, კედელზე ათიშთიმებულო, სარკიდან არეკლილი სხივი თვალს მოსჭრიდა და ტკბილი ბურანიდან გამოიყვანდა, ლოგინში მწოლარეს ეჩ-



ვენებოდა, თითქოსდა სხივი კი არა, პეპელა დაწრიალებდა ოთახში, მამიკოს უხმობდა, „მაა-მი-კოს!“ და ეს მოძალადე სხივიც სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს მანსარდიანი სახლის ჰერქვეშ, ფართოვდებოდა, მკვიდრდებოდა და დილიდანვე ხასიათს უფუჭებდა მარგარიტას. თითქოსდა ბურუსში იყო გახვეული, საღაღაც ცხადსა და არა ცხადს შორის ტორტმანებდა ტალღებში, ნებაზე მიშვებულ ნავივით, თითქოს ვილაცი კარნახით აკეთებდა ყველაფერს, მგზავრს დაემსგავსა, რომელსაც უცხო ქალაქში მოუწევს ჩამოხდომა, ცხოვრების თავიდან აწყობა... გათხოვება სულ სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი, თუმცა იყო ყვავილები, შამპანური, მხიარულება და მოლოცვებიც, როდესაც განათლების განყოფილებიდან მოაკითხეს თანამშრომლებმა. „ხელი თუ მოაწერეთ?“ — იმწუთში ეს იკითხა ერთ-ერთმა იმათგანმა, ოფელიამ. „რა თქმა უნდა“, — იცრუა მარგარიტამ. რატომ იცრუა?.. ხელის მოწერაზე ლაპარაკიც არ ჰქონიათ: მარგარიტასთვის სულ ერთი იყო როგორღაც, ფარნა კი თავის აზრს არ ამჟღავნებდა. ოფელიას კიდევ ეპვი არ ასვენებდა, ტყუილუბრალოდ როდი ეძახდნენ კუდიანს. ქალაქში დარჩეული ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო წერილმანიც თითზე ეხვია. არა სჯეროდა რატომღაც მარგარიტას პასუხისა, დრო გამოუნახა და კიდევ ერთხელ ჩაეკითხა, მართლა თუ მოაწერეთო ხელი?.. მარგარიტას არაფერი უთქვამს ამჯერად, მხოლოდ თვალებში ჩააცქერდა დიდსულოვანი ღიმილით და ოფელიაც იმწუთშივე გაიტრუნა. ჩინებულად უწყობდა ქვეშეცნეული მნიშვნელობა ამ ღიმილისა... ასეთივე ღიმილით მიახალა ერთხელ მარგარიტამ, ის რა დედაა, საკუთარ შვილს ისე გაზრდის, ერთხელაც კი არ უმღერებს ქართულ ნანასო. ოფელია კიდევ თავს ისაწყობებდა, ამასვე ვნანობო, დაიკო... „არა, შენ არაფერსაც არ ნანობ, — გაცეც-

ხლდა მაშინ მარგარიტა. თავი მოგაქეთ იმით, რომ მშობლურისა არაფერი გაგეგება, გრძნობ, რომ ვილაც-ვილაცებს ძალიანაც სიამოვნებით ეს ამბავი და ამბზე თამაშობ სწორედ. ადვილი გზა ავირჩევია იმ გველაძეთათა შორის პატივის მოსახვეჭად“. ხელი მოაწერეთ, თორემ ინანებო, — ამის თქმა კი მოასწრო ოფელიამ და მერე მთელი ღამე სუფრასთან ზესიძეს ეკეკლუებოდა, გიტარაზე უკრავდა, მღეროდა და სულ მთლად გადარევას იყო. პატარძალსაც სულელივით ეცინებოდა, ეცოდებოდა ეს მხიარული ოფელია. მარგარიტა მაინც ამოცანად რჩებოდა, რომლის ამოხსნას ამოდ ცდილობდა ფარნა. ბევრჯერ ჩაფიქრებულა იმაზეც, თუ რატომ იზიდავდა ასე-ლიდან ზშირად აუკრეფია გულანაბადი და ისევ აქ ჩამობრუნებულია მერე. მაგრამ მარგარიტას „მიზიდულობის თვისებას“ ძალა ელეოდა თანდათან და შეყვარებული კაცის გულიც, ვილაც ოყლაყის დაკოყრილ თითებს რომ ჰქონდა ჩაბლუჯული, რათა ყურძნის მტევანივით დაეწვნება, დროდადრო თავისუფლდებოდა, ისევ ზომიერად სცემდა. ერთხელაც ისევ ძალუმად იწყო ცემა ამ გულმა, ახალწლის ღამეს, როცა მანსარდიან სახლში ინსპექტორი მოვიდა. მარგარიტას კი თითქოსდა ფრთები გამოსხმოდა, სულ სხვა არსებად გარდასახულიყო... წინადლით, როცა ყურმილში ინსპექტორის ხმა გაიგონა, მღელვარებამ აიტანა, რაშეთუ ის გაბედნიერებას ულოცავდა. საახალწლო სუფრაზე მოიპატიოა და, კაცმა რომ თქვას, დაუფიქრებლად მოიქცა, არც კი გაუპაზრებია, თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამ ამბავს. ის სიყვარული რა ხნის წინათ ჩამქრალიყო და, ფარნასთან არსებულ დამოუკიდებულებაში არაფრის შეცვლა არ შეეძლო ინსპექტორის გამოჩენას. ფარნამ კი თითქმის ყველაფერი იცოდა ამ უკანასკნელზე, მარგარიტას უიმედო

სიყვარულზე, მაგრამ დამცირებულად არ გრძობდა თავს, რადგან ეს მის პიროვნებას ჩრდილს არ აყენებდა და, ცოდვა გატეხილი სჯობსო, არც თვითონ იყო იმ დროს მარგარიტაზე გადაგებული. იქნებ ქალი რაიმე მ ხარ და აქერას საჭიროებდა ინსპექტორისგან?.. იქნებ მისი გამოჩენით წონასწორობა უნდა დაერღვია ფარნასთვის?..

სუფრა გაშლილი იყო, ის კი არ ჩანდა, როცა ფარნაც მიხვდა, სტუმარი ამ გაცვეთილი ხერხით აპირებდა მთელი ყურადღების მასზე გადატანას, და რომ მარგარიტაც საოცრად განიცდიდა ამ დაგვიანებას, უცებ შესჯავრდა ეს სახლი, მისი პატრონიცა და აქ თავმოყრილი ასაბიაც, გულში კი გაიფიქრა: „ძველებურად უყვარს, ელოდება, განიცდის...“ ისინი თითქმის ტოლები იყვნენ, ფარნა კი მთელი თხუთმეტი წლით იყო მათზე უფროსი. ამიტომაც ღრღნიდა ექვის ჭია, ვერაფრით დაეჭვრებინა, მარგარიტას თუ მისი შეყვარება შეეძლო; ხოლო ეს ინსპექტორი ვილა იყო, რა წარმოების მუშაკი, არასოდეს ჩასძიებია, აღარც ქალს უხსენებია იგი სახელითა და გვარით.

მარგარიტას განწყობილება სხვებსაც ვადაედო. მაგრამ როგორ გაუბრწყინდა თვალები, როცა კარი გაიღო და პასტუმრო დარბაზში ინსპექტორი შემოვიდა. ფარნას ეს არ გამოჰპარვია. მასპინძლები სუფრის თავში მოთავსდნენ და მარგარიტაც ხშირ-ხშირად ჩასჩურჩულებდა ყურში ფარნას, მხოლოდ შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ მიყვარხარო. მაგრამ კაცს უკვე აღარ სჭეროდა მისი, ყრუ, მოკლული ხმით უთხრა: „რატომ გააკეთე ეს, მარგარიტა...“ ქალს კი ისეთი გამომეტყველება ჰქონდა მიღებული, თითქოსდა თოვლი პირველად ეხილოს ცხოვრებაში. „წაალო მე, — თქვა კაცმა, — აქ არაფერი მესაქმება“. ქალმა დაინახა, როგორ აუციმციმდა ცბიერება თვალებში, თითქოს დემონად გარდასახულიყოს, და თითქმის სძულდა იმ წუთებში. ხელები დაუჭირა მაგიდის ქვეშ, ახლა თუ წახვედი, სა-

მუდამოდ დამივიწყეო, ჩასჩურჩულ ყურში და ფარნაც აღარაად წასულა, მაგრამ ქალის სიტყვებს კი არ დაუოკებია, უბრალოდ, წარმოიდგინა, მისი გაუჩინარების შემდეგ, ინსპექტორი, კუთხეში მიგდებულ საძვის ხესავით რომ ბრჭყვიანობდა ახლა, როგორ აიშვებდა და გაილაღებდა, გულჩაწყვეტილი, სტუმრების წინაშე უმართებულოდ დამცირებული მარგარიტაც იმის ხმას აპყვებოდა, საახალწლო ამფისონიც, ფარნას წასვლით სრულ თავისუფლებას დაუფლებული, ცეცხლში ნავთს ჩაასხამდა და, დემრთმა უწყის, რა სახეს მიიღებდა ბოლოს ეს ვაკხანალია... „ამას ელოდებოდა თურმე, — ფიქრობდა თავისთვის ფარნა. — ამისთვის დავრბოდი, გამოდის, მთელი ორი კვირა საყიდლებზე, რათა საახალწლო სუფრას ჩიტის რძეც არ დაჰკლებოდა. რა კარგია?..“ დაღლილი იყო, მოთენთილი, ორი დღე-ღამის უძინარი, არაყიც უცებ მოეკიდა ამიტომ; პეპელა დედასთან ჩაეყვანა წინასწარ, დედასთან დაეტოვებინა. სუფრას მეტწილად მარგარიტას მეგობრები უსხდნენ, გაუთხოვარი, როგორც იტყვიან, თვალებზე ლიბრვადაკრული ქალები, ერთი-ორი შინაბერაც ეკრია.

... როცა სტუმრები წამოიშალნენ, ფარნამაც საძილე ოთახს მიაშურა და დარბაზი დაცარიელდა, საშინელი მართობა იგრძნო მარგარიტამ, ფარნას ჭიქიდან არაყი მოსვა და ქვითინი აუვარდა. მერე ტახტზე პირქვე დაემხო და დილით თვალებდაწითლებული რომ წამოდგა, მაშინდა მიხვდა, თუ რაოდენი წინდაუხედაობა გამოეჩინა ინსპექტორის მოპატივებით. ის თავის გზაზე მიპანტურებდა, თავისი საქმეებით იყო დაკავებული, ხელსაყრელ დაოჯახებაზე ეჭირა თვალი ალბათ და, საერთოდ, რა შუაში იყო ახალწლის დამეს მანსარდიან სახლში ინსპექტორი?

ასე თუ ისე, დრომ მაინც უწამლა ორივეს, გადითურმიანეს გულზე დარდი და ისევე უწინდებურად შეეწყვნენ ერთმანეთს, მაგრამ ერთ მშვენიერ

დღეს, როცა მთელს სახლში უწესრიგოდ მიმოყრილ სათამაშოებს, რაღაც ჭინჭებს, წინდებს, ფეხსაცმელებს, კაბებს და კიდევ ათას წვრილმანს წააწყდა, მარგარიტა უცებ მიხვდა ქალური ალლოთი, რომ იმის თავისუფლებას ხელბორკილი ედებოდა ამიერ. ვახშობად რომ დასხდნენ, პეპელამ თქვა: „მამიკოსთან მინდა!“ სკამი არ არისო და, ხელებს შლიდა ცირკის ჯამბაზივით. მუხლებზე დაუკოსდა მამიკოს, მერე კი ისე მოახერხა, გვერდით მოუჯდა მამამისს და გახალისდა. ვახშობის შემდეგ კი სახატავი რვეული და ფლამასტერი მოითხოვა, ჯერ რაღაც საგნებს ხატავდა, შემდეგ, ფარნას ეუბნება, არ გაინძრე, უნდა დაგხატო. ძალიან ლამაზი მამიკო გამოუვიდა და ბოლოს იმანაც თხოვა, დეიდა მარგარიტა დახატეო. „სასაცილო? — გაიჟყანა მაიმუნივით, — ჰა?..“ ჰო, სასაცილო დამხატე, — უპასუხა ფარნას ნაცვლად ქალმა, — სასაცილო ვარ, ვანა არა?“ ბაყაყს დაამსგავსა, სიცილიც წასკდა, მაგრამ, როცა მარგარიტასაც წასკდა სიცილი, იქვე გაიტრუნა... „კი, მარა, შენ რაზე გეცინება?.. — მიუბრუნდა ცოლის ფარნა — ეგ შურს იძიებს, შენ?.. — ბავშვს ვადახედა, ეუბნება: — უწესოდ იქცევი, პეპელ, ნუთუ ვერა ხედები?“

— ჩჩუ, — გააწყვეტინა მარგარიტამ და პირზე აიფარა ზელისგული ჩვეულებისამებრ, — ერთ ქალს უთქვამს, ფარნა თვალებს მილაცივებდაო... ჰოდა, ძალიანაც არა უშავსო, უბრძანებია.

— რას ჰქვია, ძალიანაც არა უშავსო?..

— მოაწონხარ, რა არის ამაში ურიგო? თუკი სხვებს მოსწონხარ, მეც ეს მესიამოვნება. შენ ხომ გესიამოვნება, მე თუ სხვებს მოვეწონები?

კაცმა მხრები აიჩეჩა, ის კიდევ იცინის, მოდი გაუგე, რა აქვს გუნებაში.

— ისინი... — თქვა ქალმა და დააყოვნა, — ერთი გარკვეული მიზნით მიწონებენ. შენც ხომ ასევე ფიქრობდი თავიდან?

— ჰმ, — შეიშმუნა კაცმა. — არა ერთხელ გითქვამს, აღამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობის დროს უსიტყვო ლაპარაკიც უნდა შეეშლოთო?.. რატომ გინდა, ასჯერ მათქმევინო ერთი და იგივე?

— მე ის ქალი ვარ, ძვირფასო, — უპასუხა მაშინ მარგარიტამ, — ვისაც დღეში ათჯერ მაინც უნდა ეჩიჩინო ერთი და იგივე, რათა კარგად დაარწმუნონათქვამში.

— ახლა, — თქვა მაშინ ფარნამ, — იმ პირველი მოსაზრების საპირისპიროს ამბობ, ვერაფერი გამიგია...

— რა გაეწყობა, ძვირფასო, — ხმაში გაღიზიანება დაეტყო მანსარდიანი სახლის პატრონს, — მე ხომ წინააღმდეგობებით სავსე ქალი ვარ.

— მაშინ, იცი, რა გითხრა?..

მარგარიტამ ტუჩ-პირზე ააფარა ხელისგული, ეუბნება წყნარად:

— ასეთი ვარ და რა ვქნა? მინდა, ხალხს ვჭირდებოდე. ძალიან მინდა, ასე რომ იყოს.

— მე შენ ძალიან, ძალიან მჭირდები, ბაიკო.

ქალმა ნაზად აკოცა პასუხად, პეპელა კი მოიბუზა, თითქოს ნატუქში ჩაძვრა.

— უნდა წავიდე, — თქვა კაცმა, — წასასვლელი ვარ, საყვარელო.

— მე არ გიჭერ, — უპასუხა მაშინ მარგარიტამ, — მე არასოდეს შევეცდები, გაგაჩერო, როცა წასვლას მოისურვებ. ასე ხომ უარესია, თუ წასვლა გინდა და იმიტომ არ მიღიხარ, რომ მე არ მსურს წახვიდე?

— რაღაც სხვანაირ ხასიათზე ხარ დღეს, იქნებ ხელს გიშლი?

— არა, — თქვა ქალმა ჩაფიქრებით, — არასოდეს შეგიშლია ჩემთვის ხელი. შენთან ყოველთვის კარგად ვგრძნობდი თავს, ოღონდ ამ ბოლო დროს როგორღაც სულ ერთი გახდა ჩემთვის ყველაფერი. მგონი ცხოვრების აზრს ვკარგავ...

— არა მგონია, — უპასუხა კაცმა, — მე მიყვარხარ, მართლა მიყვარ-

ხარ, და თუ შენც გიყვარვარ ოდნავ მაინც, ეს უკვე აზრია თავისთავად. სიყვარული უაზრო არასოდეს ყოფილა.

— თუკი ერთად ვიქნებით, — თქვა მაშინ ქალმა, — რაც უნდა მოხდეს ჩვენს შორის, მე მხოლოდ იმ აზრით არ მიგატოვებ, რომ შენ შენი საქმე ბოლომდე მიიყვანო, ესაა და ეს.

— ეს განა ცოტაა?.. — თვალები სიხარულით აევსო კაცს, — იმ საქმის ბოლომდე მისაყვანად, რომელსაც გულისხმობ, ჰაერივით მჭირდება შენი თანდგომა, მაგრამ, თუკი არ გიყვარვარ, გამოდის, მსხვერპლი უნდა გაიღო, ამაზე კი არ წავალ, იცოდე. ის ომი ორივემ უნდა მოვიგოთ. რა გავწყობა, ხელოვნებაში მუდამ დიდი ომები იმართებოდა, მე კიდევ ყველა სხვა სამსახურს ხელოვნების სამსახურში ყოფნა მირჩევნია. სიყვარული სჭირდება ამასაც, სიყვარულიცა და სინდისიც. სინდისიც სიკეთეა, რადგან უსინდისო არ შეიძლება იყოს კეთილი, ხოლო სიყვარული კი გამუდმებული ომია, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში დრო ამარცხებს ბოლოს.

ლამე შემობრძანდა იისფერი მოსახამით, რომელზედაც ოქროსფრად ბრჭყვიალებდა ვარსკვლავთა ასაბია.

ყვავები ნაბღის ნაფლეთებივით დაფრინავდნენ ქარში, ნახევარმთვარეზე გამოსახული კვიციის სილუეტი კი კისრისტებით გარბოდა დასავლისკენ და მოშორებით ჩამომდგარი მწირი, თითქოსდა ცამდე ამაღლებული თავის მარტობაში, ნაღვლიანი თვლებით დაჰყურებდა მთვარის სხივებში შებურვილ ქვეყანას; და მერე, როცა მთვარე გაუჩინარდა, მოვიდა მრუმე უსასოობა, უძილობით, უიმედობით გატეხილი ღამის სიჩუმე და მარგარიტამ ამოიოხრა. „მართალია, მე ის მიყვარდა, ფარნა, — ჩურჩულდება თავისთვის, ჩუქურთმებიან საკარცხულს ჩაკოსებული, — ხანდახან ვფიქრობდი ხოლმე

იმ უიმედო სიყვარულზე, ვისხენებდი დროდადრო. ო, ღმერთო, რა იყო ეს... ნეტავი, შენოდენა ღირსება ან კეთილშობილება იმასაც ჰქონოდა. მაგრამ სიყვარული მჭირდა, ძვირფასო, როგორც უკურნებელი სენი, მისი ნახვის, მასთან ყოფნის გამუდმებული მოთხოვნილება მასავათებდა, ვებრძოდი თუმცა ამ გრძნობას, მაინც გამოთოკა და დამიმორჩილა. მე ბედნიერი უბედური ვიყავი, ფარნა. ჰო, იქნებ გაგეცინოს ამ სიტყვებზე, მაგრამ სინამდვილეს გეუბნები: ბედნიერი იმიტომაც ვიყავი, რომ ერთ დროს მეც ვიგემე სიყვარულის ტკბილ-მწარე, რომ შენთანაც რამდენიმე ნათელი დღე გაგატარე. ახლა კი მჭერა, სიყვარული ერთხელ არ მოდის თურმე ქვეყანაზე, სიყვარული მეორდება, როგორც ვხედავ, და შესაძლებელია, გაორკეცებული ძალითაც განმეორდეს; ოღონდ მიხვედრა უნდა ამას... მე გვიან მივხვდი, რომ მიყვარდი. როცა ძვირფას ადამიანს კარგავ, ეს ძნელად გადასატანია, მაგრამ ზოგჯერ, უბრალოდ, გეჩვენება, თითქოსდა კარგავ, და ბედნიერი ხარ, ოდეს დაწმუნდები, რომ სინამდვილეში ყველაფერი ეს მოგჩვენებია. ასე მემართება დროდადრო ახლაც, უფრო სწორად, პირიქით მემართება: საღლაც, აქვე შეგულები, გვერდით. მაგრამ, როცა გამოვფხიზლდები, მწარე სინანული მიპყრობს... ო, ღმერთო, როდისღა ისწავლიან ადამიანები ერთმანეთის უსიტყვოდ გაგებას-მეთქი, ენატრობდი, გახსოვს? მაგრამ ადამიანი ლამაზია თავის მრისხანებაში, როცა სიყალბის ჭავშანს იშორებს. ვიფიქრე, ყვავილებს მიუფიქვნი, ასე მოვიხდი ვალს მათ წინაშე-მეთქი. აქაც გავწილდი, ხედავ? თურმე ვალი საკუთარი თავის წინაშე უნდა მოიხადოს ქალმა, პირველყოვლისა: ოჯახი შექმნას, ბავშვები გააჩინოს. განა იმას ვჩივი, რომ ოხრად მრჩება ყველაფერი, აღარც ის მითანაღრებს გულს, მემკვიდრეს რომ არ ვტოვებ ამ ქვეყანაზე — დედობას ვერ ვეზიარე მე, ქალისთვის კი ეს ყოფილა ყველა



ჯილდოზე მაღალი ჯილდო. ახლა ვნანობ, რომ შენს გულისთქმას არ აყევი მაშინ... გულისთქმას-მეთქი ვამბობ, რადგან შენ მაშინ უსიტყვოდ უფრო გამოხატავდი საკუთარ მოსაზრებას ბავშვის გაჩენის თაობაზე, თორემ, მეტი წინააღმდეგობა გაგეწია, იქნება სხვანაირად შეტრიალებულიყო ეს ამბავი, ახლა რა, გვიანაა თითზე კბენანი, დრომ თითქოს გვერდზე გადაიწია, როგორც უვარგისი ნივთი, ჩაიარა, თითქოსდა ჩაილურის წყალი დაელოოს... ადამიანმა, მანამ წელზე ქამარს არ დაიმოკლებს, პურის ფასი არ იცის თურმე. ვზივარ ახლა მანსარდიან სახლში მართო, ზამთრის ბუზივით უსუსური და ამ ფიქრებისგან ისე ვარ დაბნეული, როგორც დოღში ცხენიდან ჩამოვარდნილი ქოკეი“.

ფარნას თითქოს გვირავი გაჰყავდა, მისხალ-მისხალ იმოკლებდა გასავლელ მანძილს და ირგვლივ კუბრივით შავი სიბნელე იყო გამეფებული... წერაქვითა და ძალაყინით შერკინებოდა პიტალო კლდის უსაშველობას, მძიმე ურიკით გამოჰქონდა გვირავი და ნქალორრი თუ დამბალი მიწის გორბები და დროდადრო, მუხლის გასამართად, სულის მოსათქმელად ჩამოძვარდა, იმედი ჰქონდა გადაწურული, არა სჯეროდა, ამ საქმეს ოდესმე თუ დაადგებოდა საშველი.

მარგარიტას კი ემაყებოდა ფარნას გვირავი, გულისყურით უსმენდა იმ ნაღვლიან სიტყვებს, ცალკეულ პასაჟებს რომანიდან, რასაც თითქოსდა უგულოდ უკითხავდა ფარნა, სინამდვილეში კი ჩუმ-ჩუმად ზეერავდა ქალს, ცდილობდა ამოეცნო, თუ რა ზემოქმედებას ახდენდა მასზე წაკითხული... ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ სინათლისკენ მიიწევდა, სწორი გეზი ჰქონდა, გამოდის, აღებული; ხანაც სასოწარკვეთილებას მიეცემოდა ხოლმე, გზას აცდენილიყო თითქოს, საბედისწერო წრეში მოქცეულიყო და სულ

ტყუილად ირჯებოდა, ვერასოდეს... ის კიდევ, გვირავი, ურჩხულთა და ეშმაკთა ბუდედ ქცეოდა, ღამურები დაქროდნენ აქ ფრთების ღაწალუწით, მორიგეები დაცოცავდნენ სველი ლოდების ხვრელებში და ყოველ ფეხის ნაბიჯზე საფრთხე ემოქრებოდა. მაგრამ იყო ამ ჯოჯობეთურ შრომაში რაღაც კარგი და ნათელი, როდესაც ზეშთაგონებულ ზღაპრულ ქვეყანაზე ოცნებას მიეცემოდა, წყნარ და მყუდრო ქვეყანაზე, რომელიც გვირავის მიღმა ელოდა თითქოს, და რომელიც სიმშვიდეს მოჰფენდა ბოლო-ბოლო. რა მანძილი იყო გასავლელი იქამდე, ანდა შეიძლება თუ არა აქედან გაღწევის საერთოდ?.. მისი მიზანსწრაფვა გამოწვევას ჰგავდა, გვირავი კი ასფურცელსავით იზრდებოდა, სულ უფრო და უფრო ძნელად დასაძლევნი ხდებოდა.

ბავშვივით გულუბრყვილო და ეგოისტი ზარო, უთხრა ერთხელ მარგარიტამ. ფარნამ ჩაიფრუტუნა, იქნებ ტყუილად გავრჯილვარო, ბაიკო?.. და მაშინვე ცბიერებაც აუციმიციმდა თვლებში, ისევ დემონად გარდაისახა და მარგარიტასაც თითქმის სძულდა იმ წუთებში. ჩამხვდარი იყო, კაცს დროის გახანგრძლივება ეწადა, იქნებ ამიტომაც გაუქიანურდა გვირავის გაყვანა?.. მანამ თავისუფალი იყო, ის ცხოვრობდა, მამლისად ჰქმნდა, კარგად ეძინა, არაფერი ადარდებდა მინცდამაინც. სინათლის ხილვა კი თვლებს მოსჭრიდა ალბათ, აშინებდა დროდადრო, უსიამო გრძნობებს წარმოუქმინდა ამაზე ფიქრი. სანამ ჯერ კიდევ შეიძლო ცხოვრების სიამტკიობით სარგებლობა, არ სურდა ეს შესაძლებლობა ხელიდან გაეშვა. ხშირ-ხშირად გაიხსენებდა ხოლმე სიყრმის-დროინდელი მეგობრის მეუღლის საოცრად ნაღვლიან თვალებს, დუმილს, იმ მოკლე მუსაიფის დროს, მოკუმულ ტუჩებს, ათრთოლებულ ხელს... ეს სურათი ისე მოულოდნელად დააცხრებოდა თავზე, ისეთ არაშესაფერის წუ-



თებში ამოტყვერებოდა მახსოვრობის სამალავიდან, თითქოსდა შუადღის ხვატში თავდასხმას დაეშვას. „გალოთდა, ფსიქიატრულშია...“ — წყალმარჩხივით დატრიალდა ეს ორი სიტყვა თავში, ჯერ იქ, იმ ნაღვლიანი ქალის მოზღარბულ ბინაში, მერე — ქუჩაში, ტაქსიში, მეტროში... „გალოთდა ფსიქიატრულშია, გალოთდა, ფსიქიატრულშია“ — სეტყვისავით ცხრილავდა ორი სიტყვა.

უანგისფრად შეღებილ გალავანთან იდგა უკვე. ხვინჭზე ამოსული ბალახი ერთიანად ვადამხმარიყო, შუადღე ირე ვარვარებდა, როგორც ვადახურებულ ღუმელის ზედაპირი. გამხდარმა, წვერმოშვებულმა ახმახმაც თითქოს პირდაპირ მიწიდან ამოყვინთა, ცხვირწინ აესვეტა, თვალებამღვრეული შეპყურებდა. ამა და ამ კაცს თუ იცნობო? — ჩაეკითხა ფარნა. ისევ გაოცებით შემოპყურებდა, რაღაც ჩაბურტყუნა და ფარნამაც მხრები აიჩეჩა, ვერაფერი გავიგეო. „ლოთია?“ — ჩაეკითხა წვერგბინა ახმახი. ფარნამ თავი დაუკანატურა დასტურის ნიშნად, — „ჰოო, ლოთი ყოფილა, დიახ-დიახ! — ნიკაპზე ხელი მოისვა ახმახმა, წყნარად დაძინა: — ლოთები საკნებში ჰყავთ, შვილოსა, გოგები სასეირნოდ გამოგვყარეს“. და ფარნამ მართლა გოგით ვადინახარხარა მაშინ, ხოლო წვერებიანი ახმახი კვლავ გაოცებით შემოპყურებდა, მერე მშვიდად უთხრა: „იქნებ გგონია, ვაგვაცურე?.. მუდმივად ჰკვიანურად ყოფნამ მომიყვანა აქ, როცა მოხვალ, მიხვდები... „ზურგი შეაქცია და წავიდა. ისე მიაღდაძმა ნაბიჯებს, თითქოს ეშინოდა, ფეხქვეშ ნაღმი არ გამიხადესო. „ჩემს სიგიჟეს მე ვერა ვხვდავ, — ვაიფიქრა მაშინ ფარნამ და ინანა, რომ ავადმყოფს გული ატკინა, — თორემ დროდადრო ვარ კიდევაც ალბათ გოგი. სხვები ადვილად ამჩნევენ, მაგრამ სიფიცხეს მიაწერენ, ნერვებმა უღალატაო, ხელადვე დაასკვნია. ჰმ, ჰკუის კოლოფები“.

მოგვიანებით, როდესაც გვირაბის გაყვანაც სიგიჟედ მიიჩნია, რაღაცაზე კვლავ აუხირდა მარგარიტას, ჩაავლო

ხელი პეპელას და თავის ბინაში რუნდა. „იმაზე შემზარავი არაფერია, — გაუელვა მაშინვე, როგორც კი ოთახში შევიდა, — როცა მიტოვებული ბინის ღიად დარჩენილ კარს ქარი აჯაჭვურებს“. შუა ზამთარი იდგა, ოთახში ციოდა, მაგრამ ბავშვი მაინც კმაყოფილი ჩანდა, დამშვიდებულყო, ენად იყო გაკრფილი. ფარნამ ელექტროღუმელი საწოლთან ახლოს დადგა, ტელევიზორი ჩართო, პეპელას ორი საბანი დაახურა, თვითონაც გვერდით მიუწვა და მარგარიტაზე ფიქრმა გაიტაცა. ცისფერ ეკრანზე კი მხატვრულ ფილმს უჩვენებდნენ და პეპელას მისთვის სულაც არ სცხელოდა. ფარნა თავს არ მუნებდა, რომ სწორად მოიქცა, რომ ასე სჯობდა ორივესთვის, სამივესთვის. „ანდა რა უნდა გამოსულიყო აქედან? — თითქოს ჰერს ეკითხებოდა, — წინათ სოფელს მაქანკალი ჰყავდა, ახლა გვეცილება... ამ ჩაბერებული ქალიშვილების ყოფა უფრო სავალალო არ არის? სიყვარულიო! ეს ქვეყანა მარტო მთა და ბარი როდია, ჩვენ ვართ ქვეყანა, ქალია თუ კაცი, ბავშვია თუ მოზუცი; ჩვენი იწერება ქვეყნის ისტორიაც, მაგრამ, საბარალო კაცუნავ, რარიგად დაკნინებულხარ, შენი წინაპრები ბიზანტიელებს ებრძოდნენ“.

წინკარიდან შემოჭრილი ქარი დაშლივინებდა სამზარეულოსა და სასტუმრო ოთახში, თითქოსდა გულგამოხრული სიცარიელე მათრახს უტყლაშუნებდა ზურგზე. „კარი ისევ ღიად დავგვრჩენია, — სულელივით გაეცინა ამის ვაფიქრებაზე ვახსენდა, მარგარიტაც სულ ამაზე რომ ეჩხუბებოდა მამაშვილს, — არ იქნება ჩვენი გამოსწორება“. ფიქრში დაათენდა, დილით კი იგრძნო, მარგარიტას ვარეშე ცხოვრება რომ არ შეეძლო, საღამოს ისევ მანსარდიან სახლში ვახშობდნენ, მაგრამ მარგარიტა არაფერს აყვედრიდა, თბილად შეეგება ორივეს, თითქოს არაფე-

ვლადიმერ ჯოლოვუა
სამოთხის მკვირი

რი მომხდარიყოს, თუმცა ამის შემდგომ, როგორც იტყვიან, ნავსიც გატყდა: ფარნა ხშირ-ხშირად სტოვებდა მანსარდიან სახლს, ისევ ბრუნდებოდა... კვლავ აუხირდებოდა რალაცაზე ქალს, გარბოდა, ბრუნდებოდა... ერთხელ კი, როცა მორიგი აყალმაყალი გაიმართა, მოთმინებიდან საბოლოოდ გამოსულმა მარგარიტამ, თავისი პრიალა ფრჩხილები ჩაასო ლოყაში, სისხლი აღინა, მაგრამ ფარნა არ გადარეულა, პირიქით, დაწყნარდა, უცებ გაუქრა სიფიცებ, ხოლო ღამით საწოლში ჩაუგორდა ქალს და უწინდებურად მიესიყვარულა. მაგრამ ქაითი ქაშზე კვლავ ავადმყოფურად განიცდიდა ასაკის სხვაობას, არასრულფასოვნების შეგრძნება მოსვენებას არ აძლევდა და ცდილობდა სხვა მხრივ დაეჯახნა ქალი, ბოლოს და ბოლოს, როცა იმანაც აღიარა, მართლაც ნამდვილი მამაკაცი ხარო, ცას ეწია სიხარულით.

ერთ მშვენიერ დღეს მარგარიტა ავად გახდა (მაშინ ორსულად იყო უკვე), ყრუ ტკივილებმა შეაწუხა მუცლის არეში, სულ ბოლომდე ითმენდა, მაგრამ ბოლოს კი, მეზობელი ქალის დაუქინებით, საავადმყოფოში დაწვა. ფარნა ყოველდღე აკითხავდა, საჭმელი და ხილი აპქონდა, ახალდაკრეფილ ვარდებს მიაართმევდა და საათობით მასლაათობდნენ საავადმყოფოს ვესტიბიულში. კვირადღეს მეგობარს მანქანა გამოართვა, ქალაქში გაასეირნა, ბაზარშიც შეიარეს, რალაც-რალაცები იყიდეს და ისევ საავადმყოფოში დაბრუნდნენ, სალამოს ამოგაკითხავო, დაიბარა და დაემშვიდობა ქალს. მეგობრებთან ქეიფს შეყოლილს, დაავიანდა და გაიოცა, როცა პალატის მორიგემ უთხრა, ნახევარი საათით შინ წასვლა ითხოვა, გავუშვიო. შინ არ დახვედრია, არც მეზობელთან მისულა, ვისთანაც პეპელან ეძინა იმ ღამით. იქნებ რაიმე იეჭვიანა, ბინაზე მომაკითხოა? — გაუელვა ფარნას და თავისი ბინისკენ გააქანა მანქანა, მაგრამ მარგარიტა არც იქ დახვე-

ედრია. ისევ საავადმყოფოში ავიდა, ჯერ არ გამოჩენილიო, უთხრეს. როცა უკანვე გამობრუნდა, გზაზე შემოხვდა. „მთელი ქალაქი ამოვიარე შენს ძებნაში, — აუხსნა დაღლილ-დაქანცულმა, — ფეხზე ძლივს ვდგავარ...“ კიდევ რალაცის თქმა ეწადა, მაგრამ ფარნამ კარი მოიჯახუნა, მანსარდიანი სახლისკენ წაგრიალდა, სიხლი უცახცახებდა თითქოს, გულიც ძალუმად უცემდა, ორმოებსა და ოღრო ჩოღროებზე შეუბრალებლად მიარახრახებდა ისედაც გვირინანდ შებერტყილ მანქანას, მიძინარე ბავშვი გააღვიძა და, მოუხედავად მეზობელი ქალის მუდარისა, ტანთ ჩააცვა, თავისი ნივთები ჩემოდანში ჩატენა, მანქანაში ჩააგდო, პეპელაც გვერდით მოისვა და გაყვივით გამოვარდა იმ ვიწრო ჩიხიდან, რომელსაც ნერვებაშლილი მარგარიტა მოჰყვებოდა მანსარდიანი სახლისკენ. „...ორივენი, გიყები ვართ, — სწერდა ბოლოს მარგარიტა მეგობრის ხელით გამოგზავნილ ბარათში, — ღმერთს მოუხვეწრობისთვის ვყავართ გაჩენილი, რა გაეწყობა“. იმ მეგობარმა უთხრა ფარნას, ნუ ეჭვიანობ, სისულელეაო; გაჭირვების ქამს კი ნუ მიატოვებ, სირცხვილიაო. მათი ურთიერთობა კვლავაც განახლდა, თუმცა დიდხანს როდი ზიდა კოკამ წყალი, ეჭვისთვის ისევ გაჩნდა რალაც მიზეზი და კვლავ გაითიშნენ. ეს „მიზეზები“ ბოლოს ისე გადაიხლართა ერთმანეთში, რომ ხეირიანად ვეღარც იხანებდნენ, რა დროს, რისი გულისთვის წაიჩხუბნენ. ეჭვი კი კვლავ ფუთფუთებდა, ხან მოძველებული „ფორდის“ საჭესთან მჯდარი მამაკაცის მსუნაგი თვალებით ჩხვერდა, ხანაც ტელეფონის ყურმილში ჩალურსმული დუმლით გამოჰყავდა მოთმინებიდან, როგორც კაცი, ასევე ქალი, ანდა სუფრასთან ნაუცბათევად ამომტყვარალი უცხო სახელით. მანამ შეუღლებდნენ, ხშირ-ხშირად უნახავთ ისინი ზღვისპირა ბარში და ფარნაც დაუფარავი აღტაცებით წარუდგენდა ხოლმე იქ გადაყრილ მეგობრებს მარგა-

რიტას, რაზედაც ეს უკანასკნელი ჩუმ-
ჩუმად გულში ბრაზობდა თურმე: თ ა-
ვ ს ა წ ო ნ ე ბ ო ზ ა ლ ხ ს. ფარნა და-
აბნია ამ განაჩენმა, თუმც კი მიხვდა,
ქალი მთელი არსებით იბრძოდა მამა-
კაცის დასანარჩუნებლად, იმ მეგობ-
რებს იქნებ სულაც არ მოსწონებოდათ
მისი არჩევანი, ეშინოდა, ოღონდ არ
იყოფოდა, რანაირად მოეხდებოდა ამ საქმისთვის
თავი, განიცდიდა თავის უძლეურობას
და მცირე მიზეზიც ჰყოფნიდა ასაფეთ-
ქებლად. „ის მე არასოდეს მაღიარებს
დედად, — ეუბნებოდა ერთ მშვენიერ
დღეს ფარნას, — იქნებ ჰგონია, რომ მი-
სი ნამდვილი დედა ცოცხალია, სად-
ღაც, სხვა ქალაქში ცხოვრობს და, ერ-
თხელ იქნება, მოინახულებს, მასზე
ფიქრობს, მოელის, იმ ქალს მიპირის-
პირებს, გრძნობს, შენდამი სიყვარულ-
ში ვილაც სხვა ეჩრება, ეცილება, ვა-
ნიციდის. ჰო, სხვა ვარ მე მისთვის. ხვალ
ეს სიძულვილში გადაიზრდება და, რაც
დრო გავა, მით უფრო გაიზრდება ეს
სიძულვილიც“. ფარნა საწინააღმდე-
გოში არწმუნებდა, აწყყარებდა, ბავ-
ში თანდათან პატავით განეწყობა შენ-
დამი და შეგიყვარებსო ბოლო-ბოლო,
მაგრამ მარგარიტას არაფრის გაგონება
არ სურდა და, კაცმა რომ თქვას, არც
არაფრად ეპიტანავებოდა პეპელას სიყ-
ვარული უკვე. ველარ იგუებდა იმის
კაპრიზებს, რთულ, გაღიზიანებულ ბუ-
ნებს, ხასიათს, აღარც კი ცდილა, იმის
ტყავში გახვეულიყო, ეთანაგრძნო, ან-
და ყოფა შეემსუბუქებინა. პეპელა კი
დროდადრო მო წყენილობდასაც
უღებდა თითქოს, ერთხელ კალთაშიც
ჩაუგორდა როგორღაც და ეს იყო ალ-
ბათ პირველი ნაბიჯი ურთიერთგაგე-
ბისა და სიყვარულისკენ მიმავალ გზა-
ზე, მაგრამ მარგარიტა უნდობლად შეხ-
ვდა ბავშვის მიერ გადადგმულ ნაბიჯს,
არ აპყვა, ცივად მოიშორა. პეპელას კი,
ერთის შეხედვით, მართლაცდა აუტა-
ნელი ხასიათი ჰქონდა. მასში თითქოს
ეშმაკი იჯდა და თავის ნებაზე მართავ-
და. თავის ტოლ თუ უფროსი წლოვა-
ნების ბავშვებში ავადმყოფურად მიე-

ლტვოდა პირველობას. ამის მისაღწე-
ვად არაფერს იშურებდა, სახლიდან გა-
მულდმებით გააქონდა კანფეტები, ნამც-
ხვრები, კევი თუ ტკბილისკვერი, ერ-
თი სიტყვით, გულუხვობას იჩენდა,
რათა ამხანაგების გული მოეგო. მერე
კი მოხერხებულად მოახვევდა თავზე
საკუთარ სურვილებს, იძულებულს ხდი-
და, მხოლოდ მისთვის ესმინათ. ერთ-
ხელ ფარნამ საკუთარი ყურით მოისმი-
ნა, თუ როგორ მიმართა ერთ-ერთ გა-
ოჩნებულ გოგონას, რომელსაც, ეტყო-
ბა, მობეზრებოდა პეპელას ხელქვეით
ყოფნა: „კანფეტი რო მოგეცი, კარგი
იყო? კიდევ მოგიწდება!“ ზედგამოჭრი-
ლი მარგარიტააო, გაუელვა მაშინ ფარ-
ნას და მწარედ ჩაელიმა — ორი ერთ-
ნაირი ბუნება ერთმანეთს ველარ იგუ-
ებსო.

პეპელას ხანაც შინ მოჰყავდა ათი,
თხუთმეტი ბავშვი და, უნდა გენახათ
მარგარიტას გაცოფება, როცა სამუშაო-
დან მობრუნებულს, დალილ-დაქან-
ცულსა და ნერვებაწეწილს, სახლი ერ-
თიხანდ არეულ-დარეული ხვდებოდა.
სახლი ჰგავდა ქანდაკების მიერ გაჩ-
ხრეული ბინას: იატაკი ტალახიანი ფე-
ხებით მოთხერილი, ირგვლივ მიმოგზ-
ნით მუთაქები, ბროლის დამსხვრეუ-
ლი ქიქები, ოთახის სუსტი ყვავილი,
ლატანია, დაეგლიჯათ, აკვარიუმიდან
თევზები ამოეყარათ, მკვდარი თევზე-
ბით იყო იქაურობა მოფენილი, თეთრ,
გაქათქათებულ ბალიშზე დასვრილი
ფეხებით შემღვარიყვენე, იშვიათი,
ბუკინისტებისგან მამასისხლად შეძე-
ნილი წიგნები ნაკუწებად ექციათ,
ფანჯრებზე ფარდები ჩამოვლილიათ.
წარმოიდგინეთ მარგარიტას გა-
აფთრება, როცა ყოველივე ამის
შემდეგ, პეპელა მოურიდებლად შემო-
ფეთდა კარს სასტუმრო ოთახში, ტახტ-
ზე უმწეოდ ჩამომჯდარ, ხელისგულებ-
ში თავჩარგულსა და თვალცრემლიან
მარგარიტას ცხვირწინ. ამოეჭიფებოდა
და ცხვირგაქცინებული ერთიც მი-
სებურად დაიწკინებდა: მამიკო მინ-
დაა!“ გამწარებული ქალის სულ-

ში კი ხანძარი ბოზოქრობდა ამ დროს, მზად იყო, ყელში სწვდომოდა ამ ბზიკივით მოუსვენარ გოგონას. „მომწყდით თავიდან!“ — დაჰყვილებდა და ტახტზე გადამხობილი ქვითინებდა. პეპელა კი ხუსტურა დედაკაცივით აპრებდა წარბებს, სწრაფად გატრიალდებოდა, ზურგს შეაქცევდა და შიშველი ფეხების ხაზგასმული ტყაბატყუბით სტოვებდა ოთახს.

ფარნას კვლავ თავისი სატკივარი სტკიოდა. სიყვარული ჰგავდა ექვისა და ყოყმანის ქსოვილისგან შეკერილ პერანგს, რომლის ტარება სახამუშო გახდა დროადრო. „სიწმინდე სიმშვიდის მომგვრელია, — ფიქრობდა თავისთვის გულში, — ხოლო ექვით ამღვრეული ყოფა ქაოსში ყოფნას ემსგავსება... „როცა ქალი გამოუტყდა, მიყვარხარო, გუნებაში არ დაუჭერა, თუმცა ხმამალა არაფერი უთქვამს, არ შეჰკამათებია, ხოლო ქალის ნათქვამი ნამდვილი მამაკაცობის მადლს მიაწერა და დამშვიდდა, რადგან ჭერჭერობით ესეც რალაცას ნიშნავდა. აქედან შეზედა საკუთარ თავს, იქიდან — შეიძლება თუ არა ამ ასაკში ჩემი შეყვარებო?... იფიქრა, ამ ქალს, უბრალოდ, ქმარი სჭირდებოდა, მამაკაცი, რომელსაც სუსტი არსება თავს შეაფარებდა... თვითონვე უნდა დაიჭეროს, აქაოდა, ვუყვარავარო, რათა ამდღედეს თავის გრძნობებში, სილა წააყაროს ფარულ განცდებს. ესეც რომ არა, ჰგონია, ექვებს გამიფანტავს, სიმშვიდეს დამიბრუნებსო. სინამდვილეში კი თითქოს რალაც აშორებდათ ერთმანეთს. ზოგჯერ, თუმცა ეს წამიერ ხდებოდა, საღაც, სხვაგან იყო მარგარიტა თავის ფიქრებში, თითქოს სინანულს შეეპყრო, იქნებ ინსპექტორს იხსენებდა ამ დროს?... ფარნაც ჩაეკითხებოდა ხოლმე, რა მოგივიდაო, ბაიკო? მაგრამ მარგარიტა ნალღობიანად გაუღიმებდა, თმაზე ხელს გადაუსვამდა, თითქოს ფისოს ეფერებო, ნაზად აკოცებდა და ამით დაუსვამდა წერტილს წამოჭრილ კითხვას. ფარნა ისევ იტანჯებოდა და

უბედური იყო. ქალიც გრძნობდა სამს, მაგრამ ყოფას კი არ უმსუბუქებდა, ექვს არ უფანტავდა, წამოწვებოდა ტახტზე, შეეძლო საათობით გაეშტერებინა თვალი ჭერისთვის, ანდა წიგნის კითხვას შეუდგებოდა და მანამ არ ამოიღებდა ხმას, სანამ თვითონ ფარნა არ დაელაპარაკებოდა პირველი. დიახ, პირველი მაინც ფარნა იწყებდა კუდის ქნევას, ქალიც მაშინვე აპყვებოდა და ისევ შეხმატბილებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ რამდენადაც შეხმატბილებულად ცხოვრობდნენ, რამდენადაც სიმშვიდე და მყუდროება მყარდებოდა მანსარდიან სახლში, ქრებოდა ექვი თუ მტკიცდებოდა ერთმანეთის მიმართ ერთგულების რწმენა, იმდენად არაცხოველმყოფელი ხდებოდა აქ გატარებული დღეები ფარნასთვის, ხოლო მორიგი ექვის ხელახლა ამოფრქვევის შემდეგ, ის წინანდელი ეინი კვლავ ჩვეული ძალით იფეთქებდა, უჩვეულო ფერებით იმოსებოდა, ფერ-ხორციით ივსებოდა ქალის სარეცელზე გატარებული დამე...

ფარნა ბევრჯერ დაფიქრებულა ამ უცნაურობაზე — რა იყო ეს, თითქოსდა დაშრეტილ ძარღვებში ყმაწვილი კაცის გიჟმაჟი სისხლი იწყებდა თქრივალს. და მერე, როცა წყნარი დღეები კვლავ გააკვებულ მდინარესავით მიედინებოდა მანსარდიან სახლში, კაცს გული შინ არ უდგებოდა, არადა, ველარც მეგობრების წრეში სძლებდა დიდხნობით, ველარც ესენი გამოირჩეოდნენ მრავალმხრივობით — ან სვამდნენ, ანდა წუწუნებდნენ, ხანი შემოგვეპარაო და, ღმერთმა უწყის, მერამდენედ აზუსტებდნენ ერთიმეორის წლოვანებას, ხოლო თუ რომელიმე იმათგანი თავის მეგობარზე ორიოდ დლით უმცროსი აღმოჩნდებოდა, უზომო ბედნიერებას განიცდიდა.

პირველად, როცა მარგარიტას ფემძიმობა გაიგო, ფარნას ხალისი მოემატა, რამეთუ დარწმუნებული იყო, შვილი საბოლოოდ შეკრავდა და შეადულაბებდა სამივეს, ოთხივეს. ქალიც

ამავე აზრისა გახლდათ თავდაპირველად. საკუთარი შვილი პეპელას უფლებებს შეარყევდა, მარგარიტასა და ფარნას ძალები გაწონასწორდებოდნენ ბოლო-ბოლო, მაგრამ ამასთან, მოქმედების თავისუფლებას დაკარგავო, შიშობდა, რადგან ბავშვი, გარკვეული აზრით, ფარნასგან დამოკიდებულს გახდიდა ქალს. თავის მხრივ, ფარნაც ბევრჯერ დაფიქრებულა ამაზე: სად ერთი ბავშვი, სად კიდევს — ორი... იმ შემთხვევაში, თუკი ერთად ცხოვრება არ მოხერხდებოდა. პირველად მაინც მარგარიტამ ჩამოუგდო სიტყვა ბავშვის მოშორებაზე. კაცმა მხრები აიჩეჩა, ხუმრობაში გადაიტანა ნათქვამი, მაგრამ ქალი არ მოეშვა, ხშირ-ხშირად შეახსენებდა, რომ ახალშობილი ათას თავსატეხს გაუჩენდა ორივეს, რომ ფარნას ხელი შეეშლებოდა იმ საქმეში, რასაც გვირახის გაყვანას ეძახდა. კაცმა იფიქრა, ჩემგან არ სურს ბავშვი გაიჩინოსო, დააღონა ამ აღმოჩენამ, მაგრამ დაიგუბა პირში წყალი. მერე კი ისევ აეკვიატა ეჭვი, უყვარდა თუ არა ეს ქალი ბოლო-ბოლო?.. ან იმას თუ უყვარდა სინამდვილეში ფარნა? ხელი არ მოუწერიათ, რადგან მარგარიტა ამას სულაც არ მოითხოვდა, ხოლო ფარნა თითქოს ორ ცხენზე იჯდა ერთდროულად: დრო გაჰყავდა, რათა სანანებლად არ გახდომოდა ნაუცბათევედ გადადგმული ნაბიჯი. ჰო, მაგრამ, მარგარიტას ვარეშე რომ არ შეეძლო ცხოვრება?.. თუმცა, გეკითხათ, ველარ გიპასუხებდათ, რომელს უფრო აირჩევდა საბოლოოდ, მარგარიტასთან განუყრელად ცხოვრებას თუ ისევ მარტოხელა კაცის ტყავში ყოფნას. „თუკი უყვარდა, რატომ არ მისთხოვდა, — გაორებული ფიქრი ბურღავდა იმის გონებას, — ან იქნებ არც ინსპექტორამდე ყოფილა უმწიკვლო?.. სისულელეა, თუ იმან არ ითხოვა, ეგ რანაირად მისთხოვდებოდა?..“

თითქოსდა ხაფანგში გაბმულიყო, თავი ველარ ამოედგინა ვერაგულად შენიღბული ორქოვადან

სული ეხუთებოდა, მისი ყოველი დაგვიანებითხავი ნაბიჯი კი, ყოველი დაგვიანებული საათიც მარგარიტას გულისწყრომას იმსახურებდა. წინათ არც ერთი ის საზრუნავ-საფიქრალი არ აწუხებდა, რაიც მანსარდიან სახლში ცხოვრების დროს გასჩენოდა. მარგარიტა თუმცა არაფერს ავალებდა, ფარნას თვითონვე არ შეეძლო გულხელდაკრეფილი მჭადარიყო, მაშინ, როცა ოჯახში, გინდა-არგინდა, ათასი რამ ითხოვდა მოგვარებასა და წესრიგზე მოყვანას: ხან შიფერს უცვლიდა სახურავს, ხანაც ონკანს არემონტებდა, ფანჯარაში მინას სვამდა, ბოსტანს უვლიდა, ვენახს წამლავდა, ჭიშკარს ლებავდა ან ბუხარს წმენდდა. ერთი სიტყვით, თუკი ხელს გაანძრევდა, მანსარდიან სახლში საქმე არასოდეს გამოეღეოდა. ჩამოჯდებოდა მერე სადმე, ხის ძირში ნაღვლიან სიმღერას ღიღინებდა და ამ სიმღერაში ცოცხლდებოდა მამა, მდინარის სიღრმეში რომ იტყუებდა, ამხნევებდა, თან მიჰყვებოდა მხარულით და იმისი ღონიერი მკლავების ძალას გრძნობდა ფარნაც. ამ სიმღერაში ის იყო ბავშვი, რომელიც მშობლის ტოლფას ალერსს საჭიროებს, და თვით სიმღერა კი იყო ცრემლი, რომელიც შვიების მომნიჭებელია.

ცოლქმრობა ფარნას წარმოდგენაში ორი აღამიანის ერთმანეთთან შერწყმას ნიშნავდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთ არსებად ქცევას; დრო გადიოდა, მაგრამ ორივე მხარე თავთავის დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა მაინც. „ალბათ, ერთმანეთს ვგავართ, ერთნაირი მუხტებით ვართ დამუხტულნი, ამიტომაც განვიზიდავთ ერთიმეორეს, — ფიქრობდა ფარნა, — სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. იქნებ მეჩვენება?..“ ისევ მარტოობას გრძნობდა, ვერავინ უღებდა ალლოს იმის გაუმხელელ ტკივილებს, არავის ესმოდა მისი ჩუმი კვნესა. ზოგჯერ შორიდან შეხედავდა თავის თავს, ეფერებოდა იმ ყრუ ტკივილებს, როგორც ხანშესული მონადირე თვალბუხე ღი-

ბრგადაკრულ ლექსს. თითქოსდა გაშინაურებული მგელი იყო, ნაცრისფერ სიშმაგესა და ცხოველურ ენის მოკლებული და დროდადრო ისე შეაწრიალებდა თავისუფლების წყურვილი, როგორც დამწყვდეულ ხარჯივს მარილის გემო. იმ სიმღერაში ის კვლავ იბრუნებდა მდინარეებს, თითქოსდა ცერზე შესმულ მიმინოს ესივსივებოდა ფრინველის ენაზე, სულ მთლად მას ეკუთვნოდა ჩიტლეღვას ქვეშ განფენილი ჩრდილი თუ შზის სხივებზე ფოთლების ციმციმი და ზოგჯერ მარგარიტას ხმით ჩურჩულებდა: „მე ვიქნები ცოლი შენი პენელოპე და შენ კი ქმარი ჩემი ტელემაქე, მე დაგინთებ მაღალ კოცონს იშთარის ჭიშკართან, რომელიც ვარდისფერი ენით ცის გუმბათს გალოკავს და ქვეყანას ვაუწყებთ შენს მობრძანებას. მერე დავმშვენდები ოქროს დიადემით, ოქროსავე სარკუს ჩავიცურებ აბრეშუმის თმაში, თითებზე ძვირფასი ქვებით მორკმულ ბეჭდებს გავიკეთებ, წელზე აღმასის თვლებით გაწყობილ ქამარს შემოვიკრავ, ოქროს ტიარით შევიბურები და გამოგვგებები იშთარის ჭიშკართან შავ ლეოპარდზე ამხედრებულ რაინდს“.

უცნაური სიფიცხე დასჩემდა ბოლო დროს, დენთივით იფეთქებდა, გავარდებოდა სახლიდან თავქუდმოგლეჯით, ნაცნობ-მეგობრებთან ღვინოს მიეძალებოდა, მაგრამ, რაც მეტს სვამდა, ზით უფრო შინისკენ მიუწყვედა გული, რამეთუ ამ მოუამულ გუნება-განწყობილებას სიმშვიდე სწყუროდა, რაც მარგარიტას შემორიგებით უნდა მოეპოვებინა. ამ უკანასკნელმაც ჩინებულად იცოდა ეჭვიანი მეუღლის აქილევსის ქუსლის ამბავი და, როცა ცოდვათა მონანიების უამი დადგებოდა, ფრთხილად შეაპარებდა ხოლმე თავის მოსაზრებას ბავშვის მოშორების თაობაზე. ფარნა უკვე ყოყმანობდა, ქალი კი გრძნობდა, ფარნას ძალები ამოწურული რომ იყო საბოლოოდ. „საბავშვო ბაღის გამგე საყვედურობს, — უთხრა ერთხელ, — ამღზრ-

დელისთვის ხელზე უტბენია პეპელას. ბალიდან ხშირ-ხშირად იპარება, თანაჯგუფელებსაც მოიყოლებს ზოგჯერ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რკინიგზაზე ამათი ფოთიალი კარგს არაფერს გადაგვყრის, იცოდე“. შემდეგ, ისე, სხვათა შორის დასძინა, პეპელას ბებიამისიც მშვენივრად მოუვლიდაო... ფარნამ ყურში გაუშვა, მარგარიტაც მიხვდა, არაფრად ებიტნავა მისი მოსაზრება. ქალს კი მეტიან მოთმენა აღარ შეეძლო. მანსარდიანი სახლი მთლიანად დაეპყრო პეპელას კაბებს, პერანგებს, ბაბთებს, წინდებს, ფეხსაცმელებს, სახატავ რვეულებს, რომლის ფურცლები პროკლამაციასავით იყო მოფენილი მთელს ეზოში, სათამაშოებს, თოჯინებს. „ღმერთო, — გაჰყვიროდა ერთ დღით მარგარიტა, — ამდენი თოჯინა ერთ ბავშვს ჰქონდეს, არსად მინახავს“. ერთხელ კიდევ, თავის ძვირფას კაბას რომ ვეღარსად მიაკვლია და მთელი სახლი გადაქექა, სიმღერის ხმამ შეაფხიზლა ანაზღად, ეზოს ერთი კუთხიდან რომ მოისმოდა. გულმა რეჩხი უყო კიბე ფეთიანივით ჩაირბინა და ნახა, რა ნახა: ვაზის თალარქვეშ, წრეში მოფოლაქებულ დედოფლებს, რომელთაც მარგარიტას ძვირფასი კაბისგან შეკერილი პერანგები ეცვათ, ნანას უმღეროდა უზომოდ კმაყოფილი პეპელა. მერე ბროლის იშვიათად ნაკეთი სასმისი გაქრა კარადის უჯრიდან. მსხლის ძირში იპოვა მარგარიტამ, საღებავების გასახსნელად დასჭირვებოდა პეპელას. „ღმერთო დიდებულო, — ისევ ატატყანდა მარგარიტა, — საღებავებისთვის მაინცდამაინც ბროლის თასი რაღა საჭირო იყო, ჭიჭების მეტი რა ყრია ამ სახლში“. ერთი სიტყვით, დაიკარგა სიმშვიდე და მოსვენება. ექვსიოდე წლის გოგონამ საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან მანსარდიანი სახლის პატრონი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე მისი ფანქრები და ფლამასტერები ეყარა, საღებავების სხვადასხვა ფერით იყო მოთხვრილი ნობ-ფარდაგები, ირგვლივ უთავბოლოდ მიმოზნეულიყო

მუყაოს სათამაშო კოლოფები, დამტვრეული საანგარშოს დაქანგული კენჭები, გადაყრილი, ჭართად ქცეული ნივთები, შინ რომ მოეთრია პეპელას, ნიღბები, ალუმინის ლამბაქები, პლასტმასის ყულაბები, სხვა ათასი ნივთი თუ საგანი, რომელიც პეპელას სამსახურში ჩამდგარიყო, რათა მანსარდიან სახლში ქაოსური უწყესრიგობა დაემყარებინა.

მარგარიტა სინანულით იხსენებდა იმ დროს, როცა აქ სიწყინარე და სიმყუდროვე სუფევდა, როცა სამსახურის საქმეებით დატვირთული, ყოველდღე სადილ-ვახშმის დამზადებაზე არ იტყულებდა ტვინს, ზეზეურად გადაკენკავდა ორიოდ ლუქმას და დანაყრებული იყო. მაშინ მეთოდური კაბინეტი ჰგავდა აკვარიუმს და მისი მესვეური, მარგარიტა, ამ აკვარიუმის წითელ თევზს, რომელსაც გუნდრუკს უკმევდნენ თაყვანისცემლები. ხოლო განათლების განყოფილების პირველ სართულს (მეორეზე შრომის ვეტერანები ცხოვრობდნენ) მუდამდღე მაგნოლიების ჩრდილი ეფინა, თეთრ ყვავილების დამატარებელ სურნელში იყო ჩაძირული და შესასვლელი კარის ყოველ გაჭრიალებზე მარგარიტას უჩვეულოდ უჩქროლავდა გული, რამეთუ წუთიწუთზე, მოუთმენლად და მტანჯველურად მოელოდა ცხოვრებაში რაღაც ცვლილებას, მაგრამ ყოველივე ძველი წესითა და რიგით მიედინებოდა, ყველაფერი უცნაური, ზოგჯერ კურონზული დამთხვევებით მეორდებოდა და ქალიშვილის სულშიც წამით ანთებული იმედის პატრუქს აქრობდა ვიღაც უცხო, უგულო არსება თითქოს. და ეჩვენებოდა მარგარიტას, თითქოსდა ფირმა „გრამის“ მიერ გამოშვებული გუგულიანი საათი იყო, რომელსაც გამუდმებით ქოქავდნენ, ისიც იკუმშებოდა, როგორც ზამბარა, დროის ფერხულში ებმებოდა და, წარმოდგენის პატარა ჭინთრიდან თავს გამოპყოფდა თუ არა, „გუგუ!“ — დაიძახებდა, ქვეყანას ამ სიტყვებით შეეხმინებოდა,

რათა მისი ღვაწლი არავის მიევიწყებინა, არ მიეფუჩჩებინა... დაქოქილი ზამბარა კვლავ მოქმედებისკენ მოუხმობდა და ისიც იხდიდა ვალს დროის წინაშე: აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს, თაოსნობდა შეხვედრებს ცნობილ მწერლებთან, მსახიობებთან, მხატვრებთან, თავჯდომარეობდა ადგილკომს, ამა თუ იმ ყიუტრის მოსწავლეთა ოლიმპიადებზე, მხატვრული თვითშემოქმედების დათვალეირებებზე, ხელმძღვანელობდა ლაშქრობებს, ქალაქისა და სოფლის სკოლებში ბოთლების შეგროვებას, რათა ალბულო თანხა სამამულო ომში გმირული და დღუბულ ჯარისკაცთა ობელისკის მშენებლობას მოხმარებოდა, მუშაობდა დისერტაციაზე „ძნელად აღსაზრდელი ბავშვები“, გამოდიოდა მოხსენებით სხვადასხვა სახის სემინარზე, მიემგზავრებოდა მივლინებით სხვადასხვა ქალაქებში, სწავლობდა ამა თუ იმ საჩივარს, არიგებდა წაჩხუბებულ მასწავლებლებს და, მოკლედ რომ ვთქვათ, თავფეხიანად საქმეში იყო ჩაბმული. მერე კი ავადმყოფობას იგონებდა ან იქნებ მართლაც ხდებოდა შეუძლოდ, ორი-სამი დღე გაუნძრევლად იწვა ლოჯინში, არ ჰამდა, არ სვამდა, არავის ნახვა არ სურდა. იწვა სიბნელეში და თითქოს ტკივილებს იშუშებდა, თითქოს ზამბარა ბოლომდე იყო გაშლილი, საწვავი — გახარჯული, ჰა — ამომშრალი... ურცკავდნენ, ყურმილს არ იღებდა, კიბეს უტალახებდნენ, კარს არავის უღებდა. იწვა გატრუნული და გულს ასკდებოდა, რომ არ ეშვებოდნენ, რომ საცა კარს შემოუნგრევდნენ, ფანჯრიდან შემოძვრებოდნენ, იატაკის ღრიჭოდან ამოყვინთავდნენ, როგორც ზღაპარში. „ღმერთო, შემეშვით, მომასვენეთ“, — ტიროდა სახეზე საბანგადაფარებული და თანაც იმასაც გრძნობდა, რომ სხვა იყო მისი მღელვარების მიზეზი... ჩინებულად უწყობდა, რა ჭიაც ხრავდა: დიახ, წლები დაუნდობლად მიქროდნენ, მარგარიტას ცხოვრებაში კი არაფერი იცვლებოდა, — „ამაღამ წამოვდ-

გები, მომშივდა, ბოლოს და ბოლოს...“
შემდეგ სამზარეულოში ტრიალებ-
და, გამოშუშებულზე საჭმლის დამზა-
დება სიამოვნებას ჰგვირდა, მაგრამ მა-
გიდასთან პირისკენ წაღებული ლუქმა
გაუშეშდებოდა ხელში: დიახ, წლები
დაუნდობლად მიქროდნენ, მარგარიტას
ცხოვრებაში კი საგულისხმო არაფერი
ხდებოდა. მისი სიყოჩაღე და მონდომე-
ბა, მთელი მისი ნამოღვაწარი კაჟიანი
თოფის სახალწლო გასროლას წააგაე-
და ხოლმე. გუგულიანი სათივით „გუ-
გუ!“ — თითქოს თანამოქალაქეებს კი-
დევ ერთხელ შეახსენებდა თავს, იმათ
ყურადღებას ერთხელ კიდევ მიიპყრო-
ბდა და მერე ისევ დადუმდებოდა, რო-
გორც დაუქოქავი საათი. ზღვის ფსკერ-
ზე ყოფნას ნატრობდა ზოგჯერ, ოღონდ
ის კი არ იცოდა, რანაირად მოხერხდე-
ბოდა ეს... სიჩუმეში იძირებოდა, რო-
გორც წყალში ჩაგდებული შაურიანი,
ირგვლივ კი ყველაფერი ხმაურობდა
ამ დროს, კედლებს თითქოს გამუდ-
მებული ზრიალი გაუდიოდა, ლითონის
ფურცლებად ქცეულიყვნენ თითქოს —
შემოდან ქვევით ჩამოდიოდნენ და ჩა-
მოდიოდნენ, ჰერი კი ცისკენ მიცურავ-
და. მაგრამ, ფანჯრის გვერდით მდგარ
ხეებს რომ მიაპყრობდა მზერას, კვლავ
ცოცხალ სინამდვილეს უბრუნდებოდა
გარესამყარო. მერე თავიდან იხსენებ-
და ყველაფერს, ლაშქრობას შეეხებო-
და ეს თუ დაფნის ჭრას ციტრუსების
მეურნეობაში: სიტყვები, მოძრაობები,
სახეები, ისევ სიტყვები... „გუ-გუ“ — გუ-
ნებაში ეცინებოდა, ცოტა კმაყოფილიც
იყო, ვიღაც-ვიღაცებისთვის რომ მცი-
რედი სარგებლობა მოჰქონდა, რაზედაც
მადლობას უხდიდნენ სახალხოდ, საქ-
მიანად, რათა შემდგომში უფრო მეტად
გამოედო თავი. ამ ფიქრებში ჩასთვლე-
მდა ხოლმე და ცხადი სიზმარში მეორ-
დებოდა მერე. როგორღაც ფარნამ და-
უქრა ერთხელ, ეს რა ძილი გცოდნიაო,
ბაიკო, მსგავსი არაფერი მინახავსო.
„ერთხელ სამი დღე და დამე მეძინა“, —
ლიმილით უპასუხა მაშინ მარგარიტამ.

მუხუდოსფერი სახის კაცი, ლ. კ. ა.
ტყაყის სავარძელში რომ ჩასვენებუ-
ლიყო და მიმედ სუნთქავდა, ფარნას
ერთდროულად მარტორქის, სიბრიყ-
ვისა და გველძუას პიკტოგრამად ჰყა-
ვდა წარმოდგენილი. თუმცა, გააჩნია,
რა დროს, როგორ... შემჩნეული ჰქონ-
და, თუკი რაიმე კარგს გაიგონებდა ადა-
მიანზე, ვინც უნდა ყოფილიყო ის, სა-
ფეთქლებზე სიმწრის ოფლი გამოყო-
ნავდა, ჩვეულებისამებრ, ხოლო მინა-
სავით გამჭვირვალე თვალები ისეთიანი-
რად აემღვრეოდა, თითქოს წყლიან
ქილაში ნახერხი ჩაუყრიათო. ზედამხე-
დველის ტლანქ სხეულში, სადაც ათა-
სი სიბინძურე ხრჩოლავდა, თითქოს
სხვათა დასათრგუნად საჭირო ძალა
დაუნჯებულებიყო, მკაცრი ნაკვთებით გა-
უქმურებულ სახეზე კი სულ მუდამ
უქმაყოფილება ეხატა. „ყველას გააჩ-
ნია თავისი აქილევსის ქუსლი, — წამო-
სცდენოდა ფარნასთან, ნაბახუსევზე,
როცა ანგარიშს არ უწევდა თავის ნაჩ-
რიალევს. — ხეც იქ ტყდება, სადაც სუ-
სტია, ადამიანიც... როცა იწყება ეს,
ზოგს სასო უშრება, ზოგსაც სელი
უკანკალბს. ე, მაშინ კი ერთი წკიპურ-
ტია საჭირო და, მეყოლე ვარდივით,
ხე-ხე!“ თაოსანი იმისთვის იყო, ჩავარ-
დნებისგან დაეზღვია თავისი წარმოე-
ბა, ჩავარდნილი საქმის გამოსასწორებ-
ლად გადაედო თავი, რათა თაოსნად
დარჩენილიყო. მთელი მისი ნიჭი თუ
ენერგია თავდაცვის ბრმა ინსტინქტებს
ჩაეხშო და ჩაეყლაპა. ცდილობდა, ბა-
ტის ჰუკივით უსუსური ტვინისთვის გა-
მოეწვალეზინა მისთვის საჭირო რაღაც
აზრი და მუხუდოსფერ სახეზე ეხატა
ხელმოცარული კაცის უზომო ტანჯვა,
რომელიც დროდარო ხდებდა კიდევ
თავის არარაობას. საოცნებო მწვერვა-
ლებისკენ ეჭირა თვალი, წინსვლისთ-
ვის საჭირო ხერხებს კი ველარ დაუფ-
ლებოდა და, ამიტომაც იყო ალბათ,
დამდულრებულებივით დააბოტებდა დღე-
მუდამ. ორად ორი სიტყვა ჰქონდა ამო-



ჩემებელი: „შეიძლება! არ შეიძლება!“ მუდამ დაძაბული, თითქოსდა ჰაერს ამძიმებდა, როდესაც რომელიმე ხელქვეითის ოთახში შემოზვინდებოდა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიბუხუნებდა: „ასე არ შეიძლება!“ ოღონდ, ხატირჯული, არც თვითონ იცოდა ხეირიანად, არც იმ ხელქვეითმა, რა უნდოდა, რას გულისხმობდა. მთელი მისი ყურადღება იქითკენ იყო მიმართული, არ გავუბრალოვდე, მნიშვნელობა არ დავკარგო. სამართლიანი კაცის სახელს ებღაუჭებოდა, ოღონდ, სამართლიანობა რომ რთული მცნებაა და ყოვლისმომცველი შეგნებისგან იღებს სათავეს, რომ იგი „შეიძლება-არ შეიძლება“ ვიწრო არტახებში არასოდეს ჩატეულა, ბევრი არაფერი გაეგებოდა ამ საქმისა. ეს იყო ალბათ მიზეზი, ხალხში პატივისცემასა და სიყვარულს ველარ ზიარებდა. „ვისაც ნიჭი წყალობს, ძალა არ ერჩის, თავისი გაიტანოს, — ფიქრობდა თავისთვის ფარნა, თაოსნის შემხედვარე, — ეგ კიდევ რუბიკონს გადალახავს“. ფარნა არ ებუებოდა, არც იმას ეხატა გულზე. „თქვენ, როგორც გადმომცეს, რომანზე მუშაობთ, თურმე, — უთხრა ერთხელ. თავი ქვასანაყს მიუგავდა ამ დროს, ხელისგულები სალტებოვით შემოჭდომოდა ქვასანაყს, — ჭეშმარიტი შემოქმედებისთვის, ეტყობა, დრო არ გყოფნით, არა?.. ხე-ხე, რა გაეწყობა, ოქრო, უნდა გამოვემშვიდობოთ ერთმანეთს...“ ფარნა არ დაბნეულა, წყნარად ჰკითხა: „სხვა სამუშაოზე გადაჰყავხართ, ბატონო?“ ეს კი აშკარა გამოწვევა იყო მისი მხრიდან და, თუმცა უღარდელი კაცის გამომეტყველებით გამოალაჯა პატრიარქოვით ნირშეუცვლელი ვაითაოსნის კაბინეტიდან, პატარძლის ბედაურივით რომ მოერთოთ და მოეკაზმათ, ჟანგისფერი იყო ის დღე მაინც ფარნას წარმოდგენაში, ჟანგის სუნი ასლიოდა ჰაერს, ჟანგის გემო დაჰკრავდა პურს, წყალს, ღვინოს. თითქოსდა ჟანგად ქცეულიყო თვითონაც, რაღაც თოკავდა თითქოს, რაღაცისთვის

უნდა გადაელაჩებინა და ფეხები შებორკილი ჰქონდა... მაინც არ მოუთმინა გულმა და დღის ბოლოს ისევ იმ ვაითაოსნის მაგიდასთან იყო ჩამომდგარი დაბარებულივით, იმ შემოჭველი, ყოვლად დამაქინებელი, დამამცილებლად ზემომქმედი ძალისგან თავისუფალი, მაგრამ აყენებდა, შეგნებულად აჭიანურებდა სათქმელს, რამეთუ გრძნობდა, თუ როგორ წვალობდა მუხუდოსფერი სახის კაცი, რათა თავის ხელქვეითში კვლავ მორჩილების, უფროსის წინაშე ქედის მოხრისა და თაყვანისცემის ჩვეული, დაუწერელი კანონის წყალობით დანერგული და დაწესებული თვისებები გამოეღვიძებინა, ბატონისა და ყმის ურთიერთდამოკიდებულებას რომ ახასიათებდა წარსულში... პაუზა გაჭიანურდა, ხოლო თაოსანი უკვე სავარძელში წრიალებდა, როდესაც ფარნამ ერთი მისებურად ჩაიქირქილა და წყნარად უთხრა: „ჩვენ ჩვენი პირადი მდგომარეობის გაუარესებისა რომ გვეშინია სიკვდილივით, ამიტომაცაა საერთო საქმე ფუჭდება, რასაც ყველა ჩვენსათვისათვის მოაქვს ბოლო ზიანი“. „სულ ეს იყო?..“ — შვებით ამოისუნთქა სავარძელში ჩასვენებულმა, ჩაიხითხითა და ისეთნაირად ამოატრიალა თვალები ბუდეებში, თითქოსდა დელფინმა ამოყვინთაოს სისხამ დილით წყლიდან. მერე ხარხარი აუტყდა, კოტიტა, ბანჯგელიან თითს ფარნასკენ იშვერდა და სიჭილით იჭაქებოდა, ცრემლები ღვარად გადმოსდიოდა ფუნჩულა ლოყების ბალიშებზე, ხოლო სიხარბე და შური სეტყვის მომცრო გორგალივით დაგორავდა იმისი ვიწრო შუბლის ფართო ნაოჭებზე, აფხიზლებდა, მოქმედებისკენ მოუწოდებდა კვლავ. ფარნამ ხელი ჩააქნია და დამდურულივით გაგარდა პატარძლის ბედაურივით მორთულ-მოკაზმული კაბინეტიდან, ხოლო იმ წარმოების დარაჯი სალუდში ქილიკობდა ამ

გლაფინამ ჯოლოგუა
სამოსხის ძვრივი

დროს: „ეგ დალოცვილი, სახლში რო
ქათამმა კვერცხი დადოს, ძალმა არ
შემიჭამოსო და, იქით გავარდება კის-
რისტებით, აქაურობა ცეცხლში იწ-
ოდეს თუნდაც“. დროებითაო კვაჭი
კაცების დღესასწაული, იქედნურად
პასუხობდა სიტყვაზე შემოსწრებული
ფარნა. „დროებითი ვართ, ბიძიკო,
ჩვენც ამ ქვეყანაზე“, — აღარც ის უდ-
ებდა ტოლს.

რატომღაც ხშირ-ხშირად იხსენებ-
და ომისდროინდელ წლებს, როცა ქა-
ლაქის პარკში ლილიპუტები გამოდი-
ოდნენ და თავზე ხელაღებული ქალა-
ქელები ნავსადგურის მოედანთან მუშ-
ტი-კრივს მართავდნენ ომში გამობრძ-
მედილ მეზღვაურებთან, ხოლო ომში
გამობრძიმედილი მეზღვაურები ღვინის
სარდაფში ჩახმაურდებოდნენ, ვეება
კანს ტყვიას დაახლიდნენ, შადრევან-
ივით მოთქრიალე ღვინოს პირს შეუ-
შვერდნენ და უღმერთოდ გამოლევილ-
ნი შვიდსართულიანი გინებით ანგელო-
ზებს უფრთხოზდნენ თეთრწვერა მე-
ღვინეებს. ერთხელ საკუთარი თვალით
ნახა ბიძია კოსტას ჩხუბი იმ შარის-
თავებთან, ხუთი მეზღვაური ნაფოტე-
ბივით რომ მიმოყარა ნავსადგურის ბა-
ქანზე და მერე ისეთი სიმშვიდით გაუ-
ტია შინისკენ, თითქოს აწ გარდასული
წინაპრის სულის საცხონებლად ზვარა-
კი შეეწიროს. ბიძია კოსტა მერე და
მერე ჩამჯდარა ჭკუაში, თორემ ახალ-
გაზრდობაში მამამისი ლიპარიტივით
გადარეული ყოფილა. ფარნას ჩაელიმა
ამ გახსენებაზე. „ადამიანია ყველაფრის
მიზეზი, — მქვერმეტყველებდა ბრძენ-
კაცივით ბიძია კოსტა, სოფელში რომ
ჩააკითხა ამას წინათ, იმ მოჟამულ გუ-
ნებაზე, ვაითაოსანთან წალაპარაკების
შემდეგ, და მოუთხორო ყოველივე, ზო-
გიერთი წვრილმანის გამოტოვებით, —
ოღონდ სისუსტე გვერევა დროდადრო
და თავმოყვარობას ვკარგავთ, ბიძი-
კო. თავმომწონეც უნდა იყოს კაცი.
თავმომწონე ხალხი იყო ჩვენი წინაპ-
რები. ბაბუაშენი, არ იცი, როგორ და-
იდუბა? ახალგაზენილ ლურჯაზე შე-

მჯდარიყო ბაბუაშენი
დოღში, ხელოსნების მოედან-
ზე რომ იმართებოდა ძველად; გამორ-
ჩეულ ცხენოსანთა შორის გამორჩეუ-
ლი ყოფილა ყოველთვის. უმარავი ხა-
ლხი იყრიდა თავს იმ სანახაობებზე.
ვიღაც დიდგვაროვან მანდილოსანს უთ-
ხოვია, შემოუქნიეო ცხენს მათრახი,
ლიპარიტ. მოქნეული მათრახი, უკაც-
რავად პასუხია და, მწვეავე ადგილზე მო-
ხვედრია ცხენს და გადარეულა ისიც,
მაგრამ ვერა და ველარ გადმოუგდია
უნაგირიდან მხედარი. უნაგირზევე გა-
ნუტევა სული ცხონებულმა... ხოლო
შენ რომ გიყურებ ახლა, გერა-მეწის-
ქვილე მახსენდება რატომღაც. შენსა-
ვით მოშვეებული და ხელჩაქნიული კა-
ცი იყო ისიც, ჩაის სმისა და ხვრინვა-
ფშუტუნის მეტი არა იცოდა რა“.

„გულს ველარ ვუდებ ვერაფერს, —
ამოღერდა ამანაც ძლივ გასაგონად და
იქვე ინანა ნათქვამი, უნებლიედ რომ
წამოსცდენოდა, — რაა ცხოვრება, ბო-
ლოს სიკვდილია მაინც“.

„ფუტკარს შეხედე, — თქვა გულ-
მოსულად ბიძია კოსტამ, — არ კითხუ-
ლობს ფუტკარი, ვისთვის აგროვებს
თაფლს. ცხოვრებაში დამარცხება მე-
ტია, ვიდრე გამარჯვება, გაწბილება მე-
ტია, ვიდრე გამართლება, მაგრამ თავს
არ ვიკლავთ მაინც. ასეთია კაცის ბუ-
ნება, ბიძიკო, რაც ხელს უშლის, უს-
ამართლობად მიაჩნია, მაგრამ ეს ცხო-
ვრება ბუმერანგია, ყველაფერი უკან-
ვე უბრუნდება ადამიანს. არ იღარდო,
ძლიერთან მარცხი სირცხვილად არ ჩა-
გეთვლება“.

„სირცხვილისა ეი არ მეშინია, —
უგულოდ უპასუხა დისწულმა, — სი-
მართლე რომ სამართებალივით ჭრის,
ვიცი ესეც, მაგრამ ზოგიერთის ხელში
გლუვდება, დასანანია“.

„ეჰ, ბაბაია, — ჩაელიმა კოსტას, —
სიმართლე ორღესული მახვილია, ერთს
თუ გზას უკაფავს, მეორეს მზეს უბ-
ნელებს იგი. სიმართლე თეთრ ბედა-
ურზე ამხედრებული წმინდა გიორგი
ეი არა, ათას ტალახსა და ჭუჭყში

ამოთხვრილი მარგალიტია, რომლის ფასი თვითონ ღმერთებმა იციან ალბათ. პატარა ამბავს მოგიყვები: სოფელში ერთი ბრმა მოხუცი ოქროს აგროვებდა, ხის ფუტუროში მალავდა. მეზობელმა თვალი შეასწრო, მოჰპარა ის ოქრო. ბრმა მიუხვდა, ეუბნება მეორე დღეს: „ხუთი ოქრო მქონდა გადამალული, ახლა კიდეც ათი დამიგროვდა, როგორ მიჩჩევ, ისევ იმ სამალავში შევინახო, თუ სხვაგან გადავმალო? ისევ იმ ადგილას სჯობსო, უჩრია ქურდმა. ბრმამ მადლობა მოახსენა რჩევისთვის და წავიდა, ხოლო მეორე დღით, ხელი რომ ჩაყო ხის ფუტუროში, ის ხუთი ოქრო იქვე დახვედრია, თითქოს არავის მოეპაროს. ქურდს უფიქრია, იმ ხუთ ოქროს ადგილზე თუ ველარ იპოვის, ათს სხვაგან გადამალავსო, ასე კი თხუთმეტი ოქროს პატრონი გავხდებო. თავი მოისულელა ბრმამ და სინამდვილეში კი ქურდი გააბრიყვა, ხედავ?“

დედას არაფერი ჰქონდა სათქმელი, თუმცა კი გრძნობდა, მისი ვაჟი ამაოდ რომ ცდილობდა დაგლეჯილი ბადის შეკეთებას, ფესვებგამომხმარი ხის გაცოცხლებას, მაგრამ ამასაც ცხოვრება ერქვა სახელად, სადღაც ამ არეულ-დარეული დღეების მიღმა პატარა იმედოვნებდა, ჩამქრალი კერიის კვლავ გაღვივებას, ნანატრი ოჯახური მყუდროების კვლავ დაბრუნების იმედი. ყოველი მათგანი თავისებურად ირჩებოდა და იბრძოდა ამ საქმის მოსაგვარებლად: ფარნა — დაქარგული რწმენის აღორძინებით, დედა — ლოცვა-კურთხევითა და მანუგეშებელი სიტყვით, ბიძია კოსტა — ბრძნული დარიგებებით, ხოლო პეპელა — შინაგანი ჯანყითა და შეურიგებლობით.

ფარნას კი გვირავიც ჰქონდა გასაყვანი და ერთ საფიქრალს მეორეც ემატებოდა, მეორეს კიდეც — მესამე, ანუ განხეთქილება იმ

წარმოების ხელმძღვანელთან, სადაც ის, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, პურის ფულს შოულობდა. შუალამით, ჩამოუყალიბებელი აზრის რაღაც ნაწყვეტები იწყებდა ბორიას გონებაში, თევზივით უსხლტებოდა, ხელში აღნებოდა ლოლუასავით, მაგრამ ძილ-ბუჩხანში თავიდან იკვეთებოდა და ისა ჰგავდა გამოწვევას — ადვილად არ დაგნებდები, ჩამწვდი და შენი ვარ, — ეუბნებოდა თითქოს. ფარნაც ლოგინში წრიალებდა, წვალობდა, ხანაც გაირინდებოდა, თითქოს ქარის მოტანილ ხმას აყურადებდეს; თითქოსდა მილიონობით ჭიანჭველა სახეზე ჩხვლტდა ნემსივით, წიწკნიდა და უძილობით განაწვალებ თვალებზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული, ნისლში იყო ჩაძირული საგნები... აზრი რაღაც სიბრტყეებს ქმნიდა, თავისივე წრეში ტრიალებდა, ხან მომცრო პირამიდებად, ხანაც ამოუხსნელ პიკტოგრაფებად ესახებოდა. ქალაღზე გადატანილი, იგი თავის პირვანდელ მნიშვნელობას, გონებაში განციდელ სინდელეს კარგავდა, ქუცმაცდებოდა. ზოგჯერ კი გონებაში ჩაბეჭვილი აზრი, რომლის ქალაღზე გადატანა დაზარებია, გათენებულზე აღარ ახსენდებოდა უკვე და მერე მთელი დღის განმავლობაში ტყუილ-უბრალოდ ცდილობდა, აღედგინა. ლამაზი იყო ბუნება და უკვირდა, ამ ლამაზ მიწაზე მარტოოდენ სალ-სალამათად ყოფნას რომ არ სჭერდებოდა, თუმცა კი ჩინებულად ესმოდა, რომ ამაზე დიდი განძი არც არსებობდა დედამიწაზე. „ხომ შეიძლება გალადდე და გაიხარო, — ფიქრობდა დროდადრო და ისიც არანაკლებ აოცებდა, რომ ზოგჯერ სრულიად საპირისპიროს აკეთებდა — განა ბევრი უნდა ამისთვის ადამიანს, როცა ჯანმრთელიც ხარ და ჯავარიანიც“. და მიინც... მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო, სხვანაირად თავის ნამდვილ მნიშვნელობას კარგავდა, თუმცაღა აღარც

ამ გვირაბის გაყვანით ჰპირდებოდა ხალხს რაიმე განსაკუთრებულ სიკეთეს. ქალაქში, სადაც ცხოვრობდა, ჯერჯერობით ბევრმა არც იცოდა ამის შესახებ, ამიტომაც იყო ალბათ, ნიღაბს არ იფარებდნენ მასთან ურთიერთობიდან, რისი წყალობითაც თანდათან სწვდებოდა თანამოქალაქეთა ქვეშაირთა რაობას... ერთხელ, სუფრასთან, ახალგამოჩეკილ ფიზიკოსს წამოსცდა: „სამწუხაროდ, ჩემი ქვეყნის ისტორია ჩემთვის ჩანჩინურიაო“. არცოდნა არცოდნაო, წინაპართ უბრძანებიათ. ამას როდი გაუოცებია, თვით მთქმელის კილომ შეაძრწუნა. ასე მაჰმადიანი იტყოდა ალბათ—სახარებისა არაფერი გამეგებაო. ღმერთმა უწყის, იქნებ მისი შორეული წინაპარი ერეკლეს უდგამხარში და მუსრს ავლებდა ურჯულო გადამთიელებს, და თუ ეს დღეს თავისი გვარისა და მოდგმის საძვალეს არა სცნობდა, საკითხავია, სხვა ხალხთა წარსული რანაირად შესძრავდა იმის გულსა და გონებას?.. უფრო კარგად ჩაუკვირდა მთქმელს მაშინ. იმ მამაცხოვნებულს არც სიტყვის მარტივი გააჩნდა, არც სიმღერა ეხერხებოდა და არც სმის შნო და ლაზათი მოემადლებინა განგებას. მისი ღრმა აზრით, მატერიის მოძრაობის საერთო თვისებებისა და კანონების ცოდნა დიხაც საკმარისი ვახლდათ იმისთვის, რათა კაცი რქმეოდა ქვეყანაზე და ქუდიც ჰხურებოდა თავზე... იგი ოფელიას აგონებდა რალაცით, ორივე კი — ღვიძლი მიწიდან გადარგულ ნერგებს, ვერც სხვაგან გაეხარათ და ველარც აქ მოეკიდათ ფესვი. არადა, ერთი უნდა შეგხედათ, რა დღეში იყო ეს ბრძენაკივით ენაგაციმციმებული ფიზიკოსი, რომლის ფიზიკური ვარსი, ფიზიკოლოგიურად, უხამსობის განტოლებას თუ შეადგენდა ალბათ. დიახ, თერგალაულისა ამას არაფერი ეცხო, აღარც ფერგალაულისა ეტყობოდა რამ, და ალბათ, იმის ოპტიკურ არეში მოქცეულ ადამიანებს დაკარგული ჰქონდათ ყოველივე ის თვისებანი, რასაც მშობელი

მიწა აღვივებს. მზე ასიცოცხლებს და დედის ძუძუ კვებავს. პათას გვირაბიც გაეყვანა ფარნას, ამ ერთ კაცს ველარაფერს უშველიდა უკვე... იგი ამ დეკორატიულ მცენარესაც წააგავდა, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებიდან რომ ჩამოეტანათ შორეულ წარსულში, ქალაქის პარკში გადმოერგოთ და შევიცარიიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი თუთიყუშით დაემშვენიერებინათ, გათენებიდან დაღამებამდე რომ ეტატყუნებოდნენ ერთ ღროს გამვლელ-გამომვლევებს, ღეთილიილოსთვენიმობრზანებო... ნასუფრალით გაზულუქებული მდაბოს თვითდაჯერებითა და ხელზე მოსამახხურე ბიჭის მოიქვენლობით იყო გაკეთილშობილებული მისი ადამიანური არსი და მწარე სინანულს იწვევდა მიზეზი, რომლის შედეგადაც ასეთი ორგანიზებული პროდუქტი შეექმნა დედაბუნებას.

„... იცით? — უთხრა ერთხელ სამოცდაათ წელს გადაცილებულმა ბერიკაცმა, — ერთ მეგობარს ახალგაზრობაში ჰქუა დავარიგე: ოდეს მარჯვენა ხელი იპარავს, მარცხენამ არ უნდა იცოდეს-მეთქი. ამას წინათ შეგხვდი, მაღლობა მომახსენა, იმ ნათქვამმა ფასდაუღებელი ამაგი დამდრო ცხოვრებაში“.

ფარნა ადამიანებს აკვირდებოდა, თქმულს იმასსოვრებდა, თავისთვის შენიშვნებს აკეთებდა და ცალკეულ ფრაგმენტებს თავს უყრიდა ერთ მთლიანობაში, მაგრამ გვირაბის გაყვანის საქმეს მაინც არ ადგებოდა საშველი.

●
ივლისის პირველი რიცხვებიდანვე ამინდი მკვეთრად გაუარესდა. აღმოსავლეთ საქართველოში სეტყვამ გაავლო მუსრი ასობით ჰექტარზე გაშენებულ ვაზს, ხოლო დასავლეთში წყალდიდობამ მოაოხრა სიმინდის ქანები თუ ბალ-ვენახები. ზღვისპირეთშიც გამუდმებით წვიმდა დროდარო თითქოს გამოიღარებდა კიდევ, მაგრამ ღრუბლის სქელი ფენა მხუთრივით ადგა

ქალაქს თავზე მოთ. ჰაერი დამძიმდა, დედამიწა კი წყლით იყო დამზრალ-დატბორილი. მარგარიტა შეუძლოდ იყო იმ ხანებში, ლოგინიდან წამოდგო-მა უჭირდა, ძვლებს მიმტვრევენო თითქოს, შესჩიოდა თავის ხიზნებს, მუქ-თამქამელეზად რომ მოენათლათ კარის მეზობლებს. ამინდი რომ არ სწყალობდათ, სმასა და არაფრის მაქნის ლაყბობაში კლავდნენ დროს, კამათ-ლებს აგორებდნენ, დომინოს ქვათა ქახაჭუხით იყო აკლებული იქაურობა. ლეინისა და არყის ცარიელი ბოთლები ქვემეხის ჰილზებივით დახვავებულიყო აივნის ერთ კუთხეში. მანსარდიანი სახ-ლი ტალახით გაიტლიზა, როგორც იტყვიან, ობი აუვიდა, ხავსი მოეკიდა. დროებითი ხიზნების განწყობილება მას-პინძელსაც გადასდებოდა, ავადმყოფობას ესეც ზედ დაემატა და სამოთხის ქვრივი კვლავ მარტოობას ნატრობდა. ბოლოს, თითქოს ღმერთმა გადმოხედათ, გამოიდარა და ნანატრი მყუდროებაც მოვიდა. ქალაქმა თითქოს შვებით ამო-ისუნთქა, მანსარდიანი სახლიც დაცა-რიელდა თავისი ხიზნებისგან, ისინი ახ-ლა მთელ დღეებს პლაჟზე ატარებდნენ მწველი მზის ქვეშ.

მარგარიტა დროდადრო წამოდგებო-და ზოლმე, რათა სახლი წესრიგში მო-ეყვანა, მაგრამ რაღაც ორიოდ კვირის განმავლობაში აქ იმდენი ცარიელი ბო-თლი მოგროვილიყო, ძალა აღარ შეს-წევდა, ქვემოთ, სარდაფში ჩაეტანა. ერთმანეთზე უწესრიგოდ ახორხლილი ცხიმიანი თეფშები მაგიდებზე, ფანჯ-რის რაფასა და იატაკზე იყო დახვავე-ბული, ონკანში წყალი არ მოდიოდა, სადღაც მილები დაეზიანებინა ლარტა-ფთი გადმომსკდარ ღვარცოფს. ოთახე-ბიც დასალაგებელი გახლდათ, მაგრამ ნაავადმყოფთარ მარგარიტას იმდენი სად შეეძლო, ერთი მოსმით მორჩენი-ლიყო ამ საქმეს. „ჯანაბას მაგათი თა-ვიც, — ფიქრობდა გამწარებული. — ნეხვშიც ჩამხერჩალან“. ცალკე კიდევ საბინაო ბიუროს ინსპექტორი არ ამ-ლევდა გასაქანს, ქალაქის საბჭოს მიერ

დაკანონებულ საშემოსავლო გადასახ-დის რაღაც პროცენტებს ითხოვდა, სა-სამართლოში გიჩივლებთო, იმუქრებო-და. ამ კაცს ვერაფრით დაეყრდინა, ამდენი „კურორტნიკი“ უსასყიდოდ თუ ათედად ღამეებს მანსარდიან სახლ-ში. მაცალე, პენსიის ფულს ავიღებ და მიგაშავებო, პასუხობდა სამოთხის ქვრი-ვიც. რატომღაც ასეთ წუთებში სიყმა-წვილეში გააზრებული ახსენდებოდა ხოლმე: „უმჯობესია მარტო იყო, ვი-ნემ ნებისმიერთან; უკეთესია უიმედოდ ელოდო, ვინემ გქონდეს და დაკარგო; სჯობს არავის უყვარდე, ვინემ უყვარ-დე სიბრალულის გამო“. ფარნაც გაახ-სენდებოდა, რა თქმა უნდა, უბრად ყოფნის ეამს რომ ფართო სარეცელზე ვეღარ ეტეოდნენ, თითო საბანი ეხუ-რათ და უფსკრული აშორებდათ. ფუ-ლის ყადრი არც ქალმა იცოდა, არც კაცმა. ხელფასის მიღების დღიდანვე, ვიდრე ფული გამოელეოდათ, მათი მო-სვენება არ იყო. სათამაშო დასაქოქ მან-ქანას წააგავდნენ რაღაცით, თანდათან რომ კარგავს სიჩქარეს... ხალისიც იმ-ისდა მიხედვით უჭრებოდათ ხოლმე, რა სიყოჩალითაც ფლანგავდნენ მთელი თვის საარსებო სახსარს. არადა, ერთი უნდა გენახათ, რაში ეფანტებო-დათ ხელფასი: ისეთ ნივთს შეიძენდნენ ხოლმე, არაფრად რომ არ გამოადგე-ბოდათ. გონზე მოსულნი, სიცილით იქა-ტებოდნენ, მაგრამ შეძენილის უკან და-ბრუნება კი ესირცხვილებოდათ. თით-ქოსდა მოსწრება ყოფილიყოს, ერთი ალთას იყო, მეორე — ბალთას. სამო-ვარი სახლში ედგათ, მეორეს ყიდულო-ბდნენ, და ეს მაშინ, როცა ჩაის მუშ-ტარი არც კაცი გახლდათ, არც ქალი. ყავის საფქვავეზე კი, დღეში ათჯერ მაინც გარბი-გამორბოდნენ მეზობელ-თან, არც უფიქრიათ... შამპანურსაც გე-ახლებოდნენ, მერე კი რაღაცაზე წაიკნ-ლავედებოდნენ და ათას სისულელეს უმტკიცებდნენ გათენებამდე ერთმან-ეთს. პეპელას მეზობლის ქალთან სტო-ვებდნენ ამ დროს, ნაშუალამევს გაახ-სენდებოდათ და მოაწოწიალებდნენ სა-

ბანში შეფუთვილ მძინარე ბავშვს ჯაჭლანით. უყვარდათ მსუყე სადილ-ვახშმები, ძვირად ღირებულ ღვინოსაც მიირთმევდნენ ამ დროს, ვახშამზე ხშირად მეზობლებსაც დაიწვევდნენ და მერე კი, უკაპიკოდ დარჩენილები, კარტფილსა და პურზე გადადიოდნენ მორიგ ხელფასამდე. ერთხელ, ფეხსაცმელს ყიდულობდა ფარნა, მარგარიტაც ჩაერია საქმეში, რამდენიმე წყვილი სხვადასხვა ფერისა გამოატანინა გამყიდველს, არჩევის დროს ზომები არეოდათ და, შინ რომ მიდწიეს, ერთი სრული აღმოჩნდა, ხოლო მეორე არც კი მოერგო ფეხზე. ჭერ იცინეს, მერე სულაც მიავიწყდათ ეს ამბავი და, როცა მოგვიანებით გონს მოეგნენ, გამყიდველმა ცივი უარით გაისტუმრა ორივე: ესენი რანაირად უნდა გავასაღოო?.. ხოლო ამათი ზომა ფეხსაცმელი რაღა იქნა, ან კი რანაირად მოხერხდა მათი გასაღება, გამოცანად რჩებოდა.

ბავშვი რომ მოიცილა, მეორე საღამოსვე საოცარი სიზმარი ნახა მარგარიტამ: თითქოს ასე, ერთი წლის ბიჭუნას სიარულს ასწავლიდა. იმანაც უცებ აიდგა ფეხი, გაიქცა, თანაც წინ გადახრილიყო, თითქოს ეს-ესაა, დაეცემაო, ქალმაც მისდია და გაოცებას იყო, სირბილი რანაირად შეიძლოო?.. საღღაც, გავაკებულ მალღობზე იმყოფებოდნენ. ირგვლივ კი ლურჯი ბალახი ხასხასებდა. ბავშვმა ერთიც მოიხედა, გაუცინა დედას და თვალშეუდგამ უფსკრულში გადაეშვა...

ატირებული ქალი ფარნამ გამოაღვიძა, რა სიზმარი ნახეო ასეთი, ბაიკო? მაგრამ მარგარიტას არ გაუმხელია, სიტყვა ბანზე აუგდო. იმ ღამის მერე კი მოსვენება დაკარგა და ქმარს აუხიროდა, ყველაფერში ის დაადანაშაულა, რაზედაც ამ უკანასკნელმა მხრები აიჩეჩა და წყნარად დასძინა: „შენ თვითონ არ ისურვე, თორემ შენ ჩემს შვილსაც გაუგებდი მაშინ, როცა საკუთარიც გეყოლებოდა. ისეთი ქალი არც მეგულება, ქმარი უყვარდეს, ბავშვის გაჩენა კი არ უნდოდეს მისგან“. „ნუ ეჭვია-

ნობ, — უპასუხა მაშინ მარგარიტამ, — შენ შვილიც გყავს და გვირბიცი გავყავს. ყოველივე ნორმაზეა...“ „ეჰ, ძვირფასო, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა კაცმა, — ხელოვნებაში ნორმალური აღამიანი იგივეა, რაც არანორმალური თვითმფრინავის საექსტანსიონო კიდეც ყველა ცოლზე ეჭვიანი ცოლი ყოფილა, ძილშიც კი არ მოგასვენებს თურმე... როდესაც ღვინოსან ნაკარნახევ აზრს ხმამაღლა წარმოვთქვამთ, სულს ვუნაწილებთ თითქოს ერთმანეთს, მაგრამ თუ გონებამ არ შეიწოვა ის, რაც ითქმება, როგორც სილა შეიწოვს მარტილიან ქაფს, რაღასი მაქნისია ასეთი აზრი?..“ „აზრი ზოგჯერ სახალწლო ვასროლას წააგავს, ფარნა, — უპასუხა მაშინ მარგარიტამ, — ყველაზე მშვენიერი აზრი ისაა, რომელსაც იღუმალების მტკვრი ფრავს... აღამიანი რაღაცას ამოიჩემებს ზოგჯერ, მაინცდამაინც ესა და ეს ვარო, მიტკეპნის მერე ამ გზას მთელი ცხოვრება, ველარ გადააფიქრებინებ ვერაფრით“.

ფარნას გული ატკინა ამ სიტყვებმა, თუმცა კი გულშივე ჩაიმარხა ის ტკივილი, რამეთუ მაშინ ბოლომდე არც იყო დარწმუნებული საკუთარი თავის შესაძლებლობებში. გვირბის გაყვანა თანდათან ძნელდებოდა და, რაც უფრო ძნელდებოდა ეს საქმე, მით უფრო ეცვლებოდა აზრი ცხოვრებაზე, ქვეყანაზე, რომელიც ერთ დროს იმ ბალად მიიჩნდა, სადაც ყოველ აღამიანს თავისი წილი ნარი უნდა ეგლოჯა. მაგრამ ქვეყანაც სულიერივით ყოფილა, იმის სატკივარს ისე განიცდის თურმე აღამიანი, როგორც საშოში მყოფი ბავშვი დედის ავადმყოფობას.

დიდი დრო არ გასულა ამის შემდეგ და, ერთ საღამოს, როცა სამუშაოდან გვიან შობრუნებულმა მარგარიტამ მანსარდიანი სახლის კარი შეაღო, რაღაც უსიამო შეგრძნება დაეუფლა, თუმცა კი ჭერჭერობით ვერც კი გარკვეულიყო ამ აღუღებების ნამდვილ მიზეზში. როცა ყველა ოთახი სათითაოდ



დაიარა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ფარნასა და იმის ქალიშვილს სამუდამოდ მიეტოვებინათ მანსარდიანი სახლიცა და მისი პატრონიც. გაიარა ხანა და მარგარიტას ყურამდეც მოაღწია ცნობამ, რომ ფარნას თავისი ბინის გაცვლის საქმე მოეგვარებინა და სხვა ქალაქში გადასულიყო საცხოვრებლად ქალიშვილითურთ. თუ რატომ გააკეთა ეს, მაგარიტამ არ იცოდა, მაგრამ პირველ ხანებში კიდევ ჰქონდა რალაცის იმედი, თავს არ უტყდებოდა, თუმცა საოცრად განიცდიდა ამ განშორებას. წლები გადიოდნენ, ფარნა და მისი ქალიშვილი კი მაინც არ გამოჩენილან ამის მერე მანსარდიან სახლში. მარგარიტამ არც ის იცოდა, დაადგა თუ არა ბოლო-ბოლო გვირაბის გაყვანას რაიმე საშველი, ან იქნებ ცოცხლებში აღარც იყო ფარნა?..

ამ ნაღვლიან ფიქრებს ანაზღად ექსკავატორის მძლავრი გუგუნიც დაებედა და ქალს მწარედ ჩაეღიმა, ექსკავატორი მაკლდაო ახლა. ის ხმაური არც მეორე დღეს განელებულა, მესამე დღეს კი თითქოს ქვეყანა ინგრეოდა, ხოლო საღამოჟამს ზღვიდან მობრუნებული სტუმრები მარგარიტას ოთახში შემოცვივდნენ — სამახარებლო გვერგება და სამახარებლო გვერგებაო, — გაჰყვიროდნენ, ლამის ტაშ-ფანდურა გაემართათ, ულოცავდნენ: ჰა, როგორც იქნა, ბოლო მოეღო თქვენს წამებასო. გავგნებული მასპინძელი ჯერ ვერაფერს მიხვდა, მაგრამ, როცა ვილაცას წამოსცდა მათ შორის, ონა ვარებს ბუდეს უნგრევენო, ყველაფერი გასაგები იყო უკვე, თუმცა არც გახარებია და არც წყენა დასტყობია მაინცდამაინც, გავგნებულს უფრო ჰგავდა ამ წუთებში, ან კი რანაირად წარმოიდგენდა, დაწყებითი სკოლის შენობის დანგრევას თუ შეუდგებოდნენ ოდესმე. მოგვიანებით, საკუთარი თვალთ ნახა ის ნანგრევები, ზღვაურისგან დახეტილი ჯებირის ერთურთზე ახორხლილ კედლებს რომ წაავაგდა. კედლისკენ შებრუნდა და კი-

დეგ ერთხელ მოეძალა ფიქრი, რომელიც ცხოვრებაზე: მისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი თითქოს ამოცანა იყო, რომლის ამოხსნას არ აცლიდა რალაც ზებუნებრივი ძალა, სულ ბოლო წუთებში ჩაფუშავდა ამ შესაძლებლობას და ახალი ამოცანის წინაშე აყენებდა კვლავ. ასე მოხდა მაშინაც, როდესაც ბზიკივით მოუსვენარ გოგონასკენ როგორც იქნა გული მოუბრუნდა და მათ ურთიერთდამოკიდებულებაში ლლობას იწყებდა ყინული. იმ საღამოს დილაშდემ არ მოუხუჟავს თვალი და ცრემლით ალბობდა ბალიშს, იმის შემდეგ, რაც ლოგინში მწოლარე მამა-შვილის საუბარი მოისმინა მისდაუნებლიედ: „მამიკო... — მოესმა მეორე ოთახიდან პეპელას დაფიქრებული, უჩვეულოდ სევდიანი ხმა. სხვა ღროს ასეთი კილო არასოდეს შეუძინებია. მისთვის. ეს სიტყვა, მამიკო, ბავშვისთვის ესოდენ ძვირფასი და სათნო, თითქოს სიზმარში იყო თქმული. პაუზა, ცოტა არ იყოს, გაჰიანურდა. ფარნა არ გამოხმაურებია, უცაბედი ჩარევით არ დავაფრთხოო. — სად არის ახლა დედა?.. „მარგარიტას ქრუანტელმა დაუარა მთელ ტანში. სადღაც, გულის სიღრმეში ელოდა კიდევ ამ კითხვას, მაგრამ ის მაინც მენხის გავარდნას ჰგავდა... და მერე თითქოს საყდრის გუმბათმა გაიმეორა ბავშვის პირით ნათქვამი: „სად არის ახლა დედა?..“

მანსარდიან სახლში ჩქამიც არ გამკრთალა, თითქოს ფარნას პასუხს ელოდა აქ თითოეული საგანი თუ ნივთი. „განა მე შენთვის არ მოთქვამს? — გაისმა ფარნას გაბრაზებული ხმა: — ის ლამაზ ქვეყანაში წავიდა... სადაც არასოდეს წვიმს, არასოდეს თოვს...“ „რატომ წავიდა, მიგვატოვა?“ „ჰო, ღროებით... იქ გველოდება“. „აბა... ჩვენი ბაღის მასწავლებელმა რომ უთხრა ხათუნას დედას, პეპელას დედა მოკვდაო? ხათუნას დედამ კილო ჩვენი ბაღის მასწავლებელს უთხრა, რა საშინელებაო, მართლა?“ „რა, მართლა...“ „სიკვდი-

ლი მართლა საშინელებაა?“ „სიკვდილი გარდუევლობაა, დაიძინე ახლა“. „გარდუევლობა რა არის, მამიკო?“ „ჰმ, გარდუევლობა გარდუევლობაა... არის ისეთი რამ ქვეყანაზე, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს, ადრე თუ გვიან. არსებობს კიდევ აუცილებლობა... მაგალითად, ადამიანი უპაეროდ ვერა სძლებს. გამოდის, ჰაერი აუცილებელია მისთვის. აი, თუნდაც შენ, უწყლოდ გაძლებ?“ „გაეძლებ!“ „უპაეროდ?“ „უპაეროდ? — რამდენიმე წამს ხმა არ გაუღია ბავშვს, სუნთქვა შეიკრა ეტყობოდა, მერე გაღიკისკისა და დასძინა: — ვერა, უპაეროდ ვერა“.

ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ გაუჩინარდნენ ისინი მანსარდიანი სახლიდან.

პირველ სექტემბერს, ჩვეულებისამებრ, ადრე გამოეღვიძა, მაგრამ არც სასკოლო ზარის ხმა გაუგონია და აღარც პიონერული საყვირის ჭყვიტინი. ნანგრევებიდან დახაევებული სიჩუმის სევდიანი სიო ქროდა. მარგარიტას ხიზნები რა ხანია თავ-თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ და ქალი კვლავ მარტო იყო, ოღონდ იმ ნანგრევებიდან, სადაც ერთ დროს სიცოცხლე ხმაურობდა, არც ბურთის ბათქაბუთქი მოისმოდა, აღარც ბავშვების ყიფინა. უკვე არავინ ეძახდა სამოთხის ქვრივს, არავინ ძვრებოდა ლობეზე, ყვავილებს არ უგლგვდნენ, არავის მისდევდა წყევლა-კრულვითა და მუქარის სიტყვებით, არც საჩივრებით იკლებდა განათლების განყოფილებას, რედაქციას, მშობლებს. ყველაფერი ეს წარსული გამხდარიყო უკვე და სიზმრებში თუ განმეორდებოდა.

იმ დღით, გულმა რომ აღარ მოუთმინა, ადგა და ნანგრევებისკენ გაემართა, თითქოსდა დანაშაულს სჩადისო, ცდილობდა, არავის დაეღანდა. კარგა ხანს იბორილა ნანგრევებზე. ირგვლივ კირისა და აგურის სუნი ტრიალებდა. ანაზღად, ბალახებში პირქვე ჩაწოლილ ბიქს გადააწყდა... კარგად რომ დააკვირდა, იცნო კიდევ გამბუ-

ზია. „აქ რისთვის ამოსულა, ნეტავი?.. სიამე მოჰგვარა ბიქის დანახვამ, თვითონაც გაუკვირდა ეს. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მისკენ, თავზე წამოადგა მძინარეს, მაგრამ ხმა კი არ გაუღია, წაქცეული კედლის გორბებზე დაეშვა დაფიქრებული. გაგებული ჰქონდა, ბიქის მამიდა ლოგინად ჩავარდნილიყო, უქანასკნელ დღეებს ითვლიდა და, ბოლო ხანებში, ავადმყოფს მისი ორი უმცროსი და უვლიდნენ თურმე. მეზობლებში ხმა დაიარხა, ღვთის ანაბარად დარჩენილ ავლა-დიდებაზე უჭირავთო თვალი და გამბუზიას მამის, ავადმყოფის ღვიძლი ძმის, ჩამოსვლას მოელოდნენ ერთი ამბით, რადგან ის ორი და, ავადმყოფს თავზე რომ დასდგომოდა ახლა, მამით ენათესაებოდა მკერავს, დედით სწვდასხვანი იყვნენ. ვარაუდობდნენ, რომ დაძმებს შორის დიდი ომი ატყდებოდა ქონების გაყოფის თაობაზე და ეს ამბავი იმათ ცნობისწადილს აღიზიანებდა. დრო გადიოდა, მკერავის ძმა კი არ ჩანდა და არც არავის ჰქონდა იმის იმედი, რომ ის, ბოლოს და ბოლოს, ჩამოაღწევდა აქამდე.

მარგარიტამ კარგა ხანს იცადა, მაგრამ, ეტყობა, ბიჭი გამოღვიძებას აღარ აპირებდა. არადა, მზე ჩადიოდა, ყამი არ აჰყვესო, შეწუხდა ქალი და ჩახხველა. ბიჭი ოდნავ შეინძრა, მერე ისევ განაგრძო ძილი და ცოტა ხნის მერე კი, თითქოს თოფს უმიზნებენო, სწრაფად წამოსწია თავი, მარგარიტამ მიაშტერდა, მაგრამ მისი სახის გამომეტყველებიდან ჩანდა, ისევ სიზმარში იყო და იქნებ მანსარდიანი სახლის პატრონის გამოცხადებაც ზმანებად ეჩვენებოდა, ვინ იცის. ქმერე ბალახზე წამოჯდა და რატომღაც ფეხსაცმელზე ზონარი შეიხსნა, ისევ შეიკრა, თვალეზი კი დახუჭული ჰქონდა ამ დროს და თავჩაქინდრული იჯდა ბალახზე.

— ძალიან ცუდადაა, ბიჭო, მამიდაშენი? — წყნარად იკითხა მარგარიტამ.

— ცუდადაა... — ჩაიბურტყუნა ბიჭმა ცხვირში. თავი არც კი მოუბრუნებია.



— ეგ სვავები რაისთვის მოფეთებულან, თუ იცი? რაო, რაი გვინდაო. მაინც?..

ბიჭს ხმაც არ გაუცია.

— მშვიდად სიკვდილსაც არ აცლიან იმ უბედურს?.. — ვანაგრძობდა კვლავ მარგარიტა, — ახლა გაახსენდათ, არა?! მამაშენი თუ აპირებს ვითომ ჩამოსვლას, ჰა?

ბიჭს არც ამჯერად გაუცია პასუხი. მისი მშობლები რა ხანია ერთმანეთს გაშორებულები იყვნენ. თავ-თავისი ოჯახი ჰქონდათ, ბიჭი არავის ახსოვდა, რადგან შვილებიც ჰყავდათ და საზრუნავ-საფიქრალშიც ყელამდე იყვნენ ჩაფლულნი. ბიჭის ბედ-იღბალზე, იმის აწყმოსა და მომავალზე ზრუნვა სულ შთლად მოხუცებულ მკერავისთვის მიენდოთ... გამბუზიას მშობლები თითქმის არ ახსოვდა და არასოდეს მონატრებია ისინი, მაგრამ დროდადრო გული ჩასწყვდებოდა ხოლმე, როცა რომელიმე თანაკლასელი დაიკვებინდა, მამაჩემი ასეთი და ასეთი კაცია, დედამ ესა და ეს მიყიდაო. ზოგჯერ ეჩვენებოდა, თითქოს მამიდამისის ზედმეტ ტვირთად აწვა და ბევრჯერ გაქცეულა სახლიდან ამის გამო, მაგრამ შინმობრუნებული სრულიად საწინააღმდეგოში რწმუნდებოდა უმაღვე.

მარგარიტა პასუხს ელოდა, ბიჭმაც თავი გააქნია უარყოფის ნიშნად და მხრებიც აიჩეხა, რადგან მას ამ წუთებში მამის ნახვის არავითარი მოთხოვნისა არ ამოძრავებდა. წამოდგა, შარვლის ტოტები ჩაიფერთხა და უსიტყვოდ გაეცალა მისი საცოდაობით გულდათუთქულ მარგარიტას. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, შედგა, თითქოსდა რაღაც გაახსენდაო ამ წუთში. სახეზე ნანგრევის ჩრდილი ეფინა და ნელ-ნელა უბრუნდებოდა სალი აზროვნების უნარი. შემობრუნდა და ქალს დააკვირდა, მართლა სამოთხის ქვრივია თუ მეჩვენებო?.. სახედარეჯილი და საოცრად დაბნეული მარგარიტა რომ შერჩა ხელში, წამშივე გადაავიწყდა თავისი ნაღველი, სიცილი აუვარდა,

ფაშატივით აჭიხინდა და ეშმაკისებულ როკვას მოჰყვა ადგილზე „ჰობლა-ჰობლას“ ძახილით. მარგარიტა წამშივე გამოერკვა, ჯოხსა სწვდა და გამოენთო, თანაც ენის წვერზე უტრიალებდა თავისი საყვარელი წყევლა „გამბუზია, შენ მოუკედი მამიდაშენსო“, მაგრამ ამჯერად არ წყველიდა, რადგან ბიჭს თავად უკვდებოდა ახლა მამიდამისი.



გამბუზიას მამა გასვენების წინა დღით ჩამოვიდა ცოლშვილითურთ. ბიჭი დაფნის ბუჩქს ამოეფარა და იქიდან უთვალთვალებდა. პირველად ბრგე აღნაგობის მამაკაცი გადმოვიდა მანქანიდან, შემდეგ ორი ხოჭოსავით შავი ბიჭიც გადმოჰყვა, გვარიანად დაბნეულები, მამას აეკვრნენ, ის კი გარშემოხვეულ მისამძიმრეებს ხელს ართმევდა და თავს უკანტურებდა, მადლობას უხდიდა ალბათ თანავარძლობისთვის. ბოლოს, მალაჩი, ტანსრული ქალიც შეუერთდა მათ, იმ ორი შეეტუხა ბიჭის დედა, და მერე ჩამოსულებიცა და დამხედურებიც ორთვალაინი სახლაკისკენ დაიძრნენ, საიდანაც ორი დის მოთქმატირილი მოისმოდა ახლა.

თვალეზგაფაციცებულ მებობლობა გამბუზიას დაეძებდა, რათა მამისა და მისი უფროსი ვაჟიშვილის შეხვედრის მოწმენიც გამხდარიყვნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი საფარიდან გამოსვლას არც აპირებდა.

სალამო ხანს მარგარიტამ თვალი მოჰკრა ნანგრევებისკენ მიმავალს, არ ექაშნიკა ეს ამბავი, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბიჭი კი მამაზე ფიქრობდა ამ წუთებში, მათი ჩამოსვლის სურათი თვალწინ ედგა. ერთი წვირილმანი მოსვენებას არ აძლევდა, არ თავსდებოდა, უფრო სწორად, არ ეხმატკბილებოდა კაკლის ძირას გამართულ წარმოდგენას, როდესაც დამხედურები გადაჰპარბებული თა-

ვლადივან ჯოლოვას
სამოთხის ძვრივი



ნაგრძნობით ანუ გეშეზღუნენ მათ შორის მუხასავით ჩამდგარ კაცს და ისიც ისეთნაირად იფერებდა ამ თანაგრძნობას, თითქოს გაუგონარი უბედურება დასტყლო მოდეს თავს მოხუცებული დის გარდაცვალებით, ხოლო გვერდზე გამდგარი ტანსრული ქალი მოთმინებით ელოდა მეუღლისგან ჩვეულ ყურადღებას და, როდესაც მოუღეს ბოლო-ბოლო მოწყალება, გამბუზიამ დაინახა, თვალებით რაღაც რომ გადაულაპარაკა ქმარს იმ ქალმა და იმანაც იმწუთშივე დაუქანტურა თავი მორჩილებისა თუ თანხმობის ნიშნად, ხელკავი გაუკეთა და ხალხს წარუდგინა ცოლი, და თუმცა ამათაც გულითადად მოიკითხეს, იმ გაბღვერილ დედაკაცს არავითარი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია ამ პროვინციელი ცნობის მოყვარეებისთვის, რომელთაც ალბათ ერთი სული ჰქონდათ, გაეგოთ მისი ავანჩავანიც. გამბუზიას კი შაბიტოს ცირკის მომთვინიერებელი გაახსენა ამ წვრილმანმა, ტაჯაგანს, რომ აუქნევს ლომს და აიძულებს, ცეცხლმოკიდებული წრე გაარღვიოს ნახტომით, თანაც თავმოწონედ დაურთავს: „აღუეჰოპი!“

ნანგრევებთან რა ესაქმებაო, — გაცოცხლებას იყო სამოთხის ქვრივი და ჩამავალ მზის სხივებზე თუთრად მოლაპლაპე ლოდზე ჩამომჯდარ ბიჭს მისჩერებოდა, — ნეტა რა ფიქრები უტრიალებს ამ ყურუშსაღს გოგრაშიო. ისიც გრძნობდა მარგარიტას მზერას, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს აინუნშიც არ იყო. მოხუცებული მკერავი რომ დაკრძალეს, იმის შესამე დღეს ისევ დალანდა ნანგრევებზე, მაგრამ ახლოსაც არ გაჰკარებია. მათი სახლაკი ვილაც ვეტქიმს ეყიდა ხელსაყრელ ფასებში, ხოლო აღებული თანხა თანაბრად გაუნაწილებიათ მიცვალებულის ძმასა და დებს. თუმცა კი, როგორც მარგარიტას მეზობლები ირწმუნებოდნენ, ერთ-ერთ დას, თავის თავზე რომ ედო ბიჭის გაზრდისა და მოვლა-პატ-

რონობის საქმე, გაცილებით მეტს ვერაზობდა თურმე.

მარგარიტას ცხოვრებაშიც რაღაც დამთავრდა თითქოს. აივანზე გამოსულს თვალები ნანგრევებისკენ გაურბოდა და ერთხელაც, როცა კარგად ჩაუკვირდა ამ ამბავს, აღმოჩნდა, რომ ის გამბუზიას მოელოდა ყოველდღე, გათენებიდან დაღამებამდე. ამ იმედითლა იყო ამჟამად, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ხეირიანად თვითონაც არ გაეგებოდა, რა აზრი ჰქონდა ამ მოლოდინის მისთვის ან თვით მოლოდინის გამართლებას?..

ყვავილებს შამბნარი მორეოდა, მემეღელის ხელი აკლდა. დიახ, მანსარდიანი სახლის პატრონი, ვისაც ყვავილები ერთ დროს სულსაც კი ერჩივნა, როგორღაც გულგრილი გამხდარიყო მათდამი. ერთხელ ონავარმა ბიჭებმაც ჩახმაურეს ვიწრო ჩიხი, ახალაშენებული სკოლიდან რომ ბრუნდებოდნენ მოკლე გზით, მაგრამ მანსარდიანი სახლისკენ აღარც კი გამოუხედავთ. „წარსულს არავინ უბრუნდება...“ — მწარედ ჩაელიმა მარგარიტას და ნაღვლიანი თვალებით გააცილა ისინი. მეორე დღეს კი, დილით ადრე წამომდგარმა, სარდაფიდან ორი ბოლოდავიწროებული კალათი და თოკი გამოიტანა, თუთის ხეს, რომელზედაც ვენახი იყო გასული, კიბე მიადგა და ყურძნის კრეფას შეუდგა. შუადღემ რომ მოაწია, აივანზე ძლივს აღასლასდა, საკარცხულში ჩაესვენა და მკვდარივით დაეძინა. ძილში მამაკაცების ლაპარაკი ჩაესმა და, თვალები რომ გაახილა, მეზობლის ვაყები დაინახა, თუთაზე რომ ასულიყვნენ და ყურძნის ჰკრეფდნენ. ამ საქმეს მორჩნენ თუ არა, მარგარიტამ საპნითა და თბილი წყლით დააბანინა ფეხები ორივეს, საწნახელში ჩაყრილი ყურძნის ჰყლეტას შეუდგნენ ისინიც, მაჰარი საგულდაგულოდ გამორეცხილ კასრებში დააბინავეს და შარშანდელი ჭაჭისგან არაყიც გამოხადეს.

მუშაობამ ხალისი დაუბრუნა მარგარიტას, ძველი დარდები გაუქარვა, მა-

გრამ დროდადრო მაინც ნანგრევების-
კენ გაუბრუნდა თვალები. გამბუზია არ
ჩანდა ჭერჭერობით, მარგარიტას კი
რატომღაც სჯეროდა, რომ ის უმეპვე-
ლად მოაქითხავდა თავის წარსულს.

შემოდგომის მიწურულს 'მშვენიე-
რი დარები დაიჭირა მთელს ზღვისპი-
რეთში და მარგარიტა მანდარინის კრე-
ფას შეუდგა. ნელ-ნელა საქმიანობდა,
ამჟამადაც ძალიან იღლებოდა, მაგრამ
ეს დალლა პირდაპირ მისწრება იყო
მისთვის: მაძღრისად ჭამდა, კარგად
ეძინა და მთელი დღის განმავლობაში
ჰაერზე ყოფნით ჯანმრთელობა უკაქ-
დებოდა.

... იმ დღეს ვიღაც ბერყეცა ბერიკა-
ცმა შემოალაჯა მანსარდიან სახლში,
პიანინოს ამწყობი ყოფილიყო. თან
ათიოდე წლის ქასურვივით გაღეული
გოგონაც შემოჰყვა, ბოშასავით მზეზე
გარუჭული და დიდთვალემა. მარგარი-
ტას ადამიანთან საუბარი მონატრებო-
და, თანაც ჩინებულ ხასიათზე იყო, თო-
რემ პიანინოს აწყობა სულაც არ აფიქ-
რებდა ამ სიბერის დროს. სასტუმრო
დარბაზში შემოიპატიჟა ორივე, მაგი-
დასთან დასვა და საქმელ-სასმელით გა-
უმსპინძლდა; მერე სარდაფში ჩავიდა,
ცელოფანის პარკი მანდარინით ვაგ-
სო, პარკი ბერიკაცის ფეხებთან დად-
გა და კიდევ შეუესო ჭიქა მაჭრით.
იმან კი კედელზე ჩამოკიდებულ სუ-
რათს ახედა, შუბლი შეეჭმუნენა, თით-
ქოსდა გონებას ძაბავს, რათა სურათზე
გამოსახული კაცის ვინაობა გაიხსენო-
სო. „წინათ ეს სურათი აქ არ ეკიდა“, —
თქვა ბოლოს და გაიღმიჭა. მარგარიტა
დააკვირდა, მაგრამ საცნაური ვერაფე-
რი დაინახა ამ უცნაური ბერიკაცის
გარეგნობაში, შიგადაშიგ გამოცანებით
რომ ლაპარაკობდა და ისეთნაირად ილ-
მიჭებოდა, თითქოს მოგვია და მოსა-
ლოდნელი ბრძოლის ბედს უწინასწარ-
მეტყველებსო გამოცდილ სარდალს.
ბოშასავით სახეგარუჭული გოგონა კი,
რომელიც ვიღაცას აგონებდა მარგარი-
ტას და ვერაფრით გაეხსენებინა, მო-
რიდებულად შეეჭიქოდა საქმელს და

დროდადრო შიშნარევი თვალბეჭ-
მობედავდა მასპინძელს. „ველარ მიცა-
ნი, მარგარიტა?...“ — თქვა ბოლოს ბე-
რიკაცმა. „გიცანი...“ — დაღლილი ხმით
უპასუხა ქალმა და ცოტაოდენი დუ-
მილის მერე დასძინა: „თუმცა ეს რა-
დას უშველის აწი საქმეს...“ უნდოდა
ჩაჰკითხოდა, გვირაბი თუ გაიყვანეო,
ბერიკაცო?.. მაგრამ გადაიფიქრა —
გამარჯვებულისა არაფერი ეტყობოდა
პიანინოს ამწყობს. იმანაც, თით-
ქოს გულისთქმას მიუხედავო, ისე გაიღ-
მიჭა და დამძალი კბილები გამოუჩნდა.
ქალმა სახე აარიდა. „მე ეჭვებს გავეჭეცი
მამინს... — ჩაილაპარაკა სტუმარმა და
ისევ გაიღმიჭა, — ხი-ხი-ხი... სისულე-
ლე იყო, არა? თავმოყვარე გახლდით,
მამაში!“ ამის თქმა იყო და, მამალმაც
მიაყვილა, თითქოსდა კვერი დაურტ-
ყა ბერიკაცს. „ეს ბავშვი ვისია?“ —
იკითხა მასპინძელმა და გოგონას გაუ-
ღიმა, „პეპელას გოგოა, — თავი ჩახა-
რა რატომღაც სუფრასთან მჯდომმა,
მაგიდაზე უმწეოდ დასვენებულ ხელ-
ებს დაჰყურებდა, — ოხერი ქმარი შეხ-
ვდა პეპეს. ბინა დაუფთვე, იქნება მე
ვეუშლი-მეთქი ხელს. ნაქირავებში ვცხო-
ვრობდი. სადღაც რალაცას ხლაფორო-
ობდა, ქვეყნის ვალში ჩამძვრალიყო და
ბინა გაუყიდიათ, იმ ფულით ვალი გა-
უსტუმრებიათ, რაც გადარჩა, გაუნი-
ავებიათ და, როცა არაფერი იყო გასა-
ყიდი, ამდგარა და გაპარულა ის
დამთხვეული. იმან კიდევ, იმ ჩემი
ცოდვით სავსემ, თავი მოიწამლა
და ეს გოგო მე შემატოვა ხელ-
ში... არაყი თუ გაქვს სახლში?“
„ჰა?... — ვერ გამოერკვა უცებ სამოთ-
ხის ქერივი, — რა მკითხე?“ ბერიკაც-
მა არ უპასუხა, თვალზე მომდგარი ცრემ-
ლი შეიმშრალა დამქანარი ხელისგუ-
ლით და ისევ გაიღმიჭა. „არ გათხოვი-
ლხარ იმის მერე?...“ ამჟამად მარგარი-
ტას არ გაუღია ხმა, პეპელას ქალი-
შვილს მისჩერებოდა. წყნარი, მოკრ-
ძალეებული გოგონა იყო და სევდიანი
თვალეები ჰქონდა. მერე ჩურჩულით
თქვა: „ღმერთო, რამდენ ბავშვს აკლია



ამ ქვეყანაზე მშობლის ალერსი“. „აწი ჩემთვის სულ ერთია, — ხელი ჩააქნია ბერიკაცმა და დუქი მოადგა პირზე, ხი-ხი... მაწანწალა გავხდი, მაგრამ არიან თავმოყვარე მაწანწალებიც, თუმცა კი ნათქვამია, ძონძში გახვეულს პიგმეოსის ქარიც განგმირავსო, — მარგარიტას გაახსენდა, არაყი რომ ითხოვა სტუმარმა, პატარა დოქით გამოუტანა და დაუსხა. იმანაც გადაჰკრა და თვალები აუქუქუნდა, ტუჩი მაჯით მოიწმინდა და დასძინა: — ცხოვრებაში ან ფული უნდა აკეთო, ანდა სახელი. სახელის გაკეთებას ნიჭი უნდა, ფულის გაკეთებას — მოხერხება. თუ არც ერთი გამოგდის და აღარც მეორე, თავი უნდა მოისულულო და იოლას ვახვალ, ოღონდ ეს საქმე ყოველდღე უმი კარტოფლის ჭამას უდრის, ხე-ხე...“ „იქნებ სხვა გამოსავალისთვის მიგეკვლია, — უთხრა მასპინძელმაც, — ალალი შრომით ნაშოვნეი ლუკმა გემრიელია“. „ვცადე, ოქრო, — ისევ ვაიღმიჭა ბერიკაცი, — მაგით ფული არ გაკეთდება“. „მაგით ცხოვრება კეთდება!“ — გაცხარდა უცებ მასპინძელი. „ცხოვრება რაა, სარჩული?... იგი შენშია, ირგვლივ რაღაა — ათასობით მიზეზი... ხოხვა თუ იცი, ცაში ავაფრენენ, მაგრამ გამორჩეული მხოხავი თუ არ ხარ, ზედაც არავინ შეგხედავს“. „ერთ დროს არავის ეპუებოდი, ბერიკაციო!“ „ჰმ, ერთ დროს... ერთ დროს სიყვარულიც მჭირდა, ოქრო“. „სიყვარულში სიკვდილი სჯობს, სიბუღვილში ჩაბერებას“. „ეჰ, პატრონი მეც გამომიჩნდა ერთ დროს. ჩინებულად ვისულელებდი თავს, ვაცივებდი და ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყვებდა, მაგრამ ერთხელ სიცილში გაუჩერდა გული და საცაღადო ჰოკვდა ტირილით დაბადებული. გოგრა-მსხალივით მიცვივა ეს ხალხი უნელში, ვიცინოთ, სხვა რაღა დაგვრჩენია. ჰო, ყბები მტკივა სიცილისგან, ოქრო, მუხლები — ხოხვისგან, ჯიბეში კი მაინც თავვები მიათამაშებენ“. „უკვდავებას ებლაუჭებოდი, ტაკიამასხარა კი გამხდარხარ“, — უთხრა

მარგარიტამ, მაგრამ ბერიკაცს წყნება სულაც არ დასტუბოდა, ისევ იღმიჭებოდა და არაყს ულურწავდა.

მარგარიტამ ჭიშკრამდე გააცილა ბაბუა და შვილიშვილი. ბერიკაცი ძლივს მიათრევდა მანდარინით გაძიძგულ პარკს, ბავშვს კი უკან-უკან რჩებოდა თვალები და სამოთხის ქვრივს თითქოს გულში ძარღვი ჩასწყვიტა ამ მზერამ. ის, რა თქმა უნდა, ჩინებულად მიუხვდა ბერიკაცს, ქარაგმებით რომ ლაპარაკობდა და სინამდვილეში კი თავშესაფარს ითხოვდა მანსარდიან სახლში, მაგრამ მარგარიტამ კუშტად მიუგო: მკვდრები არ ცოცხლდებიან, ბერიკაციო... გულში სინანულს გრძნობდა ახლა, თუმცა კი, როცა სალი გონებით აწონ-დაწონა ყოველივე, მიხვდა, რომ სწორად მოიქცა. „უგულო ყოფილხარ, — მაინც უსაყვედურა საკუთარ თავს, — ანგელოზი არ შეიკედლე“. და ისევ გაახსენდა ბავშვის სევდიანი თვალები, წასვლის წინ დარჩენას რომ იმუდარებოდნენ.

ამ შეხვედრიდან კვირის სწორს, შუადღით აივანზე გამოსულმა, გამბუზო დალანდა ნანგრევებზე. ნანგრევებზე გარინდებული ბავშვი ქანდაკებას ჰვავდა, რომელიც უფრო მეტ გულისხმიერებას ითხოვს ხმაურით თავგაბეზრებული ქალაქელებისგან. თავის გადაწვეტილებაში ღრმად დარწმუნებული მარგარიტა თამამად გაემართა ბიჭისკენ. ის ქვემოთ ჩამოსულიყო და ახლა ისევ იმავე ლოდზე იყო ჩამომჯდარი. „გამოიპარე?...“ — ეკითხება წელზე დოინჯშემოყრილი.

ბიჭმა ცნობისმოყვარედ ახედა, თქმით კი არაფერი უთქვამს, რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო. „სწორადაც მოქცეულხარ!“ — შეუქო ქვევა მარგარიტამ და გადაიხარხარა. ბიჭი ეჭვით მიანერდა, მაგრამ საეჭვო არც ნათქვამში იგრძნობოდა, არც სახეზე ეტყობოდა სამოთხის ქვრივს... „ჰო, მართლა, — განავრძობდა თავის სათქმელს ერთობ გადასხვაფერებული მარგარიტა. — პატარა სიმძიმეა ასაწევი, მარტოკა ვე-

რას გავხდით, ხომ არ წამეშველებოდით?..“

ბიჭი უგულოდ წამოდგა, ხმის ამოუღებლივ გაჰყვა ქალს, რომელმაც მართლა გაიჩინა რაღაც საქმე, რათა ბიჭი იმის თხოვნის სიმართლეში არ დაექვებულიყო. საკუჭნაოდან რომ გამოჰქონდათ რაღაც უსაშველოდ მძიმე ყუთები, მაშინლა შეამჩნია თუთის ძი-რში პატარა ლოდი წარწერით და წყნარად ჩაეკითხა მასპინძელს, ეს რაღა არისო?.. „ხაფიჩიას სამარეა“, — უპასუხა იმანაც, ისე რომ თავიც არ მოუბრუნებია, მერე დასძინა: „გაწვიმდება ალბათ, წვიმს უკვე...“

ის ყუთები ლურსმნებითა და ხელსაწყოებით ყოფილა თურმე დატენილი და ხელმისაწვდომ ადგილას გადაჰქონდათ, რათა ხელოსნისთვის საქმე გაეიოლებინა. სახლის შეკეთებას აპირებდა, ზამთარი კარზეა მომდგარი, უნდა ვიჩქაროო. ოფლად გაიღვარნენ და, ის იყო, თავსხმამაც დაუშვა, მაგრამ მუშაობისთვის თავი მაინც არ ძიუ-ნებებიათ, ახლა ფიცრებს ეზიდებოდნენ. საცა საქმეს მორჩნენ, ქალმა ცხელი აბაზანა გაუმზადა ბიჭს და, მიუხედავად მისი გაოჩნებისა, მაინც აიძულა, ტანი დაებანა, ხოლო მისი ტანისამოსი გარეცხა და გასაშრობად გამოკიდა აივანზე.

ბიჭს ხალათის ბოლოები იატაკზე ეთრეოდა და მარგარიტა ძლივს იკავებდა თავს სიცილისგან. ვახშამს შე-

ექცეოდნენ და უცებ მარგარიტა ატე-უჯუნდა, ლუქმა ყელში გაეჩხირა, წყალი გადაყლაპა და სიცილი აუტყდა. ბიჭი გაოგნებული შეჰყურებდა მარგარიტას, რომელსაც ხმაც ჩაუწყდა და ცრემლები ღრუბლებით გადმოსდიოდა თვალთაგან. მასპინძლის ხალათში ჩაკეტილი ბიჭი ვერ მიმხვდარიყო, იცინოდა თუ ტიროდა სამოთხის ქვრივი. ორივე შემთხვევაში მართალი გამოდგებოდა: ქალი კიდევაც იცინოდა და კიდევაც ტიროდა. მერე გულში ჩაიკრა გაოცებული სტუმარი, ცირკის ჯამბაზს რომ მიაგავდა ახლა და ლოცვასავით ეჩურჩულებოდა: „მითხარი, ხომ არასოდეს მიმატოვებ? ხომ არსად გაიპარები? გემუდარები, სიმართლე მითხარი...“

ბიჭმა თავი გააქნია უარის ნიშნად, მაგრამ ქალმა კერ გაიგო, ეთანხმებოდა თუ პირიქით, უარყოფდა იმის წინადადებას: „ხმამაოლა მითხარი, ხომ არასოდეს მიმატოვებ, ხომ არსად გაიპარები?..“

— არა... — ჩაიბუტყუნა დაფიქრებით ბიჭმა, — არასოდეს არ მიგატოვებ... ღვიდა მარგარიტა.

და სამოთხის ქვრივის გაღეულ მკერდზე საკრავად ბიჭს ბედნიერების ცრემლით გაუბრწყინდა თვალები. ტიროდა მარგარიტაც, ხოლო ეზოში წვიმას რა ხანია გადაეღო და ახლა ნოემბრის მზე კრიალებდა ფანჯრის ნასვრეტებიან ფარდებში.



გიგი ძნელაძე

გ ა მ ხ ნ ე ჯ ე ბ ა

„...გულო ჩადეჲ საგულესა.“

წალმა მიბრუნავს, ჯერჯერობით,
სსეულში სისხლი,
(ზოგთა სსეულში
სისხლი თურმე
უკულმა ბრუნავს).
მე გლალატობდი! —
გულმოსული ხარ ჩემზე, ვიცი,
როგორც გეკუთვნის,
შენზე, გულო,
ახლაც ვერ ვზრუნავ! —

გულო, შენ ჩემო საწყალო გულო,
ძველი ჭრილობით დაწყულელებულო,
მამულის გულთან დაწყვილებულო,
წინაპრის სისხლით დარწყულელებულო,
მოთენთილო და დამწუსრებულო, —
არ მოგაკარებ აწი ცივ ნიავს,
(რალა დროსია!..)
არ წახდე, გულო,
მე აგერა ვარ, —
ნუ გეშინია!..

ცხრამთას იქითაც სიხარულის მიზეზად კვარა

I

განა იმიტომ, რომ ჩემია?..
ამიტომ — არა:
კარგია ისეც — თავისთავად, —
სვეტიცხოველი!..
ცხრამთას იქითაც
სიხარულის მიზეზად კვარა!
აქ — შუა ქართლში? — ნუღარ
იტყვი!..
დაუცხრომელი,
დაუდეგარი სული სუნთქავს
კედლებსა შიგან, —
ვით ნიკორწმინდის თაღქვეშ ქლერენ
წრფელი ხაზები...
რამდენ ქარიშხალს გადაურჩა,
რა ცეცხლს და გრივალს, —
ამ ხილული და უხილავი
სილამაზეთი!..

II

და გალაკტიონ, ერთი ლექსით,
ამაყი ლექსით
უნდა შეგეჲო შენებურად
სვეტიცხოველიც!..
თორემ... ეს ლექსი, ჩემი ლექსი,
ამინდს ვერ შეცვლის, —
მწამს: მოვა კაცი,
კაცურ სიტყვას ეტყვის რომელიც!..
სვეტიცხოველი! —
თვითონ ლოცვა და თვითონ ზეცა,
აუტაცნია სწრაფვის წადილს, —
მზეზე დაგემილს!..
ხედავ? —
ბალახის ღერი მიაქვს ნისკარტით
მერცხალს, —
(ბუღისთვის, ალბათ!)
სვეტიცხოველის მყუდრო თაღებში!..

ბრაზანი — არც თუ ისე უსაუზაკლო..

ისე ეპყრობა სული სხეულს,
ვით თრია — წიწილს:
დაჰფლეთს, დასჯიჯგნის,
სისხლს გამოსწოვს და მიატოვებს;

ამ ქვეყანაზე ზოგი რამე
მარტო მე ვიცი,
მარტო მე მესმის.
მე — მხოლოდ მე.
მხოლოდ მარტო მე!..

ო, რა მაცდურად ჩაიარა ჩემმა ცხოვრებამ!..
ნუთუ თავიდან არაფერი არ დაიწყება!..
რაც დამავიწყდა — ყველაფერი მემახსოვრება..
რაც მახსოვს ალბათ ყველაფერი დამავიწყდება!..

წუთო, წუთო, —
ერთი წამით შეჩერდი...
წამო, წამო,
ერთი წუთით დადექ!..
შე, ჩერჩეტო,
სხვა ვერ ნახე

ჩემს მეტი? —
რას დამჩხავი:
წამო! წამო! წამო!
...
„— რა ლამაზად ჩამომდგარა
გიორგობისთვეო!..“

დიდი-დიდი, — რომ გავიდა
იმდენი დრო კიდევ გავა, —
და... ავიკრავ გუღა-ნაბადს,
მეც შორეულ გზაზე წავალ...

სულ სხვა წყალი!
სულ სხვა ჰავა!..
ეჰ... არ ვიცი,
როგორ გავძლებ
აქაობის უნახავად!..
წინ — იარე,
სანამ გნებავს...
უკან? — უკან — უკაცრავად!..

სულ სხვა ზეცა!
სულ სხვა მიწა!

სტრიქონი რომ ვერ გამართო —
სად წაუხვალ სირცხვილს;
პოეტობამ არა მარტო
სიამაყე იცის...
სხვაზე უფრო ვიცი ჩემი
კარგიცა და ავიც,
ეჰ, რამდენჯერ შემრცხვენია
საკუთარი თავის,
შემრცხვენია,

მიფიქრია:
— ეჰ, ძნელია, ძნელი —
ლექსის წერას მოანდომო
ბარე ათი წელი,
გულში მაინც ხინჯად გქონდეს
უკმარობის განცდა...
...
რუსთაველი იყო ქვეყნად, —
რა უნდა ჰქნა კაცმა!..

სიზმარში ვარ თუ... ცხადში ვარ!
მიწაში ვარ თუ... ცაში ვარ!..
მიწაში თუ ვარ —
ზევიდან
რატომ დავეურებ მიწას?!
თუ ცაში ვარ და —
ქვევიდან
რატომ ავეურებ ცას?!

...სად არის ახლა ფილიპე!
სად არის ახლა ქიცა!
წადი! — მონახე ბიჭები,
რას ელოდები, რას!..
თუმცა, მუხრანის არ იყოს,
დიდხნის წინ რომ თქვა:
— თუ ძმა ხარ, სხვისი სამარე
ვინ ამოავსო სხვამ!..

ქველი სურათი

მარტო მე მაქვს ეს ხელობა, —
ჯადოქარი გახლავართ!..
გინდა? წისქვილს დაგანახებ...
ა, ბატონო, — ახლავე:
— წელში მოაკავეულ დედაბერს
კალოში ჩარჩა ტალახში, —
აგე, თხმელებთან...
ხო სედავ!
წყაროს ახლორე... ხევი...
ჩიფჩიფებს... გესმის?..

ძაგძაგებს...
ხედავ? — შეველას გთხოვს!
გადახტი!..
ვერც წინ მიდის და ვერც უკან...
ონრავს... ბუტბუტებს... ხენემის!..
...
დაგპირდი და... წისქვილი
დაგანახე ძამიკო...
ბრმა თუ არ ხარ, დაინახავ
ბრმა თუ ხარ და, რა გიყო!

ჯურხა ნადირაძეს

ლექსი რამდენმა მოგიძღვნა,
პოეტმა — ჩემმა ძმამაო,
შე ლომო კაცო, ქართველო,
კარგო შვილო და მამაო;
ჯურხაი, ნადირაძეი,
არვის უქია ამაოდა,
ჩემგანაც გული გაგიტბოს
კეთილი სიტყვის თქმამაო!..

გამორჩეული კაცი ხარ,
სულმდიდარი და ტანსრული,
შენს აღმოჩენებს, ჯურხაო,
ნუმც დასდებოდეს სასრული,
ბნელს ისრე გაანათებდე,
ვით მზე — ჯურღმულში ჩასული,
ჯურხულად ამოამწვევე
ჩვენი ამაყი წარსული!..

შენ რა საქმესაც ჰკიდინხარ,
ჩაპლიმილ-ჩაცრემლღვარებით,
მე იმ საქმისა რა მესმის,
მიწაზე ძლივს ვარ მარები;
ახლა შენ ღმერთი გმფარველობს, —
გახსენ სამოთხის კარები,
იქ როცა ერთად ვიქნებით,
მე მაშინ მოგეხმარები!..

გეშის, გუმანის კაცები
უმრავლოს მამულს შენსებრი;
და როცა მიწას მადლიანს
თავის დროს ჩავესესნებით, —
მიწას, — ღვთისმშობლის
წილხვდომილს, —
როცა ჩვენც ჩავეფესვებით —
მჯერა: ორივეს ლამაზად
გაგვისსენებენ ლექსებით!..

მე რატომღაც არ მჯერა
(შეიძლება ვცდებოდე!)
მკვდარი ცოცხლდებოდეს და
ცოცხალი არ კვდებოდეს!..

უკ, ბოდიში, — პირიქით
(იქნებ ახლაც ვცდებოდე!)
ცოცხალი კვდებოდეს და
მკვდარი... არ ცოცხლდებოდეს!..

ზამთრისპირი

ცა იყურება მწყრომარედ,
ქარი ქირქილებს ვერანი,
ქედზე ღრუბელი მიბობლავს,
მზის აღარ ჩანან ჩქერანი;
აღარცა ჩიტნი მღერიან,
არც ხასხასებენ ველაწი,
ტყვიის ფერანი გამხდარან
დღეები ოქროს ფერანი;

ჭალაში ყინვა ჭიხვინებს —
უჭმელ-უსმელი მერანი,
თოვს და ბალახნი კვირობენ:
„— რა ფერებია, ე, რანი!“ —
ბოლკენ მაღალი ბუხრები,
გიზგიზებს თბილნი კერანი, —
იმედად ისმის სოფელში
გადამღერ-გადმომღერანი!..

ჩ ი ტ ი

როგორც დავდივარ! ისე დაფრინავს...
(უცებ ჩამოჯდა ხეზე)
— როგორც დავფრინავ — ისე
დადისო, —
ის ჩიტი ფიქრობს ჩემზე!..

ნეტაი სიზმრად მაინც მაჩვენა, —
ვისი სისხლია პირადად ჩემში:
თუ იდიოტის, — ვაჰ, ჩემს გაჩენას!
თუ გენიოსის, — მით უარესი!..

იველი გზაზე — ღაპით!..

ქარი ჰქრის და ჰქრის და თან სცრის
მარტო მივალ გორმაღალს...
გზაზე მოდის ვიღაც კაცი, —
გაუმარჯოს მომავალს!..



მიხეილ გავაშელი

მიხეილ გავაშელი არ არის ახალგაზრდა პოეტი. იგი წლების განმავლობაში ჩუმად „თავისთვის“ წერდა, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა საკუთარ მოწოდებას.
„ცისკრის“ რედაქცია იმედოვნებს, რომ მისი სახით ქართველი მკითხველი ხაინტერესო პოეტს გაეცნობა.

არა მარტო ამომავალ
მზეს,
ვალმერთებ შებინდებას —
მოქანცული დედა ჩიტი
ბუდეში, რომ შეფრინდება.
ძეწნები და ალვისხენი
თავს, რომ მოიმძინარებენ.
როცა ვინმე წყნარად მღერის,
ნიჩბებს უსვამს მდინარეზე.
ღამურა რომ ბუდეს ტოვებს

მთვარის შუქი ფერდობს ათოვს.
სიჩუმე და სიმყუდროვე
უცნაური ძალით მართობს.
ჩარბილდება, ჩამუქდება,
ყორნისფერად სდღაბნის სოფელს.
ვეძებ რაღაც გაუგებარს,
ვეძებ რაღაც შეუცნობელს,
ნახვა მინდა უნახავის,
სულსწრაფვაა რასაც ვნატრობ.
მათრობს ჩქამი შუალამის...
მზეს ვალმერთებ არა მარტო.

აგაღლება

თავზე მუზარადი.
ტანზე ბექთარი,
სამშობლოს უდარაჯე,
იყავ მედგარი,
ინებოს უფალმა
შიშველიც დარჩე.
უფრორე, უფრორე
იყავი მარჯვე.
რომ შთამომავალიც
გეყოლოს ასლად.
შეგეძლოს ალაღად
საფლავში ჩასვლა.
ჭირში თან გიახლოს
მალაღმა ღმერთმა.

ამინ, აგვამალღე
ათასი ერთმა“
ჩვილს და სახენათელ
გაჩხიბულ ცოტნეს
ასე ებუტბუტა
ქსელთა ხსნის მცოდნე
მაშინ გადმოხედა
უფალმა ზენამ
დასტურ, რომ ნათელი
მოედო სენაკს.
მერე ეს ნათელი
ხსოვნაში დარჩა
დროშად საქართველოს
მზით ნაფენ ფარჩად.

ღეგეგა

დაშრება წყარო ლიკლიკა,
ჭკნება ფოთოლი რიგრიგად.
თანდათან ჩამოღამდება,
დარდი მეწვევა შიკრიკად.

შავი ურჩხული მობობღდა,
ჩაქრა ჩახჩახა ნათურა,
კაცისსახიან ობობამ
ხელეღი მომიფათურა.

არც წყარო. აღარც წყურვილი
არსობის პური გაზიდა.
დუმს ისტორიის ყურმილი,
გამოვეთიშე ხაზიდან.
ისევ ზესკნელმა მიშველა
თოვლყინულეთის ყამირმა.
ყურმა ყეფს, ყურმა გიშურა...
მაშ ცოცხალია ამირან...

აპა და გადავრჩენილვარ,
ქვესკნელმა პირი მოკეტა.
იცოდა დარდმა მშვენივრად
ვის ფერხითთ დამაჩოქებდა.
ვემთხვეი გულჯავარიანს
თავი მეომრად მეკეთა,
მოვდივარ, მომიხარია
და დროშად მომაქვს ლეგენდა.

უკვდავი ქვეპი

ხავსიანი ქვა რომ გდია,
ბებრის ციხის ხნის ტოლია.
ის ქვა დარჩა პაროდიად
ბებრის ციხის ისტორიას.
კედელია ყველა ლოდი,
ბურჯი უპირველეს ყოვლის.

სვეტიცხოვლის ძირში რომ დევს.
ის ტოლია სვეტიცხოვლის.
ქვა, როს ხავსში ილუშება,
ის ქვა მერეც არა კვდება,
ათას წლობით იყურებს და
მაინც ალაპარაკდება.

რითაც არ ვხნავდე, მოვიწვევ

კუთვნილს
ხელკავით, ბარით, თოხით თუ გუთნით.
ხურაზნით ხუთნი, მოვიდნენ თუნდაც
ნაცრით სავსე მაქვს იმათთვის გუდა,
აგერ მოდიან ოსნი და დვალნი,
არ ვიცი სტუმრად, არ ვიცი გავლით.
ამ სიღარიბეს დაუდგეს თვალი,
მაინც წავლიან თავის გზით მთვრალნი,
განძს, როდი ვმარხავ ორმოში თუნგით,
ასს ვუმასპინძლებ პუროვნით თუ გინდ
ან რეტდასხმული წავა ვით ჭუკი,
დაიმსახურა მომსვლელმა თუ კი.

ხართვისი

ხერთვისი ბურუსში ჩაძირულა
მე ვარ და კლდეები მარჯვნივ.
უფალო, თვალს რადლა მილულავ
ან მათი გახელით რად მსჯი?
„შიგნიდან ჭვრეტაა მთავარი“: —
თითებით ქაჩალ თავს მვარცხნი.
მაშინაც, უკან რომ ვბრუნდები,
მდინარეს მივყვები მარცხნივ.

შიგნიდან ჭვრეტაში ეტევა,
უსაზღვრო სივრცე და ჟამი.
ხომ საუკუნეზე მეტია
ელოდი, რაც ნახე წამით.
ათ საუკუნეზე მეტია
ქარები ჰფიტავდნენ ლოდებს.
ამ ბინდში რომ ამოსვეტილა
მტკვრისაგან ნალოკი კბოდე.

შიგნიდან უჭვრიტე, ყმაწვილო,
ამ ქვებზე ვიტყოდი „ამათ“.
რომ იყო მათივე ნაწილი,
სიცოცხლე მიგაჩნდეს წამად.

შიგნიდან რაც გემახსოვრება
ვერც წვიმა, ვერც ცეცხლი წაშლის —
ასეთი მყარია ცხოვრება,
რომელიც ეტევა წამში.



შენ მეუბნები გამაგრდი, გასძელ,
შეგისრულებდი, კეთილო, სურვილს
მე კი ისეთი სიმძიმე მაწევს,
ვისრისები და ძლივს მიდგას სული.
უკეთეს დღეებს ვიხსენებ ხოლმე,
რომ მომერიოს თვალებზე რული.

შესუდრულია ვარსკვლავთა ხომლი,
როს აპათია შემიბყრობს სრული.
ამოძრავდება დინება ვიდრე,
ვიდრე ხმაურით ამავეებს ჩქერი.
ბლანტ და უგუნურ ყოფნაში მითრევს
განუჭვრეტელი ჯურღმულის ფსკერი.

ნაკვიანავი სინაული

მაშინ მიყვარდი, მიყვარდი ძლიერ,
მიკვირს, საწყალმა რა ცეცხლი ვძლიე
იმ წმინდა ცრემლებს სიცოცხლე
ვძლიე
იმ წმინდა ცრემლებს სიცოცხლე ვანდე,

ვანთებ იმ კოცონს და ველარც ვანთებ,
ვწუსვარ და ვიცი ამაოდ ვწუსვარ —
ველარ ავანთებ გიზგიზა ბუხარს.
ვწუსვარ და ვყვირი: ჩააქრობთ ნულარ
უყვარდეს. სწვაფდეს ვისაც ვინ უყვარს.





შვიდი თუმანი

მოთხრობა

ამ ამბის მოთავე ვაი იყო. ერთხელ, დიდ შესვენებაზე, ვიამ ხუთი თანაკლასელი ბიჭი სკოლის სხვენზე აგვიყვანა, სათითაოდ აგვხედ-დაგვხედა და გვიტხრა:

— შვიდი თუმანი უნდა ვიშოვოთ! მერე პირთან მიტანილ მარჯვენა ხელის შიტუპებულ თითებს ენა აუსვა, გადააპურკუა და უფრო აუწია ხმას:

— ორი დღე მოგვეცეს ვადა. ზეგ უნდა ვითამაშოთ. გაიგეთ?

— არა, ბიჭო, ვერ გავიგეთ!
— რა გაგება უნდოდა: რაც ვიამ ვითხრა, ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო.

— ფული?
— ვაი წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი უსიტყვოდ გაიარა-გამოიარა და ირაკლისთან შეჩერდა.

— რა თქვი?
— ფული? ფული სად უნდა ვიშოვოთ?

— ანთიმოზთან.
— ვისთან?

— ილოს მაშინაცვალ ანთიმოზთან.
— ვაი შეიშარბა და ჩვენი ენაბლუ ისტორიის მასწავლებელივით სვენებ-სვენებით ამოილულ-ლულა:

— უკელო გზა რომში კი არა, შაშუბეშა ანთიმოზის უვითელი ჩემოდნისკენ მიდის! სწორედ რომ ასე იყო.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ისევ სხვენში ავსაგდით. შვიდნი ვიყავით. შემოამატებული ილო კუთხეში დამხობილ გაბვრტილი ვედროზე იქდა, გულხელი დაკრიფა და გაოცებული შემოგვეცქეროდა.

უვიცინანი ბიჭი იყო ილო. თმააბურძგნლი, დაბალი, მიღუული, ბეჭებში წახრილი.

წინა წელს, როცა მეექვსე კლასში ვიყავით, ილოს ქვრივი დედა მეორედ გათხოვდა და ვიღაც ელაში ანთიმოზი მიიყვანა შინ.

აირია მონასტერი.

აქამდე ყბედი ილო თანდათან დამუნჯდა, დაიბოღმა, უჩვეულოდ მჭრთხალი, კუშტი და გულჩაბრობილი გახდა.

გაგვიბოდა. გვარიღებდა ნადღლიან სახებს და გაგვიბოდა.

მიჭდებოდა კუთხეში, მერსზე დაყრილ ხელეზში ჩარგავდა თავს, აღარც ხუმრობდა. აღარც მღეროდა, ფიქრებში წასული. აღარც თინათინ იზაშვილის უძირო თაფლისფერ თვალბზე ასველებდა სიტყვას...

ერთხელ, გახვითქული ილო პენებ-პენებით მოქანდა სკოლაში.

გვიტრიალა, ითმინა, ითმინა და ველარ მოითმინა.

მიგვლავდა კუთხეში, აილო თავი, წაუსტვინა და ძველებური კრეკა-კრეკით ამოღერდა:

— ბიჭებო, ანთიმოზის უვითელ ჩემოდანში ფულებს მივაგენი...

ეს იყო. იმ დღის შემდეგ ფულზე კრინტი არ დაუძრავს. არც ჩავძიებოვართ. რაში გვეპიტნავებოდა, ილოს მაშინაცვალი შაშუბეშა ანთიმოზი სად და რა ფერის ჩემოდანში აგროვებდა ფულებს...

ცრიდა.
— დილიდანვე უმურო ამინდი დაიჭირა.

უნა ქარმა იმლაჯრა. სხვენის ღრიკობეში წამდაუწუმ ზული-ზულით შემოქუშუტუნებდა სუსხი.

— გავაბოლოთ! — ილოს გვერდით ჩამოშქდარმა ვიამ გულსჭიბიდან პაპირისის ნაშწვი ამოილო. რამდენჯერმე შისრის-შოსრისა და სხვენს მიმავლო თვალი.

ირაკლი იდგა, ვივი ჩაცუცქებულყო, ჭონდო ბოლთას სცემდა, ნოდარი და მე კუთხეში მიყრილ აკოკოლავებულ მერხებზე ვისხედით.

გავაბოლოთ.

— იუზგარ, — წამოიწყო ვიამ და ილოს გაბედა. — წიდან ოცდამეთოთხმეტე სკოლის ბიჭები შემხვდნენ, ჩვენთან მოდიოდნენ.

— რა უნდოდათ?

— ფული გვაქვს და მოვრიგდეთო.

— რაზე?

— შენ რა, ტყემაღლე ზიხარ?

ილო ისევ პირქვედამხობილ ვედროზე იქდა.
— გახსოვს? — ვიამ პირიდან გამოშვებულ თოთუნის კვამლის რგოლებში გაფშეკილი საჩვენებელი თითი გაატარა, — ხო გახსოვს,

ბოლოს რო ვითამაშეთ, გუნდის კაპიტანმა ჩარლიკამ რა თქვა?

— რა თქვა?

— ამის შერე ფულზე უნდა ვითამაშოთო. თქვა თუ არა?

— თქვა.

— გცოდნია და, რალას მებარბები!

იცოდა, ილამ კი არა, მთელმა ჩვენმა კლასმა იცოდა, ქარაქუცა ჩარლიკამ დაქაღნებით რომ გვითხრა, — ამის შერე ფულზე უნდა ვითამაშოთო.

ბოლო ხანებში სოლოლაკში წაწალი ავიჩემთ.

გავაძღვინეთ გაკვეთილებს, დავიხვეტებოდით, ავლაგებოდით მარუთიანთ უბანში და ოცდამეთოთხმეტე სკოლის ბიჭებს დახარებულეზივით წამოვადგებოდით თავზე.

— მოხვედით?

— მოვედით.

— ვითამაშოთ?

— ვითამაშოთ.

ვითამაშობდით. უყვინ-უყვინით დავედვდით ხანახნეროდ ჩაჩუტულ ბურთს და ქანცის მიღევამდე არ ვეშვებოდით.

კარგი ეზო ჰქონდათ, მოვლილი. ჩვენი სკოლის ეზოსავით პატარა და ოღროჩოღროს კი არა — ფართო, გრძელი, სწორი, მზიან ამინდში ყოველთვის საგულდაგულოდ მორაწყული.

პირველი თამაში მოვიგეთ. მოვიგეთ და ოცდამეთოთხმეტე სკოლის ბიჭები აიღერდნენ. მეთორცე მოვიგეთ. მოვიგეთ და დაიბოღმნენ.

ჩარლიკა მიდგა — ახალი ბურთი მოიძია, მოდგა — ჰაუბეკი შეცვალა, ახტა — რალაც გვიწარა, დახტა — კარში უფროსკლასელი ვირგლა მკვარე ჩააყენა.

წავაგებო. შერე ისევ მოვიგეთ. მოვიგეთ, მაგრამ ბოლო თამაში დიდი ანგარიშით წავაგეთ.

შევიდეთ კლასში ჩარჩენილი ჩარლიკა გაიბღინა, აგვიარა-ჩაგვიარა, შეჩერდა, აგვხედავდა. ჩაიციუცქა გაახოლა-ჭამოახოლა. ამოგვძახა:

— თუ კიდევ მოხვალთ, იცოდეთ, ფულზე უნდა ვითამაშოთო!..

ქარი ჩადგა.

მოსთახავით.

სხვენის დრიბუკებში შემოდგომის მიღეულმა მზემ შემოიჭკრიტინა.

— როდის უნდა ვითამაშოთ? — ყრუ ხმით იკითხა ილამ.

— ზეგ.

— ფული რამდენი აქვთ?

— შეიდი თუმანი. თითო მოთამაშეზე ათი მანეთი.

— შეიდე-შეიდემა უნდა ვითამაშოთ?

— კი.

— მეტი ფული რო ვიშოვოთ, მაშინ? — წამოცტებულნი ჩონდო ვიხსოვ და ილამ შუა ჩაიხებრა.

ვიამ მწყარალად გახედა ჩონდოს.

— მოკეტე!

მოკეტა.

წარმა დაიწვიალა. მესამე ცვლის გაკვეთილები დაიწყო.

ომამდე ჩვენ სკოლაში ერთცვლიანი სწავლა იყო. დაიწყო ომი და ორ ცვლაზე გადაგვიყვანეს.

როცა მტერი კავასიას მოადგა, თბილისის კიდევ ერთი რომელიღაც სკოლა მოსპიტლად გადააქეთეს, მოსწავლეები დაანახილეს: ზოგი — აქ, ზოგი — იქ, ზოგი ჩვენთან გადამოიყვანეს და სამ ცვლაზე გადავედით.

უნდა გვეჩქარა.

სკოლაში შემოგვიანებულმა ბიჭებმა სხვენში იცოდნენ თავმოყრა. იდგნენ, აბოლენდნენ, ბილწიბუკებოდნენ, უსაქმობით შებერებულეზივით, სხვის საქმეში ჰყოფდნენ ხუნსულა ცხვირს და უნდა გვეჩქარა...

— მოვიგებთ? — ფიქრებში წასულმა ილამ თავი აიღო და ბიჭებს გადმოგვებდა.

ირაკლიმ, ვიას წახედულობით, პირიდან გამოშვებულ თუთუნის კვამლის ჩგოლებში თითი გაატარა, ჩახველა და უჩვეულოდ ჩაბოხებული ხმით წამოიწყო:

— მოვიგებთ თუ წავაგებთ, თავ-თავისი ლოგიურნი დახაბუთება სჭირდება. ჩერნიშევსკი ამბობდა...

— ჩერნიშევსკი რას ამბობდა, ბებიაშენ სიღონია ესებუას მოუყევი!

ირაკლიმ ჩემი სიტყვები უურიდან უური გაატარა, მომხედა და ნირშეუცვლელად განაგრძო:

— უველა ქმედებას თავისი არხი და ინდიფერენტული კრედი აქვს...

— კიდევ რა აქვს?

— რაც შენ არა გაქვს! — აღარ მიუყურისძირებია, აიჭორჩა, შემომიბღვირა და განაგრძო:

— მოგებას ოპტიმიზმი სჭირდება... ოპტიმიზმი და ურბანიზმი... ურბანიზმი კი არა... ალტრუიზმი... მოიცო... ქმედების აპოგეა და ალტრუიზმი...

— ისევ გაახურა!

— კი არ გაახურა, სურამშია ვახაგვანო — თვალის ჩაკვრით შეუსწორა ახითხითებულ ჩონდოს ფეხზე წამომდგარმა ვიამ.

ირაკლის წყენმა ხილა გააწნა, დაძაგრა და ლოკუნი აულანძა.

— ვინ ხად არის ვახაგვანო, ლოკიკა დაადგენს!..

პირველი მერცხალი „ენრიკო კარუზო“ იყო; დახალი, ქმუხი, შუბლზე ხვეულად თმჩამოშლილი მერცხლასხელი ბიჭი.

სხვენის კარი წიხლით შემოაღო, გაიკრიბა,



ხელის აწევით მოგვეხალმა და კუთხეში მიი-
ყუდა.

იქდა, მუხლებზე გადაშლილ სახელმძღვა-
ნელოს ჩაპირკიტებდა. რაღაცას ჩიფჩიფებ-
და, ბაიბურსიც არ აგდებდა, რაზე ვლა-
დაობდით.

— ჩვენი მოგება ლოგიკური იყო, — ირ-
აკლიმ თანდათან დაუწია ხმას, — პირველი და
მეორე თამაში უნდა მოგვეგო და მოვიგეთ.

— მაგალითად, რატომ? — გაიტულარჭა
ჭონდო.

— უკეთესად ვთამაშობთ და, მაგალითად,
იმიტომ!

— ირაკლი სწორეა! — ვიამ პირთან მი-
ტანილ მიტყუებულ თითებს ენა აუხვავ, გადა-
აპურჭყუა და ილოსთან ჩაცუცქდა, — ჩარლი-
კამ ინაშუსა, პირველ ორ თამაშში მარტო თა-
ვისი კლასელი ბიჭები ათამაშა. მსაჯაც კარ-
გად მსაჯობდა.

— იმიტომ მოვიგეთ.

— კი! — ირაკლიმ გივის დასტურით და-
უწინა თავი, — როცა ჩარლიკამ ითუქსუსა,
გაძვრა-გამოძვრა და უფროსკლასელი ბიჭები
შემოგვჩინა, ძალთა ლოგიკური თანაფარ-
დობა დაიჩვენა...

— ლოგიკური თუ ალტრუისტული?

— ურბანისტული.

— არც ერთი, არც მეორე!

— მა რამელი?

— სიღონია ესეხუა გეტყვის!

— მორჩით შაყირს! — წამოწვევებულმა
ილომ გახვრტილი ვედრო შეატარა, მო-
ირგო, ჩამოჭდა და ფეხი-ფეხზე გადახლდა.

სხვენი მოგულდული სიმღერა გაისმა.
„ერნიკო კარუშო“ მღეროდა.

ახე იყო მუღამ: მოიხელთებდნენ უფროს-
კლასელი ბიჭები კარუშოს, დოგა-დოგა მის-
დევდნენ, მოსტეხავდნენ, უნდოდა თუ არ უნ-
დოდა, ბოლოს მაინც ამღერებდნენ.

ახლაც დაკვეთით მღეროდა.

წამოკუნტულიყო, თვალები მიეღულა, ორი-
ვე ხელი ისევ მუხლებზე გადაშლილ სახელ-
მძღვანელოზე ედო და რაც შეეძლო, ხმადა-
ბლა მღეროდა.

სხვენი შემომრავლებული ბიჭები იდგნენ,
აბოლებდნენ, ერთმანეთს ეუფლებოდნენ, ჩქა-
მის გაუღებლად დუშდნენ.

იხ-იხ იყო „ერნიკო კარუშო“ მარხო კა-
ვარდოსის გამოსათხოვარი არია დაამთავრა,
რომ გარინდებულ ბიჭებს გიას ხმა ჩაგვეხმა:

— იუზგარ, ანთიმოზი უვითელ ჩემოდანში
ისევ აგროვებს ფულებს?

დავიცქვიტეთ.

ილომ პირი დაადო.

— მომისმინე, — ვიამ ხელით გვანიშნა,
მოჩორდითო, დაიხარა, პაპიროსის ნაშწვი ნა-
ლდარატყმული ფეხსაცმლის ქუსლზე მისჩინა
და ილოს ჩააცქერდა. — ჩარლიკას ბიჭებს

უკეთესად ვთამაშობთ? ვთამაშობთ? —
თი... მოვიგებთ თუ წავაგებთ? მოვიგებთ
ეს მეორე...

— მესამე?

— მესამე შენ თქვი.

— თქმამ თავისი სუბტანცია აქვს! —
ირაკლიმ ხელის ნაცნობი მოძრაობით სათა-
ვლე შეისწორა, — ფულზე ვთამაშობთ, კომ-
პრომისი გამორიცხულია, ჩარლიკას ნებას არ
მიცემთ, უცხო ბიჭები ათამაშოს.

— მესამეა?

— კი.

— მეოთხე?

— მეოთხე შენ თქვი.

გაუჭირდა გიას ყველას სათქმელის თქმა.
გაირინდა. კარგა ხანი იუჩა და, როგორც
იქნა, ამოშაქრა მეოთხე:

— იუზგარ, ანთიმოზის ჩემოდნიდან შვიდი
თუმანი უნდა ამოაძრო.

„ერნიკო კარუშო“ დონ ხოწეს არია წა-
მოიწყო.

— ანთიმოზის ფული, იცოდე, ერთი სა-
ათი გვერიდება.

— ორი.

— ორი! — ვია მაშინვე დაეთანხმა გივის,
— მივიტან... ჩარლიკას დავანახებთ, რო
ფული გვაქვს და...

— მსაჯი ვინც იქნება, იმას ჩავაბარებთ.

— სწორეა! — ვიამ ახლა ნოღარს დაუქ-
ნია თავი, — როცა თამაში დამთავრდება,
შვიდ თუმანს აიღებ... გაიქცევი... ანთიმო-
ზის ჩემოდანში ჩადებ და ისევ ჩვენთან გა-
მოიქცევი... თანახმა ხარ?

ილოს გახვრტილი.

ბიჭებში წაბრილი იქდა, თავი ჩაეღუნა,
ფეხსაცმლის გადაქლეტილი წვერით სხვენის
ფილაქანიდან იატაკზე რაღაც წრეებს ხაზავდა
და უხმოდ ტირიდა.

სახტად დაკრით.

ილო გულჩვილი ბიჭი არ იყო. პირველი
კლასიდან ერთად ვიყავით და არასოდეს უტი-
რია. ახლა ტირიდა.

ანთიმოზის ჩემოდნიდან შვიდი თუმანის ორი
საათით აღება, ცაცმა რომ თქვას, დიდი ბე-
დენა არ იყო. ილო კი ტირიდა.

— ბიჭებო... — ილომ თვალთ აგვარიდა,
კიტელის სახელოთი შეიმშრალა ცრემლი,
სხვენის ფილაქანზე ახლა მეორე ფეხსაც-
მლის წვერით გააგრძელა წრეების ხაზვა, —
ბიჭებო... არ გეუწინოთ... რა ვქნა... ფულს
ვერ მოვიტან...

პირს კაჭა გვიცა.

გავშრით.

გიას ზაფრანის ფერი დაედო.

კარგა ხნის დღეშილი ბოლოს ისევ ვიამ და-
არღვია:

— რა თქვი?

ილო დუშდა.

— შენ გეკითხები... რა თქვი?
— ფულს ვერ მოვიტან...
— რატომ?
— იმიტომ...
— მაინც?

ილოს ისევ აუწყულიანდა თვალები.
ირაკლიმ სათვალე მოიხსნა, დაორქა, გუ-
ლისჩინიდან ამოღებული ქათათა ცხვირსახო-
ცი მინებზე მიუსვ-მოუსვა და თითქოს თავის-
თვის ამბობსო, ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— სათქმელი უნდა ითქვას!
— უნდა ითქვას!
— თქვი!
— თქვი და წადი!
— მოიხიე აქედან!
— თქვი, ტო!

იცოდა, აუაყანებული ბიჭები აღარ მოვე-
შებოდი და თქვა:
— ანთიმონი ჩემოდანს არ კეტავს... მცდის...
ფული რა ავიღო, მომკლავს...

სათქმელი ნათქვამი იყო.
— ბიჭებო, — ილო ზღუქუნებდა, — გახ-
სოვთ?... სწავლა რა დაიწყო, ავად გავზღი
და ორი კვირა ვიწეკი.
გვახსოვდა.

— მოგატყუეთ... ავად არ ვიყავი... ანთი-
მონზე მცემდა და იმიტომ ვიწეკი.
ილოს თანდათან მოეგუდა ხმა:
— შეცმს... წარამარა მცემს... მამარემს
აჯინებს... მიწებს ეძებს, რა მცემოს...
— დედაშენი? — ყრუ ხმით იკითხა ვი-
დაცამ.

— დედა ტირის... ღამე ჩუმად მოდის ჩემ-
თან... შეფერება და ტირის...
გახსუსულები ვისხედით.
ვდუმდით.

ვდუმდით და ერთმანეთს შევეყრებდით.
— დედამ მითხრა... — თავდახრილმა ილ-
ომ ორივე ფეხსაცმლის წვერით დაიწყო
ფილაქანზე წრების ხაზვა. — ჩემოდანს ერი-
დო... ტყუა არ წააგო... არაფერი შეგეშალოსო...
სხვების კარი მოულოდნელად ხმაურით
შემოგახსუნდა.

— ატანდა ტყონია მოდის! — განწირუ-
ლი ხმით შემოგვძახა ვიდაცამ და, ვერც და-
ვინახეთ ვინ იყო, — გაშპა.

წამოვხტით.
მენანე ცვლის ბიჭები მკილით ტლინე-
ბით, პანდურით, მუჭლუგუნებით ეცილებო-
დნენ ერთმანეთს სხვების ზედხაზრით ჩახტრ-
გილ კარში გავარდნას.

შინცდამაინც არ ვჩქარობდით.
ჩვენ რა! მეორე ცვლის ვაკვეთილები და-
მთავრებული იყო. სასწავლო ნაწილის გამ-
გეს სხვენში რომ შემოესწრო, სახელდახე-
ლოდ ისეთ ზღაპრებს და ახდაუბდა არაკებს
მოეჩინებოდა, იოლად გავიდოდით ფონს...

დათქმულ დღეს, დაახლოებით იმ დროს,
როცა ჩარლიკასთან პაემანი გვეკონდა დანიშ-
ნული, გავითქული ილო ქაქანით მოვარდა
სკოლაში და ანთიმონს ჩემოდნიდან აწა-
ნილი შევიდა თუმანი მოიტანა.

დრო აღარ ითმენდა.
გავაცდინეთ ვაკვეთილები, გავლაგდით, მა-
რუთანთ უზნისკენ მიმავალ აღმართს შევე-
ყვეით.

ცრიდა.
თაბორის და სოფოლაკის მთები ნისლით
იყო დაფარული.

შორიდანვე შევასწარიტ თვალი: სახაულოს
ვიტრინასთან, რომელიც ჭვარდინად გაკრუ-
ლი დოლბანდით იყო დაფარული, ავტომატი-
ანი პატარული იდგა და ვიდაც წვეროსან ახ-
მასს სახუთებს უჩხრიავდა.

გავუსწორდით პატარულს, გავხედეთ წვერ-
ოსანს, ჩავითაჯვევით.

წინ გია, ილო და ირაკლი მიდიოდნენ. მე-
რე — გვივ და ჯონდო. ნოდარი და მე უკან
მივჩანჩალებდით.

ქარმა იძალა, სახურავებიდან დაცურებუ-
ლი კრამიტები აახშიანა, სახეში ტიწილილი
მოგვაყარა. იზუნუნა, უხტინა, იცეტა, იტინ-
გიცა, მიყურდა და ჩაიჭარა.

ბიჭებს გავხედე.
ახუნულები მიდიოდნენ, საყელიაწიულები,
დამოკლებული, ვაცრცილი პალტოების ჭი-
ბებებში ხელებჩაწყობილები.

ირაკლისა და ჯონდოს გარდა, ყველანი ობ-
ლები ვიყავით, მამით ობლები. ომის გაწამა-
ვაში, დარდა და შიმშილში დედების ანა-
ბარა დარჩენილი უყისმათო, წამოყინჩილებ-
ული ობლები.

მივდიოდით. ცხოვრებაში პირველ საშო-
ვარზე მივდიოდით, საქმელ-სახმელზე თვალ-
ნაკულულები, სახუნავის საყილად, ფეხბურ-
თის თამაშით ფულის საშოვნელად მივდიო-
დით.

არ დავხანებულვართ.
ვიართ. თავშესაფრებით ათხრილ-დათხრი-
ლი სკვერი გაღავიარეთ და ოცდამეთოთხმე-
ტე სკოლის ბიჭებით სავსე ენოში ამყად
თავაწიულებმა შევაბოტეთ.

ჩარლიკა შეხერტული ემაწილი იყო. მიხ-
ვდა, ფეხი არ ჩაუვიდოდა და სათამაშოდ
მარტო თავის კლასელი ბიჭები მოიყვანა.

ყველაფერზე შევთანხმდით: ამაზეც, იმა-
ზეც... მხაჯე — ვერა.

— პაროს, დიას! — ჩარლიკამ ბახკენასთან
შეგერილი კეპი ჰაერში შეისროლა, დაიჭირა,
დაიხურა, გაისწორა და გაიას აეჭურწა, — მა
ვინ ვინდათ იმხაჯოს?

დასწრო. ვიღრე გია იტყოდა, თვითონვე
დაასწრო:



— ნუგზარი? მეცბრეკლასელი წანწალა ნუგზარი გაწყობთ?

გიაშ ბიჭებს გადმოგვხედა.

— უკეთეს მსახეს ვერ იპოვით... უკვლადღერს რომ თავი დაკანებოთ, წანწალა ნუგზარის ბიძაშვილი ხანდრია თქვენს სკოლაში სწავლობს...

— ვინა?

— ხანდრია... „ენრიკო კარუზოს“ ეძახიან... ხო იცით?

ჩარლიკამ მხარზე დაფრინილი ფოთოლი წაიშურტით მოიშორა, გაიჭვიმა, წადგა ბიჭი და მოკრა:

— მოდის?

გიაშ პირთან მიტანილ მიტყუბებულ თითებს ენა აუსვა, გადააპურტყა, გავილიშა და ჩარლიკას გამოწვილ ხელს ტყაცანი თამბაქო ხელი:

— მოდის!

ფეხბურთს თავისი დაწერილი კანონები აქვს. გახვალ მინდორში, შეეხებები ბურთს, გააკეთებ პირველ პასს და თამაში ზოგჯერ არ გამოდის.

ბჭაბუკები, ჭიჭინაზე სკდები და არ გამოდის.

ვილაცა წაფორთხილებს, ვილაცა ჩაიჩოქებს, ვილაცა წამით შეიყოვნებს.

თავდაშხმელი, რომელმაც ბურთი მძილო, შეტევის ნაცვლად, უკან დაიხევს, მოწინააღმდეგის მარწუხებში მოექცევა, ივლის, იფაფხურებს, იჩირთიფირთებს, იფართიფურთებს და ბურთს ბოლოს შეკარეს მიუგორებს.

ტემში იცემა. უინი, მოგების დაუოკებელი უინი, რომლითაც მინდორში გახვედი, თანდათან ნელდება. აზარტი ქრება. საკუთარ ძალებში რწმენა გებზარება.

შორჩა!

თამაში შეიძლება ბოლომდე ვეღარ აეწყოს. ახეა!

ახეა და ლამის იყო, ახე დაგვემართა. თავიდანვე დავითარსეთ.

როცა წანწალამ ცერა და საჩვენებელი თითების წვერები შეაერთა, პირში ჩაიღო, ღოყები მეწურნესავით დაბერა და დაუსტვინა, გიაშ ბურთი უკან ჩამოგავწოლა.

ირაკლი გაიქცა.

დილიდანვე ცრიადა. თამაშის დაწყების წინ წვიმამ გადაიღო, გამოიღარა, მიწა ისევ ატალახებული იყო და სირბილის დროს ფეხი სხლტებოდა.

ირაკლიმ ნახტომი ვერ მოწომა, გადაევლო ბურთს. წაიფორთხილა. სათვალე დაუვარდა და რომ არ წაქცეულიყო, ცალი ფეხით ჩამუნლულმა, მიწაზე შეიშველა ხელი.

ისუვლეს ჩარლიკას ბიჭებმა.

აქაოდა, ცუცურმად წასულ ბურთს შეიძლება იოლად დავიფულოთო, ყუფინ-ყუფინით შემოქანდნენ საჭარიშო მოედნისკენ.

გვიმ იმარჯვა. ახტა, გადახტა და მოსწრო.

ვიღერ ზღართანს მოადენდა, მოწინააღმდეგის წვივებშუა შესჩარა ფეხი. კინტუტოვით შიატრილ-შიატრილა და წვერის წაკვრით ბურთი ჩემკენ გამოაგორა.

ვირ იყო კარგი დასაწყისი!

დაიძვარი, რამდენიმე ნახტი ბურთის კენწლაობით გავიბინე და შევჩერდი.

ჩემ წინ ცხვირბაჭუა მალბეკი ვახო დაიფუდა.

გიაშ მოესწრო, გამძვრალიყო, აუტის წკიპთან მოხერხებული ადგილი შეერჩია და ხელს მიქნევდა — არიქა, ჩამოწაწადეო!

შიდი და ჩაწოდე!

ვახო ქშინავდა, ჩალისფერ კორფლზე მალმალე ისვამდა დაშუშულ ხელს და მზად იყო, მცემოდა.

გავხედე. გუმანმა არ მიმტყუნა: მარჯვენა მხრიდან ჩარლიკა მიახლოვდებოდა.

წინ წასვლა ვერ გავხედე.

ერთ პატარა, უმნიშვნელო შეცდომას შეიძლება უკვლადღერს თავდაყირა დაეყენებინა და ვერ გავხედე.

მოვბრუნდი, ვიჭანტე, კარგა ხანი აქეთ-იქით ვიბოდილე და ბურთი ბოლოს ჩვენს მუკარე ნოდარს მივუგორე.

გვისტვინეს.

ჭერ სად იყო! კუთხეში ჭგროდ მიმდგარი მავურების სტვენა მაშინ მოგესმინათ, როცა ნოდარმა ხელით გვანიშნა, წინ წადითო, გამოქანდა, დაარტყა და ბურთს პირდაპირ აუტში გაუძახა.

ეე!

ესლა გვაკლდა!

ჩარლიკა ბიჭებმა თანდათან ააწყეს თამაში. ააწყეს და, აიწყვიტეს.

საოცარი!

ამ ბლესტო ბიჭებს მაინცდამაინც ჩვენთან გამოუვიდათ თამაში. ჩვენთან გახდნენ დიდოსტატები, ჩვენთან მოულდათ უჩვეულო ენერჯის გამოჩენა...

პირველი ჩხინკი ბურთი ჩარლიკამ გაიტანა. უკვლადღერს მოულოდნელად მოხდა.

ვახოშ, რომელიც ცენტრიდან დაიძრა, საჭარიშო მოედანზე გარემარბი წინწკალა შეინიშნა.

არ დაუყოვნებია, გაქანდა, დაარტყა და აცუღარტყებულ წინწკალას (შორიდან მალაღლი, ჩახვეულად ბურთი ჩააწოდა.

გვიმ და წინწკალა ერთდროულად ახტნენ, ნოდარმა კარის კუთხე ჩაკეტა, დაცვის დახამარებლად შემოქანებული ილო ჩარლიკასთან დაარტყო.

ბედიც ამას ჰქვია!

მოტარ დემეტრეშვილი
შვილი თუშან



ჩახვეულმა ბურთმა მოულოდნელად მიმართულდება შეიცვალა, დაუხვია, ჩაიჭრა და კარის წინ დაეცა.

ბურთს ვეცით.

და შაშინ, როცა ჩანთებით მიინუნული კარის წინ ბიჭებმა ზედახორა გავმართეთ, როცა ყველაფერი დომხალღვით აირ-ღაირია, ჩარლიკამ თავისი გააკეთა.

დაჭდა, ფეხი გვიხავით წვივებშუა შესჩარა, მიიწია, მისწვდა. უბიძგა და ის ჩვენი ცოდვით სავსე გალაფული ბურთი ცეკვა-ცეკვით შეგაგორა კარში.

აჰა!

ესეც ჩვენი

ამ ჩინიკი ბურთის გაქვითვა მხოლოდ მეორე ტაიმში მოვახერხეთ.

ის-ის იყო თამაში დაიწყო, რომ ჯონდომ ჩემი მიწოდებული ბურთი გვივის გაუგორა.

გვივი გაქანდა, მოწინააღმდეგის ნახევარზე თამაშ-თამაშით გაიბნინა, მოხდენილი დრინდინგით უკან ჩამოიტოვო ვახო, დაუხვია და წინ გავარდნილ ირაკლის მაღალი ბურთი აუგდო.

ირაკლიმ დაგვხატა.

შემობრუნდა. ბურთი აწეული ფეხით შეაჩერა, ჩამოხსნა, მოირგო, დაარტყა და კარიდან გამოვარდნილ მეკარეს თავზე გადაავლო.

წაწალას გავხედეთ.

ბურთი თამაშის წიგებების დაცვით იყო გატანილი.

მხაჩმა ცენტრისკენ მიგვანიშნა.

აჰა!

ესეც თქვენი

გატანილმა გოლმა ფრთები შეგაკახხა. დავშვიდდით, მოვითქვით სული, შევთამაშდით. თამაში გათანაბრდა.

ტატიტორიული უპირატესობა მალე თანდათან ჩვენიკენ გადაშოვიდა.

ბურთი, რომელიც გია ფირცხალავამ მეორე ტაიმის დასასრულს გაიტანა, მარად უკვლავ გოლად დარჩება ქუჩა-ქუჩა მოწაწალე ახალბედა ფეხბურთელთა ჭირაც დაუწერელ ისტორიაში.

ახე!

ვინც ამ გოლის გატანა ნახა, დამეთანხმება რომ ასეა...

გამ ჩვენი საჭარბო მოედნიდან დაიწყო.

აჰა აჩქარებულია. ბურთი ნება-ნება ატარა და შეჩერდა.

ორივე ფლანგი ჩაკეტილი იყო.

ჩვენი ვუნდის კაპიტანი მოულოდნელად მოწყდა ადგილიდან. სიჩქარეს უმატა. უმატა და შურდულივით შექანდა საჭარბო მოედანზე.

გიას წინ ბეი იდგა. ბეის უკან — მეკარე.

აქეთ, — მარჯვენა ფრთიდან წინწალა გაშორბოდა, მარცხენა მხრიდან — გავითქული ჩარლიკა.

გიამ მოულოდნელად მიმართულდება შეიცვალა.

წინწალასკენ დაიძრა.

როცა მიუახლოვდა, შემობრუნდა, ცრუ მოძრაობა გააკეთა, გასლტა. ბეკსა და ჩარლიკას შუა ვიწრო დერეფანში გაქვრა და სახტად დარჩენილი მეკარის პირისპირ აღმოჩნდა. ალაწოდა მეკარის ნახტომი ამო გაშოდა. დარტყმა ძლიერი იყო, ზუსტი, ცხრიანში გამიწუნული...

აქოდა, თამაშის დამთავრებამდე ცოტადა დარჩაო, ჩარლიკას ბიჭები შეიშალნენ.

დაიგეშენენ.

გაცოფდნენ.

ორივე ფლანგიდან გაშლილი ფრონტით შემოვიტის.

არაფერს ერიდებოდნენ, ჩიქურად მოდიოდნენ, უთინით, გამეტებით, ხელის კვრითა და წამდაუწუმ სარმების დღეებით.

აქამდე ობიექტური მსაჯი დაურუვდა.

დაბრმავდა და დაურუვდა.

არც არა ესმოდა და, რაც მისი თანსკოლელებისათვის სარფიანი არ იყო, — ვერა და ველარც იმას ხედავდა.

გავიხვითქეთ, დავწვდით, სიქა გავვიცალა.

გია გავმხნევებდა, ჩაწითლებულ თვალზე ისვამდა მუჭს, იპურტუებოდა, წინ და უკან დარბოდა და საწყალობელი ღიმილით გვაშხნევებდა.

გვივი ქშინავდა, ჯონდომ ქშუტუნებდა, ირაკლი მოფლამული სათვალის სწორებ-სწორებით დარბოდა.

ილომ ფეხი იტკინა, მინდვრიდან არ გასულა, რომელიდაც კინოში ნანახი კოჭლი ეშმაკვით მანჭვა-გარებით დახტოდა, დახტოდა და ასწრებდა.

ყველაფერს ასწრებდა: წინაც იყო, უკანაც. როცა საჭირო გახდებოდა — აქაც, მისტირდებოდა და — იქაც...

ეს ამბავი თამაშის ბოლო წუთზე მოხდა.

ჩარლიკამ ჩემი შეცდომით ისარგებლა, ბურთი ჩაჭრა, გაქანდა და მეკარისკენ გაიჭრა.

ნოღარი გამოენთო, ისკუპა, ჩარლიკას ფეხებში გამეტებით ჩაუხტა და ბურთი ააცალა.

ის-ის იყო ნოღარი წამოდგა, რომ ფეხი დაუცვდა, შებარბაცდა, დაეცა და მეკარეზე მიკრული ბურთი ხელიდან გაუვარდა.

დაასწრო.

წყურულმა ჩარლიკამ დაასწრო და დაარტყა.

კარში გვივი იდგა.

წელან, როცა ნოღარი ჩარლიკასკენ გაიქცა, გვივი ადგილიდან მოწყდა. კორნელის მარცხენა კუთხიდან რამდენიმე ნახიჯი გაიბნინა, შე-



ქანდა და მეკარის დასაზღვევად ცარიელ კარში ჩადგა.

ბურთი შხუილით მიფრინავდა გვიცქენ. მაღალი ბურთის ფეხით მიღება შეუძლებელი იყო, თავით მოგერიება — ძნელი, ახტომა და მეკრდით შეჩერება — უიმედო.

ხელი! ერთადერთი იმედი ხელია რჩებოდა. გვიმ ისეუბა, გრძელი ნახტომი გააკეთა, ბერში შეგარესავით გაიქიმა და უკანასკნელ წაშს კარის ძვიდესთან ბურთი ორივე ხელით ჩამოხსნა.

გარინდებულ მინდორზე თოფის გავარდნავით გაისმა ჩვენკენ გამოქცეული წანწალას სისარულნარევი შექანბილი:

— პენალტი! ჭონდოს მაჯის საათს ვეცით. თამაშის დრო ამოწურული იყო. არაფერმა გაბრა. კაპიტანს მხატვარმა მსაჯმა ჩვენი კარიდან თერთმეტი ნახიჯი გადათვალა, ბურთი დადო, დაიტატანა. გარემო მოხვავებული გულშემატკივრები გაანაბირა და ხელაწეულმა ისევ რიხიანად დასტეკა:

— პენალტი! ვერ იყო საქმე კარგად! გაიტანდნენ პენალტს, გაათანაბრებდნენ ანგარიშს, დაინიშნებოდა დამატებითი დრო და...

მიდი და უყარე კაკალი! — ეგ როგორ? — მეოთხედ თუ მეხუთედ კვირვობდა მსაჯთან ამურწული გაწიშებულნი ჭონდო.

— როგორ და ისე! — მესამედ თუ მეოთხედ მსაჯის მაგივრად პასუხობდა ჩარლიკა, — წესი წესია! თუ პენალტი დაინიშნება, დრო რომ ამოწუროს, პენალტი მაინც უნდა დაარტყა.

— ვა! — ვა და ცხრა! — ცხრა და დოზანა! ჩხუბი არ მომხდარა. აქორილი ბიჭები ილომ დეგვაშოშინა.

— ბიჭებო, — ილო პენალტის დასარტყმელად გამოადებულ ბურთთან ჩაქდა, ნატკენი ფეხი მოისრისა, მიიხედ-მოიხედა და ჩურჩულით ვვითხრა: — ჩარლიკა მართალია... პენალტი უნდა დაარტყან... ასეა.. უურნალში წავიკითხე...

დაარტყეს. ვიდრე დაარტყამდა, ჩარლიკა დაიხარა, ბურთი რამდენჯერმე შეასწორ-შემოასწორა და უკან დაიხია. ურებმა წივილი დაგვიწყო. ნოდარს გავხედეთ. კარის შუაში იდგა მოხრილი, დაქმნილი

შარვლიდან ამოჩაჩული გაცრცილი ხელში, მეკრდთან აწილული, მომარტყებული ხელბით, დაკვეცილი თვალბით.

წანწალამ დაუსტვინა. ჩარლიკა გამოქანდა. უცნაურად მორბოდა, ზიგზაგებით, თავაწეული, ორივე გაშლილი ხელის ქნევით. დაარტყა.

ბურთი კარის შორეული კუთხისკენ გაფრინდა.

აი, ამ მაღალი, კარის შორეული კუთხისკენ მიმავალი მკვდარი ბურთის ალბის შემდეგ, რეტდასხმულმა ბიჭებმა სიხარულით აცქმუტებულ ნოდარს „კატა“ შევარტყით...

...ქარმა ისევ წამოუსიხინა. საავდრო ღრუბლები აიშალნენ, აქა-იქ გახსნილმა ცამ პირი შეიკრა.

სამიოდ დღის წინათ, თბილისში ზაფხულივით ცხელი ამინდი იდგა, მოსკდა ქარი, თვალსა და ხელს შუა მიილია სიბოზო, მთები შეიქიბხლა, შორეული მწვერვალები ჩამოთერთდა.

სუსხავდა. გვარიანად სუსხავდა და საყელთამოწეული მივიცანცალბდით.

ექვსნი ვიყავით. ილო ანთიმოზის ჩემოდანში შვიდი თუმნის ჩანადებად გაიქცა.

დავითაშვილის ქუჩა ისე ავლიეთ, დრანჭი არ გაგვიჩერებია.

ვიდავეთ, ვიქაქანეთ, წიდანდელი თამაში წვრილ-წვრილად გავარჩიეთ.

არც რა გამოგვჩინია: საქები — ვაქეთ, სამარხი — ვძრახეთ. შესაკურთხი ვინც იყო — მოვითხოვე გული — დედაბუდიანად შევუკურთხეთ...

სოლოლაკაში, დავითაშვილის ქუჩაზე, საცა ახლაც დიდი გასტრონომია, ხელმარტვნივ შეუხვევთ. შეიმალდებთ, რამდენიმე ნახიჯს გაიფლით და ვიწრო ქუჩების თავშესაყარზე გახვალთ.

აი აქ, ამ მოკირწყლული ქუჩების ციქქნა გზასაყარზე, ომის დროს, დილახნელიდანვე სახელდახელო ბაზრობა იმართებოდა.

იღვნენ. კოდლები მწვანის უიდდენ, თელეთები — დანდურს. წაკვისებები — ქნაპას.

პანტიანელებს პანტა იშვიათად მოჰქონდათ. დაჭირიანებულ ვარეებს ასალებდნენ.

მოისხამდნენ მაღლს, გამორნდებოდნენ სამაღლოელები. დახსნიდნენ თავწაყრულ კალათებს, დახსნიდნენ და, მადარაჭებული ქალაქელები თავსაფრიან დედაკაცებს ხელიდან წიოკობით სტაცებდნენ კვერცხებს.

წყნეთელებს — როცა ჰქონდათ — მაწონი



ვირებით მოქმედობდა. ტაბახმელელებს მუა-
ლო — ჯორებით. შეშას და ბარდანებით ნახ-
შირს კოჭრელები ცხენებით ეწოდებოდნენ.

სახელდახელო ბაზარში ზოგჯერ ხილიც
იშოვებოდა, შიგადაშიგ ჩირიც, ხანგამოშვებით,
წაფულის მიღებულს — მარაბოში მსუვალიც...

— რა ვიყოლოთ? — გამა ხეზე მიბმული
თეთრი ვირი გვერდზე გასწია, დაიხარა, ბლუ-
ჯა ჩალა მიუმარჯვა, გადააპურჯა და აკაციახ
აეუღლა.

ვიღვეთ.
კარგა ხანი ვიღვეთ.
ვიღვეთ და ნაგვიანევი ლედვის ყიდვა გადავ-
წყვიტეთ.

ლედვი უპირანი იყო: ტკბილი, გემრიელი,
ყუათიანი. ესეც არ იყოს — დათითობა,
შვიდ დამშუულ შურტრუკზე მითვლა და ზუსტი
განაწილება, იოლი იყო.

ორი კილო ვიყოლო. დარჩენილი ტკიცინა
თუმნიანი წყოსთვის გადავიხანეთ.

ლედვისთვის ხელი არ გვიხლია, გაზეთის
პარკში ჩავაწყვეთ, ხის ძირას ჩამოვდეთ, ჩან-
თებზე მოვირთხით ფეხი და ილოს მოლო-
დინში შევყბედით.

— რაზე ფიქრობ? — ირაკლიმ ქერო მო-
იქეპა, ფიქრებში წასულ ჯონდოს გახედა და
ხელმეორედ ჩაეძია, — რაზე ფიქრობ?

- იმაზე.
- ისეც იმაზე?
- ზუსტად იმაზე!
- მაინცდამაინც იმაზე?
- შიგადაშიგ შენზე.

მიდი და გაიგე!
ირაკლიმ ჯონდოს ქოქოლა მიაყარა, შებრუნ-
და, გვერდით ჩამომჭდარ გივის ახედა და ახლა
იმას მიეძია:

- შენ? შენ რაღაზე ფიქრობ?
- ბებიამენ სიღონია ესებუაზე.
- გივი წამოდგა, რამდენიმე ნახიჯი გაიარ-
გამოიარა და ჩემ წინ შეჩერდა:

— სანტერესოა, „კატას“ აღებული პენალ-
ტი რო ენაბა, პატრეცემული სიღონია რას იტ-
ყოდა?

- იმას!
- ამას?
- იმას და ამას!
- კიდეც?
- კიდეც იმას, რასაც ის იტყოდა.
- ის რას იტყოდა?
- იმას, რასაც ჩერნიშევსკი ამბობდა.
- რეგვენო! — ირაკლიმ მწყურაღად შე-

მომხედა, — როცა ყბედობ, უნდა იტყვი,
ყბედობასაც ლოგოცა სჭირდება...

თეთრმა ვირმა დაიურყინა, — გასწიეთ
ვირო!

გამა ვირი გასწია.

— პოსტ სიპატუმი მე მინდა ვოჭვა...

ირაკლის სიტყვა პირზე შეაშრა.
გაფითრდა. სათვალეს ზემოდან გადმოკარ-
კლული თვალებით გაოცებული მიაშტერდა
ხეს.

გავხედეთ.
აკაცის ხის ძირში ლედვი აღარ იყო.
ზევით, კომკავშირის ხეივანიკენ წასულ
ასფალტიან გზაზე, ჯონდო გარბოდა.

— მოიცათ! — გამა ფეთიანით წამოცვე-
ნილი ბიჭები ხელის აწევით შეგვაჩერა, პირ-
თან მიტანილ მიტყუებულ თითებს ენა აუს-
ვა, გადააპურჯა და ჩუმი, დღემდე დაუფიქრა-
რი ფოლადნარევი ხმით დინჯად გვითხრა: —
არ გამოეკიდოთ... გაუშვი, წაიღოს..

გია ჩვენზე რამდენიმე თვით იყო უფროსი,
ეს არ იყო მთავარი: მისი მოსული აღნაგო-
ბა, სიღინჯე, თავდაჭერა, ავ-კარგის გარჩევა,
ყოველთვის რიდს და რაღაც უსიტყვო, შინა-
გან კრძალვას იწვევდა ჩვენში.

დაწუქერეთ.
სალახანა ჯონდო გარბოდა.

აქაოდა, ბიჭები არ წამომეწინონო, ქულჩა-
მოფხატული ბტუნვა-ბტუნვით გარბოდა.

ბიჭებში წასრბილიყო, თავი ჩაელუნა, იღლიაში
პარკში ჩაწყობილი ლედვი მქონდა ამოჩრილი.

ჩქარობდა.
პარკიდან, ეტყობა, რამდენიმე ლედვს ერ-
თად იღებდა, პირში იჩრიდა, გარბოდა და,
მგონი, დაუღებავად ულაპავდა..

თეთრი ვირი ისეც აურყინდა,
თავქვეზე თქარუნით ჩაიქროლა ეტლმა,
შეთხლებულ ბაზარს მუშტრის ახალი ნა-
კალი მოაწყოდა.

ვიდექით.
ვიდექით დაღლილი ბიჭები, სიკეთეს დანატ-
რებული ბიჭები, დამოკლებულ, გაცრცილ
პალტოებში აბუზული უყინმათო, წამოყვინ-
ჩილებული ბიჭები, ვიდექით და მდუმარედ
გავცქეროდით ასფალტიან გზას.

— ბიჭებო, კარგად არის საქმე!

მოვიღეთ თავი.
გასტრონომის ზემოთ, მოკირწყლულ თავ-
დაღმართზე, ნატკენი ფეხის ბუქნაობით, უვი-
ციანი ილო კრეპა-კრეპით გამოზობოდა ჩვენ-
კენ.



ზოგის სიცოცხლე

ვხედავ, თენდება და სულს ნათელი
 ნაკადულივით ერთვის,
 ამ სისხამ დილით შენი ღიმილი
 სულ სხვა ძალაა ჩემთვის.

მიწას რაც უფრო ბინდი ერევა
 ეს ზღვა სულ უფრო ბორგავს, —
 ზოგის სიცოცხლე ასე იწყება,
 ზოგის მზის ჩასვლას მოჰგავს.

თამაშობს წუთისოფელი
 წლები წამივით ჰქრიან,
 ზოგს სიზმრად მოჩვენება და
 ზოგს გაელვება ჰქვია.
 ზოგი ოცნების კოშკებს დგამს,
 ზოგი ველარ თმობს სოროს...
 ზოგი ამ ქვეყნად თავისი,
 ან სხვისი ნებით ცხოვრობს.

ზოგი ამ ლამაზ მიწაზე
 | მძლავრი ფესვებით მოვა —
 მზესავით არ გაიკარებს
 ლაქას, ცრემლსა და გლოვას.
 ვიცი, ბევრს სანთელს ჩაუქრობს
 გამოქროლება ღამის, —
 იყო და არა იყო რა
 ჩაიქირქილებს ჟამი.

მომგზავრობა მომავალში

თავად თუ არ გაქვს დიდი ცეცხლი,
 დიდი საგზალი,
 მწვერვალებისკენ გზებს ვერვინ
 ვერ მიგასწავლის.
 თუ გულით შესძელ შორს გაიჭრას
 შენი ღინება,

გამართლებაა აღმართებთან
 ეს შერკინება.
 რომ გაკვირდები, ბეწვის ხიდზე
 კი არ ხმაურობ, —
 მიდინხარ წყნარად მომავალში
 სამომგზავუროდ.

გაწუხებს
 სული მოუთმინარე,
 დაუდეგარი
 გაწუხებს გენი, —

გინდა უბრალოდ
 ჩავლილ მდინარეს
 არ დაემსგავსოს
 ცხოვრება შენი.

ო, ნებაჲ ახლა...

მესამე დღეა
 ოთანში ვზივარ,
 უცხო გულისკენ
 მიმავალ ბილიკს

ვადგავარ ისევ
დე ეს ლოდინი
ვინ იცის კიდევ
სანამდე გასტანს?!
ო, ნეტავ ახლა
მოვიდეს ვილაც,
მოვიდეს ვილაც და თუნდაც წამით —
გაესაუბროს სიჩუმეს ჩემსას
და გამომტაცოს ფიქრების სიღრმეს.

გული

ახლა შენს ხმაში
სევდა ჩამდგარა,
თუ ასე ძალგიდს
ამ ტბის ფერება?!

ყელშემართულო,
ცისკენ ამგვარად, —
ო, სიკვდილის წინ
რა გემლერება!

ამ სიჩუმეში

ასე საოცრად ამ აუტანელ,
ამ სიჩუმეში კენტად, —
ოცნებით ასე რომ გარინდულხარ
საით მიჰქრისხარ ნეტავ?
თქვი, მაინც საით შენი მგზავრობა
გულს რომ არ ჩამყვეს
დარდად, —
იქნებ თოვაში? იქნებ წვიმაში?
ანდა მთებს იქით სადღაც?!
ამ ოთახიდან გადაგილახავს
მთელი სამყარო თითქოს, —
აღბათ ცივ გულებს რომ ჩაუფინო
სიყვარული და სითბო.

მთვარე ჩირაღდნად შემონთებია
ზეცის ვეება უბეს,
თვალში მოიქცევ ასე გაწეწილ,
ცრემლით გაგლენთილ
ღრუბლებს.
რის მოსვენება, რის დამშვიდება
რის წამიერი დაღლა...
სულს რაც აწუნებს ის ტკივილები
გსურს გააშიშვლო აღბათ.
ასე საოცრად ამ აუტანელ,
ამ სიჩუმეში კენტად, —
ოცნებით ასე რომ გარინდულხარ
საით მიჰქრისხარ ნეტავ?!



ია-იებით სველი სიზმრები

ია-იებით სველი, სველი ჭრელი სიზმრები:
ჭასთან დგას დედა (ეზო. სახლი), —
ცალფეხა ოწინარს
წაპფრენია ყელი ცისაკენ...

მე — ბურთით ხელში —
ვლამობ მინდორი წავართვა გვირილებს...
სოფლის შუაგულში დგას ეკლესია —
აყვავებული დუმილით.
ყანები ჩურჩულით ათრობენ აგვისტოს
უულურჯეს მდინარეს.

ია-იებით სველი, სველი ჭრელი სიზმრები
ნელი-ნელ იძინებენ!

აკაციის ტოტზე ელვა...

(სურათი)

აკაციის ტოტზე ელვა აფართქალდა ბელურებს გაუნათდათ
ნისკარტი.
მერმე ჩამობრძანდა წვიმა — იისფერი. მაისი შეიმოსა
წვიმით თავით ფენამდე!

აკაციის ტოტზე ელვა აფართქალდა ბელურებს გაუნათდათ
ნისკარტი.

სარკმელი — ჩარჩო

სარკმელი — ჩარჩო... ამ ჩარჩოდან
ძალიან ბევრი ნანატი მიმზერს:
ცა კრიალა, მთები, მდინარე...
საბედნიეროდ, არცერთი ამ სურათის
არც გაყიდვა, არც ჩუქება არ შეიძლება!

სარკმელი — ჩარჩო... — შენს ცაზე, ცაზე უძირო და იისფერი
ტბები სხედან...
მოგონებების ტყე: იდგა თიბათვე.
ცელები ვერცხლისფრად ელავდნენ,
აღვა ცაში აფრენას ლამობდა.
სარკმელი — ჩარჩო — ოცნებები
აუხდენელი და ახდენილი!

სარკმელი ჩარჩო... — თავაწეული დგახარ.
თოვლი, თოვლი, თოვლი ფერების
თრთის,
სიხარული — გულმკერდ თბილად ჩამოქარგული —
მშვენიერი და საამოა, ვით იავენანა!..

სარკმელი — ჩარჩო... ამ ჩარჩოდან
შენი ბორცვიც, ვაი, რომ მიმზერს!..

მთის მდინარეზე...

მთის მდინარეზე გულწითელა თევზი
დაფრინავს,
მთაზე კი ნისლი იისფერი.
ღმერთმა გაძლება მოგცეთ, ჩიტებო,
ღმერთსვედრი, ვვედრი,
არ დაგამუნჯოთ სასწაულმა!

მთის მდინარეზე... —
ტაძარივით ნისლი მაღალი,
უფრო და უფრო მაღლა მიიწევს.

მთის მდინარეზე გულწითელა თევზი
აცეკვდა.

ხვიჩა

ხვიჩა მოსტაცეს საქართველოს.
დარდის ღრუბლით ცა გაიმურა.
დაობლდა ყელთბილი ჰანგი. სალამო
შერჩათ ღამურებს.

შეშლილი და ფეხშიშველი
დედის ცრემლი ხვიჩას
ღღესაც ეძებს, შენ უშველე,
ღმერთო, დედამიწას!

ზღაპარი ცახცახებს ღელესავით

თოვს. თეთრია ღამე უსაშველოდ-
შეღლისთვალეზა ზღაპარი ღელესავით
ცახცახებს

ბუხრის წინ.

ყველანი დედას მივჩერებივართ.
დედა... — ზღაპარი...
მივდივართ დევების სამყოფელისკენ.
გარეთ თოვს.

თოვს. ღამე თეთრია უსაშველოდ.
უმაღ ჩვენი გზა-შარა, ბილიკები
სიზმრებში ჩაიმაღნენ,
ჩასახღდნენ სიზმრებში!..

თოვს. ბუხრის წინ ზღაპარი ცახცახებს
ღელესავით.

როგორც ქორწილი...

შუაგული ქართლი.
აქლემის ლანდი წევს მხართუძოზე... —
მაღე ბაღლები ბინდს ციხისძირის აიტაცებენ ხელში.
გაიტრუნება სიცილი... — ჰამაკი...
მკერდმოღელილი შენი მინდვრები თავებს ჩახრიან.
როგორც ქორწილი — ეამეღი თვით წუთიხოფელს!

გზა მშვიდობისა!.. — მიდიან მაყრები!
საქართველოა აქეთ და იქით!..

შუაგული ქართლი.
აქლემის ლანდი, აქლემის ლანდი არხეინად
წევს მხართუძოზე.


მოლაღური

ტურენტი ვრანულს

ქვაფენილზე მოლაღური აგდია ყვავილივით,
ყვავილივით,
რომელიც პროცესიას ბოლომდე...
ცა... ეს ზეცა, ზეცა, ზეცა
სისხლი გაოცებული
წერს სევდიან ბალადას.

ქარი მაღე გაუძახებს ამ მოლაღურს მტკვრისაკენ.
მტკვარს გაჰყვება მოლაღური. მოლაღური... — წვიმა!

ქვაფენილზე მოლაღური აგდია ყვავილივით.





უსნაური კაცი

მოთხრობა

ბადრი ტანთხელი ბიჭი იყო, აწო-
წილი, გრძელკისერა, წვრილმკლავება,
ქალივით ნაზი და ფაქიზი, ამიტომაც
სხვებივით არ შეეძლო ერთი ნახტომ-
ით მეზობლის ღობეს გადავლებოდა,
ნაპარავი ხილით უბე აევისო და მეგობ-
რებში გაენაწილებინა. ვერც ლახტის
თამაშში იყო მარჯვე. არადანის არჩე-
ვის დროს სულ ბოლოს მიაკუთვნებ-
დნენ რომელიმე მხარეს. ამ და, კიდევ
მრავალ თავისებურებათა გამო, რასაც
ჯერ ვერ ამქლავებდა, მაგრამ, იმედო-
ვნებდნენ, რომ გამოსადენი სისხლი
თავს არ დამალავდა, ბადრი ბავშვო-
ბიდანვე წიგნის კაცად მიიჩნეის. მეზუ-
თე თუ მეექვსე კლასში, უხეირო მხე-
დველობაც რომ შენიშნეს და კეხიან
ცხვირზე სათვალე წამოაცვეს, ბადრის
წიგნის კაცობას ბეჭედიც დაუსვეს.
უფროსების ფეხის ხმას აყოლილი ბი-
ჭი მიენდო სწავლულობაზე ოცნებას,
თუმცა ერთი რამ დასჩემდა — პრო-
ფესიებს იცვლიდა წამდაუწყუმ: ჯერ
მასწავლებლობაზე ოცნებობდა, მერე
სკოლის დირექტორობაზე და ცოტ-
ცოტას ბაძავდა კიდევ შაქრო დირექ-
ტორს, მერე დედამისი რომ ავად გახდა
და თითქმის სიკვდილის პირას მყოფს,
პროფესორი ჩამოუყვანეს, ბადრიმ
მთელი წელი პროფესორობაზე ფიქრი
ატარა ოცნების გულით. ამას მომღე-
როლობის სურვილი მოჰყვა — კინოფი-
ლმში ნახა მომღერალი ჰაბუკი რომ
არჩია ყველა თაყვანისმცემელს ულა-
მაზესმა ასულმა. თუმცა ბადრის არც
ხმა გააჩნდა, არც სმენა და მომღერ-
ლობაზე ფიქრსაც ადრე მოეშვა, სამა-
გიეროდ კვლავ დირექტორობა აეკვი-
ატა, ამჯერად სკოლის კი არა...

— ისევ არ იცი, ბადრი, გააკეთილი?
— ჰკითხა მასწავლებელმა.

ბადრი ამ დროს საშაქარლამოს დი-
რექტორობაზე ოცნებობდა, რადგან
წინა კვირას დედას რაიონში ახლდა
და საკონდიტროში შეიარეს. ბადრი
მეცხრეში იყო უკვე.

— იცი, მასწ...

— ვიცი, ბადრი — თბილად გაუღი-
მა მასწავლებელმა.

მეორე და მესამე დღესაც იგივე გა-
ნმეორდა.

ერთ რამეში მაინც ვაყაყობა გამო-
იჩინა ბადრიმ, მისაღებ გამოცდებზე
არ უმტვრევია კარები. არც თავი გაი-
წბილა და არც სხვები მოაცდინა. რა-
იონში არსებულ სასოფლო-სამეურ-
ნეო ტექნიკუმშიც არ შევიდა — სა-
შუალო ისეც დამთავრებული მაქვს,
და რაღას ავტიკივო აუტიკივარი თავიო.
წელიწადნახევარი სკოლის დამთავრე-
ბიდან ჯარში წასვლას ელოდა — მა-
ინცდამაინც საკოლმეურნეო შრომი-
სათვის არ იწყებდა თავს. გამრჯე ოჯ-
ახში ბადრის სამყოფი ლუკმა რა სათ-
ქმელი იყო. იჯდა ბადრი თავისთვის
სუფთად და კობტად ჩამუღლ-დახურ-
ული, კითხულობდა მორგვივით სქელ
წიგნებს. დღის განმავლობაში წაყვრა-
წაყვრით მსუბუქ სამუშაოს თუ იხელ-
საქმებდა ეზო-მიდამოში, ეს იყო და
ეს. დარიან ამინდში კლუბში გაივლი-
და ხოლმე სადამოობით, ბიბლიოთე-
კაშიც შეიხედავდა. დუქნებთან ხალხში
გაერეოდა. ავდარში ტელევიზორს უჯ-
და და რუსულ კინოფილმებს ან გადა-
ცემებს უთარგმნიდა მშობლებს.

ჯარში არ წაიყვანეს ბადრი, მაინც-

დამაინც არც ამისთვის შეუწყუხებია თავი.

ერთ დღეს სოფლის თავკაცებმა რომ იხმეს, ბადრის არ გააკვირვებია, დროდადრო ლოზუნგებისა და წარწერების დასახატავად იზარებდნენ და შორჩილად ასრულებდა საქმეს.

— რა უნდა დავხატო? — იკითხა ბადრიმ.

— გოკები, — მიუგეს.

ბადრიმ სათვალე შეისწორა, რატომო, იკითხა.

— კომკავშირელი ხომ ხარ? — ჰკითხეს.

— საწევროს კი ვიხდი, — კვლავ სათვალე შეისწორა ბადრიმ. რაღაცნაირად უხერხულად იგრძნო თავი. ლოზუნგი, გოკი, ახლა კომკავშირი... არ უყვარდა ბადრის ამგვარი ხუმრობა.

გააკვირეს, როგორც იქნა. კოლმეურნეობას მელორეობის ფერმა ჰქონდა და იმის გამგედ უფიქრიათ მისი დანიშვნა. ფერმა დიდი არაფერი შვილი იყო. ბადრი გაკვირვებული მიაჩერდა თავკაცებს, რამ მიაღებინათ ამგვარი გადაწყვეტილებაო. თუმცა მალე მიხვდა სოფლის მესვეურთა არჩევანის მიზეზს.

სოფელში ცნობილი იყო ბადრის განსაკუთრებული ალღო პირუტყვის ცნობაში. ზეპირად იცოდა, რა ფერისა და რანიშნების იყო მავანისა და მავანის ძროხა, თხა, ღორი — ბატიც კი. მეველე მათ ჰქიშარზე მოიყვანდა ხოლმე სავარგულში დაჰკერილ საქონელს.

— ბადრიამ გადმოიმხედოს ერთწამს! — დაიძახებდა.

ბადრი აივანზე გამოუსვლელად გასძახებდა: — მაგ ძროხა, უშობელი ან თხა ამისა და ამისიაო. არც ცდებოდა. ერთხელაც არ ყოფილა რომ შეშლოდეს.

— გიყვარს, ბიძიკო, შენ პირუტყვი, — უთხრა თავჯდომარემ. — ღორი, როგორც მოგეხსენება, ცოტა ბინძური საქონელია, მაგრამ შენ ხარ ფაქიზი და...

თავმჯდომარემ რატომღაც ათვალით თავრა სათქმელი.

— ეს მართლა გადაწყვიტეთ? — იკითხა ბადრიმ.

— აბა? — მიუგეს.

— ხალხის დასტური მინდა მე! — ეს მტკიცედ იყო ნათქვამი. კარგა ხანს არავის გაუღია ხმა.

— კაცო, გენერალური ასამბლეის მდივნად ხომ არ გირჩევენ ბოლოს და ბოლოს, — ცოტა არ იყოს, გაბრაზდა კოლმეურნეობის თავჯდომარე. სხვებმა გაიციინეს. ბადრის წამწამიც არ შეუტოკებია.

— ასეა საჭირო! — ჩაფიქრებით თქვა და კაბინეტიდან გავიდა.

საერთო კრებაზე, რომელზეც დაამტკიცეს მელორეობის ფერმის გამგედ, და, სხვათა შორის, კოლმეურნეებმა ძალიან გაიკვირვეს არჩევანი, ბადრის სიტყვა არ დაუძრავს. თავკაცები კი კრების დაწყებიდან მზად იყვნენ ბადრის გაუთავებელი ტირადის მოსასმენად.

ბადრიმ პირწმინდად გადაიბარა ფერმა, საჯიშე კურატიდან დაწყებული, კულმეტრუსულ კატამდე ყველაფერი აღწუსა. მერე სამწუთიანი კრება ჩაატარა ორ თანამშრომელთან და ერთადერთი წინადადება წარმოთქვა:

— დღემდე რაც იყო, ის არ მეკითხება მე, დღეიდან ფერმას უნდა მივხედოთ.

ორი კვირის შემდეგ ბადრი მარტოკა დარჩა ღორებთან. გაექცნენ თანამშრომლები.

იხმეს თავკაცებმა, მიზეზი ჰკითხეს.

— ქურდობდნენ, — განმარტა ბადრიმ.

მოუწონეს, ასეც უნდა, სახალზო დოვლათის განიაგების უფლება არავის არ უნდა მიეცეთო. შეპირდნენ, ორ-სამ დღეში ახალ თანამშრომლებს გამოგინაზავთო.

ის სუსხიანი ზამთარი კენტად გაატარა ბიჭმა. მამამისი თუ წაუტარავდა ხელს, თორემ არავის გახსენებია ბადრი და მისი ფერმა, არც თვითონ ახსენებ-

და თავს. საქმე კარგად მიუდიოდა, თითქმის ყველა დედა ღორი ელოდა ნამატს. ბადრი ჩვეულებრივ მოგვლენად თვლიდა ამას და დიდ სიხარულს არ ამქლავებდა. ძალღმა ლეკვი უნდა შობოს, ღორმა გოჭი და ძროხამ ხბო, აბა რისი მაქნისი არიანო.

მამამისს უყვირდა, — მეურნე კაცის ალღო რომ გქონდა, რატომ მე ვერ ვამჩნევდიო და თავჯდომარისა შურდა, იმან როგორ მაჯობა ჩემი შვილის უნარის შეცნობაშიო.

გაზაფხულზე აივსო ფერმის ეზო გოჭებით. თავკაცები მოვიდნენ სანახავად. აღმოჩნდა, რომ სამჯერ მეტი გოჭი გაჩენილიყო, ვინემ გეგმით ითვალისწინებდნენ.

აქეს და აღიდეს, რაიონულ გაზეთში დაეაწერინებთ შენს ყოჩაღობაზეო. ბადრი ცხვირს ისრესდა და სათვალეს ისწორებდა. ღორის და გოჭის მოვლა არაფერი დიდ ამბად რომ არ მიაჩნდა, ზედვე ეტყობოდა.

კვირისთავზე მართლაც მოვიდნენ რაიონული გაზეთიდან. ბადრის ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული ამ ხალხის დაწერილი და ესიამოვნა მათი ნახვა.

გოჭების გაჩენის შემდეგ ფერმაში ათევდა ლამეს და ერთი მომცრო ოთახი მოერთო საამისოდ. იმ ოთახში შეიწვია სტუმრები.

ათიოდე წუთის საუბრის შემდეგ, რაღაც არ მოეწონა ბადრის. ნამეტან ცოდნას იჩემებდნენ სტუმრები.

— როგორია თქვენი რაციონი? — ჰკითხა ერთ-ერთმა.

ბადრის იმდენი წიგნი ჰქონდა წაკითხული, „რაციონის“ მაგვარი სიტყვებით რას გააკვირვებდა ვინმე, მაგრამ არადანიშნულებისამებრ ეჩვენა დასმული კითხვა და ამირიზა:

— ვერ მიგიხვდით შეკითხვას, — თქვა.

— რა მეთოდით აკმევთ ღორებს? — სტუმარმა გაამარტივა შეკითხვა.

— ღორს, ბატონო, არ უნდა მეთოდებით და კლასიფიკაციებით ჰმევა, საძლომად უნდა მისცე საკვები, სუფთა

და თბილ ბინაში უნდა გყავდესო და გათავებულა საქმე. ნამატიც კი გეყოლება და თავსაც კარგად გაიტანს.

სტუმრებმა მხრების აჩეჩვით გადახედეს ერთმანეთს, ცოტა კიდევ ისაუბრეს და წავიდნენ.

გაზეთი მამამისმა მიუტანა მეორე საღამოს, აქ შენზე წერიაო. ბადრი რატომღაც დარწმუნებული იყო, ის კაცები, მასთან რომ იყვნენ. სიმართლის დამწერად არ გამოდგებოდნენ. დარწმუნებით ათი დღის შემდეგ დარწმუნდა ამაში, შემთხვევით ისევე იმ გაზეთს რომ წააწყდა და მისი მუშაობის შესახებ დაბეჭდილი სტატია წაიკითხა. ჩაბუერდა სიცილისაგან, თუმცა არავისთვის არაფერი უთქვამს, არც თავმჯდომარისათვის, ვეტექიმთან ერთად მოვიდა გოჭების სანახავად. სამაგიეროდ თავჯდომარეს ჰქონდა სათქმელი და არც დაუფარავს:

— მაისი ახლოვდება და... — თქვა.

— მაგის დასტურიც ხალხმა უნდა მომცეს! — შეაწყვეტინა თავჯდომარეს ბადრიმ და წასვლა დააპირა.

— კი მაგრამ, ბიჭო... — თავმჯდომარემ უცბად ვერ მოძებნა სათქმელი. — შეკაცი კაცო, გავადრამებთ ბულალტერიში, როგორც წესია, — თქვა ბოლოს.

— არ გამოვა მასე, — ბეჭედი დასვა ბადრიმ.

თავჯდომარე და ვეტექიმი წავიდნენ, მაგრამ ნაშუადღევს ხოქოსფრად მბზინავი მანაქანა მოაღდა ფერმას. მანქანაში მძღოლის გარდა, ორი ქალი და ახალგაზრდა კაცი ისხდნენ. ორ წუთში თავმჯდომარის გახუნებული „კოლხონიკი“ მოჰყვა მათ. თავმჯდომარე ხოქოსფერ მანქანასთან მივიდა, შიგ მჯდომთ მხიარულად მიესალმა და მძღოლის თანხლებით ფერმის ეზოში შევიდა. გზადაგზა რაღაც ქალაღები ამოიღო ჯიბიდან და გაასწორა. ბადრი თავისი „სენაკის“ სარკმლიდან უყურებდა ყველაფერ ამას.

— ბადრი! — მოკრძალებით დაიძახა თავმჯდომარემ.

ბადრიც გამოეგება ცხვირის სრესით და სათვალის სწორებით. გისმენთო,

მიუგო და თავისებურად, გვერდულად დაუდგა წინ.

— ა, აგერაა სამი გოჭის ქვითარი, ფული შევიტანეთ სალაროში, აგერ...

ბადრიმ მოწიწებით ჩამოართვა ქვითრები, სათვალე შეისწორა და სათითაოდ გადასინჯა ქალღლები.

— ორკილოგრამიანი ვირთხები დავხოცე აქ ამ ზამთარში, — ნათქვამს მეტი მნიშვნელობა მიანიჭა ბადრიმ, ვინემ თავმჯდომარემ გაიგო. — ხუთკილოგრამზე ნაკლები გოჭი არ მყავს მე, წელან არ ვითხარით? თანაც, ხალხის დასტური...

— ბადრი, ბიძიკო, თავს ხომ არ გადიხარ შენ? იცი, ვინ არის იმ მანქანაში?

— მძლოლი, ერთი ჰალსტუხიანი კაცი და ორიც ქალი, — თქვა ბადრიმ.

— კარგად დაგინახავს? — შესცინა თავმჯდომარემ, ნაღდად რომ აოცებდა ბადრის მიუხევედრელობა. — ვინ არიან მეთქი, იმას თუ მიხვდი?

— ახლა მივალ იმ ხალხთან და ვკითხავ, რა უფლებით მოვიდნენ აქ გოჭის წასაყვანად? — თქვა ბადრიმ და სათვალე მოიხსნა. — ან ხვალ მივალ იქ, სადაც საჭიროა. მანქანის ნომერს დავიხსომებ, სხვა არაფერი მჭირდება, — ეს რომ თქვა, მანქანას გახედა.

— ბადრია, მჭირ ხომ თავს! — ხმას დაუწია და რისხვას უმატა თავმჯდომარემ.

— თავის მოჭრა რა საკადრისია, ბიძია ბავრატ, მოითმინეთ. — ბადრი უცბად შებრუნდა და ფუცხუნ-ფუცხუნით გაემართა დედა ღორების სადგომისაკენ. ხუთიოდ წუთი დაჰყო იქ და შემდეგ კარები რომ გამოალო, თერთად გადაიბენტა ფერმის ეზო. ნაპატიები გოჭები ჭყვიტინით გამორბოდნენ სადგომიდან. ბადრი თავმჯდომარეს მიუახლოვდა, თოკზე აცმული სამი გასაღები ფეხებთან მიუგდო და ფერმის ეზო გადაიარა. მანქანას რომ ჩაუურა, შედგა, ოდნავ შეყოყმანდა, რალაც მოიფიქრა, მანქანის უკანა კარი გამოალო, შიგ მსხდომთ მდაბლად დაუკრა თავი და შემდეგი თქვა:

— გაამოთ, ბატონებო, რძის გარდა, ჭერ არაფერი უჭამიათ!

ქალები ჭერ დაიბნენ, მერე აიმრიზნენ.

— რა ზრდილობიანია! — თქვა ერთერთმა.

— ცოტა უცნაური ჩანს, — მტკავლის სიფართე ჰალსტუხის სწორებით შესცინა ქალებს თანამგზავრმა კაცმა.

— კი, უცნაური ბიჭია, უცებ იცის გაფიცება, მალე გადაუფელის, — დაუდასტურა ამ დროს მოახლოვებულმა თავმჯდომარემ.

თავმჯდომარის მძლოლს სამი ფუძულა გოჭი მოჰყავდა. გოჭები თავდალმა ეკიდნენ, ეკიდნენ და ყურისწამლებად ჭყვიტინებდნენ.



გლოვისა დარბაზში

ვეძლენი სამამულო ომში დაღუპულ ქართველ მეომრებს

გლოვისა დარბაზში უკრავენ სინანულს
გალობენ, ტირიან;
გლოვისა დარბაზში უხშირეს სიარულს,
ცრემლებიც ხშირია.

ჰა, დღესაც მალული მოვარდნენ დარდები —
ვეწვიოთ დარბაზებს,
მათ ფსკერზე სინათლის სიჩქარით ვარდება
სული და ბარბაცებს...

ვუსმინოთ გლოვისას სიმღერებს, აკორდებს,
მრუმეს და ნაწამებს,
ეს ღამეც ლოდივით მძლეთამძლედ აგორდა,
აენთო და წამებს,

გაუშვებს მოწამლულ ისრების გუნდებად
შხამიან სივილით...
— ვის უნდა, ვის უნდა, ვის უნდა ხუნდებით
დახშული კივილი?

ცაზედ კი ნათელი მოგორავს რაიმე,
მთვარეა თუ არა?
სისხლისღვრას ყოველთვის უხდება ვაიმე!
სულს გადაუარა

შორიდან წყეულმა ავსულმა მუხთალმა
აწვდილმა ცამდინა
საიდან ამდენი უჭმური, — წუხს თვალი, —
ვაება ამდენი?..

მალლით კვლავ გამოჩნდა მნათობი მიმცხრალი,
მართლა თუ მთვარეა?
სიკვდილი, სიბილწე, შხამი და სიმთვრალე
ერთად ვინ არია?

მითხარ, ვინ შეგასვა სამსალა ნახადი
ურჩხულის სურვილით?
და რატომ იჩრდილვის ნაცრისფერ სახადით
სიცოცხლის წყურვილი?

გლოვისა დარბაზში უკრავენ სინანულს
გალობენ, ტირიან,
გლოვისა დარბაზში უხშირეს სიარულს
ცრემლებიც ხშირია.

რად დავკარგე ოცნების და აღტაცების უნარი?
ნეტავ საით მიისწრაფვის ბედის ჩემის მერანი?
ფიქრში, ფიქრში, მხოლოდ ფიქრში რჩება გაუხუნარი,
ჩემი ცა და ჩემი მიწა, სულის ჩემის მღერანი.

ადრე წითლად მოგელავდა მთარღვევდა კაბადონს,
განთიადის სარკმელიდან მზე სხივების ჭიატით,
აფსუს, ჩემო ბედაურო და მხურვალე ნაბადო,
აფსუს, ჩემო აღმაფრენავ — როგორ დამიჭიანდი.

რატომ გაქრა სილამაზით აღტაცების უნარი?
საით მიჰქრის, აღარ ვიცი, რაში ფაფარაყრილი,
ფიქრში, ფიქრში მხოლოდ ფიქრში რჩება გაუხუნარი
ჩემთა ძველთა სიყვარულთა მოელვარე აპრილი.

აგერ, ახლახანს მიცვალეულ წინაპრის ძალით
ბობოქრობს სულში ჯადოსნური წითელი ალი;
და დღე შავბნელი, შუშასავით ხისტი და მყიფე,
დროის და სივრცის ოკეანის მიღმიდან გვიყუფს...

შიშმა არ იცის განსხვავება — კაცი თუ ქალი,
მძიმედ ტკაცუნობს ჯადოსნური წითელი ალი;
და თუ კი უცებ დაემხობა სამყარო ძველი,
წამიერებავ, წარმიტაცე წამავლე ხელი...
თორემ წარსულში გაწამებულ წინაპრის ტკივილს
სურს სასთუმალი, გააგებით მოსთქვამს და ჰკივის.
ჯვარცმა — დღევანდელ სიკეთეთა შემწე და მცველი,
ჯვარცმა — უკვდავი
სიყვარულის უშქარი წელი...
მაშ, მივეთბუნოთ მიცვალეულ წინაპრის ძახილს,
ტაბუდადებულ ოცნებების უმჯობეს სახელს
მივცეთ ელფერი ხორცშესხმული წმინდა მამისა,
ის გვიპატრონებს, გვიერთგულებს, გვიძმობს, დაგვიცავს...

აგერ ახლახანს მიცვალეულ წინაპრის ძალით
ბობოქრობს სულში მომნუსხველი წითელი ალი
და დღე შავბნელი, შუშასავით ხისტი და მყიფე
დროის და სივრცის ოკეანის მიღმიდან გვიყუფს...

ლოდინი

ლოდინ არს მძიმე, უმძიმესი ლოდივით მძიმე —
მიდი იმღერე, ჩამოჰკარი თითები სიმებს.
ლოდინ არს მრუმე, უშავესი ღამისა ფერი,
რად არ იმღერი? — მზე მომწყურდა შენი სიმღერის,
ლოდინ არს ჩუმი, ხავსმოდებულ წარსულის დარი,
მომინდა ქარი, შენის მღერით ამტყდარი ქარი,
ლოდინ არს ძალა, უმკაცრესი სამყაროს ძალა,
ის ელოდება და იმედებს სათუთად მალავს.



ო! რა უეცრად დგება ზამთარი
და თოვლი მოსდევს ნოემბრის წვიმებს...
სული აწეწა მსუსხავმა ქარმა —
ამღვრეულმა და ლოდივით მძიმემ.
და თეთრი სევდით სავსე ქალაქში
შემოიპარა სხვა გარინდება,
სადღაა ძველი ცეცხლი და ტაში
თოვლი ყინულის სანთლად ინთება.
და უნებურად ფიქრს მოსდევს ფიქრი —
ჩნდება სურვილი მშობელი მხარის,
არსება ჩემი იქითკენ მიჰქრის
და მათბობს შუქი დამზრალი მთვარის...
და აღარ მთანგავს თოვლის სანთელი —
რაც შევიჩვიე ბავშვობის მერე,
თოვს... თეთრად ცვივა ციდან ფანტელი
მღერის ქალაქი ყინვის სიმღერებს.
ასე უეცრად დგება ზამთარი,
და თოვლი მოსდევს ნოემბრის წვიმებს...





თეთრი კედელი

რომანი

— რა ვიცი, ასე ხდება და... — მიუგო ვიზიტით დაბნეულმა და ჭეშმალ თავდგირიძე ცნობისმოყვარეობით შეათვალერია.

— აუ, სურფაც გაგიშლია, მელლოდი, არა? — ხმამაღლა გაიცინა მან და სიმთვრალე ოდნავ დაემჩნა.

— მობრძანდი, მოდი... — ნოდარს შეუცნობლად გაეხარა ყოფილი თანაკლასელების სტუმრობა, — კარგია, რომ მოხვედლი...

— ჭეშმალ თავდგირიძე არასოდეს ცდება, — გაიღრჩია სტუმარი, ოთახი მოათვალერია და შეპარვით იკითხა: — ერთი ეს მითხარი, მარტო ხარ?..

— ჰო, მოდი, მოდი, — შავიღისკენ მიიპატიჟა.

— დაიცა, მე მარტო არა ვარ... წრიანს რა ვუთხრა, ოთახს შემპირდა და მერე არ ამთესა ხალდა?!. არადა, ისეთი გოგონები მახლავს, გაშვება შენანება. შენც იცი, ჭეშმალს ოთახის ავადება არ გაუქარდება, მაგრამ სასტუმროში და ეგეთ ადგილებში არ გამოშვებენ, ხომ იცი, უყვლას მისი ანგარიში აქვს. წესიერ ფარგლებშიო და, ასე და ისეო. არადა, მაგ გოგონს მთელი ორი კვირა დაედევ. დღეს ჩემს ჭიბსზე დაქალიც მოჰყვა. გადაგრეხვს, რა, მაგრამ ჩემგან ჭერ არ გამოვა, მერე იმასაც წაბაშს კაცი, გამოგე?.. ხომ იცი, სხვებთანაც შემძლო მიმეყვანა, ჭეშმალს ვინ არ მიიღებს, ოღონდ შენ გამახსენდი და... მოკლედ, შემოგვიშვებ, პურ-მარილი თან მოვიტანე, — იერზე და ხმის კილოზე ნათლად ემჩნეოდა, მასპინძლისგან უარის თქმას არასდიდებთ არ მოელოდა.

არც ნოდარს უფიქრია მისი გაწვილება.

— მოიყვანე, მე მეორე ოთახში გავალ, ან წინა ოთახში გადავალ, მოიყვანე, როგორც გაგებარდეთ, ისე გაატარეთ დრო.

— რამ გადაგრიო, ჩვენთან იქნები, ხომ ვითხარი, გადაგრეხვ-მეთქი, ის გოგო ახლა მაინც არ მიმიშვებს, რას იზამ, შავათაც თავისი ვარიანტი აქვთ, თუ არ გინდა, უბრალოდ გაეხარე, — ბეჭთან ხელი შემოჭრა და დღერფანში გაბრუნდა.

ნოდარს დიდებულებს რატომღაც არ ეგონა, ასე თბილად და მეგობრულად თუ შესვდებოდა ჭეშმალ თავდგირიძეს. თუმცა მთელი ათი წელი ერთად ესწავლათ, მაგრამ ნაღდად იცოდა, ერთმანეთი არასოდეს მოენატრებოდათ.

თავდგირიძე ბავშვობიდანვე ამპარტავანი ტახლდათ. სიმდიდრისგან ნაუცხათევად წამოყვლულავებულ ოჯახში იყო გაზრდილი და თავი ქვეყნის ბატონ-პატრონად შიანდა. მამამისი წლების განმავლობაში იმ ქალაქის ერთ-ერთ თავკაცად ითვლებოდა და თანამდებობის შენარჩუნებაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე ხალხისგან მიზარებულ საქმეზე. უმცროს თავდგირიძეზე ბორკითაო, ვერ იტყოდით, მაგრამ თავის გამოჩენის მიზნით, ვინმე ათვალწუნებულს, შესაძლოა, ვერც კი მიმხედარიყო რა უმსგავსოხას სჩადიოდა, ისე საქვეყნოდ დაამცირებდა და შეურაცხყოფდა. ამგვარი გამოზღომებისთვის ჯან-ღონეც ხელს უწყობდა. საშუალო სიმაღლისა იქნებოდა, მკვრივად ჩადგმული მხარ-ბეჭი მქონდა. გარეგნობით ვაჟკაცს ჰგავდა და იმ გარეგნობისა და იმ ძალ-ღონის წყალობით, თანატოლები და საექვეო რეპუტაციის ხალხი „კაიბიჭის“ სახელით იცნობდნენ. თუმცა ამ სახელის დაგდებაში მამამისის მიერ მუქთად ნაშოვნი ფულის გაფლანგვა და „ვოლგით“ აქეთ-იქით თარეშიც გვარიანად ეხმარებოდა. სწავლისათვის არასოდეს იწუხებდა თავს, მაგრამ საცა იყო, იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილება დაამთავრებდა, მერე კი, ექვგარეშეა, სამართლის „დამცველად“ მოეწოდებოდა მშობლიურ ქალაქს.

უმაწვილობისას ნოდარი შექმლებისდაგვარად გაურბოდა მასთან ამბანაგურ ურთიერთობას.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ №7.



სხვებით არ იხიბლებოდა თავდგირიძის ბუნებრივი და არაბუნებრივი „დანამატებით“ პირველ ქით, მისგან თავაღწუნებულმა და შეურაცხყოფილს უმაღლ მხარში ამოუდგებოდა. ერთი ორჯერ იჩხუბეს კიდევ და თუმც თავდგირიძემ დაჯანა, გამარჯვებულის იერი და პრივილეგია მაინც ნოდარმა დაინარჩუნა, რადგან მტოკე მერე და მერე ნაშაღევი ხიფათხილით ერიდებოდა მასთან წაქიღებას, ალბათ, ხედვბოდა, ნოდარის შეუდრეკელობა იმ ვაივაგლახით შეკოწინებულ „კაიბიჭის“ ხახელს წაუბდენდა.

ბოლოს, შესაძლოა, თავადაც ვერ ატყობდა, ისე გაუჩნდა სიუმაწვილის მტოკისადმი რიდი. დარქაღვის დღებში ნოდარის ახლო მეგობარით ტრიალებდა, თავკაცობასაც ჩემულობდა, „ვოღვასაც“ დაუწარებლად დაქროლებდა საქირო საქმისთვის. მაშინ ნოდარმა, ცოტა არ იყოს, უხერხულობა იგრძნო: „ალბათ, შეიცვალა...“ ასე დაამედა თავი, ოღონდ ცდებოდა, თავდგირიძის ხსიათი მხოლოდ ახალი, ჩვეული თავმოყვარეობით აღვსილი თვისებებით შეივსო, ეს იყო და ეს. ხელგაშლილი და დარდიმანი გახდა, რადგან ორივე ეს თვისება თავისებურ მონად გადაექცა. იგი მოწყალე ხელმწიფესავით არიგებდა მწარუნველობას, მაგრამ მას მეგობრობის ნიღბით სჩადოდა, ასე თუ ისე, „კაიბიჭის“ ხახელზე წრუნვა ართობდა.

„ნეტავი საურმაგი მოვიდოდნენ...“ ინატრა ნოდარმა, რადგან მოშავალ სტუმრებთან დარჩენა რატომღაც არ უნდოდა. „მინც ხად გადაიკარგა, შესაძლოა, ვინმე თხილისელს გადაეყარა...“ სუტრას გახედა. ესამოვნა, მსუყედ რომ იყო გავსობილი. უნებურად სარკესთან მივსლა და გარეგნობის შეთვლიერება მოუნდა, გულღბრუკილოდ დაიმორცხვა და კარს მიაშურა.

ეწოში კი უკვე ჭემალ თავდგირიძე იქაჩებოდა:

— გთხოვთ, გთხოვთ, მოზრძანდეთ, ნურაფრის გერიდებათ, ჩემი ძმაკაცია, მარტოხელა კაცია, კაი ოჯახის შვილი და კაი ვაჟკაცი...

— მოზრძანდით! — წაეშველა აივანზე გასული. კარი ფართოდ 'გამოაღო და რატომღაც ისევ ოთახში შებრუნდა. შავიღის გარშემო შემოწყოხილი სკამები შეასწორა და კარისკენ პირქცეული ისე დადგა, კედელზე დასატულს ოდნავ მაინც რომ ამფარებოდა.

ოთახში აკისკისებულმა მალღმა ქალიშვილმა შემოაბიჯა, მას ოდნავ დაბალი ქალიშვილი შემოჰყვა. ორივენი მოხდენილები და ლამაზები იყვნენ, მაგრამ ის ერთი მაინც საოცრად იტაცებდა მშვენიერებას დახარბებულ თავლს.

ნოდარი უმაღლ მიხვდა, ვინ ქცეულიყო ჭემალ თავდგირიძის აშლილი ვნების გამებლებლად.

— მოზრძანდით! — დინჯად წარმოთქვა მან და გვერდზე დაუფიქრებლად გადგა.

პირველი სტუმარი თავის სიმაღლესთან შედარებით ხორცხავსე გახლდათ. დიდრონი შეფლისფერი თვლები დამატკუვეებლად უელავდა.

— გამარჯობათ! — მხიარულად ჩაილაპარაკა მან.

— გამარჯობათ! — ისე თქვა მეორემ, თითქოს ამხანაგს ხმა შეეწიაო.

მეორე სტუმარი უწადოდ ჩამოსხლებლად სხეულს, თითქოსდა თავის თავში მალავდა. აკოკრებული მერდი ცისფერ კაბაში გამოშწვევად განაბულიყო. ლამაზ, მრგვალ პირისახეზე ისეთი უმანკო იერი დახდებოდა, გეგონებოდათ, სიმორცხვისაგან საცა სიწითლე მოედებო. იმასაც იფიქრებდით, შავად მზუნჯარი თმიდან ახლდა შემოსქვრა ხაბთა და შიტომაც დამფენია მხრებზე ასე დაუდევრადო.

ნოდარი ორივეს გულღდად მივსალმა და რადგან უმაღლ მიხვდა, არც ერთი არ აპირებდა ხელის ჩამორთმევას, სწრაფად დაიხია უკან და გადაჭარბებული თავაწიანობით წარმოთქვა:

— მოზრძანდით, მოზრძანდით...

— გაიცანით, ჩემი მეგობარი ნოდარ დიდებულძე, შესანიწნავი ბიჭი, ათასქერ ნაფროსტალი და ათასქერ გამარჯვებული! — დაიბუხუნა თავდგირიძემ და ოთახში ტყავის ჩანთები შემოათარია, — ამ მომხიბველელ ასულებს კი...

— ხათუნა და ნაია, — დაასწრო თავდგირიძეს მალღმა ქალიშვილმა და კვლავ აკისკისდა.

—სახამოვნოა... — ჩაილაპარაკა ნოდარმა და მიხვდა, ასეთი მომხიბველელი ედერადობის ხახელების გავონებას არ ელოდა, — დაზრძანდით! — შავადთან მდგომი სკამები მიწმისწია.

— ოჸო, მხატვრის ხალღში მოვხვედრირათ! — შეიძახა ხათუნამ, კედელთან თითქმის მიირბინა. ნახე, ნაია... — ეტყობა, აღფრთოვანება მოულოდნელობისგან უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე ნახატის მშვენიერების შეგრძენისაგან.

ნაიამ ორიოდ ნახიჯი 'გადადგა და სურათს ფიქრებში ჩაკარგულივით მიაჩერდა.

თავდგირიძემ ნოდარს თვლი ჩაუკრა და რაღაც ჩაიბურღლუნა, მერე ჩანთა „დღილომატი“ გახსნა, კონიკის ბოთლები ამოალაგა და სუტრას დარდიმანდულად შეშატა.

— უჸ, რა კარგია, — კვლავ აღტაცებლად იღვრებოდა ხათუნა, — უჸ, რა დარდიმანი ეშმაკია და ეხენიც, დედიშობილა რომ მიხსდომიან შავიდას... კარგი, ამ ინტრიგანს არ რცხვენია, მაგრამ ამ ვეშბატონს...

ნოდარი უბერძულად შეიშოვნა, რაკომლაც ნაიას მალვით გახედა.

— თქვენ, მგონი ვიღაცას ელოდით... — შინაურულად გამოეღიარა რუცხე ნაია — ხელი ხომ არ შევიშალეთ?

— არა, მეგობარი უნდა მოსულიყო, მაგრამ დაიფიანა, — მოზოდისების კილოთი შეეპასუხა ნოდარი, კვლავ თავის მიერ დახატულთა სიწიფველ აწვალბედა.

— ვინ მეგობარი?! — თვალები დაქაჩა თავდგირიძემ.

— საურმაგი, ჩემთან რომ ცხოვრობს, ალბათ, სადმე შერჩა.

— ეგ არაფერი, — როყოფდ თქვა ჭემალმა და ხათუნას თითქოს დასამშვიდებლად უთხრა: — მღვმერია, აივნის ბოლოს რომ ოთახია, ის უკავია.

— ეს თქვენი ნახატია, არა? — აკითხა ხათუნამ და ნოდარს შეხვინა.

— ჩერ კიდევ ამჩნევია ხელმეზურე ხაღებავი... — კვლავ ფიქრს მიძალბულივით გაუბედა მზერა ნაიას, ამჭერად სადღაც, უმისამართოდ იცქირებოდა, ორარზოვანი ხიუფეტია, სასიცილო სევდაში ჩაუჭრსული.

„სასიცილო სევდაში ჩაუჭრსული...“ ნოდარი შეტბუნდა.

— შე ახლავე... — ჩაილაპარაკა თავისთვის და სამზარეულოსკენ წავიდა.

— ორარზოვანია, მაგრამ მაინც არ მგონია, ამ მახინჩს ასე დაეხვიოს ქალები, — აღშფოთებით შეხსახა ხათუნამ.

— ალბათ, „მაყუთში“ ცურავს... — დაასკვნა ჭემალმა. მერე ალბათ, თავადაც არ მოეწონა ნათქვამი, — ქალებს რას გაუგებ, — ჩაიბურტყუნა, — კაცმა ჩემთან არ გაიაროს და მაგას მოეხვიოს... — ნაიას ვენებინადა მიატყვრდა.

— ახე თუ იხე... — რაღაცის მაგივრად თქვა ხათუნამ და მერე თითქოს გამოსავალი იპოვა ისე დაუშატა: — ეტყობა, ნიჭიერია ეგ შენი ძმაცოც, ალბათ, სწავლობს სადმე...

— არა, ახლახან ჩამოვიდა ჩარიდან, მო, იხე ნიჭიერი ბებიო, — დინჯად გაეპასუხა ჭემალი.

— უმაწვილო, — თითქოსდა ეშმაკის ენით მიმართა ოთახში შემობრუნებულ ნოდარს მორღიშარე ნაიამ, — რაც უნდა მსხვერპლი გაიღო სხუებისთვის, როგორც უნდა ემსახურო ჭეშმარიტებას, შე და ეს ახმახი ვიფინდარა მაინც ჩვენსას გავინადლებთ, რადგან ჩვენ კარგა ხანია თარეშის კანონიერი უფლება მოვიპოვეთ და მაინც...

— ბრავო, ბრავო! — ტაში შემოჰკრა ჭემალმა, — ოღონდ მაინც ნუ დაგვკანის ფილოსოფია... გთხოვთ, სუფრასთან! — ხელმეზავილითა ქალიშვილები მჭგიდასთან მიიწვიო.

ნოდარმა რიდით შეხედა ქალიშვილს.

— და მაინც მეფესიტოფელს ხომ არ შევატოვებთ ამ ქვეყანას... — თქვა მშვიდად და სტუმრები მანაც სუფრასთან მიიპატიო.

— „ფუფუტი“? გამოვიდა, ოღონდ არ წამიკითხავს... — დანაწევრებით ჩაილაპარაკა ნაიამ.

— ნუ გადამრევთ ახლა! — შეიტკარცალა ხათუნამ, — მოდით, ერთი ეგ რქიანი ეშმაკი ვადღერტყვო!

— აი, უოჩალი! — კონიაკით უმაღ შეავსო წვრილწვრილი ჭიქები თავდგირიძემ და ხათუნასთან ერთად „სიმპათიური“ ეშმაკი ადღერტყვლა.

ნაიამ უბზოდ მოსვა ხანმელი, ნოდარმა კი სტუმრები გულთბილად ადღერტყვლა და ჭიქა ბოლომდე დაკალა.

სუფრასთან უმეტესად ჭემალი და ხათუნა ლაპარაკობდნენ, თავდგირიძემ თამადაზა ითავა და გაწეპირებული მჭევრმეტყველებით, ანჭვლოტების ცოდნის სიუხვით თუ ხელოვნური უბრალოებით ორივე ქალიშვილის მოხიბვლას ცდილობდა. მერე, როცა მიხვდა, ნაია შესამჩნევი გულგრილობით იღებდა მის ქათინაურებს, ხათუნასთან გაარზიყუებას შეიძალა. ალბათ, მოძალბებული ვნების დაცხრომა უფრო ეჩქარებოდა, ვიდრე სამიჯნურო ქსელში ნაიას შეტყუება. შეგადაშიგ ნოდარს თვალს კმაყოფილებით ჩაუკრავდა, ალბათ, მისი თავდაპერილობა ახარებდა, რომლის წინასწარ განჭვრეტით მორიგი მსხვერპლი თითქოსდა თამამად დაუწყვიდა.

მასპინძელი ჭვეცნობიერად გრძნობდა ამას და მთელი ის დრო თავს ნაიას გასაცლიებლად აშვადებდა. ცდილობდა მზიარული სახე ჰქონოდა, თანამესუფრეებს მოკრძალებით ეპასუხებოდა, თან საურმაგის მოხვლას მოუთმენლად ელოდა, რათა მასპინძლის ფუნქციები მისთვის გადაეზარებინა.

გვარიანად შეზარბოშებულ ჭემალს ხელი თამამად მოხვია ხათუნასათვის და რაღაცა წამდაუნუმ ეჩრჩულებოდა.

ხათუნა კისკისებდა და სიგარეტს მოხდენილად ეწყოდა.

მერე ნაიამაც თამამად მოუკიდა სიგარეტს და თან ნოდარსაც შეეპატიო.

— მოსწიფთ, სევდას აქარვებს...

— არა, გმადლობთ...



— ოჲო... — ჩიიცნა მან, სიგარტი გამომწვევად გააბოლა და რატომღაც მთელი არ-
სებით გატრუბულ იმედს დაემსგავსა, — თქვენ რა, ქანწკილობას უფრთხილდებით? —
თვალეში ირონია ჩაუსახლდა.

— ალბათ, — ნოდარი თითქოს ამ გამოწვევას ელოდა. — ავადმყოფი ვარ და რა ვქნა...

— მაინც რითი? — ისე ჩაეძია, ეგონა, ექლიკებოდნენ.

— ქლევით... — მშვიდად უპასუხა და, გეგონებოდათ, მძიმე კურტანს იშორებსო, ისე
დაუშობა, — ჭარიდან ავადმყოფობის გამო დამითხოვეს რამდენიმე თვეა, რაც ჩამოვედი.

— რაო?! — დაფრთხა ხათუნა.

ჭემალს ერთბაშად მოედრებოდა სახე, რაღაც ნაძალადევად გაიხსენა.

— შო, შენ... — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა — მერე რა მოხდა...

„ეს ხადიშია... — გაიფიქრა ნოდარმა, — ხადიშია... ისე ვეღარ ვძლებ, თუ სულიდან
არ ამოვრცხვებ ეს დახვეწებული მოვალეობის ზრძნობა“.

— ნუ შეშინდებით, — გაილიმა მან, — კოხის ჩხირებს არ ვარიგებ, უბრალოდ, დარ-
დილვა მაქვს.

— იხუმრე, არა?.. — გახეარდა ხათუნას, — შე კი გამაგიჟე და...

— მერე რა მოხდა? — ჩაილიმილა ნაიამ და ნახატს გახედა, — კოხის ჩხირები გენიოსებს
ემპაკებოდა.

— კარგი თუ რა, სხვა რამეზე ელაპარაკეთ! — გაბრაზდა ხათუნა, — სჯობდა გვეცეკვა,
ნოდარ, ფირფიტას ხომ არ დაატრიალებ? — ოთახის კუთხეში რადიოლას მიაჩერდა იგი.

— რატომაც არა, — მძიმედ თქვა ნოდარმა და წამოღდა.

ნაიამაც უშალ მიხაძა.

„წახლავს თუ აპირებს...“ გაიფიქრა ვაჟმა და შეება იგრძნო, მაგრამ მოტყუვდა. ქალიშვი-
ლი პირველი წავიდა რადიოლასაკენ.

— ფირფიტები მაგიდის უჭარხია, — დაადევნა ნოდარმა და გაუკვირდა, რა უბრალოდ
წარმოთქვა ეს სიტყვები. დედის გარდაცვალების შემდეგ ამ სახლში პირველად უნდა აუღე-
რებულყოფი საშხაროლო მუსიკა. უნებურად ბოდიში მოიხადა და ოთახიდან აივანზე გავიდა.

საურმაგის ოთახის ფანჯარა ჩანწელებული დახვდა. კარზე მაინც დააკაკუნა, მერე ოდნავ
გამოაღო კიდეც და დახალი ხმით იკითხა:

— საურმაგ, სახლში ხარ?..

არავინ გამოპასუხებია.

— ხად დიკარგა ნეტავი ეს კაცი... — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა და კარი ფრთხილად
მიხურა.

მერე ორიოდ წუთს კიდევ იდგა აივანზე და ენოში მდგარი „ვოლგის“ შეთვლიერებს
ცდილობდა. ბოლოს უბერხულება იგრძნო და ოთახში უხალისოდ შებრუნდა.

ერთმაშელს დაურტყვენდალ ჩახვეულ-ჩახლართული წყვილი აბორგებული სველით გაწვა-
ლებული მუსიკის რიტმზე ვნებიანად ტრატმანებდა.

ვაჟის სხეულს თრთოლვა მოედო, მაგრამ მაინც მშვიდად გახედა რადიოლასთან მდგომ
ნაიას, რამელიც კედელზე მიხატულ სურათს მისჩერებოდა, ქალმაც მშვიდი მზერა შეაგება
და მერთა ლად გაუღიმა.

ნოდარი მაგიდასთან მივიდა, კონიაკი დაიხსა და დალია.

— მრეც დამისხითი — მიაშურა ნაიამ.

როცა წელწერილი ჭიქა სასმელით შეუვსეს, ისე მაცდუნებლად გადაიხადა მადლობა,
მთელი არსებით უმანკოებას დაემსგავსა და ვაჟს უცებ რაღაცის მწველად შეეშინდა.

— აჲ ვიცეკვით?.. — თამამად იკითხა ქალმა და სანახევროდ დაკლილი ჭიქა მაგიდაზე
დადგა.

— ვერ გაგიწვით შეხაფერის პარტნიორობას, — უთხრა და შოკოლადი მიაწოდა.

— გზადლობთ, — შოკოლადი ფრთხილად ჩამოართვა და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა,
— მართლა არ მგავხარო სხვებს თუ გულუბრყვილობას იჩემებთ...

— გთხოვთ... — პასუხად ხელი გაუწოდა.

— აჲ, ეს მესმის, — ხელი შეაგება ნაიამ.

მელოდა მელოდას ცვლიდა. ყოველ მათგანს ერთი და იგივე საეტრადო ანსამბლი უკ-
რავდა და ყოველ მათგანში აბორგებული სვედა ეღერდა.

ნოდარს თითქმის ძალიძალად მოეკიდა ქალისთვის ხელები. დაუფარავად ცდილობდა შე-
ხაძლო მანძილი „დაეჭირა“. პირისახესაც არიდებდა. საშინლად ეშინოდა, შინაგანი თრთოლვის
შეგრძნება არ გაემშლია.

ნაიამ კი მხრებზე თამამად ჩამოსდო ხელები, თავი მოხდენილად დახარა და თმა მკერდზე
დააფინა...

ერთხანს ადგილზე ტოტმანებდა, მერე თითქოს ატოკებულმა სხეულმა გაიბრწყინა და მუსიკის საღარ სხარტ მოძრაობას გააკეთებდა და ვესაც აიყოლებდა.

— ჭეშაღ თავდგირაძემ ზოგი რამ მოგვიყვა შენზე, დედა ახლახან გარდაცვლილა, — წაიჭურჩულა მოულოდნელად და წამით ისე გაირინდა, თითქოს რაღაც შორეულ გამოძახილს მიუგოდო უკრის.

— ბო, ახლახან, — გაუხედავად გაიპასუხა იგი.

— დედა შეც ახალგაზრდა გარდამცველია, — ისევე ჩურჩულით გააგრძელა: — შენ, გიტყუობა, ძალზე ვანიციდი, შე კი ვერ აღვიქვი სათანადოდ დედის სიყვდილი. ცივი ქალი იყო, ნერვიული, გულღრმა, დედინაცვალივით მიპყრობოდა. რომ მოკვდა, ძალზე შეშინებდა და, ალბათ, იმ შიშის გამო ავტირდი. მხოლოდ ახლა ისე ამიწრიალდებოდა დედაზე ფიქრით სული... ხულ ასე მგონია, შე გავაწვალე, ხულ ასე მგონია, მასში დაბუდებული დედური სითბოს ამოცნობა ვერ შევძელი, — ნაია მთვარეულივით ლაპარაკობდა. — მშ... — ჩაიციხა ბოლოს. — იქნებ არ გეხებებოდა აღსარების მოსმენა.

— არ მივდი, — ძლივს ამოღერდა ვაჟმა. ცისფერად მოლივლივე თვალები ხულ ახლოდან უცქერდნენ.

მუსიკის ხმა შეუმჩნევლად მიილია. ფირფიტამ, ეტყუობა, დაცალა მელოდების მარაგი.

ნოდარი ვალმოხდილ პატარავით მოშორდა ქალს. მან უკვე იცოდა, ჭეშაღი და ზათუნა მერე ოთახში რომ განმარტოვდნენ და ნაიასთან მარტოდ დარჩენის საშიშროება მის იხედავ გათოკილ სითამამეს ბორკილებად დაედო. ჩქარი ნაბიჯებით წავიდა რადიოდასკენ, ჭერ ფირფიტის შეცვლა სწავდა, მაგრამ მერე შავიდასთან გარინდებულ ნაიას ჰკიდა თვალი და რადიოლა გამოართო.

მეზობელი ოთახიდან ზათუნას ვენებანმა ჩურჩულმა გამოაღწია.

— შე უნდა წავიდე! — განაწყენებით თქვა ნაიამ და ნოდარს კუშტად მოხედა.

— გაგაცილებთ...

— გმადლობთ, არაა საჭირო.

— ახლა საკმაოდ გვიანაა, თუმცა, როგორც გეჩვენოთ...

— კეთილი... — გაურკვეველად ჩაილაპარაკა, კედელზე მოხატულ სურათს ზერეღედ გახედა, მოკლედ ჩაიციხა და კარისკენ წავიდა.

გაგულისხმებული კაცის ნაბიჯით მიჰყვა ნოდარ დიდებულები. „გვაჩერებ ტაქსს, ჩავხვამ შეგ და მშვიდობით...“ გაიფიტრა აივანზე გასულმა და საურმაგის ოთახის ფანჯარა შეათვალიერა. „იქნებ მოვიდა კიდეც, კაცს ვეღარ შევხვდი ამით გადამივიდე...“

ქუჩაში გახვლამდე არც ერთს ხმა არ ამოუღია. ქუჩაში კი ნოდარმა გულგრილად განაცხადა:

— რამე გამოვიღის და გვაჩერებ!

— არა, ფეხით გავივლი... — ისე უთხრა, დეღელში გამოწვევას ჰგავდა.

იგი მოშორებით მიჰყვებოდა ნელა მიმავალ ქალს. 'განა ხულ ერთი იყო მისთვის, ვის მიაცილებდა, განა უცოდველი ვნება არ დათარეშობდა მის სხეულსა და ხულში, ოღონდ, ჩვეულებებისამებრ, ჭიბრში ედგა თავის თავს, ჩვეულებებისამებრ, უფულებოდ თვლიდა თავს მშვენიერებით მოხიზლულიყო და კვლავაც ატკობდა ნოდარ დიდებულების წამებულად შერაცხვა. და რაც უფრო ხანი ედებოდა დუმილს, მით უფრო უჭირდა ხმის გაღება. დუმილი დუმილს მტკიცედ ეფინებოდა და მიუღვამელი ზღუდე ხდებოდა.

ქუჩაც დაცარიელებული და ხმაურმიმცხრალი გახლდათ და მისი მდუმარება ქალ-ვაჟის დუმილს მტკიცედ საძირკვლად ედებოდა.

მოულოდნელად წამოწვიმა, ქარმაც დაუქროლა და ქალმა აფრიალებულ კაბის კალთებზე ხელები შემოიჭლო.

— შორს ცხოვრობთ? — ნაქარევედ იკითხა ნოდარმა, უცერად მოძალებულ ვნებას რომ დასხლტომოდა.

— არც ისე... — შედგა ნაია და ხაოცრად წყნარად ჰკითხა, — არ გეჩვენება, ასე რომ მიშვებ, ან მერე არ იჩანებ?... —

— ალბათ, ვინანებ, — უპასუხა მანაც ხაოცრად მშვიდად.

და თითქოს ვნების მოუხელთებელმა ხელმა სიყვარულის ლაზო მარჯედ მოაქდო და იმ განდევნის არსებიდან ამოაგდო.

...უეცარი ბიძგიტი მიხედალენ ერთმანეთს. მუგუზლების უნებლიე შეხლას ემსგავსა, თავდაბირველად ნაპერქკლებს რომ მიმოფანტავენ, მერე კი ერთიანი ნიშნურვალით მოციმციმე ცისფერად ააღდებინან.

ფუნქსიონების ინდივიდუალური კერვისა და შეიქმნის ფაბრიკის დირექტორის კანონტ-
ში, ხუთწუთიან თათბირზე, რომელიც უკველთვის საათზე მეტხანს გაქაინურდებოდა ზოლმე,
ათიოდე თანამშრომელი შეკრებილიყო.

ტელეფონებით დატვირთულ საწერ მაგიდასთან გაქიშული დირექტორი რამაზ სიხამურციძე
ისე იყო ჩამოხმნარი, იფიქრებდით, ძველებიდან ხორცს ვერ ჩამოაფხეყო. ფერგაცრეცილ, და-
ნაოქებულ საბეზე სიუვითლე დაქარავდა. უძველად სტირდა რაღაც ავადმყოფობა, მაგრამ
ექიმებს მისთვის ქერ მართებული დიაგნოზი ვერ დაესვათ და ისიც ხან რა სატიკვარს მურ-
ნალობდა, ხან რას. თმა გვარიანად ქასცენოდა, ოღონდ დავარცხნისას იმდენი ემარჩვა, წახნა-
გვან სიმრგავლედ მოშინაალ თავის ქალას სიწიშვედ არსად ემჩნეოდა. თუ კარგად დააკვი-
რდებოდით, უძველად „აღმოაჩენდით“, რომ მარჯვენა თვალი შუშისა ჰქონდა.

უშეტხად წინასწარ გაწეპირებული ფრაზებით ლაპარაკობდა. გონებაჩლუნგი გახლდათ და
რა ექნა, მაგრამ არც იმდენად გონებაჩლუნგი, გაიფერობის და საქმოსნებისგან ქრთამის „მო-
ქაივის“ თავი არ ჰქონოდა. მოკლედ, უარყოფითი თვისებები კრიალსონის მარცვლებივით ასხ-
მულიყვენ მის არსებაში და შექმნილი ატმოსფეროს მხედვით იმარცვლებოდნენ.

დირექტორის მხარმარცხნივ, კედელთან მიღვმულ სავარძელში ნებიერად ესვენა ამ ფაბ-
რიკის მთავარი ბუღალტერი თადეოზ ციმაქურიძე, მკვირვად ჩასხმული, ფართოსახიანი მამაკაცი.
იგი, ჩვეულებებისამებრ, თითქოს საკბილოს ეძებხო, მოუსვენრად აციცებდა ტროლა თვლებს.

თადეოზი მახვილგონიერი და თამამი გაიფერა გახლდათ, საქმოსნების ასავალ-დასავალი
ზედმიწვევით ჰქონდა შესწავლილი და თავის წილსაც თავხედურად ითხოვდა.

დირექტორის მხარმარჯვნივ, მაგიდის შორიახლო მდგომ სავარძელში მთავარი ინჟინერი,
დენდი ამალღობელაშვილი მოკლათებულიყო. იგი გვერდით მქდომ, ხმადაბლა მოლაპარაკე
საამქროს უფროსს ვითომდა გულჭრილად უსმენდა და კოტიტა თითებით უღვაშის ბოლოებს
აწვავლებდა.

ამალღობელაშვილი ფრიად ნიჭიერი და საქაოდ ენერგიული ახალგაზრდა სპეციალისტი
გახლდათ. ბევრი კარგი საქმის გაკეთების სურვილს დაატარებდა, მაგრამ წინააღმდეგობის დაძ-
ღვების ძალა არ შესწევდა.

ერთხელ დირექტორის ყოფილ მოადგილეს სიხამურციძის „გამომუშავებაში“ წახმარა,
მაგრამ როცა რამაზმა იმ „ზედგომი“ მუშაკის წყალობით იმარჩვა, უშალ გვერდზე გადა, რა-
დგან ბრძოლა წაგებულად ჩათვალა. ან იქნებ სულ სხვა, მალული ხერხი იჩრია მის გახაგრ-
ძელებლად.

საამქროების მესვეურთაგან ფულადი სახით ქრთამის აღებას სასტიკად უფრთხობდა. ბევ-
რად უფრო ღალად გრძნობდა თავს, როცა შათ მიერ გამართულ პურ-მარჩილე წაიქიფებდა.
ამგვარი დროსტარება კი ხშირად უწევდა, რადგან საამქროების მესვეურთათვის დირექტორზე
არანაკლებ საჭირო კაცი იყო.

მთავარი ბუღალტრის მეწობლად დავით ხელაძე სავარძლის კედლე ისე მაიპარად ჩამომ-
ქდარიყო, იფიქრებდით, საცაა ფეხზე წამოხტებო. იგი ფაბრიკის პროფავშირული კომიტეტის
თავმჯდომარე ბრძანდებოდა. გამზდარსა და ფერნაკლულს, რადაცნარი გაცრეცილი შეხედუ-
ლება ჰქონდა, ძველმოდურად შეიკრილი კოსტიუმში ეცვა, უსაშველოდ ფართოტოტება შარ-
ვალი კოტეხამედ თუ მისწვდებოდა. ვიწრო მუხლისთავზე დაქმუჭნილი შლაპა ჰქონდა ჩამო-
კსხებული. ყმაწვილკაცობაში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დემთავრებინა. ფაბრი-
კაში თავდაპირველად რიგით მექანიკოსად მუშაობდა და გამოუსწორებელი ლოთის სახელი
ჰქონდა გავარდნილი. მერე თანდათან გამოქანახლება იწყო ცოტათი „განისწავლა“
კიდევ და, ყველადა მოულოდნელად, ორატორული და ორგანიზატორული ნიჭიც გამოამეღა-
ვნა. ვიღაცის დარჩებთ თუ თავისი ინიციატივით კრებებზე სიტუვით გამოხვლას მოუხშირა,
საქმიანი წინადადებების კორიანტელი დააყენა და ბოლოს იმდენი იძალა, აღნიშნულ თანამდ-
ბობაზეც ერთხმად იქნა არჩეული. საქაოდ ცხიერი გახლდათ და მოპოვებულ თანამდებობასაც
მისი წყალობით ინარჩუნებდა. ზოგჯერ კოლექტიურ ხელშეკრულებაში მოცემულ ვალდებუ-
ლებაშია შეუსრულებლობის თაობაზე ფაბრიკის დირექციას დაურიდებლად ქრთახვდა. მაგრამ
ამას ისე ხრადიოდა, თითქოს ამგვარ საქციელს გამოუვალი მდგომარეობა აიძულებდა და თით-
ქოს თავის თავსაც არ ზოგავდა. სიხამურციძეს მისი ცოტა არ იყოს კიდევ ეწინოდა, რადგან
ერთი ორჯერ კოლექტიურ ხელშეკრულებაში ფაბრიკის აღმინებრაციის მიერ აღებული ვალ-



დებულებების შეუსრულებლობის თაობაზე პროტესტების საქალაქო საბჭოში დაგროვების
გვარაინი უსიამოვნებაც შეხვედრდა. ამის გამო იგი უშეტესწილად ხელაძესთან ფარულ მორი-
გეობას ამჟობინებდა, რადგან ხედვითა, მასაც ვიღაც ჰყავდა „ზემოთ“.

დენდი ამაღლებელაშვილის მხარმარჩენივ მდგომ სავარძელივ შერპრული მოხდენილობით
იქდა გიორგი ურუშაძე. მისი სახის ტლანქად ნაძრწი ნაკვლები შიტად ორჭინალორად ერწყ-
მოდენ ერთურთს და ვაჟაკურ იერს უნარჩუნებდენ. მეჩხერი თმა პირწმინდად გადაეცარცნა,
სახე კი, ჩვეულებისამებრ, ზედმიწევნით სუფთად გაპარსული ჰქონდა. ყავისფერი, ხადად შე-
კერილი კოსტიუმი ხალვათად ადგა ჭიხანს ხეუღზე. გიორგი ურუშაძე თადარიგის პოდპოლ-
კოვნიკი იყო. ახლა კი ფაბრიკის კადრების განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებო-
ბებია, ამასთანავე, ფაბრიკის პირველად პარტიულ ორგანიზაციასაც ხელმძღვანელობდა. ჰუმან-
ური იდებით აღზრდილი, ჰუმანიტებისთვის ბრძოლა ყოველდღიურ სახისოცნლო მოთხოვ-
ნილებად შეხისხლობრცებოდა. ოღონდ ფაბრიკის ატმოსფერო ამ ჩვევას მისდა უნებურად ჰმე-
დითუნარიანობას უქარგავდა და აჩლუნგებდა. დანაშაულის სამხილებლად, მამხილებელი ფაქ-
ტებით წელგამოჭრებელი პირდაპირ, ჰიქურ მიიწევდა სიმართლის მოსაყოველთად, საექვე პი-
როვნების გამოსაშეარავებლად ერთხაზად აღიმართებოდა და ამით ნაცად დამნაშავეს შენიღ-
ბვის საშუალებას აძლევდა. ურუშაძეს ბევრი გულშავი კაცი უფრთხობდა, მაგრამ მაინც თამამად
ემაქტრებოდენ და ზურგსუკან კიდევ დახციოდენ, რადგან ყველამ კარგად იცოდა, თადა-
რიგის პოდპოლკოვნიკს ქალაქის ხელმძღვანელობაში არც მხარის დამჭერი ჰყავდა და არც
გაგლენიანი ძმაცელები.

...სხვა იქ მყოფნი, უბნისა თუ საამქროს ერთი-ორი უფროსის გარდა, თითქმის ერთმანეთს
მიტამხვნოდენ და ჭერაც არდაწყებული თათბირის დამთავრებას მოუთმენლად ელოდენ.

ვენური სკამი, რომელზედაც საურმაგ ედენტი იქდა, უკანა ფეხებით კანინების კარის
ზღურების ებჭინებოდა და საურმაგს, რომელიც თითქოს კედლების გასწვრივ ჩარჩებულ სა-
ვარძლებში მხდომთა რგოლს კრავდა, უნებურად კარის მოლოდინლად გადებისა და უკან
გადაქანების შიში აწვალებდა.

იგი ფაბრიკის ახალბედა მუშაკი გახლდათ და მთავარი ინჟინრის კაცად ითვლებოდა.

„რაღაცას ელის ინჟინერი...“ ფიქრობდა საურმაგი ერთი თვის წინათ და არც ცდებოდა.
დენდი შერთლაც რაღაცას ელოდა, თავდაც არ იცოდა, რას, მაგრამ ლოდინი გადასაწყვეტი
საქმის უკეთ განჭვრეტის საშუალებას აძლევდა.

ამაღლებელაშვილს საურმაგ ედენტი პირველ შეხვედრისთანავე მოეწონა. წარმოსადგეც გა-
რგნობის ვაჟაკში თამამი და ჭერ კიდევ გაურყვნელი სული დალანდა. რაღაც სიამისმოგვ-
რელი უშაღ უგრძნო გულმა. დენდი ხშირად ფიქრობდა, რომ ფაბრიკის ხელმძღვანელ მუშა-
კებს შორის აუცილებლად სჭირდებოდა „თავისი კაცი“, კაცი, ვისაც მიენდობოდა და ვინც
ურთოგულებდა. მართალია, თავად კარგა ხანია ამ ქალაქის მაცხოვრებელი იყო, მაგრამ იმ მხა-
რის ძირეული მკვიდრნი მაინც ჩამოსულ კაცად თვლიდენ, რადგან მის სახითას კუთხურობის
დამღის კვლი კვლავაც გვარაინად აჩნდა. და მაინც, ერთი შეხედვით, თითქოსდა ბევრი კე-
თილმოსურნი ჰყავდა (სამსახურშიც კი), მაგრამ რატომღაც ეგონა, იმ კეთილმოსურნებსა და
მას შორის ფრად ბევრი რამ რჩებოდა სათქმელი, ხოლო ადამიანური სიბოოს უშეტესი ნა-
წილი კი გაუნაწილებელი. სიფრთხილე ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და იმ ხანდო და ერთ-
გული კაცის ნაცნობეში გამოძებნა რატომღაც ეჩოთრებოდა. არადა, აუცილებლად ეწადა
მის გარშემო ისეთი ადამიანების შემოკრება, რომლებიც დირექტორთან წარმოებულ ფარულ
ბრძოლას უმსხვერპლოდ მოაგებინებდენ და მის მომავალსაც საიმედო საძრკვლად დაედე-
ბოდენ. ...დირექტორთან, რომელიც თითქოსდა მხოლოდ წარმოების ფინანსური მხარით იყო
დანიტრესებული და, მისი აზრით, ამაღლებელაშვილს, ვინაც ტექნოლოგიური პროცესები და,
საერთოდ, ფაბრიკის სამოქმედო მექანიზმი ზედმიწევნით კარგად იცოდა, მარიონეტული ხელ-
მძღვანელობის უფლებას აძლევდა.

საურმაგის პიროვნების თავისებური შესწავლის შემდეგ კიდევ უფრო დაეპატრონა ის ნა-
მალავი წადილი. „გაწვევ რისკს, რაც იქნება იქნება... ყველასთვის უცნობი კაცია და მგონი
არ გამოივრდება ჩემს გემოზე გამოზრდა...“ დასკვნა ბოლოს. დროულად ისარგებლა დირექტო-
რის სამსახურში არყოფნით და საურმაგ ედენტი საშუაოზე მიიღო.

...რცხ ლომთათბის წინაშეც კი არ დაიხვეს უკან“, კმაყოფილებით გაიფიქრა მან ერთხელ
და უნებურად იგრძნო, რარაგ მწყველად განიცდიდა თავის ფიზიკურ სისუსტესა თუ მოუხერ-
ხებლობას. ალბათ, ხანდახან მის შიშიც იპურობდა, ლომთათბისთან „გამრტყემლის“ მსხვერ-
პლი არ გამხდარიყო.

...და კიდევაც გაისარა, რადგან ახალბედას მუშაობის დაწყების პირველ დღეებდანვე
შეატყო ალაღმართლობა და ნებისყოფის სიმტკიცე. უშაღ ფრთხილი და შენარსიანი ინსტრუქ-
ტავი ჩაუტარა. თავისი შეხედულებები შეაპარა და წარმოებაში დამყარებული ატმოსფერო

დაუხასიათა, საჭირო მიზანიც დაუხასა. ფიქრობდა, როცა მოწინააღმდეგის დათრგუნვა დასრულდა, რადებოდა, შემტვეთი ფუნქციები მისთვის დაეკისრებინა, თავად კი მის ღია თუ ფარულ მხარდაჭერაზე ეტყუნა.

მერე კი თანდათანობით გაუშინაურდა, გვარაიანად გაუშინაურდა, ოღონდ ოფიციალობის ზღვარი მათ შორის მაინც დატოვა.

საურმაგე ჩვეული გულმშურავლებით შეიქცა საქმეს. მისი წინამორბედი წელიწადნახევარზე მეტხანს ფაბრიკაში უსაფრთხოების ტექნიკის და შრომის დაცვის ინჟინრის თანამდებობაზე დანიშნვის დღიდან, მხოლოდ იმას ელოდა, როდის გადაიყვანდნენ კვლევით ინსტიტუტში და როდის მიეცემოდა დისკრეციაზე მუშაობის საშუალება... ფეხსაცმლის ინსპექტრისა და შეკეთების ფაბრიკის საამქროები და სახელმწიფოები, როგორც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ობიექტები, მთელს ქალაქში იყო მიმოფანტული და უმეტესად ისეთი შენობები ეკავათ, რომლებიც თავდაპირველად საცხოვრებელ ბინებად ან სხვა დანიშნულებისათვის იყო გაკეთებული. ფაბრიკის არსებობის თხუთმეტი წლის მანძილზე ოთხი მსხვილი საამქრო სპეციალიზაციო გაყვანილობის გარეშე არსებობდა და არსებობდა არც არავის იტყუნა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. ამ მტიკინეული საქმის მოხაგვარებლად საქითის დაუენება ბევრ ვერაფერ შედეგს გამოიღებდა, რადგან საცხოვრებელი თუ სამრეწველო შენობების ამა თუ იმ კუთხეში შეუუფული საამქროები არც ისე დიდი მოცულობისანი იყვნენ და არც ერთ დაწებებულების ხელმძღვანელს, ვისაც ფაბრიკა-ქარხნებში სპეციალიზაციო დანადგარის გაყვანა ევალებოდა, არასდროს იყო სურდა „რადაც კაპიტებისათვის“ ხალხის მოცდენა და გაწვავლება.

ბევრი სხვა რამეც აკლდა წარმოებაში უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის სრულყოფილად მოწესრიგების საქმეს. თითქმის წვრილმანი, მაგრამ უცხო თვალისთვის გვარაიანად შესამჩნევი და დასაფიქრებელი. მუშები დღენიადაც „ხარგებლობდნენ“ ამ კეთილმოწყობლობით და უმრავლესობას აზრადაც არ მოსდებოდა, შრომითი დისციპლინისა და სანიტარიის დაცვისათვის მიეცია უკრადლება. არც უზენისა თუ საამქროების უფროსები ბოკავდნენ მათ „თავისუფლებას“, რის შედეგადაც თითქმის ყველგან ანტისანიტარია და ურესტიგოზა ხუფივდა.

საურმაგე უდენტმა თავდაპირველად აუცილებელი და საჭირო ინსტრუქტაჟი ჩატარა წარმოების კოლექტივს. ყოველ მათგანს მეგობრულად შეახსენა მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების აუცილებლობა. მერე რამდენიმე მათგანს შენიშვნაც აკადრა. პირველი ღირსეული ბრძოლა თამაშავს სამუშაო ადგილზე მწველებს გამოუცხადა. მაგრამ ამ ჩვევის აკრძალვა იმდენად უცხო აღმოჩნდა მათთვის, გაცხება ვერ დაფარეს და „ახალბედნი“ დამცინავად გაეციკინენ კიდევ. მათ შორის ხელმძღვანელი მუშაკებიც აღმოჩნდნენ; „.....ც შენი ინიციატივა მუშების მოგვიცდენ, დაწყებენ წინ და უკან სირბილის და სდრე მერე...“ უკმაყოფილოდ განუცხადა ზოგაერთმა. მაშინ საურმაგამ ყოველ მათგანს განმეორებით ჩატარა მათი „წილხვედრი“ ინსტრუქტაჟი, უფრო მეტი დამაქერებლობით გააფრომა და ოფიციალური სახეც მისცა. საჩიოთრო პასუხისმგებლობის აღქმამ მეტ-ნაღლები შედეგი გამოიღო... ბევრმა ახალბედა ინჟინრის მეგობრული რჩევა-დარჩევების მიღება არჩია, ვიდრე მასთან ჰიდილი, რადგან დავიღარაბით მისი დაშინება ამაო გამოდგა. რა თქმა უნდა, ბევრი კვლავაც არღვევდა აღნიშნულ წესდებებს, მაგრამ უსაფრთხოების ტექნიკის და შრომის დაცვის ინჟინრის, თუ სხვა ზოგაერთი ხელმძღვანელი მუშაკის გამოჩენისას უმალ „ინდებობდნენ“ და სამუშაო ადგილის თამაშავს ნაშწავებით დანაგვიანებასაც უფრთხობდნენ... და ის ხელმძღვანელი მუშაკებიც იძულებულნი გახდნენ, ნებით თუ თავის თავზე ძალდატანებით, მუშებისათვის საწარმოში შრომის დისციპლინის დაცვის მშავალით მიეცათ.

დენდ იმავლობელაშვიდი ფრიად კმაყოფილი გახლდათ. საურმაგის მტიკიე ნებისყოფის შემწეობით, ზოგაერთი გამაყებულ ოსტატს, საამქროსა თუ უზნის უფროსს, ასე თუ ისე, სხვა კუთხითაც აგრძნობინა მთავარი ინჟინრის სამოქმედო ხტეროს უფლებამოსილება.

დავით ხელაძე პირველხანად განაწეენებული იყო, დენდმ ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობა ვიდაც, ყველასთვის უცნობ კაცს თვითნებურად ჩაახარაო (თუმცა თავდაც კარგად იცოდა, წარმოებაში ახალი მუშაკის მიღება-არმიღებისას თუ ვინმე რამეს დაეკითხებოდა, პირდაპირი პასუხის გაცემას მუდამ თავს არიდებდა, რადგან იმ რაღაც მოსალოდნელი მოულოდნელობისგან თავის დაზღვევა სტევიდა), მაგრამ ახლა დროულად მიხვდა, ის განაწეენება უნდა მიეწეენებინა. „ახალბედის“ საქმიანი წამოწყებისთვის მხარის დტერა მისი სისხლბოროტეული მოვალეობა გახლდათ და თანაც საურმაგის მტიკიე, მეტროლი ხახიათის მიმართ უნებურად რიდი იგრძნო. ჩვეულებრისამებრ, იმ მოსალოდნელმა მოულოდნელობამ შეახსენა თავი.

„ეტკობა, მაგარია მაგ ღმერთძალი, ისე უციონის სახე, ისე ძმაბიურად არის მუშებთან.



გეგონება, რავარც ვაგინარდება, ისე მოთელავს კაცი. მარა თუ წარბი შეიკრა, მტრისას... უცხოა, მაგარია მაგ ღმერთადლი, თუ დასცალდა, შორს წავა...“ ფიქრობდა იგი შემდეგ.

გიორგი ურუშაძე კი უწრადღებით უთვალთვალებდა საურმაგ უღენტის საქმიანობას და კმაყოფილებებს ნიშნად გულთბილი ხალხითა და ღიმილით ამხნევებდა. ერთი ორჯერ საქირო რჩევა-ღარიგებაც მიაშველა.

... ასე თუ ისე, სულ მოკლე დროში ჭაბრიკის მუშა-მოსამსახურებში ნათლად აღიჭვავს, რა თანამდებობა ეკირა ახალგაზრდა ინენერს, რა შეადგენდა მის მოვალეობას, რას ითხოვდა იგი მათგან და რა დახმარების გაწევა შეეძლო.

... ღირქტორმა შედიდურად მოავლო თვალი თავის „სამწყსოს“ და ბრაზიანად ჩაილაპარაკა:

— სადაა ხალხი, რამდენი კაცი გვაკლია... რას ჰგავს ეს — მან ისე არეულად მიმოიხედა, ეტყობოდა, ჭერ თავდაც ვერ მიმხვდარიყო, თანამშრომელთაგან ვინ ესწრებოდა „ხუთფუთიან“ თათბირს. — მომარაგების უფროსი მივილინებაშია, ხომ?... — ჩაილაპარაკა ბოლოს, მთავარი ინენერისკენ ოდნავ მიაბრუნა თავი და, ცოტა არ იყოს, აგდებით ჰკითხა: — სულთანისველი სადაა, რა, მთავარი შექანიკოსი არ უნდა ესწრებოდეს თათბირს?..

— სულთანისველი ჩემთან დავტოვე მის ბიჭვითან ერთად, — დენდის მხრების აჩრვავი ჩაილაპარაკა იაშა ლომთათიძემ, ერთ-ერთი უზნის უფროსმა ისე რომ სავარძელში არც კი შენძრულა.

- რა მოხდა? — ლომთათიძის „დამოუკიდებლობამ“, ეტყობა, გააღიზიანა ღირქტორი.
- წნები გაფუჭდა მესამეში, ფუტკარაქემ ვერ გააკეთა და...
- მერედა, რატომ არ დარეკა, რას ჰგავს ეს! — გაწყრა სიასამურძი, დიდი, წითელი ფანქარი აიღო, ქათამა ფურცელზე დააბჩინა და უზნისა და საამქროს უფროსებს გამომწვევად ჰკითხა: — როგორაა საქმე?
- იქნება, ბიკენტიჩი! — ერთხმად უპასუხა რამდენიმე კაცმა.
- ზევით, ზევით! — შესძახა მან.

... თვის ბოლო გახლდათ და ღირქტორი, ჩვეულებისამებრ, ყველასგან, ვისზეც კი ხელი მიუწვდებოდა, კუთვნილი სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას მოითხოვდა. ლაპარაკის კილოზე იქნებ კიდევ ამოგეცნოთ, ვისთან რა დამოკიდებულებაში იყო, მაგრამ მისი რსოყო თუ აბაღებდა ლოგიკის წყალობით, მაინც ახერხებდა მისთვის ხარითირო ფაქტების შენიღბვას.

...მერე ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა ლოდინისგან გაბეზრებულებით პირდაპირ, დაუკითხვად წამოიწყო გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ძაგება. უზნებისა და საამქროების უფროსები გულგრილად უსმენდნენ. ღირქტორს კი უქმაყოფილება ნათლად აღბეჭდვოდა დანაოტებულ სახეზე. ყოველ მათგანს გეგმის შესრულება-არშესრულების ვარაუდებით ჰქონდა თავი გამოკედილი და გამოშვებული პროდუქციის ხარისხი დიდად აღარ აღარ ადებდათ. ქალთაშე კვაკეიშვილი კი მითითებებს იძლეოდა და საკითხების ღრმა ცოდნას ნამადღევი თავმოწონებით ავლენდა. და როცა ერთიანად აღგზნებული, ფაბრიკის უფროს ტექნოლოგს თავგამოდებით შეეხიტუვა და სხვებსაც გადასწვდა, სიასამურძემ იღქრა, ამას მართლა არ მოუაროს ხუტურმა და რომელიმე საამქროს დახურვა მართლა არ მოიწადინოსო. ნამადღევად სახემოლიმარემ რამდენიმე დამამიდებელი სიტუვა უთხრა, საამქროებისა და უზნის უფროსებს სათანადოდ შეუწყრა, მერე მამადაბილივით ამოიხრა და ცალუხად იკითხა:

— სათქმელი ხომ არ გაქვთ ვინმეს?
საურმაგი თამამად წამოღვა.

— დრო რომ არ გავფლანგო, პირდაპირ დავიწუებ, — მტკიცედ წარმოთქვა მან და ღირქტორი ცივად შეათვალირა, — პარასკევს პროფკავშირების საქალაქო საბჭოში უფროს ინსპექტორთან ვიყავი გამოძახებული. კიდევ ერთხელ გაგვაფრთხილა საამქროებში ვენტილაციის უქონლობის გამო...

ღირქტორმა ირონიულად ჩაიციანა.
— რა გევეტრილიაციება, უმწვილო, გეგმა არ ჩაგვივარდეს, იმაზე უნდა ვიყოთ მკლავებდაკაიწებული...

სიცილში და გაქილიკებაში სხვებმაც აუბეს მხარი. საურმაგი უმაღლ მიხვდა, სათქმელის გადადება არ ივარგებდა.

— კარგი, კარგი! — ჩაიხლიჩინა სიასამურძემ, — ამ ხალხს ნულარ მოვაცდენთ, ისე მოვილაპარაკოთ, გქვამს, გეგმას მიხედეთ! ახა, თავისუფალი ხართ... თქვენ კი დარჩით! — სათითაოდ მიბჩინა მწერა ურუშაძეს, ძნელაძეს და ამალღობელაშვილს, — შენ კი, თუ დაგვიჭირდი, გაცნობებთ, — რაღაცის მიმანიშნებლად გაუღიმა თადეოზ ციმაკურიძეს და კართან

უბრუნდებოდა მდგომ საურმაგს ცივად მიუგო, — შენც დარჩი, ახალგაზრდაც, ვნახოთ, რას გვირჩევ...

თანამშრომლები სწრაფად წამოიშალნენ, სიასპურიძე კი ღრმად ჩიხებენა ხავარძელში, საურმაგი შეათვალიერა და გესლიანად გაიფიქრა: „დახეთ ამ ვაჟბატონს, ეს ვინაა მოათრია ამ ამაღლებულაშვილმა...“

სამსახურში დაბრუნებულ რამაზს, ახალი თანამშრომლის უიმისოდ მიღების ამბავი, რა თქმა უნდა, არ ეტანებოდა, არც ის, გულდაჭვულ რომ უქო ჯერ დენდომ, მერე გიორგი ურუშაძემ, არც იმის გაგება გახარება, ახალბედა ინჟინერს ხულ მოკლე დროში გარკვეული წარმატებებისთვის რომ მიეღწია. მერე იმან გააღიზიანა საურმაგ ელენტს მასთან შეხვედრისას მშვიდად და ხაკმაოდ თამამად რომ ეტირა თავი, მაგრამ მის სითამამეში თავაზიანობაც დალანდა და აზრ-მიუტანებლად გაიფიქრა: „არ იმჩნევს, თორემ ჩემს მრისხანე შეხედვას ესეც უფრთხის. დაცა, მალე მოვთოკავ...“ და ისე იპერდა თავს, თითქოსდა ურადლებს ღირსადაც არ თვლიდა. მოხსენებითი ბარათი, რომელიც საურმაგმა წარუდგინა, დაუდევრად გადადო გვერდზე, არც წესიერი პასუხი აღიხსა და იმ ბარათის წახაკობად არც მერე შეუწყუბებია თავი. რდგვეწყა-ცის დარად, როგორც მის ხასიათს შეეფერებოდა, ღრმად სწამდა, რომ ახალბედა ინჟინერის სპეციალობა დირექტორის უფლებამოსილებას ოდნავადაც ვერ დაუპირისპირებოდა. ახლა, ეტყობოდა, თავისდა მოულოდნელად განიცადა მარცხი, რადგან უკვე კი აღარ თხოვდნენ, ან კი აღარ ურჩევდნენ, ბრალს სდებდნენ... და ვერც თავად ახერხებდა ხელქვეითის მიმართ თავზე-დი უოფილიყო, რაც უველაზე მეტად აცეცხლებდა.

სიასპურიძემ ძლივს მოთოკა სიბრაზე, ხანამ თათბირის დათხოვნილი მონაწილენი კახინე-ტიდან გავიდოდნენ და ფეხზე დაფეთებულვით წამოვიარდა, ფანქარიანი ზელი ისე აიქნია, თითქოს იმ ფანქრის ტერზე მიხლანათომებოდა.

შენობიდან გახულმა საურმაგმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. „აღამიანი სიამოვნებისთვისაა გაჩენილი, ოღონდ უველა თავისებურად ეპოტივნება იმ სიამოვნებას. უველას მისი მულამი აქვს გულ-მუცლის დახატკობად. რას ერჩი ასოციანს... მასაც მისი იდეოლოგია გააჩნია, ოღონდ ლეუსაა მიძალბებული და... ჰმ, აღამიანი მართლაც სიამოვნებისთვისაა გაჩენილი, გააჩნია, ვინ რა წრახვებს ატევს ამ ტეშმარიტებაში. ძალზე ზწირად ნაძალადევადა ვაბუნდოვანებო ცხოვრებას, დაუდევრად ვნახავთ ურთიერთობას, არტახებს ვადებთ გულწრფელობას, უშუალობას, ალაღ გრძნობას, უველას და უველაფერს, რათა ეს წყეული უწეოვბისა თუ სანიშნულო აღამიანის იარლიყი შევიწარხოთ. დასწყევლოს ღმერთმა, იაშას იდეოლოგიის ზეგავლენა ხომ არ განიცადა?..“

ტელეფონ-ავტომატის წინ შემდგარიყო და მთელი ორი წუთი შარვლის ქიბეებს იჩრტედა. უცებ გამოერკვა. მიხვდა, რაც აწუხებდა, იმ, ნაუცხბივად საკუთარ თავთან ატეხილი დავიღმარებით რისი თქმა სურდა, რაღაც მოუხელთებელმა სიბოთმ სხიამოვნოდ დაურბინა სხეულში.

...როგორც იქნა, ხურდა ფულში ორკაპიანი გამორჩია და ქიხურის კაჩი გამოალო. ზუმერის რიტმულ ხმას კარგა ხანს უგდებდა უურს. მეტი ორკაპიანი აღარ ჰქონდა.

„არა, უნდა ვნახო. ახლავე უნდა ვნახო...“ გადაწყვიტა ქიხურიდან გამოსულმა და გაუკვირდა, აქამდე რომ არ დაეპატრონა ამგვარი სურვილი.

...ლალი და საურმაგი იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. გზადაგზა მეგობრულად წაიხაუბრებდნენ და უნებლიედ ისე დაშორებოდნენ, მომავალ შეხვედრაზე სიტყუაც არ დასცდებოდათ. ...თითქოს რაღაც დადგინდა მათ შორის, თითქოს რაღაც დაკანონდა მათ ურთიერთობაში.

საურმაგ ელენტის სანაპიროზე შეხვედრის შემდეგ მთავარულივით ეძინა ლალი ბერაქებს და უცაბედდ მოხვდავებულ სიყარულის გრძნობას უძალიანდებოდა. თუმცა დილით, გავლი-ბებული, გულმოადგინედ აჭერებდა საკუთარ თავს, ჩვეულებრივ, მშვიდად მეძინა და არც იმ ახირებულ განცდების ტყვე უყოფილვარო. მერე კი მთლად სამსახურბრძივმა მოვალეობამ შთანთქა და მის არხებაში რაღაცამ თილი ბურანით მიძინა, ეგონა, იმ „ახირებული“ და ხამატკილიობით მოცული განცდის დატყუეება მოხერხებულად შეეძლო.

ეგონა, საურმაგ ელენტი არასოდეს გადალახავდა მათ შორის თითქოსდა დადგენილ და დაკანონებულ მეგობრობის ზღვარს.

საურმაგი კი დღითიდღე ხვდებოდა, რომ ის რაღაც „დაკანონებული“ ხულს უხუთავდა... რადგან იმ მეგობრულად და საქმიან ურთიერთობაში ისინი რაღაც დიდხა და უტოდეულს მალავდნენ, ნიღბავდნენ, ატყუებდნენ...

საურმაგი თავდაუწოვავად მიახიქებდა და გამველეთა გაცეცხული მწერა მიაცილებდა.

— საურმაგი — დაუძახა ვიღაცამ.

მიიხედა და შეცბუნებული შედგა. შორიახლო მდგომ ლალის ნუშისფერი თვალები ციქტ გოგონასავით უკროდა.

საურმაგი ქალიშვილს წელა მიუახლოვდა, ყინიანად მიაცქერდა და ჩაილაპარაკა:

— ესეც სიურპარჩი...

— ხად გარბიხარ?

— შენ ხანახავად მოვდიოდი...

— ჩემს ხანახავად?! არ გეტყობა, ისე აფორიაქებული ჩანდი...

— აფორიაქებული ნაღდად ვარ... კარგა ხანია მინდოდა შენთან შეხვედრა, — საურმაგმა უნებლიედ ღრმად ამოისუნთქა.

ლალის გაეცინა.

— ხუმრობის ხასიათზე ხარ, არა? როგორ შეეჩვიე ახალ თანამდებობას?

— გვარიახად, უფრო სწორად, ახლმა თანამდებობამ მოწყალებოდა მოიღო და შემითვისა...

— ძველზე როგორ დატოვე საქმე?

— გადასარედად, ისეთი კომწია ორმოები დავთხარე...

— კომწია ორმოები... საინტერესოა... დრო რომ მქონდეს, აუცილებლად შეგიმოწმებდი ნამშუვეარს.

— საამოვნებით, მეგზურობას მე გაგიწევთ, თანაც სადილობის დრო ახლოვდება. იქვე ახლოს სასადილო გახსნეს, ისეთ გემრიელ კერძებს აწაღებენ... — საურმაგმა გზად მიმავალი ტაქსი გააჩერა.

ლალის წამით გაოცება დაეტყო.

— კეთილი, — თქვა მერე, — სამინისტროში ვიყავი და კვლავ ვიჩხუბე. ცოტას გულს გადავდუკოლებ... — თითქოს გამოწვევა მიიღო მან და „ვოლგისაკენ“ თამამად წავიდა.

„კერპი, კერპი, კერპი... გამართლებაც ამას ჰქვია...“ გაიფიქრა საურმაგმა და გუმანით მიხვდა, სამინისტროში „ომგადახდილ კერპს“, ვინმე თანამოაზრესთან განმარტოებისა და ხაუბრის სურვილმა ცხოვრების „ჩვეული განრიგი“ დაარღვევინა.

გზად გულღია საუბარი გააბეს, თანანსტიტუტელი მეგობრები გაიხსენეს. საურმაგი სტუდენტობისდროინდელ ცხოვრების ეპიზოდებს, ჩვეულებისამებრ, იუმორით აწავებდა და ისე ჰყვებოდა.

მძლოლი, ახალგაზრდა ვაჟი, მისი პროფესიის კაცის პირობაზე წედმეტად გულჩათხრობილი ჩანდა. ერთხელაც კი არ შეუთავლიერებია მგზავრები.

— ღია თუ გახსოვს, ჩემი თანაკურსელი?... — ჰკითხა უცაბედად ლალიმ იმ გოგონას შესახებ, რომელსაც ერთ დროს საურმაგი უყვარდა.

— მახსოვს, შორიდან ვიცნობდი... — დინჯად მიუგო მან.

— ძალზე კარგი გოგოა, ერთად ჭავანაწილეს, მერე სტუმრად გვეყავდა მთაში და იქ მოგვტაცეს, თავს იკლავდა... ახლა ძალზე კმაყოფილია... ორი ვაჟის დედაა, შეიძლება წილს მესტუმროს.

მოულოდნელად „ვოლგამ“ დამუხრუჭება იწყო და გეზი იცვალა. საურმაგმა წამით თვალი მოჰკრა, ვიღაც შავოსანი ქალი ქუჩაში მიბორძიკობდა, მერე ის და ლალი ერთმანეთს შეენარცხნენ და წინ გადაქანდნენ. ვაჟმა უნებლიეთ მარჯვენა ხელი ქალიშვილს ხახვზე მიაფარა. ავტომობილი მარცხენა ფრთით ქუჩის პირას აღმართულ ხეს შეენარცხა და გვარიახად დაზიანდა. მძლოლმა „ვოლგას“ მარჯვედ დაახვეინა უკან.

— ახე წოწილი არ ივარგებს... — ჩაილაპარაკა „ვოლგიდან“ გადმოსულმა, შეზნექილ ფრთას მიაფურთხა, მანქანაში ჩაქდა და იქაურობას გაშორდა.

— ერთი ორჯერ მაინც შეეყვარა მაგ დალოცვილს, — ჩაიცინა საურმაგმა.

— რას არვებდა?! — რატომღაც ხახვზე მოისვა ხელი ლალიმ და წამოწითლდა.

— სიცოცხლეს... — „ღია თუ გახსოვს ჩემი თანაკურსელი? ძალზე კარგი გოგოა, ერთად ჭავანაწილეს... მერე სტუმრად გვეყავდა მთაში და იქ მოგვტაცეს, თავს იკლავდა... ახლა ძალზე კმაყოფილია...“

ქუჩა თანდათან ფართოვდებოდა და მერე ვრცელ მინდვრად გაიშალა. ორმოები ამოუცხებილი დახვდათ, რაც საურმაგს ბავშვივით ჭებარდა. ყოველ ორმოს სათითაოდ ჩამოუარა.

— აი, ამან გამწვავა, ოო, ამის ამოთხარაზე დღე დამაძვდა.. ამან კი შემინდო, ისე შემინდო და ისე გულღიად მომცა გზა, ოთხი მეტრის მაგივრად, მგონი, ხუთ მეტრამდე ამომთხრევინა თავი... — რაღაც თავისებური აზარტით იხსენებდა იგი და მის „პირშუბებს“ ისე მოიხიბული დასტრიალებდა თავს, ეტყობოდა, ერთი ხული ჰქონდა, რომელიმე მათგანში ჩამხტარიყო.



უნებლიედ ლალისაც გადაედო მისი ალტყინება. ხალისიანად დაჰყვებოდა უკან გოგონასავით იახლდა:

— აუ, რა ღრმია, მართლა მარტომ ამოთხარე?.. მე რომ შეგ ჩავვარდე, ალბათ, ზემოთ ვეღარც ამოვალ.

მოულოდნელად საურმაგი მოიხარა და ორმოში მოქნილად ჩახტა.

ლალი დაფრთხა და ისე შექანდა, თავდაც კინალამ შეგ გადაეშვა.

— საურმაგი — შეპყვირა მან.

— აჟა ვარი — ნიშნის მოგებით ამოსახა და წამოიშართა.

— იტიინე რამე?

— არა... — შეეპასუხა გულგრილად, თუმც მუხლისთავი, რომელიც ორმოს კედელს ჩამოჰკრა გვარაინად ეწვოდა.

— რამ გადაგრაია... — ადგილს ვერ მოულობდა ლალი. ორმოს ნაჩქარევად განერიდა, არადა, ახლოს მისვლაც ეწადა. კახა ეცვა და, რა ექნა. კახიანი ქალი მაინც სულ სხვაა.

— მიწიერი ჰაერის შესუნთქვა მომინდა... — ორმოს კედლებს ხელები მიმოუსვია მან, — იცი, რა მათრობეილა მიწის სუნია..

— ვიცი, ეს მე კარგა ხანია ვიცი, — ლალის ხედა ბურთივით მოაწვა ყელში. საშინლად მოუნდა მიწას ვართხმოდ, პირისხეუ ძალუმად დაედო ზედ და ისე ესუნთქა...

— არა, მიწის ჭრილში ჰაერი მაინც სულ სხვაგვარადაა შეზავებული, — შეეხმიანა საურმაგი და ორმოს კედელს ახლა ლოყა მიადო

— ამოღა, ხანამდე უნდა იყო მანდ? — ლალი დაიხარა, პაწაწინა კენჭი აიღო და ორმოსკენ მოიხრლოა.

კენჭი პერანგის საყელსოში ჩაუვარდა საურმაგს. პერანგის დილები შეიხსნა და უზიდან კენჭი ამოიღო. მერე ფრთხილად აიხედა ზემოთ.

ორმოს ნაპირას ლალი მოპარულიყო და ღიმილით დასცქეროდა. ვაჟს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ რატომღაც სახა გაუშრა და სათქმელიც ვერ მოიხელთა, ქალის მკვრივ და თეთრ ფეხებს ისარივით მიაწყდა მწერა.

ლალი უკან გახტა.

— კიდევ დიხანს იქნები მანდ? — შესძახა გაუბედავად.

საურმაგმა ნაცადი ხერხით იწყო ზემოთ ამოსვლა.

— ყოჩაღ! — შეაქო ლალიმ, როცა მან ორმოს ზედაპირს მხარბეკი ამოაცლია. იგი შორიახლო ჩაჩოქილიყო და ბალახში რაღაცას უთვალთვალებდა. მერე უცებ წამოიშართა და საურმაგს მიაშურა, — გინდა, მოგხმარო? — უკვე ორმოს ზედაპირზე ფეხშემოქცემულს თამამად გაუწოდა ხელი.

საურმაგმა გაულმა, ხელი ხელზე მოსჭიდა და ორმოს კედელზე მიყრდნობილი ფეხით მომეტებელი ზიჭი მისცა სხეულს, რათა დამხმარეს დიდი ძალის გაღება არ დასჭირებოდა. მაგრამ ზიჭი იმდენად ძლიერი გამოუვიდა, არათუ ორმოდან საბოლოოდ ამოსვლა, ორიოდე ნაბიჯიც უმიზეზოდ გადაადგმევინა და ლალი რომ გვერდზე დროულად არ გამხტარყო, ალბათ იმ დღეს კიდევ ერთხელ შეენარცხებოდნენ ერთმანეთს.

— გადარჩი! — შესძახა ქალიშვილმა, როგორც კი ხელის შეშვება მოახერხა. მერე საურმაგის მიწით მოთხვრილ ლოყას ჰკიდა თვალი და აკისკიხდა.

საურმაგსაც გაეცინა, ოღონდ იმ სიცილს სიმხიარულის გარდა, რაღაც სხვაც ამოაყოლა, თვალბმა იელვებს და ალუბლისფერ კახაში ატოკებულ სხეულს მიუაღწუნს.

ფრთხილად მოიხვა ხელი ლოყაზე, ფრთხილად წარსდგა ნაბიჯი მისკენ.

ლალიმ იმ მოხალოდნელი მოულოდნელობის მოახლოება იგრძნო. იეცვა, ოღონდ არ შეიმჩინა. კისკის ღიმილი შეუნაცვლა.

ვაჟმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადმოდგა. ხელები გაშალა და მჭიდროდ შემოაქდო. ძალუმად მიიკრა მკერდზე და მხურვალე ბაგეები მის აღშემომთებულ პირისახეს მიუახლოვა.

ლალი ბერძენს, თითქოს ძარღვებში სისხლი აუგვიჯიწდა, მოძალებული ვნება წალეკით დაემშურა.

— გამიშვი, ხელი გამიშვი! — შესძახა უშეწოდ.

— ლალი... — ვაჟმა ყელზე გავარჯარებული ბაგე შეეხო.

— გამშორდი! — ქალმა ძლივს შეძლო შრისხანე იერი მიეცა ხმისთვის და ამ მისმა დაბნეულ... — და უშეწომამ მეტისმეტად გააგულისა.

— ლალი... — საურმაგი მის ბაგეების საამბოროდ მიილტვოდა, მაგრამ უცაბედად ცივად მომწიადა. თვალბებს წააწყდა, სულსა და სხეულში ახორცებული ვნება უმალ მოთოკა და ჯახაბრძოლელად შერხეულ ქალიშვილს ხელები შეუშვა.

— გრცხვენოდეს!.. — ბრაზიანად ჩამარცვლა ლალიმ და სწრაფად გაეცალა.



— ლალი... — ცოტა არ იყოს, გაოცებული ვაჟი ორიოდ წუთს ერთ ადგილზე
 ბული იდგა, — ლალი — შესძახა მერე და გამოედევნა. — ლალი, დაცადე — სთხოვა
 მშვიდად.

ლალი ბერძენს ურადლებაც არ მიუქცევია. შურადაცუფილად იგრძნო თავი და ამაში
 საკუთარ თავსაც ადანაშაულებდა. თავის არსებაში იმ ხელოვნურად აღმოცენებული რწმენის
 გაცრუებაც არანაკლებ ახლებდა. რწმენისა, რომელსაც გულმოდგინედ ასაზრდოებდა აზრით,
 ამ ვაჟთან მხოლოდ საქმიანი და ამხანაგური ურთიერთობა მაკავშირებო... და აი, ერთბაშად,
 თითქმის ურად დემუქრა ვნება წალეკვით. შემოაფლითა ხულზე ძალისძალიად შემოხვეული,
 იმ რაღაცის არგამხელის შესანიღბი საბურველი და თითქოს ურცხვად გააშისვლა.

„ჩერ სიტყვა უნდა თქმულიყო. ჩერ სიტყვა უნდა თქმულიყო...“ გაიზრიალა საფიქრალში
 და მიხვდა კიდევ, რად ეტკინა ასე ძლიერ გული. მას ხომ თავისი საოცნებო სამყარო გაჩნდა,
 ცნობიერებაში ათხაზის ნაძერწი და ნალოლიავეები.

იგი ხომ პირველად აღმოჩნდა ვნებაშორებული მამაკაცის მკლავებში, პირველად აღმოჩნდა
 სიყვარულთან ასე პირისპირ, მაშინ, როდესაც თავად სიყვარულზე სიტყვაც კი არ თქმულა.

— მოდი, შევრგადეთო... დაიცა, ორიოდ სიტყვა მათქმევინე... — თითქოს საფიქრალს
 მიუხვდა საურმაგი. — წრფელ გრძნობას მუდამ სიტყვებით როდი გამოხატავენ, წრფელი
 გრძნობა სხეულსაც ისევე აამღერებს, როგორც ხულს...

„წრფელი გრძნობა სხეულსაც ისევე აამღერებს, როგორც ხულს...“ ქალიშვილი სიტყვა
 სიყვარულს ხედავდა, ასობდა გამოკეთილს კი არა, ისე, მოუხელთებელ ფერებად აელვარე-
 ბულს. „წრფელი გრძნობა...“ ტუბილად ძგერდა აზროვნების რომელიღაც მერიდიანზე და
 სხეულში „სიამტკიბილობის“ მეკვლე შიში ლაციცებდა. მოულოდნელად საიდანაც სიტყვა
 „არა“ უხიავად გამოტყრა და იმ მათრობელა საბურველს შემოძარცვა დაუწყუო... მოვალეობის
 მოხდის მიზნით გაახსენდა რაღაც, იმავ წამს ვაჟის ხელების მოხვევაც შეიგრძნო და შიშდა-
 მებუღივით გააერფოლა. „წრფელ გრძნობას მუდამ სიტყვებით როდი გამოხატავენ, წრფელი
 გრძნობა სხეულსაც ისევე აამღერებს, როგორც ხულს...“ კვლავ თავისდა უნებურად მიუა-
 ლერსა ამ სიტყვებს. შეშფოთდა. ეს უკვე საკუთარი თავის მიმართ წამოწყებულ ამბოს ჰგავ-
 და. მშვედელად „დამოუკიდებლობის“ შენარჩუნების მოვალეობა იხმო. ვაჟის საქციელსა და
 მის ნათქვამ სიტყვებში ვულგარულობის ნამცეცები გამოჩნბრია და კვლავ შურადაცუფილად
 იგრძნო თავი. „შინც როგორ მივეცი ამის სახაბი? გავუშინე: ურდი, ალბათ, ვიკოლუციბოდი
 კიდევ... და, ვინ იცის, რა არ იფიქრა...“ რაღაც მწველად შესაცნობს მიდობლი, საურმაგის
 მგობრულ თხოვნას კვლავ დუმილით შეხვდა.

...წამით ეგონა, თითქოს უკიდევანო მიდორში დააბიჭებდა მარტოდმარტო და ყვავილს
 დაეძებდა. ყვავილი კი არხად ჩანდა. ყვავილი კი არა, გვალვას ბალახიც ისე ხაზარლად გდაე-
 ტრუსა, გული შეუწუხდებოდა კაცს. ეს კი ყვავილს ეძებდა, რაღაც გამოუთქმელი ფერის
 ყვავილს.

მერე კი, ვაჟის ბმის გავონებისას კვლავ დაურიდებლად დალაშქრა სიტყვა სიყვარულში.
 უმად გამოტყრა საიდანაც სიტყვა „ღალატ“, კვლავ იგრძნო, იმ რაღაცას თავისდა უნებურად
 ღალატობდა და კვლავ გამომწვევად აღიმართა იმ „უმწიგობის“ დასათრგუნად.

„ჩერ სიტყვა უნდა თქმულიყო...“ სიტყვები ისევე უჩვეულოდ აზრიალდნენ, „ჩერ სიტყვა
 უნდა თქმულიყო... ადრე მაინც მიენიშნებინა რამე, ოღონდ მაინც მიენიშნებინა. ღალატი, ღა-
 ლატი ჩემგან, იქნებ თავად ცხოვრებისგანაც კი...“ ჩერ სიტყვა უნდა თქმულიყო...“

— ნულარ გამოწყვებით... გთხოვთ, ნულარ გამოწყვებით! — გაღიზიანებული კილოთი უთ-
 ხრა უერად ვაჟს. წებიერად არც კი შეუხედავს.

საურმაგი მორჩილად შედგა. რატომღაც ქალის ბმაში ზიზღი აღიქვა და მკერდში მწველი
 ხედა ჩადევარა. „ღია თუ ვახოვს, ჩემი თანაკურსელი? ძალზე კარგი გოგოა, ერთად გავა-
 ნაწილეს, მერე სტუმრად გვყავდა მთაში და იქ მოგვტაცეს, თავს იკლავდა... ახლა ძალზე კმა-
 უფილია...“ თითქოს და „ცოდვილით“ შემოიძურწა ცნობიერებაში.

საურმაგ ედენტს გულუბრყვილოდ გაეღიმა.

გაღვიძებულმა ძალისძალიად გაახილა თვალები, მათრობელა ბურანის ტყეობიდან თავის
 დაღწევა გაუპირდა, მერე ხულსა და სხეულში ჩამტკბარი სიხარულის ნათლად შეგრძნების წყუ-
 რვილმა თანდათანობით გამოაფხიზლა, თავი ფრთხილად მიაბრუნა მარცხნივ, ოთახი მიმოთ-
 ვლიერა, წამით სუნთქვა შეეკრა და სიჩუმის შარისურს მოუდგო უური. ბოლოს კიდევ უფრო
 მწველად შეიგრძნო მარტობა, სწრაფად წამოდგა, ხალვათად შემოსხა და ოთახები მიმოიარა.

— წახულან, ადრიაანად წახულან, არც კი გამოშვებდობებიან ისე, წახულან... უვილოდ ერთდებოდა „წახულანს“ მავიგრად, „წახულაო“, ეთქვა.

მაშინდა მიხვდა, სისუსტე რომ დაჰპატრონებოდა, სუნთქვა აჩქარებოდა და პირისახე უხორდა.

ახანაში შევიდა, ხელ-პირი დაიბანა. სახეზე ცივი წულის შესურებამ თითქოს ოდნავ გამოაკეთა, მაგრამ მაინც სასოწარკვეთილი წალასლასდა საწოლისაკენ. „მიმატოვეს, უვარგისი ნივთივით მიმატოვეს...“ რატომღაც შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, ლოგინში ტანგაუბედული ბაწვა, იმავე წამს იქაურობას შერჩენილი ქალის სურნელება შეიგრძნო, შეათრთოლა, ნებივრად მიღულა თვალები და გონებაში ნაიას სახის გაცოცხლება მოიწადინა. ამოდ ეწვალა... ჭერ მუხლს ხედავდა, მერე თვალებს და თმას, და თითქოს თინს ხაამო სურნელსაც ღრმად ისუნთქავდა. ერთიანი პირისახე კი ვერასწავით ვერ გამოიკვეთა... ბოლოს შთილი ნახევარი საათი ღამაზ ბაგესთან მიმობნეული პაწაწა ბუსუსებში ეწმინებოდა.

„მეხისმრა, ალბათ, მეხისმრა... ახა მისი წახვლა მაინც როგორ ვერ გავიგე, იქნებ მართლა მეხისმრა...“ ძალისძალად წამოვდა და კვლავ მოიარა ოთახები, მერე შეჩერდა და აულაგებელი სუფრა დასაკითხ მოწმენავით შეათვალა. უნებლიეთ კედელზე მოხატულ ნახატს გახედა, ხაღბავები ერთნაირად გამოშრალიყო და ჩანგალზე წამოგებული პატარა შავი კუბო მწერას გამოშვებვად ნთქავდა. კვლავ ამაზრზუნად გაეცნა იმ ეკვმა. ახლა კიდევ გაუხარდა, მართოდ რომ იყო, ისიც, ნაიამ ასე უდარდელად რომ მიატოვა, უნებლიეთ საურმავსაც მიემადლიერა, ამ დილით, სამსახურში წახვლამდე ჩვეულებისამებრ რომ არ იხახულა. გულგადებით მოცენა მავიდის უჯრადი ჩაყრილი წამლები, რამდენიმე ტაბლეტი უწყოლო გადაუღა და საწოლს მიაშურა. ქალის სხეულის სურნელებამ ახლაც ერყოლა მოგვარა, გულის სიღრმეში შეუცნობლად გაიბრძოლა და ფიქრებაშლილი ჰერს მიასტერდა.

იმ დღემდე ნოდარ დიდებულებს ქალთან ინტიმური ურთიერთობის საშუალება არცთუ იშვიათად ჰქონია, მაგრამ მისი ხასიათის თავიებურების გამო, ვნებათა დღევის სრული ხიამტკიბილობა ერთხელაც არ უგემნია. თუ ქალი არ მოსწონდა და თუ ის ქალი სასიყვარულოდ ან ატორიალღებული ვნების დასაცხრომად კელუცობას დაუწყებდა, მას უშაღ გულში წრფელი გრძნობისთვის გადანახული განცდების შებღაღვის შიში მოიცავდა და „უათერაკს“ გაუბედავად განერიდებოდა, ხოლო თუ უნებლიეთ უცნობი ასულის შორეული ხილამაზე მოხიბლავდა, იმ სილამაზეს კდემამოსილებად შერაცხავდა და მეტიხმეტი რიღითა და კრძალვით ეპურბოდა...

გუშინ კი, ნაიასთან ცეკვისას, ქალის სხეულის შეგრძნების განცდა მის არხებას ერთიანად დააცხრა. მონღომებით ცდილობდა იმ განცდის შენიღბვას, რადგან მისი სიწრფელიხა არ სჭეროდა.

იქნებ არ იცოდა, სიყვარული ამქვეყნად გულუბვად რომ იყო მიმობნეული და მრავალი აღმაიანი წრფელ გრძნობას და ალალ განცდას მისდა შეუმჩნეველად დაატარებდა, რათა გულის ტოლად შეხვედრისას მათთვის, თითქოს თვითნებურად, მაგრამ ძვირფასი წუთების დაკარგვის გარეშე მიეცათ ჰეშმარიტი სახე.

... მერე, როცა წვიმაში გაღუმულებმა, ბედნიერი სიცილით მიაშურეს ხახლს. მერე, როცა ის სისველე ზევანაკონით შეაშრეს ერთმანეთს, ერთხაზად იგრძნო, რა უსაზღვრო თავდავიწყებით ეტანებოდა გულში იმ წრფელი გრძნობისთვის გადანახული განცდების ღამაზად გახარჯვას. რა საოცრად თბილი და მოაღივრე იყო ქალის უმანკო იერით მოცული არხება.

ახლა კი, ჰერს მჩიერებულს, ასე ეგანა, მის არხებაში ჩამარბული, წლების განმავლობაში ნალოლიავები უტოღველობის ძალისძალად მიუვალი ზღვარი უმოწყალოდ იყო გადაქელილი. სუნთქვა თანდათანობით უჭირდა, ზურგის მხარეში, ბეტთან, გამკოლი, მწვავე ტკივილი, თითქოს მტაცებელი ფრანველივით კორტნიდა, „სხეულს თავად უნდა შესწევდეს არხებობისთვის ბრძოლის უნარი“. ვაიფიქრა უნებლიეთ და ჩურჩულით განაგრძო: „თავად უნდა შესწევდეს, თავად უნდა შესწევდეს, თავად უნდა შესწევდეს...“ ამ აკვიტებული სიტყვების თვადუზოგავად გამოერებამ მისი აზროვნება მოქანცა და ბურანში გახვია.

... ნაია მოსულიყო, თითრი საქორწილო კაბა ეცვა, ნაიას წამალი მოეტანა, იისფერი სითხით შევსებულ ჰიქას დაჟინებით უწვდიდა. ერთიანად გარინდებული ქალიშვილის მოლაციცე სახის ნაკეთების ამოცნობას ღამობდა, მერეა მტკივნეულად ეძახებოდა, მაგრამ ამოდ... მერე სახე გაუფრმართალდა, ბოლოს კი სულ მთლად გაუჩინარდა. ახლა თითქოს მხოლოდ საქორწილო კაბა უწვდიდა წამლით ხავე ჰიქას. უნდობლობის ეცვით აღვხიდა, ფრთხილად გაიშვრა ხელი ჰიქისკენ, მაგრამ წამით შეეცა, ხელი დაუღვევრდა აქინა და იისფრმა სითხემ საქორწილო სამოსის სითთირე უმოწყალოდ დააღაქავა. შვება იგრძნო, კმაყოფილებით მიაჩერდა ფერშელანდულ კაბას. მერე კაბამ ისევ დაიბრუნა დაკარგული სიათქათე. მისი საყელოდან

ქალის სახის ნაკვთები ისევ ამოიწვრა. ქალი მოწიწებით უწვდიდა იისფერი სითხით სავსე ტიპას. უნებლით მკერდში სითბო ჩაუღვა, უნდობლობის ეჭვი თავისთავად განიდევნა, თამამად დაიხარა და წამალ ხარხად დაეწეფა, თეთრი საქორწილო კაბა გაუჩინარდა და ქალის სახეც წაიყოლია. „არა, ის ნაია არ იყო...“ გაიფიქრა მან და შეეცადა აღძრულ ეჭვს ჩაღრმავებოდა. მაგრამ იმდენად უხეიროდ, მსჯელობის ძირითად არსს თავადაც კერ ჩასწვდა, თან იმხანაც გრძნობდა, ვერც გამოლვიძების შემდეგ მიაღწევდა შედეგს, რის გამოც გულუბრყვილოდ წუხდა.

ამ უთავბოლო დავიდარაბით გაწვალბებულმა, რამდენჯერმე სცადა გამოლვიძება, მაგრამ ეჭვებში გახლართულ გონებას ორიენტაციის უნარი წართმეოდა. ბოლოს, ერთბეღ კიდევ გაიბრძოლა, აზროვნებას თითქოს სხეულიც მიახმარა და თვალები ძალისძაღად გაახილა.

დღის სინათლემ თვალი მოსჭრა. „შაბოდებს“, გაიფიქრა უშიწოდ. მოულოდნელად შუბლზე სიგრილე შეიგრძნო.

— დამშვიდდი, დამშვიდდი... — საოცრად ტკბილად ჩაცხმა ქალის ხმა, — თუ გინდა, კიდევ დაგაღვივებ წყალს...

ახლა მიხვდა, შუბლზე სველი ტილო ეგინა, დაფეთებულივით მიიბრუნა თავი და სკამზე მჯდომი მღიმიარე ნაია დაინახა, კიდევ უფრო შეშფოთდა, წამოიწია.

— არ გაინძრე, იწევი, მშვიდად იწევი!.. — ისევ ის საოცრად ტკბილი ხმა გაიგონა, — ქალმა მუხლებზე გადაფენილი პირსახოცი აიღო და ტუჩებზე შერჩენილი წყლის წვეთები შეუსრო.

„ნაია...“ სულში ჩაღვრილმა სითბომ სასიამოვნოდ მოჰკანცა და სიტყვის თქმის არაქათი გამოაცალა.

— გმადლობთ... — ჩაილაპარაკა დამორცხვებით.

— არ გიკვირს, აქ რომ ვარ? — ჩაიციხა ქალმა, თან პირსახოცი ფრთხილად დაეცა. — მეგონა, მეტად ვერასოდეს გნახავდი... გამთენიისას ღრმად ჩაგეძინა, ვამიხარდა კიდევ...

— ხათუნა და ქემალი... — უბერხულობის დასაფარავად ძაღდატანებით წარმოთქვა ნოდარმა და წამოდგომას შეეცადა.

— იწევი, მშვიდად იწევი... — დაუყვავა ქალმა და შუბლიდან ტილო ააცალა, — მადლობა ღმერთს, იმათთან შეხვედრას გადავურჩი, მგონი, ჩემი წასვლა გაიგეს და ნაჩქარევად დამედევნენ კიდევ, მაგრამ შე, ბედად, ტუჩი შემხვდა და... არა, არ გიკვირს, აქ რომ ვარ? — კვლავ ცნობისმოყვარეობით ჩაეეთხა.

— მიკვირს... — ჩუმად მიუგო ნოდარმა და მარჯვენა ხელით ბალიში მხრებისკენ ჩამოსწია.

— არა, არაფერი დამჩენია, ვერ ვიცრუებ. უბრალოდ, გულმა არ მომასვენა და დავბრუნდი. ისე უცებ მოხდა ყველაფერი... პირველად დამემართა ასეთი რამ, აი ეს, გულმა რომ არ მომასვენა... ვამჩნევ, საჭირო ვყოფილვარ, წიდან მეძახდი კიდევ... შა, იქნებ გიწყინა ჩემი მობრუნება?.. ნაია საგრძნობლად დაიხარა და შეცბუნებულ ნოდარს თვალბეჭეში ჩააქცერდა.

— შეწყინა?! — აღგზნებით ჩაილაპარაკა ვაჟმა, ხელები სახნიდან ამოყარა, ქალს ძალუძმად მოხვია და ბავზე დაეცნა, მერე შმაგად დაუკოცა ყელ-კისერი.

— ქარგი, ქარგი... — მისაჯავთბული ხმით ჩურჩულებდა ნაია და გაუბედავად ცდილობდა მისი ალერსისგან თავი დაეხსნა.

ნოდარს წამით რაღაცამ უსიამოვნოდ შეახსენა თავი, თითქოს ძალა გამოეცალაო, ისე სწრაფად შეუსვა ხელები ქალს და ჩაიჭურჩულა:

— შო, შაპატიე...

მის მკერდს მიყრდნობილმა ნაიამ თავი ოდნავ წამოსწია, გოცნებით დააქცერდა, უშალ მიხვდა რაღაცას, დიმილი ლამაზად მოეფინა სახეზე.

— სულელად... — უთბრა სიყვარულით და ალერსის კორიანტელში გაახვია.

მერე კარგა ხანს იყვნენ ერთმანეთს ჩაბვეულები და გახელებული სიყვარულისგან ქანცამოცილები ერთიან სუნთქვად და ერთიან გულის ძგერად ქცეულიყვნენ.

— ოო, რა ცხელი ხარ, — თქვა ბოლოს ნაიამ, — შეე, იმის მაგივრად, რომ გიმეორნალო, პირიქით, გაფორიექებ... რამე წამალი თუ დალიე?

— აბა, არა უშვებს, გამივიღის, ალბათ, გაცვიფდი, თანაც, მგონი, კონიაკმაც შემახურა. — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა ნოდარმა.

— შშ, შეგახურა, ...იცოდე, დღეიდან სასტიკად გეკრძალება ამგვარი შეხურება, — თიიები ნაზად მოუსათუნა ლოყაზე.

— შენ ასე ახლოს არ უნდა იყო ჩემთან... — იმ ახირებულმა ეჭვმა შინც თავისი გაიტანა.

— სულელად, მერედდ ასეთი რამ არ გამოგონო, იცოდე, ამ შეგონებით შერაცხვოფას

შეუენებ. განა ასე შემიცანი? აბა, ახლა კი დროა, ავდგე; ალბათ, მოგშივდა კიდევ...
— არა...

— ნუ მომატყუილებ... შენ იწევი, არ გაინძრე, წამოდგომა არ დააპირო... ჰო, ვინმეს ხომ არ ელი, იქნებ...

ნოდარს გაეღიმა.

— ვის უნდა ველოდე... — ღიარებდა კიდევ.

— რა მოხდა მერე, იქნებ ვინმე ნათესავი გაითხავს...

— არა, რას ამბობ...

— გასაგებია, გაავებული კაცის პირობაზე, ყველას აუკრძალე აქ მოსვლა, მე კი თავზე დურად შემოგვეტე, რას იზამ... შენი ბრალია, კიდევ ვილაყ-ვილაყების... მიაბრუნე რა თავი, თუ შეგძლია, ხანტოდე, გადაბრუნდი...

ნოდარმა მორჩილად შეასრულა თხოვნა.

— მკურნალობა აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ. სამიოდე დღეში შენზე დადგები, ამას წინათ მეც ანთებითი პროცესი გადავიტანე, მეგონა, ხული გამძვრებოდა, ისე, ექიმს აუცილებლად უნდა ეჩვენო, ახლა საშიშა პროცესი არ განახლდეს... — ნაია საქმიანად ლაპარაკობდა, თან სწრაფად იმოსებოდა.

— გადმობრუნდი, აბა რით დავიწყეთ?.. — ცისფერი კაბა ფერიას ამსგავებდა.

ნოდარი უკვე მისკენ პირმიქცეული იწვა.

— მე არაფერი მინდა, ახლა თავს უკეთ ვგრძნობ... — ბალიშზე ბეჭებით მიურდნობა სცადა ნოდარმა.

— იწევი, მშვიდად იწევი... — საწოლთან მივიდა და სახანი გულდაგულ შემოაუკცა.

მერე შუბლზე დაადო ხელი. — მგონი, მართლა გამოკეთდი, — შესცინა და ოჯახის დიასახლისავით უთხრა: — კეთილი, ცოტა კიდევ მოითმინე, მე ოთახებს მივალაგებ, ვინმე რამ მოვიდეს...

— არა, მერე მე თავად...

— ეს მე ვიცო... — თითქოს დაემუქრა და, რადაცინ შიშით, უმალ გაშორდა. — იცოდე, მშვიდად იწევი, თორემ წაგიხუბებთ... — გააფრთხილა ბოლოს და ოთახიდან გავიდა.

გარინდებული იწვა. შეძლებისდაგვარად ცდილობდა მშვიდად ესუნთქა და სმენაგაფაციცებული, მეორე ოთახიდან ქალის საქმიანობით გამოწვეულ ხმაურს მთელი არსებით აყურადებდა.

— როგორ გრძნობ თავს? გამოსძახებდა ზოგჯერ ნაია.

— კარგად... — ნაძალადევი სიმშვიდით გაეპასუხებოდა იგი და სთხოვდა: — კარგი, გეყოფა, დაისვენე!..

— ცოტაც და, შენთვისაც მოვიცილი, — ეპასუხებოდა ქალი.

იწვა გაღურსული და მთელ მის განვილი ცხოვრებას იმ რამდენიმე საათში ჩატყვას უპირებდა. და, რატომღაც, ვერც კი გაებედნა ნაიასთან მოულოდნელი შეხვედრა, მასთან ასე ერთხანად დაახლოვება შემთხვევითობისთვის დაებრალდებინა. ახლა ამის შესახებ რაიმეს მართებულად განჭვრეტა არ შეეძლო, მაგრამ წამიერად, თითქოს წყვეტილ ხაზებად მაინც გაიფიქრებდა საფიქრებში სრულიად უცნობი ადამიანების ურთიერთკავშირის რაობის მიმანიშნებელი „განსჯა“ და ხულის სიღრმეში თავისი წარსული ცხოვრების ეპიზოდებს ამ ქალის არსებობას თვითნებურად უკავშირებდა.

„ფიქრი და ოცნება მანწავლე, ფიქრი და ოცნება, ქალავ...“ იმედის მომგვრელად იშვა გონებაში და ფიზიკური ტკივილით გატანჯული სხეული სასიცოცხლოდ აღაგზნო.

ოთახში შემობრუნებულმა ნაიამ შუბლზე ჩამოყენილი თმა მოხდენილად შეისწორა და ღიმილით უთხრა:

— დაგამშიე, არა?... რა ვქნა, ხული იმ შენი ეშმაკის ბრალია, ისე მაძღურად და ისე დატინებით მიცქერის, სიმშვიდე დამაპარგვინა, კინაღამ ჩამაბეტიჩინა ჩანგალზე წამოგებული კუბო, დაგამშიე, არა?

— არა... — ჩვეულებისამებრ წამოწევა სცადა.

— იწევი, აკი ვითარია, არ გაინძრე-მეთქი, ახლავე ხელ-პირს დავიბან და მაღაწიაში მივირბენ, იქნებ ექიმაც მომეყვანა? ჰო, მკავს მე ერთი ნაცნობი ქალი, აქვე, თქვენი რაიონის კლინიკაში მუშაობს. კარგი ექიმი, მგონი უნდა ერკვეოდეს ეგეთ რამეებში, ამას წინათ პანორტის გამოცვლაში მივებმარე და... თუ არადა, შენს ექიმთან მივალ და ვთხოვ.

— არა, არა...

— თუ მომვლელად დამინიშნე, ბოლომდე უნდა მენდო, — სახეზე ღიმიორებული საწოლთან დაიხარა და ლოყაზე აკოცა, მერე იმის შიშით, ხედლები არ მომხვიოსო, სწრაფად წამოიშარათა

და უკან დაიხია. — თერმომეტრი ბომ გაქვს, ვაი ჩემს თავს, აქამდე უნდა გამეზომა ზღაპრული ძალიან გივირს სუნთქვა?

— არა...

— ალბათ, გაწვალებული გყავდა მასწავლებლები ამ „არათი“, ნაია მეორე ოთახში გავიდა.

კვლავ გაუნძრევლად იწვა კედლისა და კერის შერითების ზღვარს მისჩერებოდა და ფიქრისა და განჯის იმოდენა გორგოსილი ჰქონდა, აღარც კი იცოდა, რომელი მხრიდან დაიწყო ჩანასკვლი კვანძების გამოხსნა.

„ფიქრი და ოცნება მასწავლვე, ფიქრი და ოცნება, ქალავ... ნეტა ვინ არის, ეს ერთი შეხედვით უცნობი და შინც საოცრად ახლობელი გოგო?..“ ამ თვითნებურად გამოკვეთილმა ფიქრმა შეაცუნა და ოთახში მობრუნებულ ქალს გაუხედავად შეხედა.

— თერმომეტრი სად გაქვს შენაზული?

— არაა საქირო...

— კიდევ საუფარელი „არა“.

— მაგიდის უჭრაში...

— ეს უკვე ხვია საქმეა.

მერე, როცა იგი სასთუმალთან უჭდა და თმას უჩრჩავდა, მერე, როცა იგი განაწყენებული მშობელივით ტუქსავდა სახნიდან ხელის ამოღებისათვის, ის უნდობლობის ეკვივით შეზღაღული კითხვა, ცბრა მთას იქით გადაიკარგა, მაგრამ მოულოდნელად თითქოს ქალის გულმანი დაიწია და ძალიანძალად მოაბრუნა უკან.

— რატომ არაფერს შეკითხები? ვინ ვარ, საიდან გავჩნდი, თუ შენთვის სულ ერთია, ვინ გივის სასთუმალთან, ან იქნებ ჩემი საქციელის მიხედვით უველაფერი გასაგებია, ან იქნებ უველა კითხვანე მზადა გაქვს პასუხი?.. — სვედით შესუდარული ხმით ჩიკიოთხა ნაია.

ნოდარს სულ მთლად შეეცრა სუნთქვა.

— შე ლამაზი ზღაპრისა მჭერა... — თქვა გაუხედავად და გაღიება სცადა.

— ლამაზი ზღაპრისა... — ამოიოხრა ქალმა, — იქნებ მართალიც ხარ, იქნებ არც კი ღირს ჩვენი ურთიერთობა იმად, რომ ამ კითხვებზე პასუხი გაცვი. დავიცადოთ, დაე, ზღაპარი ზღაპრად დარჩეს, ოღონდ, ძალიან ვთხოვ, თუ ჩემი სიახლოვე გეხამუშება, ნუ მომერიდები...

— რას ამბობ? — ალაღმართლად გაიოცა ნოდარმა.

— მეც არ ვიცი, ასე ერთბაშად როგორ მოგენდე, როგორ გავიშინაურდი, მეც არ ვიცი — კეთილი, დავიცადოთ... — წამით ჩაფიქრდა, მერე თბილად გაუღიმა და თამამად უთხრა: — ახა, ერთი ვნახოთ, სადამდე შეათებ ვერცხლისწყალი... — მარჯვენა ხელი სახანში შეაცურა და ვაგის ილიიდან თერმომეტრი გამოიღო. — ოჰო?! — შესძახა გაოცებულმა, როცა თერმომეტრი შეათვალღერა, — ოცდაცხრამეტი... —

— დაიკლებს... — დამაშვიდა ვაჟმა.

— თუ მის ნებაზე მივუშვით, მოიმატებს კიდევც, — სწრაფად წამოდგა, — ექიმს მოვიყვან, ოღონდ ცოტა მოწესრიგებული უნდა დახვდე...

ვაჟი უხერხულობისგან შეიშმუნა.

— მო, ნუ გრცხვენია, თუ სუფთა თეთრეული არა გაქვს, არა უშავს, რამეს მოვიფიქრებთ...

— მაქვს, როგორ არა... კარადის უჭრაშია.

— ახლავე, — ქალი ოთახიდან გავიდა, — აქ მთელი ავლაღიდებაა, ვინ გირცხავს?! — მოესმა ორიღდე წუთის შემდეგ მისი ხმა.

— შე თავად... — გაუხედავად გაეპასუხა.

— ყოჩაღ, ნამდვილი ოჭახის კაცი ხარ! — შეაქო უკან მობრუნებულმა, ხელეღში სუფთა ზერჩები და საცვლები ეკავა.

— შე თავად, შე თავად გამოცვლი — აფორიაქდა ნოდარი.

— ნუ გეშინია, შე წავალ, ოღონდ ფრთხილად, როგორც კი თავს მოიწესრიგებ, უმეღლოგინში ჩაწეკი. დაცა, რომ არ გისაუშვია?

— შე თავად...

— კარგი, — ჩაიციხა ქალმა, — ოღონდ თბილად ჩაიცვი.

— შენც გეხაუშმა.

— ჩემთვის ნავიანევია, უკვე საღიღობის დროა, იქნებ ბაზარშიც შევიარო, ისეთ საღიღობს მოგიმზადებ... — ნაია წასასვლელად შეეშადა.

— ფული?! — ბაღღიღობის შესძახა ნოდარმა.

— მაქვს, ნუ გეშინია.

— არა, — ნოდარი სკამის საწურღეზე გადაიღებულ შარვალს წაეტანა.

— ტუღილად იწუხებ თავს.

— თუ არ გამომართმევ, არაფერს შევვამ, — გულუბრყვილოდ დაექადა და შარკლის ჩიბიდან ამოღებული ოცდახუთმანეთიანი გაუწოდა, — გამომართვი!

— სულ მთლად ბავშვი ხარ, კარგი, მაინც, რა ვყიდო? — ფული ფრთხილად გამოართვა.

— რაც შენ გსურს...

— ესე იგი, სრულ ნდობას მიცხადებ. კარგი, ბატონო, ნახევარ საათში მელოდო, შენს სპორტულ ჩანთას გავიყოლებ, საუწმე მაგიდაზე დევს, ოღონდ ფრთხილად... — თხოვნით აღსავებ შურია მოკრძალებით შეავლო და ოთახიდან აჩქარებული ნაბიჯით გავიდა.

ნოდარმა მის გასვლას დაუცადა, მერე წამოდგა. სისუსტიხაგან ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მაინც მარჯვედ შეიმოსა, მერე ოთახში გავიდა და ფანჯარას მიაშურა.

ნია უკვე ქურჩაში გასულიყო, სწრაფად, ნერვულად მიაბიჯებდა.

ქალის მოხდენილობამ და სილამაზემ წამით სიამაყე მოგვარა, მაგრამ იმავე წამს დააფრთხო კიდევ. იმ მშვენიერების წინაშე დავალიანებულიად იგრძნო თავი და მოსალოდნელი ანგარიშწორების შეუცნობლობამ ააფორიაქა.

მერე დალაგებულ ხელს მიმოავლო თვალი და სიმშვიდე აღიდგინა. მაგიდაზე გაწყოხილ საუშეს მზრუნველი იტივტე იმჩნევდა.

მაგიდასთან ფეხზე დამდგარმა წაილუკმა, ხანდაბან კედელზე მიხატულ სურათს გულგრილად გახედავდა, ბოლოს, რატომღაც გაეღიმა, დაუფიქრებლად დააქნია თავი და საწოლ ოთახს მიაშურა.

ათიოდე წუთს ღოგინისა და საკუთარი თავის მოწინსვრებებს მოუხდა, მერე დაღლილი და ძალგამოღებული ქათქათა თეთრელში ჩაწვა. ერთხანს ნერვულად წრიალებდა, ბოლოს უეცრად ჩასთვლიმა, მაგრამ ძილფხიზლობდა და სმენაგაფაცოცებული გახლდათ.

ქალის ხმა სადღაც, შორიდან, მაგრამ საოცრად ტბილად ჩედღვარა ყურში, ღლოდინით მოცული გული იმედინადად შეფრთხილდა და სიფხიზლე მომგვარა.

კარში პატარა, გამხდარმა ქალმა შემოაბიჯა.

— გამარჯობათ! — თბილად მიესალმა იგი და ხანდომიან სახეზე ცნობისმოყვარეობა აღებუქდა.

„პასპორტის აღებაში დავებმარე...“ გაახსენდა უცებ ნოდარს. „პასპორტის აღებაში დავებმარე...“ თითქოს გამარჯვების ბაიარლივით აღიმართა აზროვნებაში, მის არსებაში მალულად დაბუდებული უნდობლობის ეკვს იმედისმომცემი სიტყვებით დაუნდობლად შეუტია.

— გამარჯობათ! — თამამად შეეპასუხა სტუმარს.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ოთახში შემოსულმა ნაიამ ექიმს ტყავის ჩანთა ჩამოართვა და სკამი მიუჩჩა.

მკურნალი მოხდენილად ჩამოჯდა სკამზე. ნაიას ჩანთა გამოართვა და ეშმაკური ღიმილით უთბრა.

— ახლა კი დაგტოვებ...

ნაიამ თავი დაუქნია და ოთახიდან ქავიდა.

— აბა, დავიწყეთ... — მიუბრუნდა მერე ნოდარს, ჩანთიდან ამოღებული ფონენდოსკოპი მოიმარჯვა და სთხოვა: — თავისუფლად იგრძენით თავი, მოდი, ჭერ შინაურულად ვისაუბროთ...

მკურნალის ხანდომიანმა სახემ და მისმა თბილმა ხმამ ვაყი თითქოს გამოაცოცხლა, ბეჭებით ხალიშს მიეყრდნო და ჩვეული რიდის გარეშე მომყვა თავის გასაჰირს.

ქალმა გულდასმით მოუხმინა, არც არაფერი გაპკვირვებია, აღზბო, ნაიასგან წინდაწინვე იცოდა, როგორი ავადმყოფის განიწვავა მოუწევდა.

მერე ფონენდოსკოპით ყურადღებით მოუხმინა მის სუნთქვას, რამდენიმე კითხვა დაუსვა, რაღაც დააწუხტა და ღიმილით უთბრა:

— ნუ გეწინია, ეგ სულ სხვა პროცესია. მალე გავივლის, სიცხეც დაიწევს, ოღონდ მაინც ფრთხილად უნდა ვყოფო, ჩაწევი, ღრმად ჩაწევი ღოგინში. სტრეტკომიციონს დაგინიშნავ. კიდევ ორიოდ სხვა წამალს. ფთივაზიდიც და პასკიც მიიღე. ერთ კვირაში გამოკეთდებით და მერე ხელგონურ პნევმოთორაქსსაც გააგრძელებ... აბა, შენ იცი, ყოჩაღად იყავი, ნაია, შეგიძლია შემოხვიდე!

— ახლავი — ნაია ოთახში თითქოს შემოსრიალდა, ჭერ ნოდარს შეხედა, მერე ექიმს.

— თქვენ სამსახურიდან თავისუფალი ხართ, თუ? — ფეხზე წამოდგა ექიმი.

— დიას, შეებუდებავი ვარ...

— ეგ კარგია, ერთად ვუმკურნალებთ... — ვაჟს მალულად გაუღიმა და ხელის მოძრაობით ქალი კარისკენ მიიწვია.



ივლინ ვო

მქსკურსია სინამდვილეში

რესტორან „ესპინოზას“ შვეიცარს ეტყობა, თავის გამგებლობის ქვეშ მოუქცევია ლონდონის ყველა ჩამოსაწერი ტაქსის მფლობელი. იგი მბრძანებლობას მიჩვეული კაცია, მის უზარმაზარ მკერდზე სამრიგად ჩამწკრივებული მელღების მიხედვით მსურველი ადვილად წარმოიდგენს შვეიცარის გმირული საბრძოლო თავგადასავლების ისტორიას: დინახავს ბურების ნაცარტუტად ქცეულ ფერმებს, ფანატიკოს, ჩახუჭუჭებულ-ჩაქუღულულ სუდანელებს, პირდაპირ სამოთხეში რომ მიეჩქარებათ; გოროზ ჩინელ მანდარინებს, რომელთაც საკუთარი თვლით აყურებინებენ საგვარეულო ფაიფურის მსხვრევასა და სიფრიფანა, ძველებური აბრეშუმის ფხრეწას. საკმარისია შვეიცარმა რესტორანის კიბე ჩამოიარბინოს, რომ იმავე წაჰს, იქვე საიდანაც გაჩნდეს რომელიმე თავზებელადებული ტაქსისტი, რომელიც მეფემიმპერატორის ყველა მტერს ერთად აღებულს თუ არ აღემატება, თორემ მათზე ნაკლები არაფრით არ არის.

საიმონ ლენტმა „ესპინოზას“ შვეიცარს თეთრი ხელთათმანით შემოსილ ხელისგულზე ნახევარკრონიანი დაუტოვა, რადგან ისე იყო გასავათებული, ხურდის მოთხოვნის თავიც აღარ ჰქონდა.

საიმონი და სილვია ტაქსის უკან,

ჩავარდნილზამბარებიან სავარძელზე მოკალათდნენ. ბნელოდა, ჩაწეული ფანჯრებიდან ქარი უბერავდა, სალამომ ულილამოდ ჩაიარა. საიმონი და სილვია ღამის ორ საათამდე მხოლოდ იმ-იტომ უსხდნენ რესტორანში მაგიდას, რომ ამ დღეს რესტორანი გვიანობამდე მუშაობდა. საიმონმა თქვა, ცუდ ხასიათზე ვარო და, სილვიამაც აღარაფერი დალია. თითქმის ხუთი-ექვსი საათი ისხდნენ. ხან ჩუმად იყვნენ, ხან ეკინკლავებოდნენ ერთმანეთს. ერთიორჯერ გულგრილად მიესალმნენ რესტორანში შემოსულ ნაცნობებს.

საიმონმა სილვია ტაქსით სახლამდე მიაცილა, ქალმა უხერხულად მიუშვირა ტუჩები საყოცნელად, საიმონმა გულგრილი კოცნით უპასუხა. მერე საიმონი თავის მანსარდაში, მუდამ ზმაურინი გარაჟის ზედა სართულზე დაბრუნდა, რომელიც კვირაში ექვს გინეად ჰქონდა დაქირავებული.

სადარბაზოსთან ლიმუზინს რეცხავდნენ. საიმონმა ლიმუზინს გვერდი აუქცია და ვიწრო კიბეს აუყვა. ეს სადარბაზო თითქოს ჭერ ისევ გამოსცემდა ოდესსაც დილაუთენია საჯინბოებისაკენ ბრავადრუგით მიმავალი ყოველების სტვენის ექოს, (ვაი აქ მიცხოვრებულ ახალგაზრდა კაცებს! ვაი და ვუი ნახევრად შეყვარებულ იმ უცოლო ახალგაზრდებს, წლიური შემოსავლი



მხოლოდ რვაასი გირვანქა სტერლინგი რომ აქვთ!)

საიმონის საწერ მაგიდაზე რამდენიმე წერილი იდო. ეს წერლები საღამოს, რესტორანში წასასვლელად რომ ემზადებოდა, მაშინ მიიღო. საიმონმა გაზი ჩართო და წერილების გადათვალიერებას შეუდგა: თერძის ანგარიში — 50 გირვანქა სტერლინგი, მემაუდის ანგარიში — 42 გირვანქა სტერლინგი; შესხენება იმის თაობაზე, რომ იმ წლის საკლებო გადასახადი შეტანილი არა აქვს; ანგარიში „ესპინოზადან“ თანდართული ბარათით, რომელიც იტყობინება, რომ შეთანხმების მიხედვით, ყოველთვიურად უნდა გადაეხადა რესტორნისათვის დანახარჯი და რომ მომავალში ნისიად აღარ მოემსახურებიან, რადგან „ბანკში მის სახელზე გახსნილი ანგარიშიდან ჩანს, რომ დანახარჯებმა 10 გირვანქა სტერლინგითა და 16 შილინგით გადაამეტა შემოსავალს;“ -მოთხოვნა საშემოსავლო ინსპექტორისაგან საიმონის თანამშრომელთა სიისა და მათი ხელფასების აღნიშვნით; (მისის შოუს გულისხმობენ, ალბათ, რომელიც მასთან ყოველდღე მოდის ლოგინის გასასწორებლად და ფორთოხლის წვენი მოსამზადებლად და დღეში 4 შილინგსა და 6 პენის ართმევს; წიგნების, სათვალის, სიგარეტის, თმის ლოსიონებისა და სილვიას ბოლო ოთხი დაბადების დღისათვის ნაყიდი საჩუქრების ანგარიშში (ვაი იმ მალაზიებს, საიმონისთან ახალგაზრდებს რომ ემსახურებიან!)

საიმონის ფოსტის პირველი ნახევარი ძალზე განსხვავდებოდა მეორე ნახევრისაგან: ლეღვის ჩირით სავსე ყუთი კალიფორნიის შტატის ქალაქ ფრენსოში მცხოვრები თაყვანისმცემლისაგან, ორი წერილი სტუდენტი ქალიშვილებისაგან, რომლებიც ატყობინებდნენ, თქვენი ნაწარმოებების მიხედვით კოლეჯის ლიტერატურული წრისათვის თემებს ვწერთ და გთხოვთ, თუ არ შეწუხდებით, თქვენი სურათი

გამოგვიგზავნეთო. ამონაპურები გახუთი თებიდან, სადაც საიმონს „ცნობილ“, „ბრწყინვალე“, „მეტეორივით აელვარებულ“ და „შურისაღმძვრელ“ ახალგაზრდა რომანისტს უწოდებდნენ; ერთი დამპლდაცემული ჟურნალისტი ორას გირვანქა სტერლინგს სთხოვდა სესხად; ლედი მეტროლენდი საუზმეზე პატივებდა; ინგლისის ჩრდილო საგრაფოდან გამოგზავნილი კარგად დასაბუთებული ლანძღვა-გინების ექვსგვერდიანი წერილიც იყო საიმონის იმდღევანდელ ფოსტაში. კაცმა რომ თქვას, საიმონ ლენტო თავის ორბიტაზე და თავის შესაძლებლობათა ფარგლებში საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა ვახლდათ, რასაც ძნელად თუ დიჯერებდა ის, ვინც საიმონის გულში ღრმად ჩაიხედავდა.

ბოლო წერილი, რომელზედაც მისამართი მანქანით დაებუქდათ, საიმონმა ისე გახსნა, რომ სასიამოვნოს არაფერს ელოდა. ლონდონის ერთ-ერთი კინოსტუდიიდან გამოგზავნილი წერილი მოკლე და საქმიანი იყო:

პირფასო საიმონ ლენტი

(საიმონს ადრეც ჰქონდა შემჩნეული, რომ თეატრალური ბოქმის წარმომადგენლებს ასეთი მიმართებები უყვარდათ).

საინტერესოა, ოდესმე თუ გიფიქრიათ კინოსცენარის დაწერა ჩვენ დიდად გვიღირს თქვენი აზრი იმ ფილმის შესახებ, რომელსაც ახლა ვიღებთ. იქნებ ხვალ საუზმეზე შემხვედროდით „გარიკ კლაბში“ და თქვენი აზრი გამოგეთქვათ ჩვენი წინადადების შესახებ. გთხოვთ დაურეკოთ ჩემს მდივანს — ლამის ცვლის მდივანს, დილის რვა საათამდე, ან დღის ცვლის მდივანს, ხსენებული საათის შემდეგ.

თქვენი პრეტენზია

ამის შემდეგ მეღნით მიწერილი სიტყვები იკითხებოდა „ებრალ მოსედ“, რომლის ქვეშაც განმარტებისათვის მიებუქდათ (სერ ემბერ მაკრე).

ეს წერილი საიმონმა სამჯერ წაიკითხა. შემდეგ სერ ემბერ მაკრეს ლამის ცვლის მდივანს დაურეკა და უთხრა, ხვალ სერ ემბერ მაკრეს „გარიკ კლაბში“ საუზმეზე შევხვდებითო. ის-ის იყო

საიმონმა ყურმილი დადო, რომ ტელეფონმა ისევ დარეკა.

— სერ ემბერ მაკრეს ღამის ცვლის მდივანი გელაპარაკებთ! სერ ემბერ დიდად ნასიამოვნები დარჩება, თუ მისტერ ლენტი ეხლავე, ამ საღამოს ესტუმრება მისტერ მაკრეს ჰემპსტედში, მის სახლში.

საიმონმა საათს შეხედა. სამი სრულდებოდა.

— ცოტა გვიან ხომ არ არის ამ დროს ამ სიშორეზე წასვლა?..

— სერ ემბერი მანქანას გამოგიგზავნით.

საიმონის დაღლილობა საღამო გაქრა. მანქანის მოსვლას რომ ელოდებოდა, ტელეფონმა ისევ დარეკა.

— გძინავს, საიმონ? — ჰკითხა სილვიას ხმამ.

— არა, საღამო სახლიდან უნდა გავიდე.

— საიმონ... ძალიან საძაგელი ვიყავი ამ საღამოს?

— უსაძაგლესი!

— ნაკლები არც შენ იყავი, მე თუ მკითხავ.

— რაც იყო იყო. ალბათ, მალე გნახავ.

— ეხლა არ გინდა მელაპარაკო?

— ეხლა არ შემიძლია, საქმე მაქვს.

— საიმონ, რა საქმეზე ლაპარაკობ ამ შუალამისას?

— არ მცალია, ვერ აგისხნი, მანქანა მელიდება.

— როდის მნახავ, ხვალ?

— ზუსტად ვერ გეტყვი, ხვალ დილით დამირეკე, კარგად იყავი.

საიმონის სახლიდან სამი მილის დაშორებით სილვიამ ყურმილი დადო და იატაკზე დაგებული ნოხიდან წამოდგა, რომელზეც წინასწარ მოკვალათა ოცქუთიანი გულითადი საუბრის მოლოდინში, სილვია საწოლში სასოწარკვეთილი შეწვა.

მოეცა. მანქანამ დამრეცი გორაკი გადაიარა და გაშლილ მდელს შეაღწა.

იქაურობა ჯუნგლების ღამისმავარ მუქ სიბნელეში ჩაძირულიყო. მორიგე მსახური საიმონს დაბალ, მეფე ჯორჯის სტილით ნაგებ სახლში შეუძღვა და ბიბლიოთეკაში შეიყვანა, სადაც გოლფის სათამაშო ალისფერ შარვალში გამოწყობილი სერ ემბერ მაკრე ბუხარის წინ იდგა. მაგიდაზე ვახშამი იყო გაწყობილი.

— საღამო მწვიდობისა, ლენტი! კარგია რომ მოხვედით. როგორც ხედავთ საქმელს მაშინ ვკამ, როცა მომიხერხდება. კაკოს ინებებთ თუ ვისკის? კურდღლის ხორცის ღვეზელი მიირთვით, კარგი რამეა. დილას აქვთ არაფერი მიჭამია. თუ ჩემი ბიჭი ხარ, დარეკე, ერთი კაკაოც მოგვიტანონ, მაშ ასე! რა საქმეზე გინდოდათ ჩემი ნახვა?

— მე მეგონა, რომ თქვენ გინდოდათ ჩემი ნახვა.

— მართლა? შესაძლოა! მისს ბენტამს ეცოდინება. ჩვენი შეხვედრა მისი მოწყობილია. მაგიდაზე რომ ზარია, იმით დარეკეთ, თუ არ შეწუხდებით.

საიმონმა დარეკა თუ არა კარში მაშინვე გამოჩნდა ღამის ცვლის კონტად გამოწყობილი მდივანი.

— მისს ბენტამ, რის თაობაზე უნდა შეგხვედროდი მისტერ ლენტს?

— სამწუხაროდ, ვერ მოგახსენებთ, სერ ემბერ! მისტერ ლენტზე მისს ჰარპერი აგებს პასუხს. ამ საღამოს მორიგეობას რომ შევეუდექი, მაგიდაზე ბართი დამხვდა, რომ რაც შეიძლება სასწრაფოდ შემეხვედრებინეთ მისტერ ლენტთან.

— სამწუხაროა, მაგრამ მეტი რა გზაა, დაცდა მოგიწივეს, სანამ ხვალ დილით მისს ჰარპერი მოვილოდეს, — თქვა სერ ემბერმა.

— მე მგონი, სცენარის შესახებ იყო ლაპარაკი.

— ადვილი შესაძლებელია, — თქვა სერ ემბერმა. — ნამდვილად რაღაც ამის მსგავსი იქნებოდა. როგორც კი გაირკვევა, რაშია საქმე, დაუყოვნებლივ

მანქანა უკაცრიელ ქუჩებში მიჰქროდა. საიმონი სასიამოვნო აღელვებას

შეგატყობინებთ, მისტერ ლენტ. გმადლობთ რომ შემოიარეთ.

სერ ემბერმა კაკაოს ფინჯანი მაგიდაზე დადგა და საიმონს ხელი მიამიტი გულითადობით გაუწოდა.

— ღამე მშვიდობისა, ჩემო კარგო!

სერ ემბერმა ზარი დარეკა და ღამის მორიგე ლაქია გამოიძახა.

— სენდერს, უთხარით ბენსონს, მისტერ ლენტი უკანვე წაიყვანოს.

— სამწუხაროდ, სერ, ბენსონი ახლანახან სტუდიაში წავიდა მისს გრიტის მოსაყვანად.

— რა გაეწყობა! — თქვა სერ ემბერმა, — თუმცა, ჩემი აზრით, ტაქსან სხვა რაიმე მანქანას ადვილად იშოვით, მისტერ ლენტ!



ხუთის ნახევარი იყო საიმონმა დაწოლა რომ მოახერხა. ცხრის ათ წუთზე ტელეფონი უკვე რეკავდა.

— მისტერ ლენტი ხართ? სერ ემბერ მაკრეს დღის მდივანი გელაპარაკებათ: სერ ემბერის მანქანა ცხრის ნახევარზე თქვენთან იქნება და სტუდიაში წამოგაიყვანთ.

— ვფიქრობ, ასე სწრაფად მომზადებას ვერ მოვასწრებ.

სერ ემბერის მდივანს განცვიფრებისაგან ერთხანს ხმა არ ამოუღია. მერე თქვა:

— ძალიან კარგი, მისტერ ლენტ! გავიგებ, თუ შესაძლებლობა იქნება, სხვა დროს რომ შეხვედეთ ერთმანეთს. რამდენიმე წუთში დაგირეკავთ.

საიმონს ისევ ჩაეძინა. მალე ტელეფონის ზარმა საიმონი ისევ გააღვიძა და ყურმილში იგივე გულგრილი ხმა გაისმა:

— მისტერ ლენტი ხართ? სერ ემბერს ველაპარაკე. მანქანა თქვენთან რვა საათსა და ორმოცდახუთ წუთზე იქნება.

საიმონმა სწრაფად ჩაიცვა. მისის შოუ ჯერ არ მოსულიყო და საუზმე არ მოემზადებინა. საიმონმა კურკლის კარადაში გაციებული ღვეზელის ნაჭე-

რი იპოვა და როცა სერ ემბერის მანქანა მის სახლს მოადგა, საიმონი მანქანაში ღვეზელის ლეკვით ჩაჯდა.

— რა საჭირო იყო ღვეზელი, — თქვა ვილაციის მკაცრმა ხმამ მანქანაში.

— სერ ემბერმა საუზმე გამომიგზავნათ. ჩქარა დაჯექით, გვაგვიანდება!

მანქანაში პლედებში გამოხვეული ახლგაზრდა ქალი იჯდა, ქალს თავზე კოკობზიკური წითელი ქუდი ეხურა, გაურკვეველი ფერის თვალები და მტკიცედ მოკუმული ტუჩები ჰქონდა.

— თუ არ ვცდები, მისს ჰარპერი უნდა იყოთ.

— არა, მე ელფრიდ გრიტის ვარ, ამ ფილმზე ჩვენ ერთად ვიმუშავებთ. მე და სერ ემბერს წუხელ მთელი ღამე არ გვიძინია. საწინააღმდეგო თუ არაფერი გაქვთ, ოც წუთს წაუძინებ. კალათში თქვენთვის თერმოსით კაკაო და კურდლის ხორცია ღვეზელია.

— სერ ემბერი კაკაოსა და კურდლის ხორცის ღვეზელის გარდა, არაფერს ჰამს?

— როგორ არ ჰამს. ეს წუხანდელი ეახშმის ნარჩენებია. თუ შეიძლება, ნუ ლაპარაკობთ, უნდა დავიძინო.

საიმონმა ღვეზელი გულგრილად უარპყო, მაგრამ ცხელი, ქაფქაფა კაკაო კი დაისხა თერმოსის ხუფში. მისს გრიტის მანქანის კუთხეში დასაძინებლად მოემზადა. მან თავისი კოკობზიკური ქუდი მოიხადა და საიმონსა და თავის შორის სავარძელზე დადო, თვალებზე ლურჯი ნაჭრისგან შეკერილი საფენები დაიღო, მკაცრად მოკუმულ ტუჩებს შვება მისცა და ოდნავ დაალოკიდევ. ქალი თავს მანქანის მოძრაობას აყოლილი აკანტურებდა. ქარი ვერცხლისფრად შეღებილ თმას უჩჩავდა. მანქანა ტრამვაის ხაზებით დაქსელილ ლონდონის გარეუბნებში მიჰქროდა. შეღესილი სახლები აგურის შეუღესავმა სახლებმა შეცვალა. მეტროს სადგურების კაფელით მოპირკეთებული ფასადები კი ბეტონის მთლიანმა კონსტრუქციებმა. უკვე გამოჩნდა გარეუბნების ახლად აშენებული კორპუსები,



სადაც ჭერ არავინ ცხოვრობდა. ჭერაც სახელდაურქმევ პროსპექტებს ახლად დარგული ხეების რიგი მიუყვებოდა. სტუდიაში მისვლამდე ზუსტად ხუთი წუთით ადრე მისს გრიტსმა თვალები გაახილა, ცხვირი გაიპურა, ტუჩები შეიღება, ქული კეფაზე გვერდულად მოიგდო და წელში ზომაზე მეტად გამართული ახალი სამუშაო დღის შესახებერად მოემზადა.

სერ ემბერი უკვე გადასაღებ მოედანზე საქმიანობდა, როცა საიმონი და მისს გრიტსი სტუდიაში მივიდნენ. გადასაღებ მოედანზე სიციხის ბული ტრი-ალეზა. მაგიდასთან მკდომ ორ ახალგაზრდას აშკარად ეტყობოდა, რაღაც უსიამოვნო თემებზე რომ საუბრობდნენ. როგორც ჩანს, ეს სცენა რესტორანში ხდებოდა, რადგან ამ ორი ახალგაზრდის უკან გასავათებულო, საღამოს ტანსაცმელში გამოწყობილი თორმეტიოდე წყვილი უნიათოდ ცეკვავდა. ამ უზარმაზარი ფარდულის ბოლოში ხუროები ტიუდორების დინასტიის დროინდელ ფეოდალის სასახლის ფასადს აგებდნენ. მზისგან თავდასაცავად თავზე ეკმჩამოფხატული კაცები წინ და უკან დარბოდნენ. გამაფრთხილებელი წარწერები ეკიდა ყველგან: „არ მოსწიოთ!“ „მოერიდეთ მალალი ძაბვის კაბელს!“

ამ გაფრთხილებების მიუხედავად, მისს გრიტსმა სიგარეტს მოუკიდა, მერე რომელიღაც ელექტრულ ხელსაწყოს ფეხი წაპკრა და თქვა:

— დაკავებულია! ამ სცენას რომ მორჩება, მე მგონი, ჩვენთვის მაშინ მოიცლის.

შემდეგ მისს გრიტსი იმ კარის უკან გაუჩინარდა, რომელსაც წარწერა ჰქონდა, შესვლა არ შეიძლებაო.

თორმეტი იყო დაწყებული, როცა სერ ემბერმა საიმონს თვალი მოპკრა და მიაძახა:

— რა კარგია რომ მოხვედით. მალე

მოვიცლი. მისტერ ბრიგს, სკამი დეკორაციული მისტერ ლენტს!

მეორედ რომ შენიშნა ორი საათი იქნებოდა.

— ისადილეთ?

— არა, — უპასუხა საიმონმა.

— არც მე მისადილია. ეხლა მივდივარ.

ოთხის ნახევარზე მისს გრიტსი საიმონთან მივიდა და უთხრა:

დღევანდელ დღეს არა უშავს. ჭერჯერობით საქმე კარგად მიდის. ოლონდ არ გეგონოთ, რომ ყოველთვის ასე თავისუფლად ვართ. აქვე ახლოს ბუფეტია, წამოდით, შევჭამოთ რამე.

ბუფეტის უზარმაზარი დარბაზი საესე იყო ათასგვარ კოსტუმებში გამოწყობილი გრიმიანი მსახიობებით. მოთენთილი, იმედაცრუებული მსახიობი ქალები მავრად მოხარულ კვერცხსა და ჩაისს შეეჭკოდნენ. საიმონმა და მისს გრიტსმა სენდვიჩები შეუკვეთეს და ის-ის იყო ჭამა უნდა დაეწყათ, რომ მათ თავს ზემოთ რადიომიმღებიდან შემაშფოთებელი სიმკვეთრით გაისმა:

— სერ ემბერი მისტერ ლენტსა და მისს გრიტსს სთხოვს საკონფერენციო დარბაზში გამოცხადდნენ.

— წავიდეთ! ჩქარა! — თქვა მისს გრიტსმა.

მისს გრიტსმა საიმონი მბრუნავ კარში შეაგდო, ეზო გადაარბენინა, სტუდიის ადმინისტრაციულ შენობაში სწრაფად შეიყვანა, კიბე სირბილით აატარა და მუხის მასიურ კართან შეჩერდა. კარს დიდი ასოებით ეწერა: „თათბირი მიმდინარეობს! ნუ შეხვალთ!“ დააგვიანეს.

— სერ ემბერი უკვე წავიდა, — უთხრა მათ მდივანმა ქალმა. — იქნებ უესტ ენდის კანტორაში ნახოთ ექვსის ნახევრისათვის.

მისს გრიტსი და საიმონი უკან, ლონდონში დაბრუნდნენ, ამჯერად მეტროთი. ექვსის ნახევარზე პიკადილზე იყვნენ და სანუკვარი მიზნის მისაღწევად მეორე რაუნდისათვის ემზადე-

ბოდნენ. ამ მიზნის დევნაში საიმონმა და მისს გრიტსმა ჰემბსტედში ამოყვეს თავი. ბოლოს, სალამოს რვა საათისათვის ისევ სტუდიაში იყვნენ. მისს გრიტსს დალლა სრულებით არ ეტყობოდა.

— რა კარგია, რომ სერ ემბერმა დღეს თავისუფლება მოგვცა, — თქვა მისს გრიტსმა, — როცა აი, ასე იქცევა, მასთან მუშაობა ძალზე ადვილია. რაც ჰოლივუდიდან ჩამოვიდა, ხშირად ასე მუშაობს. მოდით, ვივანშმოთ! მაგრამ სასადილოს კარი შეაღეს და მსუბუქი საუზმის თბილი სურნელი იყნოსეს თუ არა, რადიოში დილანდელივით გაისმა:

— სერ ემბერი მისს გრიტსსა და მისტერ ლენტს თხოვს საკონფერენციო დარბაზში გამოცხადდნენ.

ამჯერად აღარ დაუგვიანიათ. სერ ემბერი ადგილზე იყო. ოვალური მაგიდის თავში იჯდა. მაგიდას გარშემო განყოფილებათა გამგეები შემოსხრობოდნენ. სერ ემბერს პალტო ეცევა, იდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდა, თავი ჩაქეინდრა და ერთმანეთზე გადაჭლობილი ხელები კეფაზე შემოეწყყო. თანაგრძნობით შესტყეროდნენ სერ ემბერს. ცოტა ხანში სერ ემბერმა თავი ასწია, შეიმშუშნა და სასიამოვნოდ გაილიმა.

— რა კარგია, რომ მოხვედით, — უთხრა მან საიმონს. — ვწუხვარ, რომ უფრო ადრე ვერ მოვახერხე თქვენთან საუბარი. ათასი წვრილმანი საქმეა და ყველაფერი ჩემი მისახედია. ისადილეთ?

— ჭერ არა.
— ცუდია, ცუდი. საქმელი არ უნდა მოიკლოთ. მაძლრად თუ არ ჰამს კაცი მთელი დატვირთვით ვერ იმუშავებს.

ამის შემდეგ საიმონი და მისს გრიტსი დასხდნენ და სერ ემბერმა დარბაზში მყოფთ თავისი გეგმები გააცნო.

— ქალბატონებო და ბატონებო, მსურს მისტერ ლენტი წარმოვიდგინოთ. დარწმუნებული ვარ, მისი სახე-

ლი ყველას გაგონილი გექნებათ. გავებდავ და ვიტყვი, რომ, ალბათ, მის ნაწარმოებებსაც იცნობთ. მისტერ ლენტი მე ჩვენს დასახმარებლად მოვიწვიე და ვიმედოვნებ, როდესაც ჩვენს განზრახვას გაიგებს, დაგვეთანხმება და ჩვენი თანამდგომი გახდება. მსურს „ჰამლეტი“ გადავიღო. ჩემი ეს ჩანაფიქრი, ალბათ, დიდ სიახლედ არ მოგეჩვენებათ, მაგრამ კინოს სამყაროში მთავარი ის არის, თუ რა კუთხით შეხედავ საქმეს. მე ამ ფილმის გადაღებას სრულიად ახალი კუთხით ვაპირებ. ამიტომაც ვთხოვე მისტერ ლენტს დახმარება. ჩემი სურვილია, მისტერ ლენტმა დიალოგები დაგვიწეროს.

— კი მაგრამ, „ჰამლეტი“ განა ცოტა დიალოგია?

— თქვენ ჩემი არ გესმით. თანამედროვე კოსტუმებში შექსპირი მრავალჯერ დადგეს თუ გადაიღეს. მე კი მინდა, შექსპირი თანამედროვედ აღაპარაკდეს. აბა, რა სიამოვნებას მიიღებს საზოგადოება შექსპირისაგან თუ დიალოგებს თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს? ამას წინათ „ჰამლეტის“ კითხვა დავიწყე და წარმოიდგინეთ, ვერაფერი გავუგე. მაშინ იყო რომ ვიფიქრე, საზოგადოებას შექსპირი სურს იხილოს მისეული ხასიათებისა და აზრის მთელი სილიადით, ვასაგები, ყოველდღიურობის ენით დაწერილი იხილოს — მეთქი. ცხადია, მაშინვე მისტერ ლენტი გამახსენდა. ცნობილი კრიტიკოსები მისტერ ლენტს დიალოგს უქებენ. ჩემი აზრით, მხოლოდ ის არის საჭირო, რომ მისტერ ლენტს ეპიზოდების თანმიმდევრობისა და ტექნიკური საკითხების მოგვარებაში მისს გრიტსი დავახმაროთ და საშუალება მივცეთ, სცენარი თავის შეხედულებათა მიხედვით გადაამუშაოს...

სერ ემბერის ჰკუთისასწავლი ლექცია თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. მერე განყოფილებათა გამგეებმა თანხმობის ნიშნად თავები ბრძანულად

დაუქნიეს. ამის შემდეგ საიმონი გვერდით ოთახში გაიყვანეს და კონტრაქტზე ხელი მოაწერინეს. კონტრაქტის მიხედვით, საიმონი ავანსის სახით დებულობდა 250 გირვანქა სტერლინგს გარდა ამისა, ერთი კვირის პონორარს — 50 გირვანქა სტერლინგს — წინასწარ აძლევდნენ.

— გირჩევთ, მისს გრიტს შეუთანხმდეთ და თქვენთვის მოსახერხებელი დრო დაუნიშნოთ. პირველ ვარიანტს ამ კვირის ბოლოს წარმომიდგენთ. თქვენ ადგილას რომ ვიყო, წავიდოდი და ვისადილებდი, მისტერ ლენტ, უკმელობა არ იქნება.

სასადილოსაკენ სწრაფი ნაბიჯით მომავალ საიმონს ოდნავ თავბრუ ეხვეოდა. ორი დაღლილი ქერა ქალი სასადილოს უკვე კეტავდა.

— დღის ოთხი საათიდან ვვაჭრობთ და სტატისტიკმა ნუგის მეტი ყველაფერი გამოგვითავებს, რა ვაკამოთ? — შეწუხდნენ ქალები.

საიმონი ნუგის წუწნით გავიდა უკვე ცარიელი სტუდიის პავილიონში. თორმეტი ფუტი სიმაღლის მარმარილოს მთლიანი კედლები სამი მხრიდან ერტყმოდა საიმონს და შემზარავ გრძობას აღუძრავდა. ეს კედლები რესტორნის ისტენის გადასაღებად სჭირდებოდათ. შამპანურის ბუტაფორიული ბოთლი ისევ იდგა ვედროში, თუმცა ყინული მთლად დამდნარიყო. საიმონის თავზემოდ ჩაშავებულ სიცარიელეს დაელო ხახა.

— სინამდვილე, რეალური სამყარო... ცხოვრების მაჯისცემა... ფული, შიმშილი... რეალობა... — გაიფიქრა საიმონმა.



მეორე დღით საიმონს მოახსენეს:

— ორი ახალგაზრდა ლედი გელოდებთ!

— ორი?!

საიმონმა ხალათი ჩაიცვა, ხელში ფორთოხლის წვენი საჯებ ფინჯანი აიღო და სასტუმრო ოთახში გავიდა.

მისს გრიტსა საიმონს თავის მოხსენებებში ნილად დაუკრა.

— მართალია, შევთანხმდით მუშაობა ათ საათზე დაგვეწყოს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? — თქვა ქალმა.

— ჩვენი ერთობლივი საქმიანობის საწყის სტადიაში თქვენ მაინცდამაინც არ მჭირდებით. გაიცანით, ეს მისს ლოკინსია, ჩვენი სტენოგრაფისტი. სერ ემბერმა თქვა, ეგებ დაგჭირდეთო. მისს ლოკინსი თქვენს განკარგულებაში იქნება, სანამ დაგჭირდებათ. სერ ემბერმა „ჰამლეტის“ ორი ეგზემპლარიც გამოგვიზავნათ. აბაზანას რომ მიიღებთ, ჩვენი პირველი სამუშაო დღის პროგრამას წავგიკითხავთ.

მაგრამ მისს გრიტის ამ განზრახვას ასრულება არ ეწერა. სანამ საიმონი იცვამდა, მისს გრიტსი სასწრაფო საქმეზე სტუდიაში გამოიძახეს.

— როცა გავთავისუფლდები, შეგატყობინებთ, — თქვა მისს გრიტსმა.

საიმონმა იმ დღით, ვინც კი გაახსენდა, ყველას მისწერა წერილი. ყველა წერილი შემდეგნაირად იწყებოდა: „გთხოვთ მაპატიოთ, რომ ამ წერილს სხვას ვკარნახობ; ამჟამად ისე ვარ დაკავებული, სრულიად არა მაქვს დრო ჩემი ხელით მოგწეროთ... მისს ლოკინსი მოკრძალებული გამომეტყველებით იწერდა ყველაფერს. მერე საიმონმა მისს ლოკინსს სილვიას ტელეფონის ნომერიც ჩააწერინა.

— გთხოვთ ამ ნომერზე დარეკოთ. მისს ლენოქსს ჩემი მოკითხვა და უღრმესი პატივისცემა გადასცეთ და ჩემი სახელით „ესპინოზაში“ საუზმეზე დაჰპატიჟოთ... ამასთან ერთად, გთხოვთ „ესპინოზაში“ პირველ საათსა და ორმოცდახუთი წუთისთვის მისს ლენოქსისა და ჩემთვის მაგიდა შეუკვეთოთ.

გუშინ მთელი დღე სად იყავი, ძვირფასო? — ჰკითხა სილვიამ საიმონს, როდესაც შუადღისას ერთმანეთს შეხვდნენ. — ან ის ქალი ვინ იყო, დილას შენს მაგივრად რომ დამირეკა?

— აჰ, ეგ ხომ ჩემი სტენოგრაფისტი ქალია, მისს ლოკინსი!

— წესიერად გამაგებინე, რას ამბობ, საიმონ!

— ფილმს ვიღებთ. კინომრეწველობას მოვკიდებ ხელი.

— მეც აუცილებლად შენთან გამოიჩინე რაიმე საქმე, საყვარელო!

— როლების განაწილებაზე ჯერ არ მიმდგარა საქმე, მაგრამ მხედველობაში მიეყოლები.

— ღმერთო ჩემო, ამ ორ დღეში როგორ შეცვლილხარ!

— ნამდვილად შევიცვალე, — დიდი თვითკმაყოფილებით შენიშნა საიმონმა, — სწორე ვითხრა, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში პირველად შევხვდი პირისპირ სინამდვილეს. რომანების წერას თავი უნდა დავანებო. რომანების წერა ბრიყუების საქმეა.. სიტყვა მოკვდა: იყო დრო, პაპირუსზე წერა ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ ითვლებოდა, მერე ნაბეჭდი სიტყვა გახდა მთავარი, ეხლა კი ფილმების დრო დადგა. შემოქმედი მარტო აღარ უნდა ქმნიდეს. იგი მხოლოდ იმ საუკუნის შვილია, რომელშიც ცხოვრობს და ქმნის. მან, პროლეტარის მსგავსად, ყოველკვირა ხელფასი უნდა მიიღოს, მხოლოდ მისი ხელფასი, ძვირფასო სილვია, რა თქმა უნდა, დიდად განსხვავდება ოდენობით პროლეტარის ხელფასისაგან. ეს ცხოველყოფელი ხელოვნება, რა თქმა უნდა, სოციალურ კონტაქტთა გარკვეულ წრესაც გულისხმობს... ურთიერთქმედებას, ურთიერთმიმართებას. ერთი მიზნისაკენ მიმართულ, ჭიანჭველებით მოფუხფუხე ადამიანთა გარკვეული ჯგუფის საერთო ძალისხმევას...

ასე და ამგვარად ლაპარაკობდა საიმონი კარგა ხანს, სანამ გარგანტუას სამყოფ სადილს ბოლო არ მოუღო და სანამ თითქმის გულშეღონებულმა სილვიამ საცოდავი ხმით არ წამოიკნავლა:

— როგორც ვატყობ, რომელიმე საზიზღარი კინოვარსკვლავი შეგყვარდება.

— ღმერთო ჩემო, — თქვა საიმონ-

მა, — მხოლოდ ქალწულს შეუძლია ასეთი ეულგარულობა გამოიჩინოს.

ის-ის იყო საიმონი და სილვია მათთვის ჩვეული, მორიგი კინკლაობისათვის მოემზადნენ, რომ მსახურმა ბიჭმა საიმონს აცნობა მისს გრიტსმა დარეკა და შემოგითვალათ, აუცილებელია სამუშაო სასწრაფოდ დავასრულოთ.

— მაშ, მისს გრიტსი ჰქვია, არა? — თქვა სილვიამ.

— რომ იცოდე, რა სასაცილო ხარ,

— თქვა საიმონმა და თავისი ინიცილები წააწერა ოფიციატის მოტანილ ანგარიშს. სილვიამ ძლივს მოასწრო ჩანთისა და ხელთათმანებისათვის ხელი წამოველო, რომ საიმონი მაგიდიდან წამოდგა.

ეს კია, საქმეები ისე აეწყო, რომ ერთ კვირასაც არ გაუვლია, და საიმონი მისს გრიტსის საყვარელი გახდა. ინიციატივა ქალს ეკუთვნოდა. ერთ საღამოს, როდესაც ისინი სცენარის პირველი ვარიანტის კორექტურას კითხულობდნენ, მისს გრიტსმა საიმონს თავისი თავი შესთავაზა.

— არა, რას ამბობთ, — უთხრა ქალს გაოგნებულმა საიმონმა, — როგორ შეიძლება, წარმოუდგენელი! დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ...

— რატომ? ქალები საერთოდ არ გიყვართ?

— როგორ არა, მაგრამ...

— ოჰ, კარგი, ერთი... — თქვა მისს გრიტსმა გადაჭრით, — ისედაც ცოტად რო გვრჩება გართობისათვის...

მოგვიანებით, მისს გრიტსმა ხელნაწერები თავის პორტფელში რომ ჩაალაგა, თქვა:

— თუ დრო მოგვეცა, კიდევ გავიმეორათ. ჩემი ღრმა რწმენით, გაცილებით ადვილია კაცთან მუშაობა თუ მასთან რომანი გაქვს.

ერთობლივი მუშაობის სამი კვირის განმავლობაში საიმონსა და მისს

გრიტს შორის სრული ჰარმონია სუფევდა (თუმცა მათ შორის არსებული ინტიმური ურთიერთობის მიუხედავად, ქალს საიმონი თავის გულშიც კი მისს გრიტს უწოდებდა).

საიმონის ცხოვრებამ მიმართულე-ბაც იცვალა და სახეც. სადღაც გაჰქრა დილაობით ლოგინში წოლისა და მომავალი დღის გასაძღებად გამბედაობის მოკრების წუთები. საიმონი ყოველ დილას აღარ ჰპირდებოდა თავის თავს, დღეს კი ნამდვილად წავალ სოფელში, ჩავჯდები და დავამთავრებ იმ ჩემს წიგნსო და მერე ყოველ საღამო წინა დღის მსგავსად, ჩვეულებრივ არ მოიძურწებოდა თავის ბინაში. საღამოობით აღარ იჯდა სილვიასთან რესტორანში ვახშმად და გულგარეთ აღარ ეკინკლავებოდა. აღარც ტელეფონზე გულისგამაწვრილებელ ახსნა-განმარტებებს მიჰქონდა დრო. ყოველივე ამის ნაცვლად საიმონი გადაეშვა წინასწარ დაუგეგმავი მრავალფეროვნების მორავეში, როდესაც ყოველ წუთს შესაძლებელი იყო ტელეფონით თათბირზე გამოეძახათ, თათბირზე, რომელიც იშვიათად რომ ჩატარებულყო; — ხან ჰემპსტედში იძახებდნენ, ხანაც სტუდიაში. ერთხელ ბრაიტონშიც გამოიძახეს.

მუშაობისას საიმონი უმეტეს წილად სასტუმრო ოთახში წინ და უკან დადიოდა. ამ დროს მისს გრიტის ოთახის მეორე კედლის გასწვრივ სცემდა ბოლთას. მისს დოკინსი კი მათ შორის თვინიერად იჯდა და მოთმინებით ისმენდა და იწერდა მათ ნაკარნახევს. ნაწერს ასწორებდნენ, მერე კიდევ ხელახლა ასწორებდნენ უკვე ნასწორებს. საქმელს ყოველად წარმოუდგენელი ინტერვალებით მიირთმევდნენ. ჰამას ყოველგვარი სინაზისაგან დაცლილი სიყვარულის სწრაფი პასაჟები ენაცვლებოდა. საქმლის დიდ არჩევანში არ შედიოდა საიმონი და ჰამითაც მაშინ ჰამდა, როცა მოუხერხდებოდა; სერ ემბერის მანქანით ლონდონის გარეუბნებში დაქროდა, ნაბიჯებით ზომავედა

თავისი სასტუმრო ოთახის ნონს და კარნახობდა მის ოთახში დასკუბებულ მისს დოკინსს; ოთახში, რომელიც ამ გაუდაბნოებულ სამყაროში ცივილიზაციის ნგრევას გადარჩენილ ერთადერთ დეკორაციას ჰგავდა. საიმონსაც მისს გრიტსივით დროდადრო შეიპყრობდა ხოლმე ხანმოკლე ძილქუში, რათა სადღაც, უცნობ ქუჩაზე შიშით გამოღვიძებულს, რომელიღაც ქარხანა ანდა ყველასაგან მიტოვებული გარეუბანი დაენახა.

ამასობაში სცენარი სწრაფად იზრდებოდა, ყოველდღე ახალ-ახალი სცენები ემატებოდა და თანაც თვალსა და ხელს შუა ათასნაირად იცვლიდა შინაარსს. ყოველი თათბირის შედეგად რაიმე ძირეული ცვლილება შეჰქონდათ. როცა მისს გრიტის თავისი კარგად დაყენებული, კორექტული ინტონაციით მათი საერთო შემოქმედების ნაყოფს ამხეუტრებდა, ხელეზზე თავჩამოდებული სერ ემბერი აქეთ-იქით ნება-ნება ირწეოდა და ზოგჯერ ხმამაღლა კენსოდა და ოხრავდა. სერ ემბერს გარშემო ექსპერტები — გადაღლები ჯგუფის, სამონტაჟო განყოფილების, კადრების, წარმოების და საფინანსო საქმეთა მენეჯერები ესხდნენ, ყველაფერს მახვილი თვალით აკვირდებოდნენ და ყოველ წუთს მზად იყვნენ უფალი რეჟისორის ყურადღება დაემსახურებინათ რაიმე საჭირო რჩევით.

— ესეც ასე! — იტყოდა ხოლმე სერ ემბერი, — მგონი ესეც მოვაგვარეთ! კიდევ ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი, ჭენტომენებო?

მცირე პაუზის შემდეგ ექსპერტთა რჩევები ნიაღვარივით მოასკდებოდა ხოლმე.

— იცით, სერ, რას ვფიქრობ? სულაც არ არის საჭირო მოქმედება დანიაში ხდებოდეს. საზოგადოებას არ მოეწონება, ფილმი მოგზაურობაზე. რა იქნება, მოქმედება შოტლანდიაში

რომ გადმოვიტანოთ? ეს საშუალებას მოგვცემს შოტლანდიელი მეომრებისა და მათი კლანების თავყრილობათა სცენები ჩავრთოთ ფილმში...

— მართლაც დიდებული აზრია! ჩაინიშნეთ, ლენტ!

— ჩემი აზრით, დედოფალი სულაც არ არის საჭირო. ხომ არ აჯობებს, რომ დედოფალი მოქმედების დაწყებამდე მოკვდეს? ეს პერსონაჟი მხოლოდ ანელებს მოქმედების ტემპს. თანაც საზოგადოებას არ მოეწონება ჰამლეტი დედას შეურაცხყოფას რომ აყენებს...

— მართალია! ესეც ჩაინიშნეთ, ლენტ!

— რა იქნება, სერ, რომ მეფის აჩრდილის მაგიერად, დედოფლის აჩრდილი გამოვიყვანოთ?..

— მშვენიერია!.. ჩაინიშნეთ, ლენტ!

— რას იტყვით, სერ, ხომ არ აჯობებს, ოფელია ჰორაციუსის და იყოს? მოქმედება უფრო დაიძაბება. მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ?

— დიახ, ჩაინიშნეთ ესეც...

— ჩემი აზრით კი, მთელ ამ ამბავს აზრი ეკარგება ბოლო მოქმედებაში. ბოლოს და ბოლოს, მთელი ეს პიესა უპირველესად ყოვლისა, აჩრდილებზეა, ხომ მართალია?..

ასე და ამგვარად, თითქოს უმნიშვნელო დამატებებმა სცენარი საბოლოოდ უსაზღვროდ გაზარდა. მუშაობის დაწყებიდან ერთი კვირა იყო გასული, რომ სერ ემბერმა მცირე, მაგრამ, რაც მართალია მართალია მაინც კამათის შემდეგ, მოიწონა „ჰამლეტთან“ „მაკბეტის“ გაერთიანების აზრი. საიმონი წინ აღუდგა ამ მოსაზრებას, მაგრამ სამი კუდიანის სცენა იმდენად მოეწონა ყველას, რომ საიმონის წინააღმდეგობა აღარაფრად ჩაუგდიათ. ცხადია, პიესის სახელწოდებაც შესაბამისად გადაკეთდა და „თეთრი ქალბატონი ღუნსინანა“ ეწოდა. საიმონი და მისს გრიტსი ერთი კვირით მთელი სცენარის თავიდან ბოლომდე გადაკეთების ურთულეს საქმეს შეეჭიდნენ.

●
ყველაფერი ისევე მოულოდნელად დამთავრდა საიმონის ცხოვრების ამ შესანიშნავ ეპიზოდში, როგორც დაიწყო.

ფილმის თაობაზე მესამე თათბირი ნიუ ფორესტის იმ სასტუმროში მოეწყო, სადაც სერ ემბერი იმეამად იმყოფებოდა. დანიშნული დროისათვის ამ სასტუმროში ზოგი ექსპერტი მატარებლით ჩავიდა, ზოგი მანქანით და ზოგიც მოტოციკლით. ამიტომაც ბევრი ბჭობის თავი აღარ ჰქონდათ დაღლილებს. მისს გრიტსმა სცენარის ბოლო ვარიანტი წაიკითხა. წაკითხვას კარგა ხანს მოუწინა, რადგანაც ამ დროისათვის სცენარმა სრულყოფილი სახე მიიღო და გადაღების მეტი აღარაფერი უნდოდა...

სერ ემბერი ჩვეულებრივზე უფრო მეტ ხანს იჯდა ფიქრებში ჩაძირული. მერე თავი ასწია და ერთადერთი სიტყვა თქვა:

— არა!

— არა?

— არა! არ გამოდგება. არაფრად არ ვარგა. ზომაზე მეტად დავცილდით ორიგინალს. ვერ გამოვიდა რაში დაგჭირდათ იულოუს ცეზარისა და მეფე ართურის შემოყვანა პიესაში.

— კი მაგრამ, სერ, ეს ხომ წინა თათბირზე თქვენი სურვილით მოხდა.

— მართლა? სულ ერთია! ამას მნიშვნელობა არა აქვს. ალბათ, დაღლილი ვიყავი და ყურადღება ვერ მივაქციე... ესეც არ იყოს, არც დილოგები მომწონს. თქვენს დილოგებს ორიგინალის მომხიბლაობა აკლია! საზოგადოებას კი შექსპირი უნდა. შექსპირი და მეტი არავინ შექსპირის გარდა! თქვენი სცენარი თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ შექსპირი არ იგრძნობა. იცით, რა ექნათ? ავდგეთ და ეს პიესა იმ სახით გამოვიყენოთ, როგორც შექსპირმა დაწერა. ჩაინიშნეთ, მისს გრიტს!

— რაკი ასეა, ალბათ, ჩემი სამსახური აღარ დაგჭირდებათ, სერ!

— არა მგონია, დაგვეკირდეს, მაგრამ მაინც სასიამოვნოა რომ მოხვედით.

მეორე დღით საიმონს ჩვეულებ- ისამებრ ხალისიანსა და ენერგიით აღსავსეს გაეღვიძა. ის-ის იყო ლოგი- ნიდან წამოხტომას აპირებდა, რომ წინა ლამის ამბები გაახსენდა. საქმე აღარ ჰქონდა! უსაქმო დღე ელოდა! არსად ჩანდნენ მისს გრიტსი და მისს დოკინსი. არც თათბირზე იყო წასას- ვლელი და აღარც დიალოგები ჰქონდა გასამართი. საიმონმა მისს გრიტსს და- ურეკა და სთხოვა ერთად ვისადილო- თო.

— არაფრით არ შემოძლია, ამ კვირის ბოლომდე წმინდა იოანეს სახარების კონსპექტი უნდა გავაკეთო სცენარი- სათვის. დაწყებული სამუშაოა. მოქ- მედების ადგილად ალკირი ავირჩიეთ, რომ შესაფერი გარემო შეგვექმნა.

მომავალ თვეში პოლიველში მივიდი- ვართ. არა მგონია, ოდესმე კიდევ შე- ვხვდეთ ერთმანეთს.

საიმონი საწოლში იწვა და აშკარად გრძნობდა თანდათან როგორ ელეოდა ენერგია. საქმე აღარ ჰქონდა! კეთილი და პატიოსანი, გაიფიქრა საიმონმა, ის დროა, სოფელში წავიდე და იმ ჩემს რომანს ჩავუჯდე. ან იქნებ საზ- ღვარგარეთ წავიდეს? დაჯდება მზით განათებულ რომელიმე კაფე-რესტო- რანში და იმ ბოლო გაჯანჯლებულ თა- ვებს დაამთავრებს. ასეც მოიქცევა... ოდესმე... ალბათ, ამ კვირის ბოლოს.

შანამდე კი საიმონი იდაყვებს დაე- ყრდნო, ყურმილი აიღო, სილვიას ნო- მერი აკრიფა და ოცწუთიანი, ბოლმი- ან-კინკლარბიანი შერიგებისათვის მო- ემზადა.

თარგმნა ჯულიანა მხაფლიშვილმა.



რამაზ გასოკიძე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი
და ბუნებისმეტყველების პრობლემები

„სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, დაგროვილ პოტენცილის უკეთ გამოყენების მთავარ სტრატეგიულ ბერკეტად პარტია წინა პლანზე აყენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალურ დაჩქარებას“.

მ. ს. გორბაჩოვი

მეცნიერების პროგრესის ძირითად და გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს წარმოების და საზოგადოების მოთხოვნილებანი, რომელიც უკვე ისტორიულ ეპოქაში განისაზღვრება ტექნიკის განვითარების დონით და საზოგადოების საწარმოო ძალთა მდგომარეობით.

სხვადასხვა ქვეყანაში მრეწველობის განვითარების შესწავლისას არ შეიძლება უშუალოდ და არ მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: მე-19 ს-ის პირველ ნახევარში უკვე აღმავალი განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა ინგლისი იყო, და სწორედ ამ დროს, მაგალითად, ფუნდამენტურ ფიზიკაში ვხვდებით ისეთ დიდ სახელებს, როგორებიცაა მაქსველი, იუნგი, ფარადეი და სხვ. მე-19 ს-ის მეორე ნახევარში და მე-20 ს-ის დასაწყისში წამყვან როლს გერმანია ასრულებდა. ამ დროს ჩვენ ვხვდებით გერმანელ ფიზიკოსთა თანავარსკვლავედს: ჰელმჰოლცს, ნერნსტს, რენტგენს, აინშტაინს, პაულისს, პლანკს, ზომერფელდს, ბაიზენბერგს და ა. შ. მოგვიანებით მე-20 ს-ში, როცა წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებად იქცნენ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, ფუნდამენტურმა მეცნიერებამ აქეთ გადაინაცვლა: კომპტონი, ფერმი, ოპენჰეიმერი, ლურენსი, რაბი, მაკმილანი, ფინემანი აშშ-ში და ლებედევი, ფრენკელი, იოფე, მანდელშტამი, კურჩატოვი, ლანდაუ, ტამი, კაპიკა — სსრკ-ში. ნათლად ჩანს პირდაპირი დამოკიდებულება: სადაც იზრდება მრეწველობა, იქ წარმატებით ვითარდება ფუნდამენტური მეცნიერება.

მეცნიერების მიღწევები, თავის მხრივ, უშუალო გავლენას ახდენენ ტექნიკურ პროგრესზე, მუდმივად წარმოშობენ წარმოების და საზოგადოების ახალ მოთხოვნებს. ასეთი ურთიერთგავლენა განსაზღვრავს მეცნიერებისა და წარმოების ხახაბოს მათი საერთო განვითარების პროცესში. მეცნიერებისა და მრეწველობის ურთერთკავშირი დიალექტიკური ხახაბითია.

წარმოების მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგების შექმნა დაკავშირებულია ბუნებისმეტყველთა თეორიულ შრომებთან, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან შორს იდგნენ პრაქტიკისაგან. საღებავების, წამლების, პლასტმასებისა და სხვა სინთეზურ მასალათა წარმოება დაკავშირებულია ორგანულ ქიმიკაში თეორიულ გამოკვლევებთან. სასარგებლო ფიზიკისეულთა ძიების გეოქიმიური მეთოდები დაფუძნებულია დედამიწის ქერქში ქიმიურ ელემენტთა მიგრაციის წოგად კანონებზე, რომლებიც ბევრად ადრე იყო დადგენილი. ფიზიკოსების მიერ ატომის აგებულების 40 წლიანი თეორიული კვლევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ატომური ენერჯის პრაქტიკული გამოყენება ჩვენს დროში. მათემატიკისა და კომპიუტერის გამოკვლევათა შედეგებმა ფართო გამოყენება მოკვს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მათემატიკური მეთოდები, ელექტრულ-გამომთვლელი ტექნიკა საფუძვლად დაედო წარმოების ავტომატიზაციას და მართვის საშუალებათა სრულყოფას. ცნობილმა ქიმიკოსმა ლიბიხმა (1803-1878) წამოაყენა და



დასახბუთა მცენარეთა კვების მინერალური თეორია, რომელმაც გამოიწვია მინერალური სასუქების წარმოების შექმნის აუცილებლობა. უსაზღვროა ბუტლეროვის აგებულების თეორიისა და მენდელეევის პერიოდული სისტემის პრაქტიკულ გამოყენებათა სფერო, თუმცა ავტორები თავიანთი თეორიების დამუშავებისას სულაც არ ისახავდნენ უტოლიტარულ მიზნებს. მაგალითად, მენდელეევის გენიალურ თეორიულ გამოკვლევებამდე ელემენტთა აღმოჩენა შემთხვევით ხასიათს ატარებდა, წინასწარ არ იყო ცნობილი უცნობ ელემენტთა თვისებები, არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა ეპოვნათ ისინი. პერიოდულობის კანონის აღმოჩენით შესაძლებელი გახდა ბევრი ელემენტის წინასწარმეტკველება. ამგვარად, ახალი თეორიის საშუალებით ჭიმიანში დაგროვდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფაქტები.

ცნობილია, რომ აბსტრაქტული აზროვნებისა და ფილოსოფიური განზოგადების შეუფასებლობა იწვევს მცენიერების ერთ წერტილზე გაყინვას. „რამდენი შეუფასებლობაც არ უნდა გამოიჩინონ ყოველგვარი თეორიული აზროვნებისადმი, — წერდა ენგელსი, — თეორიული აზროვნების გარეშე მაინც შეუძლებელია ბუნების ორი ფაქტის ერთმანეთთან დაკავშირება ანდა მათ შორის არსებული კავშირის დანახვა“. აღამიანის ცოდნის, რომელიც მცენიერებასაც მოკცავს, უშედეგო მიზანია საშუაროს შეცნობა და არა აღწერა.

სხვადასხვა მცენიერებათა განვითარება იზოლირებულად არ მიმდინარეობს. ხშირად ხდება, რომ ერთ სფეროში მიღებული მცენიერული შედეგების რეალიზაცია საჭიროებს მცენიერების სხვა სფეროში შესაძლებლობათა კვლევას. მაგალითად, ჩვენს დროში ბიონიკა სწავლობს ციხებელ ორგანიზმთა განსაზღვრულ რეპროდუცირებას ტექნიკურ მოწყობილობებში. ბაჰაყის თვალის შესწავლით შესაძლებელი გახდა ელექტრული თვალის შექმნა, რომელიც აღიქვამს მხოლოდ მოძრავ სხეულებს და არ აღიქმირებს უძრავს. ნავიგაციურ ხელსაწყოთა სრულყოფისათვის სწავლობენ თევზებისა და ფრინველების ნავიგაციურ ორგანოებს.

მცენიერულ-ტექნიკური რევოლუცია მომზადებულია კაცობრიობის ისტორიის მთელი მსვლელობით, აღამიანის შემოქმედებითი უნარის განვითარებით. მცენიერულ-ტექნიკური რევოლუცია წარმოადგენს თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს და თავისებურ სოციალურ მოვლენას. იგი მოიცავს არა მარტო მცენიერებისა და ტექნიკის თანამედროვე განვითარებას, არამედ სახალხო მეურნეობის ყოველ სფეროს (მრეწველობას, სოფლის მეურნეო-

ბას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას (ტელევიზიას), თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს.

მცენიერულ-ტექნიკური რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მცენიერების განვითარება წინ უსწრებს ტექნიკის განვითარებას და გზას უკავებს მას.

ისევე ხდება, რომ სავსებით განსაზღვრული ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც არა თუ ნაკარნახევა პრაქტიკით, არამედ ნათლადაც არის ფორმულირებული, წოგჭერ შეუძლებელი ხდება. მოვუყვანთ შემდეგ მაგალითს: როდესაც XVIII და XIX სს. მიჯნაზე ნაპოლეონს სურდა მოეხდინა ინგლისის კონტინენტალური ბლოკადა, საფრანგეთს არ აღმოაჩნდა ინდიგო, რომელიც შემოჰქონდათ ინდოეთიდან. ინდიგოს გარეშე კი ზარალდებოდა ფრანგული საფეიქრო წარმოება. როგორ მოქცეულიყვნენ იმ დროს საფრანგეთში ჭიმიან სხვადასხვა ქვეყნებთან შედარებით უკეთ იყო განვითარებული და, რაც მთავარია, ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის ჭიმიკოსები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული პრაქტიკასთან, თავიანთი აღმოჩენებით მნიშვნელოვანდ ეხმარებოდნენ ქვეყანას, მის სამხედრო ძლიერებას. ამ პირობებში თითქოს არაფერი უშედეგოადაა ფრანგ ჭიმიკოსებს ზელი მოკიდათ ინდიგოს ხელოვნურად მიღების საკითხის დადგენისათვის და ასეთი ამოცანაც დასვა მათ წინაშე ნაპოლეონმა. გამოიყო დიდძალი ფულადი პრემია იმისთვის, ვინც დააშუშავებდა ისეთი საღებავის დამზადების მეთოდს, რომელიც შეცვლიდა ინდიგოს ინდიგოს. ამგვარად, მრეწველობის მოთხოვნა ნათელი იყო და საკითხიც ცხადად იყო დასმული პატრიოტულად განწყობილ მცენიერთა წინაშე, რომლებიც მზად იყვნენ შეესრულებინათ ქვეყნის ნებისმიერი დავალება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დავალება ვერ შესრულდა. ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩა არა მარტო ნაპოლეონის დროს, არამედ მრავალი ათწლეულის შემდეგაც.

ეს მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ პრაქტიკა მცენიერების წინაშე სვამს განსაზღვრულ ამოცანას, მაგრამ წარმოებას არ შეუძლია უკარნახოს მცენიერებას, როგორც კონკრეტული გზით ამოხსნის ამ ამოცანას, როგორც ბრუნებით დააკმაყოფილებს იგი ტექნიკის მოთხოვნებს.

დიდი ბუნებისმეტყვეელი კ. ა. ტიშირიაჩევი წერდა: „წმინდა მცენიერების განვითარებას გამოყენება თავისთავად მოყვება. მცენიერების განვითარება განისაზღვრება მხოლოდ ფაქტების შინაგანი ლოგიკით და არა მოზონვილიებათა გარეგანი დაწოლით. მცენიერე-



ლი აზრი, ისე როგორც ყოველგვარი აზრი, შეიძლება მუშაობდეს მხოლოდ სრული თანხმობის პირობებში. უტილიტარული მოთხოვნებით შეზღუდულ მეცნიერულ შემოქმედებას შეუძლია ისეთვე ხელოვნური და უსუსური ნაწარმოებების მიღება, როგორც ხელოვნური და უსუსურიცაა მხატვრული შემოქმედების ის ნაწარმოებები, რომლებიც მსგავს პირობებში იქმნება, როგორც ხელოვნური და უსუსური შემთხვევის გამო და შეკვეთით დაწერილი ყოველგვარი ოდა და კანტატა“. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ტიპირიაზევი უარყოფდეს მეცნიერების საზოგადოებისათვის სასახურს, პირიქით, იგი აღნიშნავს, რომ მის მიერ ნაჩვენებ ვაჟს ცაცობრიობისათვის უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ტიპირიაზევი ილაშქრებდა ბურჟუაზიული საზოგადოების პრაქტიციანებისა და უტილიტარისტების წინააღმდეგ, რომლებიც „თანამა არიან, რომ წეციერება იყოს მუცლის მსახური, ოღონდ კი ნუ იქნება აზრის ხუმლმძვინვარე“. ტიპირიაზევის აზრი ემხიანება ღენინის გამოთქმას იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგები გაურბიან ყოველგვარ თეორიას. ტიპირიაზევის აზრს იზიარებდნენ ჩენი კვეჟინის მოწინავე მეცნიერები: ვ. მარკოვიცოვი, ვ. ვერნადსკი და სხვები.

ამგვარად, შემეცნების პროცესი არ ემთხვევა მისი შედეგების პრაქტიკული გამოყენების პროცესს. თითოეულ მეცნიერებას აქვს განვითარების შინაგანი ლოგიკა, რომელიც ემორჩილება მატერიალისტური დიალექტიკის კანონებს, ამიტომ ცალკეულ მეცნიერებათა განვითარების შინაგანი ლოგიკის შეუფასებლობა და, მით უმეტეს, იგნორირება არ შეიძლება.

მეცნიერება დღეს მოიცავს საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა ყველა სფეროს. დღეს, ისე როგორც არასდროს, ნათლად ვლინდება კ. მარქსის აზრი მეცნიერების, როგორც საზოგადოების უშუალო საწარმოო ძალის შესახებ. მეცნიერება დღეს საზოგადოებრივი წყობის არა მარტო სასარგებლო და აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, არამედ მისგან განუყოფელი ნაწილიც. მაგრამ აუცილებელია მეცნიერების განვითარების ძირითადი საფეხურების გათვალისწინება, რომლის შესახებაც ვ. ი. ლენინი წერდა: „ცოცხალი განვითარებიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე და მისგან პრაქტიკაზე — ასეთია ტრეშვარისტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“.

ღრმად შეიპრა აღამიანის ცხოვრებაში ქიმიკა. დღეს მის გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრება. ქიმიის დღევანდელი მიღწევებისათვის ერთი საუკუნის წინათაც კი სასწაული შეიძლებოდა გვეწოდებინა. აბა, ვინ დაიჭრებდა,

რომ ხისგან შესაძლებელი იქნებოდა მისი ძაფის დაროვა, ბარდისგან მატყლის, კვამლისგან ჭურჭლის, შავრისაგან ტანსაცმლის, მაწუთისაგან საკვების დამზადება? ამის თქმა მხოლოდ დღე ფანტაზიორს შეეძლო. დღეს კი ჩვენ მოწვეული ვართ იმისა, რომ აღამიანმა ბუნების კვლევისა და მისი კანონების შეცნობის შედეგად შეძლო ამ კანონებით სარგებლობა, რათა შეექმნა ახალი, წინასწარგანსაზღვრული თვისებების მქონე ნივთიერებები. ძნელია სახალხო მეურნეობის ისეთი დარგის დასახელება, რომლის განვითარება დამოკიდებული არ იყოს ქიმიაზე. ქიმიაცია — ეს არის მრავალრიცხოვანი სასუქი და სინთეზური ცემილვანი სუკეები ცხოველებილიათვის, შესამქიმატები და მცენარეთა და ცხოველთა ზრდის სტიმულატორები, შეხანიშვანი საღებავები და სხვადასხვაგვარი წამლები, კარგი ბარისხის ქაღალდი, პლასტმასები, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქიმიის როლი სხვადასხვა მასალების შესაქმნელად თანამედროვე რაკეტული ტექნიკისათვის, რადიოელექტრონიკისათვის, ატომური ენერჯეტიკისათვის...

თანამედროვე ქიმიის უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ სამუშაოებს შორის ძირითადია სამი მიმართულება, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ და დიდ გავლენას ახდენს როგორც ქიმიის, ისე ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის სხვა დარგების განვითარებაზე. პირველ რიგში, ესაა სინთეზურ მასალათა ფართო ასორტიმენტის შექმნა ისეთი ხელმისაწვდომი ბუნებრივი ნედლეულისაგან, როგორცაა ნავთობი, ქვანახშირი, ბუნებრივი გაზი, მცენარეული ნედლეული. ისეთი აბსტრაქტული, ქსოვილები, კაუჩუკები, საამშენებლო მასალები, წინასწარგანსაზღვრული თვისებების მქონე ნივთიერებების და მასალების შექმნა, რომლებიც ბუნებაში არ არსებობენ.

თანამედროვე ქიმიური მეცნიერების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ზესეულთა ნივთიერებათა მიღების მეთოდების დამუშავება, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ტექნიკის ახალი დარგების, განსაკუთრებით, კვანთური ელექტრონიკისა და რადიოელექტრონიკის განვითარებისათვის. ბოლოს, მესამე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებათა, ფარმაცევტული პრეპარატების, მერბოციდელების, მცენარეთა ზრდის რეგულატორების და ა. შ. მიღების მეთოდების დამუშავება და გამოყენება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მედიცინისა და სოფლის მეურნეობისათვის. დღეს ქიმიკა ბიოლოგიასა და სხვა მეცნიერებებთან ერთად უფრო ღრმად წვდება სიცოცხლის საიდუმლოებებს, სწავლობს ბიოსინთეზის რეგულირებას.



თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს ბირთვული ფიზიკა წარმოადგენს, რომელიც საფუძვლად უდევს ატომური ენერჯის პრაქტიკულ გამოყენებას.

კვანტური ელექტრონიკის, ოპტიკის, რადიოფიზიკის, მყარი ტანის ფიზიკისა და დაბალტემპერატურათა ფიზიკის დარგების ფუნდამენტური გამოკვლევების საფუძველზე შეიქმნა ლაზერების ახალი ტიპები, ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავების საშუალებანი, ზემყარო, ნახევარგამტარი, ზეგამტარი და სხვა პროგრესული მასალები.

ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკისა და კიბერნეტიკის მეთოდების გამოყენებით ბიოლოგია ხელ უფრო ღრმად წვდება ბიოლოგიური პროცესებისა და პროცესების არსს, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის მოქმედი თეორიული საფუძველი ხდება. იგი სიცოცხლის საიდუმლოებებში, სასიცოცხლო ინტიმურ მექანიზმებში შეღწევით ხსნის მათი მართვის გზებს ადამიანის საკეთილდღეოდ. მიკრობიოლოგიის მრღვევების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ცილოვანი საკვების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტა, სრულიად ახალ ბიოტექნოლოგიაზე გადასვლა. მოლეკულურმა ბიოლოგიამ, გენეტიკამ, ბიოქიმიამ, ვირუსოლოგიამ მაღალ საფეხურზე აყვანა ბიოლოგიური მეცნიერება.

სამეცნიერო პრობლემების სწორად დაყენება და გადაწყვეტა ბევრად და მოკიდებული ისეთ მომენტებზე, როგორებიცაა მეცნიერული კვლევის ორგანიზაცია, ძალების განაწილება, ხასრების რაციონალური ხარჯვა. ყველაფერი ეს მოითხოვს მეცნიერების განვითარების კანონების ცოდნას, კაპიტალიზმის პირობებში, მისთვის ჩვეული წარმოების ანარქიით, მოგების სურვილით და ცალკეულ ფორმებსა და კორპორაციებს შორის კონკურენტით, მეცნიერების შინაგანი კანონების შესწავლას სათანადო უზრუნველება არ ეთმობა. სხვა მდგომარეობაა სოციალიზმის პირობებში. ჭკ სს. მეცნიერო მუშობის ორგანიზაცია დაგეგმვა და კორდინაცია იქნეს პირველხარისხიანი მნიშვნელოვან, იქმნება მცენერების განვითარების სპეციფიკური კანონების, მეცნიერებისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინაღმდეგობრიობის ღრმა შესწავლის აუცილებლობა. მხოლოდ ამ კანონების მეცნიერული აზროვნების ლოგიკის შეცნობის საფუძველზეა შესაძლებელი მეცნიერული კვლევის სწორი ორგანიზება და ყველა იმ უპირატესობის სრული გამოყენება, რომელიც შექმნილია სოციალისტურ სისტემაში მეცნიერების განვითარებისათვის. მეცნიერული მუშაობის მასშტაბების ზრდასთან დაკავშირებით ხდება მეცნიერების დაყოფა ფუნდამენტურ (შემეცნებით) და გა-

მოყენებით დარგებად. მაგრამ ასეთი დაყოფა ხშირ შემთხვევაში ხელმოკლურად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ძნელია იმ ზღვარის ჩვენება; თუ სად მთავრდება ფუნდამენტური და იწყება გამოყენებითი მეცნიერება. მეცნიერება მისი წარაფის, შეიცნოს და აღმოაჩინოს ბუნების ძირეული საიდუმლოებანი, მისი ინტიმური მდგომარეობა (იგი შემეცნების უხასრული დიალექტიკური პროცესია), ყოველივე ამას კი თავისთავად მოჰყვება პრაქტიკული ხასიათის სამუშაოები. დღევანდელი მეცნიერება ზვალინდელი დღის მრეწველობაა.

დ. ი. მენდელეევის შემოქმედება დაკავშირებულია მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგთან. სიცოცხლის ბოლო წლებში, ანალიზს უკეთებდა რა თავის მოღვაწეობას, იგი აღნიშნავდა, რომ პირველი მისი სამსახური საშობოლოსთვის მეცნიერებაა, მეორე — სახალხო განათლება და მესამე — მრეწველობა. მენდელეევი არა მარტო ასახულებდა მეცნიერებისა და პრაქტიკის შვიდრო კავშირის აუცილებლობას, არამედ თვით იძლეოდა მეცნიერულ მიღწევათა პრაქტიკული გამოყენების მაგალითს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში. მენდელეევემ წამოაყენა იდეა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შვიდრო კავშირისა და ამ უკანასკნელის ეკონომიკის ინდუსტრიულ დარგად გადაცევის შესახებ. მენდელეევის გენიალური იდეები და მისი პირადი წვლილი მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარებაში მეცნიერების გეგმური განვითარების, ჩვენი დროის ინდუსტრიალიზაციის, ქიმიზაციის და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის წინამორბედი. მისი დღეში იყო: „რასაც მეცნიერება დასთესს, ხალხი მოიშის“.

პასტორი არ ყოფდა მეცნიერებას თეორიად და პრაქტიკად, წმინდა და გამოყენებითი მეცნიერებად. ყველა მისი გენიალური თეორიული მიგნება პრაქტიკული ინტერესებიდან გამომდინარეობდა. მეცნიერება უნდა ემსახურებოდეს ხალხს, აუშჯობესხედეს მის არსებობას, — ამ დევიზი, რომელიც წითელ ზოლად გახდევდა ამ დიდ ადამიანის ცხოვრებას.

მეცნიერების განვითარების მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ ყველაზე რევოლუციური ცვლილებანი ტექნიკაში, ტექნოლოგიაში და ეკონომიკაში წარმოიშობა ყველაზე ღრმა ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე.

„პროგრესიტული მნიშვნელობა უნდა მივიანიპოთ ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარებას — აღნიშნავს ამხ. მ. ს. გორბაჩოვი. — სწორედ იგი ასრულებს იდეების ჩვენრატორის

რმაზ გახომიძე
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და გუნდისმეტყველების პროკლიმები.



როლს, კავახს გზას ახალი დარგებისაკენ, იძლევა ეფექტიანობის ახალი დონის მიღწევის საშუალებას... მეტწილად დარგებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მიმდინარეობს დუნედ, არსებითად ევოლუციურად — უპირატესად მოქმედებს ტექნოლოგიების სრულყოფის, მანქანა-მოწყობილობის ნაწილობრივი მოდერნიზაციის გზით... საჭიროა რევოლუციური ძვრები — საჭიროა გადავიდეთ პრინციპულად ახალ ტექნოლოგიურ სისტემებზე, რომლებიც უმაღლეს ეფექტიანობას გვაძლევენ. საქმე არსებითად ეხება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განახლებას¹.

მეცნიერული კვლევის შედეგები აყენებს პრაქტიკულ მოღვაწეობის ახალ პერსპექტივებს და იძლევა ამა თუ იმ პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტის შესაძლო გზებს. მიზნის მისაღწევად მარტო სურვილი არაა საკმარისი. მეცნიერული მიდგომა შეუთავსებელია სუბიექტივიზმთან და ვოლუნტარიზმთან. თვითღირსეულობა უნდა იქონიებოდეს, რომ მოცემულ პირობებში შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა. საჭიროა აგრეთვე მიზნის მისაღწევი სხვადასხვა გზის მეცნიერული ანალიზი და მათგან ყველაზე ეფექტურის ამორჩევა. მხოლოდ ასეთ დიალექტიკურ საფუძველზეა შესაძლებელი მეცნიერების შემდგომი პროგრესი თანამედროვე პირობებში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მეცნიერებას შეასრულოს ძირითადი სოციალური ფუნქცია — იყოს უშუალოდ საწარმოო ძალა.

მეცნიერებისა და ტექნიკის ურთიერთქმედების მექანიზმი თანამედროვე ეპოქაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის წარმატებისათვის მოითხოვს ბუნების ობიექტების, მათი კანონების და თვისებების ყოველმხრივ შესწავლას. თუ მეცნიერული გამოკვლევები მიმართული იქნება მხოლოდ მიმდინარე პრაქტიკულ მოთხოვნილებათა სისაკმაყოფილებლად, მაშინ ეს შეაფერხებს არა მარტო პერსპექტულ (სტრატეგიულ) მიმართულებათა განვითარებას, რომლებზეც დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხვალისდელი განვითარება, არამედ ყველდღიურ ამოცანათა ოპტიმალურ გადაწყვეტას.

საქართველოს კვ. ც. VI პლენუმზე სამართლიანად აღინიშნა: „ჩვენ ვხელმძღვანელობდით და ვხელმძღვანელობთ იმით, რომ არა არის რა იმაზე უფრო პრაქტიკული, ვიდრე კარგი თეორია, და მთლიანად ვუჭერთ მხარს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ფუნდამენტური გამოკვლევების ინტენსიური, უპირატესი ღანვითარების კურსს“... საქართველო აგრარული ქვეყანაა და პირველ რიგში ყურადღების ცენტრში უნდა დადგეს ყველა იმ მეცნიერული

საკითხის გადაწყვეტა, რაც წინ წაწევა ტექნოლოგიის სოფლის მეურნეობას. ქართული ქიმიის კლასიკოსებმა პ. მელიქიშვილმა და ვ. პეტრიაშვილმა ოდენიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ რადიკალურად შეცვალეს თავიანთი მეცნიერული კვლევის პროფილი (ზოგიერთ საკითხში პრიორიტეტიც კი დაუთმეს სხვებს) და ხელი მოვიდეს საქართველოს სურსათ-სანოვაგის შესწავლას. ცნობილია რუსმა ქიმიკოსმა ა. ორბევმა თავის დროს სწორი ორიენტაცია მისცა ქიმიის განვითარებას უზბეკეთში, გაითვალისწინა რა მისი ბუნებრივი რესურსების სპეციფიკა, საფუძველი ჩაუყარა ბუნებრივ ნაერთთა ქიმიას. დღეს ტაშკენტის სკოლა ამ მიმართულებით მსოფლიოშია ცნობილი. შეიძლება სხვა ბევრი მაგალითის მოყვანაც.

მეცნიერებასა და ტექნიკის შორის ურთიერთმიმართების საკითხი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში არ შეიძლება მექანიკურად აიხსნას ამ ერთიანი პროცესის ამა თუ იმ კომპონენტის ხარჯზე. თუ ფუნდამენტურ გამოკვლევთა შეუფასებლობას შეუძლია ზიანი მიაყენოს წარმოების წრელსა და სრულყოფის ტემპების დაჩქარებას, ყოველდღიურ პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტას, ამ უკანასკნელთა უგულვებელყოფა ორმაგად დაღუბებულია, რადგან იგი ზიანს აყენებს არა მარტო ეკონომიკის განვითარებას, არამედ თვით მეცნიერებასაც. მეცნიერულ-ტექნიკურ შეჭიბრებაში წინ არიან ის ქვეყნები, სადაც მეცნიერების განვითარების და მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სამსახურის მაღალ ფონზე მოგვარებულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენება წარმოებაში.

უატის ორთქლის მანქანა შეიქმნა იმ პრინციპების საფუძველზე, რომელიც გამოყენებული იყო ჭირ კიდევ ბერძენი მეცნიერის ჰერონის ორთქლის ქვანახშირში. ამ შემთხვევაში მეცნიერული აღმოჩენის ტექნიკურ გამოყენებას დასჭირდა ორი ათასი წელი. ჩვენს დროში საზოგადოებას არ შეუძლია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ელოდოს მეცნიერული კვლევების შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას. მეცნიერების პროგრესთან ერთად სულ უფრო მწვევა დგას ჩატარებული გამოკვლევების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერების დაგვიგნის, მართვისა და ორგანიზაციული ფორმების ეფექტურობის ამაღლების საკითხი.

მეცნიერული გამოკვლევების ეფექტურობის ამაღლება და პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევათა გამოყენების დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი პირობაა. საბჭოთა მეცნიერების გრძელვადიანი დაგეგმვა უნდა წარმოებდეს ფუნდამენტურ კვლევათა ტენდენციის გათვალისწინების საფუძველზე.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პი-

რობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა. ენიჭება მეცნიერების ფილოსოფიური პრინციპების დამუშავებას; ყველა კრიტიკულ ეპოქაში ბუნებისმეტყველება წარმოადგენდა მსოფლმხედველობების შორის გააფრთხილებელ ბრძოლის არენას. ბუნებისმეტყველების განვითარება ხორციელდებოდა ფილოსოფიური მოძღვრების ჩარჩოებში. მეცნიერული შემეცნების პროცესზე ძლიერი გავლენა მოახდინა ბრძოლამ დემოკრატებსა და პლატონის ფილოსოფიურ იდეებს შორის, რომელიც განდევნა ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნის განვითარების მთელ ისტორიას. როცა გახული საუკუნის მერვე ნახევრის საბუნებისმეტყველო მეცნიერების მნიშვნელოვან მიღწევებს მოჰყვა დამკვიდრებული თეორიებისა და შეხედულებების უპრყოფა, ახალი მეცნიერული აღმოჩენების შედეგად შეირა ტრადიციული შეხედულებები აბსოლუტური სივრცისა და დროის შესახებ, ბევრმა ბუნებისმეტყველმა ვერ შეძლო ასოციურ შეზღუდული შექანისტური მატერიალიზმიდან დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და მცდარ იდეალისტურ პოზიციებზე იწყო დაშვება, აუცილებელი გახდა თეორიული ბუნებისმეტყველების გათავისუფლება ბურჟუაზიული იდეოლოგიისაგან და მჭიდრო კავშირის დამყარება დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიასთან. ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვ. ი. ლენინს. მეცნიერებაში ლენინური მეთოდოლოგია მოითხოვს ამა თუ იმ მოვლენის არა მარტო ამომწურავ და ყოვლისმომცველ დასახულებას, არამედ ბუნებისმეტყველების ფაქტების ღრმა ანალიზს. ფილოსოფიური შეხედულებები გავლენას ახდენენ მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიაზე და შედეგებზე, შეუძლიათ დაჩქარონ ან შეაფრხონ ბუნებისმეტყველების განვითარება. ასე, მთლიანად, ძველ მატერიალიზმთან აბსოლუტური შეხედულებების ხელს უწყობდა ბუნებისმეტყველების განვითარებას, ხოლო მახინჯი შეხედულებები ატომთა ფიქტიურობასა და პირობითობაზე, მათი რეალურად არსებობის უარყოფა, ოსტაქლის ენერგეტიკული გამოწვევები აფერხებდნენ ფიზიკის განვითარებას.

თანამედროვე მეცნიერების წინაწინააღმდეგეთვისება სხვადასხვა მიმართულებათა ურთიერთშეჭრა, ე. ი. დიფერენციალური ერთად შეინიშნება საპირისპირო პროცესად — ინტეგრაცია. მეცნიერებათა ურთიერთშეჭრა ცოდნის განვითარების პროცესში ხელ უფრო ნათლად და ღრმად ასახავს მატერიალური სამყაროს ობიექტურ ერთიანობას, ბუნების ყველა მოვლენის ერთიან კანონზომიერებას. ამ კანონზომიერების შეცნობა, შემეცნების მეცნიერული მეთოდის დაუფლება დამოკიდებულია მსოფლმხედველობაზე რომლის საფუძველს

მარქსისტული ფილოსოფია წარმოადგენს. სწორედ ამ კანონზომიერებათა გარკვევაში, შემეცნებას და მომავალ სპეციალისტთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრების როლი. სალექციო კურსებიდან სტუდენტებმა ნათლად უნდა დაინახონ (მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხებთან ერთად, როგორცია თანამედროვე მეცნიერული აბსტრაქცია, ცდის მონაცემების დამუშავების ლოგიკური მეთოდები, საგანთა შორის ურთიერთმიმართება და სხვ) ის ყოველმხრივი გავლენა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ახდენს საზოგადოების განვითარებაზე და მასში აღამაინის ადგილზე.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას მეცნიერებისა და საზოგადოებრივი მორალის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. ერთი შეხედვით, თითქმის მარტივი საკითხია. მეცნიერება აბსოლუტურად ობიექტური საქმეა და, როგორც ასეთი, მიუკერძოებელია, მაგრამ რადგანაც მეცნიერებას ქმნიან ადამიანები, რომელთაც სხვადასხვა მორალური თვისებები აქვთ, ამიტომ არ შეგვიძლია მეცნიერის მოღვაწეობის წინააღმდეგ ასპექტის უგულოდმყოფა. მეცნიერებას არ შეუძლია არ ემსახუროს საზოგადოებას და არ იყოს მასზე დამოკიდებული. მეცნიერთა სურვილის მიუხედავად, მეცნიერება წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ სფეროს. შეიძლება თუ არა ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევები ჩაითვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლოდ? უნდა იფიქროს თუ არა მეცნიერმა თავისი გამოკვლევების შესაძლო შედეგებზე? აი ის კითხვები, რაც დღეს აღელვებთ მეცნიერებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი თავიანთი წარმოშობის დღიდანვე მჭიდროდ არის შერწყმული ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, მატერიალურ წარმოებასთან, კაცობრიობის ყოველდღიურ მოთხოვნილებებთან და გარემომცველ სამყაროს შესახებ ადამიანის შეხედულებებთან. ხალხში ოდითგანვე ცოცხლობს იმის მიხედვით რწმენა, რომ ცოდნასა და სიკეთეს შორის უნდა არსებობდეს განუყოფელი კავშირი. ამ ურჩვეულობის მხატვრული ასახვა პოეზია შეხანიშნავ მითში პრომეთეზე, ამირანზე.

ჩვენს საუკუნეში მეცნიერება უკვე აღარ არის „პირადი საქმე“. იგი გადადის უშუალოდ ტექნიკაში, წარმოებაში. ცვლის ადამიანთა ყოველდღიურ ყოფას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი შეგნების იერარქიაში.

მეცნიერული კვლევის ეტიკამ მწვავედ და-

აუენა ბევრი საკითხი. პირველი წარმოიშვა იაპონიის ქალაქებში ამერიკული ატომური ყუმბარების აუთორიტეტის შემდეგ; მეორეა ეკოლოგიური მოძრაობა, რომელიც წარმოიშვა 60-იან წლებში; 70-იანი წლებიდან ფართო რეზონანსი ჰქონდა ბიოსამედიცინო და გენეტიკური გამოკვლევების შედეგებმა და პერსპექტივებმა.

პროგრესული მეცნიერები ყოველთვის მტკიცედ და გადაჭრით იცავდნენ მეცნიერების ჰუმანურ საფუძვლებსა და პრინციპებს. მოთხოვდნენ, რომ მეცნიერება მოღვაწეობას ჰქონოდა ერთადერთი მიზანი: სარგებლობა მოეტანა ცხოვრებასა და პრაქტიკაში.

ექსპლუატატორული კლასები ყოველთვის წაუღივებდნენ ტრეშმარიტების შესაცნობად მეცნიერულ აღტიკნებას, მის ჰუმანურ მისწრაფებებს. კაპიტალიზმს მეცნიერული კვლევის შედეგები აინტერესებს ექსპლუატაციის გასაძლიერებლად, თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად, სოციალიზმის ბანაკის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმპერიალისტური რეაქცია მიისწრაფვის გაანადგურებს მეცნიერების ჰუმანურ ტრადიციები, მიმართოს მეცნიერთა მიღწევები თავისი პოლიტიკური და საომარი მიზნებისაკენ. ამ პროცესში მიგვიყვანა საშოშ შედეგამდე. მსოფლიოს თავზე ჩამოწვა ადამიანთა მასობრივი განადგურების იარაღის — ატომური და თერმობატომული იარაღის გამოყენების საშიშროება. კაპიტალისტური ქვეყნების გასაიდუმლოებულ ცენტრებსა და ლაბორატორიებში ენტომოლოგები მონღოლებით შრომობენ ისეთი მწერების გამოსაყვანად, რომლებიც ადამიანებს გადაცემენ ავადმყოფობას და მდგრადი იქნებიან ინსექტიციდების მიმართ. ქიმიის მიღწევებს ბურჟუაზია იყენებს საომარ მომწამვლელ ნივთიერებათა სინთეზისათვის, კოლოიდური ქიმიის სპეციალისტები ამუშავებენ მდგრადი აეროზოლების შექმნის საგანგებო სერხებს ბაქტერიებისა და ტოქსინებისაგან (მაგალითად, ბოტულიზმი, რომლის შ კილოგრაში საკმარისია, რომ გაწვევით მთელი კაცობრიობა). ცნობილია, ნარკოტიკი — ლიზერგინის მგავის დიეთილამიდი, რომელიც 1938 წ. ქავის სოკოსაგან მიიღო შევტარიელმა ქიმიკოსმა ალბერტ ბოლენიმ. ამ ნარკოტიკის 100 გრამი მილიონ ადამიანს აავადებს ფსიქიკურად.

ჟ. სვიფტის ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „ის, ვინც შეძლებს მოიყვანოს ორი თავთავი და ორი ბალახი ღერო იქ, სადაც მანამდე ხარობდა მხოლოდ ერთი თავთავი და ერთი ბალახის ღერო, კაცობრიობის მადლობას

დამისახურებს“. ბურჟუა სპეციალისტები კი, რომლებიც ქმნიან კულტურული მცენარეების ტოტალური განადგურების საშუალებებს, კაცობრიობის წუევლას იმსახურებენ. ბაროსმა და ნავასაიკი, გაზის კამერები, რანისში, თერმობატომული საფრთხე, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, მეტეოროლოგიური ომები — აი რა მოიტანა მეცნიერების არასწორმა, ანტიჰუმანურმა გამოყენებამ.

იმპერიალიზმი მეცნიერებას გარდაქმნის ცოდნის ლამპარადან დაშინებისა და დაღუპვის წყაროდ, ბუნებასთან ბრძოლის საშუალებიდან საშოშ კაპიტალად, რომელიც ემუქრება კაცობრიობას. ამიტომ, სწორად აღნიშნა ფრანკმა აკადემიკოსმა მარლიომ — კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერს ეშინია თავისი საკუთარი წარმატების. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ 1954 წელს ამერიკელი ფიზიკოსი ოპენჰეიმერი, რომელიც უარს განაცხადა შექმნა წყალბადის ყუმბარა, ბრალდებულად აღიარეს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულმა წრეებმა.

ბუნებისმეტყველების უკანასკნელ მიღწევას წარმოადგენს მეტეოდრობითი ინფორმაციის მატარებლის — გენის სინთეზის მეთოდის აღმუშავება, რომელსაც უდიდესი მეცნიერული და ნატურფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს. ამ აღმოჩენით ახალი პერსპექტივა იხილება მეტეოდრობით თანდაყოლილ ავადმყოფობათა და ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობაში, მაგრამ იმპერიალისტები ცდილობენ ამ მიღწევის ანტიადამიანური მიზნით გამოყენებას. ეს თუ ასეა, ეთიკურია და თუ არა, მეცნიერმა იმუშაოს პრობლემებზე, რომლის შედეგების განჭვრეტაც მას არ შეუძლია? ამის პასუხად გვახსენდება ფ. ეოლიო-კირის სიტყვები: „მეცნიერებმა იციან, რა სარგებლობა მოუტანა მეცნიერებმა კაცობრიობას, მათ არ სურთ, რომ ოდენმე წარმოთქვან ასეთი სიტყვები: „მეცნიერებმა ჩვენ დაგვტოვა ატომისა და წყალბადის ყუმბარებით“. საზღვარგარეთის პროგრესულმა მეცნიერებმა იციან, რომ მეცნიერება არ შეიძლება დამანაშავე იყოს, დამანაშავენი არიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ცუდად იყენებენ მის მიღწევებს.

მეცნიერთა ჰუმანიზმი ქმედითი ძალაა თანამედროვეობისა. მისი ძირითადი შინაარსია ბრძოლა მშვიდობის შესანარჩუნებლად და მის განსამტკიცებლად, ბრძოლა მეცნიერული მიღწევების საომარი მიზნებით გამოყენების წინააღმდეგ, მეცნიერების მიღწევების გამოყენება ადამიანის საკეთილდღეოდ.



დ ი ა დ ი თ ა რ ი ლ ი

მიხეილ ჯინჭველაშვილი

ლენინი და პირველი რევოლუცია რუსეთში

1905-1907 წლების რევოლუცია მრავალი წლის მანძილზე მწიფდებოდა, ამის საფუძველს იძლეოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მთელი მსვლელობა. რევოლუციის გარდუვალობას უკვე შეიცავდა პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის — 1861 წელს გლებთა უბაღაღებელი „განთავისუფლების“ ბატონყმური ხასიათი და მის შედეგად წარმოშობილი სოციალურ-ეკონომიკური ანტაგონიზმები. 1861 წელმა, წერდა ვ. ი. ლენინი, შვა 1905 წელი. საქმე ის იყო, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალიზმი, ყალიბდებოდა და ირავებოდა მუშათა კლასი, მტკიცდებოდა მისი კლასობრივი თვითშეგნება. ამასთანავე რუსეთი კვლავ რჩებოდა ისეთ ქვეყნად, სადაც ძლიერი იყო ფეოდალურ-ბატონყმური გაღმონათობი. ქვეყნის მაღალგანვითარებული კაპიტალიზმი გადაწასკვლი იყო ბატონყმობის გაღმონათობთან ეკონომიკასა და პოლიტიკურ წყობილებაში. აი, ასეთი თავისებურებით ხასიათდებოდა იმპერიალიზმი რუსეთში, რომელსაც იგი დაადგა XX საუკუნის დამდეგი. ამდენად, რუსეთი გახდა იმპერიალიზმის მთელი სისტემის წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი, მისი ყველაზე სუსტი რგოლი. მსოფლიო რევოლუციის მოძრაობის ცენტრმა აქ გადმოინაცვლა და უოველივე ეს განსაზღვრული იყო რუსეთის განვითარების ისტორიული პირობებით, მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. ყველაზე ჩამორჩენილი მიწათმფლობელობა, ყველაზე გავლენიერებული სოფელი — ყველაზე მოწინავე სამრეწველო და ფინანსური კაპიტალიზმი — ასე ახასიათებდა მაშინდელ რუსეთს ვ. ი. ლენინი. 80 ათასამდე შემამულე მეფის ოჯახის მეთაურობით მიწების იმდენივე რაოდენობას ფლობდა, რასაც 10,5 მილიონი გლეხი. ერთი მუშა შემამულეები დაკავშირებული იყვნენ უმსხვილეს ფინანსურ-სამრეწველო მაგნატებთან. მუშები და გლეხები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ უოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს, ცარიზმის პოლიციურ-ბიუროკრატიული მანქანის ჩაგვრას განიცდიდნენ. უკიდურესად მძიმე იყო არარუსი ეროვნების მშრომელთა მდგომარეობა, მათ მიმართ ტარდებოდა ძალდატანებითი გარუხების, უხეში ჩაგვრის, ეროვნული კულტურის დათრგუნვის პოლიტიკა.

რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების და ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესები დაბეჭითებით მოითხოვდა, უწინარეს ყოვლისა, შემამულეთა ბატონობისა და მეფის მონარქიის მოსპობას. ამ ისტორიული ამოცანების გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახალხო რევოლუციის გზით. 900-იანი წლების დასაწყისში რუსეთში სწრაფად მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია. რევოლუციის მოახლოებას მკვეთრად შეუწყო ხელი 1900-1908 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც მოიცვა აგრეთვე მეფის რუსეთიც. ჩვენი ქვეყნის ხალხს ახალი უბედურება დაატება თავს რუსეთ-იაპონიის ომმა, რომელიც 1904 წელს იანვარში დაიწყო. ამ ომმა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა წინააღმდეგობა გაამწვავა და რევოლუციური ამბები დააჩქარა. ომი ის უკანასკნელი წვეთი იყო, აღნიშნავდა ლენინი, რომელმაც ხალხის მოთმინების ფიალა აავსო და ქვეყანაში რევოლუციური კრიზისი მომწიფდა. 1908-1904 წლების ქვეყანაში იმართებოდა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლის ავანგარდში იყო პროლეტარიატი და რომელსაც ჰყავდა საკუთარი რევოლუციური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით. 1904 წლის დეკემბერში მძლავრი გაფიცვა მოაწყო ბაქოს პროლეტარიატმა, რომელსაც ბოლშევიკური კომიტეტი ხელმძღვანელობდა. გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა. ამან სოლიდა-

რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების და ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესები დაბეჭითებით მოითხოვდა, უწინარეს ყოვლისა, შემამულეთა ბატონობისა და მეფის მონარქიის მოსპობას. ამ ისტორიული ამოცანების გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახალხო რევოლუციის გზით. 900-იანი წლების დასაწყისში რუსეთში სწრაფად მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია. რევოლუციის მოახლოებას მკვეთრად შეუწყო ხელი 1900-1908 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც მოიცვა აგრეთვე მეფის რუსეთიც. ჩვენი ქვეყნის ხალხს ახალი უბედურება დაატება თავს რუსეთ-იაპონიის ომმა, რომელიც 1904 წელს იანვარში დაიწყო. ამ ომმა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა წინააღმდეგობა გაამწვავა და რევოლუციური ამბები დააჩქარა. ომი ის უკანასკნელი წვეთი იყო, აღნიშნავდა ლენინი, რომელმაც ხალხის მოთმინების ფიალა აავსო და ქვეყანაში რევოლუციური კრიზისი მომწიფდა. 1908-1904 წლების ქვეყანაში იმართებოდა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლის ავანგარდში იყო პროლეტარიატი და რომელსაც ჰყავდა საკუთარი რევოლუციური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით. 1904 წლის დეკემბერში მძლავრი გაფიცვა მოაწყო ბაქოს პროლეტარიატმა, რომელსაც ბოლშევიკური კომიტეტი ხელმძღვანელობდა. გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა. ამან სოლიდა-

რობის გაფიცვები გამოიწვია ქვეუნი ბეგრ ქალაქში. მუშათა კლასის საგაფიცო ბრძოლის აღმავლობა რევოლუციის მოახლოების მომანიჭებელი გახდა. 1905 წლის დამდეგოდან დაიწყო რევოლუციის მძლავრი აღმავლობა. რევოლუციამ ყველა კლასი ამოძრავა. პროლეტარიატმა ეკონომიკური გაფიცვებიდან გადასვლა იწყო მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე. ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა გლეხთა მოძრაობა, აჯანყებები ხდებოდა მეფის არმიის ცალკეულ ნაწილებშიც, გაჩაღდა სტუდენტთა მოძრაობა. „ქარისშალი, მალე დაიგრავინებს ქარისშალი“ — ასეთი წინასწარმეტყველებით სიტყვებით გამოხატა მაქსიმ გორკიმ ლექსში („სიმღერა ქარიშხალზე“) რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილის განწყობილება პირველივე რევოლუციის წინ. 1905 წლის რევოლუციის პირველი დღის — 9 იანვრის „სახსილიანმა კვირამ“ მთელი რუსეთი შეძრა. იმ დღეს პეტერბურგის 150 ათასი მუშა, რომელთა შორის ბევრი ქალი და ბავშვი იყო, ხატებითა და საცლესო დროშებით ხელში გაემართა ზამთრის სასახლისაკენ, რათა მეფისათვის თავისი პეტიცია გადაეცა.

„...ჩვენ ბედურლნი, შეგინებული მონები, — ნათქვამი იყო პეტიციაში, — ჩვენ დათრგუნული ვართ დესპოტიზმითა და თვითნებობით... ჩვენ აქ მყოფთ, მრავალ ათასს, ისევე როგორც მთელ რუს ხალხს, არ გავაჩნია არავითარი ადამიანური უფლებები... ხელმწიფეო, ნუ ეტყვიეთ უარს დახმარებაზე შენს ხალხს დაანგრე შენსა და შენს ხალხს შორის აღმართული კედელი ბრძანე და შემოგვციტე, რომ შესრულდება ჩვენი თხოვნა და შენ რუსეთს გახდი ბედნიერი, თუ არა, მაშინ მზად ვართ აქვე დავიხოცოთ, ჩვენ მხოლოდ ორი გზა გვაქვს თავისუფლება და ბედნიერება, ან სამაგი“. მეფემ მშვიდობიანი დემონსტრაციის უწყალო დახვრტა ბრძანა. 1000-ზე მეტი მოკლული და ათასამდე დაჭრილი — ასეთი იყო მეფის „წყალობის“ შედეგი. მეფისადმი გულუბრყვილო რწმენა ფერფლივით გაიფანტა. თვით ყველაზე ჩამორჩენილმა ადამიანებმაც კი შეიგნეს: თავისუფლება მხოლოდ მედგარი ბრძოლით მოიპოვება. მთელს ქვეყანას გადაუარა მრისხანე მოწოდებამ — „ძირს თვითმპყრობელობა“. ასე ჩაება რუსეთი რევოლუციაში, რომელიც თითქმის ორწელიწადნახევარი გრძელდებოდა. მისების რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმის მთავარ საშუალებად იქცა მასობრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური გაფიცვები. 1905 წელს სამი თვის მანძილზე პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობდა 810 ათასზე მეტი, მთელი წლის მანძილზე კი — დაახლოებით სამ მილიონზე მეტი მუშა. საგაფიცო მოძრაობა სწრაფად ვრცელდებოდა მთელ რუსეთში. საპირველმისო

პოლიტიკური გაფიცვები თითქმის 200 ქალაქში გაიმართა. განსაკუთრებით შეუპოვარი და ორგანიზებული იყო გაფიცვები დიდ სამრეწველო ცენტრებში — პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, ლოძში, რიგაში, ბაქოში, კიევში, თბილისში, ყაზანში, ტულაში, ტომსკსა და სხვა ქალაქებში, რომელთა მონაწილეებმა არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის ისტორიაში.

პროლეტარიატის ბრძოლა გამარეკოლუციონერებულ ვავლენას ახდენდა გლეხობაზე, არმაზე. ერთი წლის განმავლობაში მოხდა 3 200-ზე მეტი გლეხთა გამოსვლა; 1905-1906 წლებში არმიასა და ფლოტში მოხდა 435-ზე მეტი გამოსვლა, მათ შორის — 106 შეიარაღებული. იწყებოდა თვითმპყრობელობის შეიარაღებული დასაურდენი.

პროლეტარიატის საგაფიცო ბრძოლის წერტილს წარმოადგენდა 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. მისი ლოზუნგი იყო „ძირს თვითმპყრობელობა“, გაუმარჯოს საყოველთაო სახალხო აჯანყებას! მოსკოვის ოქტომბრის გაფიცვა მთელი ქვეუნი პროლეტარიატის მძლავრ პოლიტიკურ გამოსვლად გადაიქცა, გაფიცულთა რიცხვმა ორ მილიონს გადააჭარბა. სრულიად რუსეთის ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ მთელი დამაჩრებლობით დაგვანა ბოლშევიკების პარტიის კავშირი ხალხს მასებთან და ბოლშევიკური ლოზუნგების ცხოველურარიანობა. ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ უშუალოდ მიიყვანა მუშათა კლასი ბრძოლის უმაღლეს ფორმამდე — შეიარაღებულ აჯანყებამდე. რევოლუციის მწერვალი, როგორც ლენინი აღნიშნავდა, იყო მოსკოვის დეკემბრის (1905 წელი) შეიარაღებული აჯანყება. მოსკოვის პროლეტარიატმა პირველმა აღმართა შეიარაღებული აჯანყების დროსა ცარიზმის წინააღმდეგ. მოსკოვის ქუჩებში გაიმართა მუშათა გამირული შეიარაღებული ბრძოლა მეფის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. მსოფლიო ისტორიაში პირველად იქნა მიღწეული რევოლუციური ბრძოლის განვითარების ისეთი სიმამლე და ძალა, როდესაც შეიარაღებული აჯანყება მასობრივ გაფიცვასთან შეერტეული სახით ტარდებოდა. მოსკოვის შემდეგ შეიარაღებული აჯანყება მოხდა ქვეუნი მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

რუსეთის მუშათა კლასის გამოსვლების გავლენით რევოლუციის ძალები ამოძრავდა ვანაპირ მხარეებში. მათ შორის საქართველოშიც. 1905 წლის 18 იანვარს თბილისში დაიწყო მუშათა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. პირველნი გამოვიდნენ რკინიგზის სახელოსნოების მუშები, ხოლო 19 და 20 იანვარს გაფიცვა ქალაქის ყველა საწარმოს მოედო. 23 იანვარს თბილისში გოლოვინის (ამეამად



რუსთაველის) პროსპექტზე გაიმართა ხალხ-მრავალი დემონსტრაცია ლოზუნგით: „ძირს თვითმპყრობელობა“, რომელიც პოლიციასთან სისხლისმღვრელი შეტაკებით დამთავრდა. 17 იანვარს დაიწყო და მწმდე გრძელდებოდა გაფიცვები ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში. მუშათა რევოლუციური მოძრაობის უშუალო ზეგავლენით დაიწყო გლეხთა გამოსვლებიც. საქართველოს ბოლშევიკები, განუხრებლად ახორციელებდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებს. ენერგიულად იბრძოდნენ იმისათვის, რომ მშრომელთა საყოველთაო გაფიცვები თავისი განვითარების პროცესში გადაზრდილიყო ძლიერად მოხილ შეიარაღებულ აჯანყებად. მაგრამ მუშათა და გლეხთა აჯანყებანი საქართველოში ცარილშემა არადადამიანური სისხსტიკით ჩაახშო. ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა კავკასიის ხალხის ბრძოლას ცარილშის წინააღმდეგ. იგი კავკასიას აკუთვნებდა ისეთ მოწინავე მხარეთა რიცხვს, „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ბრძოლის ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლად გამოხატული.“

1905-1907 წლების რევოლუცია ჰემშარიტად სახალხო რევოლუცია იყო, რადგან მისი მსვლელობისას მშრომელთა ყველაზე ფართო მასები გამოდგომდნენ თავიანთი მოთხოვნებით, ქმნიდნენ საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, აქტიურად ებრძოდნენ მეფის ხელისუფლებას. ამასთან ბოლშევიკების პარტიას რევოლუციის პირველი დღეებიდანვე კურსი ჰქონდათ აღებული ყველა მემარცხენე, დემოკრატიული ძალების მოქმედების ერთიანობისაკენ, მუშათა, გლეხთა, ჭარისკაცებისა და მატროხების, მოწინავე ინტელიგენციის, დამონებული ხალხის ბრძოლის შეერთებისაკენ. ბოლშევიკების ამგვარმა ტაქტიკამ, რომელსაც ამჟამად წარმატებით იყენებენ მთელი მსოფლიო — კომუნისტები, მიიღო სახელწოდება „მემარცხენეთა“ ბლოკი.

ხელმძღვანელობდა რა რევოლუციურ ბრძოლას, ბოლშევიკების პარტია უყრდნობოდა ვ. ი. ლენინის იმ მითითებას, რომ ცარილშის დამხობა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც მიუძღვის ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა მასებს. რევოლუციის სწრაფი აღმავლობის პერიოდში მუშათა რევოლუციური შემოქმედების შედეგად წარმოიშვა ისტორიაში მანამდე არნახული მშრომელთა მასობრივი, პოლიტიკური ორგანიზაციები — მუშათა დეპუტატების, ხოლო მათ შემდეგ გლეხთა და ჭარისკაცთა დეპუტატების

საბჭოები. მაშინ სულ 55 საბჭო შეიქმნა მელთაგან 44 საბჭოს ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ ან მათ გავლენის ქვეშ იყვნენ, 10-ს ხელმძღვანელობდნენ მენშევიკები, ხოლო ერთს — ესერები. ბოლშევიკების მეთაურობით საბჭოები შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და განხორციელების მებრძოლ შტაბებად იქცნენ; მენშევიკები კი საბჭოებს უყურებდნენ, როგორც საფიცოცო კომიტეტებს. აღმოცენდნენ რა, როგორც საფიცოცო ორგანოები, საბჭოები შემდეგ რევოლუციური ხელისუფლების, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოებად იქცნენ. ვ. ი. ლენინმა შორსმჭვრეტელურად აღინახა მათში საბჭოთა ხელისუფლების პირველი სახე, პროლეტარიატის დიქტატურის კლასობრივი ფორმა. ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „ჩვენი ამოცანები და მუშათა დეპუტატების საბჭო (წერილი რედაქციას)“, რომელიც 1905 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში დაწერა, თეორიულად დამუშავა საბჭოების საკითხი. მან, გულდახმით შეისწავლა და ანალიზი გაუკეთა მუშათა დეპუტატების საბჭოების მოღვაწეობას, მათს ყოველდღიურ საქმიანობას, პერსპექტივას და გაკეთა სწორი დასკვნები: მუშათა დეპუტატების საბჭოებს, აღნიშნავდა დიდი ბედადი, პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა ვუყურებდეთ, როგორც დროებითი რევოლუციური მთავრობის ჩანასახს, როგორც შეიარაღებული აჯანყების ორგანოს, ახალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს.

ისტორიამ ცხადყო დიდი ლენინის ამ დასკვნების ჰემშარიტება. 1917 წლის დიღმა ოქტომბერმა, სსრ კავშირის ისტორიულმა გამოცდილებამ მთლიანად და საგნებით დაადასტურეს საბჭოების შესახებ ლენინური მომდგრების ცხოველმყოფელი ძალა. 1905 წლის საბჭოები, რომლებიც მუშათა კლასის უდიდეს ისტორიულ მონაპოვარს წარმოადგენდნენ, 1917 წელს საბჭოთა ხელისუფლების პირველ სახედ იქცნენ, ხოლო დღეს ისინი ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენენ ხელისუფლების ყველაზე მასობრივ, ჰემშარიტად სახალხო ორგანოებს, რომლებიც ნამდვილი დემოკრატიის გამომხატველი არიან.

1905-1907 წლების რევოლუციამ აამოძრავა რუსეთის არა მარტო ყველა კლასი, არამედ მათი პარტიები, რუსეთის სახალხო რევოლუცია ბოლშევიკური პარტიისაგან მოიხიზვდა მასების რევოლუციური მოძრაობისადმი სწორ და მტკიცე პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, სოციალ-დემოკრატიის ერთიანი მარქსისტული ტაქტიკის შემუშავებას. მაგრამ იმ დროს მენშევიკთა ოპორტუნისტული და დეზორგანიზა-



ტორული მოქმედების შედეგად რსდმპ გათი-
შული იყო ორ ფრაქციად: ბოლშევიკებად და
მენშევიკებად. პარტია განიცდიდა ღრმა კრი-
ზისს, რომლის საფუძველს, როგორც ვ. ი.
ლენინი აღნიშნავდა, შეადგენდა ის, რომ —
„II ურილობის უმცირესობას დღინებით არ
სურდა დამორჩალებოდა მის უმრავლესობას“.
მენშევიკებმა თავიანთ უთანხმოებას პარტიის
ლენინურ უმრავლესობასთან ორგანიზაციულ
საკითხში დაუმატეს ახალი უთანხმოება ტაქ-
ტიკის საკითხებში. ამრიგად, სოციალ-დემოკ-
რატიის ერთიანი ტაქტიკა არ არსებობდა.

რსდმპ პარტიაში შექმნილი მდგომარეობიდან
გამოსავლად ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები —
პარტიის III ურილობის მოწვევაში ხედავდ-
ნენ; ურილობას ბოლო უნდა მოეღო მენშევი-
კების ოპორტუნისტისათვის ტაქტიკურ საკით-
ხებში და გამოემუშავებინა პარტიის ერთიანი
ტაქტიკა დაწყებულ რევოლუციაში. რსდმპ
III ურილობა, რომელმაც ძირითადად განი-
ხილა ტაქტიკური საკითხები, გაიმართა 1905
წლის აპრილში ლონდონში. ურილობაზე მოი-
ხმინეს ვ. ი. ლენინის მოხსენებები. ურილობამ
განსაზღვრა პროლეტარიატის, როგორც რევო-
ლუციის ბელადის ამოცანები და დასახა პარ-
ტიის სტრატეგიული გეგმა და ტაქტიკური ხა-
ზი რევოლუციის პირველ ეტაპზე.

III ურილობის გადაწყვეტილებები რუსეთ-
ში პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობა-
მ მიიღო როგორც დემოკრატიული რევოლუ-
ციის გამარჯვების საბრძოლო პროგრამა.

გეოლუგიკურ ტაქტიკას საფუძვლად და-
ედო ვ. ი. ლენინის მძაღვრება რუსეთის
პირველი რემოლუციის თავისებურებებშია
და ხასიათის უახსახა, რომელსა სრული
დასაბუთება შემდგომი მან შემგვც
თავის წინაში „სოციალ-დემოკრატიის
ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რემო-
ლუციაში“. რომელიც 1905 წლის
ივლისში გამოვიდა. ვ. ი. ლენინმა
ამ ნაშრომში მარქსიზმის ისტორიაში პი-
რველად დააბუთა იმპერიალიზმის ეკ-
ონომიკური რუსეთის სახალხო რემო-
ლუციის თავისებურება, მინი მამოძრა-
ვებამდე კლავისა და პერსპექტივების სე-
მიტიზმი, გააკვირა უდიარაღვალეი აჯა-
ნებების მინოვნელოზა თვითმპროკალო-
ბის დაგონებისა და დემოკრატიული რეს-
პუბლიკის დაბარების საძმეში და უნიფ-
ორმავა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რე-
ვოლუციის სოციალისტურ რემოლუციად
გადაზღვის თეორია; მან პრიტიკის ძარ-
ცისელონი გაატარა მინოვნელობის ოპორტუ-
ნისტული დეზულეობაი პარტიის თეორიის,
სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე რე-
ვოლუციაში.

ვ. ი. ლენინის განმარტებით რუსეთის პირ-
ველი რევოლუცია თავისი ხასიათითა და ამო-
ცანებით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო,
მის უშუალო ამოცანას შეადგენდა ცარიზმის
დაშობა და დემოკრატიული რესპუბლიკის
დამყარება, მ-საათიანი სამუშაო დღის შემო-
ღება, მემამულეთა მიწების კონფისკაცია, და-
სავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან
განსხვავებით რუეთის რევოლუცია ნამდვილი
სახალხო, პროლეტარული იყო, მასში მთავარ
მამოძრავებელ ძალად და ბელადად ბურჟუა-
ზია კი არ გამოდიოდა, არამედ პროლეტარია-
ტი, რაც შეეხება ბურჟუაზიას, იგი უკვე აღარ
თამაშობდა რევოლუციურ როლს და რეაქცი-
ოულ ძალად გადაიქცა. მას არ სურდა, არც
შეეძლო რევოლუცია ცარიზმზე გამარჯვებამ-
დე მიეყვანა და პროლეტარიატის უფრო მეტ-
ად უწინადა ვიდრე ცარიზმისა.

1905-1907 წლების რევოლუციის მნიშვნე-
ლოვანი ნიშანთვისება ისიც იყო, რომ იგი
პროლეტარულ რევოლუციასთან ერთად წარ-
მოადგენდა გლეხურ რევოლუციას, რამდენა-
დაც მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოა-
დგენდა მემამულური მიწათმფლობელობის
ლიკვიდაცია.

მაშასადამე, რევოლუციის გამარჯვებით, ცა-
რიზმის დაშობით, მიუთითებდა ვ. ი. ლენი-
ნი, დაინტერესებულნი იყვნენ მხოლოდ მუშ-
ათა კლასი და გლეხობა. სწორედ ისინი შეად-
გენდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის
მთავარ მამოძრავებელ ძალას. „პროლეტარია-
ტის ხელმძღვანელი როლი (პეგემონია),
გლეხობის გადაქცევა ბურჟუაზიის რეზერვიდან
პროლეტარიატის რეზერვად, — წერდა ვ. ი. ლენი-
ნი, ასეთია ახალი, იმპერიალიზტური ეპოქის დემო-
კრატიული რევოლუციების ძირეული განსხვავება
მონოპოლისტმამდელი კაპიტალიზმის ეპოქის
რევოლუციებისაგან“. სულ სხვა შეხედულები-
სა იყვნენ რევოლუციის საკითხში მენშევიკები.
ისინი არასწორად უდგებოდნენ რუსეთის პი-
რველი რევოლუციის ხასიათის გაგებას, გამო-
შქონდით მხოლოდ ბურჟუაზიისათვის სასურ-
ველი დასკვნები. მენშევიკები უარყოფდნენ
პროლეტარიატის პეგემონიას ბურჟუაზიულ-
დემოკრატიულ რევოლუციაში, ასევე უშუა-
ლებულყოფდნენ გლეხობის რევოლუციურ
როლს. ისინი ამტკიცებდნენ — რაკი რევო-
ლუცია ბურჟუაზიულია, მისი ხელმძღვანელიც
ბურჟუაზია უნდა იყოსო. აკრიტიკებდა რა მე-
ნშევიკების შეხედულებებს, ვ. ი. ლენინი წი-
რდა: „ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯ-
ვება ჩვენში შეუძლებელია, როგორც ბურ-
ჟუაზიის გამარჯვება. ეს პარადოქსად ჩანს,
მაგრამ ეს ფაქტი. გლეხი მოსახლეობის სი-
ჭარბე, მისი საშინელი დაბეჩავება (ნახევრ-
აღბატონებური) მსხვილი მიწათმფლობელობ-



ით, უკვე სოციალისტურ პარტიად დაარსებული პროლეტარიატის ძალა და შეგნებულობა,

— ყველა ეს გარემოება თავისებურ ხასიათს აძლევს ჩვენ ბურჟუაზიულ რევოლუციას... ეს თავისებურება მხოლოდ განაპირობებს ჩვენი ბურჟუაზიის კონტრევოლუციურ ხასიათს და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის აუცილებლობას ასეთ რევოლუციაში გამარჯვებისათვის" (თხ. ტ. 15, გვ. 58-54).

ბოლშევიკები შეადგენდნენ ერთადერთ პარტიას, რომელსაც გაჩნდა მოქმედების მკაცრი პროგრამა, რომელიც შემოქმედებული და შეცნობილია დასაბუთებული იყო ვ. ი. ლენინის მიერ. მესამე ყრილობის რეზოლუციაში, ვ. ი. ლენინის ამ პერიოდის ნაშრომებში განვითარებული იყო პროლეტარიატის ჰეგემონიის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეა, ნაჩვენები იყო მონარქიის დაშლისათვის ბრძოლის გზები და საშუალებები, მათში დამტკიცებული იყო, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამ, რომელშიც მთავარ მამოძრავებელ ძალად პროლეტარიატი გამოდის, უნდა გამოიწვიოს არა ბურჟუაზიული ხელისუფლების, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური-დემოკრატიული დიქტატურის დამყარება: რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება ცარიზმზე, ეს არის, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური-დემოკრატიული დიქტატურა... ასეთი გამარჯვების მნიშვნელობა ვიგანტურ იქნება როგორც რუსეთის, ისე მთელი მსოფლიოს მომავალი განვითარებისათვის. ვ. ი. ლენინმა ამავე დროს ბოლშევიკების პარტია შეაიარაღა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის გენიალური თეორიით. რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ლენინი თვლიდა სოციალისტური რევოლუციის პროლოგად. ეს იმას ნიშნავდა, რომ დემოკრატიული ამოცანების განხორციელების შედეგად უნდა დაწყებულიყო პროლეტარიატის წარმოლა სოციალისტური რევოლუციისათვის.

ვ. ი. ლენინი სოციალ-დემოკრატიის მოვალეობად თვლიდა ყველა ზონა მიეღო იმისათვის, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ეწყო გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციად. ამიტომ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას ლენინი თვლიდა არა რევოლუციის დასასრულად, არამედ იმის საშუალებად, რომ რევოლუცია რაც შეიძლება მეტად გახანგრძლივებულიყო კონტრევოლუციის ნაშთების მოსპობამდე, ხანამ რევოლუციის ხანძარი ევროპასაც მოედებოდა და რუსეთის პროლეტარიატი გათვითცნობიერდებოდა. დიდ პოლიტიკურ არმად გაიზრდებოდა. ყოველივე ეს შესაძლებელს გახდიდა რევოლუციური მასე-

ბის პირდაპირ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. „პროლეტარიატმა, — წერდა ვ. ი. ლენინი — გელომდე უნდა გაბატონოს დემოკრატიული გადატრიალება, შეიერთოს გლეხობის მასა, რაბთ ძალით დაითრგუნოს თვითგაპროლეტარიატის წინააღმდეგობა და გააძარწლოს ბურჟუაზიის მერყეობა. პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, შეიერთოს მოსახლეობის ნახევრადპროლეტარული ელემენტების მასა, რაბთ ძალით გატანოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და გააძარწლოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა... (თხ. ტ. 9, გვ. 110).

ვ. ი. ლენინი საკითხის სიძველისათვის მისი წიგნის „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ გამოქვეყნებულ იქნა ორი თვის შემდეგ დაწერილ სტატიაში — „სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი“ განმარტავდა: „დემოკრატიული რევოლუციიდან ჩვენ მაშინვე დაიწყებთ გადასვლას და სწორედ ჩვენი ძლიერების, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძლიერებისა კვლავ, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ. შუა გზაზე ჩვენ არ შეგჩერდებით“ (იქვე, გვ. 288).

ეს იყო ახალი გეზი ბურჟუაზულ და სოციალისტურ რევოლუციებს შორის თანფარდობის საკითხში, ეს იყო ახალი თეორია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდისა სოციალისტურ რევოლუციად. ვ. ი. ლენინი ამ ახალი თეორიის ჩამოყალიბებისას ემყარებოდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცნობილ დებულებას განუწყვეტელი, პერმანენტული რევოლუციის შესახებ, რომელიც მათ მოგვცეს ცენტრალური კომიტეტის მიმართულებით კომუნისტთა კავშირისადმი და კ. მარქსის მოთხოვნას პროლეტარულ რევოლუციასთან გლეხური მოძრაობის დაკავშირების აუცილებლობის შესახებ, რომელიც მან გამოთქვა ენგელსისათვის გაგზავნილ წერილში.

რუსეთში ტროცკიმ გააუღბა და დაამხინჯა მარქსის პერმანენტული რევოლუციის იდეა. მისი ვაგებით რუსეთში დაწყებული პროლეტარულ რევოლუციას დაუწყებელივ უნდა მოჰყოლოდა სოციალისტური რევოლუცია დასავლეთში. ასე ესმოდა ტროცკის რევოლუციის განუწყვეტელობა. დასავლეთის ოპორტუნისტები და რუსი მენშევიკები, უარყოფდნენ რა რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონია, გლეხობის რევოლუციურ როლს, ქალაქისა და სო-

ჭინველაშვილი
 ლენინი იმად კირვილი რეპოლუციი
 რუსეთში.



ფლის მწრომელთა მასების კავშირს. აკეთებდნენ არასწორ დასკვნას, რომ სოციალისტური რევოლუციის პირობები შეიძლება მომწიფებულად მივიჩნიოთ მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარიატი ერის უმრავლესობა გახდება. ეს იყო უაღრესად მავნე და კონტრევოლუციური თეორია, რომელიც ამცირებდა პროლეტარიატის როლს და უმოქმედობას უშნაბუძვლად მას.

ვ. ი. ლენინმა სინათლეზე გამოიტანა კ. მარქსის დავიწყებული დებულებები განუწყვეტელი რევოლუციისა და გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის აუცილებლობის შესახებ და ისინი მთლიანად აღადგინა. ვ. ი. ლენინმა ბრწყინვალედ შეასრულა ეს ისტორიული ამოცანა. მან არა მარტო აღადგინა, არამედ ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად განავითარა კ. მარქსის იდეები პერმანენტული რევოლუციის შესახებ და მოგვცა იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის მწყობარი თეორია.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა და მისი სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ერთ-ერთ მთავარ პირობად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა არსებობა მარქსისტული პარტიისა, რომელიც პროლეტარიატის ბრძოლას იღებურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას გაუწევდა, ურომლისოდაც მუშათა კლასი ვერ შეასრულებდა რევოლუციოში ჰეგემონის როლს.

ასეთია ის ძირითადი ტაქტიკური დებულებანი, რომლებიც განავითარა ვ. ი. ლენინმა თავის წიგნში „სოციალ-დემოკრატების ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციოში“. ლენინმა დაასაბუთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის აუცილებლობა და გვიჩვენა ამის გზები და საშუალებები. „1905 წელს შემუშავებულმა რევოლუციის ლენინურმა თეორიამ ბოლშევიკური პარტია მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიითა და ტაქტიკით შეიარაღა. მასში იყო თითქმის ყველა ძირითადი ელემენტი იმ დასკვნის გამოსაყვანად, რომლის შესაბამისად შენსაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში... („საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“, თბ., 1972, გვ. 124).

ვ. ი. ლენინის წიგნის „სოციალ-დემოკრატების ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციოში“ ინტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან იღებურად გაანადგურა მენშევიკების წვრადბურჟუაზიული მცხედელური ბანი რევოლუციოში პარტიის თეორიისა და ტაქტიკის საკითხებში, რუსეთის მუშათა კლასი შეიარაღა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომი გაშლისათვის და რუსეთის სოციალ-დემოკრატებს მისცა აზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის აუცილებლობის ნათელი პერსპექტივა. ამ გენიალური ნაშრომით ლენინმა მარქსიზმი გაამდიდრა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით და საფუძვლად დაუდო ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების რევოლუციურ სტრატეგიასა და ტაქტიკას.

სახალხო დემოკრატიული რევოლუციები ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში, მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის მსოფლიო ისტორიული გამარჯვების, რისი მთავარი შედეგია მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა და კოლონიალიზმის კრახი, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის პრაქტიკული განხორციელება.

1905-1907 წლების რევოლუციამ ვერ გამარჯვა. მისი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ჯერ კიდევ საკმარისად მტკიცე არ იყო მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი. გლეხები უაღრესად დაქსაქსულად და არაორგანიზებულად მოქმედებდნენ, ვერ შეძლეს ერთსულოვნად დაეჭირათ მხარი მუშებისათვის ბრძოლის ვადამწყვეტ მომენტში. არმია, რომელიც ძირითადად გლეხებისაგან შედგებოდა, ნაკლებად იცნობდა რევოლუციურ იდეებს. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ რსხმ იმ მომენტში გათიშული აღმოჩნდა ორ ფრანკიად — ბოლშევიკებად და მენშევიკებად.

ბოლშევიკები თანამიმდევრულ რევოლუციურ ხაზს ატარებდნენ, მენშევიკები კი მოქმედებდნენ როგორც ბურჟუაზიის აგენტები მუშათა მოძრაობაში. ყველა ამ გარემოებათა გამო პროლეტარიატმა ვერ შეძლო ბოლომდე შეესრულებინა რევოლუციის ჰეგემონის როლი და გამარჯვებამდე მიეყვანა იგი.

დამარცხების მიუხედავად 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა. იგი მთელ ისტორიულ ხანას წარმოადგენს როგორც რუსეთის, ისე მსოფლიოს ხალხთა განვითარების ისტორიაში; მასში პირველად გამოვიდნენ აშკარად ჩვენი ქვეყნის ყველა კლასი და პარტია, მათი პროგრამული და ტაქტიკური შეხედულებანი მოწმდებოდა მასების მოქმედებით. რევოლუციის პროცესში გამოიკადა ბრძოლის უაღრესად



სხვადასხვანაირი ფორმები — პარლამენტური და არაპარლამენტური, ლეგალური და არალეგალური, გაფიცვები და შეიარაღებული აჯანყებანი. ამ პერიოდის ყოველი თვე, წერდა ვ. ი. ლენინი, როგორც მსახიბის, ისე ბელადებისათვის, როგორც კლასების, ისე პარტიებისათვის — პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლების სწავლების თვალსაზრისით „მშვიდობიანი“, „კონსტიტუციური“ განვითარების წილიწადს უდრდა; 1905 წლის „გენერალური რეპეტიცია“ რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

რუსეთის პირველ რევოლუციაში „ხალხის მასა, მისი უმრავლესობა, საზოგადოების უღრმესი „ქვედა ფენები“, ჩაგვრიბა და ექსპლუატაციით გასრესილი, დამოუკიდებლად დგებოდნენ ფეხზე. მათ რევოლუციის მთელ მსვლელობას დაასვეს ბეჭედი თავიანთი მოთხოვნებისა, თავიანთი ცდებისა — თავისებურად აეშენებინათ ახალი საზოგადოება, ძველი საზოგადოების ნაცვლად, რომელსაც ისინი ანგრევდნენ.

1905-1907 წლების რევოლუციამ ბრწყინვალედ დაადასტურა ის დასკვნები და განზოგადებანი, სტრატეგიული და ტაქტიკური დებულებანი, რომლებიც მოგვცა ვ. ი. ლენინური ლენინური მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის შესახებ, რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შესახებ, სხვა კლასებთან და პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ, რევოლუციის აღმავლობისა და დამავლობის პერიოდებში პროლეტარული პარტიის ტაქტიკის შესახებ, ამჟამადაც შეადგენს ბოლშევიკური ტაქტიკის ნიმუშს ყველახათვის, ვისაც ჭერ კიდევ მოუწვება ექსპლუატატორული წყობილების დამხობა.

1905 წლის გაზაფხულზე, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, ჩვენი პარტია არალეგალური წრეების კავშირს წარმოადგენდა, შემოდგომაზე კი იგი მილიონობით პროლეტარიატის პარტიად იქცა.

1905-1907 წლების რუსეთის პირველ სახალხო რევოლუციას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის პარიზის კომუნის მემამოხე ბულისკეთების აღორძინება იყო. მან მძლავრი ბიძგი მისცა კაპიტალისტურ ქვეყანაში მუშათა

მოძრაობას, სერიოზული დარტყმა მიასყენა პერიალიზმის კოლონიურ სისტემას; მისი გავლენით დაიწყო დემოკრატიული რევოლუციები ირანში, თურქეთში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში. მსოფლიო კაპიტალიზმმა და რუსეთის 1905 წლის მოძრაობამ, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, საბოლოოდ გამოადვილეს აზია.

1905-1907 წლების რევოლუციამ საბოლოოდ განუმტკიცა რუსეთის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრის, რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური მოქმედების ცენტრის მდგომარეობა. რუსეთის პირველი სახალხო რევოლუცია იქცა ზღუდედ, რომელზეც დამთავრდა კაპიტალიზმის შედარებით მშვიდობიანი განვითარების პერიოდი, რომელიც დაიწყო პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ, და დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქის — რევოლუციური ბრძოლების პერიოდი.

რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, შეძენილმა გამოცდილებამ გაამდიდრა კლასობრივი ბრძოლის თეორია და ტაქტიკა, დაეხმარა ხალხს 1917 წლის თებერვალში დაემხო საძულველი ცარიზმი, ხოლო ოქტომბერში მოესპო ბურჟუაზიის ბატონობა. ეს გამოცდილება ახლაც ინარჩუნებს წარუვალ მნიშვნელობას სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის მებრძოლი ხალხებისათვის, რაც ხელს უწყობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის პოლიციების განუხრელად განმტკიცებასა და გაფართოებას.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა. ახლა ჩვენს საზოგადოებას თავისი განვითარების დიდმნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდი დაუდგა, — დაიწყო ახალი ისტორიული ხანგრძლივი ეტაპი — განვითარებული სოციალიზმის ეტაპი, რომლის ყოველმხრივი სრულყოფა პარტიისა და ხალხის საქმიანობის მთავარი შინაარსია. ამ საქმეში პარტია ხელმძღვანელობს სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებითა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამბანაჯ მ. ს. გორბაჩოვის გამოხსვლებით, ყოველთვიე ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, როცა პარტია ეგებება თავის მორიგ XXVII ყრილობას.



როსტომ ჩხეიძე

სტილი პაპლა ინგოროვასი

„მე მწერალი ვარ“, ჩაურთავს ერთ წერილში პავლე ინგოროვსა.

ჩაურთავს, როცა მის სტილთან დაკავშირებით შექმნილი გაუგებრობის გაფანტვას ცდილობს.

წერილი საკმაოდ ვრცელია, ზომით მონოგრაფიის ტოლი (მოიცავს პეტრით ნაბეჭდ მშსაურნალო გვერდს), და თუ წერილს ვაძობ, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ავტორა უწოდებს წერილს, ისევე, როგორც, ვთქვათ, „რუსთაველას ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობას“, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილ გამოკვლევებს, ოღონდ მათგან განსხვავებით ამ წერილს მონოგრაფია თუ გამოკვლევა იმიტომაც ვერ დაერქმევა, რომ აქ მკვლევარი ახალ საკითხებს კი არ ეხება, არამედ ხელახლა უბრუნდება და განმარტავს „გიორგი მერჩულეში“ აღძრულ პრობლემებს.

ეს წერილი — „პასუხი აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს“ („მნათობი“, №8 და №9, 1959 წ.), როგორც სათაურიდანაც ჩანს, პოლემიკურია და დაწერილია კორნელი კეკელიძის სტატიის საპასუხოდ. სტატია — „ახალი შრომა ქართული პოეზიის შესახებ“ („ლიტერატურული ძიებანი“, ტ. 9, 1958 წ.) — განიხილავდა „გიორგი მერჩულეს“ (1954 წ.) მეორე, ისტორიულ-ლიტერატურულ, ნაწილს, განიხილავდა უადრესად მკაცრად და უარყოფითადააფასებდა — სტატიის ავტორი არ იზიარებდა წიგნის არცერთ დებულებას.

უშთავრესაც კი — კორნელი კეკელიძემ არ აღიარა პავლე ინგოროვასის ალმოჩენა V-XI საუკუნეების ქართულ პოეზიაში სილაბურ-უკვეთილი ლექსისა, რაბაც წიგნის გამოსვლიდან ცოტა მოგვიანებით ხომონ ყაუჩიშვილმა „რიტმული პოეზია“ უწოდა (მხოლოდ ტერმინი შეცვალა ბიზანტიური რიტმული პოეზიის ანალოგიით) და

ამ ალმოჩენის მნიშვნელობა ასე შეაფასა — „...პ. ინგოროვსამ თავისი უკანასკნელი გამოკვლევით ქართული მონოგრაფიის შესახებ გამოავლინა ძველი ქართული პოეზიის აქამდე სრულიად უცნობი დარგის „რიტმული პოეზიის“ არსებობა და ამ დარგის რამდენიმე ათეული, აქამდე სრულიად უცნობი ლექსის ტექსტიც დაადგინა და დაბეჭდა...“ („ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორიისათვის“, „მნათობი“, 1958, № 10).

ხოლო სტატიაში გამოთქმულ სხვადასხვა სახის შენიშვნათაგან ერთ-ერთი წიგნის სტილის (ავტორის სიტყვით — „ზოგად მის ხასიათს“) ეხება მკაცრი და ერთგვარად ირონიული ტონით: „ავტორს ახასიათებს ზვიადობა, სხვისი ნაშრომის თითქმის სრული იგნორირება, კითხულობთ ამ შრომას და გგონიათ, რომ ძველი ქართული პოეზიის, განსაკუთრებით სასულიეროს შესახებ, ინგოროვამდე არავის არ უფიქრია: „მე მივაცკიცი, მე ამოვფიქრე, მე ამოვხსენი, მე მივაცენი, მე დავადგინე, მე გამოვავლინე, აქ ჩვენ სრულიად მოულოდნელი აღმოჩენა მოგველოდა“ (გვ. 612) და სხვა ამგვარი გამოთქმები დამახასიათებელია ავტორისა.“

რადგანაც „გიორგი მერჩულე“ მკვლევარის მთელი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი მანერით არის დაწერილი, კორნელი კეკელიძის სიტყვებით მთელს ამ შემოქმედებას გულისხმობს.

ამგვარ შეხედულებას თავისი მიზეზი ჰქონდა — რადგან სტატიის ავტორი წიგნის არცერთ დებულებას არ იზიარებდა, არ არის გასაკვირი, რომ მტკიცება უნდებოდა თავდაქრებული და „წვიადი“ მოსჩვენებოდა.

„სხვისი ნაშრომის თითქმის სრული იგნორირებაო“, რომ წერს, კორნელი კეკელიძის მხედველობაში აქვს კონკრეტული შემთხვევები, თითქოს მისი მიგნებანი პავლე ინგორო-



უკვას მიეთვისებინოს, ხოლო ნამდვილი ავტორი მიეჩქმალოს („საქმე ისე აქვს მას წარმოდგენილი, თითქოს უკვლადერი მის მიერაა ჭაკეთებული, ახსნილი და შოპოვებული“); თითქოს ასევე მიეჩქმალოს პანტელეიმონ ბერაძის მიგნება.

„პასუხში“ პავლე ინგოროყვა ვრცლად მსჯელობს ამ საკითხებზე და ცხადყოფს, რომ ასე არ ყოფილა.

მისი სტილის დახასიათებას კი ამგვარად პასუხობს —

„მოითხველი, რომელსაც წაკითხული აქვს „გეორგი მერჩულე“, ვფიქრობთ, არ იზიარებს კ. კეკელიძის ასეთს გაშარებულ დახასიათებას ჩემი შრომისას.

ათასგვრდიან ნაშრომში, უმეტესად, მე მაქვს სხვადასხვა ადგილას, სადაც ეს საჭიროა, რომ ესა თუ ის ტიპიტი ახლად იქმნა ამოხსნილი ან ამოშორებული, მაგრამ არა იმ სახით და არა იმ სტილით, როგორც ამას ჩემი ადგილებული ოპონენტი გადმოგვცემს. კ. კეკელიძის უნდა ახსოვდეს; რომ მე მწერალი ვარ, და რაც არ უნდა „წვიადი“ არ ვიყო, მე ჩემს თავს არ მივიცემ ნებას ისეთი ვულგარული სტილით ვწერო, რასაც კ. კეკელიძე მომაწერს, და რაც ზოგს ახასიათებს“.

„მე მწერალი ვარ“, ასეთ მსჯელობაშია ჩართული.

მსჯელობა განმარტების აუცილებლობით არის გამოწვეული და ამ ფრაზის თქმაც ამავე აუცილებლობაში გამოიწვია.

სიტყვა „მწერალს“, პავლე ინგოროყვა მრავლისმომცველსა და განუსაზღვრელ შინაარსს ანიჭებდა, რითაც, რამდენადაც შესაძლებელია, ბოლომდე ამუღავნებდა ამ სიტყვაში დაფარულ უზენაეს შინაარსს მისთვის მწერალი არ ნიშნავდა მხოლოდ პოეტს, პროზაიკოსს, დრამატურგს თუ კრიტიკოსს, მწერლობად მხოლოდ მხატვრულ აზროვნებას არ თვლიდა, მისთვის მწერალი იყო ფილოსოფოსიც, მწერალი იყო მკვლევარიც, უკვლა — მხატვარაც და მოაზროვნეც — ვინც სიტყვის ძალითა და შეწევნით მჭმნადა თავის წვლილს ეროვნული კულტურის ისტორიაში.

მონოგრაფიაში „ლიონტი მროველი, ქართული ისტორიკოსი, „მამბავთა მწერალი“ მე-8 საუკუნის“ (ენიმის მოამბე, 1941, X) პავლე ინგოროყვა დიდ ქართველ ისტორიკოსს მწერლად მოიხსენიებს: „...ლიონტი მროველი — ინდივიდუალური სახის მქონე მწერალია, და ამასთან — შეიძლება ითქვას — მაღალი რანგის მწერალი“.

საკულისსმოა ისიც, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სახელით შედგენილ ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, ნიკო მარს რომ გაეგზავნა ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ აღძრული საჩივრის

პასუხად ქართული უნივერსიტეტის მხრიდან მნილ კონფლიქტთან დაკავშირებულ მარტივ მარტივ მწერლად არის მოხსენიებული.

სრულიად აშკარა მიზეზის გამო (თავის დროზე მარი წინ აღუდგა თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნას) შეუძლებელი იყო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს მართებულად არ მიეჩნია ივანე ჯავახიშვილის საქციელი (მას აღარ მისცა უფლება მარს ახლადგახსნილ უნივერსიტეტში ლექციები წაეცითხა), მაგრამ, ამავე დროს, არ ივიწყებდნენ ნიკო მარის დიდ დამსახურებასაც საერთოდ მეცნიერებისა და, კერძოდ, ქართული კულტურის წინაშე და მისი ღვაწლი ამ სიტყვით შეფასდა — მწერალი: „ქართული ლიტერატურა ამჟამის იმით, რომ ავტორი მსოფლიო მნიშვნელობის იაფეტური თეორიისა — არის ქართველი და ამასთან ქართველი მწერალი, რომლის პირველი გამოკვლევები ქართულ ენაზე იყო გამოთქმული“.

1924 წლის 1 თებერვლის რიცხვით დათარიღებულ ამ წერილს ხელს აწერენ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პირველი თავმჯდომარე, კოტე მაყაშვილი, და ამ კავშირის დამაარსებელი, ეურნალ „კავკასიონის“ რედაქტორი, პავლე ინგოროყვა. ოღონდ წერილის ენობრივი სტილი — დოკუმენტის ოფიციალური ხასიათის მიუხედავად მაინც მკაფიოდ შეღავნდება ორიგინალური მხოლოდ მისი ავტორისათვის ნიშანდობლივი ხელწერა — მაფიქრებინებს, რომ ეს დოკუმენტი პავლე ინგოროყვას მიერ უნდა იყოს შედგენილი (დოკუმენტი მცირე შემოკლებით გამოკვეთებული აქვს სერგო ჯორბენაძის წერილში „ივანე ჯავახიშვილი და კოტე მაყაშვილი“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატება „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1980, № 4).

ეს სიტყვაც — მწერალი — და ნიკო მარის ღვაწლის ამგვარი შეფასებაც პავლე ინგოროყვასეულია და, ცხადია, „მწერალი“ სწორედ განუსაზღვრელი შინაარსით არის ნახმარი.

აქ კი, კორნელი კეკელიძისთან პოლემიკისას, ამ სიტყვის მრავლისმომცველი შინაარსის მხოლოდ ერთი ნიუანსია ძირითადად გამოკვლენილი.

ამ სიტყვას უნდა აეხსნა მიზეზი იმისა, თუ რატომ წერდა პავლე ინგოროყვა ისე, როგორც წერდა, (და წერდა სადაც, სხარტად, ლაკონურად, დაბეწვილად, ექსპრესიულად, შთამბეჭდავად, არტისტულად) და რატომ არ წერდა ისე, როგორც მიაწერდნენ („ოვლგარულად“).

აქ ეს სიტყვა გულისხმობს პავლე ინგოროყვას წერის მანერის თავისთავადობას, მის გამოჩენილობას, მსჯელობებისათვის ნიშანდობლივ სისადავებას და სიმწყობრეს, მაგრამ არა გამოკვლევების ბელეტრისტულ ხასიათს.



ბელეტრისტიკა ხშირად უხსენებიათ პავლე ინგოროვას სახელთან.

უხსენებიათ ხან ალტაკებით, ხან დამცირების მიზნით, იმის მიხედვით, თუ შთქმეული ვინ იყო და რა წადილი ამოძრავებდა.

მაგრამ პავლე ინგოროვას მოაზროვნეა, მკვლევარი და არა მხატვარი.

მისი მსჯელობა მოაზროვნის, მკვლევარის მსჯელობაა, მის მიერ წარმოსახული სურათი — მოაზროვნის წარმოსახული სურათი, მის მიერ აღდგენილი ცალკეული გარემოსა თუ ცალკეული ეპოქის საერთო ფონი — მოაზროვნის მიერ აღდგენილი საერთო ფონი, მისი ენობრივი მანერა — მკვლევარის ენობრივი მანერა, მისი სტილი საერთოდ — მკვლევარის სტილი, მისი ჰიპოთეზები, უაღრესად გაბედული, პოეტური ძალიან და ფანტაზიის ჰიპოთეზები, ისევ და ისევ მოაზროვნის, მკვლევარის ჰიპოთეზებია.

ახე რამდენჯერმე იმიტომ ვიმეორებ, რომ სიტყვა „მწერალმა“ არავინ დაახნოს; რომ ან ძველი გაუგებრობა არ განმტკიცდეს დაუვირცებლად და წერტილედ, როგორც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, ან ახალი გაუგებრობა არ იშვას იმავე დაუვირცებლობითა და წერტილობით.

პავლე ინგოროვას მეცნიერული გამოკვლევები მხატვრულ აზროვნებას არ შეუქმნია, მაგრამ ამის თქმისას შეუძლებელია არ გაგვახსენდეს, რომ ერთ-ერთი გამოკვლევისათვის, „ჩახრუხისძე“, პოეტი, მოგზაური“ („კავკასიონი“, 1924, 1-2), თვითონ პავლე ინგოროვას მიუწერია — „ესსაა საშუალ-საუკუნეთა აღმოსავლეთის პოეზიიდან“. ესეი („ესსაა“) კი მხატვრული აზროვნების ფორმაა. ხომ არ წამოიჭრება აქ რაიმე წინააღმდეგობა?

მაგრამ არა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ესეი აქ განსაზღვრავს არა უნარს (რაც სრულიად გამორიცხებულია ჭერ მარტო იმის გამო, რომ „ჩახრუხისძე“ ვრცელი ფორმის თხზულებაა, ამ წომის ესეი კი არ არსებობს, და არც შეიძლება არსებობდეს, მაშინ ესეი აღარ იქნება; მეორეც, ამ თხზულების საერთო ხასიათი თუ სტილი, ერთი რომელიმე თავი რომ გამოვყოთ ცალკე, სრულიად განსხვავდება ესეის სტილისაგან, განსხვავდება, რადგან ესეი ვერ ბგულობს ვერც ყველა ცალკეული თუ შენაკადი საითხის დაწვრილებით განხილვას და ვერც ვრცელ ციტატებს; მესამეც, ესენისათვის სრულიად უცხოა სქოლიოები და გამოკვლევისათვის აუცილებელი „კრიტიკული აპარატი, ვიწრო-სპეციალური ხასიათის განმარტებანი და შენიშვნები“), არამედ გამოყენებული უნდა იყოს ამ სიტყვის თავდაპირველი შინაარსით — ცდა (ესეის ფრანკულ ენაზე ჰქონდა ეს ერთადერთი დადგენილი მნიშვნელობა და მოგვიანებითაც სწორედ ამ შინაარსით იხმარა მიშელ მონტენმა ლიტერატურაში ახალი და ორიგინალური უნარის განსაზღვრებად).

დღეს, და რამდენიმე საუკუნეა, ესეი უნარია, მაგრამ ეს ახლაც არ გამოირცხვას ამ სიტყვის პირვანდელი შინაარსით ხმარებას.

პავლე ინგოროვასაც ახვედრ აქვს გამოყენებული, პირვანდელი შინაარსით — ცდა.

იმას, რომ აქ „ესეი“ მხოლოდ და მხოლოდ ცდას გულისხმობს, ადასტურებს წინასიტყვაში გამოკვლევის რამდენიმეჯერ მოხსენიება ცდად („წინამდებარე ცდა ისახავს მიწიდან...“; „ჩვენი ცდა იყოფა ორ ნაწილად“; „...გადავიტანეთ ამ ჩვენი ცდის მეორე სპეციალურ ნაწილში“) და აგრეთვე პირველი ნაწილის ქვესათაური — „ბიოგრაფიის აღდგენის ცდა“.

რაც შეეხება პავლე ინგოროვას მხატვრულ აზროვნებას, ანუ ყველა უნარული კანონის დაცვით დაწერილი მის რამდენიმე მწვენიერ ესეის (თუმცა თვითონ არსად მიუთითებს, ესეი არის), მათი განხილვა სხვა წერილის თემა და ამიტომ მათ აქ, ისიც თვალსაჩინოებისათვის, მხოლოდ ჩამოვთვლი:

„ტფილისის უნივერსიტეტის დღე“ („რუბიკონი“, 1923, 28 იანვარი);

„ომარ ხაიამი“ („კავკასიონი“, 1924, №1-2);

„მწერალთა კავშირის ამოცანები“ („ქართული მწერლობა“, 1926, № 1);

ძველი ქართული ხანობი ნიშნების გამოიყვარისაღმი მიღწენილი დიდილოგი („ლიტერატურული გაზეთი“, 1956, 14 დეკემბერი).

აგრეთვე მკვლევარის არქივში აღმოჩენილი „სიტყვა ალექსანდრე აბაშელის სალიტერატურო დღეობაზე“ („ერებული „პოეზია“ — 1984-85“).

ხოლო პავლე ინგოროვას მეცნიერულ გამოკვლევებზე თქმა იმისა, რომ „რომანივით იკითხება“, „ბელეტრისტიკასავით საკითხავია“ და სხვა ამგვარი, არის ალტაკების თავისებური გამოსატყა იმ ლალი მანერის, სინათლისა და სინადავის გამო, რითაც ეს გამოკვლევებია დაწერილი, იმ დახვეწილი კომპოზიციის გამო, რითაც ეს ნაშრომები ერთ მთლიან ქმნილებებად წარმოსდგება; მაგრამ თქმა იმისა, რომ ეს გამოკვლევები „ბელეტრისტიკულია“, უმართებულო და არასწორია, ეს ან გაიოლებული და წერტილედ დამოკიდებულების ნაყოფია ან, უბრალოდ უზუსტო ეპითეტი.

უზუსტოა ეს ეპითეტი თამაზ ჭილაძის ნარკვივშიც, „ნარკვის ფურცლოების შინაინ“ („შინათობა“, 1988, №10) აქ პავლე ინგოროვას სახელი მოხსენიებული არ არის, მაგრამ სრულიად აშკარადაა მინიშნებული მისი „რუსთველიანა“ თუ მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“ (1166-1250), უზუსტოა, რადგან ნარკვივის ავტორის მიერ უსაფუძვლოდ დაწვრილებული კონცეფცია ერთგანაც გვხვდება და მეორეგანაც. უზუსტოა ალექსანდრე ბარამიძის საპასუხო



წერილობით — „ვეფხისტყაოსნის“ ერთი აბღ-
ბური წაიკითხვის გამო“ („მნათობი“, № 2,
1984 წ.) — „ჩვენც მიგვანინა... რომ ვრცელი
„ბელეტრისტული გამოკვლევა“ შექმნილი
რუსთველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის
შესახებ...“

სტილის მკაფიობა, ლაქონიურობა და ექს-
პრესიულიზმა მარტო ბელეტრისტულ თხზულებ-
ბას არ გულისხმობს, რადგან სტილის ეს ნიშ-
ნები ისევე შეიძლება ახასიათებდეს რომანსა
თუ მოთხრობას, როგორც მეცნიერულ გამოკვ-
ლევას, ანდა თეორიულ ნაშრომს და სახელმძღ-
ვანელოსაც კი; განსხვავება ის არის, რომ მო-
ვლენებს, გარემოს, პიროვნებას ბელეტრისტის
ხატავს და მკვლევარი განსჯის. ცხადია, ეს განს-
ხვავება ისეთი თვალსაჩინო და აშკარაა, რომ
იოტისოდენა საბაზისაც არ გვაძლევს იმისა,
ბელეტრისტული თხზულება და მეცნიერული
გამოკვლევა ერთმანეთში ავრიოთ.

არც კომპოზიციური ქარკა, კომპოზიციური
მთლიანობა ბელეტრისტისკის საკუთრებაა.

ამიტომაც არ გამოდგება (შეტისშეტად უკ-
მარა) ეს სტილური ნიშნები პავლე ინგორო-
ყვას გამოკვლევათა „ბელეტრისტულობის“
სამტკიცებლად. ნებისმიერი მისი გამოკვლევის
ერთი გვერდიც კი არ არის ბელეტრისტული,
აქ რად უნდა იყოს, როცა ავტორს ამის ოდენა-
ვი სურვილიც არა ჰქონია.

და არც „რუსთველიანასა“ თუ რუსთველის
ცხოვრებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში არის
გამოკვლევითისთვისაც ნიშანდობლივი (უფრო მე-
ტივ, წესით, არსებით და განუყოფელი) ამ
სტილური ნიშნების გარდა რაიმე ისეთი, რაც
ბელეტრისტისკის გაგვასხენებდა, თუნდაც შო-
რეულიად; და თუ პავლე ინგოროყვას ბელე-
ტრისტობას არა, ამ ნაშრომებში ბელე-
ტრისტული ელემენტების არსებობას მიივც გვა-
იჭიროებინებდა. ასე რომ, რადგან სიტყვა „ბე-
ლეტრისტული“ შეუფერებლად არის ნახშირი,
აზრს ჰქარავს და უფუნქციო ხდება, აზრდა-
კარგული და უფუნქციო სიტყვა კი არანაირ
შინაარსს აღარ გამოხატავს.

მთლად ზუსტი „ბელეტრისტისკისათვის საკით-
ხავიც“ არ უნდა იყოს. მაგრამ რადგან, იშვია-
თი და ბედნიერი შემთხვევების გარდა, მიუჩი-
ვევლენი ვართ შესანიშნავი ენითა და სტილით
დაწერილ და კომპოზიციურად შეკრულ მეც-
ნიერულ ნაშრომებს; და რადგანაც პავლე ინ-
გოროყვას გამოკვლევათა ესთეტიკური ზემოქ-
მედება ამ მხრივ უღვაღე უტოლდება მხატვ-
რულ ქმნილებათა ესთეტიკურ ზემოქმედებას,
აღარ არის გასაკვირი, რომ მისი გამოკვლევე-
ბისაგან აღძრული განცდა მშვენიერებასთან
წიარებისა, ჩვენი, ცოცხა არ იყოს, ცალმხრი-
ვი, წარმოდგენითი, მეცნიერების ფარგლებს
სცილდება და მხატვრულ აზროვნებას უკავშირ-
დება, ხოთქოს მეცნიერული ნაშრომისათვის

არ იყოს აუცილებელი გამორჩეული და დახვეწი-
ლი სტილი; და ხოთქოს მეცნიერული ნაშრომის
ხოვებოდეს სტილის გრძნობა.

ასე წარდნენ და წერენ საუკეთესო ევრო-
პელი (და ამერიკელი) მკვლევარები და მოაზ-
როვნებები, ასე დახვეწილად, ასე გამორჩეუ-
ლად, ასე სადად, სხარტად, გასაგებად, ასე
ტკივდად, ასეთი ექსპრესიით, ასეთი უაღრესი
გულწრფელობით, ასევე ნათელ სამსმში მხვე-
ვდნენ და მხვევენ ურთულესი პრობლემების
კვლევასა და საგულისხმო და მრავალფეროვან
პარალელებითა და არგუმენტებით სავსე
მსჯელობებს. სხვაგვარად არ იქნება, როცა ნი-
ჭიერი და განათლებული კაცი წერს და წერს
მხოლოდ იმას, რაც მისთვის სისხლბორცუე-
ლია; და წერს მხოლოდ ისე, როგორც მისთვის
არის ბუნებრივი.

ამიტომაც არიან დიდი ევროპელი (და ამე-
რიკელი) მკვლევარები და მოაზროვნებები დიდ
პროზაიკოსებზეთ საუკეთესო სტილისტები.

მაგრამ იქ იოლად ანსხვავებენ ერთმანეთისა-
გან მეცნიერსა და ბელეტრისტს, მეცნიერება-
სა და ბელეტრისტისკას; და თუ მეცნიერული
გამოკვლევა ხან მწერლის წინადაც მოხსენი-
ეს, მწერალი იმ უწყინესი მნიშვნელობის
გამომხატველი იქნება, რა მნიშვნელობითაც
აქვს ეს სიტყვა გააზრებული პავლე ინგოროყ-
ვას და, უპირველეს ყოვლისა, დიდ მოვალეო-
ბას რომ გულისხმობს საკუთარი ერის წინაშე,
თავგანწირვამდე მისულ მოვალეობის გრძნო-
ბას. მოვალეობის ამ უკიდურესად გამაფრე-
ბულმა გრძნობამ გამოიწვია ის, რომ სიტყვა
„მწერალი“ ყველა ქვეყანაში იმთავითვე იგუ-
ლისხმავს უწყინესი შინაარსი და ამ ტყვადი ში-
ნაარსის გასამუდგანებლად და გამოსაკეთად
იქცა წერისა და აზროვნების სინათლე და
სიჭრფელი, ანუ სტილის მკაფიობა და ბუნებ-
რიობა, როგორც პოეზიის, ბელეტრისტისკის,
დრამატურგიისა და კრიტიკის, ისევე მეცნიე-
რების აუცილებელ და განუყოფელ თვისებად.

ცხადია, აქ ქეშმარიტი ლიტერატურა და მეც-
ნიერება იგულისხმება.

პავლე ინგოროყვასაც მოვალეობის ამ უკი-
დურესად გამაფრებულმა გრძნობამ შეაძლიბი-
ნა, რომ ნიჭიერება და ფართო და მრავალ-
მხრივი ერულიცია სასიკეთოდ მოეხმება და
ორიგინალური სტილის შექმნისათვის მიერღწია;
მერე კი ამ სტილით წარმოესხა, ერთ სისტე-
მაში, ერთიან კომპოზიციაში მოექცია ქართუ-
ლი ცივილიზაციის ღრმად გააზრებული და
თავისებურად აღდგენილი სურათი. ეს გრძნო-
ბა აწერიებდა ამდენს და ასე მშვენივრად და
კორნელი ეკელიძისთან კამათის დროსაც ამა-
ვე გრძნობით იყო ნაკარნახევი ის ფრაზა, „მე
მწერალი ვარ“, რათა ამ ფრაზით ერთბაშად
მოესხება სათქმელი, ერთბაშად, ამ ერთი ფრა-
ზით აებსნა, რისი განმარტებაც ეწვია.



რაც შეეხება კორნელი კეკელიძის წერილს (კერძოდ კი, „გიორგი მერჩულესგან“ აღძრულ შთაბეჭდილებას), იქნებ არც ღირდა ამ სტატიის გახსენება, ან თუ მაინც (გავიხსენებდი, გაცივით შეშინებდა, რომ ამგვარი წერილიც არსებობს; რადგან ეს წერილი, სხვადასხვა და აშკარა მიზეზთა გამო, ვერ ჩაითვლება მისი ავტორის საუკეთესო წერილად. კორნელი კეკელიძის დიდ დეაწლსა და ავტორიტეტს კი მის საუკეთესო ნაშრომებზე — წიგნებზე, ცალკეულ გამოკვლევებზე. წერილებზე — სახუბარი უფრო მოუხდებოდა. მითუმეტეს, გასარკვევით თითქოს აღარაფერი დარჩა. საპასუხო წერილი რომ არც დაბეჭდილიყო, ამ მცირეზე მცირე დრომაც (ასეთი ფართო დიაპაზონის წიგნის აღსაქმელად და გასაზრებლად), რაც „გიორგი მერჩულეს“ გამოქვეყნებიდან გავიდა, უცვლელად გამოიტანა ერთგვარი მსჯავრი.

სულ უფრო ნათლად იგრძნობა ამ წიგნის გავლენა.

უფრო მაინც „გიორგი მერჩულეს“ მეორე ნაწილის („ძველ-ქართული პოეზია V-X საუკუნეთა“) გავლენა; პავლე ინგოროყვას მიერ წიგნის ამ ნაწილში ამოხსნილი და დადგენილი ქართული მნიშვნელობის ლექსითი სხებ და ხალხური საზომები შენდგომში დღევანდლამდე არაერთი გამოკვლევისა და პუბლიკაციის საფუძველი გახდა.

ეს არის ის ერთგვარი მსჯავრი, რადგან არასწორად, ზერტელე და ნიშნისტურმა დამოკიდებულებამ პავლე ინგოროყვას სახელისაღმის (და კერძოდ, ამ წიგნისაღმის), უფრო წიგნის პირველი ნაწილი („ისტორიული მიმოხილვა V-X საუკუნეთა“) დაზარალა, შეასუსტა მისი ზეგავლენის უნარი და შეზღუდა ამ ზეგავლენის აუცილებლობა. ამიტომაც მოახდინა ამ ისტორიულმა მიმოხილვამ ჭრჭერობით ნაკლები ზეგავლენა ჩვენს აზროვნებასა და სინამდვილეზე, ოღონდ მოვა დრო და მისი მნიშვნელობა მთელი ძალითა და სისრულით იჩენს თავს. უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია სიმონ ყაუხჩი-შვილის, როგორც მკვლევარის, გარჯასა და წვლილს მთელი წიგნისა თუ ცალკეულ თავლასაზრისთა სწორად ახსნას, მართებულად შეფასებებსა, პოპულარიზაციისა და დამკვიდრებისათვის; და სიმონ ჩიქოვანის, როგორც უფრონად „მნათობის“ მთავარი რედაქტორის, წვლილს იმავე პოპულარიზაციისა და დამკვიდრებისათვის (და საერთოდაც, მათ მკვლევობას პავლე ინგოროყვას სახელის გარშემო შექმნილი მცდარი წარმოდგენების დახარჯვად). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ უფრო და უფრო მეტაყოფა და თვალსაჩინო გახდება ამ წიგნის დიდი და მრავალმხრივი ღირებულება, მისი გამორჩეული ადგილი არა მარტო ჩვენი მეცნიერების, არამედ მთელი ჩვენი კულტურის

ისტორიაში, მისი განსაკუთრებული ღირებულება ჩვენი ეროვნული შეგნებისათვის.

ოღონდ, ცხადია, თავისთავად არაფერი მოხდება, თავისთავად არაფერი აიხსნება, თავისთავად არაფერი შეფასდება, სამწუხაროდ, არც მცდარი და უმართებულო შეფასებანი ჰქრება თავისთავად და რაღაც სახით როდესმე იჩენს ხოლმე თავს. ამიტომ ყოველივე თანდათან უნდა აიხსნას სწორად, განიმარტოს, თანდათან დადასტურდეს, (პავლე ინგოროყვას ზოგიერთი თვალსაზრისი თუნდაც შეივსოს, დაზუსტდეს, ზოგიერთი თუნდაც გაზაიხლდეს), თანდათან დამტკიცდეს და დამკვიდრდეს. ყველაფერს საბოლოო პასუხი უნდა გაიცეს.

ასე თანდათან იქცევა უმიჯნელ ფაქტად ამგვარი შეფასება „გიორგი მერჩულისა“, ინგლისელი ქართველოლოგის მიერ გამოქვეყნული — „მონუმენტი თანამედროვე ქართული სწავლულებისა“ (ულიამ ალინი).

კორნელი კეკელიძის იმიტომ ჰქონდა ამ თვალსაზრისის სრულიად საპირისპირო შეხედულება, რომ თვითონ იგი განსხვავებული ზღნებისა და უაღის მეცნიერი გახლდათ. სხვაგვარად უყურებდა და აფასებდა ლიტერატურულ მოვლენებსა და ფაქტებს და ამის გამო იყო მისთვის ბევრით რამით მიუღებელი და საკამათო პავლე ინგოროყვას სტილი და კვლევის მეთოდი. და მაინც, მისი დამოკიდებულება საერთოდ და, კერძოდ, პავლე ინგოროყვას სტილის მისეული ზოგადი დახასიათება, მხოლოდ ერთი მკვლევარის დამოკიდებულებად არ უნდა ჩაითვალოს. სტატიაში, რა თქმა უნდა, პირადი შეხებუდილება გამოთქმული, მაგრამ აქ თავისებურად გამოიხატა პავლე ინგოროყვასადმი ოპოზიციურად განწყობილ მეცნიერთა ერთი ჯგუფის დამოკიდებულება.

ეს არის ამ სტატიაზე შეჩერების ერთი მიზეზი.

„პასუხის“ გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ კორნელი კეკელიძემ თავისი წერილი „იტოვლების...“ შექვესტ ტომში (1960 წ.) შეიტანა და დაურთო მინაწერი, რომლის მიხედვითაც, მკვლევარს იმდენად არ მოსწონებია საპასუხო წერილის დაბეჭდვის ფაქტი და განმარტებებით იმდენად არ დაკმაყოფილებულა, რომ ცხარედ შენიშნავს, „...მეცნიერებისათვის შეუფერებელ საქმედ მიიჩნია გამოცემამაჟრო უდიერი წერილის ავტორსო“; თუმცა საპასუხო წერილში, პავლე ინგოროყვას პიროვნული თვისებებიდან და მისი სტილის თავისებურებიდან გამომდინარე, უდიერობის ნატამალიც კი არ არის. მოკლე ზოგადი მინაწერი საპასუხო წერილს ვერ გააუფასურებს, მაგრამ შეუძლია უნდობლობის გადავიებას შეუწყოს ხელი, ასე რომ, პასუხით საქმე არ მოთავებულა, ეს არის მეორე მიზეზი.

მანამდეც და მომდევნო წლებშიც პავლე ინ.



გოროყვან ნაწრომებზე არაერთი მცდარი წერილი თუ პასკილი დასტაბულა, მაგრამ სტილის ცალკე (თუნდაც წოგადად, ორიოდ სიტყვით, თანაც რომ გექილიყებინოს ან არასწორად დაეხასიათებინოს) აღარავინ შეხებია, სანამ, თერთმეტი წლის მერე, აკაკი გაწერელია ხელახლა არ დაუბრუნდა ამ საკითხს წერილში — „ქართული ვერსიფიკაცია და ჰიმნოგრაფიის საკითხები“ („მხათობი“, 1969, №1; წერილი აქველმეხეხაშხევი ცვლილებებით შეტანილია ავტორის რჩეული ნაწერების მეოთხე, დამატებით, ტომშიც, 1981 წ.).

დაუბრუნდა და დასტურისათვის კორნელი კეკელიძის სტატიას მოუხმო. ესეც შესაშე შეწეო.

აკაკი გაწერელიამ ის ციტატი მოიტანა კორნელი კეკელიძის წერილიდან („მე მივაკლიე, მე ამოვფიფრე...“), პავლე ინგოროყვამ გაშართულ დახასიათებად რომ მიიჩნია, და პასუხის განმარტება არ ვაიზარა.

„განსვენებულ მეცნიერს ამ შენიშვნისათვის პ. ინგოროყვამ თავისი პოლემოკური ნიჭიერების მთელი ძალა დაატება თავს. მაგრამ როგორია საქმის ვითარება? კ. კეკელიძის შენიშვნა იყო — ფაქტის კონსტატაცია მხოლოდ! სტილი — ეს თვითონ აღამიანია (ბიუფონი) და აქ შეიძლება ბევრი იღაოს კაცმა, მაგრამ პ.ლ პავლე ინგოროყვას მართლაც ხშირად, ძალიან ხშირად უყვარს (მკითხველის დარწმუნების მიწინა) ერთი და იგივე გამოთქმის განმეორება — ეს ცნობილია (არ ვარგა მაგ. აკვირებულნი გამოთქმები „როგორც ირკვევა“ ან „როგორც გამოირკვა“, მით უფრო თუ წოგაწერ არაფერი ირკვევა და არც რამე გამოირკვეული)“.

სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ დახასიათებას არაფერი აქვს საერთო პავლე ინგოროყვას სტილის შეფასებასთან და, ბუნებრივია, ვერც დამაჯერებელი იქნება; მითუმეტეს, მკითხველისათვის, ვისაც წაიფხოული აქვს პავლე ინგოროყვას გამოყვლებები, გაჭირდება იმის დამტკიცება, რომ კორნელი კეკელიძის შენიშვნა მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია იყო.

ამ გამოყვლებიდან სულ სხვა შთაბეჭდილება რჩება.

გამოყვლებათა სტილიც სულ სხვა გრძნობას აღძრავს.

აღტაცების გრძნობას, რაც, ვთქვათ, ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს (დახასიათდეს და შეფასდეს) —

- „აქ ჩვენ გვხიბლავს ყველაფერი:
- როგორც მთლიანი ნაწარმოების გაბედული კონსტატაცია, ისე მისი ნაწილების საშავლობითო დამუშავება და მართლთან შეწომილობა;
- როგორც ავტორის დიდი ერუდოცია აღე-

ბულ საკითხებში, ისე მისი კვლევითი ინტერესების უმაღალითო ენერგია;

— როგორც მეთოდი სადავო, დახლართული საკითხებისადმი მიდგომისა და მათი გადაჭრისა, ისე ხერხი და უნარი ამ საკითხების ყოველმხრივ გაშუქებისა და მიღწეული შედეგების მათემატიკური ზედმიწევნლობით ჩამოყალიბებისა;

— როგორც გასაცარი, ფოლადივით ბასრი ანალიზი ფრიად რთული ფაქტებისა და ხშირად სრულიად ხელუხლებელის მასალისა, ისე მძლავრი, მაგნიტივით შემკრები და დუღავივით შემკრელი სინთეზი შორი-შორ გაფანტულის ფაქტებისა და ფრაგმენტალური მასალებისა;

— როგორც საერთოდ მძლავრი და დამაჯერებელი კილო აზროვნებისა მთელი წიგნის მანძილზე, ისე კერძოდ ნამდვილი მათემატიკური ზედმიწევნილობა და უძლეველი დამარწმუნებლობა ყოველი აზგუმენტაციისა ცალკე.

— დასასრულ, როგორც საერთოდ დიჭი, აკადემიური სტილი ავტორისა (რომელიც მუდამ ერთდებო ახრებულ შეხედულებებზე პოლემოკური სტილით ლაპარაკს), ისე ბროლივით დახვეწილი, ზედმიწევნით სწორე, ლაკონიკურად მოკვითილი, ნათელი და ყველასათვის გასაგებნი ენა — ყოველი კერძო აზრისა და დებულების გამოსახატავად.

ასეთია ამ იშვიათი წიგნის იშვიათი ღირსებანი“.

როგორც ჭერ კიდეც 1926 წელს წერდა სერგი გორგაძე, წერდა „რუსთველიანას“ გამოცემასთან დაკავშირებით, ოღონდ, რადგანაც მკვლევარმა ბოლომდე შეინარჩუნა ამ ნაწრომში უკვე ასეთი სისავიბოა და დახვეწილობით გამოვლენილი ყველა ეს ღირსება, ამიტომ დღენისათვის შესაძლებელია, რომ სერგი გორგაძისეული შეფასება პავლე ინგოროყვას მთელს სამეცნიერო მოღვაწეობაზე განვაწოგადოთ. მითუმეტეს, არც ეს სიტყვები უნდა გამოხატავდეს ერთი კაცის, ერთი მკითხველის აზრს, ეს უკვე პავლე ინგოროყვას მომხრეთა და თანამოაზრეთა შეხედულებაა, ჩვენი აზროვნებისა და ეროვნული შეგნებისათვის მისი დიდი მისიის მაღიარებელთა შეხედულებაა. ეს იმ მკითხველის განცდა და თვალსაზრისია, ვისაც ენობაზა და ვისი მიუტყრომებლობის იმედოცაც აცხადებდა პავლე ინგოროყვა — „მკითხველი, რომელსაც წაიფხოული აქვს „გიორგი მერჩული“, ვფიქრობთ, არ ვაიზარებს... ასეთს ვაშართულ დახასიათებას ჩემი შრომისას“.

ხოლო სერგი გორგაძე „რუსთველიანას“ (ვიგულისხმობთ პავლე ინგოროყვას სხვა გამოყვლებშიც, თუნდაც ყველა ერთად, თუნდაც ცალ-ცალკე) ენობრივი სტილის შესახებ წე-

როსტომ ჩხიძემ
სტილიც პავლე ინგოროყვასი



რილის ბოლოს ბელახო საგანგებოდ იმეორებს („უკველგან ავტორის ენა დახვეწილია, ლაკონიკურად მოკვეთილი, მათემატიკურად ზედმიწევნით, ნათელი და უკვლახათვის გასაგებია“), რათა უფრო გამოაქვეთოს მიცნეირული ნაშრომის ეს იშვიათი თვისება ჩვენში: ალტაცება კი მთელი წიგნით, წერილის გულწრფელი და, იმავდროულად, პათეტიკური პათოსის გარდა, სათურშიც მუდღავდება — „სამაგალითო წიგნი“ („ქართული მწერლობა“, 1926, №6-7).

ახე წერდა სერგი გორგაძე და ეს დეტალური დახასიათება მკაფიოდ წარმოაჩენს პავლე ინგოროყვას წერისა და აზროვნების მანერისთვის ნიშანდობლივ თვისებებს, მისი სტილის არსებით ნიშნებს; მკაფიოდ და შთაბეჭეტადაც შთაბეჭეტლათხა კი ფრაზების აზრობრივ დატვირთვასა და ლაკონიურობასთან ერთად მათი რიტმული წყობაც აღიერებს.

სახეებით სწორი და ზუსტი დახასიათება, ყოველმხრივ განხილული და განმარტებული შეფასება.

სწორია და ზუსტი, რადგან გულწრფელად და ისეუარულით არის დაწერილი, ცოდნითაც, ცხადია.

სწორია და ზუსტი, რადგან წიგნი ერთიანობაშია გააზრებული და სტილის ღირსებანიც ნათლად ამიტომ წარმოჩნდება.

სწორია და ზუსტი, რადგან უპირველესად წიგნის ფორმისა და შინაარსის მარმონიულ შერწყმაზე იმგავტყენებს უურადლებას, მარმონიულ მთლიანობაზე, დიდი მკვლევარის ნაშრომთა ამ უმთავრეს ღირსებასა თუ თვისებაზე.

სწორია და ზუსტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წლებამდე ეს იყო პავლე ინგოროყვას სტილის ერთადერთი მართებული შეფასება და ობიექტური დახასიათება.

თუმცა ჯერ კიდევ შეიმჩნევა არაქანალი და მოკიდებულების კვალი, მაგრამ სტილი პავლე ინგოროყვასი, ამ სტილის მომხიბლავი, შთაბეჭეტავი ძალა დღეს უკვე აღარ არის სადავო. სტილს ზომ მინც აღარავინ ხდის სადავოდ, არაერთმა ჩვენმა მწერალმა გამოთქვა იგივე აზრი, ისეთივე ალტაცება, სერგი გორგაძის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დასაბუთებულ მსჯელობაში რომ იგრძნობა, გამოხატეს თავისებურად, მაგრამ ეცადნენ, რომ ისევე ლაკონიურად და მკაფიოდ გამოეთქვათ სათქმელი, როგორც პავლე ინგოროყვა წერდა და როგორც სერგი გორგაძემაც სცადა თავის დროზე.

ეს მოხდა ბოლო ხუთ წელიწადში და ბიძგი თუ თავისებური დასაწყისი პავლე ინგოროყვას მიჩუმათებული სახელის აღდგენისა და მისი ღვაწლის თანდათანობით წარმოჩენისა გახდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1979 წლის 18 მაისის გამოხმაურება პავლე ინ-

გოროყვას დაბადების 85 წლისთავისადმი გამომხაურებამ კიდევ ერთხელ და მტიკედ სცადა პავლე ინგოროყვას ნაღვაწისადმი ნიპილისტური და მოკიდებულების დარღვევა და, როგორც შერი და შერი გამოჩნდა, ნასიკეთო გავლენა იქონია ჩვენს წარმოდგენაზე.

ამ გავლენამ გამოამუღავნა ბევრი რამ, ბევრი რამისაც უფრო და უფრო სწორად შეგვახედა და უღავო გახადა პავლე ინგოროყვას სტილიც; და თუ სტილზე მსჯელობისას ახალი თითქმის არაფერი თქმულა და, არსებითად, სერგი გორგაძისეული დახასიათება განმეორდა, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ იმ პირველი ობიექტური დახასიათების დეტალური სიზუსტეა. ეს არის „ნაწილების სამაგალითო დამუშავება და მართლთან შეწომილობა“ ახლა სხვა სიტყვებით გამოიქვა და გამოიქვა როგორც კომპოზიციის სრულყოფილება ან ნაშრომების შინაგანად უაღრესად მოწესრიგებული არქიტექტონიკა, წერის მანერას კიდევ უფრო გამომხსავლეს რომ ხდის; და კიდევ, უფრო გამოკვეთილად აღნიშნა პავლე ინგოროყვას იშვიათი უნარი, ასევე იოლი და მშვენიერი საკითხავი გახადა ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური, პალეოგრაფიული, თუ სხვა უარავი, არასპეციალისტი მკითხველისათვის, წერისმანი ანალიზი და, აგრეთვე, შენიშვნები, დანართები, სქოლიოები. ამას (ამ იშვიათ უნარს), ცხადია, გულისხმობს სერგი გორგაძის როგორც ეს ფრაზა („ნაწილების სამაგალითო დამუშავება...“); ასევე სტილის მთლიანი დახასიათება, ოღონდ ეს ნაგულისხმევი ახლა უკვე საგანგებოდ გამოიყო ცალკე და პავლე ინგოროყვას სტილის კიდევ ერთ აუცილებელ ნიშნად წარმოსდგა.

ასეთნაირ გრძნობასა და შეფასებას იწვევს პავლე ინგოროყვას სტილის გულწრფელი და ობიექტური აღქმა.

ახეთ შთაბეჭდილებას ტოვებს მისი ყოველი ნაწარმოებისა და, კერძოდ, „გიორგი მერჩულის“ კითხვა.

„ფაქტის კონსტატაცია“ ეს არის, გაშარება ფაქტის კონსტატაცია ვერ იქნება, რაც შეეხება „უკვირებულ გამოთქმებს“ (როგორც ირკვევა, როგორც გამოირცხა...) ვითომდა მკითხველის დარწმუნების მიზნით, ამ გამოთქმებს, სადაც ეს საუბრობა, თავისი მიზეზი აქვს და არავის დასაწმუნებლად არ არის გამოყენებული, როდის იყო, რომ მკითხველს ანალიზის სიღრმისა და საბუთიანობის გარდა სხვა რამე არწმუნებდა — რომელიმე გამოკვლევაში, განსაკუთრებით როცა ამა თუ იმ ეპოქის ან საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო სურათს — ლიტერატურულს, კულტურულს, პოლიტიკურს — წარმოსახავს, პავლე ინგოროყვა მსჯელობისას ხშირად სარგებლობს სხვა გამოკვლევებიდან (რა ვუყოთ, რომ ამ გამოკვლევათაგან, როგორც სქოლიოებშია მი-



თითებული, ავტორმა ზოგიერთი მხოლოდ მოხსენების სახით წაიკითხა, დაბეჭდვით კი, სხვადასხვა მიწვევა გამო, ვეღარ დაბეჭდა, ზოგი მოხსენებებადაც არ წაუკითხავს) მიღებული დასკვნებით და, ბუნებრივია, ხელახლა დასაბუთებას საჭიროდ აღარ მიიჩნევს; ხანაც გამოკვლევის მომდევნო გვერდებზე უნდა დასაბუთდეს რაიმე საკითხი, ან ცალკე უნდა დამუშავდეს, მაგრამ ამ საკითხის მოხსენიება და მისი შესწავლისას აღძრულ თვალსაზრისთა ზოგადად გაცნობა მკითხველისათვის წინასწარაც იყო საჭირო.

პავლე ინგოროყვას წერის მანერა, ექსპრესიის მიუხედავად (რადგან ექსპრესიის საფუძველი მის ნაშრომებში, და საერთოდაც არის აზროვნების სიღრმე, სინათლე და სიმწყობერ და არა სტილის ვითომდა გამაძაფრება ცრუპათეტულობით) გარეგნულად მშვიდია, თუმცა შინაგანი მღელვარება მაინც იჩინებს ხოლმე თავს და მქმნის ოღნავ პათეტუკა გარეულ ლირიზმს, რაც ხან თითო-ორჯოდა ფრაზაში ექცევა (ვთქვათ მონოგრაფიაში შოთა რუსთველზე: „უკველადერი გვაფიქრებინებს, რომ შოთა რუსთველი დაკრძალულია მის მშობლიურ რუსთავში, რუსთავის ძველი კათედრალის სანახევში, ხალაქ მოსამის. მშობლიური მტკრის ნელი სმევაენება“. ფრაზის ლირიზმს კიდევ უფრო აძლიერებს აშკარა ასოციაცია ბარათაშვილის სტრიქონთან; ან ნარკვევში ილია ჭავჭავაძეზე: „მ სერტმებრს ქართველმა ხალხმა ილიას ნეშტის, რომელსაც დაედინა ცრემლი მთელი საქართველოსი, მიაბარა მშობლიურ მიწას მთაწმინდაში“, აქ კი უნდა იყოს აღუწია თუ თავიებური გამოქაბილი ფრაზისა დიდი ილიას წარმოთქმული სიტყვიდან ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე: „...და ამათს ცრემლს წედ დასდის იდებული ცრემლი მთელის საქართველოსი“, ან ნარკვევში აკაკი წერეთელზე: „...პიემში „გამზრდელი“ ვლერს აკაკის შავიური ლექსი, ნათელი და მოთინათინე, გამჭვირვალე, როგორც წყარო იმ მთებისა, რომელსაც იგი უმღერის: ლექსი მარტივის წყობით დართულის რიტმით, რომლის პარმონიულ რხევაში თითქოს გვესმის კავკასიონის მთებიდან მორხეული სიოს სუნთქვა და ტყეების შრიალი“; ან დიდი ილიას თხზულებათა ათკამეულის მე-ათე ტომისათვის დართულ სარედაქციო წინაშენებში ილიას ოლღასადმი გაგზავნილი შერიქლების გამო: „მღელვარებით ვკითხულობდი ამ წერილებს, წერილებს კითხვის დროს ილიასეულ ოთახში თითქოს გაცოცხლდნენ ილიას და ოლღას აჩრდილები“; ან ეს პასუხი „რუსთველიანას ეპილოგიდან“: შოთას და ცოტნის ნათესაობა უფრო დიდია, ვიდრე ოჯახური და ხორციელი ნათესაობა. მათ აკავშირებთ უკველი ნათესაობა სულისა, მათ აერთებთ სიყვარული სამშობლოსი, როდესაც ცოტნე დადიანი, სამშობლოსათვის თავგანწირული, მივიდა

მონგოლებთან და მხრებშერული დაქაღმეტი ბრების გვერდით, აქ მას, სამშობლოსათვის თავდადებულთა შორის, დახვდა მხოვეცი შოთა“, ხანაც უფრო გაიშლება, როგორც ვთქვით, „რუსთველიანას ეპილოგის“ ბოლოსიტყვა, ეპიგრაფად წამაძვარებულ აკაკის სტრიქონებს („წინ მოგვეგებენ ღიმილით შენი მზე, შენი მთვარე“) პოეტური აღმფრენით რომ მოპყვება და ამ ერთგვარი აპოთეოზით ამთავრებს და აქამებს არა მარტო „რუსთველიანას ეპილოგს“, არამედ პავლე ინგოროყვას მთელს რუსთველოლოგიურ ძიებებს — „ძვირფასო მკითხველო, თქვენ, და თქვენთან ერთად მეც, გვკონდა ბედნიერება დაგვენახა, ქართველი ერის დიდ მნათობა შორის ნათელი სახე თვის შოთასი. ამიერიდან შოთა — თავისი ბიოგრაფიით, ისევე ნაცნობი ხდება ჩვენთვის, როგორც ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვეპა.

შოთა უდალდესი პოეტია, ხოლო ამავე დროს იგი იყო მამა ერისა, ქვეყნისათვის თავდადებული.

შოთას სახე ჩვენ გვინათებს სამშობლოსათვის შეფიცულთა — კობტრისათვის გმირთა — ნათელი ხომლიდით, შარავანდითი შემოსილი“ (თხზულებანი შედ ტომად, ტ. I, 1948 წ.).

ამგვარი ფრაზები, ამგვარი ადგილები არცთუ ისე ხშირად გვართება პავლე ინგოროყვას ნაშრომებში, ეს ხერხი, მისი სტილის ეს თავიებურება, არცთუ ისე ხშირად არღვევს თბრობის ერთიან კალაპოტში მოქცეულ მშვილდა და მწყობრ დინებას, თბრობის, მსჭელობის, ანალიზის, რისთვისაც არაფერია წვრილმანი, უმნიშვნელო, ნაკლებმნიშვნელოვანი თუ მეორეხარისხოვანი, არაფერი, რაც საქართველოსა და ქართულს უკავშირდება.

პავლე ინგოროყვას დაუცხრომელი ძიება და მცდელობა, რომედნადაც კი შესაძლებელია, არაფერი დატოვოს შეუმჩნეველი და გაუანალიზებელი, მისი განსაკუთრებული მიდრეკილება გამოთლიანებისაკენ — როცა მკვლევარი ცდილობს ერთ მთლიანობაში გაიზროს ქართული ეროვნული სიტრია, ეროვნული კულტურა, მთლიანობაში გაიზროს ცალკეული ეპოქა, პერიოდი, ცალკეული პიროვნების ცხოვრება თუ ცალკეული ლიტერატურული ან საზოგადოებრივი მოვლენა და, თავის მხრის, ეს ყველაფერი მთლიანობაში წარმოსახულ ქართული ცივილიზაციის სურათს შეურწყას — მისი ეს განსაკუთრებული მიდრეკილება, მისი პიროვნული ხასიათის ეს თვისება მკვლევარის სტილსაც კიდევ ერთ თავიებურებას ანიჭებს.

გვულისხმობ ვრცელ მსჯელობებს ქართული მწერლობის ჩვენად მთელწვეული ძეგლების შესახებ, უფრო კი იმას, რომ ეს მსჯელობანი თუ მიმოხილვანი გამოკვლევებში ცალკეა გამოყოფილი და დასათურებული.

არც ერთი სხვა მკვლევარი რუსთველისა ან



ბარათაშვილისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ცალკე თავად არ გამოყოფილა მსგებობის მათი დეკარგული თხზულებების შესახებ.

„რუსთველიანაში“ ცალკეა გამოყოფილი „შოთას არმოდწეული თხზულებანი“ („ქებანი“ და რომანი-პოემა იოსებ მშვენიერზე).

ბარათაშვილის ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ცალკე თავად იყო გამოყოფილი მსგებლობა პოეტის მოუღწეველი თხზულებების შესახებ. ეს მონოგრაფია სხვადასხვა დროს რამდენჯერმე გამოქვეყნდა და „რუსთველიანასთან“ ერთად პავლე ინგოროყვას თხზულებათა შვიდტომეულის პირველ ტომშიც (1968 წ.) არის შესული. მოგვიანებით, როცა მკვლევარმა მონოგრაფიას დაურთო სპეციალური ტექსტოლოგიური ნარკვევი — „ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერებთან“ (წიგნში: „ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი“, 1975 წ.), ეს თავი („ნიკოლოზ ბარათაშვილის არმოდწეული თხზულებანი“) შევსებული სახით მონოგრაფიიდან ამ ნარკვევში გადაიტანა და, საკვლისხმომად, რომ ქვეთავებიც კი გამოკვეთა: ა. — „ვიტრიცის“; ბ. — სხვა თხზულებანი ნიკოლოზ ბარათაშვილისა პოლიტიკური რადიკალიზმით აღბეჭდილი; გ. — ...არმოდწეული ლირიკული ლექსები; დ. — ...არმოდწეული თარგმანები; ე. — ...არმოდწეული თხზულებანი ბოლო პერიოდისა (1844-1845).

არცერთი სხვა მკვლევარი არ დაწერდა ცალკე თხზულებად „რუსთველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობას“ („რუსთველის კრებული“, 1928 წ.). შეუძლებელია დაეწერა... რადგან ჭერ მარტო ჩანაფიქრის მხრივ ეს უაღრესად ორიგინალური გამოკვლევა, რამდენიმე თხზულების გარდა („ვიტრიცია“, „ამირან-დარეჯანი“, დიდაქტიკური ეპოსი „სახის — მტყუელი“, აპოფთეგმების ოთხი პროზაული კრებული...) სურათის სისრულისათვის რომ არის, მოხმობილი (სურათის სისრულისთვისვეა აქაც ზედახლა განმეორებული თავი შოთას მოუღწეველი თხზულებების შესახებ), მთლიანად რენესანსის ეპოქის ქართული ლიტერატურის დეკარგულ ძეგლებს ეძღვნება, ზოლო ასეთი სახის ნაშრომი ჩვენში სხვა არ არსებობს*. უცხოეთში რამდენად არსებობს, ძნელი სათქმელია, ოღ-

ონდ ის კი დაბეჯითებით შეიძლება თქვას, რომ გავრცელებული მოვლენა არც იქ იქნება, ყოველ შემთხვევაში, პავლე ინგოროყვასათვის, როცა ამ გამოკვლევის დაწერის იდეა გაუჩნდა, რაიმე პრეცედენტის არსებობა უცნობი უნდა ყოფილიყო.

ამ მონოგრაფიაში (ინტევი, როგორც ბარათაშვილის მოუღწეველ თხზულებებზე მსჯელობისას, ოღონდ აქ მკვლევარი პოეტის თანამედროვეთა გადმოცემებსაც ემყარება) სხვადასხვა ცნობასა, რეალიასა, მინიშნებასა, სხვა თხზულებებში დაცულ რამდენიმე და ხან ერთადერთ ექსტრაპოტსა თუ ფრაგმენტზე დაურღობობ, ცხადია, ვარაუდითა და მიხაზლოებით, აღდგენილია სათაურები და ზოგადი შინაარსიც კი იმ ისტორიული, დოკუმენტური თუ მხატვრული ძეგლებისა, რაც დღეისათვის დეკარგულია.

ყველაფერი რამდენადაც კი შესაძლებელია, დეტალურად არის აღწესებული და თემატურად და უნარობრივად გამოწერილი და დალაგებული (რომანტიული ეპოსის ძეგლები; საისტორიო და მითიური ეპოსი, საჩინდლო რომანი; დიდაქტიკური თხზულებანი. აპოფთეგმები, ლირიკა, მეზობტენი, ცალ-ცალკეა განხილული თარგმანი და ორიგინალური ძეგლები (ვთქვათ, რომანტიული ეპოსის თარგმანი — ვაჟე და აზრა, ლეილა და კაენის (ლეილ-მეგნუნია), ხოსრო-შანშა და ბანუ (ხოსრო შირინიანი), სალამან, შაბტორ და ანალთ — და ორიგინალური — დილარგეთიანი სარგის თმოგველისა, ეთერიანი, ოსნაოზ და შპარიაროზ, რადდარ, რაშენ — თხზულებანი), აღდგენილია მივიწყებულ პოეტთა, მეზობტენთა და ლირიკოსთა, სახელები (ჩახრუხანსქე მეორე, მილისეველი, ბარამანი, იოანე შავთელი, „აბულმეხინის“ ავტორის სტენია, ბისტიკა და ძაგნაოკრები).

თუ რამდენად საბუთდება ყველაფერი, ეს უკვე სხვა საკითხია. მთავარი ის არის, რომ საერთო სურათი, რუსთველის ეპოქის ლიტერატურული ფონი, უტყუარია და ბევრი რამით დამაფიქრებელია.

უტყუარია, რადგან გააზრებული და აღდგენილია დიდი ინტუიციით, ეპოქისა და გარემოს უღრმესი ცოდნითა და მრავალი ნიუანსის გათვალისწინებით. ინტუიცია ნიჭია და მისი ახსნა შეუძლებელია, მაგრამ ინტუიციის რეალური

*მართალია, არსებობს ივანე ლოლაშვილის ამავე ეპოქის მწერლობისადმი მიძღვნილი ზუსტად ასეთვე სახის ნაშრომი, „კლასიკური ხანის“ XI-XIII სს). ფრაგმენტები; არმოდწეული ძეგლები და უცნობი ავტორები“, მაგრამ ეს ნაშრომი, როგორც მისი შინაარსიდან და საერთო პათოსიდან ჩანს, დაწერილია პავლე ინგოროყვას „რუსთველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობის“ ერთგვარი გავლენით, ანუ პავლე ინგოროყვას გამოკვლევა გამხდარა

გარკვეული ბიძგი, გამომწვევი მიზეზი ამ ნაშრომის შექმნისა. ასე რომ, რადგანაც ასეთი სახის გამოკვლევის შექმნა მისი ავტორისათვის — თუ არა გარკვეული ბიძგი, გამომწვევი მიზეზი — ბუნებრივი არა ყოფილა, ამიტომ ივანე ლოლაშვილის ნაშრომს აქვს მხოლოდ მეცნიერული მნიშვნელობა და თვითონ მკვლევარის პიროვნული ხასიათის შესაცნობად ნაკლებად გამოგვაადგება.



საფუძველი ფართო ერუდიციაა. ფართო ერუდიციაა პავლე ინგოროყვას ინტელიციის რეალური საფუძველიც.

და თუ რომელიმე სხვა მკვლევარი დაკარგულ თხზულებებს ასე ცალ-ცალკე არ დაასათურებდა და მსჭალობის მიზნარებას მოადევნებდა, ან სულაც მხოლოდ სქოლიოში მიუთითებდა, ცხადია, ნაკლი არ არის, ისევე, როგორც არც პავლე ინგოროყვას სტილისათვის არის ეს ღირსება, თავისებურება, უფროა, მიზი სტილის თავისებურება — რათა, რაც შეიძლება, გამოკვეთილი და თვალსაჩინო იყოს უველადერი; რათა, რამდენადაც კი მოხერხდება, დაახლოებით მიიწვინებინოს წარმოდგენა იმ ლიტერატურულ ძეგლებზე, ჩვენამდე რომ ვერ მოღწიეს; ზოგან მხოლოდ სათური გადარჩენილა, ბევრისა სათურიც დაკარგულა, მაგრამ მაინც დიდ გავლენას ახდენენ არა მარტო იმ ეპოქაზე, როცა ისინი შეიქმნა, არამედ ჩვენს დღევანდელ სულიერ ყოფაზეც.

გარტულად ამგვარია პავლე ინგოროყვას სტილი, რომელსაც, ყველა ღირსებასთან ერთად, უაღრესად ფაქიზი ტაქტიც ახასიათებს.

ფაქიზი ტაქტი რომ პავლე ინგოროყვას სტილის ერთი არსებითი ნიშანთაგანია, ამას ქრტილდეგ როდის შენიშნავდა სერგი გორგაძე („...მუდამ ერაღება არსებულ შეხედულებებზე პოლემიკური სტილით ლაპარაკს...“) და მერც არსა, პავლე ინგოროყვას ვერცერთ ნაშრომში ვერ წვაწყდებით სხვა, წინაშეობდელ თუ თანამედროვე, მკვლევართა განმარტებელ კილოს, მათ დამამცირებელ ხსენებას, უფრო მეტიც, პავლე ინგოროყვას თუნდაც ვადაკრით, თუნდაც ქვეტექსტიაც კი არავინ გაუყენწლავს, ისიც მეტად იშვიათად უწერია რომელიმე მკვლევარზე, ცდებო (თუ ძალიან ჩვეულებით, პავლე ინგოროყვას მთელს შემოქმედებაში შესაძლოა დაიძებნოს ამის მაგალითები, მაგრამ ეს ტიპური არ არის მკვლევარისათვის) და, მიუხედავად იმისა, რომ სიუმაწვილიდან მოყოლებული უამრავი აშკარად მცდარი და ტენდენციური შეხედულება თუ კონცეფცია დაურღვევია, ზოგი ღრმად გამჭადარი და დამკვიდრებულიც კი, უკველთვის ერთი მეთოდი მქონდა, მისი სტილისათვის შესაფერისი მეთოდი — ახსენებდა მანამ არსებულ რომელიმე თვალსაზრისს, მცდარს, ტენდენციურს, ზოგადად მიუთითებდა, რომ ასეთი თვალსაზრისიც არსებობს, და მერც, პოლემიკური პათოსის გაუმწვავებლად (რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი და პრინციპული შემთხვევის გარდა) დაასაბუთებდა მის მცდარობას.

ერთხელ პირადი საუბრისას, ნიკა აგიაშვილის გადმოცემით („ბრძენი ხამს მისად მაქებრად...“; „ლიტერატურული საქართველო“, 1982, 17 სექტემბერი), როცა სიტყვა „რუსთველიანის“ სტილზე ჩამოვარდნილა და ლაპარაკში

თანდათან შეცნირულ სტილის საკითხზე წაშლირილა, პავლე ინგოროყვას ასეთი რამ უთქვამს —

...„მე არ შემძლია ზოგიერთივით მსჭალობა და წერა. მაგალითად, ამბობენ: „ჩვენ დიდის გულმოდგინებათა და რუდუნებით, გამოწვლილვით გამოკველიეთ ეს საკითხი, მრავალჯერ ავწონ-დავწონეთ, შევაჭერეთ ახალ-ახალ საბუთებთან და მივედიო იმ დასკვნამდე და დავადასტურეთ და დავამტკიცეთ კიდევ, რომ ორჯერ ორი ოთხია და არა ხუთი...“

ეს შორეიცი კი აღარ არის, აღარც ირონია, სატირია, სატირულად ნაჩვენები სურათია ზერელი კვლევისა.

სატირია, მაგრამ ეს პირადი საუბრისას (ესეც ალბათ ამ ერთხელ მოხდა), ხოლო გამოკველევაში პავლე ინგოროყვას ორად ორი ფრაზის გარდა, განსაკუთრებული ვითარება რომ მოითხოვდა, სხვა არაფერი უწერია არამტყო ირონიული, ოდნავ დამცინავიც კი.

იუმორის გრძნობა კი ძალიან შეელოდა („იუმორის დიდი გრძნობა აქვს“, ესეც ნიკა აგიაშვილმა აღნიშნა იმავე წერტილში).

შეელოდა მაშინაც, როცა მის დიდი აღმოჩენებს ამცირებდნენ და სახელს უტეხავდნენ, მაშინაც, როცა არაობიექტურად ხსნიდნენ და სრულიად ნათელ საკითხებს ძალისძალათი აბუნდოვანებდნენ, მაშინაც, როცა მის მიგნებებსა და დაკვირებებს ითვისებდნენ.

ამდებინება იუმორის გრძნობა და რწმენა იმისა, რომ ეს უველადერი წარმავალი იყო, ხოლო ჭეშმარიტი აღმოჩენების ღირებულებას ვერაფერი გააუფასურებდა, და თუ კორნელი კეკელიძესთან კამათის დროს პავლე ინგოროყვა გულსტიკივლით იხსენებს მისი რამდენიმე მიგნების მითვისების ფაქტს (ისიც იმიტომ, რომ იქით დაბრალდა პლაგიატ), ყველაზე საგულისხმო აქ მაინც ის არის, რომ ერთ ასეთ ფაქტს (პანტელეიმონ ბერაძეზე ადრე მან დაალაგა მტრულად იოანი-ზოხიშენს „გუნდნი იგი ზეცისანი“) თითქმის გამართლებასაც კი უძებნის და ხსნის არა როგორც მითვისებას, არამედ როგორც უნებურ საქციელს —

„მე არ მინდა ვიფიქრო, რომ პ. ბერაძემ ეს შეგნებულად ჩაიღია.“

არაა გამორიცხული, რომ პ. ბერაძეს გადაავიწყდა ჩემი მოხსენებაც 1984 წლისა, ჩემი წერილიც 1989 წლისა, და სლოვანში ჩარჩუნდლო, მოსმენილი და წაითხული, შემდეგ თავისად მიიჩნია, ასე ხდება ზოგჯერ.“

პიროვნული ხასიათისა და სტილის ამ თვისებათა გამოა, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე პავლე ინგოროყვას სამად სამი პოლემიკური წერილი აქვს დაწერილი — ორი კორნელი კეკელიძის რეცენზიების პასუხად („გაორჯგ მერჩულემდე“ კარგა ხნით ადრე კამათი „რუსთველიანამ“ გამოიწვია — „რუსთველიანაზე პროფ. კ. კეკე-



ლიძის წერილების გამო", „მნათობი“, 1927 №№8 და 4) და ერთიც — კონსტანტინე ჭიჭინაძის რეცენზიისა, „ვეფხისტყაოსნის“ 1958 წლის გამოცემასთან დაკავშირებით („ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო“; „ლიტერატურული გაზეთი“, 1954, №№11 და 12); ერთიც რეპლიკა — „შენიშვნა შეიქვეს საუკუნის ქართულ ხელნაწერებზე (ივ. ჯავახიშვილის მოხსენების გამო)“ („რუბიკონი“, 1928, 11 თებერვალი). აქვე შეიძლება ვიგულისხმოთ ერთი პატარა ქვეთავი „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობიდან“ — „შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ (სიუჟეტის ორიგინალობის შესახებ“ (პოლემიკა ნიკო მართან) და დიდი ილიას თხზულებათა ათოკმეოლის მეშუეთ ტომისათვის (1955 წ.) დართულ სარედაქციო შენიშვნებში პოლემიკა გიორგი თავიშვილიანთან.

პოლემიკური წერილები მწვავე არ არის (თუმცა კორნელი კეკელიძისთან კამათისას მკვლევარს მაინც წასცდება რამდენიმე ცხარე გამოთქმა), პავლე ინგოროყვას სტილი მწვავე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალობის მტკიცებისას ხდება, ისევე ის სტილია, ნათელი, ექსპრესიული, გასაგები, ოღონდ მშაფრი. მაგრამ პავლე ინგოროყვას სტილის პოლემიკური გამჭაფურება განსაკუთრებით იგრძნობა „გიორგი წერტილის“ პირველი ნაწილის VI თავში — „ისტორიული ჭეშმარიტების დამახინჯება საქართველოს სამხრეთ მხარეების (მესხეთისა და სამხრეთი ქართლის) ისტორიის საკითხებში“ (შეხავალი და I ქვეთავი) — რომელშიც მკვლევარი საქართველოს ისტორიული საზღვრების ნებთ ისე უნებლიე დამახინჯებლებს ეკამათება თუ ენებლიე ლოგურად და დამაჭერებლად, როგორც საერთოდ სჩვევია წერა, ახაზუთებს ისევე მწყობრად და ნათლად, როგორც საერთოდ სჩვევია დასაბუთება, აანალიზებს ისევე საგულდაგულოდ და ძირისძირობამდე, როგორც საერთოდ სჩვევია გაანალიზება. ანე თუ დავარდუნდა და სრული უეჭველობით ასე თუ აჩვენებდა მცდარობას და ტენდენციურობას (მისივე სიტყვებით, „ისტორიული ჭეშმარიტების ერთს დიდს დამახინჯებას“) საისტორიო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულებებისა — „ერთივე მესხეთის უდიდესი ნაწილი (მესხეთის ყველა სამხრეთი პროვინციები) და ნახევარი ქართლისა (სამხრეთი ქართლი) ეს თითქმის არის ნაწილი ისტორიული სომხეთისა, რომელიც უფრო გვიან ხანაში საქართველომ ვითომც სომხეთიდან დაიპყრო და გააქართულა“ — მხითარისტა საისტორიო სკოლის მიერ აღიარებული შეხედულებისა, თანდათან ფართოდ რომ გავრცელდა და დამკვიდრდა ევროპის არმენისტიაში (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობილმა ევროპელმა არმენისტმა, ანტონ-ჟან სენ-მარტენმა გაიზიარა ეს თვალსაზრისი).

სოლო მოგვიანებით, როცა ეს კონცეფცია

ნიკო მარმა არა მარტო გაიმეორა, განავრცო კიდევ, იმის გამო, რომ მარის „აკაკიანის ხალხთა ისტორიის დიდი და განუხეილ ავტორიტეტად ითვლებოდა“, რა თქმა უნდა, ეს შეხედულება კიდევ უფრო გავრცელდა და განიტყვიდა რუსულსა და ევროპულ სპეციალურ ლიტერატურაში.

ამ შეხედულების მიხედვით, კლარჯეთი („...სადაც მე-8-მ საუკუნეთა მანძილზე განთქმული ქართველი მოღვაწეების გრიგოლ ხანძთელისა და იბერიის მეფე-კურაპალატის აშოტ I დიდის დროს დაირწა აკაკიან საქართველოს კულტურული და პოლიტიკური აღორძინებისა...“) აღარ ითვლებოდა ძირეულ ქართულ მიწა-წყლად და ერთგორაფილ სომხეთად ცხადდებოდა.

მთლიან აქ კონცეფციის საფუძველი, რაც ცხადეულ და დადასტურა პავლე ინგოროყვას კვლევამ, იყო ისტორიული წყაროების მცდარი და ტენდენციური ანალიზი, უფრო ზუსტად, საისტორიო წყაროების ჩვენებათა ძალდატანებულ მორგება წინასწარ აკვატირებული თვალსაზრისისათვის.

ეს არ უოფილა მხოლოდ მცდარი კონცეფცია, ამ კონცეფციას ბევრი ზიანისა და ბოროტების მოტანა შეეძლო და ამიტომ არის, რომ პავლე ინგოროყვად არა მარტო ობიექტურად ხსნის და წეროდა გაიარებს სომხურ, ანტიკურ ხანის ბერძნულ-რომაულ. ქართულ წყაროებში დაეულ ცნობებსა და გეოგრაფიულ ნომენკლატურას, არამედ უაღრესი სიმძაფრითა და სიშკაცრითაც წერს, დიდი „ქვათა დაღადის“ სულისკვეთებით. და თუმცა ეს სულისკვეთება ასეთი აშკარა, აქ უშუალოდ არსად იგრძნობა მინიმუმ, რემინისცენცია თუ გამოძახილი „ქვათა დაღადიდან“, ეს გამოძახილი, ანუ სრულიად მკაფიო მინიშნება, პავლე ინგოროყვას სხვა წიგნში გვხვდება, ამავე საკითხებისადმი მიძღვნილ, ოღონდ სხვა წიგნში. ეს გახლავთ ფინალური ფარა 1918 წელს კონსტანტინოპოლში გამოცემული პატარა წიგნაკისა, „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ (მოკლე სამახსოვრო ცნობა)“, მესხეთის პროვინციის (ახალციხე-ახალქალაქისა და ბათომ-არტანუჯის მხარეები) ქართულ წარმომავლობაზე საუბარს რომ მოსდევს, ანუ იმის დასაბუთებას, მესხეთის პროვინციაში მოსახლეობის მთავარ ელემენტს ქართველობა შეადგენს: „ამავე დროს, — და ეს ყოველის უწინარეს მისაღება მხედველობაში — ქართველ ერს ამ მხარეზე წმინდა ისტორიული უფლება აქვს. ეს პროვინცია — ძირეული ქართული ქვეყანა არის, აკაკიან ქართული კულტურისა, რასაც მისი ქვანაც კი დადადებენ, — შრავალფეროვან ქართულ კულტურის მოწმეუბნები“.

ქვანი უკვეთვის სიმართლეს დადადებენ, ეს უდავო ჭეშმარიტებაა (მოვიგონოთ თუნდაც ლუკას საბარებიდან: „ხოლო იესო მიუგო და მრჭუა მათ: ვეტყვი თქვენ, დადათუ ესენი დუ-



მენე, ქვანი ღალადებდენე“ (1940), მაგრამ როცა ტენდენციურად განსაჯეს და მათი ღალადის განყოფილება უკუღმართად სცადეს, დიდმა ილიამ გამოაცალა ამ სიცრუეს საფუძველი და ქვათა ღალადის სიმაართელი პირვანდელი და ნამდვილი აზრით აღადგინა, იმ აზრით, რასაც უნდა დაურდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ სიმაართლის დადგენის ინტერესით ნაკარნახევი კვლევა. ამასთან დიდმა ილიამ იმის კლასიკური ნიმუშიც დასაბა, თუ როგორ მკაცრად არის საპიროს ისტორიული კემშარიტების გაშვალბებელთა მხილება.

ქვანი ღალადებენო, ასევე სწამდა პავლე ინგოროყვასაც, სწამდა, როგორც დიდი ილიას ადვოკატი, ამ რწმენით ეძიებდა ახალ-ახალ საბუთებს საქართველოს ისტორიული საზღვრების დასახელებად და ხეთური იეროგლიფების ამოხსნასაც ამავე რწმენით ცდილობდა.

ქვანი ღალადებენო, და თუმცა „გიორგი მერჩულეში“ ეს სიტყვები აღარ გაივლივებს, „ქვათა ღალადისეული“ სულისკვეთება მაინც იჩენს თავს და პავლე ინგოროყვას სტილს მწვავე იერს სძენს, სიმძაფრესა და სიმკაცრეს ანიჭებს. ამიტომ არის, რომ მკვლევარი აღარც ირონიას ერიდება („საქართველო-სომხეთის ისტორიის აქ დასახელებულ საკითხთა დამახინჯებით გაშუქებაში თვისი „წვლილი“ შიგტანა კერძოდ აკადემიკოსმა ნ. მარმა“, და „...ნ. მარმა ამ მხრივ, ისტორიული კემშარიტების დამახინჯებაში, შეიძლება ითქვას — ერთგვარ მწვერვალს მიაღწია“).

ასე ყოველმხრივ ეძიებს, ჩხრეკს და აღარებს მკვლევარი სხვადასხვა საბუთებს და ასე თანდათანობით ამუღვენებს კონცეფციის სიყალბებს („გახსენი მარის შეკრული კვანძიო“, ამის გამო უნდა მიმართავდეს იოსებ გრიშაშვილი პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულისადმი“ მიმღვნილ ლტქსში); და რაც უფრო მეტია და აშკარაა საბუთი, სტილის სიმძაფრე კიდევ უფრო იზრდება და მრისხანეც კი ხდება.

„მე მწერალი ვარ“, ამ რისხვასაც გულისხმობს, რისხვას ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აუალებს ისტორიულ კემშარიტებებს.

ასეთი გამძაფრებაც აუცილებელი იყო პავლე ინგოროყვას სტილისათვის, საბუთების უქვეყლობასთან ერთად ამ სიმძაფრესა და სიმკაცრესაც უნდა გაეზაიღებინა (მეტოც, სრულიად გასცამტვრებიან) ეს შეხედულება, ერთ-ერთი გამოვლინა ტენდენციური მოპყრობისა ჩვენი ისტორიული წარსულისადმი.

ასეთი გამძაფრება იმ მონუმენტური ქმნილების — ქართული ცივილიზაციის სურათის — ძირითადი პრინციპის, ისტორიული სიმაართლის, დასაცავად იყო აუცილებელი, მონუმენტური ქმნილებისა, პავლე ინგოროყვა მთელი სიცოცხლე რომ აგებდა.

ვასილ ბარნოვა მხატვრულად წარმოსაბა, ერთ მთლიან მხატვრულ სისტემაში შოაქცია ქართული იერის ცხოვრება.

პავლე ინგოროყვამ ქართული ცივილიზაციის მცენიერულად გააზრებული სურათი შექმნა, სურათი უძველესი, ხეთურ-ქართველური მსოფლიოს, ხანიდან დღემდე.

და რადგან, როგორც ნათქვამია, დიდ ქმნილებას დიდი სტილიც ესაჭიროება, პავლე ინგოროყვა თავის ამ მონუმენტურ ქმნილებას სტილსაც შესაფერისს, მონუმენტურს, უსადაგებდა, თავდაუზოგავი ძიებითა და შრომით ჩამოყალიბებულ, დახვეწილსა და დაწმენდილ სტილს. ამ სტილში, მხოლოდ ასეთ ექსპრესიულსა და მშვენიერ ფორმაში უნდა მოქცეულიყო ქართული ცივილიზაციის სურათი; ამ მონუმენტურ სტილში, რომელზეც მთლიანად შეიძლება გავიმეორათ ლენინი მრაველის სტილის თვითონ პავლე ინგოროყვასეული დახასიათება. —

„მას აქვს გარკვეული, მკაფიოდ გამოკვეთილი სტილი... სტილი სადაა და ნათელი, თხრობის წესი მარტივი, და ამასთან ერთგვარი ეპიკური მონუმენტულობით აღბეჭდილი.“

უნდა ხაზი გავუსვათ აქ იმ გარემობას, რომ ეს ეპიკური მონუმენტალური სტილი თავიდან ბოლომდე გასდევს... ტექსტს: ...ტექსტის სახით ჩვენ ვსაქრად ერთი მთლიანი ნაწარმოები გვაქვს, რომელიც თითქო ერთი მთლიანი ზოდიდან არის გამოკვეთილი. არც ერთ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვხედავთ... ტექსტის მანძილზე ცალკეულ ეპიკოდებს, რაც ორგანიზებად არ იყვეს შერწყმული მთლიანთან, რაც ვაულომობთ რაიმე სიეთს გადახვევას, ვერ არღვევდეს ამ მწყობრი ეპიკური მოთხრობის საერთო მდინარებას“.

რაც შეეხება ქართული ცივილიზაციის სურათს, ეს სურათი დიდი რწმენით იქმნებოდა და მისი შეცნობა და აღქმაც მხოლოდ რწმენით თუ მოხერხდება. აქ უილიამ ფოლკენერის სიტყვებს დავესხებ, „ულისეზე“, რომ უთქვამს უურნალისტ ჭინ სტიანთან საუბრისას: „...კოინის „ულისე“ ისევე უნდა ვეკითხოთ, როგორც უწიგნურო ბატონს მჟადაგებელი კითხულობს ძველ აღთქმას — რწმენით“ (წიგნში: უილიამ ფოლკენერი, „საუბრები“, 1984 წ.); დავესხებ, რადგან ფოლკენერის ეს იგავურად ნათქვამი ფრაზა, თუ მასში ჩადებულ აზრს განვაზოგადებთ, უპირველესად იმას გულისხმობს, რომ ქველა კემშარიტ, რწმენითა და გულწრფელობით შექმნილ (მხატვრულსა თუ მეცნიერულ) თხზულებას ჩვენი თვალსაზრისები კი არ უნდა მოვახვიოთ თავს, არამედ მათ დიდ რეალიზმს უნდა მივინდოთ და მათ სიღრმეში ჩაწვდომას ასე ვეცადოთ.

ასევე უნდა მივინდოთ დიდ რეალიზმს პავლე ინგოროყვას მცენიერული მეშვეობითობისა, ერთი სათაურის ქვეშ რომ მთლიანდებდა, სათაურისა — ქართული ცივილიზაციის ისტორია, და „ეპიკური მონუმენტალური სტილიც“ ხომ ამის გამო დასჭირდება.

ქართული ანბანი და „მეფეთა ცსოვრება“

რაც უფრო პარადოქსული და სასწაულებრივია ენიჭება, მით უფრო აშკარად დასტურდება, რომ იმას კი არ უნდა ვერწმუნოთ, რასაც იგი სიტყვით გვიცხადებს, არამედ იმას, რასაც ფარავს და იდუმალყოფს.

იმპერატორი იულიანე (IV ს.)

1

ქართულ საისტორიო მწერლობაში არსებობს ერთადერთი ცნობა, რომელიც ქართული ანბანის შექმნას ეხება. ეს ცნობა, რომლის თანახმად, ქართული ანბანი ანუ მწიგნობრობა შექმნა ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა, XI ს. ისტორიკოსს ლეონტი მროველს მიეწერება. უარესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ცნობა, რომელიც მომდევნო თაობების ქართველთა შორის, თითქმის 700 წლის განმავლობაში არავითარ ეჭვს არ იწვევდა, ჩვენი საუკუნის არცერთ მკვლევარს — ისტორიკოსს თუ ფილოლოგს — არ გაუზიარებია. ამ ცნობას უარყოფენ ან გვერდს უვლიან, ხანაც ანბანის წარმოშობის საკუთარი კონცეფციის მიხედვით, სავსებით სუბიექტურად განმარტავენ, რამაც არ შეიძლება იმ დასკვნამდე არ მივიყვანოს, რომ მასში არის რაღაც ისეთი, რაც სრულებით არ ესადაგება ანბანის მკვლევართა თვალთახედვას, მათი კვლევა-ძიების მიმართულებასა და საზრისს.

როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილისა და პ. ინგოროყვას მიერ ნაფარულდები მიახლოებითი თარიღი ქართული ანბანის წარმოშობისა დიდად უსწრებს წინ ფარნავაზის მეფობის ხანას, ე. ი. III საუკუნეს ძვ. წ-ით. გ. წერეთელი ფარნავაზს, როგორც ქართული ანბანის შემოქმედს საერთოდ არ ახსენებს, რაკი მას ქართული ანბანი არამეული პროტოტიპიდან ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებულად მიაჩნია. რ. პატარაძე ქართული ანბანის შექმნის ხანად ძვ. წ-ის V ს. უქანასკნელ მეოთხედს მიიჩნევს, რაც ფარნავაზის მეფობის წლებს საუკუნეზე მეტი ხნით უსწრებს წინ. ელ. მაჭავარიანი თუმცა კი აღნიშნავს, რომ მის „ნაშრომში განხილული არცერთი მონაცემი არ ეწინააღმდეგება ქართულ საისტორიო წყაროებში დაკულ ლეონტი მროველის ცნობას ფარნავაზის მიერ ძვ. წ. III საუკუნეში ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ“ („საბჭოთა ხელოვნება“, № 10, 1977), მაგრამ ამ ცნობის დამადასტურებელი რაიმე კონკრეტუ-

ლი არგუმენტი არ მოპყავს. „ფარნავაზის ცხოვრებაში“ დაკულ ამ ცნობას იგი ისევე, როგორც გ. წერეთელი, საერთოდ არ განიხილავს.

ზ. სარჯველადის აზრით, „ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ცნობა ალბათ გულისხმობს“ სახელმწიფოს საჭიროებისათვის საკანცელარიო მიზნებით ბერძნულის, ან არამეულის გამოყენებას. სხვაგვარად ძნელად თუ აიხსნებოდა ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ადრეული ხანის ბერძნული, არამეული და ა. შ. ძეგლები, ქართული კი არა“ (ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984, გვ. 76, სქოლიო). ცხადი უნდა იყოს, რომ „განაერცო ენა ქართული“ და „შექმნა მწიგნობრობა ქართული“ — არასგზით არ შეიძლება „გულისხმობდეს“ ბერძნულის ან არამეულის გამოყენებას. ზ. სარჯველადის აზრით, „ქართული დამწერლობის წარმოშობა უკავშირდება ქრისტიანობის შემოღებას“ (იქვე, გვ. 86) და ამიტომ, ანბანის შექმნის ტრადიციული ცნობა მისთვის კუშმარტებას მოკლებულია.

როგორღა განმარტავენ ამ ცნობას ისინი, ვისთვისაც მისი ისტორიული ღირებულება ამ ეჭვს არ იწვევს?

1. ინგოროყვას მიაჩნია, რომ „ფარნავაზის დროს... ჩატარდა შევესება ქართული ანბანისა, დართვა ძველი ანბანის ბოლოში ცალკე საგანგებო ნიშნებისა სპეციფიკური ქართული ბგერებისათვის“ (ტ. IV, 1978, გვ. 250). მაშასადამე. პ. ინგოროყვას აზრით, ანბანი უკვე ფარნავაზამდე არსებობდა, რაც აშკარად უგულებელყოფს წყაროს ჩვენებას, სადაც, როგორც ვიცით, ლაპარაკია ფარნავაზის მიერ ანბანის შექმნაზე და არა შევესებაზე.

რ. პატარაძის თვალსაზრისით, „ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია არა ფარნავაზმეფისა და საქართველოს დაარსების ხანაში,

* ხაზგასმა ყველგან ჩვენია (თ. ჩ.).

არამედ გაცილებით ადრე. ამიტომ მემბრინის ცნობა: და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი, ამან განაწილეთ ენა ქართული, და არალაზ იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თიხინერ ქართლოსისა. და ამან (ფარნავაზ) შექმნა მწიგნობრობა ქართული, — სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული დამწერლობა ფარნავაზმა შექმნა ან ფარნავაზის დროს შეიქმნა... მემბრინის ცნობა, რომ „ამან (ფარნავაზ) შექმნა მწიგნობრობა ქართული“, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ უკვე არსებული (!) ქართული დამწერლობა ფარნავაზ მეფემ ერთიან ქართულ სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადა“ (ქართული ასომთავრული, 1980, გვ. 513).

როგორც ვხედავთ, აქაც, საისტორიო წყაროს ჩვენება სუბიექტურად არის განმარტებული, ვინაიდან „შექმნა“ არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს უკვე შექმნილის „გამოცხადებას“. „ფარნავაზის ცხოვრებაში“ მკაფიოდ არის ნათქვამი: ფარნავაზმა „შექმნა ცერპი დიდი სახელსა თვისსა ზედა...“ „ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული...“

ამრიგად, საისტორიო წყაროში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ ანბანი შექმნილია ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის მიერ უნაყოფო და უნიადაგო აღმოჩნდა მკვლევართათვის.

შესაძლოა, ამ ცნობაში ფაქტების ობიექტურ რეალობაზე კი არ უნდა გამახვილებულიყო ყურადღება, არამედ განცილდნენ შთაბეჭდილებათა სუბიექტურ სიმაართლზე? მაგალითად, ზ. ალექსიძე ფიქრობს, რომ „ლევონტი მროველმა (ან მისმა წყარომ) სწორად გაიგო ფარნავაზის ეპოქის ამოცანა და სრულიად სამართიანად ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობა არ დააცილა მის ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშანს — დამწერლობის შექმნას“ (ეპისტოლეთა წიგნი, 1968, გვ. 032). „ლევონტი მროველის მიერ გადმოცემული ლეგენდა სხვა რომელიმე ზეგენდაზე ნაკლებად ყურადღების ღირსი არ არის“, დასკვნის იგი, გვ. 031).

ზ. ალექსიძის თვალსაზრისით, ანბანის შექმნის „ქართული ლეგენდის“ ღირსება იმაშია, რომ მისმა ავტორმა „ქართული დამწერლობის შექმნისათვის ეპოქა მეტად მოხერხებულად შეარჩია“, რომ ამ მხრივ, მან „შესანიშნავი ალღო“ გამოიჩინა (იქვე). მაგრამ აქედან ის ცნაურდება, რომ ამ ცნობის ავტორმა (ან მისმა წყარომ) თვითონ არ იცის ჩოდეს შეიქმნა და ვინ შექმნა ანბანი, როგორც ზ. ალექსიძე აღნიშნავს, იგი მხოლოდ სწორ ქრონოლოგიურ მიჯნაზე და შესაბამის ისტორიულ გარემოცვაში „აბინავებს“ ქართული ანბანის შექმნის ფაქტს...

ასეთია ვითარება, რომელიც ცხადყოფს არა მარტო ამ ცნობის ანალიზისას გამჟღავნებულ თვალსაზრისთა ნაირგვარობასა და ურთიერთშე-

უთავსებლობას, არამედ ერთგვარ „შემფიქრებლად“, რასაც ერთი მხრივ, მისი ლირებულების გამართლებისავე სწრაფვა, ხოლო მეორე მხრივ, მასში გამხველობი ინფორმაციისადმი დაეჭვების ურთიერთმოურიგებლობა იწვევს. როგორც ვხედავთ, არცერთი ქართველი მეცნიერისათვის არ არის ეს ცნობა პირდაპირი და კუმშორტი ინფორმაციის შემცველი. რა უნდა ვიფიქროთ? ის, რომ ეს ცნობა „ნატყუარი“ და „გამოვლილი“ თუ ის, რომ იგი ჭერ კიდევ არ არის გაანალიზებული კვლევის შესაბამისი მეთოდით და ახსნის ყველა შესაძლებელი მიმართულებით?

თუ დავუშვებთ ამ ცნობის ნატყუარობას, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ისეადაც ჩადენილია იმისათვის, რომ რამენაირად ახსნილიყო ქართული ანბანის არსებობის ფაქტი, მაშასადამე. უნდა დავუშვათ ისიც, რომ არავის არასოდეს არ სცოდნია როდის და ვინ შექმნა ქართული ანბანი. საერთოდ, ამ ცნობის „ნატყუარობას“ შეიძლება დამეცნოს ათასგვარი მიზეზი და ყოველი მათგანი იმდენადვე იქნება სარწმუნო, რამდენადაც დაუმტკიცებელი, და ჩვენ ვარაუდების დახშულ წრეში ვიპოვებთ დამსჯერებლად. აშკარა იქნება მხოლოდ ის, რომ კუმშორტი ვითარება უდიდესი მნიშვნელობის ფაქტისა ერთხელ და სამუდამოდ არის დაკარგული.

მწელია იმ აზრთან შეგუება, რომ ერთადერთ ქართულ ცნობაში, რომელიც უდიდესი კულტურულ-რელიგიური მნიშვნელობის ფაქტს ეხება, ნატყუარი ამბავი იყოს მოთხრობილი, რომ ეს ცნობა ნაყალბევი და ზერყეფ ფანტაზიის ნაყოფი იყოს, რომ მასში რაიმე კონკრეტული მითითება, რამენაირი მინიშნება არ იყოს დაცული რეალურად მომხდარ ამბავზე. ხოლო თუ ასეა, თუ ამ ცნობაში რამენაირი ფორმით მაინც არის გაცხადებული კუმშორტი, იგი როგორცა ჩანს, რაღაც სხვა მიმართულებით, სხვა სიზრისით და მეთოდით უნდა იქნას მოძიებული, შესაძლოა, ისეთით, რომელიც ერთი შეხედვით, ნაკლებად ასაჩინოებს მეცნიერების ჩვეულებრივ კანონებთან კავშირს. „ისტორიული გამოკვლევა თვალსაჩინოდ გვიდასტურებს, თუ რაოდენ სსარგებლოა მეცნიერული ცოდნის ფუნდამენტური პრინციპების უკმარობის გაცნობიერება. ამ პრინციპების გაფიქრებებს არაერთხელ მივუყვანებართ იქამდე, რომ ზოგიერთი ცხადად და მრავალჯერ შენიშნული მოვლენა არარეალურთა კატეგორიაში იყო შერაცხილი და დიდი ხანი უნდებოდა იმას, რომ მათი რეაბილიტაცია მომხდარიყო“ (დ. ლუბროვსკი).

აღნიშნული ცნობისადმი რწმენა (ისევე როგორც რწმენა უმადლესი რანგის რელიგიური

თამაზ ჩხენაძე
ბარათული ანბანი და „მეფეთა ცხომრება“

ქეშმარიტებისადმი) ურყევი და შეუვალი იყო საქართველოში თითქმის ახალ დრომდე. იგი, როგორც „ზღაპრული“ და „ფანტაზიისმიერი“ ამბავი მხოლოდ XX საუკუნის პირველ მეოთხედში იქნა უარყოფილი (ივ. ჭავჭავაძის, კ. კეკელიძის). მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ უარყოფას საფუძვლად ედო „პრეზენტისტული ობიექტურობით“ აღბეჭდილი ერთიანი თვალსაზრისი, რომელიც მთელი სიღრმით არ ითვალისწინებდა ამ ცნობის სავსებით უნიკალურ ხასიათს. ეს თვალსაზრისი ამხსნელ წინამძღვართაგან გამორჩეულად რელიგიური აქტიურობისა და ეროვნული მიზანდასახულობის ფაქტორებს, რაც მის ქეშმარიტ შემეცნებაზე ხელის აღებას ნიშნავდა.

გვიანტიკურ ხანასა და ადრეკრისტიანულ საუკუნეებში ანბანი საიდუმლო ჰერმეტიკულ მოძღვრებებთან იყო დაკავშირებული. ანბანი განიხილებოდა, როგორც „გამოუთქმელ საიდუმლოთა საწყაული“ (ს. ავერინცევი). იგი კრიპტოგრაფიული და კაბალისტიკური ახსნა-განმარტების საფუძველსა და საშუალებასაც წარმოადგენდა და ამიტომ მაგიისა და მისტიკის სფეროსაც განეკუთვნებოდა. (იხ. ფრანც ლორნზაიფის წიგნი: „მაგია და მისტიკა ანბანში“, ლაიპციგი, 1925). მთელი სიღრმით არ იყო გაცნობიერებული ანბანის, როგორც სტრუქტურის, როგორც რიცხვული სისტემის, და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტების, სპეციფიკა. რის გამოც გათვალისწინებული არ იყო, თუნდაც ვარაუდის სახით, იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ცნობა პირდაპირ ინფორმაციის გარდა შეიძლება შეიცავდეს არამირიადობა, და შიფრული ინფორმაციას, რომლის მოძიება ანბანის რიცხვული სისტემის საფუძველზე იქნებოდა შესაძლებელი. ამ ცნობის ანალიზისას ყველაფერი ეს ყურადღების სფეროდან იყო გამორჩენილი, ან უფროს შემთხვევაში, კრიტიკულად განწყობილი განცხადებით ირონიულ დამოკიდებულებას იმსახურებდა.

ამავე დროს, ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სხვა წყაროებთან ერთად გამოყენებულია „ასტროლოგიურ-კაბალისტიკური წიგნი ჰერმეს ტრისმეგისტონისა, რომლის შინაარსი ყოფილა თეოსოფიკი, ალქიმიკი, ასტროლოგიკი, აგრეთვე ახრებლის, საუქუნეთა, შეიდეულისა და მისი დღეების კაბალისტიკური განმარტება“ (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტ. ისტორია, II, 1981, გვ. 261).

„საიდუმლო კაბალისტიკური მოძღვრება“, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „პოპულარული ყოფილა საშუალო საუკუნეებში“, იმდენად, რომ მათ „ხშირად იხსენიებენ ხოლმე საეკლესიო მწერლებიც“, კერძოდ, ამავე ავტორის აზრით, ჟანსერის მხედველობაში სწორად ჰერმეს ტრისმეგისტონის წიგნები აქვს და არა სხვა რამე (ეტიუდები... IV, გვ. 72, 73). შეიძლება გვით-

ხრან, რომ „კაბალისტიკური“ ოპერაციები შედარებით გვიანდელ ხანას ეკუთვნის. მაგრამ უნდა გაიხსენოთ ს ავერინცევის მიერ აღნიშნული ის ფაქტი, რომ ორი იუდაური მისტიკური ტრაქტატის „რაბი აკიბას ასოები“ და „წიგნი ქნანდობისა“ (სეფერ იეცირა) „შემონახულ რედაქციებში გარკვეული ტრადიციის შედარებით გვიანდელი გამოხატულება აღბეჭდილი, მაგრამ თვითონ ტრადიციის სათავეს იღებს ჩვენი წელთაღიგვების პირველი საუკუნეებიდან. ყოველ შემთხვევაში, იუდაური დოქტრინა ასოთა საიდუმლო აზრის შესახებ გათვალისწინებულია და მიღებულია ადრეკრისტიანული აპოკრიფის მიერ, ბევრი რომ არა ვთქვათ, II საუკუნეში, სადაც აღწერილია, თუ როგორ აცხადებენ და არცხვენს მკორწლოვანი იესო ამ დოქტრინის არღნით თავის მასწავლებელს“.

უფრო გვიან, თეოლოგიური კაბალისტიკით სარგებლობდა გერმანელი ჰუმანისტი იოჰან რეიხლინი (1455-1522), და მიუხედავად იმისა, რომ „შემდგომში წესად იქცა ირონიული ჩაიტიკლება რეიხლინის მცდელობაზე მოეძია ფარული აზრი ებრაული ანბანის იმ ასოებსა და სიტყვებში, რომლებიც ღვთის სახელს აღნიშნავდნენ, ეს დაკინვა შორსა დგას იმის ქეშმარიტი გაგებისაგან, თუ რას აცეთებდა რეიხლინი. მას სურდა საჩინო იყო იდეისა და გრძნობითი შემეცნების იგივეობის ნეოპლტონიკური მოძღვრება“ (ა. ფ. ლოსევი).

ძველათვის, გვეუბნება ერთი თანამედროვე ფილოსოფოსი, უცხო იყო ინტელექტუალიზმის დღევანდელ მიმდევართა ბრძა ქედმაღლობა. ეს უკანასკნელი ახალი დროის ბუნებისმეტყველებიდან გამომდინარე მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი აზროვნების წესს აპროციერებენ წარსულსა და მომავალში, დარწმუნებულები იმაში, რომ გარდასული ხანის მოღვაწეებსაც თანამედროვე მოაზროვნეთა მსგავსი ცნობიერება ჰქონდათ, თუმცა კი, როგორც ისინი ვარაუდობენ, ნაკლებ განვითარებულ და პრიმიტიული.

2

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ანბანში ასოები გარკვეული რიგით, გარკვეული თანმიმდევრობით არის დალაგებული, და იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თითოეული ასონიშანი რიცხვსაც ასახეირებს, ანბანი ამასთანავე, რიცხვულ სისტემას წარმოადგენს. ქართული ანბანიც ასეთავე რიცხვულ სისტემას წარმოადგენს, კერძოდ ძველი ქართული ანბანის პირველი ცხრა ასონიშანი ასახეირებს ერთეულებს 1-დან 9-მდე, მეორე ცხრა ასონიშანი ათეულებს 10-დან 90-მდე, მესამე ცხრა ასონიშანი ასეულებს 100-დან 900-მდე და მეოთხე ცხრა ასონიშანი ათასეულებს 1000-დან 9000-მდე. ასეთი ცხრილი ჩერ კიდევ საბას აქვს გამოკვეყნე-



ბული თავის „სიტყვის კონაში“ სათაურით „ქ. ანბანთა რიცხვთა სწავლანი, თუ რომელნი, რაოდენთა რიცხვთა იტყვიან“.

ანბანებისათვის ნიშანდობლივმა სწორედ ამ ფაქტმა წარმოშვა კრიპტოგრაფიის „ხელოვნება“, ანუ იღუპილადამწერლობა, ასე რომ ამ უკანასკნელს აზანას სპეციფიკა განაპირობებს. ივ. ჭავჭავიძელი თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“ ცალკე პარაგრაფს უთმობს კრიპტოგრაფიის და გარდტპაუზნის წიგნზე დაყრდნობით განმარტავს მას.

არსებობს სათვალავი კრიპტოგრაფიის ორი სახეობა: პირველი — სიტყვის ან სახელის ნაცვლად მათი შემადგენელი ასოების რიცხვით მნიშვნელობას ასაჩინოებს (გემატრია), მეორე — სიტყვას ან სახელს ასოთა რიცხვეული ჯამით გამოხატავს (იზოფსეფია). პირველი შემთხვევისათვის ივ. ჭავჭავიძის მოაქვს X ს. ხელნაწერში შემონახული მიქაელ მორდრეკლის სახელის კრიპტოგრამა, რომელიც ანბანური სათვალავის რიცხვებით არის გადმოცემული (ქ. პ. გვ. 133). „მიქაელ მორდრეკლს რამდენიმე საგალობლისათვის... წაუწერია: ამასვე დღესა ნათლითა შემოსილისა უფლისა ნათლისღებასა დასდებელნი აკრისტობონი აღბეჭდულნი, თქმულნი ორმეოცისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისანი... ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები სიტყვებით დაუწერია მიქაელ მორდრეკლს და ასე შეუდგენია კრიპტოგრამა თავისი სახელისათვის“ (ლ. ათაბეგიშვილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, 1982, გვ. 72). 40-ს ქართულ ანბანში მ ასაჩინოებს, 10-ს ა, 600-ს ჭ, 1-ს ა, 5-ს ე, 30-ს ლ. ამრიგად, ასორიცხვებმა მოგვცა სახელი მიქაელ.

რაც შეეხება იზოფსეფიას, იგი სახელს „მიქაელ“ მისი შემადგენელი ასოების რიცხვთა ჯამით გამოხატავს: $40 + 10 + 600 + 1 + 5 + 30 = 686$. მისასადავმ, სახელის „მიქაელ“ იზოფსეფია უღრის 686-ს. სიტყვა-სახელების ამგვარი განმარტება დიდად ყოფილა გავრცელებული ძველ დროსა და შუა საუკუნეებში, იმდენად, რომ მას მთელი ტრაქტატები ეძღვნებოდა.

ფრ. ღორწნაიფი თავის წიგნში („ანბანი მავისასა და მისტიკაში“) წერს: „ასოთა მისტიკის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც უამრავ ბერძნულ, ბერძნულ-აღმოსავლურ, ებრაულ, სპარსულ და არაბულ წყაროში გვხვდება, იმაში ვლინდება, რომ სიტყვების შემადგენელ ასოებს რიცხვით ენაცვლება, ამ მეთოდს, ბუნებრივია, წინ უსწრებს ასოების რიცხვნიშნებად გამოყენება... ადვილი დასაშვებია, რომ ეს ხელოვნება დასავლეთში იმ დიდმა აღმოსავლურმა ტალღამ მოიტანა, რომელიც ალექსანდრეს ლაშქრობას მოჰყვა, რაი უძველესი აღმოჩენილი ადგილები ალექსანდრეს რომანში და ბეროსოსთან ეგვიპტურადებულ იზოფსეფიებს ადასტურებენ. ფსევდოკალისტენესთან სარაპისი ასე ამოაცნობინებს

თავის სახელს ალექსანდრეს: მოიძიე ორასი (ა) და ერთი (ა), შემდეგ ახი (რ) და ისევ ერთი (ა) და ოთხჯერ ოცი (პ) და ათი (ი). შემდგომ ამისა პირველი ასო ბოლოში მიუმატე და შენ მიხვდები თუ რომელი ღმერთი ვარ მე...“

ადვილად მისახვედრია, რომ ფრ. ღორწნაიფის აქ მოყვანილ ციტატაში „სარაპისის“ ისეთსავე გემატრიულ რიცხვებთან გვაქვს საქმე, როგორც „მიქაელის“ შემთხვევაში გვქონდა, ე. ი. საქმე გვაქვს სახელის შემადგენელი ასოების რიცხვეულ მნიშვნელობებთან, რომელიც გემატრიული მეთოდით არის გადმოცემული. როგორც ვხედავთ, ეს მეთოდი ელინისტურ ხანაშიც ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა ფარგორითაც ქრისტიანულში.

ამრიგად, ყოველი სიტყვა ან სახელი, რომელიც ანბანური ასოინიშნებით დაიწერება, თავისთავად, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასონიშანი ამასთანავე რიცხვნიშანიც არის, რომე რიცხვს ასაჩინოებს, ამ შემთხვევაში, შეუძლებელია არ დაეინტერესდეთ ქართული ანბანის შემოქმედის სახელით, თუნდაც იმიტომ, რომ რიცხვსახელს ანბანის სპეციფიკა განსაზღვრავს, ხოლო ტრადიციული ცნობის თანახმად, ქართული ანბანი სწორედ ფარანავაზმა შექმნა. რა უაილის რიცხვს ასაჩინოებს სახელი „ფარანავაზ“ რას წარმოადგენს ამ სახელის იზოფსეფია?

აკრიფთო სახელის „ფარანავაზ“ ასოები და დაეჯამოთ მათი რიცხვეული მნიშვნელობები: ფ (500), ა (1), რ (100), ნ (50), ა (1), ვ (6), ა (1), ზ (7). ამ რიცხვების ჯამია 666. რას გვეუბნება ეს რიცხვი ვარდა იშისა, რომ ის ერთი და იმავე ციფრით გამოხატულ ერთეულს, ათეულსა და ასეულს აერთიანებს? ახლა უჩვეულოს არაფერს, მაგრამ ძველად ეს დიდად სახელგანთქმული რიცხვი ყოფილა და ამ რიცხვით ძველ და ახალ დროშიც მრავალნი დაინტერესებულან.

რიცხვი 666 ჭერ კიდევ ძველ აღთქმაშია მოხსენიებული, მაგრამ სახელი მას გაუთქვა იოანეს გამოცხადების ერთმა მუხლმა, სადაც ნათქვამია: აქა არს სიბრძნე, რომელსა აქუს ვთვნება, აღიპყარს რიცხვი იგი მხეცისა, რამეთუ რიცხვი კაცისაა არს რიცხვი ექუსს ხაზოც და ექუს (13, 18). ეს რიცხვი პროფ. ფერდინანდ ბენარმა (ბერლინის უნივერსიტეტი, 1836 წ.), როგორც „მხეცის რიცხვი“, კეისარ ნერონის სახელთან დაეაწეოდა და ამ ინტერპრეტაციას იზიარებდა ფრ. ენგელსი. მაგრამ ამ რიცხვის სხვა ინტერპრეტაციებიც არსებობს. მაგალითად, ირინეოსს (II ს.) 666 მიაჩნდა არა ერთი რომელიმე კაცის, არამედ ადამიანთა გარკვეული ტიპის, სახელობარ, რომელის ანუ ლათინის აღნიშვნელად: იზოფსეფია ბერძნულად დაწერილი სიტყვისა „ლატიენოს“ სწორედ ამ რიცხვს — 666-ს გვაძლევს. ამავე რიცხვით არის აღბეჭდილი ბერძნული „ტიტან“ და სხვ.

რიცხვი 666 დაკავშირებულია აგრეთვე „მაგიურ კვადრატთან“, რომელშიც 1-დან 36-მდე რიცხვია გაერთიანებული. ამ კვადრატის თითოეული ვერტიკალური, ჰორიზონტალური და დიაგონალური მწკრივის ჯამი 111-ს უდრის, მაშასადამე, ცალ-ცალკე ექვსი ვერტიკალური და ექვსი ჰორიზონტალური მწკრივების ჯამი 666-ს გვაძლევს (თუ თითოეულს ორ დიაგონალურ მწკრივს დაემატებთ, მივიღებთ 888). ერნ. ბინდელი აღნიშნავს, რომ აგრია ნეტესპიამელი თავის წიგნში „დე ოკულტა ფილოსოფია“ (1533 წ.) ამ „მაგიურ კვადრატს“ მისთან აჯავშირებს და მიანიჩა, რომ 666 შვის დემონს, ხოლო 111 შვის გონით არსებას აღნიშნავს, რაც საინტერესო უნდა იყოს თუნდაც იმიტომ, რომ „ფარნავაზის ცხოვრების“ მიხედვით, იქ, სადაც სიზმარზეა ლაბარაკი, ფარნავაზი მზით ცხებულ მეფედ და მაშასადამე, მზესთან დაკავშირებულ არსებად წარმოგვიდგება (იხ. ჩვენი წერილი „ფარნავაზ — 666“ საბჭოთა ხელოვნება, № 8, 1978, გვ. 88).

სხვებულ მაგიურ კვადრატში, როგორც უკვე აღინიშნა, 36 რიცხვია გაერთიანებული 1-დან 36-მდე. მაგრამ რატომ არის რიცხვი 36 დაკავშირებული 666-თან? იმიტომ რომ 36 თანმიმდევარი რიცხვის ჯამი 666-ს უდრის ე. ი. თუ ჩვენ შევკრებთ ერთმანეთის მიყოლებით 36 რიცხვს: $1+2+3+4+...+33+34+35+36$, ჯამში 666-ს მივიღებთ.

თანმიმდევარი რიცხვების ჯამით მანიპულირება ძველი ამბავია. მაგალითად, იოანეს სახარებაში მოთხრობილია თუ როგორ დაიჭირეს იესოს მოწაფეებმა „ახ ერგასის და სამი“, ე. ი. 153 თევზი. 153 კი წარმოადგენს 17 თანმიმდევარი რიცხვის ჯამს: $1+2+3+...+15+16+17=153$. ასე რომ 153-ით შენიღბულია რიცხვი 17. მოციქულთა საქმეში (27, 37) ნათქვამია: ვიყენით ნავსა შინა ყოველნი კაცნი ორას სამოც და ათექვსმეტი ხული. 276 კი 23 თანმიმდევარი რიცხვის ჯამი და გამორიცხული არ არის, რომ აქ 23 ეკლზე იყოს ლაბარაკი. ამ აზრით, თანმიმდევარ რიცხვთა ყოველი კომბინაციის ჯამი გარკვეულ რიცხვს აცნაურებს: $1+2=3$, $1+2+3=6$, და ა. შ. 36 თანმიმდევარი რიცხვის ჯამი, როგორც უკვე ითქვა, 666-ია და აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს რიცხვია იზოფსევდია სახელისა „ფარნავაზ“.

ამრიგად, ანბანის შემოქმედის სახელს უაღრესად საინტერესო რიცხვი აღმოაჩნდა, რაც იმისაკენ გვიბიძგებს, რომ მასთან დაკავშირებულ სხვა სახელებიც გავსინჯოთ. რა რიცხვებს ასაჩივრებს სახელები „სამარ“ და „არმაზ“?

ფარნავაზი „მშისწულია სამარისი“, ეს ხაზგასმულია ტექსტში: „ესე სამარ და ძმა მისი, მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო ალექსანდრესგან“. ასე რომ, ფარნავაზის აზლო წინაპართაგან, მის სისხლით ნათესავთა შორის, ჩვენ მხოლოდ ბიძა-

მისის, მცხეთის მამასახლისის სახელი ვიცით. დაეჯამოთ ამ სახელის ასორიცხვები: ს (200), ა (1), შ (40), ა (1), რ (100). სახელის „სამარ“ იზოფსევდია გვიმხელს 342-ს.

ფარნავაზის საღმრთო სახელია „არმაზ“. როგორც ვიცით, ფარნავაზმა არმაზის კერაში „შექმნა სახელსა ჴედა თვისსა“. ვნახოთ ამ სახელის იზოფსევდია: ა (1), რ (100), შ (40), ა (1), ჴ (7). „არმაზ“ სახელის იზოფსევდია გვაძლევს 149-ს. მივიღეთ სამი სახელის იზოფსევდია: სამარ — 342, ფარნავაზ — 666, არმაზ — 149. მაგრამ რას გვაძლევს ამ სახელთა იზოფსევდები, რა ღირებულება აქვს ამ რიცხვებს, ან რა კავშირია მათ შორის? ამ კითხვას, დიდად უცნაური პასუხი აქვს: ეს რიცხვსახელები ერთმანეთთან სექტიმალური შესაბამისობის რიცხვული სისტემის საფუძველზე არიან დაკავშირებული, კერძოდ, 342-ს შესაბამება 666, ხოლო 149-ში 49-ს შესაბამება 100 და მათი ჯამისგან მიიღება „არმაზ“ სახელის იზოფსევდია.

რას ნიშნავს სექტიმალური შესაბამისობა? ეს არის შესაბამისობა იმ რიცხვებს შორის, რომელთა ჩაწერა თვლის შვიდობითი (სექტიმალური) და ათობითი ხისტიმების საშუალებით ხორციელდება. როგორც ცნობილია, ათობით სისტემაში ნული და ცხრა ნატურალური რიცხვი შემდეგი ციფრებით აღინიშნება: 0, 1, 2, 3, ..., 9, დიდი რიცხვები, მაგალითად „სამას ორმოცდაორი“ ასეთი სახით წარმოგვიდგება $300+40+2= (3 \times 10^2) + (4 \times 10) + 2$, და ათობით სისტემაში ჩაიწერება სიმბოლოთი 342. მაგრამ როგორ ჩაიწერება ვეგვე რიცხვი სხვა რიცხვულ სისტემაში?

საქმე ისაა, რომ „ათობით სისტემაში რიცხვი ათი, როგორც სისტემის „ფუძე“ განსაკუთრებულ როლს ასრულებს, ვისაც მხოლოდ პრაქტიკულ გამოანგარიშებებთან აქვს საქმე, შეიძლება ყურადღება არ მიჰქვიოს იმას, რომ რიცხვი ათი ს ამგვარი გამოყოფა არარსებითია და რომ ფუძედ შეიძლება გამოდგეს ნებისმიერი ერთზე მეტი რიცხვი. მაგალითისთვის. საესვებით შესაძლებელია სექტიმალური ხისტიმა ფუძით შვიდი (რ. კურანტი, პ. რობინსი, მათემატიკა, თბ., 1965). ამერიკელ მათემატიკოსებს აქვე მოაქვთ მაგალითები რიცხვის ათობითი სისტემიდან შვიდობითში გადაყვანისა. იგივეს გვაძენობს პ. ფილონი (მეცნიერულ კვლევის ლოგია, მოსკოვი, 1965 წ. გვ. 111): ათობითი თვლის სისტემაში ცნებას „რიცხვი 16“ — მკაფიო შინაარსი აქვს, თვლის შვიდობით სისტემაში კი მისი შინაარსი იცვლება.

ორიოდე სიტყვა თვლის ათობითი და შვიდობითი სისტემების შესახებ. როგორც ვიცით, თვლის ათობითი სისტემის ფუძე რიცხვია 10 და 10-ის ხარისხები. რომლებიც ათელების.



ასეულების, ათასეულების და ა. შ. თანრიგებს გამოყოფენ: $10=10^1$, $100=10^2$, $1000=10^3$ და ა. შ. თვითთული თანრიგი შეიცავს 10-ის ჯერადებს 1-დან 9-მდე: 1×10 , 2×10 , 3×10 და ა. შ. იგივე მეორდება მომდევნო თანრიგებშიც. ანალოგიურად, თვლის შეიღობითი სისტემის ფუძე რიცხვია 7 და 7-ის ხარისხები: $7=7^1$, $49=7^2$, $343=7^3$ და ა. შ. აქაც თვითთული თანრიგი 7-ის ჯერადებს შეიცავს, ოღონდ, აქ შქმ 1-დან 6-მდე: 1×7 , 2×7 , 3×7 და ა. შ. იგივე მეორდება მომდევნო თანრიგებშიც.

თვლის შეიღობითი სისტემაში 6 ისეთივე ზღვრული სიდიდის რიცხვია, როგორცაა თვლის ათობითი სისტემაში 9, რომლის დამასრულებელი 10 უკვე ახალ თვისობრიობაში გადადის და ათეულების ახალ თანრიგს უყრის საფუძველს: 10, 20, 30 და ა. შ. ანალოგიურად თვლის შეიღობითი სისტემაში 6-ის დამასრულებელი 7 უკვე ახალ შეიღებულების თანრიგს უყრის საფუძველს: 7, 14, 21 და ა. შ. მაშასადამე, თვლის შეიღობითი სისტემაში 7-ს ისეთივე ფუნქცია აკისრია, როგორც თვლის ათობითი სისტემაში 10-ს და სწორედ ამის გამო, 7-ს შესაბამება 10, 8-ს — 11, 9-ს — 12, 10-ს — 13, 11-ს — 14, 12-ს — 15, 13-ს — 16, 14-ს? 14-ს, ვინაიდან ეს რიცხვი 2×7 -ს წარმოადგენს, შესაბამება 2×10 , ე. ი. 20, და ა. შ. ათეულების თანრიგში ეს შესაბამისობა მთავრდება $42(6 \times 7)$ -ისა და $60(6 \times 10)$ -ის შესაბამისობით, ასეულებში $294(6 \times 7^2)$ -ისა და $600(6 \times 10^2)$ -ის შესაბამისობით და ა. შ. დაეკვირდეთ ამ შესაბამისობის ცხრილს:

| | | |
|----------------------|-------|------|
| 1 | _____ | 1 |
| 2 | _____ | 2 |
| 3 | _____ | 3 |
| 4 | _____ | 4 |
| 5 | _____ | 5 |
| 6 | _____ | 6 |
| | | |
| $1 \times 7 = 7$ | _____ | 10 |
| $2 \times 7 = 14$ | _____ | 20 |
| $3 \times 7 = 21$ | _____ | 30 |
| $4 \times 7 = 28$ | _____ | 40 |
| $5 \times 7 = 35$ | _____ | 50 |
| $6 \times 7 = 42$ | _____ | 60 |
| | | |
| $1 \times 7^2 = 49$ | _____ | 100 |
| $2 \times 7^2 = 98$ | _____ | 200 |
| $3 \times 7^2 = 147$ | _____ | 300 |
| $4 \times 7^2 = 196$ | _____ | 400 |
| $5 \times 7^2 = 245$ | _____ | 500 |
| $6 \times 7^2 = 294$ | _____ | 600 |
| | | |
| $1 \times 7^3 = 343$ | _____ | 1000 |

და ა. შ.

როგორც ვხედავთ, პირველ რეგისტრში ერთეულებია წარმოდგენილი. ამიტომ მათი შესაბამისობა ერთსა და იმავე რიცხვებს მოიცავს: 1-ს შესაბამება 1, 2-ს 2 და ა. შ., ექვსის ჩათვლით. მეორე რეგისტრი 7-ისა და 10-ის შესაბამისობით იწყება (ეს არის სებატიმალური შესაბამისობის პირველი წყვილი). ხოლო მესამე რეგისტრი 7²-ისა და 10²-ის შესაბამისობით, მეოთხე რეგისტრის პირველი მწკრივი უკვე 7³-ისა და 10³-ის შესაბამისობას გვიჩვენებს (343 — 1000) და ა. შ.

ექვს-ექვს მწკრივად გავითანებული რეგისტრები ისე მისდევენ ერთმანეთს, რომ ყოველი მომდევნო რეგისტრი თავის თავში მოიცავს რიცხვულად უფრო მცირე მასშტაბის წინა რეგისტრს, უფრო ზუსტად, ყოველი მომდევნო რეგისტრის მესამე მწკრივში დასმული რიცხვი წარმოადგენს წინა რეგისტრის ექვსივე მწკრივის ჯამს, მაგალითად: პირველი რეგისტრის ექვსივე რიცხვის ჯამია 21, რაც მეორე რეგისტრის 3×7 -ს, ე. ი. 21-ს უდრის, ასევე მეორე რეგისტრის ექვსივე რიცხვის ჯამია 147, რაც მესამე რეგისტრის 3×7^2 -ს, ე. ი. 147-ს უდრის და ა. შ.

თითოეული რეგისტრის მეექვსე მწკრივს მოსდევს მისი დამასრულებელი მეშვიდე მწკრივი, რომელიც ამ სისრულის გამო ახალ თვისებრიობაში გადადის, ე. ი. ახალ თანრიგს იწყებს და ამიტომ თვითონ ხდება ახალი, მომდევნო რეგისტრის საფუძველი. ასე რომ, ერთმანეთზე პრაპორციულად აღმატებული, უფრო და უფრო მზარდი მასშტაბის მქონე რეგისტრები სპირალური წრებრუნვის სურათს ჰქმნიან. ცხრილში კარგად ჩანს, რომ რეგისტრების შეგნით რიცხვი ნდა 6-ის ჯერადები $42(6 \times 7)$ და $294(6 \times 7^2)$ ზღვრულ სიდიდეს განასახიერებენ, რომლის მომდევნო 7 და 7-ის ჯერადები $49(7 \times 7)$ და $343(7 \times 7^2)$, ერთი მხრივ, ასრულებენ წინა რეგისტრს, ხოლო მეორე მხრივ, უკვე ახალ რეგისტრში ახალ წრებრუნვას იწყებენ.

თუ დაეკვირდებით პირველი, მეორე და მესამე რეგისტრების უკანასკნელ მეექვსე მწკრივებს, შევნიშნავთ რომ აქ ზღვრული სიდიდის რიცხვები სხედან: 6 და მისთან შესაბამებულნი 6, 42 და მისთან შესაბამებულნი 60, 294 და მისთან შესაბამებულნი 600. შევეკრიბოთ ეს რიცხვები: $6 + 42 + 294 = 342$. $6 + 60 + 600 = 666$. მაშასადამე, პირველი სამი რეგისტრის უკანასკნელი მეექვსე მწკრივებისაგან ანუ თავიანთ რეგისტრებში ზღვრული სიდიდის რიცხვებისაგან იკრებება ერთმანეთთან შესაბამებულნი 342 და 666, რომლებიც „სამარ — ფარნავაზ“ სახელების იზოფსეფიებს წარმოადგენენ. რაც შეეხება „არმაზ“ სახელის იზოფსეფის 149-ს, იგი იკრებება მესამე რეგისტრის პირველ მწკრივში ერთმანეთთან შესაბამებულნი რიცხვებისაგან 49 — 100.



ერნ. ბინდელი სექტიმალურ შესაბამისობათა რიცხვულ სისტემას ძველ მისტრიებს უკავშირებს, სადაც 7 განიმარტება როგორც დროსთან შინაგან კავშირში მყოფი რიცხვი. 7-ს გავყავართ ჩვენ სივრცის საუფლოდან და შევყავართ დროის საუფლოში. ამდენად, 7 არის დროში აღსრულებულ მოვლენათა რიცხვი. ერნ. ბინდელის აზრით, 342-თან და 343-თან სექტიმალურად შესაბამეობები 666 და 1000 თვითანთი არსით დროის სპირალური განვითარების ნაებრუდამხვევ სურათს გამოხატავს, რასაც იგი ითანეს გამოცხადებასთან აკავშირებს. ამირგად 342 — 666, ე. ი. „სამარ — ფარნავაზ“ სახელების იზოფსეფიები სექტიმალურად შესაბამეობები უარესად მნიშვნელოვანი რიცხვებია და ამის 1958 წ. შტუტგარტში გამოქვეყნებულ წიგნში „რიცხვთა სულიერი საფუძვლები“ გვიხილავს გერმანელი თეოლოგი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს არც „ქართლის ცხოვრებაზე“ და არც ქართულ ანბანზე...

8

რამდენიმე სიტყვა გამოცხადების ტექსტში ასახული რიცხვთა სექტიმალური (შვიდობითი) თვისის სისტემისა და შესაბამისობის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, აქ უყრადღებებს იპყრობს მხეცის რიცხვი — 666, რომელიც სექტიმალურად შესაბამეობები წყვილულის (342 — 666) ჭულთს, ე. ი. წყვილის ცალს წარმოადგენს. ამ მხეცს 7 თავი და 10 რქა აქვს და უკვე ამ რიცხვებით გამჟღავნებულია სექტიმალური შესაბამისობის პირველი წყვილულის: 7 — 10. მაგრამ 7 თავი და 10 რქა აქვს აგრეთვე „ცეცხლის ვეშაპს“ და სწორედ ეს ვეშაპი აძლევს ზღვიდან ამოშავალ მხეცს, ვისი სახელის რიცხვიცაა 666, თავის ძალას, საყდარსა და ხელმწიფებას (13,2). ხსენებული ვეშაპი — „გველი დასაბამისაჲ“ — ანგელოზის მიერ უფსკრულშია ჩაგდებული 1000 წლით (20,2) და ამ აზრით, ეს ორი რიცხვი 666 და 1000 დაკავშირებულია, ხოლო ეს რიცხვები 342-თან და მისი მომდევნო 343-თან სექტიმალურად შესაბამეობები რიცხვებია.

ტექსტში აღნიშნულია, რომ ვეშაპს „ედგენს თავნი შვიდნი და რქანი ათნი“, მაგრამ ამასთანავე, „თავთა ზედა მისთა შვიდი გვირგვინი“ (12,3), ხოლო მხეცს „აქუნდეს ათნი რქანი და შვიდნი თავნი“, მაგრამ ამასთანავე, „რქათა ზედა მისთა ათნი გვირგვინი“ (13,1). როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში 7 თავი და 10 რქა ფიგურირებს, ხოლო მეორეში 10 რქა და 7 თავი, ე. ი. აღნიშნული რიცხვები ინვერსიულად მეორდება. ამავე დროს, პირველ შემთხვევაში გვაქვს 7 გვირგვინი, ხოლო მეორეში 10

გვირგვინი. ეს რიცხვები გამოცხადების ტექსტში არაერთგზის მეორდება და სწორედ მათშია გაცხადებული სექტიმალური შესაბამისობის პირველი წყვილულის — 7 — 10. (7 და 10, ერთი ნუსტრემის „ბიბლიური ლექსიკონის“ თანახმად, „მრგვალი რიცხვებია“. ტრონტო, 1982).

უნდა ითქვას, რომ სექტიმალური შესაბამისობის ეს პირველი წყვილულის 666-თან სხვა ასპექტითაც არის დაკავშირებული. კერძოდ, ის მულტი, სადაც 666-ია ნახსენები, ასე იწყება: „აჲ არს სიბრძნე, რომელსა აქვს გონებაჲ, აღიპყარ რიცხვი იგი მხეცისაჲ (13,18). ამ ფრაზას ერთადერთი ორიგენალი გაანჩია გამოცხადებაში: „აჲ არს გონებაჲ, რომელსა აქუნდეს სიბრძნე“... (17,9), რომელსაც უშუალოდ მოსდევს 7 თავისა და 10 რქის განმარტება. როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელ ფრაზაში ინვერსიულად არის გამოვლენილი სიტყვები „სიბრძნე“ და „გონება“ ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნულ მაგალითში ინვერსიულადვე მეორდება 7 თავი და 10 რქა.

გამოცხადებაში, მხეცთან დაკავშირებულ კონტექსტში, ნახსენებია კიდევ ერთი რიცხვი, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს 666-თან. ეს არის რიცხვი 42: „და მიეცა მას (მხეცს) ხელმწიფებაჲ ყოფად ბრძოლისა ორმოც და ორ თთუე“ (13,5). უნდა ითქვას, რომ რიცხვები 6 და 42 (6×7) ზშირად არის მოხსენიებული ბიბლიის ტექსტში, რაკი ისინი შვიდობითი თვისის სისტემაში პირველი და მეორე თანრიგის ზღვრული სიდიდის რიცხვებია. სექტიმალური შესაბამისობის ცხრილში (იხ. ცხრილი) პირველი რეგისტრის 6-ს შესაბამეობა 6, მეორე რეგისტრის 42-ს შესაბამეობა 60, მთლიან შესაბამეობა 294-ს (6×7×7) შესაბამეობა 600 (6×10×10) და ამ რიცხვებიდან იკრებიება, როგორც ვიცით, „სამარ — ფარნავაზ“ სახელების იზოფსეფიები 342 — 666.

„ფარნავაზ“ სახელის იზოფსეფია, ევანგელური თვალსაზრისით, აღბეჭდილია მხეცის რიცხვით 666-ით, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ფარნავაზის მეორე სახელი „არმაზ“, რომლის იზოფსეფია 149-ს, ე. ი. 7²+10² უდრის, აღბეჭდილი იყოს იმ 7 — 10-ის კვადრატების ჯამით, რომლებიც ვეშაპისა და მხეცის თავებისა და რქების რაოდენობას ასახეობს (კვადრატში აყვანილია რიცხვებმა არ უნდა შეგვაცუხოს: გამოცხადებაში მრავალგზის მოხმობილ 12-თან ერთად გვხვდება აგრეთვე 144, რაც 12²-ს წარმოადგენს).

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რატომ უნდა ყოფილიყო „მწიგნობრობის შემქმნელი“ ქართლის პირველი მეფე-ღმერთის ორივე სახელი



ვენგელური თვალსაზრისით ესოდენ მაკომპრო-
მენტირებელი რიცხვებით დაშიფრული?

აპოკალიპსური რიცხვი 666 „მისტიფიცირე-
ბული სიმბოლოზმით“ არის აღბეჭდილი ისევე,
როგორც დაახლოვებით იმავე ხანებში შექმ-
ნილ **ს ა ბ ი ლ უ რ** წიგნებში მოხსენიებული
888, რაც ბერძნულად დაწერილი „იქსოუს“ სა-
ხელის იზოფსევას წარმოადგენს. დროთა გან-
მავლობაში 666-ს სხვადასხვა განმარტებები და-
ემებნა, მაგალითად: „აღმთქმს ბლაბეროს“
ქ(შემარტად მანენ), „აგნოს ადიკოს“ — агнец
неправдичный, „ევანოს“ — проветающий და
სხვ. ამ სიტყვების იზოფსევია 666-ს უდრის.

რიგითი ქრისტიანისათვის 666 მხოლოდდა-
მხოლოდ „მხეცის რიცხვი“ იყო და მას შემავაე-
ვებელი **ტ ა ბ უ ს** როლი უნდა შეესრუ-
ლებინა იმის თვალში, ვინც „ფარნავაზ“ სახელის
იზოფსევას გაიხრკავდა, ხოლო ამან ძნელია
იმ აზრამდე არ მიგვიყვანოს, რომ შესაძლოა,
სწორედ ამიტომ ეს რიცხვი (666) **კ ო დ ი ს**
გასაღებდაც წარმოადგენდეს.

ერნ. ბინდელის დასახელებულ წიგნში გარკ-
ვევით არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ იოა-
ნეს გამოცხადებაში დროის თავბრუდამხვევი
სისწრაფით გაშლილი სპირალური შვილობითი
(სებტიმალური) თვლის რიცხვულ სქემას ეყრდ-
ნობა, ამ სქემის თარგზეა აგებული ამის თვალ-
საჩინოდ აღსატურებლს კრავის მიერ ბეჭდების
ახსნის, შვიდი ანგელოზის მიერ ჯერ „საყვირის
დაცემის“, ხოლო შემდეგ „ლანჩენების დათხევის“
ეპიზოდები. ვნახოთ, როგორი რიცხვული კონ-
სტრუქციით არის გადმოცემული ეს ეპიზო-
დები...

- 6,1 : და ვიხილე, რამეთუ ალალო კრავმან მან
ერთი შვიდთა მათ ბეჭედთაგანი...
- 6,3 : და რაჟამს ალალო მეორე ბეჭედი...
- 6,5 : და რაჟამს ალალო მესამე ბეჭედი...
- 6,7 : და რაჟამს ალალო მეოთხე ბეჭედი...
- 6,9 : და რაჟამს ალალო მეხუთე ბეჭედი...
- 6,12 : და ვიხილე, რაჟამს ალალო მეექვსე ბე-
ჭედი...

„მექვსე“ ბეჭდის ახსნისას მდგომარეობა
კულმინაციას აღწევს: „და ძრვამ იქმნა დიდი,
და მზე შავ იქმნა, ვითარცა ძაძამ ბალნისამ“ და
მხოლოდ ამის შემდეგ, უკვე 8-ე თავშია ნათქ-
ვამი:

8,1 : და რაჟამს ალალო მეშვიდე ბეჭედი, **იქ მ ნ ა**
დ უ მ ი ლ ი **კ ა თ ა** **შ ი ნ ა**...

ეს უკანასკნელი ფრაზა ფირმისმიერი ასპექ-
ტით, შესაქმნის მეშვიდე დღეს ღმერთის „დაცხ-
რომის“ შესაბამისია (განასრულა ღმერთთან
დღესა მეექვსესა საქმენი მისნი და დასცხრა

დღესა მეშვიდესა, 2,2-3). ყოველ შემთხვე-
ვაში, ცხადია, რომ მეშვიდე ბეჭდის ახსნისას
თვისობრივად განსხვავებული რამ მოხდა, ვიდ-
რე დანარჩენი 6 ბეჭდის ახსნისას.

ასეთივე რიცხვულ კონსტრუქციას ამჟღავ-
ნებს ანგელოზთა მიერ „საყვირთა დაცემის“ ეპ-
იზოდი, სადაც კაცთა შემუსვრის სურათია გად-
მოცემული...

- 8,7 : და პირველმან მან დასცა (საყვირსა)...
- 8,8 : და მეორემან ანგელოზმან დასცა საყ-
ვირსა...
- 8,10 : და მესამემან ანგელოზმან დასცა...
- 8,12 : და მეოთხემან ანგელოზმან დასცა საყ-
ვირსა...
- 9,1 : და მეხუთემან ანგელოზმან დასცა საყვი-
რსა...
- 9,13 : და მეექვსემან ანგელოზმან დასცა საყვი-
რსა თვისსა...
- 10,7 : არამედ დღეთა მათ ხმისა მეშვიდისა ან-
გელოზისა, რომელსაც ეგულებს დაცე-
მად საყვირისა, **ა დ ე ხ რ უ ლ ო ს** **ს ა ი-**
დ უ მ ლ ო ა **ღ მ რ თ ი ხ ა**.

როგორც ვხედავთ, „მეშვიდე“ თვისობრივად
არის გამოყოფილი დანარჩენი „ექვსისაგან“. მე-
შვიდე ანგელოზის საყვირის ხმაზე უნდა „აღე-
სრულოს“ ღვთის საიდუმლო. ვნახოთ მესამე
ეპიზოდიც.

- 16,2 : და ერთი იგი წავიდა და დასთხია ლან-
ჯნამ ქვეყანასა ზედა...
- 16,3 : და მეორემან ანგელოზმან დასთხია ზღვა-
სა ზედა...
- 16,4 : და მესამემან დასთხია მდინარეთა ზედა...
- 16,8 : და მეოთხემან ანგელოზმან დასთხია ლან-
ჯნამ მზესა ზედა...
- 16,10 : და მეხუთემან დასთხია საყდარსა მას ზე-
და მხეცისა...
- 16,12 : და მეექვსემან დასთხია მდინარესა ზე-
და დიდსა ევფრატასა...
- 16,17 : და მეშვიდემან მან ანგელოზმან დასთხია
ლანჯნამ თვისი პერსა ზედა და გამოხდა
ხმამ დიდი ტაძრისაგან ზეცათამსა და
საყდრისაგან, რომელი იტყოდა, ვითარ-
მედ: **იქ მ ნ ა**.

სურათი აქაც ნათელია. მეშვიდე ანგელოზთან
არის დაკავშირებული იმ ქმედების **ა დ ხ რ უ**
ღ ე ბ ა („იქმნა“. რუსულ თარგმანში: „სვერ-
მილოს“), რასაც ექვსი დანარჩენი ანგელოზის
ქმედება შეიცავდა. აშკარა უნდა იყოს, რომ
„ექვსთან“ დაპირისპირებული „მეშვიდის“ რიც-
ხვული კონსტრუქცია, რაც შვილობითი თვლის
სისტემაში თანარგების დასრულებისა და **ახა-**
ლი თანარგების დაწყების განმასახიერებელია.
იოანეს გამოცხადებაში მკაფიოდ არის გამოვ-
ლენილი.

(ამ კონტექსტში ინტერესს მოკლებული არ

უნდა იყოს შემდგომი აღნიშვნა: სვეტიცხოვლის მარჯვენა კედელზე შერჩენილ ფრესკაზე, სადაც აპოკალიპსის თემა ვარირებს, შეიღთავიანი მზეცის ექვსი თავი სხეულის წინა ნაწილიდან ამოზრდილ გრძელ კისრებზეა გამობმული, ხოლო მშვიდზე — კულზე, რაც უთუოდ იმას ადასტურებს, რომ „შვიდეულში“ „ექვსს“ უპირისპირდება „მეშვიდე“).

რას უნდა გვეუბნებოდეს ის, რომ „სამარ-ფარნავაზ“ „არმაზ“ სახელების იზოფსეფიებში სექტიმალური შესაბამისობის საკვანძო რიცხვებზე გაცხადებული? რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამ უმკვეთი ფაქტიდან? როგორც ჩანს, უპირველეს ყოვლისა ის, რომ აქ, შესაძლოა, კოლზე მიმანიშნებელი მეტაინფორმაცია იყოს გამჟღავნებული.

„ნებისმიერ კოდს, რა ფორმითაც უნდა იყოს წარმოდგენილი, იქნება ის არქეოლოგის მიერ მოძიებული უნიკალური საგანი თუ საიდუმლოს შესანახად გამოგონილი მახვილგონივრული შიფრი, ყოველთვის შეიძლება დაეძვროს ანალოგია... როგორც წესი, სწორედ ანალოგისმიერი დასკვნები გვაძლევენ ხოლმე გზის მაჩვენებელ ძაფს კოდის ამოსახსნელად, რაც ზმირად ნატიფ ინტუიციას მოითხოვს... რომელიმე ობიექტში კოდის ამოცნობა იმას ნიშნავს, რომ მის შესახებ გარკვეული მეტაინფორმაცია შევიძინეთ (რაც) ნებისმიერ ტექსტს ინფორმაციის გარდა მეტაინფორმაციის ესა თუ ის მარაგი ახლავს, რაც ტექსტის ამოხსნის გასაღებს წარმოადგენს. ამიტომ კოდის გაშიფრვის დასაღები თვითონ მასშივეა დამარხული“. (დ. დიპროესკი).

უკვე ის გარემოება, რომ ანბანის ასორიცხვების მეშვეობით გამჟღავნებული „სამარ — ფარნავაზ — არმაზ“ სახელების იზოფსეფიები სექტიმალური შესაბამისობის საკვანძო რიცხვულ მონაცემებს აცნაურებენ; დაუცადებელი ყურადღების ცენტრში აქცევს არა მარტო ამ სახელების შემცველ ტექსტს („ფარნავაზის ცხოვრება“), არამედ მასთან ცხად თუ ფარულ კავშირში მყოფ გარემომცველი ტექსტის („მეფეთა ცხოვრება“) გარკვეულ ნაწილებს, განსაკუთრებით კი თვითონ იმ ცნობას, რომელშიც ქართული ანბანის შექმნის ფაქტია გაცხადებული. ჩვენც ამ უკანასკნელით დავიწყებთ.

4

ქართული ანბანის ანუ „მწიგნობრობის“ შექმნის ცნობა გვხვდება „ფარნავაზის ცხოვრების“ დამსარტულებელ მცირე მონაკვეთში, რომელიც ძირითადი ტექსტიდან, ჩვენი აზრით, მკვეთრად და თვალსაჩინოდ არის გამოყოფილი...

1. და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი.
2. ამან განაიერყო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართლისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.
3. და მოკულა ფარნავაზ და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა.

თუ რატომ დავყავით ეს მონაკვეთი სამად, ამაზე ცოტა ქვევით ვილაპარაკებთ, ახლა კი ვითხოვთ, რა ნიშნით გამოიყოფა იგი ძირითადი ტექსტიდან, რა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ეს მონაკვეთი მოთხრობის საერთო სტრუქტურაში ცალკე ერთეულად მოვიპოროთ.

ამ მონაკვეთის წინარე თხრობა ასე მთავრდება: „იყო განსუენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათვის ფარნავაზისა და იმყოღდეს ამას ყოველნი: ვჰმადლობთ სუესა ჩვენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღგვიხადა ხარკი და ქირი უცხოთა ნათესავთაგან. და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელითა, სიმზნითა და სიმდღრითა. ესუა ძე და უწოდა სახელი საურმაგ“. როგორც ვხედავთ, თხრობა დამთავრდა, ფარნავაზმა „ყოველი აღასრულა“ და შემთავანე უკვე გადადის საურმაგზე, ფარნავაზის ძესა და შემკვიდრებზე. და სწორედ ამ ფრაზის შემდეგ იწყება ამჟერად ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი — „და ესე ფარნავაზ იყო...“, რომელშიც „მწიგნობრობის“, ე. ი. ანბანის შექმნაზეა ლაპარაკი.

აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო მონაკვეთამდე არსად სიტყვა არ არის დაძრული ანბანის შექმნის შესახებ, თუმცა მოთხრობის ავტორის საშუალება ჰქონდა ეს ეთქვა იქ, სადაც კონცენტრირებულად არის ჩამოთვლილი ფარნავაზის ქმედებანი (სხვათა შორის მსგავსი ფრაზეოლოგიით), მაგალითად: „ამან ფარნავაზ მოზღულა ქალაქი მცხეთა მტკიცედ და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოობრებულნი აღექსანდრესგან... ამან აღაშენა... და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერბა დიდი სახელსა ზედა თვისსა“.

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: ფარნავაზის მომდევნო მეფეების ქრონიკები, უმეტესწილად, ამგვარი სტერეოტიპული ფრაზებით მთავრდება —

1. და მოკულა საურმაგ და მეფე იქმნა მის წილ შვილებულნი მისი მირვან.
2. და მოკულა მირვან და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნავაზო.
3. მოკულა არტავ და დაქდა მის წილ ძე მისი ბარტომ.
4. და მოკულა (მირვან) და დაქდა მის წილ ძე



მისი არშაკ...

„ფარნავაზის ცხოვრება“ თითქოს ასეთნაირად უნდა დამთავრებულიყო: „და მოკულა ფარნავაზ... და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ“... მაგრამ ეს ასე არ არის. ფრანა — „და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ“, რასაც თითქოს უნდა დაესრულებინა „ფარნავაზის ცხოვრების“ ტექსტი და მამასადამე, ჩვენს მიერ გამოყოფილი მონაკვეთი, საურმაგის ჭრონიკის პირველ სტრიქონად ზის, ხოლო ფარნავაზის ჭრონიკა როგორც ვიცით, ასე მთავრდება: „და მოკულა ფარნავაზ და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“. ასე რომ, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ძირითადი ტექსტიდან გამოყოფილი იმიტომ („ესეა ძე და უწოდა სახელი საურმაგ“), რითაც ის გამოყოფილია მომდევნო ტექსტიდან, ე. ი. საურმაგის ჭრონიკიდან („და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ“), და ამდენად, „საურმაგ“ სახელთან დაკავშირებული წინადადებების ჩარჩოშია მოცემული, რამაც, შესაძლოა, გვაფარულებინოს, რომ ეს მონაკვეთი თვითონ მისი ავტორის მიერ არის დამოუკიდებელ კომპოზიციურ ერთეულად მოაზრებული.

ამ მონაკვეთს ძირითადი ტექსტიდან გამოკეცილ აგრეთვე მცირე მოცულობის ტექსტის ფარგლებში „ქართ — ქართულ“ ფუძიანი სიტყვების სიუხვე: 28 სიტყვაზე რ ასეთი სიტყვა მოდის: ქართლხა შინა, ქართლხისხა ნათესავთაგანი, ენა ქართული, ქართლხა შინა, თვინიერ ქართლხისა, მწიგნობრობა ქართული, მსგავს-ფუძიანი სიტყვების ასეთი კონცენტრაცია ძირითადი ტექსტის არცერთ ნაწილში არა გვხვდება. ამავე დროს, ყურადღების მქონე გამახვილების შედეგად, თვითონ ამ მონაკვეთის შიგნით თანდათან იკვეთება ორი მეტად ექსპრესიული სინტაგმა: „ამან განავრცო“, „ამან შექმნა“. ამ სინტაგმებში შემავალი ნაცვალსახელები მკვეთრად უპირისპირდება მონაკვეთის თავსა და ბოლოში მოხსენიებულ „ფარნავაზ“ სახელს (უცნაური იქვეი კი იბადება: რატომ „ამან“ და არა „ამან ფარნავაზ“?). ამავე დროს, ჩვენი მონაკვეთის თავში „ფარნავაზ“ სახელთან ერთად ნახსენებია „ქართლოსი“, რაც არც ერთხელ არ გვხვდება ძირითად ტექსტში, ხოლო ბოლოში „ფარნავაზ“ სახელთან ერთად ნახსენებია „არმაზი“, რაც ერთგვარ სიმეტრიას ქმნის. მაგრამ აქ მარტო სიმეტრიულობაში არ უნდა იყოს საქმე. სახელები „ქართლოსი“ და „არმაზ“ უფრო ღრმა ურთიერთდაკავშირება, ვიდრე ეს პირველი შეხედვით ჩანს.

ქართლოსი, როგორც ვიცით, მტკვრისა და არაგვის შესართავში აღმართულ მთაზე დაესახლა და „უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი“. მემპტიანე გვამცნობს, რომ არმაზის კერპის ამართვამდე „ერთჟეა მას ქართლი“, შედგომაში მთის სახელი შეიცვალა, და

ეს მოხდა იმიტომ, რომ „ფარნავაზ შექმნილადი დიდი სახელსა ზედა თვისსა (არმაზი).. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლოსისა და მიერიტვან ეწოდა არმაზი“. როგორც ვხედავთ, ქართლოსსაც და ფარნავაზსაც თავთავის სახელები უწოდებდნენ.

რატომ უნდა შეეცლილიყო ქართველთა სამკვიდრო მთის ძველი სახელი? იმიტომ რომ დამთავრდა მამამთავრების ეპოქა და დაიწყო მეფეთა ეპოქა. ქართლოსი — ქართული ეთნოსისა და მამამთავრების ეპოქის დამაარსებელი, ფარნავაზი — ქართულ სახელმწიფოს, რელიგიისა და სამეფო დინასტიისა. იმიტომ არის მხოლოდ მათი საფლავები მოხსენიებული „ქართლის ცხოვრებაში“, — ერთხელ „საფლავი ქართლოსისი“ და ასევე ერთხელ „საფლავი ფარნავაზისი“. ქართლოსი „დაფლეს თავსა ზედა ქართლხისა“, ხოლო ფარნავაზი „დაფლეს წინაშე არმაზის კერპისა“, რომელიც, ჩვენთვის ეს ცნობილია, ქართლის მთაზე იდგა. მამასადამე, ქართლოსიცა და ფარნავაზიც ერთსა და იმავე მთაზე, ე. ი. ერთსა და იმავე ადგილას არიან „დაფლულნი“ ანუ დასაფლავებულნი, რითაც მათ შორის აშკარა პარარელიზში ვლინდება. ერთი მხრივ, ერთმანეთს უფიცილებდა „ქართლოსი“ და „ქართლი“, მეორე მხრივ, „ფარნავაზი“ და „არმაზი“, და რაკი „ქართლი“ და „არმაზი“ ერთი და იმავე მთის სახელებია, არმაზ-ქართლის ურთიერთშენაცვლებით ერთმანეთს ენაცვლებიან ქართლის პარცელ მამამთავარი და ქართლის პარცელი მეფე, რომლის საღმრთო სახელია არმაზი.

როგორც ვხედავთ, ჩვენი მონაკვეთის თავსა და ბოლოში „ფარნავაზ“ სახელის გვერდით „ქართლოს“ და „არმაზ“ სახელების ხსენებას გარკვეული აზრი ჰქონია. ეს სახელები, უფრო ზუსტად, ამ სახელებში დაფარული შინაარსი არა მარტო ერთიან კომპოზიციად ჰყრავს ამ მონაკვეთს, არამედ მკვეთრადაც გამოჰყოფს მას ძირითადი ტექსტიდან, რომელშიც არც ერთხელ — ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ეს — არ არის ნახსენები სახელი „ქართლოსი“ (გვხვდება სიტყვა „ქართლოსიანი“, მაგრამ „ქართლოსი“ — არა!).

ამრიგად, ჩვენს მიერ სამად დაყოფილი ამ მონაკვეთის პირველ და მესამე დანაყოფებში ლაპარაკია თვითონ ფარნავაზზე, მის ვინაობასა, წარმომავლობასა და გარდაცვალება-დაკრძალვაზე. ყურადღების ცენტრში თვითონ ფარნავაზი დგას და ამ აზრით ორივე ეს დანაყოფი ერთ ნაწილად ერთიანდება. შუა ნაწილში (მეორე დანაყოფი) თემა იცვლება. აქ წინა ბლანზეა „ქართული ენა“ და „ქართული მწიგნობრობა“. ამ ნაწილში უკვე ფარნავაზის ქმედებაა თემა

თამაზ ჩხენკელი
 პირთული ანბანი და „მეფეთა ცხოვრება“



ლაპარაკი — „განავრცო“, „შექმნა“. ასე რომ ეს მონაკვეთი ბუნებრივად გაიმიჯნა ორ ნაწილად. ასეთ გამიჯვნას დამაჯერებლობას მატებს ისიც, რომ პირველ და მესამე დანაყოფებში ხსენებული სახელი „ფარნავაზ“ ორჯერვე წრფელობითში გვაქვს მოცემული, შუა ნაწილის ორჯერ ხმარებული „ამან“ ნაცვალსახელის საპირისპიროდ, რომლებიც მოთხრობით ბრუნვაშია დასმული. მაშასადამე, შუა ნაწილი აქტიურ ერგატულ კონსტრუქციას ამჟღავნებს: „ამან განავრცო“, „ამან შექმნა“, საპირისპიროდ პირველი და მესამე დანაყოფების ნეიტრალური კონსტრუქციისა: „ესე ფარნავაზ იყო“, „და მოკუდა ფარნავაზ“. ასე რომ ორი ნაწილად გამიჯვნა ცხადდება თემატური და ამიტომ მორფოლოგიურ-სინტაქსური ასპექტითაც.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი უპარეცად სიყურადღებო გარემოება: ეს ავტონომიური მონაკვეთი 36 სიტყვისაგან შედგება, რაც — თუ ჩვენ დავყოფა სწორია — ორ ტოლ ნაწილად 18-18 სიტყვად იმიჯნება, რავე პირველი და მესამე დანაყოფები ერთად 18 სიტყვას და მეორე დანაყოფი (შუა ნაწილი) აგრეთვე 18 სიტყვას შეიცავს. მაშასადამე შინაარსობრივ-თემატური და შესაბამისად მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშნით ორ ტოლ ნაწილად გამოიქნელი ტექსტი სიტყვათა რაოდენობის მხრივაც ტოლ ნაწილებად 18-18 სიტყვად არის გამოიქნული. იბადება კითხვა: განზრახ, ცნობიერად არის ეს გაკეთებული თუ შემთხვევითობის ბრალია ასეთიანი დაყოფა, ხოლო თუ განზრახ არის გაკეთებული, რა აზრი უნდა იყოს ამასში?

სახელის „ფარნავაზ“ იზოფსეფია, როგორც ვიცით, 666-ია. ისიც ვიცით, რომ ეს რიცხვი 36 თანმიმდევარი რიცხვის ჯამს წარმოადგენს. მაგრამ რას გავგეცხადებდა 18 თანმიმდევარი რიცხვის ჯამი? 18 თანმიმდევარი რიცხვის ჯამი უდრის 171-ს, ხოლო იმის გამო, რომ ჩვენნი მონაკვეთის 36 სიტყვა 18-18 სიტყვად არის გამოიქნული, თანმიმდევარი რიცხვების ჯამის მიხედვით 18+18 მოგვექმნის 171+171-ს, ე. ი. 342-ს, რაც „სამარ“ სახელის იზოფსეფიას წარმოადგენს.

ამრიგად, არა მარტო „სამარ — ფარნავაზ“ სახელების იზოფსეფიები გვიცხადებენ სექტიმალური შესაბამისობის საკვანძო რიცხვულ მონაკვეთებს (342 — 666), არამედ ქართული ანბანის შექმნის უნიკალური ცნობის შემცველი ტექსტი თვითონ არის კონსტრუირებული ისე, რომ ახლა უკვე სხვა რიცხვული სისტემის — თანმიმდევარა ჯამის — მეშვეობით გავგეცხადოს იგივე რიცხვული მონაკვეთები, რომლებშიც სექტიმალური შესაბამისობის გასაღებია ჩადებული.

დასკვნა: ქართული ანბანის შესახებ ერთადერთი ცნობის შემცველი ტექსტი, — „ფარნავაზის ცხოვრების“ ბოლო მონაკვეთი, — 36 სიტყვისაგან შემდგარ, საკუთარი კომპოზიციის მქონე, დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს. ძირითადი და მომდევნო ტექსტიდანაც იგი გამოყოფილია, როგორც უკვე აღვნიშნეთ. „სამარ-მაგ“ სახელთან დაკავშირებული წინადადებებით, რაც მას კომპოზიციურ ავტონომიურობას ანიჭებს. თვითონ ეს 36-სიტყვიანი მონაკვეთი ორ ტოლ ნაწილად, 18-18 სიტყვად არის გამოიქნული. ერთში (პირველი და მესამე დანაყოფი) ფარნავაზის თემა დომინირებს, ხოლო მეორეში (შუა ნაწილი) ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობისა. თანმიმდევართა ჯამის მიხედვით ამ მონაკვეთის 18-18 სიტყვისაგან შემდგარი ორი ნაწილი 342-ზე მიგვიტოვებს (171+171), ხოლო მთლიანად კმ მონაკვეთის 36-ვე სიტყვა 666-ზე. ეს რიცხვები 342 — 666, ჩვენ უკვე ვიცით ეს, „სამარ-ფარნავაზ“ სახელების იზოფსეფიები და სექტიმალური შესაბამისობის საკვანძო რიცხვებს წარმოადგენს. მაშასადამე, ეს მონაკვეთი წინასწარი განზრახვით არის ისეთიანი რიცხვითი შესაბამისობის, რომ მასში საჩინო ყოფილიყო სექტიმალური შესაბამისობის რიცხვული სისტემის ძირეული მონაკვეთები, რომელთა სიმბოლურ ნომინაციებსაც წარმოადგენენ თვითონ სახელები „სამარ — ფარნავაზ“.

მისაჩვენებელია: ახლად აღმოჩენილ დავათის სტელაზე, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ფიგურებს შორის აღბეჭდილ ქართულ ასომთავრულ ანბანში, შეინიშნება ერთი უცნაური გარემოება, რომელიც არ აღუნიშნავთ ამ ძეგლის პირველმკვლევარებს (იხ. გ. ამრაშიშვილისა და ზ. ალექსიძის სტატია: „აღმოჩენა არაგვის ხეობაში“, გაზ. კომუნისტი, 19, V, 1985). კერძოდ, ესთეტიკური თვალსაზრისით საკმაოდ უგემურად, მეტნაკლები სიდიდისა და აჩხაბაჩხად ამოკვეთილი ასოები, რაოდენობის მხრივ, მწკრივებში არაჩვეულებრივი სიმეტრიულობით არიან განლაგებულნი. თვალნათლივ ჩანს, რომ პირველ მწკრივში 7 ასოა განლაგებული, მეორეში — 6, მესამეში — 5, შემდეგ: მეოთხე მწკრივში ისევ 7, მეხუთეში — 6, მეექვსეში — 5. საგულისხმოა, რომ 37-ე ასონიშანი გამოცალკავებულია (არც ერთ მწკრივში არ შედის, როგორცა ჩანს, სირად იმიტომ, რომ 6 მწკრივად განლაგებული 36 ასოს ეს სიმეტრიულობა არ დარღვეულიყო. შემთხვევითია ასეთი განლაგება?

ჩვენ ის აღვნიშნეთ, რომ მესამე მწკრივის 5 ასონიშანს უფრო მეტი სიგრძე აქვს დაკავებული (მწკრივის სიგრძე იგულისხმება), ვიდრე მომდევნო — მეოთხე მწკრივის 7 ასონიშანს, რაც იმაზე უნდა მიგვიტოვებდეს, რომ აქ „ადგილისმიერი იძულება“ გამორიცხულია, ე. ი. გამორიცხულია, რომ ასოთა ასეთიანი განლაგების ადგილის სიმკრო-სიღელი განსაზღვრავდეს. ამასვე დასტურებს პირველი მწკრივის 7-ე ასოს „ზენის“ მეტისმეტად დამცრობლი გამოსახუ-

ლება. პირველი მწკრივის ეს უკანასკნელი ასო-
ნიშანი წინმავალი „ვისისა“ და მთავარანგელო-
ზის“ გამოსახულებას შორის არის „ჩაქვეყილი“,
მაშინ როცა „განსა“ და „დონს“ შორის ერთ-
გვარი სივრცობრივი ხარვეზია დარჩენილი. რო-
გორცა ჩანს, 7-ე „ზენი“ მანცა და მანც პი-
რველ მწკრივში უნდა ყოფილიყო დამატებული.
სხვა მონაცემები (ახლა ამაზე სიტყვას
აღარ გავაგრძელებთ) იმას ადასტურებს, რომ
ანბანის ასოთა რიგი წინასწარგანზრახვით არის
ამნაირად განლაგებული.

მაგრამ, — ისმის კითხვა, — თუკი მწკრივში
ასოთა სიმეტრიულად განლაგება წინასწარგანზ-
რახვის შედეგია, რატომ 6-6 ასონიშნად არ
არის მწკრივებში ასოები განლაგებული?

ამ კითხვას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს: იმი-
ტომ, რომ სხვა შემთხვევაში 36-ის ორ ტოლ
ნაწილად, 18-18 ასონიშნად გაყოფა თვალსაჩინ-
ო ვერ იქნებოდა, ხოლო კონსტრუქცია
(7+6+5)+(7+6+5) სწორედ ასე ჰყოფს
36-ს. მაგრამ რატომ უნდა გაყოფილიყო ორ
ტოლ ნაწილად 36? ზემოთქმულიდან უკვე
ვიცით, რომ თანმიმდევარი რიცხვების ჯამით
18+18 გვაძლევს 342-ს (171+171), ხოლო 36
თანმიმდევარი რიცხვის ჯამი გვაძლევს 666-ს,
მაშასადამე, 36-ის ორად გაყოფა სიმბოლიკური
მინიშნებით შეიცავს „სამარ — ფარნავაზ“ სახე-
ლების იზოფსეფებს, რაც სრულიად ბუნებრი-
ვია, ვიგულისხმობთ იმ სტელაზე, სადაც ქარ-
თული ანბანია გამოსახული.

საესებთ შესაძლებელია, 36 ასონიშნის ორად
დაყოფაზე მიგანიშნებდეს ისიც, რომ 18-ე
ასონიშანი „თან“ ყველა სხვა ასონიშანზე თვა-
ლსაჩინოდ აღმატებულია სიდიდით. ამ ასონიშ-
ნის ლეძობე დამატებული მარტოდენ „თავი“
(სპეციფიკური გრაფიკული ელემენტი) სი-
დიდით 17-ე „პარის“ ტოლია (რაც აშკარად
თვალშისაცემია), ხოლო ლერძი — მომდევნო
მწკრივში მის ქვეშ მოთავსებული „ღანის“ მარ-
ჯვენა „ფეხამდია“ ჩამოგრძობებული და რამ-
დენადაც უფრო გარჩევა შესაძლებელია, ამ
„ფეხს“ უერთდება.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია და დავათის
სტელაზე აღბეჭდილი ქართული ანბანის ასოთა
მწკრივებში სიმეტრიული განლაგება (7, 6, 5)+
(7, 6, 5) ორ ტოლ ნაწილად ჰყოფს 36 ასონი-
შანს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სტელაზე
აღბეჭდილი ანბანი განსაკუთრებლად ეხმაურე-
ბა და ადასტურებს კიდევ მროველის 36 სიტყ-
ვისაგან შემდგარ ცნობას, რომლის ანალიზიც
ზემოთ წარმოვიდგენთ. აქედან გამომდინარე
— სავარაუდებელია, რომ ამავ სტელაზე სიე-
რო ტანსაცმით გამოკვეთილი ორი კაცის ფი-
გურა ხ ა მ ა რ - ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ს გამოსახულებას
წარმოადგენდეს, რომ „დავათის სტელა“ და ლეო-
ნტის ცნობა ერთი პირველწყაროდან მომდი-
ნარობდეს, წყაროდან, რომელიც უშუალოდ

არის დაკავშირებული ქართული ანბანის შექმ-
ნის საიდუმლოსთან.

5

განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენი მონა-
კვეთის ის შუა ნაწილი იპყრობს, სადაც ქარ-
თული ენის ვავრცობასა და ქართული მწიგნო-
ბრობის შექმნაზეა ლაპარაკი. რას ნიშნავს,
„ამან გ ა ნ ა ვ რ ც ო ენა ქართული და არღარა
იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თენიერ
ქართლისა?“ ეს იმას ნიშნავს, და ჩვენი ვფი-
ქრობთ, აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობ-
დეს, რომ ქართლი ფარნავაზამდე „სხვა“, ე. ი.
არაქართული ენებიც „იზრახებოდა“, მაგრამ ფა-
რნავაზის ქმედების შედეგად ქართლში უკვე
აღარ ლაპარაკობდნენ „სხვა“ ენებზე, არამედ
მხოლოდ ქართულზე. ქართული განივრცო, მა-
შასადამე, ქართული ენის არეალი გაფართოვდა,
ქართლში სხვა ენების ადგილი ქართულმა დაი-
კავა. იზრახებოდა კი სხვა ენები ქართლში? კი,
— „ხაზართა გამოსვლის“ თავში პირდაპირ
არის ნათქვამი: „იზრახებოდა ქართლსა შინა ექ-
ვისი ენა“, მაგრამ ფარნავაზის დროს: „არღარა
იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თენიერ
ქართლისა“. უნდა ითქვას, რომ ამ სტერეოტი-
პული ფრაზების ურთიერთკავშირი იმდენად
ცხადია, რომ დამტკიცებას არც საჭიროებს. აქ
სიტყვიერი ფორმულის ერთი და იმავე საშუა-
ლებით არის გამოთქმული სხვადასხვა პერიოდ-
ში ვითომდა ქართლში არსებული საპირისპირო
ენობრივი სიტუაცია.

აშკარა უნდა იყოს, რომ ფრაზა „ არღარა
იზრახებოდა“... თავისი ფორმითაც და შინაარ-
სითაც იმ ადგილს ეხმაურება, სადაც ქართლ-
ში ხალხებისა და ენების „აღრევაზეა“ ლაპარა-
კი. ვნახოთ, რა სწერია აქ.

მემბათიანის სიტყვით, ქართლში „აღრეულ
იყვენს“ სხვადასხვა ხალხები: 1. თურქნი, 2.
ქართველნი, 3. ბერძენნი, 4. ასურნი, 5. ხაზარ-
ნი, 6. ურიანი. სულ ექვსი ხალხია დასახელე-
ბული. „და იყვენს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე
ყოვლნი ნათესავნი და იზრახებოდა ქართლსა
შინა ექვსი ენა: 1. სომხური, 2. ქართული,
3. ხაზარული, 4. ასურული, 5. ებრაული, 6. ბე-
რძენული“.

ადგილი შესამჩნევია, რომ აქ ერთგვარი შეუ-
საბამოა დაშვებული: ჩამოთვლილ ექვს ხალხსა
და ექვს ენას შორის ხუთი ხალხის ხუთივე ენა
შეესაბამება ერთმანეთს, მაგრამ „თურქნი“ და
„სომხური“ ერთმანეთთან აღარ არის დაწვევილ-
ებული და ეს მაშინ, როცა ხალხების ჩამოთვლი-
ლს „თურქნი“ ზის პირველ ადგილზე, ხოლო
ენების ჩამოთვლისას „სომხური“. რა თქმა უნდა,
გამორიცხული არ არის, რომ აქ ტექსტის დამა-
ხისკებასთან გვეკონდეს საქმე, თუმცა ეს „დამა-
ხინჯება“ იმდენად თვალსაჩინოა, რომ იგი შეუ-

მწიგნულო არ უნდა დაჩრდილოეთი კონტინენტის
სათვის, თუკი ეს გადაწყვეტილება ბრალშია. მაგრამ,
როგორც ჩანს, ამას არ ექცევა ყურადღება იმი-
ტომ, რომ უმთავრესი აქ ხალხებისა და ენების
შეუქმდობად დაწყებაა კი არ არის, არამედ
ის, რომ „ექვსი“ ხალხისა თუ ენისაგან იქმნება
ახალი ენა — ქართული.

ასეთი თვალსაზრისი „გულუბრყვილო, მეც-
ნიერულ სიზუსტეს მოკლებულ შეხედულებად“
მიაჩნდა კ. კეკელიძეს (ძვ. ქართული ლიტ. ის-
ტორია, II, 1981, გვ. 254), ხოლო ივ. ჯავახი-
შვილი ფიქრობდა, რომ „ამგვარი ახსნა ჩვენს
დროში ბავშვსაც კი არ ენატიება“ (ტ. VIII,
1977, გვ. 183). მაგრამ რამდენად მოსალოდ-
ნელია ასეთი „გულუბრყვილობა“ ძველთაგან?

თუკი „ხაზართა გამოსვლაში“ მოთხრობილ
ამბავს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, ეს
უფრო მეტი იქნება, ვიდრე გულუბრყვილობა
და ამ შეხედულების საკვლედიკაციოდ უფრო
მძაფრი გამოთქმის მოწვევლება დაგვიტოვებო-
და. მაგრამ მემატიანის მიერ ქართულ ენასთან
დაკავშირებული შეხედულებანი რომ პირდაპირი
მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, ამაზე „ქარ-
თლის ცხოვრების“ დასაწყისი თავებში შენიშ-
ნული წინადადება, შეუთავსებლობა და ალოგი-
კურობა მეტყველებს, მაგალითად:

1. მეფეთა ეპოქა ფარნავაზით იწყება. ფარნა-
ვაზი ქართლის პირველი მეფე, მაგრამ თქმუ-
ლია, რომ ითეთოს, ფარნავაზამდე ქართლში
„აღრეულ იყვნეს“ სხვადასხვა ხალხები, რომე-
ლთა ენა „იოდეს ყოველთა მეფეთა ქარ-
თლისათა“, რაც შეუძლებელია იმის გამო, რომ
ფარნავაზამდე მეფეები არ არსებობდნენ (ეს
შენიშნული აქვს ალ. აბაღაძეს, იხ. მისი „ქარ-
თლის ცხოვრება და საქართველო-სომხეთის ურ-
თიერთობა, 1982, გვ. 124, სქოლეთი).

2. ფარნავაზმა „განავრთა ენა ქართული და
არდარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა
თვინიერ ქართლისა“, მაგრამ ფარნავაზის გამე-
ფებამდე სხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხები
ისედაც აღარ უნდა არსებულებოდნენ, ვინაიდან
ალექსანდრე მაკედონელი „მოსრა ყოველი იგი
ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი... და და-
უტევნი ნათესავნი ქართლოსიანი“. მაშასადამე,
შეუძლებელია სხვა ხალხები და ამიტომ სხვა
ენები არსებულებო ქართლში.

3. ექვსი ენისგან, მათ შორის „ქართლისა-
გან“ იქმნება ქართული ენა, ან რაც კიდევ უფ-
რო აბსურდულია, ექვსი ხალხისაგან, მათ შო-
რის „ქართველებისაგან“ იქმნება ქართული ენა:
„ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქარ-
თული“-ო გვამცნობს მემატიანე და უცხო ხალ-
ხების გვერდით ქართველებიცა ჰყავს დასახე-
ლებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ XII ს.
სომეხი მთარგმნელი ენებია „შერევისაგან
შენაკრებს“ უწოდებს ქართულს და არა ხალხე-
ბისაგან თუ ტომებისაგან შენაკრებს (ქართლის

ცხოვრების ძველი სომხური მთარგმანი, ილ. აბუ-
ლაძის გამოცემა, 1953, გვ. 23).

შეუძლებელია, ყველაფერი ეს გულმაგიწყობას
ან უნებლიე შეცდომებს მიეწეროს. ასეთ შე-
ცდომებს მხოლოდ წინასწარგანზრახვით უშვებენ,
რომ აბსურდული ზრის მოსალოდნელი უკუე-
დების ფონზე უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს და-
ფარული თვალსაზრისი. ეს თვალსაზრისი კი
იმას გვეუბნება, რომ ექვსი განსხვავებული
ნაწილისაგან (ენისაგან) შეიქმნა ახალი, მეფიდე
მთლიანობა. ჩვენი აზრით, ამ ინფორმაციაში სი-
მბოლიერო მინიშნებით სწორედ ეს „ექვსი“
წინა პლანზე წამოწეული. ავტორის მიზანი ისაა,
რომ მაინცა და მაინც „ექვსი“ ენისგან შექმნი-
ლად წარმოგვიდგინოს ქართული ენა, ხოლო
ასეთი რამ ძნელია „გულუბრყვილობას“ მიე-
წეროს. პირიქით, აქ ჩვენ საქმე უნდა გვექონდეს
იმ სიმბოლიკურ ენასთან, რომელიც თითქმისდა
უზნისშეგლი, დაუჭერებელი თუ საღ აზრთან
შეუთავსებელი ამბის გამოცემით რაღაც უფ-
რო მნიშვნელოვან, უფრო ღრმა და ქვეშაირტ
აზრზე მიგვანიშნებს. სიმბოლიკური ენა თუმცა
კი ნიღბავს მთავარ აზრს, მაგრამ ნათესავად
მანიშნებდასაზრებს მასზე, ეს ენა გათავის-
წინებულ იყო **ა ღ ქ ე მ ს მ რ ა ა ვ ა ღ ნ ი შ-
ნ ა დ ო ბ ა ზ ე**, რათა ნამდვილი და ერთადერთი
მნიშვნელობა იმას გაეგო, ვინც ქვეშაირტ შე-
მეცნებას მიეღობდა.

ჭერ კიდევ აღრეპრისტიანულ ხანაში ფიქრობ-
დნენ, რომ ტექსტში თანმიდევრულად და
ლოგიკურად არის აღწერილი რაიმე ამბავი, საე-
ჭვოა, მითხველი ჩაუვიკრდეს იმას, რომ აქ პი-
რდაპირი, „ადვილად მისაწვდომი“ აზრის გარდა
სხვა აზრიც არის საგულეებელი. ამიტომ ტე-
ქსტში **გ ა ნ ზ რ ა ხ** შექმნდათ ხოლმე „დაბრ-
კოლების ქვეში“ — ერთგვარი უაზრობანი, რომ
მათზე ფეხმორკულ მეთხველს გაეაზრებინა
ტექსტის ფარული მნიშვნელობა. ამიტომ **ს ი მ-
ბ ო ლ ი კ უ რ ი ე ნ ი ს** კონდა საპიროდ ითე-
ლებოდა ზემხედველისათვის. ბრძენთა თვისე-
ბაა, ამბობდა გრამატიკოსი დიდიმი, გონიერუ-
ლად მოიხმონ სიმბოლი და ჩაწვდნენ საიდუმ-
ლოს, რომელიც მის წილ არის დაფარული.
სხვა მხრივ, სიმბოლიკურმა ფორმამ ისე „მარ-
ჯედ უნდა დაფაროს საიდუმლო, რომ ამ და-
ფარვით საინიუოს და იდუმალყოფით გამოა-
ვლინოს იგი“. ივავრმა ფორმამ უნდა შეუნარ-
ჩუნოს მველევარს შემეცნებისადმი სწრაფვა და
ენების სიფხიზლე, ვინაიდან ქვეშაირტება მხო-
ლოდ ენიგმების, სიმბოლიკური ალგორიების,
მეტაფორებისა და სხვა მსგავსი სახეების (ტრო-
პისი) მეშვეობით გამოგვეცემა ზღომე
(ვ. ვ. ბიჩკოვი).

„ხაზართა გამოსვლის“ ჩვენთვის საინტერესო
პასაჟს, სადაც ექვს ენაზეა ლაპარაკი, ჩვეულებ-

როც, ფსევდო ეფრემის „განძობა ქვაბის“ იმ აღ-
გილთან აკავშირებენ, რომელიც ენათა აღრევაზე
მოგვითხრობს. ეფრემ ასურისად (IV ს.) შერაც-
ხილ ამ თხზულებაში შემდეგია ნათქვამი: როცა
ნოეს ნაშიერნი დასახლდენ, „იყო სიტყვა მთი
ერთ და ენასა ზრახვიდეს ადამისითგან ვიდრე
მუნ დღემდე ენასა ასურულსა ფრიად
ვრცელსა... და არს იგი მეფე ყოველი-
სა ენასა“. მაგრამ როცა „შეირივებს ენანი
და განიბნივებს ყოველნი პირსა ქვეყანისასა...
მიერთიგან იქმნა ქვეყანა სამეოცდაათ ენად“.
ასე რომ ამ თხზულების თანახმად, ერთი და
ერთი მეფე ენა (ასურული) 70 ენად დაიყო.
უნდა ითქვას, რომ ფსევდო ეფრემის ამ ენობ-
რივი თეორიის დახმარებით იგივე სქემა,
ოღონდ რაოდენობრივად მოდიფიცირებული,
გვხვდება „ვახტანგის ცხოვრებაში“. რა არის
თქმული ამ ადგილას?

„უჯანაჲნეფი ფაზის“ მოლოდინში ნებროთს
მჩაელ ანგელოზს ურჩევს: „განუტევენ ნათესა-
ენი ესე, ვითარცა ვინ (ე. ი. სად) ინებოს“. და
მართლაც: „დაუტევენს ყოველთა ქალაქი და წა-
რვიდეს. და დაუტევენა 1. პინდურად მზრახველნი
პინდოეთს, 2. სინდნი — სინდეთს, 3. პრომნი —
პრომს, 4. ბერძენნი — საბერძნეთს, 5. აგ და
მაგუგ — მაგუგეთს, 6. სპარსნი — სპარსეთს.
ენათ პირველი ენა ასურებრი იყო. და ესე
არიან შვიდნი ენანი, რომელნი ნებროთისამდე
ზრახვიდეს“.

ამ ნაწყვეტში ფსევდო-ეფრემის 70 ენა მო-
დიფიცირებულია 7 ენად.* ეფრემთან ასურული
არის „მეფე ყოვლისა ენისა“. აქ, ასურული „პი-
რველი ენაა“. ე. ი. ენათა დასაბამი და წინაპა-
რთა, როგორც ჩანს, იმითაა რომ ტრადიციი-
სამებრ მისგან წარმოშობილად თუ განშტოე-
ბულად მიიჩნევა დანარჩენი ენები, ავი ეფრემ-
თან იგი „ერთი“ და „ფრიად ვრცელი“ ენაა. მა-
შასადამე, ამ ნაწყვეტში ასურული გამოყოფილი
და დაპირისპირებულია დანარჩენი ექვსი ენისა-
დმი ისევე, როგორც ქართული ენაა იმ ექვსი
ენისადმი დაპირისპირებული, რომელთაგანაც ის
შეიქმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ენათა დაყოფა და
შეერთება უჩვეულო რამ არ არის ქრისტიანულ
ტრადიციასში. საქმე მოციქულთაში სულაწმინდის
მოვლინებისას „აღივსენს ყოველნი სულითა
წმიდითა და იწყეს სიტყვად უცხოთა ენათა, ვი-
თარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყვად“ (2,4).
საქმე მოციქულთას ამ ადგილთან დაკავშირებით
ა. პ. ლოპუხინის „კომენტარებში“ მოხმობილია
წმიდა თეოფილაქტეს სიტყვები: „და როგორც
ბაბილონის ენათა აღრევისას ერთი ენა დაიყო

მრავლად, ისე ახლა ერთ ადამიანში შეერთდა
მრავალი ენა“ (ტ. II, 1914, გვ. 14). მაშასადამე,
ერთ კაცში სასწაულებრივად შეიკრიბა, შეერთ-
და მრავალი ენა. „ხაზართა გამოსვლის“ ჩვენთ-
ვის სინტერესო ადგილას კი ის თვალსაზრისისა
გამოთქმული, რომ ენების „შეერთებით შეიქმნა
ახალი ენა — ქართული. XII ს-ში შესრულე-
ბული სომხური თარგმანის მიხედვით, „ამ შეერ-
თებულს ეხლა ქართული ეწოდება“ (დასახ. წი-
გნი, გვ. 22).

ამრიგად, თუ „ვახტანგის ცხოვრებაში“ ასუ-
რული ენისაგან განყოფისა თუ განშტოებისა
გზით არის შექმნილი ექვსი სხვა ენა, „ხაზართა
გამოსვლაში“ აგრეთვე ექვსი ენის შეკრებისა და
შეერთების მეშვეობით იქმნება ახალი ენა —
ქართული.

როგორც ვხედავთ, ერთნაირი რიცხვული კო-
ნსტრუქციის საფუძველზე აგებულ ამ ორ პა-
საეს შორის გარკვეული შესაბამისობაა (რაც
შესაძლოა, ფარულ მინიშნებას შეიცავდეს იმა-
ზე, რომ ასურული ენის მსგავსად, ქართულიც
აღმაცემული და უპირატესი ენაა), ვინაიდან
თუ „პირველი“ ასურული ენა დასაბამია ენათა,
ქართული — ენათა შემკრებ-შემეერთებელია და
ამიტომ დამასრულებელი, უჯანაჲნეფი ენაა.

ზემოთქმულია ენების შენერბოვითა დაისახა
კითხვა: დადასტურებულია თუ არა ლეონტისა
და ქუანშერის ტექსტის სხვა ადგილებში ანა-
ლოგიური ნითოლოგიურ-რიცხვული კონსტრუქ-
ცია, სადაც „ექვსთან“ დაპირისპირებული „მეშ-
ვიდ“ აქცენტრებული იქნებოდა როგორც ამ
„ექვსსი“ აღმაცემული და უპირატესი?

1. თავში „აღმწენებისათვის ეკლესიისა“
ეკითხულობთ: მირიან მეფემ „მოჰყუეთა ნაძვი
იგი და ნაძვისა მისგან შემზადანა შვიდნი
სუეტნი ეკლესიისანი... და აღმართნეს ექუს-
ნი იგი სუეტნი თვისთვისად, ხოლო სუეტნი
იგი უდიდესნი, რომელი საკვირველ იყო
ხილვითა, საშუალ ეკლესიისა შესადგებე-
ლად განმზადებული ვერ შეუძლეს აღმართებად
მისა“. როგორც ვხედავთ, მეშვიდე სვეტი გან-
საკუთრებულია, „უდიდესი“ და „საკვირვე-
ლია“. ეს სვეტი ეკლესიის „საშუალ“. ე. ი. შუა-
ში უნდა აღმართულიყო.

2. თავში „თქმული მისივე აბიათარ მღვდელი-
სა“ ეკითხულობთ: ნინოს „დაემოწაფნეს შვი-
დნი დედანი — ნათესავნი ჰურიათანი: სილო-
ნია, ასული აბიათარის და ექუსნი სხუანი“. აქაც, შვიდ ქალში სახელდებითა და ვინაობის
აღნიშვნით გამოყოფილი სილონია უბირისპირ-
დება „ექვს სხვას“.

3. თავში „აღმართებისათვის პატოსნისა
ჭუარისა“ ნათქვამია: „მაშინ მისისა ერთსა
შექმნეს ჭუარნი ესე, და შვიდასა ამის
თვისა აღმართნეს ხელის დიდებითა მეფეთა-
ნი“. ეს ჭვარი პირველ მისს შეიქმნა, მაგრამ
აღმართა მეშვიდე დღეს. მეშვიდე დღე

* ბიბლიაში 7 და 70 პირობითად ენაცვლებიან
ერთმანეთს... იხ. ბიბლიური ღვთისმეტყველების
ლექსიკონი“. ბრიუსელი, 1974, გვ.1256

აქ გამოყოფილია როგორც ჯერის აღმართების დღე.

4. თავში „აქა სპარსთა მოსვლა ქართლს“ (ცხოვრება ვახტანგის) შემდეგია მოთხრობილი: ვახტანგმა თავის ხუთი წლის ვაჟს დაჩის „დაადგა გვირგვინი და დაუტევა მეფედ, და დაუტევინა მის თანა შვიდნი წარჩინებულნი მისნი: პირველად ჭუნაშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა“ და შემდეგ ჩამოთვლილია თანმიმდევრულად ექვსი ერისთავი: 1. და დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა, 2. და გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა, 3. და ნერსარან, ერისთავი ხუნანისა 4. და ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა, 5. და სამხილარ, ერისთავი შიდა ეგრისისა და სუანეთისა, 6. და ბაქურ, ერისთავი მარგვეისა და თაყურისა“. აქაც, როგორც ვხედავთ, ყოველთა ერისთავთა მფლობელი“ სპასპეტი ჭუნაშერი უპირატესობის ნიშნით არის გამოყოფილი ექვსი უფლებრივად თანატოლი ერისთავისგან.

5. სიკვდილის წინ მეფე მირი უბარებს თავის ძმას არჩილს: „არა მივის ძე — წული შვილი მკვირად, არამედ მისხენ შვიდნი ქალი... აჲ, რათგან მოიყვანიან მამათა ჩუენთა ცოლნი ასულნი ერისთავთა ჩუენთანი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი... ხოლო არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისწულნი მისნი: ერთი მისცა მამის ძმისწულსა მისსა... შუორე მისცა პიტიახშასა... მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა... მეოთხე მისცა ადარნასეს ადარნასიანსა... მეხუთე მისცა ვარზმანს... მეექვსე მისცა ჭუნაშერს ჭუნაშერიანსა...“ ამ ჩამოთვლაში სიტყვა „მეშვიდე“ ნახსენები არ არის. მხოლოდ არმდენიმე აზნაუის შემდეგ არის ნათქვამი: „მამინ მისცა ლონის ცოლად ძმისწული მისი გურანდუხტ და გვირგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთვის“.

აქაც სურათი ნათელია. შვიდ ასულს შორის მხოლოდ მეშვიდე ასულია სახელდებით გამოყოფილი. მეორე მხრივ, ქართლის ექვს ერისთავს უპირისპირდება მეშვიდე ერისთავი აფხაზეთისა, რომელსაც ბერძენთა მიერ წარმოგზავნილი გვირგვინი გადაეცემა. ამხვე იგიზოდში უაღრესად საინტერესოა ერთი დეტალი: არჩილი სამფლობელოებს უმტკიცებს ერისთავებს, და როგორცა ჩანს, მათ თანაბრად ანაწილებს. მხოლოდ ჭუნაშერს ჭუნაშერიანს, ჩამოთვლისას მესამეს ერისთავს აძლევს „უმეტეს ნაწილს“, რის გამოც „დაუმძიმდა მცირედ რამე სხუთა მათ“. რატომ მიანიც და მიანიც მეექვსე ერისთავს ერგო „უმეტესი ნაწილი?“ იმიტომ რომ „ექვსი“ ზღვრული სიდიდის რიცხვია თვლის შვილობით სისტემაში.

ამ პასაჟის რიცხულ-მოთხოვნილოგიურ სტრუქტურას ისიც ადასტურებს, რომ იგი ზღაპრულ ქარგაზეა აგებული: შვიდი ასულის შვიდ ერისთავზე გათხოვება, ერისთავთა სახელები — ნე-

რსე ნერსიანი, ადარნასე ადარნასიანი, ჭუნაშერიანი აქარას ხდის ამ პასაჟის ზღაპრულ სიუჟეტთან კავშირს.

როგორც ვხედავთ, ყველა შვიდეულში „ექვსთან“ დაპირისპირებული „მეშვიდე“ განსაკუთრებულია, 1. მეშვიდე სვეტი „უდიდესი“ და „საკვირველია“. იგი ეკლესიის შუაში უნდა დადგმულიყო, 2. შვიდ დედათა შორის, რომლებიც ნინოს დაემოწაფნენ, სახელდებით და ვინაობით მხოლოდ ერთია გამოყოფილი, დანარჩენებზე თქმულია „ექვსნი სხვანი“, 3. პირველ მამის შექმნილ ჭვარს ექვს დღეს ალოდინებენ, რათა მეშვიდე დღეს აღმართონ, 4. შვიდ წარჩინებულთა შორის „პირველ“ კაცად მოსვენებულია ჭუნაშერ სპასპეტი, მფლობელი ყოველთა ერისთავთა, ე. ი. ექვს ერისთავზე აღმატებული და უპირატესი, 5. მეფის შვიდი ასულიდან ექვსს ქართლის ერისთავებზე ათხოვებენ, მეშვიდეს აფხაზეთის ერისთავზე და სწორედ ეს ასულია სახელდებით ნახსენები, ხოლო ქართლის ექვს ერისთავს გვირგვინის მფლობელი აფხაზეთის ერისთავი უპირისპირდება. 6. ჩამოთვლისას ასურული ენა გამოყოფილი და დაპირისპირებულია ექვს დანარჩენ ენასთან როგორც „პირველი“, ე. ი. როგორც ენათა დასაბამი და წინაპარი (თურენა), და ბოლოს, 7. ექვსი ენისაგან თუ ნათესავისაგან იქმნება მათი მომცველი და ამიტომ მათზე აღმატებული მეშვიდე ქართული ენა.

6

„ფარნავაზის ცხოვრების“ დამასრულებელი მონაკვეთის მიხედვით, ფარნავაზმა „განავრცოა“ ქართული ენა და სწორედ ამ „განავრცობის“ გამო „არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“, ე. ი. ქართულში ენამ თავის თავში მოიცვა სხვა ზალხთა ენები და ამიტომ „მათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვა „განავრცოა“ — მთელი სისავით ეგზაურება ფსევდო-ფერმის „ფრიად ვრცელ“ ასურულ ენას. ასურული ხომ იმიტომ იყო „ფრიად ვრცელი“, არცერთი სხვა ენა არ არსებობდა მაშინ. ჭუნაშერის ქრონიკაში ასურული ენა მოხსენიებულია, როგორც „პირველი ენა“, ე. ი. დასაბამიერი, თურენა იმ შვიდ ენათა შორის, რომლებშიც მაშინ იზრახებოდა. ასურული „პირველი ენიდან“ იშვა ექვსი სხვა ენა, ხოლო ექვსი ენიდან შეიქმნა მეშვიდე, ე. ი. უკანასკნელი ენა — ქართული, რომელიც, შესაძლოა, სწორედ ამიტომ მოელის „უკანასკნელ ენას“, — უფლის მეორედ მოსვლას, რაც ბარჯერ არის გამეორებული „ქებად და დიდობად ქართულისა ენისაჲს“ ტექსტში.

მაგრამ თუ ასეა, თუ „ფარნავაზის ცხოვრების“ ბოლო მონაკვეთის ფარნავას — „და არღარა იზ-

რახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულსა — უცილობელი კავშირი აქვს ჩვენთვის უაღრესად საყურადღებო პასაჟთან „ხაზართა გამოსვლიდან“, სახელდობრ, ფრანკსთან: „და იზრახებოდა ქართლსა შინა ექვსი ენა“, მაშინ მოულოდნელი და გასაკვირი აღარ უნდა იყოს ისიც, რომ ასეთი მითოლოგიური ხასიათის რიცხვული სტრუქტურა („ექვსი“ და მასთან უპირატესობის ნიშნით დაკავშირებული „მეშვიდე“) ასოთა მისტიკის დონეზეც ყოფილიყო გამოხატული „ფარნავაზის ცხოვრების“ ჩვენთვის საინტერესო ბოლო მონაკვეთში.

ამ მიმართულებით, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, არც გავგეხმავებოდნა ყურადღება, მაგრამ აქ საქმე ეხება „ფარნავაზის ცხოვრების“ იმ დამასრულებელ მონაკვეთს სადაც „მწიგნობრობის შექმნაზეა“ ლაპარაკი, ხოლო ძველად ანბანი მაგიური და მისტიკური ოპერირების საფუძველი და საშუალებაც იყო. მკითხველს უნდა შევახსენოთ ს. ავერინცივის აზრი იმის შესახებ, რომ გვიანიუღუერო (პროტოკაბალისტური), გვიანწარმართული და გნოსტიკური სინკრეტიზმისათვის ნიშანდობლივი იყო ანბანის, როგორც გამოუთქმელ საიდუმლოთა საწყაულის, თავყვანისცემა, ხოლო გვიანტიკური ბერძენი „ოკულტიკები“ არ ჩამორჩებოდნენ თავიანთ აღმოსავლელ თანამოძმეებს. მაგალითად, ალქიმოკოსს, მისანსა და ეზოთერიული ცოდნის ადვოკატ ზოსიმეს მიაჩნია, რომ კრონოსის სარტყელს შესაბამებელი ომეგა „აღმოუთქმელი რამ არის“. ისიდორე სევილიელი ფიქრობს, რომ ბერძნული ანბანის ხუთი ასონიშანი (ალფა, თეტა, ტაუ, იპსილონი, ომეგა) მისტიკური მნიშვნელობით არის აღბეჭდილი. ამგვარადვე გამოყოფდნენ თავიანთ ჰერმეტიკათვის ცალკეულ, „პრივილეგირებულ“ ასონიშნებს ადრეიზანტიელი ნეოპლატონიკოსები, მაგალითად, ეპსილონს („სამართლიანობის სასწორს“), ანდა იმავ ეპსილონს („ფილოსოფოსთა ასოს“). ადრეულ ქრისტიანთა ჩვეულება იყო განემარტათ სიტყვა „იხფხ“ („თევზი“). როგორც „ი — ესუბ — რისტოს — ეუ 3 — იოს ხ — ოტარ“ (იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხსნელი). ასეთ ოპერაციას „ნოტარიკონი“ ეწოდებოდა. „ნოტარიკონის“ მეშვეობით ბიზანტიელები ხალისით განმარტავდნენ ადამ-ის სახელს, როგორც ქვეყნის ოთხი მხრის საიდუმლოდ შემოკლებულ ჩამოთვლას, საიდანაც გამოჰყოფიდათ დასკვნა, რომ კაცი მცირე სამყაროა.

ზემოაღნიშნული მონაკვეთის განხილვა ასოთა მისტიკის დონეზე არაფერს მოულოდნელს არ შეიცავს თვითონ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც იმიტომ, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა წყაროებთან ერთად „მეფეთა ცხოვრებაში“ გამოყენებულია „ისტორიოგიურ-კაბალისტური“ ოციანი პერმეს ტრისმეგისტოსისა, რომელიც ასოთა კაბალისტური განმარტებასაც შეიცავ-

და (კ. კეკელიძე), და გასაკვირი არ უნდა მჩუქსკეთო იგი გამოყენებული იქნებოდა „ფარნავაზის ცხოვრების“ იმ მონაკვეთშიც, რომელიც ჩვენ გვიანტრესებს.

კითხვა ასე ისმის, არის თუ არა ჩვენს მონაკვეთში ასონიშნური კორელატივ გამოხატული „ექვსი“ და მასთან უპირატესობის ნიშნით დაპირისპირებული „მეშვიდე“?

როგორც ვიცი, აღნიშნულ მონაკვეთში გვხვდება ექვსი მსგავსფუძიანი სიტყვა: ქართლსა, ქართლისისა, ქართული, ქართლსა, ქართულსა, ქართული. ამ ექვსი სიტყვის თაურასოდ დამსმული „ქან“ ასონიშანი როგორც ჭრის გრაფიკული გამოსახულება, თავისთავად იპყრობს ყურადღებას და უნებურად ზადებს იქვს, ხომ არ წარმოადგენს ღრმა სიმბოლიკური მნიშვნელობის ექვსი მსგავსფუძიანი სიტყვის თაურასოდ დამსმული „ქანი“ ასონიშნურ კორელატს იმ „ექვსი“ ენისას, რომლისგანაც შეიქმნა „მეშვიდე“ ენა — ქართული („და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული)? მაგრამ მაშინ, ანალოგიის სისრულისათვის, ქართულ ენას, როგორც „მეშვიდე“ ენას და ამასთანავე უპირატეს ენას, ჩვენს ტექსტში უნდა შეესაბამებოდეს მეშვიდე და უმთავრესი „ქან“ ასონიშანი, რომელიც დანარჩენ ექვს „ქანს“ დაუპირისპირებოდა.

და მართლაც, ტექსტში კიდევ, მხოლოდ ერთი სიტყვა შეიცავს ასონიშან „ქანს“. ეს მეშვიდე „ქანი“ თაურასოდ კი აღარ ზის, არამედ სიტყვის შიგნით არის მოქცეული, რითაც უპირისპირდება კიდევ ექვს დანარჩენ „ქანს“ ისევე, როგორც ექვს ენას უპირისპირდება მათგან შექმნილი მეშვიდე ენა. ეს არის ამ კონტექსტში ცენტრალური, უძლიერესი აზრობრავი დატვირთვის მქონე სიტყვა „შექმნა“ („და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“). თვითონ ამ განსხვავებული „ქანის“ მატარებელი სიტყვაც უპირისპირდება დანარჩენ „ქანიან“ სიტყვებს იმით, რომ იგი „ზმნა“ და არა „სახელი“, ე. ი. უპირისპირდება მორფოლოგიური ასპექტითაც, როგორც წინადადების „ცენტრალური პუნქტი“...

• • •

ახლა უნდა განიმარტოს, თუ რატომ „არის გააზრებული ქართული ენა „ექვსი“ ენისაგან შექმნილი „მეშვიდე“ ენად. რა თქმა უნდა, ჩვენ ერთი წუთითაც არ ვიფიქვებთ იმას, რომ მთელი ეს რიცხვული კონსტრუქცია, — „ექვსი“ და მასთან უპირატესობის ნიშნით დაკავშირებული „მეშვიდე“, — მხოლოდ და მხოლოდ რიცხვითა მითოლოგიურ სისტემას ემყარება და მას საერთო არაფერი აქვს ისტორიულ სინამდვილესთან. მით უმეტეს, საკითხავია, რატომ მაინცა და მაინც ეს და არა რომელიმე სხვა რიცხვული

კონსტრუქციას მოხმობილი ქართული ენის „შექმნის“ გამოსახატავად. რატომ მიიწია და მიიწი „ექვესი“ ენისაგან იქმნება მათდამი უპირატესობის ნიშნით დაპირისპირებული „მეშვიდე“ ენა, ქართული ენა.

„ექვესთან“ უპირატესობის ნიშნით დაკავშირებული „მეშვიდე“, ჩვენი აზრით, თვლის შვიდობითი სისტემის რიცხვულ კონსტრუქციას ასახავს. ჩვენ უკვე ვაჩვენეთ (იხ. სექტიმალური შესაბამისობის ცხრილი), რომ ექვესი მწკრივისაგან შემდგარ ყოველ რეგისტრში უკანასკნელ საფეხურს ჰქმნის ზღვრული სიდიდის მქონე მეექვსე მწკრივი, რომლის რიცხვები აუცილებლად ექვსისა და ექვსის ჯერადებისაგან შედგება: $6, 6 \times 7, 6 \times 7^2$ და ა. შ. აღნიშნული გვაქვს, რომ თვითიული რეგისტრის მეექვსე მწკრივის მოსდევს მისი დამასრულებელი მეშვიდე მწკრივი, რომელიც ამ სისრულის გამო ახალ თვისობრიობას იძენს და ამიტომ თვითონ ხდება მომდევნო რეგისტრის პირველი მწკრივის დამწყობი, ასე რომ „მეშვიდე“ მწკრივები, ფაქტობრივად, ახალ რეგისტრებს უყრიან საფუძველს, ე. ი. მომდევნო რეგისტრების პირველ მწკრივებს იწყებენ. სწორედ ეს მომენტი უნდა იყოს ფიქსირებული „ექვესისაგან“ შექმნილ „მეშვიდე“ ენაში, მომენტი, რომელიც ექვსივე მწკრივის გადასახტოვით მომდევნო რეგისტრის პირველ მწკრივში გადასვლას ასაჩინებს. „ექვესი“ ამთავრებს რიცხვთა აღმავალი გრადაციის ციკლს და ამდენად დროის თვალსაზრისით, „ექვესი“ არის კვირადღის ანუ უკანასკნელი ექვსის შემდეგ რიცხვთა თვისობრივად ახალი ციკლი იწყება. ამიტომ არის „მეშვიდე“ ენა თვისობრივად ახალი და ამდენად, აღმატებული და უპირატესი. ქართული ენის „ექვესი“ ენისაგან (თუნათესავესაგან) შექმნის მითოლოგიაში ის აზრი უნდა იყოს გაცხადებული, რომ ამ ენამ გადალახა დროის ძველი ციკლი და დროის ახალი ციკლი დაიწყო. მაშასადამე, აქ მინიშნებული დროის გარკვეულ მიჯნაზე ენაში მოხდარი უდიდესი გარდატეხის მომენტი. ეს მომენტი სიმბოლიკურად ქართული ენის ექვესი ენისაგან შექმნას ანუ ახალ თვისობრიობაში გადასვლას ასახავს, რაც ჩვენი აზრით, პირდაპირ არის დაკავშირებული „ქართული მწიგნობრობის“ შექმნასთან.

ეს რიცხვულ-მითოლოგიური კონსტრუქცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიბლიური წარმოშობისაა და იგი არა მარტო გამოცხადებაშია გამოვლენილი, არამედ იოანეს სახარებაშიც. შავალითად, კანაში იესომ ქვის ექვს სარწყულში ჩაასხმევინა წყალი და „რქვა მათ: აღმოაგეთ ანუ და მთავრეთ პურის უფალსა“ (2, 6). პურის უფალმა, როგორც ვიცი, „ქეთილი ღვინის გემო იხილა“ (2, 6-10). აქ, „ექვესი“ სარწყულიდან ამოღებულ წყალს „მეშვიდე“ ტურქულით სუფ-

რაზე მორთმეული „ქეთილი ღვინო“ უპირისპირდება. ჩვენი აზრით, ამ პარადიგმაზე აგებული ქართული ენის ექვესი ენისაგან შექმნის პასაჟი: ექვესი სარწყულიდან ამოღებული წყალი ხომ რომელიღაც სხვა ტურქულში ერთიანდება „ქეთილ ღვინოდ“.

კაპერნაუტში იესომ განკურნა სამეუფეო კაცის ძე, რომელიც „უმოღზინეს იქმნა მეშვიდესა ფაშა“ (4, 52), ხოლო შემდეგ ერთი უძლური კაცი. „მეყსეულად განკოცხლდა კაცი იგი და წავიდა, ხოლო იყო შაბათი დღე იგი“ (5, 9). პირველ მაგალითში აქცენტირებულია მეშვიდე ფაში, ხოლო მეორეში მეშვიდე დღე, ვინაიდან „შაბათი“ კვირის მეშვიდე დღეა. ამ მაგალითებშიც მეშვიდე ფაში და მეშვიდე დღე უპირისპირდება დანარჩენ დღეებს კვირისას, როგორც სასიცოცხლო მოზრუნების, განკურნების თუ განახლების განსაკუთრებული, გამორჩეული დღე.

„მეფეთა ცხოვრების“ ავტორს, წერს კ. კეკელიძე, „მუდამ თვალწინ აქვს ბიბლია, საიდანაც ის უხვად იღებს სახელებს, სახეებს, ფაქტებს და გამოთქმებს“ (ეტიუდები, II, 1945, გვ. 276). მაგრამ არა მარტო ამ კომპონენტებს. რიცხვულ-მითოლოგიური კონსტრუქციებიც აქედანვე აღებული, მაგალითად: იესო რომ ჯვარს აცეცს „იყო პარასკევი პასქასა და ფაში იყო მეექვსე“ (19, 14), ე. ი. დღეც მეექვსე იყო (პარასკევი მეექვსე დღეა კვირისა) და ფაშიც მეექვსე. რატომ? იმიტომ რომ „ექვესი“ თვლის შვიდობით სისტემაში რიცხვული გრადაციის უმაღლესი საფეხურია (ისევე როგორც თვლის ათობით სისტემაში „ცხრა“), რომლის შემდეგ ახალი თანრიგი იწყება. აღსანიშნავია, რომ ზემოთმოყვანილი სახარებისეული ფრაზა უმნიშვნელო კორექტივით კალიკრებულაა „მეფეთა ცხოვრებაში“, კერძოდ, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევაში“: „ხოლო ოდეს იქმნა ესე, ფაში იყო მეექვსე და დღე მეექვსე“ (ქ. ცხ. გვ. 92).

ეს ფრაზა შემთხვევით არ არის მოხმობილი. „ქართლის მოქცევაში“ იგი ასრულებს ერთ დიდ მონაკვეთს თბორბისას, რომელიც არმაზის კერპის და მისდამი ზორვის სადღესასწაულო სურათის აღწერით იწყება. ამ სურათის ხილვით შეძრწუნებული ნინო ლოცულობს. „და ვითარცა დაასრულა ლოცვა... ხმა სცეს ქუხილთა ხმითა საზარელითა... და მესყუელად მოიწია რისხვისა იგი დრუბელთა... და მოილო სეტყვა ღირთისა სწორი... და დაწვილინა კერპნი იგი და დამუსრა... ხოლო მახვე დღესა რისხვისასა, ოდეს დასცხრა სეტყვა იგი და ქარი სასტიკი, მაშინ გამოიწმინა ნიში ქრისტეს ჭურისას... და მადლობდა ღმერთსა და ევედრებოდა, რათა მოხედნეს წყალობით ერსა მას შეცდომილსა. „ხოლო ოდეს იქმნა ესე, ფაში იყო მეექვსე და დღე მეექვსე“...

როგორც ვხედავთ, „ფაში მეექვსე და დღე მეექვსე“ სახარებაში ქრისტეს ჯვარცმის, ხოლო



„ქართლის მოქცევაში“ ეკრბთა შემუსვრის, არმაზული სარწმუნოების აღსასრულის, ე. ი. დროის ძველი ციკლის დამთავრების დღეა. ამ დღის შემდეგ „ქება-დიდება ქრისტიანი არღარა ფარულად ითქმოდნა ქართლსა შინა, რამეთუ მადლსა ღმრთისასა ეწყო მიფენად აღმოსავლეთს“ (გვ. 92). მაშასადამე, ეს არის მიჯნის, ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი გარდატეხის დღე. მთავრდება ეკრბთაყვანისცემის არმაზული ეპოქა და იწყება ახალი ხანა, ქრისტიანი არა „ფარული“, არამედ ღვგალური დიდების ხანა.

ამრიგად, „ექვე“ უკანასკნელი ყამის, მიჯნის, გრადაციის უმაღლესი საფეხურის განმასახიერებელი რიცხვის მითოლოგიებით არის ვაცხადებული იოანეს სახარებაში ქრისტიანი წყარვის, ხოლო „ქართლის მოქცევაში“ არმაზული ეპოქის დამშობის ყამი. ამავე რიცხვით არის გამოხატული სხვადასხვა ენებიდან ქართული ენის შექმნის სიმბოლიკური აზრი, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს „ფარნავაზის ცხოვრების“ ბოლო მონაკვეთთან, სადაც ანბანის უნიკალური ცნობაა მოცემული. თვითონ ეს მონაკვეთი რიცხვული სიმბოლიკის საშუალებით გვიცხადებს „სამარ — ფარნავაზ“ სახელების იზოფსეფიას, რომელიც თავის მხრივ, სექტიმალური შესაბამისობის რიცხვული სისტემის გასაღებს წარმოადგენს და პიდაპირ არის დაკავშირებული გამოცხადების ტექსტთან.

ასეთია ჩვენი თვალსაზრისი „ფარნავაზის ცხოვრების“ იმ ბოლო მონაკვეთთან დაკავშირებით, რომელშიც ქართული ანბანის შექმნის უნიკალური ცნობაა ვაცხადებული. აღნიშნულ მონაკვეთში გამჟღავნებული შინაარსის პ ა რ დ ა პ ი რ, უ შ უ ა ლ ო ა ნ ტ ე რ ა რ ე ტ ა ც ი ა ხ უთუოდ იმისაკენ მივყავართ, რომ უარყოფილ იქნას იგი, როგორც ისტორიული ფაქტი, რადგან ქართული ანბანის წარმოშობასთან დაკავშირებული ყველა პიპოთეზა და თეორია, სულერთია, ასახვენ თუ არა ისინი რეალურ ვითარებას, ვერადს უვლის სწორედ იმ პერიოდს, როცა „ფარნავაზის ცხოვრების“ მიხედვით ანბანის შექმნა ნავარაუდები. ამ ცნობისადმი ნდობამ გვაიძულა სხვა გეზითა და მიმართულებით მოგვესინჯა მისი ახსნის შესაძლებლობა, გავვეანალიზებინა იგი როგორც სიმბოლიკურ-ენიგმური ტექსტი და მისი არსებობა ავგვეხსნა თვითონ ქართული ანბანის რიცხვული სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე მეთოდით.

7

„სამარ — ფარნავაზ — არმაზ“ სახელების იზოფსეფიები რიცხვითა სექტიმალური შესაბამისობის საკანონო მონაკვეთებს გვიმხელს. ჩვე-

ნი აზრით, ეს არის კ ო ლ ზ ე მიმანრწმუნებულ მტრანფორმაცია და სწორედ ამიტომ მათთან დაკავშირებით ვაგვიანლიზთ „ფარნავაზის ცხოვრების“ ის ბოლო მონაკვეთი, სადაც ქართული „მწიგნობრობის“ ანუ ანბანის შექმნის ცნობაა ვაცხადებული. ჩვენ ვეცადეთ ნათელგვეყო ამ ცნობის ცხადი თუ ფარული კავშირები ვარემომცველ ტექსტან („მეფეთა ცხოვრება“), რომლის ცალკეული პასუხები, როგორც ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა, ასევე აცნაურებენ კავშირს რიცხვითა სექტიმალურ სისტემასთან. ერნ. ბინდელის წიგნზე („რიცხვითა სულიერი საფუძვლები“, შტუტგარტი, 1958) დაყრდნობით ვცდილობდით გვეჩვენებინა აგრეთვე ის, რომ ეს სისტემა ბიპოლიდან, უპირატესად კი, იოანეს სახარებადნად და გამოცხადებდნად არის მოხმობილი როგორც „მეფეთა ცხოვრებაში“ დადასტურებული რიცხვული კონსტრუქციების საფუძველი. მაგრამ ლიად რჩება უმთავრესი საკითხი — რა კავშირი აქვს თვითონ ანბანს ამ რიცხვულ სისტემასთან? ანბანში ფ ა ნ ე მ შ უ რ და რ ი ც ხ ვ უ ჯ ლ სისტემებს მხოლოდ ანბანური გრაფიკა, ე. ი. ა ხ ო ნ ი შ ნ უ რ ი ხ ი ს ტ ე მ ა ასახიერებს და ამ აზრით, მხოლოდ ასონიშნითა გ რ ა ფ ი კ უ ლ ხ ტ რ უ ქ ტ უ რ ა ხ შეუძლია ზემოაღნიშნული ფაქტის უარყოფა ან დადასტურება. მოვიხმობთ ქართული ანბანი და ვნახობთ, ასახვს თუ არა იგი სექტიმალური შესაბამისობის რიცხვულ სისტემას.

როგორც ვიცით, ამ შესაბამისობის პირველი წყვილულია 7 — 10. ამ რიცხვების კვლრატების წამით გამოიხატება სწორედ ანბანის შემოქმედის საღმრთო სახელის იზოფსეფია: „არმაზ“ — 149 (7²—10²). ბუნებრივი იქნებოდა ასომთავრულ ანბანში გამოგვეყო 7 — 10 და მათი ყამის შემცველ 17 ადგილებზე დამაგრებული ასოები და გავვეანალიზებინა მათი გრაფიკული სტრუქტურა. რიგის 7-ე, 10-ე და 17-ე ადგილებზე ქართული ანბანში „ზენ-ინ-პარ“ ასოები ზის. უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ არავისთვის საეჭვო არ არის მათი მოხაზულობის არცერთი ელემენტი. ამ ასოებს არ განუცდილა პალეოგრაფიული დეფორმაცია. ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და პალიმფსესტებში დადასტურებული მათი გრაფიკული ხატი სავსებით ცხადი და უეჭველია იმდენად, რომ ჩვენ შეგვიძლია მათი ილუსტრირებისას ვისარგებლოთ ანბანურ პლაკატებში დაბეჭდილი ამ ასოების პირით.

როგორია, ანბანური რიგის 7 — 10 და მათი ყამისაგან მიღებულ 17-ზე დამაგრებულ „ზენ-ინ-პარ“ ასოების მოხაზულობა?

თამაზ ჩხინყაილი
მართლში ანბანი და „მეფეთა ცხოვრება“

7. —————> 10. —————> 13.



17.



ეს ასოები, როგორც მოსალოდნელი იყო, განირჩევიან ურთიერთისაგან, რადგან ასონიშანთა ვიზუალური ხატის ურთიერთსხვაობის საფუძველზეა კონსტრუირებული ნებისმიერი ანბანის გრაფიკული სისტემა. აქაც, ქართულ ასომთავრულში, „ყოველი ასოს ნაკვთს თავისი დამახასიათებელი ნაწილი აქვს, რომლითაც იგი სხვა ასოსგან ნიშანდობლივ განირჩევა, მაგრამ ამავე დროს ისეთი ნაწილებიც მოეპოვება, რომლითაც იგი სხვა ასოს ან ასოებს მიაგავს“ (ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 105). დაეკვირდეთ „ზენს“ (7): ვიზუალური აღქმა ამ გრაფიკაში უმაღლეს აფიქსირებს წრითელ ელემენტს, რაც არ გააჩნია არც „ინს“ (10) და არც „პარს“ (17) ასევე „ინში“ თვალის აფიქსირებს სწორხაზოვანებას, ხოლო „პარში“ ნაღისებურ მოგროვებულ ვერტიკალურ კორპუსს, რაც ორ დანარჩენ ასონიშანს არა აქვს. ასე რომ მათი ვიზუალური ხატის სხვაობა აშკარა და თვალსაჩინოა. მაგრამ ასევე აშკარა და თვალსაჩინოა მათი მსგავსებაც, რაც ანბანის გრაფიკული სისტემის კონტექსტში კიდევ უფრო აშკარა ხდება. მაგალითად, თვალსაჩინოა, რომ სამივე ამ ასონიშანს ერთმანეთთან აკავშირებს ვერტიკალური ღერძი და მის თავზე მარცხნივ წარზიდული შედარებით მოკლე განივი ხაზი. ღერძისა და ამ განივი ხაზის შეწყობით შექმნილი კუთხოვანი ელემენტი გვაძლევს სწორედ იმ სპეციფიკურ ვიზუალურ ხატს, რომელიც ერთი მხრივ, ხაზს უსვამს მათ უცდობლად მსგავსე-

ბაბს, ხოლო მეორე მხრივ, მათ სხვა ასონიშანებისაგან გამოარჩევს. ეს ფაქტი უთუოდ იმაზე უნდა მიგვიითებდეს, რომ ასომთავრული ანბანის 7, 10 და 17 რიგის რიცხვებზე დამაგრებელი ასოების გრაფიკული სტრუქტურა ადასტურებს სეპტიმალური შესაბამისობის რიცხვულ სისტემასთან კავშირს. თუ ეს ჩვენი ანალიზის სწორია, ე. ი. თუ ზემოთმოყვანილ ფაქტს არგუმენტის მნიშვნელობას მივიანიჭებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ ანბანის შემოქმედს საკუთარივე ანბანის გრაფიკული კანონების პროცესშივე აქვს გათვალისწინებული პირველი სეპტიმალური წყვილულის (7 — 10) და მათი ჯამის (17) რიცხვები, რომლებზეც მან გარკვეული გრაფიკული ელემენტით მსგავსი ასონიშნები დაამატა. ამ აზრით, ანბანის შემოქმედის მიზანდასახულებას უნდა ამქვამდებდეს ისიც, რომ ანბანური რიგის 7 — 10 და 17 ადგილებზე დამაგრებული გრაფიკები, ფაქტურად, „არმაზ“ სახელის იზოფსედიის (7²+10²) გრაფიკულ კორელატს წარმოადგენს... მაგრამ ასეთი დასკვნა, როგორც ჩანს, სხვა და ამასთანავე, უფრო დამაჯერებელი მავალითების მოხმობასა და არგუმენტირების უფრო მეტ თვალსაჩინოებას მოითხოვს. „ზენ-ინ-პარ“ ასოების ერთ გრაფიკულ ჯგუფში გაერთიანება თავისთავად გვიბიძგებს იქითკენ, რომ მათთან მსგავსების თვალსაზრისით შევამოწმოთ ასომთავრული ანბანის უკლებლივ ყველა ასონიშანი.

და აი, ასეთიანარი საგულდაგულ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ კიდევ ერთი გრაფი-

მა ატარებს იმავე გრაფიკულ ელემენტს, რის საფუძველზეც ჩვენ ერთად დაეჯგუფეთ 7, 10 და 17 რიგის რიცხვებზე დამაგრებული „ზენ-ინ-პარ“ გრაფემები. ეს გახლავთ ანბანური რიგის 13-ე ასონიშანი „მან“ ამ ასონიშანსაც იგივე ლერძი და ამ ლერძის თავზე მარცხნივ წაზიდული იგივე განივი ხაზი აქვს, ოღონდ, ამ თვალსაზრისით, ანბანის საერთო გრაფიკული კონტექსტიდან „მანის“ გამოყოფას აძლეებს ის, რომ „ზენ-ინ-პარ“ ასონიშნებისაგან განსხვავებით მას ლერძისწინა მუცელი აქვს, რაც ერთგვარად წილობავს ზემოაღნიშნულ ასონიშნებთან მის მსგავსებას. მაშასადამე, ანბანში გვაქვს კიდევ ერთი (მეტი არა) ისეთი ასონიშანი, რომელიც გრაფიკული მსგავსების ნიშნით „ზენ-ინ-პარ“ ასოთა ჯგუფს შეეკუთვნება. საკითხავია, რატომ ერთიანდება „მანი“ ასონიშნების ამ გრაფიკულ ჯგუფში, ე. ი. რა კავშირი აქვს „მანის“ რიგის რიცხვს 13-ს „ზენ-ინ-პარ“ გრაფემების რიგის რიცხვებთან?

სეპტიმალური შესაბამისობის პირველი წყვილ-ლეულია 7 — 10, რაც იმას ნიშნავს, რომ 7-ს შეესაბამება 10. მაგრამ რა შეესაბამება თვითონ 10-ს? 10 (7+3)-ს შეესაბამება 13 (10+3). ამავე წესით და ანაირად 13 (7+6)-ს შეესაბამება 16 (10+6) და ა. შ.

| | | | |
|----|----|----|----|
| 7 | 10 | 14 | 20 |
| 8 | 11 | 15 | 21 |
| 9 | 12 | 16 | 22 |
| 10 | 13 | 17 | 23 |
| 11 | 14 | 18 | 24 |
| 12 | 15 | 19 | 25 |
| 13 | 16 | 20 | 26 |

როგორც ვხედავთ, „მანის“ ანბანური რიგის რიცხვი 13 ჩართულია სეპტიმალურად შესაბამებულ თანმიმდევარი რიცხვების მწკრივში. აქედან კი ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ასომთავრულ ანბანში მსგავსი გრაფიკული ელემენტით ერთმანეთთან დაკავშირებული და ყველა სხვა ასოებისაგან განსხვავებული ასოთა ჯგუფი, ერთი მხრივ, სეპტიმალურად თანმიმდევარს სამ რიცხვს გამოჰყოფს 7 — 10 — 13, ხოლო მეორე მხრივ, პირველი ორის ჯამს $7 + 10 = 17$. ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ ანბანური რიგის 7, 10 და 17 ადგილებზე დამაგრებული გრაფემები „არმაზ“ სახელის იზოფსეფიის გრაფიკულ კორელატს წარმოადგენს და ამდენად ადასტურებს ასომთავრული ანბანის ამ გრაფე-

მებთან სეპტიმალური შესაბამისობის რიცხვული სისტემის უქვეელ კავშირს. მაგრამ საკითხავია, რას გვანიშნებს, სეპტიმალურად შესაბამებულ თანმიმდევარი რიცხვების 7 — 10 — 13 მწკრივი, ან რა ფუნქციას ასრულებს ამ მწკრივთან მიმართებაში რიცხვი 17?

საქმე ისაა, რომ სეპტიმალური შესაბამისობის რიცხვულ სისტემაში ყოველ რიცხვს შეესაბამება გარკვეული რიცხვი, მაგრამ ყოველი რიცხვი არ წარმოადგენს რომელიმე სხვა რიცხვის სეპტიმალურად შესაბამებულ ერთეულს, მაგალითად, რიცხვები 7, 8, 9 (პირველი ათეული), 17, 18, 19 (მეორე ათეული), 27, 28, 29 (მესამე ათეული), 37, 38, 39 (მეოთხე ათეული) და ა. შ. აცერთ სხვა რიცხვს არ შეესაბამებია, მაგრამ თვითველ მათგანს შეესაბამება გარკვეული რიცხვი, რის გამოც ისინი თვითონ იწყებენ სეპტიმალური შესაბამისობის თანმიმდევარ რიცხვთა სამმწკრივიან ბადეს. პირველ ასეთ სამმწკრივიან ბადეს ანბანური რიგის ფარგლებში ჰქმნის რიცხვები 7, 8 და 9...

| | | |
|---|----|----|
| 7 | 10 | 13 |
| 8 | 11 | 14 |
| 9 | 12 | 15 |

მეორე სამმწკრივიან ბადეს ჰქმნის რიცხვები 17, 18 და 19...

| | | |
|----|----|----|
| 17 | 23 | 32 |
| 18 | 24 | 33 |
| 19 | 25 | 34 |

მესამე სამმწკრივიანი ბადე უნდა შეექმნათ რიცხვებს 27, 28, 29-ს, მაგრამ ასომთავრულის ანბანური რიგის ფარგლებში მხოლოდ 27 — 36-ის შესაბამისობა საჩინოდება. 28-სთან შესაბამებული 40 და 29-სთან შესაბამებული 41 გადის ანბანის რიგითი სისტემის ფარგლებიდან და ამიტომ ცხრილში ვერ აისახება. რაც შეეხება ანბანური რიგის უკანასკნელ 37-ს, იგი კენტად რჩება, რაკი მასთან შესაბამებული რიცხვი, თავისთავად ცხადია, ანბანური რიგის გარეთ აღმოჩნდება.

ადვილი შესამჩნევია, რომ პირველ სამმწკრივიან ბადეში 7 — 10 — 13 ანბანური რიგის რიცხვებზე დასმული, გარკვეული გრაფიკული ელემენტით მსგავსი „7 — 10 — 13“ ასონიშნები ცხარარიცხვიან მონაკვეთს საზღვრავენ და საფიქრებელია, ანბანის შემოქმედი რიცხვთა სწორედ



ამ მონაკვეთზე გვიმახვილებდეს ყურადღებას. ხოლო თუ ასეა, მაშინ გასაგებია ხდება რა ფუნქციას ასრულებს 7 — 10 — 13 რიცხვებთან მიმართებაში 17. ამ რიცხვით — 17-ით იწყება ანალოგიური, მეორე ცხრაიცივნიანი მონაკვეთი, რომელსაც თვითონ ანბანური რიგის ფარგლებში საზღვრავს ისე, რომ ეს ცხრა რიცხვი თავის თავში ჩაეკეტოს და დასრულებულ მთლიანობას წარმოადგენს. ამ მეორე მონაკვეთის გამოყოფას შემდეგი გარემოებაც ადასტურებს: თუ პირველი ცხრაიცივნიანი მონაკვეთის ცალკე მთლიანობად გამოყოფაზე მიგვივლით **გ რ ა ფ ი კ უ ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი თ მ ს გ ა ვ ს ი „ზ — ი — მ“** ასოების მწკრივი, მეორე ცხრაიცივნიანი მონაკვეთის მიმართ ანალოგიურ როლს ასრულებს **მ ს გ ა ვ ს ი ს ა ბ ე ლ დ ე მ ი თ** გაერთიანებული „პარ — ფარ — ჰარი“. ასე რომ, ერთერთი ასპექტი 17-ე „პ“ გრაფემის „ზ — ი — მ“ ასოების გრაფიკულ ჯგუფში გაერთიანებისას უნდა იყოს, რომ ყურადღება გვიმახვილებდეს მეორე სამმწკრივიან ბაღებზე. მაშასადამე, ანბანის შემოქმედის ფარული, მაგრამ მკაფიო და ზუსტი მითითების შედეგად მივიღებ სეპტიმალურად შესაბამებულ რიცხვთა ორი ცხრაიცივნიანი მონაკვეთი.

აქვე უნდა შევნიშნოთ: თვითველ სამმწკრივიანი მონაკვეთში ეს ცხრა რიცხვი სიმეტრიულად, სამ ვერტიკალურ და სამ ჰორიზონტალურ წერტილად არის განლაგებული, რაც ბუნებრივად ჰქმნის კვადრატის ხატს, რაკი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძებით დახაზული კვადრატი გადაკვეთის სწორედ ცხრა წერტილს ახაინოებს (ახსანიშნავია, რომ ათასწლოვანი ანტიკური მოძღვრების თანახმად, რიცხვი 9 სამი თანმიმდევარი კენტი რიცხვის ჯამს უდრის: 1+3+5=9, ხოლო ნებისმიერი რაოდენობის კენტი თანმიმდევარი რიცხვის ჯამი კვადრატის ფიგურას ახაინებებს). ამრიგად ჩვენს ხელთაა ორი ცხრა რიცხვიანი „მცირე“ და „დიდი“ რიცხვული კვადრატი: „მცირე“ იმიტომ, რომ მისი რიცხვწერტილების ჯამი 99-ს ჰკრებს, „დიდი“ კი იმიტომ, რომ მისი რიცხვწერტილების ჯამი 225-ს ჰკრებს. მაგრამ რას უნდა გვეუბნებოდეს ეს ორი რიცხვული კვადრატი, რომლებიც ერთმანეთთან მალურად შესაბამებულ ცხრა-ცხრა რიცხვით ეიცავს? ანბანის შემოქმედის რა მიზანდასახულება უნდა ამოვიკითხოთ ამაში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიზ-


სენოთ ქართული ასომთავრულის, როგორც მონაკვეთში ნუმერული ანბანის, გრაფიკული სისტემის არსი: კაპიტალური ანუ მონუმენტური ანბანების თვითველი ასოს მოდელს ვერტიკალურ-ჰორიზონტალური და დიაგონალური ღერძებით გადაკვეთილი კვადრატი განსაზღვრავს. ჰარდერის აზრით, ბერძნულ ანბანში („ბერძნულში“ იგი ლათინურსაც გულისხმობს) ასოები უჩინარ კვადრატში ან ნახევარკვადრატშია ჩაწერილი. თვითველ ასოს თავისი საკუთარი ერთნაირი სიდიდის სახლი ანუ საკუთარი გეომეტრიული ადგილი აქვს („ბერძნული დამწერლობის შექმნა“, 1942). I-V საუკუნეების ლათინურ და ბერძნულ ანბანებში ასოთა გრაფიკის ეს საეტალონო კვადრატი აშკარა და უეჭველია.

იგივე აზრია გამოთქმული ქართულ ასომთავრულზეც, რაკი მასში „მონუმენტური დამწერლობის ზოგადი პრინციპებია განხორციელებული“ (რ. პატარაძე). ასომთავრულის „ყველა ასოს მოხაზულობა კვადრატში თავსდება“ (ელ. მკავარიანი). „ასომთავრული დამწერლობა იმგვარია, რომ ცალკეული ასოები, თუ მათ დაუმაზინჯებლად დავწერთ, ავსებენ კვადრატს ან მის ნახევარს“ (ვ. ბოღერი). ამავე აზრს ვსაბუთებდით ჩვენც „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებულ წერილებში: „ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა“, №8, 1977 და „ასომთავრულის ერთიანი გრაფიკული სისტემა“, № 4, 1981.

მაშასადამე, ერთი მხრივ, გვაქვს რიცხვული კვადრატები, ხოლო მეორე მხრივ, გეომეტრიული კვადრატის თარგი გამოყვანილი ასონიშნები. ლოგიკური და კანონზომიერი იქნებოდა ასომთავრულის ასონიშნები ჩაგვესვა ამ რიცხვულ კვადრატებში და გავგვირიცხვიანებინა ისინი. მაგრამ რომელი ასონიშნები უნდა გავარიცხვიანოთ სხვებზე უჩინარეს?


კანონზომიერი იქნებოდა სხვებზე უჩინარეს ანბანური რიგის 7 — 10 ადგილებზე დამაგრებული ასონიშნების გრაფიკული რიცხვი გავვესინჯა, რადგან 7 — 10 სეპტიმალური შესაბამისობის რიცხვული სისტემის პირველი წყვილმეულია, ხოლო ეს სისტემა სწორედ ანბანური რიგის 7 — 10 რიცხვებზე დამაგრებული გრაფიკულად მსგავსი ასოების მეშვეობით ამყარებს კავშირს ანბანთან. ჩავხაზოთ ასომთავრულის 7 და 10 რიგის რიცხვებზე დამაგრებული „ზ — ი“ გრაფემები ჯერ ე. წ. „მცირე“ რიცხვულ კვადრატში...

7.



28

10.



40


როგორც ვხედავთ, მცირე რიცხვულ კვადრატში „ზ — ი“ ასონიმების გრაფიკული რიცხვებია 28 (7+10+11) და 40 (7+10+11+12). რას წარმოადგენს ეს რიცხვები?

აღვნიშნოს ჭერ ის, რომ ანბანური რიგის 7-ე ადგილზე მქდარი „ზენ“ ასონიმის გრაფიკული რიცხვი (28) თანმიმდევარი რიცხვების ჯამითაც 7-ს წარმოადგენს (1+2+3+4+5+6+7=28). მაშასადამე, „ზენ“ ასონიმის გრაფიკული რიცხვი მისსავე ანბანური რიგის (და ამასთანავე სათელავის) რიცხვს ასაჩინოებს, რაც შეუძლებელია

ბელია შემთხვევითობას მიეწეროს, რადგან თელის შვიდობით სისტემაში 7 ისეთივე ფუნქციონირებს, როგორც თელის ათობით სისტემაში 10. სწორედ ამიტომ 7-ს შეესაბამება 10 და ამიტომვე 4×7-ს შეესაბამება 4×10. როგორც ვხედავთ, არა მარტო ამ ასოების ანბანური რიგის რიცხვები 7 — 10 წარმოადგენს სემპტიკურად შესაბამებულ წყვილს, არამედ მათი გრაფიკული რიცხვებიც 28 — 40!


ახლა დიდ რიცხვულ კვადრატში ჩაეხაზოთ ეგვეე გრაფემები...

7.



64

10.



89


აქ მითი გრაფიკული რიცხვებია 64 და 89, რაც ჯამში 153-ს გვაძლევს. ამ რიცხვზე ჩვენ უკვე გვეყონდა ლაბარაკი. ეს იმ „ას ერგასის და სამი“ თეზის რიცხვია, მკვლრებით აღმდგარი იესოს რჩევის შემდეგ რომ დაიჭირეს მოწაფეებმა. რატომ მაინცდამაინც 153-ს გვაძლევს ამ ორი ასოს გრაფიკულ რიცხვთა ჯამი? იმიტომ რომ 153 წარმოადგენს 17 თანმიმდევარი რიცხვის ჯამს. 153-ით სწორედ ეს 17 ცხადდება.

ამრიგად, მცირე და დიდ რიცხვულ კვადრატებში ჩახაზულ ამ ასონიშნების გრაფიკულ რიცხვსა და ამიტომ მოხაზულობასაც რიცხვული კვადრატები განხაზვრავენ. ეს კი იმას ცხადყოფს, რომ ამ ასონიშნების ესთეტიკურ-გრაფიკული ხატი აღნიშნულ კვადრატებში განლაგებული რიცხვწერტილების აუცილებელი გათვალისწინებით არის შექმნილი.

მაგრამ ასონიშნების რიცხვულ კვადრატში ჩახაზვა და მითი გარიცხვიანება იმდენად შორს გამიზნული შედეგების მჭონე, მრავლისმეტყველი და ამავე დროს, გასაცვიფრებელი ფაქტია, რომ მარტო ზემოთმოტანილი, თუნდაც თვალსაჩინო მაგალითის მოხმობით ვერ დავკმაყოფილდებით, უალრეს ინტერეს უნდა იწვევდეს, თუ როგორი რიცხვით არის აღბეჭდილი ასომთავრულის პირველი ასო „ანი“...

მცირე რიცხვულ კვადრატში ჩახაზული „ა“ გრაფიკა 65-ს ჰკრებს, რაც თითქოს არავითარ მინიშნებას არ შეიცავს, თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ რიცხვით გაცხადებულია ფარნავაზის მეფობის წლები: „ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქმნა და ხაშოცდახუთ წელ მეფობდა ნებიერ“...

რაც შეეხება დიდ რიცხვულ კვადრატში ჩახაზულ „ა“ გრაფიკას, მისი გრაფიკული მონახაზი შემდგმ რიცხვწერტილებს მოიცავს: $17 + 23 + 32 + 18 + 25 + 34$. რას გვიცხადებს ამ რიცხვწერტილების ჯამი? რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, 149-ს, „არმაზ“ სახელის იზოფსეფიას! გავითვალისწინოთ: ასომთავრული ანბანის პირველი ასოს გრაფიკულ რიცხვში დაშიფრულია ამავე ანბანის შემოქმედის საღმრთო სახელის იზოფსეფია — 149, რასაც 49 — 100 სექტიმალური შესაბამისობის ჯამი ჰქმნის. გავითვალისწინოთ ისიც, რომ „არმაზ“ სახელის იზოფსეფიას გრაფიკული რიცხვით ასაჩინოებს ამავე „არმაზ“ სახელის აბრევიატურა, ე. ი. თაურასო. ეს უსათუოდ დამარწმუნებელი ფაქტია. აშკარაა, რომ



149

სექტიმალური შესაბამისობის რიცხვული სისტემა არა მარტო „ხამარ — ფარნავაზ — არმაზ“ სახელების იზოფსეფიებს მსუველავს, არამედ ასომთავრული ანბანის აქ გაანალიზებულ ასონიშნების გრაფიკაზეც ვრცელდება. ცხადი ხდება, რომ ანბანის შემოქმედის საღმრთო სახელი „არმაზ“ და ანბანის გრაფიკული ნახაზი ერთი წყაროდან მომდინარეობს, რომ ურთიერთკორდინირებულია როგორც ანბანის გრაფიკული სისტემა, ისე რიცხვთა ის სიმბოლური ნომინაციები („ხამარ — ფარნავაზ — არმაზ“), რომლებშიც სექტიმალურად შესაბამებულ რიცხვთა გასაღებია ჩაიდებული.

ამრიგად, სექტიმალური შესაბამისობის რიცხვული სისტემის საფუძველზე თავის „ქეშმარიტ სახლს“ — ასომთავრულ ანბანს დაუკავშირდა „ფარნავაზის ცხოვრებაში“ გაცხადებული ჭართული ანბანის შექმნის ცნობა. ახლა ნათელი უნდა იყოს, რომ ამ ცნობაში **ქეშმარიტი ინფორმაციაა გამჟღავნებული**, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ახლებურად აშუქებს ჩვენს უნიკალურ ცნობას, რომლის აუთენტურობაში ეჭვი აღარ უნდა შევიტანოთ. ამ ცნობის მხოლოდ მითოლოგიზებულ მოთხრობაში ჩართული „ლევგენდის“ დონეზე განხილვა გაუმართლებელია. იგი უნდა განიმარტოს როგორც კოლზე მიმანიშნებელი მეტაინფორმაცია და შესაბამისი მეთოდით გაანალიზდეს.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ამასწინათ გამოვიდა ცნობილი პოეტის და პროზაიკოსის, კრიტიკოსის და კინოდრამატურგის გრაფო (ევგრაფ) მანიას ლექსების კრებული, რომელსაც ავტორისვე წინასიტყვაობა უძღვის. ვთავაზობთ ნაწყვეტს ამ წინასიტყვაობიდან. (სტილი დაცულია).

უნდა გამოგიტყდეთ: ძალიან მომწონს ჩემი ლექსები. განსაკუთრებით მიზიდავს მათში აზრის სიღრმე (კრიტიკოსები რომ ვერ სწვდებიან) და აფორისტული გამოთქმები. აი, ერთ-ერთი ნიმუშიც: „იანვარში მარწყვი მინდა, მაგრამ სად არი, მალე გავა. მალე გავა ცივი ზამთარი“. დააკვირდით, როგორი მრავალბლანდინი და მრავალწახანგავანია სათქმელი. ჭერ ერთი, მკაფიოდ არის ახსნილი, რომ მარწყვი იანვარში არ მოდის და ზოგ-ზოგანი ტყუილად ნუ ეძებენ (რამდენ მიზეზთან ცოლსა და სიდერს ამოსდებს ალკაპას ეს სტრიქონი) მეორე: ლექსში ერთმანეთს ენაცვლება პესიმისმი და ოპტიმიზმი. ლექსის გვირი თავდაპირველად უიმედო მდგომარეობაშია უმარწყველობის გამო, მაგრამ იმედს არ კარგავს: „მალე გავა ცივი ზამთარი“ და მარწყვიც შექნებაო.

როგორც ჩემი ლექსების წიგნის გადაკითხვამ დამარწმუნა, ძალიან მეხერხება მეტაფორული აზროვნება. ნახეთ რამდენიმე მაგალითი: „ეით დავიღილი მოხვერი ხევი ავღია ღამე“, „შემე გადაძოვა ნიახურივით შავი ღრუბლები, შავი ნისლები“. ამ შედარების გაშიფვრა აქ არ შეუძლებელი, ყველაფერი ისედაც ნათელია...

ზოგიერთი მოცილილი და კირკიტა ცილს მწამებს: ხშირ-ხშირად იპარავო. განსაკუთრებით ერთ ლექსზე ამიხიბნენ („ძეგლი“). რომელშიც შევეცადე მოკარალებულად წარმოგიჩინა ჩემი არტუთ ისე მცირე დავწლი ქართული ლიტერატურის და საერთოდ ქართული კულტურის განვითარებაში. „არ დამიკარგავს ზოგ-ზოგოვით დრო ნაყრის ქექვით, ჩემი ცხოვრებით ხელთუქმნელი ავიგე ძეგლი. სცენარებს ვწერდი, ზღაპრებს ვწერდი, ვკრიტიკოსობდი, როცა მეცაღა, კიდევ ვმგოსნობდი“ პუშკინიდან გაქვს გადმოწერილიო, მითხრა ერთმა. შეიძლება, მარა იმას საიდან აქვს გადმოწერილი, დააიწყებათ? ასეა, ბაბა! ქურდის

ქურდი ცხონდაო, ნათქვამია. ჩამოართვით, ბატონო, იმასაც და მეც ჩემი ნებით დავაბრუნებ ჰონონარს. ისე, კაცმა რომ თქვას, თავადები, ლორდები და გრაფები იპარავდნენ და იმათ თუ არ ეთვლებათ ეს ამბავი ცოდვად, მე, საშუალო შეძლების გლეხის შეილს, რატომ უნდა ჩამეთვალოს?!

ვკითხულობ ჩემს ლექსებს და კიდევ ერთხელ ვაწმუნდები, რომ ჩემი აღმადრენა სწორ გზას ადვას. (ეს ის გზაა, რომელიც ყველაზე მაღალი მწვერვალისკენ მიდის (ამის განცხადების საფუძველს მაძლევს თუნდაც ეს ოთხი სტრიქონი: „ცის ლურჯ სუფრაზე, ცის ლურჯ სუფრაზე ჩამოდგეს მთვარე ვერცხლის თეფშით და მე ვეძახი დილის სუფთა ზეს ლექსით გივი და ლექსით შეშლილი“). საიყაროს კოსმოგონური სურათია დახატული. რაც მართალია, მართალია. გენიალობის ზღვარზე დგას შედარება: მთვარე — თეფში. არადა, სულ უბრალო შემთხვევამ შთამაგონა ეს ბრწყინვალე სახე — ცოლმა ვახშიმი დამიგვიანა, გასრულებულ-შთაგონებულ შევეყურებდი ცის ვახშმის მოლოდინში. ამ დროს დავინახე საცხე მთვარე და ეს შედეგრიც მზად გახლდათ.

ამ ოთხ სტრიქონს განსაკუთრებული ისტორია აქვს. ერთ-ერთი რედაქციის თანამშრომელს არაფრით არ უნდოდა მისი გამოგება, უნდა ამოვიღოთო. — კი, ბატონო, ამოიღეთ, მაგრამ ჩემი ოთხასი მანეთი დამიბრუნეთ-მეთქი. — რა ოთხასი მანეთიო — გაიკვირვა, — რა და თქვენთან რომ დავბეჭდავდი ჰონონარი ხომ უნდა მოგეცათ, მერე წიგნებში რომ შევიტანდი, მერე რუსულად რომ ითარგმნებოდა, მერე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ენაზე და საზღვარგარეთ რომ ითარგმნიდნენ, იქიდანაც ხომ მერგებოდა ფული-მეთქი. იანვარიშე, მიუხედავად ერთმანეთს და ოთხასი კი არა შეიტვი გამოვა-მეთქი. ცოტახის დაფიქრდა და... როგორც ამოიღეთ ისე ჩააგო აბა, ოთხასი მანეთის გადამხდელი იყო ის ჯიბეგაფხეკილი?

არ მინდა ისე გამოვით, თითქოს ყველაფერი მომწონდეს ჩემს ლექსებში. მე ობიექტური კაცი ვახლავართ და საკუთარ ნაცლსაც კარგად ვამჩნევ. პირდაპირ მიყვარს სწორად, როგორ დაწერა ჩემმა გამოცდილმა კალამმა ისეთი გულუბრყვილობა, როგორც ქვემოთმოყ-

ვანილი სტრიქონებია: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმიდა“. მითხარით ერთი, კუთამყოფელი კაცი წვიმად მოსვლას ინატრებს? ამისთანა რამ მეტეოროლოგიური სადგურის მუშაკს თუ შეიძლება წასცდეს. დილით წვიმას რომ შეგვიპირდა, ახლა კი ზის 37° სიცხეში ოფლში გახვითქული და პირშერცხვენილს ვარეთ თავის გამოყოფისა ერიდება.

მეორე გამოცემაში ამ ლაფსუსს აუცილებლად შევასწორებ, ახლა კი იყოს ასე!

შესაცვლეოია შემდეგი სტრიქონებიც: „ვიხნახავთ თქვენ ფერი დაბინდული ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია“ დამერწმუნებით

ალბათ, ეს „ქლიავი“ ძალიან ცუდად ხელს უყურს. და უხერხულ ასოციაციებს აღძრავს... მეორე გამოცემაში ან მსხალს ჩავსვამ, ან ატამს, ან ვაშლს, ჩემს ხელთ არ არის?

დასასრულს ერთი რჩევა მინდა მივცე ახალგაზრდა პოეტებს: — ბევრი იკითხეთ! ორმოცდახუთი წლის კაცი ვარ, ათი წიგნის ავტორი და კითხვა ახლაც არ შეთავილებია.

ახლა კი დროა დაგემშვიდობოთ, მეგობრებო! ისედაც დაგიყოვნეთ იმ სიამოვნებასთან მიახლოება, ჩემი ლექსების წარმატაც ქვეყანაში შესვლა რომ მოგანიჭებთ...

შედით! კარები ღიაა! აბა, ჰე!

გრაფო მანია



ჩვენი მიხამართი: თბილისი, 880007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, პახუხისშვებელი მდივანი 72-48-76, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-82.

გადაეცა ასაწყობად 3. 06 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 08. 85 წ., ქალაქის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრსაგ. თაბანი 15.85. შეკვ. 1256 უე 05327 ტირაჟი 61.000

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3360 60 333.

645/127



საქართველოს
საქართველოს

საქართველოს

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ